

K 217043
3

ქართული
ბიბლიოთეკა

ვესტანგ
აბაშვიანი



ქართული
ინგულექვუალური
ფანოქენები

ვახტანგ აბაშიანი



ქართული ინტელექტუალური ფენომენები

ქართული პოლიტიკური და სოციალური
მოძღვრებები



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1992

ნაშრომში გამოკვლეულია ქართული სამართლის ფილოსოფიის ისტორიის ნაკლებად შესწავლილი საკითხები, კერძოდ, კოლხეთის აკადემიის სწავლულ იურისტთა პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებები, ქართული რენესანსის პოლიტიკური იდეოლოგია, საზღვარგარეთის ქვეყნებში შემუშავებული და საქართველოში გავრცელებული მოძღვრებები სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ (ბუნებითი სამართლის სკოლა, სამართლის ისტორიული სკოლა, სამართლის რეალისტური სკოლა, სამართლის ნორმატივისტული სკოლა, სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების მოძღვრება), რომლებიც საქართველოს სინამდვილესთან მისადაგების შემდეგ ქართულ ინტელექტუალურ ფენომენებად გადაიქცნენ.

წიგნი განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის, ასევე დაეხმარება ყველას, ვინც დაინტერესებულია ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებების შესწავლით.

რედაქტორები: აკად. ლ. გორგილაძე,
ა. ტალიაშვილი

რეცენზენტები: ვ. ფარქოსაძე
ლ. ადეიშვილი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1992

1203010000 —

A —————

608 (06) — 92

ISBN 5-511-00478-2

წინასიტყვაობა

საქართველო უძველესი ქვეყანაა. ქართული კულტურა საუკუნეების განმავლობაში თანდათანობით ყალიბდებოდა როგორც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების, ასევე ეროვნული სახელმწიფოებრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე წარმოშობილი ინტელექტუალური ფენომენების საფუძველზე.

ჩვენამდე მოღწეული წყაროები ცხადყოფენ, რომ ცივილიზებული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი პოლიტიკურ-სამართლებრივი დაწესებულებები ქართველთა ტომებში ჩნდება ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის ბოლოს, ქართველური წარმოშობის ბევრი ტომი — იბერები, კოლხები, ტიბერანები, მოსინიკები და ა. შ. უკვე იცნობენ სახელმწიფოს და სამართალს. სახელმწიფოებრიობამდე ამალღებულმა ქართველმა ტომებმა უკვე მოასწრეს საკუთარი სალაპარაკო ენის, თვითმყოფადი კულტურისა და დამწერლობის შექმნა, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომებს მრავალფეროვანი ურთიერთობები აქვთ მეზობელ ხალხებთან, ისინი ფართოდ იყენებენ უცხოურ კულტურულ მიღწევებს, დაუფლებული არიან იმდროინდელი მსოფლიოს დაწინაურებულ სახელმწიფოებში მცხოვრები ტომების სალაპარაკო ენას და ა. შ.

ძველი ქართული სახელმწიფოები იმდროინდელ მსოფლიოში სახელგანთქმულია კულტურული და სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებით. კოლხეთის აკადემიაში (III—VI სს.), რომელსაც კონტაქტები ჰქონდა ბევრ სხვა კულტურულ ცენტრთან, მეცნიერების დარგებს სწავლობდნენ არა მარტო ქართველები, არამედ უცხოელებიც, კერძოდ, იმდროისათვის ისეთი დაწინაურებული ხალხი, როგორცაა ბერძნები. კოლხეთის აკადემიაში სხვა დისციპლინების სწავლებასთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა რიტორიკას (იურიდიულ მეცნიერებას), მისი სწავლულები თვალ-ყურს ადევნებდნენ იმპერატორ იუსტინიანეს მიერ დაწყებულ რომის სამართლის საკოდიფიკაციო საქმიანობას. ჩვენამდე მოღწეული უცხოური წყაროების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კოლხეთის აკადემიაში აღზრდილი იურისტი და პოლიტიკოსი სწავლულები რომის სამართალ-

სამართლებრივი
პარლამენტის
ეროვნული
ენციკლოპედია

217043

თან ერთად ღრმად იყვნენ დაუფლებული სხვა ქვეყნების სამართალსაც. ისინი კარგად ერკვეოდნენ რომისა და ქართული სამართალს შორის განსხვავებაში.

კოლხეთის აკადემიის მდიდარ ტრადიციებზე აღზრდილმა ქართველმა სწავლულებმა დიდი როლი შეასრულეს ანტიკური და შემდეგი პერიოდის სამართლებრივი აზრის საქართველოში გავრცელების საქმეში. მათ შეამზადეს მტკიცე საფუძველი ქართული რენესანსის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრებისათვის. მათი ნაყოფიერი ინტელექტუალური მუშაობის შედეგად საქართველოში დაიწყო მძლავრი ჰუმანისტური მოძრაობა, მომზადდა ნიადაგი ქართული რენესანსისა და მისი იდეოლოგიისათვის, რომელიც გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს მდიდარ მატერიალურ და სულიერ წინამძღვრებს ემყარებოდა.

დავით აღმაშენებლის მიერ განხორციელებულმა რეფორმებმა განამტკიცა ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა, აამაღლა მისი კულტურული დონე. როგორც ჩვენამდე მოღწეული წყაროები მოწმობენ, სახელოვანმა მეფემ დიდი საგანმანათლებლო მუშაობა გააჩაღა, შეაკავშირა ქართველი სწავლულები, სხვადასხვა ქვეყნებიდან მოიწვია მეცნიერები გელათისა და იყალთოს აკადემიებში, რომლებშიც დაიწყო ინტენსიური სამეცნიერო საქმიანობა.

ქართული რენესანსის უმთავრესი წყარო იყო მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ქართული ეროვნული კულტურა, მაგრამ საქართველოში დაწყებული რენესანსული მოძრაობის შედეგად ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრება მდიდრდებოდა წარსული საუკუნეების ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური ქვეყნების ინტელექტუალური ფენომენებით. ქართული რენესანსის ეპოქის წყაროებში ფართოდ არის გამოყენებული ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური ქვეყნების მოწინავე მოაზროვნეების—სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, მო ძის, ლაო ძის და სხვათა პროგრესულ-ფილოსოფიურ-პოლიტიკური მოძღვრებები, რომლებიც ხშირად გვხვდება რუსთაველის, შავთელის, ჩახრუხაძის, პეტრიწის, ქართველი ანონიმი ისტორიკოსებისა და სხვათა ნაწარმოებებში. ამის ნათელსაყოფად საკმარისია „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ძველი აღმოსავლეთის და ანტიკური ქვეყნების ინტელექტუალურ ფენომენებს ემყარება. ავთანდილის წერილში როსტევან მეფისადმი ნათქვამია: „ვიცი, ბოლოდ არ დამიგმობ ამა ჩემსა განზრახულსა, კაცი ბრძენი ვერ გაწირავს მოყვარესა მოყვარულსა; მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა: „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“. აქვე შ. რუსთაველი ამბობს: „ესე არა-

კი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.

მსოფლიო ინტელექტუალური ფენომენების უშუალო შედეგად წარმოიშვა ნიუ-იორკის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევები, რომლებიც აჩვენებენ, რომ საქართველო-სინამდვილის შესაბამისად ჩამოყალიბებული, ორიგინალურად გადამუშავებული მოძღვრება, რომელიც ცხადყოფს ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების მაღალ დონეს. საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკური სინამდვილის მიხედვით შემუშავებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების, მართალი სამართლის, სახელმწიფოებრიობის ერთნაირობით და თანადგომით განხორციელების და ა. შ. მოძღვრებებში ნათლად ჩანს ქართული რენესანსის ორიგინალური პოლიტიკური იდეოლოგია.

ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურმა დაშლილობამ, რომელიც უმთავრესად საგარეო ფაქტორებით უნდა აიხსნას, დიდი ხნით შეაფერხა ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრება, მაგრამ იგი მაინც არ დაცემულა, რენესანსმა ისე აამაღლა და განამტკიცა ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრება, რომ ჰუმანისტური მოძრაობის შედეგად მიღწეული დონე დიდი ხნის განმავლობაში, კერძოდ, ძნელბედობის დროსაც არ დაქვეითებულა.

დასავლეთ ევროპის მოწინავე ფილოსოფიურ-პოლიტიკურ აზრს ნაზიარევი XIX საუკუნის ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები საქართველოში ავრცელებენ სპინოზას, ლოკის, ვოლტერის, რუსოს, მონტესკიეს და სხვათა მოძღვრებებს, ქართულად თარგმნიან მათ ნაშრომებს და მათში გადმოცემული იდეების მიხედვით საქართველოს სინამდვილის შესაბამის თეორიებს ქმნიან, ადრინდელი ბურჟუაზიული რევოლუციებისა და XVIII საუკუნის ფრანგი განმანათლებლების პროგრესული იდეებით, აგრეთვე ქართული რენესანსის ორიგინალური შეხედულებებით ხელმძღვანელობენ რუსეთთან შეერთების შედეგად გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში (ს. დოდაშვილი, ი. ჭილაშვილი, ი. ჭავჭავაძე და სხვები). XIX საუკუნისა და XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართველი ერის სულიერი ცხოვრების მეზაიარახტრები საქართველოს ისტორიული სინამდვილის შესაბამისად რესპუბლიკურ-დემოკრატიული მიმართულებით ამუშავებენ ინტელექტუალურ ფენომენებს, რომელთაც ახალ პოლიტიკურ ელერადობას ანიჭებენ. 1812 წელს ი. ჭილაშვილი აქვეყნებს მონოგრაფიას „ბუნებითი სამართლის ნარკვევები“, რომელშიც გადმოცემულმა შეხედულებებმა, როგორც მეცნიერულ ლიტერატურაში მიუთითებენ, საფუძველი ჩაუყარა რუსეთის ცარიზმის

წინააღმდეგ საზოგადოების მოწინავე ნაწილის რევოლუციურ-დემოკრატიულ ბრძოლას, მისი ავტორი კი დეკაბრისტების რევოლუციური წინამორბედად გამოცხადდა. საქართველოში ეროვნულ-დემოკრატიული სუფლემბელი მოძრაობის მედროშეებმა გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში რუსეთში აღორძინებული ბუნებითი სამართლის მოძღვრებას რევოლუციურ-დემოკრატიული, ჰუმანისტურ-პროგრესული ხასიათი მიანიჭეს.

წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია უძველესი დროიდან დაწყებული საქართველოში ჩამოყალიბებული ქართული ინტელექტუალური ფენომენები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ მსოფლიო კულტურის საგანძურში ქართველი ხალხის მიერ შეტანილ წვლილზე. გამოკვლევის ძირითადი დებულებების ნაწილი გამოქვეყნებულია, ნაწილი ახლა იხილავს დღის სინათლეს. მის ცალკეულ თავებზე სხვადასხვა დროს დაიწერა და გამოქვეყნდა აკად. შ. ნუცუბიძის, აკად. ლ. გორგილაძის, აკად. ა. აფაქიძის, აკად. ი. დოლიძის, აკად. ი. კაჭარავას, აკად. წევრ-კორესპონდენტების რ. მეტრეველის, შ. მესხიას, პროფესორების: ი. სურგულაძის, მ. გაფრინდაშვილის, შ. ბადრიძის და სხვათა რეცენზიები.

ავტორი ზემოთ დასახელებულ მეცნიერებთან ერთად დიდ მადლობას მოახსენებს ყველას, ვინც ხელი შეუწყო წინამდებარე წიგნის გამოქვეყნებას და ფართო საზოგადოებრიობისათვის მისი შინაარსის გაცნობას.

თ ა შ ი I

კოლხეთის აკადემია (III—VI სს.) და ადრეკლასობრივი საზოგადოებრიდან ფეოდალურზე გარდამავალი პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებები

საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო და სამართალი უძველეს დროში გაჩნდა. ჩვენამდე მოღწეული წყაროების მიხედვით, ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან ქართველთა ტომებში პირველყოფილი გვაროვნული წყობილების რღვევის, კერძო საკუთრების განვითარების შედეგად ჩნდება კლასები და ყალიბდება სახელმწიფოებრივი ერთეულები. ამ პერიოდში ქართველთა ტომებში გაჩენილი სახელმწიფო, როგორც მეცნიერულ ლიტერატურაში არის დადგენილი, თავისი კლასობრივი არსის მიხედვით მონათმფლობელური¹, ან უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, ადრეკლასობრივი იყო².

ამ პერიოდის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოების შესასწავლად მეტისმეტად არასრული წყაროები და ლიტერატურა გვაქვს. როცა ამ წყაროებზე ვლაპარაკობთ, პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ეროვნული, ქართული არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ა. შ. მასალები. რაც შეეხება ამ დროის ქართულ წერილობით წყაროებს, სამწუხაროდ, მათ მეცნიერება არ იცნობს, თუმცა, გავრცელებული აზრის მიხედვით, ის ქართველი ტომები, რომლებმაც შექმნეს საკუთარი ეროვნული სახელმწიფოები, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული დონის მიხედვით საკმაოდ განვითარებული ყოფილან. უცხოური წყაროების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქართველთა ტომებს—იბერებს, რომელთა უძველესი სახელია თობილები და ცხოვრობდნენ კაპადოკიელთა გადაღმა³, ასევე ტიბერანებსაც საკუთარი დამწერლობა ჰქონიათ⁴,

¹ შ. მესხია, ვ. გუჩუა, საქართველოს ისტორია, თბ., 1969.

² საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად, ტ. I, რედაქტორი გიორგი მელიქიშვილი, თბ., 1970.

³ გეორგიკა, IV, I, გვ. 8, 63; გეორგიკა, 2, გვ. 363—364.

⁴ იქვე, გვ. 8.

ძვ. წ. I საუკუნის მწერალი დიონისიოს პალიკარნასელი აღნიშნავს ქართველთა ტომების, ბარბაროსების მაღალ კულტურას, კერძოდ კი ძლიერ გავლენას ახდენდა ბერძნებზე, და მიუთითებს, რომ ბერძნულ და აგრეთვე „ბევრნი სხვანი, რომლებიც ბარბაროსთა შორის ცხოვრობენ, ცოტა ხნის გავლის შემდეგ ყველაფერს ელინურს ივიწყებენ, ისე, რომ აღარც ელინურ ენაზე ლაპარაკობენ, აღარც ელინთა ჩვევებს მისდევენ, აღარც იმავე ღმერთებს მიიჩნევენ და აღარც სამართლიან კანონებს, რითაც განსაკუთრებით განსხვავდება ელინური ბუნება ბარბაროსულისაგან, აღარც სხვას რასმე (სცნობენ), რაც (საყოფაცხოვრებო) ურთიერთობებს ეხება და არც სხვას მსგავსს. ამ აზრისათვის საკმარისი საბუთია (მოხსენიება), აქაიებისა, რომლებიც პონტოსთან ცხოვრობენ, ხოლო ელევლები კი, რომლებიც წარმოშობით ნამდვილი ელინები არიან, ყველა იმ ბარბაროსებზე, რომლებიც ახლა არსებობენ, უფრო მეტად ველურები არიან“¹.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფოებში ამ კულტურის ბაზაზე ახ. წ. IV საუკუნეში თანდათანობით ფეხს იკიდებს ფეოდალიზმი. ქართველი ხალხის ისტორიაში ეს ეპოქა ცნობილია ადრინდელი ფეოდალური მონარქიის სახელწოდებით, იგი მოიცავს IV—X საუკუნეებს. ადრინდელი ფეოდალური მონარქიის დასასრულს ქვეყანაში საბოლოოდ იმარჯვებს ფეოდალური ურთიერთობანი, ვითარდება და იცვლება ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილება. საქართველოს ტერიტორიაზე, მართალია, არსებობს განცალკევებული სახელმწიფოები, კერძოდ, თავდაპირველად ქართლის (იბერიის) და ეგრისის (კოლხეთის) სახელმწიფოები, მოგვიანებით კი იქმნება ახალი ფეოდალური სამთავროებიც (კახეთი, ჰერეთი, ეგრის-აფხაზეთი, თბილისის საამირო), მაგრამ ადრინდელი ფეოდალური მონარქიის დასასრულს ქვეყანაში უკვე ჩამოყალიბდა ქართული სახელმწიფოების გაერთიანების საფუძვლები.

ადრეული ფეოდალური მონარქიის ეპოქის საქართველოს ტერიტორია წარმოადგენს ირანისა და ბიზანტიის ურთიერთბრძოლის ასპარეზს, მოგვიანებით კი არაბ დამპყრობელთა სამფლობელოს. ამ პერიოდში ქართველი ხალხის ცხოვრებაში დიდი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები ხდება, კერძოდ, ქართველთა ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო „ქრისტიანობის სახელ-

¹ თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1977, გვ. 134—135.

მწიფო სარწმუნოებად გამოცხადება, მეფობის გაუქმება, ერის მთავრის ხელისუფლების წარმოქმნა, ადრეფეოდალური დაქუცმაცებულობა, ფეოდალური სამეფო-სამთავროების წარმოშობა და ბრძოლა ამ ახალ ფეოდალურ ერთეულთა გაფართოება-განვითარებისათვის“¹.

ადრეფეოდალური მონარქიის ეპოქაში საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელ დამპყრობთა ურთიერთბრძოლა და ამ ბრძოლაში ქართული სახელმწიფოების მონაწილეობა განაპირობებს სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ შინაარსით მრავალფეროვანი მოძღვრებების ჩამოყალიბებას. განსაკუთრებით მაღალ დონეს აღწევს სახელმწიფოსა და სამართლის მოძღვრებები კოლხეთის სახელმწიფოში, სადაც ამ პერიოდში არსებობდა იმდროინდელ მსოფლიოში კარგად ცნობილი კოლხეთის აკადემია, რომლის შესახებ IV საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსი და რიტორი (იურისტი) თემისტეოსი წერს: „მეც, ჩემო კარგო ახალგაზრდავ, რიტორიკის ნაყოფნი მოეწყვიტე გაცილებით უფრო უჩინარ ადგილას, ვიდრე ეს ჩვენი ადგილია, არა წყნარსა და ელინურ ადგილას, არამედ პონტოს ბოლოში, ფაზისის მახლობლად, სადაც არგომ, თესალიიდან წამოსულმა, დაისადგურა, — რასაც პოეტები გაკვირვებით მოგვითხრობენ, — და ცამ იგი აღიტაცა, იქ, სადაც ცნობილია თერმოდონტი, ამჟონთ საომარი საქმეები და თემისკვირი, და აი, ასეთი ბარბაროსული და პირქუში ადგილი ერთი კაცის სიბრძნემ და სათნოებამ გახადეს ელინური და აქციეს მუზების ტაძრად, იმ ერთი კაცის, რომელიც დამკვიდრდა კოლხების და არმენელების ქვეყანაში და ასწავლიდა არა ისართ ტყორცნას და ოროლთა სროლას ან ჯირითს, მეზობელ ბარბაროსთა წესების და მიხედვით, არამედ იმას, თუ როგორ გაიწვრთნა რიტორიკულ ხელოვნებაში და როგორ ბრწყინავდა ელინთა დღეობებზე. მართალია თუ არა ის, რასაც ვამბობ, ცხადი გახდება ეხლავე, თუ დავძენ შემდეგსაც: იქ ჩავედი მე არა საკუთარი მისწრაფებებითა და გადაწყვეტილებით, არამედ მე გამგზავნა იქ ისეთმა კეთილმოსურნე კაცმა, როგორიც შეიძლება იყოს მამა, და ისეთმა მართებულად მოაზროვნემ, როგორიც შეიძლება იყოს ფილოსოფოსი. იქნებ შენ ის სრულიად დაპგომ იმისათვის, რომ მან თვითონაც თავისი განთქმული ფილოსოფია სწორედ იქ შეიძინა, ან უფრო მეტად დამგომ მე, რომელიც ფილოსოფიის საიდუმლოებას ბავშვობიდანვე ვარ ნაზიარები“².

¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, 1973, გვ. 5.

² ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, I, გვ. 50—51; მისივე რიტორიკული განათლების ცენტრები ძველ კოლხეთში (ს. ჭანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. X, გვ. 13, 1940).

ჩვენამდე მოღწეული უცხოური წყაროებით ვიცით, რომ კოლხეთის აკადემიაში ისწავლებოდა მეცნიერების სხვადასხვა დარგებში, რომელთაგან განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ენოლოგიას, ანუ იურიდიულ მეცნიერებას, რომელსაც, ალბათ, სწავლობდნენ არისტოტელეს წიგნების—„რიტორიკისა“ და „პოლიტიკის“ მიხედვით. უნდა ვივარაუდოთ, რომ კოლხეთის აკადემიაში, აქ არსებულ მეცნიერულ ტრადიციებზე, აღიზარდნენ ისეთი ცნობილი პოლიტიკოსები, იურისტები და ორატორები, როგორებიც იყვნენ აიეტი, ფარტაძი და გუბაზ მეფის მკვლევლობის გამო მოწყობილ სასამართლო პროცესზე ეროვნული ინტერესების დამცველად გამოსული ანონიმი ქართველი სწავლული იურისტები.

ამ პერიოდში სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემებით ქართველი ხალხის დაინტერესება იმით უნდა აიხსნას, რომ საქართველოს ტერიტორია, კერძოდ კოლხეთი, გახდა ბიზანტიისა და სპარსეთის პოლიტიკური და საომარი მოქმედების ასპარეზი. კოლხეთის სამეფო ხელისუფლებას უხდებოდა საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ბიზანტია-სპარსეთის ომებში ქართველი ხალხის ინტერესების შესაბამისად ეროვნული პოლიტიკური კურსის შემუშავება.

ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების წინამძღოლების — აიეტის, ფარტაძის და კოლხეთის მეფის — გუბაზის მკვლევლობის თაობაზე გამართულ სასამართლო პროცესზე გამოსული უცნობი კოლხი სწავლული-იურისტების შესახებ ცნობები, სამწუხაროდ, ქართულ წყაროებს არ შემოუნახავს. ყველა ზემოაღნიშნულ ქართველ მოაზროვნეზე ფართოდ მსჯელობს ბერძენი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი, რომელიც ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს სასახლის დიდი მოხელე იყო. ანგარიშგასაწევია შემდეგი გარემოება: რამდენად ცნობილი, ბერძნებშიც განთქმული უნდა ყოფილიყო ქართველი მოაზროვნეების — აიეტის, ფარტაძის, მეფე გუბაზის მკვლევლობის სასამართლო პროცესში მონაწილე ანონიმი ქართველი სწავლული პოლიტიკოსებისა და იურისტების სახელები, რომ უცხოელ ისტორიკოსს, ბერძენ აგათია სქოლასტიკოსს საგულდაგულოდ გადმოეცა მათი ნააზრევი და ხშირ შემთხვევაში მათი განსწავლულობის გამო აღფრთოვანებაც კი გამოეთქვა.

ბერძენი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი (536—582 წწ.) თავის ნაშრომში¹ აღწერს ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანეს

¹ გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1936.

(527—565 წწ.) და კოლხეთის მეფის გუბაზის (VI ს-ის შუა პერიოდი) დროინდელი ეპოქის ისტორიულ მოვლენებს.

აგათია სქოლასტიკოსის ნაშრომში მოთხრობილია ბიზანტიისა და სპარსეთის ურთიერთბრძოლები, რომლებშიც კოლხეთი მუდამ რაღაც გულხელდაკრეფილი არ ყოფილან, ფხიზლად იცავდნენ საკუთარ ეროვნულ თვითმყოფობას და ამ აგრესიულ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში სამშობლოს ინტერესებს ყველაზე მაღლა აყენებდნენ. ამიტომ ქართულ სახელმწიფოებს ხან ბიზანტიის და ხან სპარსეთის მხარეზე უხდებოდათ გამოსვლა. VI საუკუნის შუაწლებში წარმოებულ ბიზანტია-სპარსეთის ომში კოლხეთის სახელმწიფო ბიზანტიის მოკავშირედ გამოდის. 551 წელს ტელეფისის ციხესთან ბიზანტიელ და სპარსელ დამპყრობთა ბრძოლა სპარსელთა გამარჯვებით დამთავრდა. დამარცხების მთავარ მიზეზად კოლხეთის მეფეს — გუბაზს ბიზანტიელ მხედართმთავართა უნიჭობა მიაჩნდა და ამას არც მალავდა. გუბაზ მეფისადმი პირადი შურითა და მტრობით გამსჭვალულმა ბიზანტიელმა სარდლებმა 554 წელს მოაწყვეს გუბაზ მეფის მკვლელობა.

მოკავშირე ბიზანტიელების ამ ვერაგულმა მოქმედებამ კოლხეთის სამეფოში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, კოლხეთის მკვიდრნი აღშფოთებას არ მალავდნენ და დაბეჯითებით მოითხოვდნენ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის გადასინჯვას. ბერძენ ისტორიკოსს აგათია სქოლასტიკოსს მოთხრობილი აქვს გუბაზ მეფის მკვლელობით გამოწვეული ამბები, რომელთა მომსწრე, როგორც ჩანს, თვითონ ყოფილა და ხელთ ჰქონია სარწმუნო ცნობებიც, რომლებიც იუსტინიანეს სასახლეში იყრიდა თავს. ამ ამბებიდან აგათია სქოლასტიკოსი საგანგებოდ გამოყოფს გუბაზ მეფის მკვლელობით შექმნილ ვითარებას და ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანეს მიერ მიღებულ ღონისძიებებს ყველა ამ საკითხთან დაკავშირებით აგათია სქოლასტიკოსის ცნობებს დიდი მნიშვნელობა აქვს, ისინი წარმოდგენას გვაძლევენ კოლხეთის სახელმწიფოს სულიერ და მატერიალურ ცხოვრებაზე, ბიზანტიის სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკური საქმიანობის თავისებურებებზე, ქართული კულტურის მანამდე უცნობ კოლხ. პოლიტიკოსებზე და სწავლულ იურისტებზე.

აგათია სქოლასტიკოსი წერს, რომ ბიზანტიელი მხედართმთავრების მიერ კოლხეთის მეფის გუბაზის ვერაგულმა მკვლელობამ შელახა ამაყი კოლხების ეროვნული ინტერესები, ამიტომ „ქვეყნის მმართველები ყველანი დამაფიქრებელ მდგომარეობაში იყვნენ, არ იცოდნენ რა ექნათ, რისთვის მიემართათ. და აი, კავკასიის ერთ ხეობაში შეყარეს დიდძალი ხალხი ჩუმად, რომ რომაელებს არ შე-

ეტყობ, რასაც აქ მოაგვარებდნენ, და დასვეს საკითხი — სპარსე-
ლების მხარეზე გადავიდეთ, თუ ისევ რომაელებთან დავაგრძელებთ.¹
ცნობილია, რომ კოლხეთის სახელმწიფო მონარქიული მხარე
სათავეში იდგა მეფე, რომელიც სახელმწიფოს მართავდა აქ მოხ-
სენიებული „ქვეყნის მმართველებით“, მაგრამ აგათია სქოლასტი-
კოსის ცნობიდან ჩანს, რომ სამეფო ხელისუფლების გარდა კოლ-
ხეთის სამეფოში არსებობდა სახალხო კრება და სახალხო საბჭო²,
რომელთაც იწვევდნენ ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარე-
ობის დროს. სახალხო კრებას და სახალხო საბჭოს იწვევდნენ ქვეყ-
ნის დიდებულები იმ შემთხვევაში, როდესაც მეფე ადგილზე არ
იყო. ანდა სამეფო ტახტი საერთოდ თავისუფალი იყო. ასეთ შემ-
თხვევაში უმაღლეს სუვერენულ ხელისუფლებას სახალხო კრება
და სახალხო საბჭო ახორციელებდნენ.

ქვეყნის მმართველები ადგენდნენ კრების დღის წესრიგს და
ამავე დროს ხელმძღვანელობდნენ მის მსვლელობას. სახალხო კრე-
ბაზე მონაწილეობდა ყველა — დიდებულებიც და მდაბიონიც. სა-
კითხის განხილვაში მონაწილეობის უფლება ჰქონდა კრების ყველა
მონაწილეს. აგათია სქოლასტიკოსი წერს, რომ გუბაზის მკვლე-
ლობის განხილვას კრებაზე დიდი აურზაური გამოუწვევია, „კაცი
ნათლად ვერ გაარკვევდა ვერც იმას, თუ ვინ ლაპარაკობდა, ვერც
იმას, თუ რას ამბობდა: მაშინ დიდებულებმა მოუწოდეს ხალხს სი-
წყნარე დაეცვათ. ყოველი მსურველი, ვინც არ უნდა ყოფილიყო,
წყნარად გამოსულიყო და ეთქვა თავისი წინადადება, როგორც შე-
ეძლო“³. სიტყვით გამოსული ვალდებული იყო შუაში დამდგარი-
ყო და ყველასათვის გასაგებად ხმამაღლა დაეწყო ლაპარაკი. მაგა-
ლითად, როგორც აგათია სქოლასტიკოსი წერს, წარჩინებულთა წარ-
მომადგენელი აიეტი „შუაში გავიდა და ილაპარაკა ისე, როგორც
სახალხო საბჭოში ლაპარაკობენ“⁴.

ჩვენამდე მოღწეული ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ სახალხო
კრების ფუნქციონირებამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა კოლხეთის
სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრების მაღალი დონე, მოსახლე-
ობის აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმიანობაში. სა-
ხალხო კრებაზე ქართველ პოლიტიკოს-იურისტთა — აიეტისა და
ფარტაძის მიერ მაღალი ორატორული ხელოვნებით წარმოთქმული

¹ გეორგიკა, III, გვ. 63.

² იქვე, გვ. 63—64.

³ იქვე, გვ. 63.

⁴ იქვე, გვ. 64.

სიტყვები შინაარსობრივი სიღრმე, ურთულეს პოლიტიკურ და სოციალურ მართლებრივ ინსტიტუტებზე მათი მსჯელობის საბუთიანობა, ურთიერთდაპირისპირებულ შეხედულებათა ბრძოლაში ჰემოციური და დაწყვეტილებისაკენ მისწრაფება ცხადყოფს კოლხეთის სახელმწიფოში იურიდიული აზრის მალალ დონეს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კოლხეთის სახელმწიფოში აზრის თავისუფლება ბატონობს, სახალხო კრებებზე, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეების გადასაწყვეტად იწვევენ ხალხის ფართო მასების მონაწილეობით, ადგილი აქვს ურთიერთდაპირისპირებულ შეხედულებათა შორის ბრძოლას, კერძოდ, პოლიტიკურ დავაში კრება ღებულობს ყველაზე გონივრულ და ქვეყნისათვის სასარგებლო გადაწყვეტილებებს. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს კოლხეთში მოწვეული სახალხო კრება გუბაზ მეფის მკვლელობასთან დაკავშირებით. ამ კრებიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ კოლხეთის სახელმწიფოს სუვერენიტეტი მნიშვნელოვნად შელახულია ბიზანტიის მიერ, ამიტომ კოლხეთის ხელისუფლებმა „კავკასიის ერთ ხეობაში შეყარეს დიდძალი ხალხი ჩუმად, რომ რომაელებს არ შეეტყოთ, რასაც აქ მოაგვარებდნენ“. ჩანს, კრებაზე სიტყვის წარმოთქმა ყველას შეეძლო განსხვავებულ შეხედულებათა გამოსათქმელად. აგათია სქოლასტიკოსი წერს, რომ კრებაზე „მრავალმა წარმოთქვა სიტყვა; ზოგი ერთ წინადადებას იძლეოდა, ზოგი კიდევ სხვას“¹. მაგრამ აშკარად ჩანს, რომ საზოგადოების არისტოკრატიული ნაწილი ხელმძღვანელობს კრებას, იცავს წესრიგს და ა. შ. აგათია საგანგებოდ მიუთითებს, რომ თავდაპირველად კრებაზე „იყო უთავბოლო და არეული ყვირილი. კაცი ნათლად ვერ გაარკვევდა ვერც იმას, თუ ვინ ლაპარაკობდა, ვერც იმას, თუ რას ამბობდა“². ასეთ ვითარებაში დიდებულებმა მოუწოდეს ხალხს, სიწყნარე დაეცვათ³.

დამახასიათებელია, რომ წარჩინებულებთან ერთად შედარებით მდამიოებსაც აქვთ სიტყვის წარმოთქმის უფლება, მაგრამ სახალხო კრება სხვადასხვა სოციალური წარმოშობის ორატორების მიერ წამოყენებული წინადადებიდან ღებულობს მხოლოდ იმას, რომელიც მას უფრო გონივრულად და სასარგებლოდ მიაჩნია. კოლხეთში მოწვეულ ზემოაღნიშნულ კრებაზე პირველად სიტყვით გა-

¹ გეორგია, III, გვ. 63.

² იქვე.

³ იქვე.




მოსულა „წარჩინებულთა შორის ერთი, სახელად აიეტი“¹. მის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ დიდი ზეგავლენა მოახდინა არა იმიტომ, რომ აიეტი წარჩინებული იყო, არამედ იმის კოლხები აიეტის სიტყვამ „დიდს განცვიფრებაში მოიყვანა“².

წარჩინებულ აიეტს სახალხო კრებაზე დაუპირისპირდა „მეტად მდაბიური ქცევისა და წარმოშობის“, მაგრამ „კოლხთა შორის გავლენიანი და გონიერი“ ფარტაძი, რომელმაც შეძლო აიეტის მიერ კრებისათვის შეთავაზებული წინადადების უარყოფა და საკუთარი მოსაზრების დამაჯერებლად დასაბუთება. ცხადია, კოლხეთში, აზრის თავისუფლების არსებობის პირობებში, შესაძლებელი იყო სახალხო კრებას მიეღო ჭეშმარიტი და ხალხისათვის სასარგებლო გადაწყვეტილება, იმის მიუხედავად, თუ ვისგან იყო იგი შემოთავაზებული. სახალხო კრებაზე ყველა საკითხი არ იხილებოდა, ჩანს, ასეთ კრებებს ხშირად არც იწვევდნენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვან ქვეყნის საგარეო და საშინაო საკითხებს მხოლოდ ხალხი წყვეტდა. მეფე გუბაზის მკვლევლობით შექმნილი მძიმე მდგომარეობის გასარკვევად სახალხო კრება მოიწვიეს ქვეყნის მმართველებმა და „დასვეს საკითხი — სპარსელების მხარეზე გადავიდეთ, თუ ისევ რომაელებთან დავრჩეთ“³. ქვეყნისათვის ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრისას სახალხო კრებაზე ნათელი გახდა, რომ კოლხეთის მოსახლეობას საერთო აზრი არ გააჩნდა, ერთსულოვნება არ არსებობდა თვით გაბატონებული კლასის წარმომადგენელთა შორის. სახალხო კრებაზე ნათლად გამოჩნდა აშკარა წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, წარჩინებულთა და, მეორე მხრივ, შედარებით დაბალ, მდაბიო წარმოშობის მოსახლეობას შორის. სახალხო კრების დემოკრატიულ ხელისუფლებაზე წარმოდგენას გვაძლევს ისიც, რომ სახალხო კრებაზე ქვეყნის მმართველთა მიერ დასმულ ზემოაღნიშნული საკითხის განხილვისას გაიმარჯვა არა წარჩინებულთა, არამედ შედარებით დაბალი, მდაბიური წარმოშობის მოსახლეობის აზრმა. წარჩინებულთა აზრი ჩამოყალიბებულ იქნა სახალხო კრებაზე აიეტის, ხოლო დაბალი წარმოშობის სოციალური მოსახლეობის ინტერესები გამოხატული იყო ფარტაძის მიერ. სახალხო კრებაზე პირველად წარჩინებულთა პოლიტიკური პროგრამა ხალხს მოახსენა რომაელთა მოძულე და სპარსელთა მომხრე აიეტმა. შემდეგ განსხვავებული პროგრამით გამოვიდა „ერთი ვინმე, სახელად

¹ გეორგიკა, III, გვ. 63.
² იქვე, გვ. 71.
³ იქვე, გვ. 63.

ფარტაძი, კაცი კოლხთა შორის გავლენიანი, გონიერი და თავისი
ქცევით მეტად მდაბიური“¹.



1. აიეტი

აიეტი კოლხეთის წარჩინებულთა წარმომადგენელია და გამო-
ხატავს ფეოდალური არისტოკრატის მსოფლმხედველობას. აგათია
სქოლასტიკოსის შრომიდან ნათლად ჩანს, რომ კოლხეთის წარჩი-
ნებულთა ზედაფენა ბიზანტია-კოლხეთის ე. წ. მეგობრული ხელ-
შეკრულების წინააღმდეგია და ფიქრობს, რომ ბიზანტიის სახელ-
მწიფო თელავს კოლხეთის სახელმწიფო სუვერენიტეტს. ბიზანტი-
ელი მხედართმთავრების მიერ კოლხეთის მეფის გუბაზის ვერაგული
მკვლელობით, რამაც თავისუფლებისმოყვარე, ამაყი კოლხების
აღელვება გამოიწვია, ისარგებლა აიეტმა და შეეცადა კოლხეთის
მოსახლეობა დაერაზმა ბერძნების წინააღმდეგ. აიეტმა პირდაპირ
განაცხადა, რომ „აწინდელი მდგომარეობა საკამათო არ არის...
ეხლავე საბოლოოდ უნდა გადავიდეთ სპარსელების მხარეზე“².
აგათია სქოლასტიკოსის აზრით, აიეტმა დაუფიქრებლად ისარგებლა
გუბაზ მეფის მკვლელობით, კერძოდ, „ამ ხელსაყრელი მიზეზით...
შეეცადა გამოეყენებინა მომხდარი ამბავი და გადააჭარბა კიდევ“³.
აიეტის მოქმედება იმიტომ იყო მოუფიქრებელი და გადაჭარბებუ-
ლი, რომ იგი გამომდინარეობდა არა მოსახლეობის უმრავლესობის
ინტერესებიდან, არამედ გამოხატავდა ფეოდალური არისტოკრატის
ზედაფენის, კერძოდ, წარჩინებულთა სურვილს. ამიტომ აიეტის
აზრი სახალხო კრებამ არ გაიზიარა, კერძოდ, მათ აიეტს უპასუხეს:
„არ გვმართებს ეგრე უცბათ ცხოვრების გეზი შევცვალოთ, სანამ
ზედმიწევნით არ მოვითათბირებთ, თუ რა იქნება უფრო უმჯობე-
სი“⁴. ხალხის ფართო მასების ამ საპირისპირო განწყობილებამ
ააღელვა აიეტი, რომელმაც საჭიროდ ჩათვალა თავისი თვალსაზრი-
სი ვრცლად დაესაბუთებინა. სხვათა შორის, აიეტის მოხსენებით
მოხიბლული აგათია სქოლასტიკოსი საგანგებოდ შენიშნავს, რომ
აიეტის სიტყვა გამოირჩეოდა ორატორული ოსტატობით, და, რაც
მთავარია, აიეტის „აზრებს შველოდა მისი ბუნებრივი მოქნილო-
ბაც“⁵.

¹ გეორგიკა, III, გვ. 71.
² იქვე, გვ. 64.
³ იქვე.
⁴ იქვე.
⁵ იქვე.

აიეტის მოსაზრებით, ხალხების ურთიერთდამოკიდებულება აუცილებელია შეფასდეს ერთნაირი საზომით, კერძოდ, ეჭვი ეპყრება, რომ პოლიტიკურად გაერთიანებული ერთი ეროვნების ხალხები მელიც მეგობრული ხელშეკრულებით არის დაკავშირებული სხვა ეროვნების ხალხთან, სისტემატურად უსამართლოდ ეპყრობოდეს მეორეს, ხოლო ამგვარი უსამართლოდ დაზარალებული ხალხი კეთილშობილურად ასრულებდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და სამაგიეროს მიზლით თავის დაცვაზე უარს ამბობდეს; აიეტის მტკიცებით, რომაელები უსამართლოდ გვეპყრობიან არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, ჩვენ, კოლხები კი „სამაგიეროს გადახდის შემთხვევას ვკარგავთ იმაზე, რომ ვყოყმანობთ და ვთათბირობთ“¹. რა თქმა უნდა, მოქმედების იურიდიული კვალიფიკაცია მხოლოდ ეჭვებით შეუძლებელია; მოქმედება, რომელიც მიჩნეულია ვინმეს მიმართ ბოროტი განზრახვის გამოვლინებად, აუცილებელია დამტკიცდეს საბუთებით. რაც შეეხება რომაელებს, განაგრძობს აიეტი, „ხომ არავის შეუძლია იმის მტკიცება, თითქოს მტერი ბოროტ ქცევაში ჯერ არ იყო შემჩნეული, და თითქოს მხოლოდ ეჭვები არსებობდეს, რომ ის ამგვარ აზრებსა და ზრახვებს ატარებს; არც საბუთების მოგონებაა საჭირო მისი, ვითომც დაფარული ვერაგობის დასამტკიცებლად“².

აღსანიშნავია, რომ კოლხების მოკავშირე რომაელების ამგვარი შეფასება მარტო აიეტის აზრს არ ემყარება, იგი გამოხატავს კოლხეთის სამეფო ხელისუფლების პოლიტიკურ თვალსაზრისს. არა მარტო ავათია სქოლასტიკოსი, არამედ პროკოფი კესარიელიც მიუთითებს იმაზე, რომ კოლხეთსა და ბიზანტიას შორის დადებული ხელშეკრულების მიუხედავად, რომაელები თვალთმაქცობენ, აშკარად ფეხქვეშ თელავენ კოლხეთის სახელმწიფოს სუვერენიტეტს. პროკოფი კესარიელის ცნობის მიხედვით, რომაელთა ვერაგული საქმიანობით შევიწროებულ კოლხეთის მეფეს ელჩებიც კი მიუგზავნია ხოსროსთან დახმარების თაობაზე. კოლხეთის სახელმწიფოს ელჩები არწმუნებდნენ ხოსროს, რომ ხელშეკრულებით რომაელების მეგობრებად ვითვლებით, მაგრამ ფაქტობრივად მათ ერთგულ მონებად ვიქცეით, რადგან რომაელებმა „ჩვენს მეფეს ხომ მეფობის მხოლოდ გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ხოლო ძალაუფლება საქმეებში თვითონ მიითვისეს, მეფეც მოსამსახურის ბედში იმყოფება და განმკარგულებელი სტრატეგოსის ემინიან. უამრავი ჯარიც

¹ გეორგია, III, გვ. 64.

² იქვე, გვ. 64—65.

ჩაგვიყენეს, მაგრამ არა იმიტომ, რომ დაიცვან ქვეყანა შემწუხებელ
თავან, არამედ რათა დავემწყვდიეთ ჩვენ როგორც სადილვერფი
ჩვენს ქონებას დაპატრონებოდნენ“¹.
ზიგლინოთეკა


როგორც ჩანს, აიეტი კოლხეთის სახელმწიფოს ფაქტობრივი
მდგომარეობიდან გამომდინარე, როცა გუბაზის მკვლევლობის იური-
დიულ შედეგებს აფასებდა. რომაელებთან ურთიერთობის ყველა
მოვლენის განსაზღვრისათვის იგი გადაწყვეტ მნიშვნელობას ანი-
ჭებს ბერძენი სარდლების მიერ კოლხეთის მეფის მკვლელობას.
აიეტი არწმუნებს თანამემამულეებს, რომ ბიზანტიის სამეფო ხელი-
სუფლებისადმი მონური მორჩილება დამლუპველია, რადგან კოლ-
ხებსა და რომაელებს შორის არსებული ხელშეკრულება წარმოად-
გენს მხარეთა შორის იურიდიული თანასწორუფლებიანობის გარან-
ტიას, რომელსაც ფაქტობრივად არღვევს მოკავშირე. აიეტი ასკვნის:
„ნუთუ უგუნურობას არ წარმოადგენს ის, რომ იმათ შესახებ, ვინც
ეს ჩაიდინა, ჩვენ ვზივართ და ვმსჯელობთ, მტრებად ჩავთვალოთ
ისინი თუ მეგობრებად? უნდა ვიცოდეთ, რომ მათი თავხედობა ამა-
ზე არ შეჩერდება. თუ ჩვენ ამ ბოროტმოქმედებას უყურადღებოდ
დვტოვებთ, ისინი არ მოგვეშვებიან და გულხელდაკრეფილნი რომ
ვისხდებიან, უფრო შეუპოვრად აგვხდიან ნამუსს“². აიეტი მიუთი-
თებს: ბუნების კანონია, რომ ვინც მორჩილია, მას უფრო მოური-
დებლად და თავხედურად ეპყრობიან. ქვეყნად არსებულ ყველა
ხალხს აქვს საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული საკუთა-
რი ჩვეულება, რომელიც განსაზღვრავს მათ ბუნებასა და ხასიათს.
ბერძნები ბუნებით მოღალატენი და ვერაგები არიან, მეფეც გაიძ-
ვერა ჰყავთ, ამიტომ, ცხადია, ბერძნებს „რა ჩვეულებაც წინათ
ჰქონდათ, იმასვე მისდევენ“. რაც შეეხება სპარსელებს, ისინი „ასეთი
ხასიათისანი არ არიან; ისინი შორს არიან ამისაგან. თუ ვინმე გა-
იხადეს თავში მეგობრად, ისინი ცდილობენ უთუოდ დაიცვან სიყ-
ვარული, ხოლო მტრის მიმართ რისხვას განაგრძობენ მანამ, სანამ
ის მტრად რჩება“³.

სახელმწიფო ადამიანების მიერ შექმნილი რთული დაწესებულებ-
აა, იგი შეიქმნა ადამიანთა ბედნიერი ცხოვრებისათვის, ამ მიზანს
სახელმწიფო უშუალოდ თვითონ უნდა ახორციელებდეს. იდეალუ-
რია სახელმწიფო, რომელსაც მეზობელი ქვეყნები ანგარიშს უწე-
ვენ მისი სიძლიერის გამო, რომელიც საგარეო ურთიერთობაში და-
მოუკიდებელ პოლიტიკურ კურსს ახორციელებს და საზოგადოებაში

¹ გეორგიკა, II, გვ. 50—51.

² გეორგიკა, III, გვ. 65.

³ იქვე, გვ. 66.



საკუთარი სახელმწიფოებრიობის სარეალიზაციოდ არ სჭირდება უცხო და გარეშე ძალების გამოყენება. ყველა პოლიტიკურ მოღვაწის მიზანია იმდენად ძლიერი გახადოს სახელმწიფო, რამდენადაც ველთვის საკუთარი თავის იმედი ჰქონდეს. მაგრამ სახელმწიფოთა ბედს მართო პოლიტიკურ მოღვაწეთა ნიჭი, უნარი და ცოდნა არ განსაზღვრავს; სახელმწიფოთა განვითარების კანონზომიერება ხშირად ემყარება „ჟამთა ტრიალს“, „ბედის უკუღმართობას“ და ორივეს ერთად; საყურადღებოა, რომ, როდესაც აიეტი სახელმწიფოთა განვითარების განმსაზღვრელ კანონზომიერებაზე ლაპარაკობს, ღმერთს ნაწილობრივ გამორიცხავს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქრისტიანული სარწმუნოება, მიუხედავად მისი აღიარებისა, ჯერ კიდევ მთლიანად გაბატონებულ იდეოლოგიას არ წარმოადგენს. ამიტომაც, როგორც ხალხების, ისე სახელმწიფოთა არსებობის კანონებს იგი არა რელიგიურ, არამედ ბუნებრივ საფუძვლებში ეძებს. ბუნება ცვალებადია, ღმერთი და მისი ნება კი მუდმივი და უცვლელია, ამიტომ სახელმწიფოს მეთაურები ქვეყანას უნდა მართავენ შექმნილი ვითარების მიხედვით: „მე ვინატრიდი კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს მისი ძველი ძლიერება, რომ მას არ დასჭირებოდეს უცხო და გარეშე დახმარება და რომ ამგვარ საქმიანობაში როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს, მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს, მაგრამ, როდესაც ჩვენ ჟამთა ტრიალის, ან ბედის უკუღმართობის, ან ორივეს წყალობით, ისეთს უძღურებაში ჩავვარდით, რომ სხვათა ხელქვეითნი გავხდით, მე ვფიქრობ, უმჯობესია იმათ ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილისმსურველია, ვინც ურყევად იცავს კეთილგანწყობილებას თავისიანებისა და მოკავშირეთა მიმართ“¹.

მართალია, აიეტი საზოგადოების, სახელმწიფოს და სხვა სოციალური მოვლენების განვითარების კანონზომიერებათა განმსაზღვრელად ბუნებრივ საფუძვლებს, კერძოდ „ჟამთა ტრიალს“, „ბედის უკუღმართობას“ და ა. შ. ასახელებს, მაგრამ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ იგი ღმერთის მთლიან იგნორირებას ახდენს, რადგან ამ დროს საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფოებრივ რელიგიადაა გამოცხადებული. ღმერთი კი მიჩნეულია უმაღლეს არსებად. მართლაც, სხვა მოვლენებზე მსჯელობისას აიეტი იქიდან გამოდის, რომ ღმერთი „ყველაფრის გამგებელია“², ღმერთი ანიჭებს ადამიანებს ინტელექტსა და ვინიერი აზროვნების უნარს, ეხმარება რთული და წინააღმდეგობრივი მოვლენების გარკვევაში, ვინც „უზენაესის“ ნე-

¹ გეორგიკა, III, გვ. 66.

² იქვე, გვ. 68.

ბას არ მისდევს, მათ „ურისხდება“ ღმერთი და, პირიქით, გონიერული მოქმედება „უზენაესსაც ესიამოვნება“. აიეტის მტკიცე მჯობნობით, ვერაგ ბიზანტიელებს უნდა ვანაცვალოთ „კეთილი“ სპარსელები: „ამრიგად, თუ ჩვენ გონიერად ვიმსჯელებთ, არ უნდა მივემხროთ იმათ, რომელთაც კარგად აზროვნების უნარი არ გააჩნიათ და რომელთაც ურისხდება ის, ვინც ყველაფრის გამგებელია“¹. აიეტი მოუწოდებს თანამემამულეებს, რომ დაუყოვნებლივ დაეწყონ მოლაპარაკება სპარსეთთან და შებრძოლებოდნენ ბიზანტიელებს, რომლებიც ფეხქვეშ თელავდნენ კოლხეთის სახელმწიფოს ღირსებას. ეს იქნებოდა ღმერთის ნების აღსრულება: „სპარსელების მხარეზე გადასვლა ჩვენთვის ადვილი და სასარგებლოა და რომ ეს უზენაესსაც ესიამოვნება... ეს არ იქნება ჩვენი მხრით არც უსამართლო საქციელი, არც იმის მაჩვენებელი, თითქოს ჩვენ ვერაგნი გამოვდივართ. წინათაც ბევრჯერ მოუყენებიათ შეურაცხყოფა რომაელებს, მაგრამ ჩვენ საპიროდ ვთვლიდით ძველ მდგომარეობაში დარჩენას. შეუფერებლად მიგვაჩნია იოლი გადადგომა იმ სხვადასხვა მიზეზთა გამო, რომელნიც, თუმცა საშინელი იყვნენ, მაგრამ მაინც მოსათმენნი... ჩემის აზრით, არ შეეფერება გონიერ ადამიანებს, რომ ჩვენ სრულის მოდრეკით ავიტანოთ უდიდესი ვნებანი და აღნაზღაურებელი ზარალი, რომელთაც ჩვენ გვაყენებენ, და არაფრით არ შევებრძოლოთ ამ უწმინდურ და შეუფერებელ საქმეებს“².

როცა აიეტის შეხედულებებს ვაფასებთ ღმერთისა და ქრისტიანული რწმენის შესახებ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ დროს კოლხეთში ქრისტიანობა უკვე საკმაოდ გავრცელებულია, მაგრამ სახელმწიფოებრივ რელიგიად არ არის გამოცხადებული, კერძოდ, სახელმწიფო ხელისუფლების პოლიტიკური იდეოლოგია ქრისტიანულ რწმენაზე არ არის დამყარებული. თეოფანე ქამთალმწერლის ცნობით, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება დასავლეთ საქართველოში (ეგრისში, ლაზეთში) გაცილებით უფრო გვიან მოხდა, ვიდრე ქართლში, დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა მეექვსე საუკუნის ოციან წლებში. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გადაქცევამდე, იგი საქართველოში დიდი ხნით ადრე იქნებოდა გავრცელებული³. ს. ჯანაშია წერს, რომ

¹ გეორგიკა, III, გვ. 67—68.

² იქვე, გვ. 68.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 230—231.

„ლაზიკის სამეფო სახლის საბოლოო გაქრისტიანება, რაც, რა თქმა უნდა, ნიშნავდა, ამ რელიგიის ოფიციალურ კულტად დაქვეყნებას რისში (ლაზიკაში) მოხდა, როგორც ჩანს, მხოლოდ მეტექსტუალური ნის ოციან წლებში“¹.

ქრისტიანობამდე, სადაც კი იგი გავრცელდა, ბატონობდა წარმართული რწმენა, რომლის ფილოსოფიურ-სამართლებრივ, იდეოლოგიურ საფუძველს შეადგენდა ბუნებითი სამართლის მოძღვრება (დემოკრიტიე, სოფისტები, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, ციცერონი და ა. შ.). ბუნებითი სამართლის მოძღვრებაზე დაფუძნებული წარმართული რწმენა, განსხვავებით ქრისტიანობისაგან, რომელიც ყველაფრის შემქმნელად მხოლოდ ქრისტიანულ ღმერთს აღიარებდა და, ამდენად, ზღუდავდა სამყაროს მოვლენების შეცნობის დანარჩენ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, პოლითეიზმისა და აზრის თავისუფლების უფრო ფართო ასპარეზს ქმნიდა. სწორედ ამიტომ ქრისტიანობა კი გავრცელდა წარმართული რწმენის გვერდით, მაგრამ სამყაროს მოვლენების შეცნობის ფართო შესაძლებლობის მქონე წარმართული და, საერთოდ, არაქრისტიანული რწმენა ერთბაშად არ აღმოფხვრილა, მათ შორის ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. ეს ბრძოლა, ალბათ, წარმოებდა ქრისტიანული რწმენის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგაც, განსაკუთრებით ქრისტიანობის ოფიციალურ სახელმწიფოებრივ რწმენად აღიარების პირველ წლებში. სწორედ ამ გარემოებით შეიძლება აიხსნას აიეტი მსოფლმხედველობის თავისებურებანი. კერძოდ, აიეტი კოლხეთის სახელმწიფოს წარჩინებულთა იმ წრეს ეკუთვნის, რომელმაც არ გაიზიარა ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადება და სახალხო კრებაზე საჯაროდ მოითხოვა მართლმადიდებლური ქრისტიანული სამყაროს მეთაურ სახელმწიფოსთან კავშირის გაწყვეტა და ქრისტიანული სამყაროსადმი მტრულად განწყობილ სპარსეთთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენა. საყურადღებოა, რომ აიეტი ქრისტიან ბერძნებს ვერაგებს, ბოროტმოქმედებს, მატყუარებს უწოდებს, ხოლო ქრისტიანობისადმი მტრულად განწყობილ სპარსელებს — კეთილსინდისიერ, მიმტევებელ, კეთილისმსურველ ადამიანებს.

ადვილი შესაძლებელია, კოლხეთის სახელმწიფოში გავრცელებული რელიგიის — ქრისტიანული რწმენისადმი არათანმიმდევრობა აიეტის ამ მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობებით აიხსნას. კერძოდ, გაუგებარია, აიეტი რომელ ღმერთს უწოდებს „უზენაეს მფარ-

¹ ს. ჯანაშია, შრომები, I, 1949, გვ. 220.

ველს“¹, „ყველაფრის გამგებელს“², როდესაც ბუნებისა და სწორ-
გადოებრივი მოვლენების კვლევისას, იგი შუა საუკუნეებში ქრის-
ტიანულ სამყაროში და კერძოდ საქართველოში გაბატონებული ქრის-
ტიანულ-რელიგიური დოგმატების იგნორირებას ახდენს. მისი
მხრივ აიეტის მსოფლმხედველობა საგრძნობლად განსხვავდება მისი
თანამედროვის — ი. ცურტაველის თანმიმდევრული ქრისტიანული
მსოფლმხედველობისაგან. შუა საუკუნეებში გაბატონებული ქრის-
ტიანულ-რელიგიური დოგმატების მიხედვით, ღმერთის ნებით
ადიან სამეფო ტახტზე მეფენი, ღმერთი კი ქრისტიანულ რწმენაზე
დამყარებული ამგვარი რელიგიური დოგმატის ნაცვლად ბუნები-
თი სამართლის მოძღვრების ერთ-ერთი ძირითადი დებულების, კერ-
ძოდ, ადამიანის ბუნებისათვის თანდაყოლილი, კუთვნილი თვისე-
ბებით ხსნის სოციალურ მოვლენებს. აიეტი ამტკიცებს, რომ „გა-
მარჯვებას იარაღი კი არ განამტკიცებს ხოლმე, არამედ სათნო-
იანობა“³.

როგორც აღვნიშნეთ, შუა საუკუნეებში გავრცელებული ქრის-
ტიანული რელიგიის დოგმების მიხედვით, ყველაფრის გამგებელი
ღმერთია, აიეტის მტკიცებით კი, ყოველივეს განსაზღვრავს ადამი-
ანისათვის დამახასიათებელი თანდაყოლილი თვისება — სათნოება,
ბერძნებს ცუდი თანდაყოლილი თვისებები აქვთ. ისინი ბუნებით
გაიძვევრები, ფლიდები და მზაკვრები არიან, ამით უნდა აიხსნას,
რომ მტერთა შემოტევას ვერასოდეს უშეკლავდებიან: — „აი, ახლა-
ხან არ იყო, რომ მიდიელთა მცირეოდენ ჯარს შეებნენ მთელი თა-
ვისი ჯარით და მაშინვე სასირცხოდ გაიქცნენ ისე, რომ დღემდისაც
კი არ მოუთქვამთ სული იმ რბენისაგან? ისინი, ასე ვთქვათ, ყვე-
ლაფერში დამარცხდნენ. მხოლოდ სისწრაფით აჯობეს დამდევნე-
ლებს. ამის ცხად და აშკარა მიზეზად შეგვეძლო ჩაგვეთვალა მათი
სილაჩრე და ის, რომ შეუფერებელ გეგმებს ადგენენ. ეს ცუდი თვი-
სებები ხომ ახასიათებთ მათ, როგორც ჭეშმარიტად მათი კუთვნი-
ლი და თითქოს თანდაყოლილი. ვარდა ამისა, ამ ბუნებით თანდა-
ყოლილ ცუდ თვისებებს ემატება თავისი ნებით ჩადენილი ბოროტ-
მოქმედება და უსამართლოდ სისხლის ღვრის გამო უზენაეს მფარ-
ველობას მოკლებულებს უორკეცდებათ უბედურება“⁴.

ქრისტიანობის წინააღმდეგი და ქრისტიანობის სახელმწიფო-
ებრივ რელიგიად აღიარების ეპოქის ურთიერთსაწინააღმდეგო მო-

¹ გეორგია, III, გვ. 67.

² იქვე, გვ. 68.

³ იქვე, გვ. 67.

⁴ იქვე.

ძღვრებების საფუძველზე ჩამოყალიბებული აიეტის მსოფლმხედველობა წარმოდგენას გვაძლევს მისი ავტორის ფართო ერუდირებაზე. აიეტის მსოფლმხედველობა, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობრივია, რადგან იგი ემყარება ერთმანეთთან შეურიგებელ როგორც წინაქრისტიანულ, ასევე ქრისტიანულ წარმოდგენებს ბუნებისა და საზოგადოების მოვლენების შესახებ. ქრისტიანული მოძღვრება წინაქრისტიანულის უარყოფაა და, ამდენად, მათ შორის წინააღმდეგობა ნათელია, მაგრამ ამავე დროს აიეტის მსოფლმხედველობა წარმოადგენს ამ ორი ურთიერთდაპირისპირებული მსოფლმხედველობის შერიგების ცდას ძველ აღმოსავლეთსა და ანტიკურ ქვეყნებში ჩასახული და ფართოდ გავრცელებული ბუნებითი სამართლის მოძღვრების საფუძველზე. ჯერ კიდევ ქრისტიანობის წარმოშობამდე გაჩენილი ბუნებითი სამართლის მოძღვრების ძირითადი დებულებები შემდეგში მდგომარეობს: სახელმწიფოს მიერ დადგენილ პოზიტიურ სამართალთან ერთად არსებობს ბუნებითი სამართალი, რომლის ნორმები, ადამიანთა ნების გამოხატველი პოზიტიური სამართლისაგან განსხვავებით, სხვადასხვა საფუძველზე ემყარება (ღმერთის ნება, ადამიანთა ბუნება და ა. შ.). ბუნებითი სამართალი, როგორც ადამიანთა გონებისაგან დამოუკიდებლად არსებული ქცევის წესების ერთობლიობა, წარმოადგენს მუდმივ და უმაღლეს ჭეშმარიტებას. ძველი საბერძნეთის ცნობილ მოაზროვნეთა მტკიცების თანახმად, ბუნებითი სამართლის ნორმები იმიტომ ადგენს მუდმივ და უმაღლეს ჭეშმარიტებას, რომ მათი ქცევის წესები გამოხატავენ უზენაესის ნებას. ანტიკურ ეპოქაში ქრისტიანული რწმენა არ არსებობდა და, ცხადია, პლატონის მიერ მითითებული ღმერთი არ არის ქრისტიანული მოძღვრების მიერ შექმნილი, იგი წარმართული ღმერთია, რომლის ნება მუდმივ, უმაღლეს ჭეშმარიტებას წარმოადგენს. ბუნებითი სამართალი კი ემყარება მარადიულ ჭეშმარიტებას, იგი ერთნაირად არის აღიარებული ყველა დროის, ყველა ქვეყნისა და ყველა ხალხის მიერ. ბუნებითი სამართლის მიერ დადგენილი ჭეშმარიტების უნივერსალური ხასიათი იმით არის განპირობებული, რომ იგი ემყარება ადამიანის ბუნებას, ადამიანის ბუნება კი ყველა დროში, ყველა ქვეყანასა და ყველა ხალხში არსებითად ერთი და იგივეა. ადამიანს აქვს ბუნებით თანდაყოლილი თვისებები, როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური, რომელიც ანტიკური წარმოდგენით უზენაესმა მიაკუთვნა მათ. ბუნებითი სამართლის ნორმებით დადგენილი ქცევის წესები ადამიანთა საქმიანობას განსაზღვრავს და,

ამდენად, ღმერთის ნება ადამიანთა თანდაყოლილ თვისებებში
პოულობს გამოხატულებას.

ბუნებითი სამართლის მოძღვრების ამ თეორიულ შემკვეთს
აიეტი უნარიანად იყენებს. საერთო კრებაზე რომ ცხადყოს კოლხ-
თა მიერ ბერძენთაგან განდგომა და სპარსეთთან კავშირისაკენ მისწ-
რაფება, აიეტი მიუთითებს, რომ ბერძნებს გააჩნიათ ბუნებით
თანდაყოლილი ნეგატიური თვისებები (ვერაგობა, გაიძვერობა,
ფლიდობა და ა. შ.), რაც გამოხატულებას პოულობს „უზენაესის“
მიერ დაგმობილ მოქმედებაში. აიეტი მიუთითებს, რომ ბერძენთა
დასახასიათებლად „შეგვეძლო ჩაგვეთვალა მათი სილაჩრე და ის,
რომ შეუფერებელ გეგმებს ადგენენ. ეს ცუდი თვისებები ხომ ახა-
სიათებს მათ, როგორც ჭეშმარიტად მათი კუთვნილი და თითქმის
თანდაყოლილი. გარდა ამისა, ამ ბუნებით თანდაყოლილ, ცუდ თვი-
სებებს ემატება თავისი ნებით ჩადენილი ბოროტმოქმედება და უსა-
მართლოდ სისხლის დაღვრის გამო უზენაეს მფარველობას მოკლე-
ბუთ უორკეცდებათ უბედურება“¹.

აიეტის მსოფლმხედველობის განსაზღვრა ზემოაღნიშნულის სა-
ფუძველზე შემდეგნაირად შეიძლება: აიეტის პოლიტიკური იდეა-
ლი — ბერძნებისაგან კოლხეთის სახელმწიფოს ჩამოშორება და
სპარსელების მხარეზე გადასვლა განპირობებულია მისი წინააღმდე-
გობრივი მსოფლმხედველობით. კოლხეთის სახელმწიფოში გავრცე-
ლებული ქრისტიანული რწმენის მიხედვით, ყველაფრის შემოქმედი
ღმერთია, რომლის ნების მიხედვით ადიან მეფენი ტახტზე, ემზობა
სამეფოები, აღწევენ გამარჯვებას და ა. შ. აიეტის მსოფლმხედვე-
ლობაში ქრისტიანული ღმერთი იგნორირებულია, სამაგიეროდ,
დიდი ადგილი აქვს დათმობილი ანტიკურობიდან ნასესხებ წარმარ-
თულ თეოლოგიას, რომლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს ბუნე-
ბითი სამართლის მოძღვრება წარმოადგენს. ამ მოძღვრების მიხედ-
ვით, ადამიანის ბუნებისათვის დამახასიათებელი თანდაყოლილი
პოზიტიური (სათნოება, კეთილისმსურველობა, და ა. შ.) ან ნეგა-
ტიური (სილაჩრე, ვერაგობა და სხვ.) თვისებებით უნდა აიხსნას
მოვლენები. აიეტის მსოფლმხედველობრივ წინააღმდეგობას აქვს
ობიექტური საფუძველი, კერძოდ, შუა საუკუნეების დასაწყისში
იგი გამოხატავს წარმართობასა და ქრისტიანულ რწმენას შორის
არსებულ ბრძოლას, მაგრამ აიეტის ეს წინააღმდეგობრივი მსოფლ-
მხედველობა განსაზღვრული პოლიტიკური მოთხოვნების გამართ-
ლებას ისახავს მიზნად, კერძოდ, ერთმორწმუნე ქრისტიანი ბერძ-

¹ გეორგიკა, III, გვ. 67.

ნებისაგან საბოლოოდ ჩამოშორებას და სარწმუნოებით განსხვავებულ სპარსელების მხარეზე გადასვლას. აიეტის მტკიცებით ქრისტიანულ სარწმუნოებრივ დოგმებს კი არა, ადამიანის ბუნებრივი გადამწყვეტი მნიშვნელობა. ეს ის ეპოქაა, როდესაც წარმართულ ანტიკურ ეპოქაში ჩასახული და განვითარებული ბუნებითი სამართლის მოძღვრება ჯერ კიდევ არ მიუღია ქრისტიანობას ანტიკურობიდან. აიეტის მსოფლმხედველობის მნიშვნელობა ისაა, რომ იგი ქრისტიანულ რწმენასა და ბუნებითი სამართლის მოძღვრებას შორის ახალი ურთიერთდამოკიდებულების დამყარების პირველ ეტაპს წარმოადგენს. თავისი შინაარსით, აიეტის მიერ ქრისტიანული იდეოლოგიის გამდიდრება ანტიკური მემკვიდრეობით წინარენესანსული მოვლენაა, რადგან ამ უკანასკნელმა სრული გამოხატულება პოვა მხოლოდ რენესანსის ეპოქაში დავით აღმაშენებელთან, ყუთლუ-არსლანთან, შოთა რუსთაველთან და ა. შ. აიეტის მიერ შუა საუკუნეების დასაწყისში ბუნებითი სამართლის მოძღვრების მიხედვით ქრისტიანულ-რელიგიური დოგმატების ახლებური გააზრება ისახავდა გარკვეულ პოლიტიკურ მიზანს, კერძოდ, იგი წარმოადგენდა ერთმორწმუნე ბერძნებისაგან კოლხეოის ჩამოშორების და არაქრისტიანული რწმენის სპარსეთთან დაახლოების თეორიული დასაბუთების ცდას.

აიეტის პოლიტიკურ-სამართლებრივ მოძღვრებაში ცენტრალური ადგილი უკავია თავისუფალი და სუვერენული სახელმწიფოს პრობლემას.

სუვერენული და ძლიერი სახელმწიფო შეურიგებელია ყველა იმ ბოროტმოქმედების მიმართ, რომელიც ლახავს ხალხის ღირსებას, თავისი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული სახელმწიფომ უყურადღებოდ არ უნდა დატოვოს, თუ მას სურს მომავალში ქვეშევრდომთა უზრუნველი ცხოვრება. მტრებზე საბოლოო გამარჯვება მხოლოდ მაშინ მიიღწევა, თუკი სახელმწიფო მის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის მკაცრად დასჯის კანონის დამრღვევთ: „ჩვენ გავიმარჯვებთ ჩვენს ნამდვილ მტერზე, თუ არავითარ შემთხვევაში არ დავტოვებთ დაუსჯელად იმ ჩადენილ ბოროტმოქმედებას და მივიღებთ საჭირო ზომებს, რომ უზრუნველი გავხადოთ ჩვენი მომავლის ცხოვრება“¹. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ, სახელმწიფოს მეთაურის სიცოცხლის ხელყოფა, საერთოდ მკაცრად უნდა დაისაჯოს, განურჩევლად იმისა, ვინც არ უნდა იყოს ამ მძიმე დანაშაულის ჩამდენი.

¹ გეორგიკა, III, გვ. 67.

მეფის სიცოცხლეზე ხელი შეიძლება აღმართოს ქვეშევრდომმა, მაგრამ მისთვის სასჯელის შეუფარდებლობა შეიძლება გამართლებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეფე იყო ტყვედ წაყვანილი თავის ხალხს ავიწროებდა. მაგრამ ყოვლად გაუმართლებელი იქნება უმკაცრეს სასჯელს იმსახურებს მალალი თანამდებობის პირთა მიერ მკვლელობა მეფისა, რომლის სახელმწიფოშიც ისინი საგანგებო ხელშეკრულებით არიან მოვლენილი საერთო მტრის წინააღმდეგ, ერთობლივი ბრძოლის წარმოებისათვის. ამ შემთხვევაში ბიზანტიელმა სტრატეგოსებმა ვერაგულად მოკლეს კოლხი გუბაზი, მაგრამ არ შეიძლება იმაზე თვალის დახუჭვა, რომ გუბაზი იყო სახელმწიფოს მეთაური, კოლხების მეფე და ნურავინ იფიქრებს, „თითქოს ის ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილიყო“¹. აიეტო მიუთითებს, რომ მეფე განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებს ქვეშევრდომთაგან, მაგრამ, სამწუხაროდ, მოიპოვებიან ისეთებიც, „რომელნიც ყოყმანობენ და კიდევ მსჯელობენ იმის შესახებ, სამართლიანია თუ არა კოლხების მხრივ გუბაზის გლოვა“². თუ ჩვენ შევეგუებით ჩვენივე მეფის მკვლელობას, არ ვიგლოვებთ მას და მკვლელთა წინააღმდეგ არ აღვდგებით, არ შეიძლება „ამ ბოროტმოქმედების მონაწილეებად არ ჩაგვთვალონ“³, რადგან გამოდის, რომ მეფეს „მხოლოდ სიცოცხლეში ვეპყრობოდით სიყვარულით და სიკვდილის შემდეგ აღარც კი გვახსოვს“⁴.

როგორც აიეტის სიტყვიდან ჩანს, იმდროინდელ კოლხეთის სამართალში ფართოდ იყო გავრცელებული სისხლის აღების ადათი, რომელსაც მკაცრად იცავდნენ და საკუთარი ღირსების შელახვად მიიჩნევდნენ ამ წეს-ჩვეულების შეუსრულებლობას. გუბაზი არ იყო ჩვეულებრივი ადამიანი, როგორც განსაკუთრებული პირადი თვისებებისა და ღირსებების მქონე, იგი კოლხეთის სახელმწიფოს მეთაური იყო და მას, როგორც ღირსეულ მეფეს, კოლხები აღმერთებდნენ. თუკი სისხლის აღების ადათი, როგორც მტრისთვის სამაგიეროს მიზღვევის ადათ-წესი, ყველა კოლხის ღირსების დასაცავად სრულდება, რატომ არ უნდა იყოს ეს წესი დაცული სახელმწიფო ხელისუფლების მეთაურის — გუბაზის მკვლელობის შემთხვევაში, მით უმეტეს, რომ ეს მკვლელობა უბრალოდ გუბაზის პიროვნების წინააღმდეგ კი არ არის მიმართული, არამედ მთელი

¹ გეორგია, III, გვ. 65.
² იქვე, გვ. 69.
³ იქვე.
⁴ იქვე, გვ. 69—70.



კოლხეთის სახელმწიფოს საწინააღმდეგო დანაშაულებრივი მოქმედებაა.

ქართული

სახელმწიფო საქმეები უმაღლესია, მხოლოდ მხდებულნი არიან ხარი ადამიანებია. „რომლებიც სახელმწიფო საქმეებისადმი დაუდევრობას ამტკიცებენ“¹. მამაბაპური ადათ-წესები უნდა შესრულდეს. ზემოაღნიშნულის გამო, აიეტი კოლხებს საყვედურობს, რომ „დაუდევრობას ვიჩენთ და მიცვალებულის სისხლის აღებას ვაყოვნებთ...“² სასირცხო იქნება, თუ ჩვენს მეფეს დავივიწყებთ და მის მკვლელებს პირფერობას დავუწყებთ. ის რომ ეხლა აქ იყოს, საყვედურით აგვავესება და დაგვძრახავდა ჩვენი დაუდევრობის გამო, რომ ეს ბოროტმოქმედნიც, იმის მაგიერ, რომ დიდი ხნის წინათ ყოფილიყვნენ გაძევებულნი, ჯერ კიდევ დაიარებიან ამ მიწა-წყალზე. მაგრამ ვინაიდან ის ველარ გამოჩნდება ჩვენს შორის და ვერც სიტყვით მოგვმართავს, თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ ეს კაცი: დე, ის წარმოუდგეს თქვენს გონებას, თითქოს ის ამ კრებაზე იყოს და მიგითითებდეს თქვენ თავის ქრილობაზე, მკერდზე და კისერზე, და თავის ტომთ თხოვდეს ეხლა მაინც გადაუხადონ მტერს სამაგიერო“³.

აიეტის მტკიცებით, საზოგადოებაში საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა ადათებით განმტკიცებული წესები, ადამიანთა ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, ისინი იხვეწებოდნენ და სრულყოფილნი ხდებოდნენ ადამიანთა შემოქმედებითი შესაძლებლობების მიხედვით. ძველი წესებით ხელმძღვანელობის აუცილებლობა გამოცდილებიდან გამომდინარეობს, წესები, რომელთა გამოყენებას ადამიანებისათვის სარგებლობა მოუტანია, ყოველმხრივ მხარდაჭერას, დაცვასა და შენარჩუნებას იმსახურებს, რადგან ამ წესების მოქმედებამ და სისტემატურმა გამოყენებამ ცხადყო, რომ მან საზოგადოებას დიდი სარგებლობა მოუტანა, განამტკიცა საზოგადოებრივი ურთიერთობანი. ამიტომ, აიეტის აზრით, „თუ საქმეები კარგად მიდის, დიდი უგუნურება იქნება ძველ წესებს ვულატოთ“⁴.

მაგრამ, აიეტის მტკიცებით, შეუძლებელია ძველი ადათ-წესებისადმი ბრმა მორჩილება, მათი გაფეტიშება, საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებანი განსაზღვრავენ ამ ადათ-წესების ში-

¹ გეორგია, III, გვ. 68.
² იქვე, გვ. 69.
³ იქვე.
⁴ გეორგია, III, გვ. 70.

წარსს, როდესაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩნდება ადამიანთა ახალი ურთიერთობანი და ძველ ადათ-წესებს აღარ შეუძლიათ მათი რეგულირება, აუცილებელია ამ ადათ-წესების შეცვლა. აქვე უნდა იქნეს შიში არ უნდა გვექონდეს, რაც მამა-პაპათა მიერ მტკიცედ არის დადგენილი: „სიმტკიცე გონიერების თვალსაზრისით უნდა განვსაჯოთ: არსებული მდგომარეობის მოთმენა ყოველთვის კი არ არის საქები, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც მას გონიერი მოსაზრებები ახლავს თან. მაგრამ როდესაც ისე ხდება, რომ უგულებელყოფენ იმას, რაც უნდა ახსოვდეთ, ხოლო აკეთებენ იმას, რაც შეუძლებელია, მაშინ უფრო გასაკიცხია ის, ვინც ძველ ვითარებას მისდევს, ვიდრე ის, ვინც ახალს ემხრობა“¹.

ძველს, დრომოქმულსა და ახალ, არსებულ საზოგადოებრივ ცხოვრების შესაბამის შეხედულებებს, წარმოდგენებს, წესებს შორის წინააღმდეგობები ყოველთვის არსებობს, მაგრამ ამ წინააღმდეგობების გამო წარმოებულ ბრძოლაში იმარჯვებს იმ შეხედულებებზე ჩამოყალიბებული წესები, რომლებიც პასუხობენ ცხოვრების მოთხოვნებს. საზოგადოების ინტერესების შესაბამისად. ძველმა, დრომოქმულმა წესებმა რაც შეიძლება ადრე უნდა დაუთმოს ადგილი ახალს. აიეთი ამტკიცებს, რომ სანამ ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი ურთიერთობები, რომლებიც სოციალურ რეგულირებას საჭიროებენ, არ წარმოშობილა, ძველი ადათ-წესისადმი ღალატი და მათზე უარისთქმა დიდად საზიანოა, მაგრამ როდესაც საქმე „პირიქითაა, ვფიქრობ, უაზრობა იქნება, თუ ჩვენ რაც შეიძლება მალე არ შევეგუებით ახლად შექმნილ მდგომარეობას“².

აიეთის ზემოაღნიშნულ შეხედულებებს (საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ადათ-წესებისადმი პატივისცემა, ძველი და ახალი წარმოდგენების ურთიერთბრძოლაში ახლისადმი მხარდაჭერა და მისი გამოყენება, როცა ამას საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესები მოითხოვს და ა. შ.) მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა როდი აქვს, უმეტესწილად, ისინი ისახავენ პრაქტიკულ მიზანს, კერძოდ, აიეთის მსჯელობანი სახელმწიფოს, სამართლის და სხვათა შესახებ მიმართულია სახალხო კრების მონაწილეთა შეგნებაზე ზემოქმედებისაკენ, იმ რწმენის განმტკიცებისაკენ, რომ საჭიროა კოლხმა ხალხმა უარი თქვას ბიზანტიის სახელმწიფოსთან ურთიერთობაზე და კავშირი დაამყაროს სპარსეთთან. აიეთს ისიც აქვს

¹ გეორგიკა, III, გვ. 70.

² იქვე.

გათვალისწინებული, რომ ამ გადაწყვეტილების განხორციელება დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული, კერძოდ, როცა სპარსელები გაიგებენ ძველი მოკავშირის, ბიზანტიის სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩვენს ღალატს და სპარსელებთან მეგობრული ხელშეკრულების დადების განზრახვას, რა თქმა უნდა, უნდობლად დაგვიწყებენ ყურებას, მაგრამ მათ უნდა ავუხსნათ, რომ ბიზანტიელებთან კოლხებს უკვე აღარ შეუძლიათ მეგობრული ურთიერთობა, რომ ახალმა გარემოებებმა, კერძოდ, ბერძენი მხედართმთავრების მიერ კოლხეთის მეფის ვერაგულმა მკვლელობამ, მათ მიერ კოლხეთის სახელმწიფოს სუვერენული უფლების შელახვამ და ა. შ. უკვე შეუძლებელი გახადა ბიზანტიასთან ურთიერთობა და კოლხები შეგნებულად წყვეტენ ბიზანტიელებთან კავშირს იმ იმედით, რომ სპარსეთი უარს არ ეტყვის მათ მეგობრობაზე. ამ ახალ გარემოებებს კოლხეთი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს და აიეტის მტკიცებით, სპარსელები ჩვენ უნდობლად არ მოგვექცევიან, რადგან მათ კარგად იციან, რომ ვინც ძველი ვითარების მონაა და არ შეუძლია ახლის გათვალისწინება, წარმატებას ვერასოდეს მოიპოვებს. აიეტი არწმუნებს თანამემამულეებს: „ამას რომ შეიტყობენ ჩვენგან სპარსელები და გაიგებენ, ჯეროვანი სიყვარულით მოგვეპყრობიან და ჩვენთვის იბრძოლებენ, ვინაიდან ისინი კაცთმოყვარენი და გულკეთილნი არიან და მეზობელთა ზრახვებსაც კარგად მიუხვდებიან ზოლმე; გარდა ამისა, ჩვენი ნებაყოფლობითი მიმხრობით ისინი მოკავშირედ იქნენ უადრესად გამოსადეგ ქვეყანას და მნიშვნელოვან ჯარს, რაც მათ ფულსა და ქონებას ურჩევნიათ“¹.

თეორიულად დასაბუთებულმა და პოლიტიკურად დამაჯერებელმა აიეტის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კრების მონაწილეებზე. ამაყი და გულმართალი კოლხები უკვე მზად იყვნენ გაედევნათ რომაელები და სპარსეთთან დაეწყათ მოლაპარაკება აიეტის პროგრამის განსახორციელებლად. ავათია სქოლასტიკოსი, წარმოშობით ბერძენი და იმპერატორ იუსტინიანეს დიდმოხელე, ქედმაღლობას იჩენს არარომაული წარმოშობის ხალხების, კერძოდ კოლხების მიმართ და, რომაელებისაგან განსხვავებით, მათ ბარბაროსებს, ბრბოს უწოდებს. ავათია სქოლასტიკოსი წერს, რომ აიეტის სიტყვით, „ხალხი აღფრთოვანდა და მაშინვე სიხარულის ყვირილი მორთო. იმ დღესვე აპირებდნენ სპარსელების მხარეზე გადასვლას, თუმცა არც სპარსელები იყვნენ წინასწარ გაფრთხი-

¹ გეორგიკა, III, გვ. 70.

ლებული და არც თვითონ იყვნენ იმდენად მომზადებული, რომ ან საიდუმლოს შენახვა შესძლებოდათ, ან თავის დაცვა იმ შემთხვევაში, თუ რომელიღაც წინააღმდეგობას გაუწევდნენ; სრულყოფილად დაუფიქრდნენ მომავალს, არც ის ივარაუდეს, თუ რიბსაგანდობა ბოდა მათი ეს ნაბიჯი, — ასე გზააბნეულად აჩქარდნენ. სხვათა შორის, ეს სჩვევია ბრბოს, რომ გაიტაცებს ხოლმე სიახლე და ძველი ვითარების შეცვლა, მაგრამ ესენი (ლაზები) ძალიან აღელდნენ არა მარტო იმიტომ, რომ ბარბაროსები იყვნენ, არამედ იმის გამოც, რომ მიზეზს საბატიოდ თვლიდნენ და აიეტის სიტყვებმაც დიდს განცვიფრებაში მოიყვანა ისინი¹.

მაგრამ აიეტის სიტყვით აღფრთოვანებულ სახალხო კრებას რომ ნაჩქარევი გადაწყვეტილება არ მიეღო, სწორედ „ბარბაროსთა“ შორის აღმოჩნდა, იგივე აგათია სქოლასტიკოსის ცნობით, „ერთი ვინმე, სახელად ფარტაძი, კაცი კოლხთა შორის გავლენიანი, გონიერი და თავისი ქცევით მეტად მდაბიური“², რომელმაც შეანელა თანამემამულეთა აღელვება, იგი დადგა კრების მონაწილეთა შუაში და წარმოთქვა ღრმად მოფიქრებული და დასაბუთებული სიტყვა.

2. შ ა რ ტ ა ძ ი

თავისი ღრთის დიდი ორატორი და სწავლული ფარტაძი, პირველ ყოვლისა, იკვლევს სიტყვისა და საქმის ურთიერთდამოკიდებულებას, აზრისა და შეხედულებების ძალას და მათი ზემოქმედების თავისებურებებს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ფარტაძის მტკიცებით, აზრი და სიტყვა პირველადია, სიტყვა იწვევს საქმეს, რომელშიც აღამიანთა მოქმედება გამოიხატება, და მის გაგრძელებას, ხორცშესხმას წარმოადგენს. საქმის დაწყების ეფექტურობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოხერხებულად და წარმტაცად წარმოთქმული სიტყვა, აზრი. სიტყვას, აზრს შეუძლებელია დაუპირისპირო რაიმე ძალა. განსაკუთრებული ზემოქმედებითი ძალა აქვს მჭერმეტყველებას: „უძლეველი რაღაც არის მჭერმეტყველება და ის თითქმის ყველას ამარცხებს, განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც წინათ მისი ძალა არ გამოუცდია“³. მაგრამ ყველა აზრი და სიტყვა შინაარსით, სასარგებლო ზემოქმედებითი ძალით ერთნა-

¹ გეორგიკა, III, გვ. 70—71.
² იქვე, 83. 71.
³ იქვე, 83. 72.

ირი არ არის, თუნდაც მაღალი ორატორული ოსტატობით იყო ჩამოყალიბებული. სიტყვა და აზრი მაშინ არის უძლეველი, როდესაც გონივრულია, საქმის ნამდვილ ვითარებას ემყარება და მიზანშეწონილია. აიეტის სიტყვას კი აკლდა ეს ძირითადი თავისებურებანი, ამიტომ, ფარტაძის მტკიცებით, „ყალბ რჩევა-დარიგებას იძლევა“¹ აიეტი, „მაცდურსა და შემპარავ სიტყვებს მოგახსენებდათ“².

ფარტაძი უფრო მეტი დასაბუთებულობით ცხადყოფს აიეტის მიერ წარმოთქმული პოლიტიკური პროგრამის ნაკლოვანებებს და გვაძლევს მის დამაჯერებელ კრიტიკას. ფარტაძის მტკიცებით, პირველ ყოვლისა, აიეტის სიტყვის დიდი ნაკლი და მაცდური ხასიათი ისაა, რომ მან სიტყვის დასაწყისშივე შეცვალა კამათის საგანი, კრების მონაწილეებმა ვერ შენიშნეს უბრალო რამ, — „რომ მან იმთავითვე წამოაყენა სულ სხვა საკითხი, სრულიად განსხვავებული იმ საკითხთაგან, რომელთა გამო ჩვენ აქ მოვსულვართ. მისი სიტყვებით ისე გამოდის, თითქოს თქვენ ყველანი ამტკიცებდეთ, რომ მომხდარი ამბავი არ იყო საშინელება, რომ ამ საზიზღარ მკვლელობას არ ჰკიცხავდეთ და მხოლოდ იმის შესახებ მსჯელობდეთ, დანაშაუვნი არიან თუ არა გუბაზის მკვლელები. თვითონ კი მკვლელობას, დანაშაულს არ ეხება და უამრავ სიტყვას ხარჯავს იმაზე, რაც ცნობილია. მე კი ვამბობ, რომ წყეული და შეჩვენებული არიან ისინი და რომ მე უდიდესი სიამოვნებით ვუყურებდი მათ საშინელ სასჯელს“³.

ფარტაძის აზრით, ბიზანტიელი სარდლები მკვლელები არიან, რომლებმაც უშუალოდ შეასრულეს ეს საშინელი დანაშაულებრივი აქტი, „საკუთარი ხელებით ჩაიღინეს ეს მკვლელობა“⁴. მაგრამ დანაშაულის სუბიექტებიდან კანონსაწინააღმდეგო მოქმედების შემსრულებელთა გარდა ცალკე უნდა იქნენ გამოყოფილი სხვა პირებიც, რომელთაც კავშირი აქვთ გუბაზის მკვლელობასთან. ამ პირთა შორის, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ისინი, „რომელთაც შეეძლოთ შეეფერხებინათ ეს მკვლელობა და არ შეაფერხეს“⁵. ფარტაძის მტკიცებით, სახელმწიფოს მეთაურის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული უმძიმესი კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაა და ზემოაღნიშნულ პირთა გარდა და-

¹ გეორგიკა, III, გვ. 72.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 73.

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

ნაშაულის სუბიექტებია და სასჯელი უნდა შეეფარდოს „იმათაც, რომელთაც ეს მკვლელობა გაეხარდათ და არცთუ ისე აღშფოთდნენ“¹.

ამრიგად, სხვა კატეგორიის დანაშაულთაგან განსხვავებით, ხელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, კერძოდ, მეფის მკვლელობის როგორც უმძიმესი დანაშაულის სუბიექტები ფარტაძის შედარებით ფართოდ აქვს წარმოდგენილი. გარდა ამისა, აიეტის იმ შეხედულების საწინააღმდეგოდ, რომლის თანახმად ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელი სამაგიეროს მიზლვაა, კერძოდ ვინც ჩაიდენს დანაშაულს, დახარალებული მხარის ინტერესები მოითხოვს მას ანალოგიური კანონსაწინააღმდეგო მოქმედებით გაეცეს პასუხი, თუნდაც ამგვარ რაიმეს არ მოითხოვდეს „მშობლიური წესები“.

ფარტაძი კატეგორიულად მოითხოვს, რომ ქვეყანაში მოქმედი სამართლებრივი ნორმები ანუ „მშობლიური წესები“ ყველა შემთხვევაში დაცული იყოს. იგი ამბობს: „არავინ არ მიიჩნევს საჭიროდ მივიღოთ და გავიზიაროთ ის აზრი, თითქოს თუ იმათ (რომაელებმა) ჩაიდინეს უკანონობა, აუცილებელი იყოს ჩვენც გამოვეთხოვოთ მშობლიურ წესებს და იმ ვერაგებს კი არ გამოვეუცხადოთ ჩვენი გულისწყრომა, არამედ თვითონ მოვიპოვოთ იმგვარივე სახელი“². ფარტაძის აზრით, მოვლენებისადმი ამგვარი დამოკიდებულება გონიერ საწყისებს არ ემყარება, იგი მხოლოდ იმ გულისტკივილითა და ბოღმითაა გამოწვეული, რაც ჩვენი ქვეყნის ღირსეული მეფის გუბაზის ვერაგული მკვლელობით აიხსნება. მაგრამ გონიერება მოითხოვს ამ მძიმე დღეებში არ დავკარგოთ უკეთესი გადაწყვეტილების მიღების უნარი, უნდა „მოვისაზროთ მომავლისათვის, თუ როგორ მოვაგვაროთ საქმეები უკეთ. უგუნური ადამიანები სულ მუდამ დასტირიან განვლილ უბედურებას, ხოლო გონიერნი შეიცნობენ ხოლმე ბედის უკუღმართ ტრიალს და მათ არ აშფოთებთ ცვლილებები, და როდესაც წინანდელ მდგომარეობას ჰკარგავენ, არ ისპობენ მომავალის იმედებს“³.

ქვეშარიტი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია რეალურად არსებული მდგომარეობის კრიტიკული შეფასების გარეშე, ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ემყარება მოვლენების შესახებ სუბიექტურ არაჯანსაღ წარმოდგენებს, ობიექტური მიზე-

¹ გეორგია, III, გვ. 73.

² იქვე, გვ. 79.

³ იქვე, გვ. 74.



ზებით ჩამოყალიბებულ მდგომარეობაზე, ძალადობაა, რადგან „განა შესაძლებელია ვითარების შეტრიალება ძალით? არა, არა, ისე მოქცევა, როგორც გესიამოვნება?“¹

უკეთესი გადაწყვეტილება მხოლოდ კოლექტიური სჯა-ბაასის, საყოველთაო განხილვისა და მსჯელობის გზით შეიძლება მივიღოთ, რადგან წარმოუდგენელია, რომ ხალხი ცდებოდეს. ამიტომ კოლხეთის სახელმწიფოში დაარსებულმა სახალხო კრებამ განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს საჯარო განხილვის შედეგად უკეთესი გადაწყვეტილების მისაღებად. აიეტი კი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ მოითხოვს, რომ გავწყვიტოთ ყოველგვარი კავშირი ბიზანტიასთან და დაუყოვნებლივ გადავიდეთ ჩვენი აშკარა მტრების, სპარსელების მხარეზე. აიეტი „მოუფიქრებლად გვიდგენს გეგმებს, არღვევს და ანგრევს კრების წესრიგს და ამ კრებას მიზანს უკარგავს. კრება ხომ, ჩვეულებრივ, წინასწარ იხილავს მუდამ და მსჯელობს, რომ კარგად გასინჯოს ის, რაც არ არის ნათელი; ხოლო, როგორც კი მიაგნებს იმას, რისი გაკეთებაც არის საჭირო, მაშინ გვმართებს გამოვიჩინოთ სურვილი და შევასრულოთ დადგენილება“².

აიეტი ცდილობს, სახალხო კრებას თავს მოახვიოს თავისი აზრი და მისი საჯაროდ განხილვის გარეშე ყველაზე უკეთეს გადაწყვეტილებად გამოაცხადოს იგი, მეტიც, მისი პროგრამის განხორციელებას დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს კოლხი ხალხი. საესებით კანონზომიერად სვამს კითხვას ფარტაძი იმის შესახებ, რომ ასეთ ვითარებაში „რალა აზრი აქვს კრებას, თუ ჯერ დადგენილება იქნება და მერე კრება?“³

ფარტაძი მიუთითებს: აიეტის მსჯელობიდან ჭეშმარიტებას შეესაბამება მხოლოდ ის, რომ ბერძენმა სარდლებმა მოკლეს კოლხეთის მეფე გუბაზი; მაგრამ აიეტის ყველა დანარჩენი მოსაზრება დაუსაბუთებელია და ფაქტებით არ დასტურდება, კერძოდ, არც იმპერატორ იუსტინიანეს, არც რომაელ მთავარსარდლობას არ მოუწყვიათ შეთქმულება გუბაზ მეფის წინააღმდეგ. პირიქით, მხოლოდ მკვლელები იყვნენ პირადი შური და მტრობით განწყობილი გუბაზის მიმართ, დანარჩენი ბერძენი სარდლები არათუ ეხმარებოდნენ უშუალო მკვლელებს, არამედ წუხდნენ მომხდარი ამბის გამო. ამიტომ ფარტაძი მოუწოდებს კრებას:

¹ გეორგიკა, III, გვ. 75.

² იქვე.

³ იქვე.



„უმართებულო იქნებოდა, ჩემის აზრით, და ამასთანავე ერთად მიზანშეუწონელიც, ერთი და ორი კაცის დანაშაულის გვეთქმევინა წყრომოდით საზოგადოებრივ კანონებს, რომელთა დაცვაც შეეძლოა ღია ჩვენს თავზე, და ასე იოლად შეგვეცვალა მთელი სახელმწიფო წყობილება და ცხოვრება, რომელსაც მშვენივრად შევეგუეთ. იმათ მიმართ კი, რომლებიც ამ ქვეყანას სდარაჯობენ და მრავალნაირს ხიფათში ვარდებიან იმის გულისთვის, რომ ჩვენ უღარდელი ცხოვრება მოგვანიჭონ, გამცემლები გამოვსულიყავით“¹.

განსხვავებით აციტისაგან, რომელიც არაქრისტიანულ რწმენასთან შემრიგებლურ მოსაზრებებს ავითარებს, ფარტაძი ქრისტიანობის თანმიმდევრული მომხრეა. ფარტაძი ბიზანტიასთან კავშირის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ სპარსელები ქრისტიანობის მტრები არიან, ბიზანტიელები კი — მართლმორწმუნენი, ამიტომ კოლხებს არ შეგვეფერება ვულაატით ქრისტიანობას და მივემხროთ ამ წმინდა სარწმუნოების მტრებს, რითაც „შევბღალავთ მართლმორწმუნეობას და წმინდა საიდუმლოთა უმწიკვლობას. აბა, სხვა რას დაემსგავსება ჩვენი საქციელი, თუ მივემხრობით უზენაესი არსების სასტიკ მტრებს? თუ ისინი აგვიკრძალავენ ჩვენი საღმრთო წესების შესრულებას და თავიანთ წესებზე გადაგვიყვანენ, ამაზე უფრო სამძიმო რა უნდა განვიცადოთ ჩვენ?“².

ბიზანტიელებისაგან ჩამოშორება და სპარსეთის მხარეზე გადასვლა კოლხელებისათვის წამგებიანია. სპარსელები ჩვენთვის უცხონი არიან, ადამიანები კი ბუნებით ვერ ეგუებიან შეხედულებათა სხვადასხვაობას. სწორედ ამიტომ განსხვავებულ შეხედულებათა ხალხს შორის ნდობა არ შეიძლება არსებობდეს: „ადამიანები ვერ იწყნარებენ ხოლმე აზრთა სხვადასხვაობას და მაშინაც კი, როდესაც გაჭირდება ან რაიმე, მოპირდაპირის მიერ ჩადენილი, კეთილი საქმე აიძულებს მათ კავშირში ყოფნას, მათ შორის ნდობა არასდროს არ არის მტკიცე: ეს შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ შორის აზრთა ერთიანობაა. თუ ვინცოცაა ეს ერთიანობა არ არსებობს, მათი დაახლოება და მეგობრობა ცარიელი სიტყვაა. საქმით ისინი ერთმანეთისათვის უცნობნი რჩებიან“³. რწმენით, შეხედულებებითა და აზრით კოლხები და სპარსელები განსხვავებულნი არიან, თუ კოლხები სპარსელების

¹ გეორგიკა, III, გვ. 76.
² იქვე.
³ იქვე.



მოკავშირენი გახდებიან, ეს განსხვავება მათ შორის არ წაიშლება, ხელშეკრულება ფორმალური იქნება, გარეგნულად ჩვენთვის უცნობი მებრძოლები მეგობრები გახდებიან, არსებითად კი ისინი კოლხების მტრები იქნებიან. მაგრამ „ფარული მტრისაგან უფრო ძნელია თავის დაცვა, ვიდრე აშკარისაგან“¹.

გარდა ამ დაბრკოლებისა, ფარტაძის მტკიცებით, სხვა გარე-ბოებასაც უნდა გაეწიოს ანგარიში. როდესაც ბიზანტიისა და სპარსეთის ძალებს ვაფასებთ და ერთმანეთს ვუპირისპირებთ, უნდა ვიცოდეთ, საკუთარი ძალები საკმარისი არ არის ბერძნებისაგან ჩამოშორების და სპარსეთის მხარეზე გადასვლისათვის. საქმე ისაა, რომ სპარსელები შორს არიან კოლხეთისაგან, რომელიც მოელის დახმარებას, მაშინ, როდესაც რომაელები მთელ ჩვენს „ქვეყანას ფლობენ და ჩვენს ქალაქში ცხოვრობენ“².

აიეტისა და ფარტაძის შეხედულებებს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების შეფასებისას, ბევრი რამ აქვს საერთო, რაც არსებითად ქრისტიანული რწმენის კოლხეთში სახელმწიფოებრივ რელიგიად გავრცელების თავისებურებებით უნდა აიხსნას (კერძოდ, სახელმწიფოში გავრცელებული ქრისტიანული სარწმუნოების დოგმები ჯერ კიდევ განუყოფლად არ ბატონობს ადამიანთა შეგნებაზე, ქრისტიანობასთან ერთად იგრძნობა წარმართული რწმენის ძალა). როგორც ზემოთ დავინახეთ, აიეტის მტკიცებით, გამარჯვებას მეფეებს არც ღმერთი აძლევს და არც იარაღი, არამედ სათნოება. რაც შეეხება ფარტაძის, სოციალური მოვლენების შეფასებისას, იგი ღმერთთან ერთად სხვა ფაქტორებსაც ანიჭებს გადამწყვეტ მნიშვნელობას; ფარტაძი ამტკიცებს: „ხშირად გამარჯვება ბედის უკუღმართობას გამოასწორებს ხოლმე და დამარცხებულებს ხვდება წილად“³. რომაელების დამარცხება, რომელზეც ამახვილებს ყურადღებას აიეტი, ფარტაძის აზრით, იმის მტკიცების საფუძველს არ იძლევა, რომ ისინი „ყოველთვის დამარცხებულნი იქნებიან“ ბრძოლებში. გამარჯვებისათვის აუცილებელია კარგად მოვიფიქროთ მტრის დამარცხების გეგმა და „წინასწარი ზომები მივიღოთ, რათა მოუფიქრებლობის გამო ხიფათი არ შეგვემთხვას. რომაელების დამარცხებები თუ იმით შეიძლება აიხსნას, რომ „მათ ღვთაება უწყრება“ ჩადენილი ბოროტმოქმე-

¹ გეორგიკა, III, 77.
² იქვე, გვ. 78.
³ იქვე.

დებისათვის და ამითაა გამოწვეული მათი უბედურება, რაღა
საჭიროა ჩვენც არ მივეშველოთ ღვთაებას, თითქოს მსჯავრისკაცის
სადებად მას თავისი ძალა არ ჰყოფნიდეს და ჩვენს დასჯებას
საჭიროებდეს? ¹ ერთი კრიტიკულ მომენტში მარტო ბედის იმე-
დით არ ცხოვრობს, არამედ „უზენაესის თვალი არ მოაკლდება
ერს“ ², რომელიც ღირსეულად იცავს მამა-პაპათა წესებს.

მამაპაპური ადამ-წესებისადმი პატივისცემას ქვეშევრდომთა
შორის ადგენს სამეფო ზელისუფლება, რომელიც მემკვიდრეობი-
თია, და ამ წესსაც მტკიცედ უნდა იცავდეს სახელმწიფო, მთელი
ხალხი, როცა ქვეყანა დგას კრიტიკული მდგომარეობის წინაშე.
გუბაზის მოკვლის შედეგ სამეფო ტახტი თავისუფალი აღმოჩნდა.
კოლხეთის სახალხო კრება, რომელიც სწორედ ამ მძიმე დღეებში
შეიკრიბა, წყვეტს სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაციის სა-
კითხს, სთხოვს იმპერატორ იუსტინიანეს, გუბაზის მკვლელები,
ბერძენი სარდლები მკაცრად დასაჯოს და „მეფედ ვინმე უცხო-
ელს, არათვისტომს ნუ დაგვიყენებს, არამედ წათე გამოგვიგზავ-
ნოს, გუბაზის უმცროსი ძმა, რომელიც ბიზანტიონში ცხოვრობს,
რათა დაცულ იქნეს მამა-პაპური წესი და მთელი სამეფო გვარი
შეურევნელი დარჩეს“ ³.

აიეტის მოსაზრებისაგან განსხვავებით, მეფე ზვიადი და მორკ-
მულია, იგი გმირულად იტანს ყოველგვარ გასაჭირს და მძიმე
მდგომარეობაში მყოფიც კი ქვეშევრდომებს არ მოუწოდებს ისე-
თი საქციელისაკენ, რომელიც არღვევს მამაპაპურ წესებს, კერ-
ძოდ, განდგომისა და სამაგიეროს მიზღვისაკენ. ფარტაძის აზრით,
„ამიტომ ნურავინ ნუ ცდილობს აქ მიცვალებული გუბაზი წარ-
მოგვიდგინოს სრულიად არა ვაჟკაცურად მოტირალი, რომელიც
თითქოს თავის ჭრილობას უჩვენებს თვისტომთ და ევედრება მათ,
შეიბრალონ იგი. იქნებ ეს შეეფერებოდეს საცოდავ და სუსტ არ-
სებათ, მაგრამ ეს არ შეეფერება მეფეს, ისიც ლაზთა მეფეს, მით
უმეტეს, გუბაზს. ის რომ აქ იყოს, უეჭველია, ის, როგორც ღვთის-
ნიერი და გონიერი ადამიანი, გაგვიცხავდა ჩვენ ამგვარი ზრახ-
ვებისათვის; მოგვიწოდებდა არ მივცემოდით სასოწარკვეთილე-
ბასა და გულაჩუყებას, და მონების მსგავსად კი არ გავქცეული-
ყავით, არამედ აღვჭურვილიყავით კოლხის თავისუფალი შეგნე-

¹ გეორგია, III, გვ. 79.

² იქვე, გვ. 80.

³ იქვე, გვ. 82.

ბით, ვაჟკაცურად აგვეტანა უბედურება და არაფერი სასიროცხვი-
ლო და მამაპაპური წესების შემბილწველი არ ჩავვედინებო. ^{ქრისტეშული}
ფარტაძის ჰკვიანურმა, თანმიმდევრულ ქრისტიანულ ^{არწმუნე}
ზე დაფუძნებულმა და ღრმად მოფიქრებულმა სიტყვამ გააქარ-
წყლა აიეტის გეგმა. მოწონება და მხარდაჭერა პოვა ფარტაძის
მიერ წამოყენებულმა წინადადებამ, რომელიც ითვალისწინებდა
გუბაზის მკვლელობის ყველა გარემოების შეტყობინებას იმპერა-
ტორ იუსტინიანესათვის, მოეთხოვათ მისგან მთავარი დამნაშავე-
ების დასჯა და თუ იმპერატორი ამ მოთხოვნას შეასრულებდა,
ბიზანტიელებთან კოლხების უთანხმოება მოისპობოდა. წინააღ-
მდეგ შემთხვევაში, მიზანშეწონილად უნდა მივიჩნიოთ მეორე
გზა, ბიზანტიასთან კავშირის გაწყვეტა და ახალი მოკავშირის
ძებნა. ფარტაძის სიტყვა ემყარებოდა, ჯანსაღი პოლიტიკური აზ-
რის გარდა, ქართველთა შორის ახლად განმტკიცებულ ქრისტი-
ანულ რწმენას და ამიტომაც მან კრების მონაწილეებზე დიდი
შთაბეჭდილება მოახდინა. მისმა; გამოსვლამ „განსაკუთრებით
იმით იმოქმედა მათზე, რომ შიში აღუძრა, ვაი თუ, რომ გადავდ-
გეთ, უზუნაესის წყალობას მოვწყდეთ“.

ფარტაძის წინადადებამ გაიმარჯვა, ფეოდალური არისტოკრა-
ტიის ზედაფენამ, სახალხო კრების გადაწყვეტილების შესაბამის-
სად, აცნობა იმპერატორს გუბაზის მკვლელობის ყველა დეტალი
და ხაზი გაუსვა იმას, რომ გუბაზ მეფეს არასდროს უღალატია ბი-
ზანტიისათვის, იგი არ ყოფილა სპარსეთის მომხრე, რომ იგი მოკ-
ლეს პირადი მტრობის, შურის გამო და მოითხოვეს იუსტინიანე-
საგან გუბაზ მეფის მკვლელობა, კერძოდ, ბერძენი სარდლების
დასჯა და ახალ მეფედ არა უცხოელის, არამედ იუსტინიანეს სამე-
ფო კარზე მყოფი წათეს, გუბაზის უმცროსი ძმის, დასმა.

ფარტაძის მიერ წამოყენებული წინადადების შესაბამისად,
კოლხეთის სახალხო კრების ეს მოთხოვნა იმპერატორმა იუსტი-
ნიანემ დაუყოვნებლივ შეასრულა, ბიზანტიის სახელმწიფო დარ-
ბაზის ყველაზე გავლენიანი წევრი ათანასი სასამართლო მოხელე-
ებით გაგზავნა კოლხეთში გუბაზის მკვლელობის საქმის გამოსა-
ძიებლად და დაავალა, დამნაშავენი გაესამართლებინათ რომელი
კანონების მიხედვით. ათანასი სწრაფად შეუდგა საქმეს: ჩავიდა
ლაზეთში (კოლხეთში) აქ, ქალაქ აფსარუნტის ცნობილ საპა-
ტიმროში, სანამ დაწყებული გამოძიება დამთავრდებოდა, ჩასვა
ბორკილებგაყრილი ბერძენი სარდლები, როგორც გუბაზ მეფის

¹ გეორგიკა, III, გვ. 81.

მკვლელობის მთავარი დამნაშავენი. გუბაზის უმცროსი ძმა წათე იმპერატორმა გამოგზავნა ბიზანტიიდან სტრატეგოს სოტრიქესთან ერთად, როგორც კოლხთა ახალი მეფე, რომელსაც იუსტინიანე I ანესაგან უკვე მიეღო, „როგორც ეს ძველთაგანვე დაწესებული იყო, მამა-პაპის სახელო და საამისო (სამეფო) ნიშნები“¹.

სამეფო ტანსაცმელში გამოწყობილი კოლხეთის ახალი მეფე წათე დიდი ზარზუიმით მიიღეს თავის ქვეყანაში როგორც კოლხებმა, ასევე ხელშეკრულების თანახმად აქ დაბანაკებულმა რომაულმა არმიამ. აგათია სქოლასტიკოსმა შემოგვინახა ბევრი საინტერესო ცნობა სამეფო ნიშნების, ახალი მეფის ტახტზე აყვანის საზეიმო ცერემონიის, სამეფო დინასტიის შენარჩუნებით კოლხთა განსაკუთრებული დაინტერესების და სხვათა შესახებ. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს აგათია სქოლასტიკოსის საყურადღებო ცნობა იმ პოლიტიკური პრინციპების შესახებ, რომელთა მიხედვით ახორციელებდა მეფე სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას ქვეშევრდომებზე. მეფის მოვალეობას შეადგენდა ქვეშევრდომთა მოვლა-პატრონობა, სახელმწიფო საქმეების მოწესრიგება და ა. შ. თავისი პირადი მოსაზრებისა და მამაპაპური სამართლის მიხედვით: „წათე ჩაუდგა სამეფოს სათავეში, შეუდგა ამიერიდან საქმეების მოწესრიგებას და უვლიდა თვისტომი, როგორც მას სურდა და როგორც მას მამაპაპური წესი უკარნახებდა“².

საქმის ამგვარი დამთავრებით ყველანი გახარებული და კმაყოფილი იყვნენ, მაგრამ მთავარი მაინც წინ იყო. გუბაზის მკვლელთა სასამართლო გადაიდო, რადგან ამ დროს რომაელებსა და ქართველებს ომი მოუხდათ საერთო მტერთან. მაგრამ როგორც კი ომი გამარჯვებით დამთავრდა და იარაღის უღარუნი შეწყდა, ბიზანტიის დიდმოხელემ ათანასიმ განაახლა საქმიანობა, დაიწყო გუბაზ ზეფის მკვლელთა სასამართლო პროცესი, რომელშიც თავი გამოიჩინეს ანონიმმა კოლხმა სწავლულმა იურისტებმა, როგორც ბრალმდებლებმა. სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია ცნობებს იმის შესახებ, თუ ვინ არიან ეს სწავლული იურისტები, ვიცით მხოლოდ, რომ ისინი იყვნენ „დარბაისელი კოლხები, რომელთაც უკვე კარგა ხანია შეესწავლათ ელლინთა ენა“³, რომ მათ იქისრერითული საქმე — გამოსულიყვნენ ბრალმდებლებად გუბაზ მეფის

¹ გეორგიკა, III, გვ. 84.

² იქვე, გვ. 85.

³ იქვე, გვ. 127.

მკვლელთა სასამართლო პროცესზე და ცხადყვეს მადლო იური-
დიული განათლება, კოლხეთის სამართლისა და მამაპაპურ წესებ-
თან ერთად რომის სამართლის ცოდნა, რომლის მიხედვითაც უსაყ-
მართლებდა ათანასი გუბაზ მეფის მკვლელებს. მრავალსა-
კერძოდ, რამდენი იყვნენ კოლხი ბრალმდებლები, რა თანამდე-
ბობები ეკავათ მათ კოლხეთის სახელმწიფოში და ა. შ., ჩვენთვის
უცნობია.

როცა ამ „დარბაისელ კოლხ“ ბრალმდებლებზე ვლაპარაკობთ,
ექვს არ იწვევს, რომ ისინი არიან სწავლული იურისტები, აღზრ-
დილნი მდიდარ ტრადიციებზე კოლხეთის აკადემიისა, სადაც გან-
საკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ რიტორიკას (იურიდიულ
მე(რიერებას). ზოგიერთი ავტორი, ერთი მხრივ, ზემოაღნიშნულ
უცნობ კოლხ სწავლულ იურისტებს და, მეორე მხრივ, აიეტსა და
ფარტაძის იდენტურ ისტორიულ პირებად წარმოგვიდგენენ. დაკ-
ვირვებულ კვლევას მხოლოდ იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ
აიეტი, ფარტაძი და გუბაზის სასამართლო პროცესზე ბრალ-
მდებლებად გამოსული სწავლული იურისტები სხვადასხვა ქართ-
ველი მოაზროვნეები არიან. საქმე ისაა, რომ აგათია სქოლასტი-
კოსი ანონიმ ქართველ სწავლულ-იურისტებს უწოდებს „დარბა-
ისელ კოლხებს, რომელთაც უკვე კარგა ხანია შესწავლილი აქვთ
ელლინთა ენა“. ისინი გამოდიან სასამართლო პროცესზე, როგორც
ბრალმდებლები და როგორც სასამართლო პროცესის მონაწილე-
ნი, დაუფლებულნი არიან არა მარტო იურიდიულ მეცნიერებას,
არამედ კარგად ესმით სასამართლო პრაქტიკა. რაც შეეხება აიეტ-
სა და ფარტაძის, აგათია სქოლასტიკოსი მათ ახასიათებს არა რო-
გორც სასამართლო პროცესის, არამედ სახალხო კრების აქტიურ
მონაწილეებს, რომლებიც პაექრობენ პოლიტიკის საკითხებზე,
კერძოდ, კოლხეთის სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური ორი-
ენტაციის თაობაზე. გარდა ამისა, აიეტი წარმოშობით იყო წარ-
ჩინებულთა წრიდან, იგი იყო „რომაელთა მოძულე და მუდამ
სპარსელების მომხრე“ და, რა თქმა უნდა, ამ პოლიტიკური ორი-
ენტაციის მოღვაწეს ბრალმდებლის ფუნქციას არ დააკისრებდნენ
იმ სასამართლო პროცესზე, სადაც განსაკუთრებული სახელ-
მწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე იხილებოდა სწორედ რომა-
ული კანონების მიხედვით. ფარტაძი კი სასამართლო პროცესის
მონაწილე „დარბაისელი კოლხებისაგან“ განსხვავებით, აგა-
თია სქოლასტიკოსის ნაშრომში დახასიათებულია, როგორც „კაცი
კოლხთა შორის გავლენიანი, გონიერი და თავისი ქცევით მეტად
მდაბიური“.

ამრიგად, აიეტი, ფარტაძი და ანონიმი კოლხი სწავლული იურისტები ადრეული შუა საუკუნეების ქართველი მოაზროვნეები არიან, რომლებიც თავიანთი ცოდნითა და მაღალი ინტელექტუალური აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ბიზანტია-სპარსეთ-კულტურულ ურთიერთობის სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ქართველი ხალხი მადლიერებით მოიხსენიებს ყოველთვის ბერძენ ისტორიკოსს აგათია სქოლასტიკოსს, რომელმაც ჩვენამდე მოღწეული თავისი ნაშრომით ქართული კულტურის ისტორიას შემოუნახა ადრინდელი შუა საუკუნეების დიდი ქართველი მოაზროვნეების აიეტის, ფარტაძის და ანონიმი სწავლული იურისტების მეცნიერული მემკვიდრეობა.

3. ანონიმი კოლხი სწავლული იურისტი

კოლხეთის სახელმწიფოს სახალხო კრებაზე აღძრული საკითხი — გუბაზ მეფის მკვლელობა საქმის გამოძიება, დამნაშავეთა ვასამართლება და დასჯა იმპერატორმა იუსტინიანემ თავისი დიდმოხელის ათანასის თავმჯდომარეობით სასამართლოს დაავალა. დამნაშაული ბერძენმა სარდლებმა ჩაიდინეს კოლხეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სასამართლოც კოლხეთში მოეწყო, მაგრამ იგი ჩატარდა რომაული სამართლის მიხედვით. აგათია სქოლასტიკოსის ცნობით, ბარბაროსთა ქვეყნების და მკვლადამე, კოლხეთის სამართალი — დამნაშავეთა საქმეების სასამართლო წესით განხილვა და სასჯელის აღსრულება არა საჯაროდ, არამედ საიდუმლოდ ხდებოდა. იუსტინიანეს ბრძანება გუბაზის მკვლელობა სასამართლო პროცესის რომაული სამართლის მიხედვით ჩატარების შესახებ მიზნად ისახავდა არა მარტო იმას, რომ „სასამართლო სხდომაზე მყოფ ბარბაროსებისათვის კვებით ეჩვენებინა რომაული წესები და გაეკვირვებინა ისინი ამით, რათა ისინი უფრო მეტად შეჩვეოდნენ რომაელთა მმართველობას, არამედ იმიტომაც, რომ თუ დამტკიცდებოდა, რომ გუბაზი სამართლიანად იქნა მოკლული, როგორც სპარსელების მომხრე, კოლხებს თავი დაენებებინათ მწუხარებისათვის და აღარ ყოფილიყვნენ აღელვებულნი... ხოლო თუ აღმოჩნდებოდა, რომ მკვლელებმა... უსამართლოდ ჩაიდინეს მკვლელობა და, ამრიგად, ისინი გამტყუნებელი იქნებოდნენ, მათ შუა ჯარში ჩაატარებდნენ მაუწყებლის თანხლებით, შემდეგ ყველას თანდასწრებით თავებს მოკვეთდნენ სასიკვდილო მახვილით და მაშინ ბარბაროსებს საქმის დასასრულიც

უფრო მნიშვნელოვნად მოეჩვენებოდათ და სასჯელიც გაორჯინდებოდა“¹.

აგათია სქოლასტიკოსს დაწერილებით არა აქვს დაწვრილებული ძველი ქართული სასამართლო პროცესი, მაგრამ ბიზანტიის სახელმწიფოში არსებული სამართლის მიხედვით მოწყობილ სასამართლო პროცესს იგი აშკარად უპირისპირებს ბარბაროსულს და მიუთითებს, რომ ბიზანტიაში სასამართლო საქმეების განხილვა ხდება საჯაროდ, პროცესი შეჯიბრებითია, მიმდინარეობს კამათი მხარეებს შორის, სასამართლო მოხელეები წესრიგს იცავენ და სასამართლო პროცესის მონაწილეთა მჭერმეტყველური სიტყვების მოსმენის შესაძლებლობა აქვს ყველას, ვინც ესწრება საქმის განხილვას. კოლხეთში გაბატონებული წესის თანახმად კი, სასამართლო სხდომა ტარდებოდა საიდუმლოდ და ბარბაროსები ბიზანტიაში მოქმედი სასამართლო პროცესის ჩატარების წესებს „ჩვეული არ იყვნენ“².

აგათია სქოლასტიკოსის მიერ ბიზანტიური სამართლით დადგენილი წესების დახასიათებისას აშკარად ჩანს ქედმაღლობა, ბიზანტიური კულტურის განდიდების და არაბერძნულის დამცირების ცდა. აგათია სქოლასტიკოსი, მართალია, ძველ ქართულ და ბიზანტიურ სამართალს და სასამართლო პროცესს ანსხვავებს ერთმანეთისაგან, მაგრამ ამ განსხვავების სრულად წარმოდგენისათვის საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ქართული სასამართლო პროცესი ჰუმანისტურ საწყისებს ემყარებოდა, ბერძნული სამართლის თანახმად კი საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვისას მიმართავდნენ წამებას, ე. ი. სასამართლო პროცესში ინკვიზიციური ელემენტებიც იყო. ბერძნულ და ძველ ქართულ სასამართლო პროცესს შორის ამ განსხვავებაზე აგათია არაფერს ამბობს, მაგრამ მიუთითებს, რომ იმპერატორ იუსტინიანეს მიერ გუბაზის მკვლელთა საქმის გამოსაძიებლად და გასასამართლებლად დანიშნული მოსამართლე „ათანასი თავისი ღირსების შეგნებით დაჯდა ერთ მაღალ სავარძელზე, ქლამიდში გამოწყობილი, როგორც ეს სჩვევიათ ბრწყინვალე მთავრებს. მასთანვე იყვნენ კაცნი, რომელთაც იცოდნენ სწრაფი წერა და დაწერილის წაკითხვა სხაპა-სხუპით, იყვნენ აგრეთვე სხვა მოსამსახურეებიც, მკაცრნი და ამაყნი, და სასამართლოს ხლართების საუკეთესო მცოდნენი, ბოხხმიანი მათუწყებელნი და გამმათარახებელნი. ესენი

¹ გეორგიკა, III, გვ. 126.

² იქვე, გვ. 127.

ყველანი ბიზანტიიდან იყვნენ მთავრობის მიერ გამოგზავნილი-
იმათ, ვისაც ეს დავალებული ჰქონდათ, მოიტანეს რკინის ჯაჭვე-
ბი, კისერზე დასადები, აგრეთვე ბადესაკრავები და ბორკილები
და სხვა იარაღები საწამებლად“¹.
ბიზანტიის

კოლხები აღზრდილი იყვნენ ჰუმანისტური სამართალშეგნე-
ბით და მათთვის მართლაც უცხო იყო ბერძნული ინკვიზიციური
სასამართლო პროცესი. ბერძნებისა და კოლხების მართლშეგნებას
შორის ამ პრინციპულმა განსხვავებამ აშკარად იჩინა თავი ამ სა-
სამართლო პროცესზე დამნაშავეთა მიმართ მოსამართლის მიერ
გამოტანილი სასჯელის, კერძოდ, სიკვდილით დასჯის აღსრულები-
სას. აგათია სქოლასტიკოსი წერს, რომ დამნაშავეთა სიკვდილით
დასჯის აღსრულება „უდიდეს და ამავე დროს შიშის მომგვრელ
სანახაობას წარმოადგენდა კოლხებისათვის. განცვიფრებაში მო-
იყვანა ისინი გზირმაც, რომელიც შეშზარავი ხმით გაჰკიოდა და
რჩევას იძლეოდა: გეშინოდეთ კანონებისა და თავი შეიკავეთ უსა-
მართლო მკვლელობათა გამო. როდესაც მათ ყელები გადასჭრეს,
მაშინ ყველანი სიბრალულით აღივსნენ და ბრაზობას თავი და-
ანებეს“².

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გუბაზ მეფის მკვლელობა საქმე
იმპერატორ იუსტინიანეს ბრძანებით და კოლხთა თანხმობით ჩა-
ტარდა კოლხეთში რომაული კანონების მიხედვით. მხარეებს წარ-
მოადგენდნენ, ერთი მხრივ, ბრალდებულები (ბერძენი სამხედრო
პირები) და, მეორე მხრივ, ბრალმდებლები (კოლხი სწავლული
იურისტები): „რუსტიკე და იოანე მოიყვანეს სატუსალოდან და
დაჰყენეს პარტხნივ, როგორც ბრალდებულნი. მეორე მხარეზე
დადგნენ ბრალმდებლები, დარბაისელი კოლხებიც, რომელთაც
უკვე კარგა ხანია შეესწავლათ ელინთა ენა“³.

სასამართლო სხდომაზე კოლხი ბრალმდებლების შუამდგომ-
ლობა საქმის განხილვის თანმიმდევრობის თაობაზე ბიზანტიელთა
შოსამართლე ათანასიმ დააკმაყოფილა. ამას გადაშფყვეტი მნიშვნე-
ლობა აქვს არა მარტო სასამართლო სხდომის ობიექტურობის, ჩა-
დენილი დანაშაულის შინაარსისა და ბრალდებულთა ბრალის დად-
გენისათვის, არამედ ბრალმდებლების, ე. ი. კოლხი სწავლული
იურისტების სამართლებრივი ცოდნის შეფასებისათვის. ნათლად
ჩანს, რომ კოლხი იურისტები შეაანიშნავად ფლობენ სამართ-

¹ გეორგიკა, III, გვ. 125.

² იქვე, გვ. 153.

³ იქვე, გვ. 127.

ლებრივ მეცნიერებასა და პრაქტიკას, კარგად ხედავენ სოსამართლო პროცესის არსებით და არაარსებით მხარეებს და პროცესის დაწყებისთანავე მოსამართლის ყურადღებას მიაპყრობენ მისი ტექტორებს, რომელთა თავიდანვე წარმოუჩენლად საქმის სასამართლო განხილვა შეიძლება ასცდნოდან სწორ გზას. კოლხი ბრალმდებლების მტკიცებით, გუბაზის მკვლელობის იურიდიული კვალიფიკაციისათვის არსებით, სწავლმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს იმპერატორ იუსტინიანეს წერილი, რომელიც ამ უკანასკნელმა გამოუგზავნა იოანეს ხელით ბერძენ სარდლებს. ეს წერილი შეიცავს მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ მოექცენ იმპერატორთან მოლაღატეობის ბრალდებით დაბეზღებულ გუბაზ მეფეს.

თავისი სარდლების ბეზლი იმის შესახებ, რომ გუბაზი დალატობს „მამაპაპის ადათს“, ერთმორწმუნე რომაელებს და განზრახული აქვს გადავიდეს უცხო და სრულიად სხვა სარწმუნოების მიმდევარ სპარსელთა მხარეზე, იმპერატორ იუსტინიანეს საეჭვოდ და დაუჯერებლად მიაჩნია, რადგან გუბაზს ბერძნებისაგან უსიამოვნო არაფერი შეხვედრია. მაგრამ ყოველგვარი მოულოდნელობის თავიდან აცილების მიზნით, წერს იუსტინიანე, „გვაკლებთ გამოგზავნოთ ის რაც შეიძლება მალე, ნებით ან ძალით, მაგრამ თუკი ის განზრახვას მიგიხვდებათ, წინააღმდეგობას გაგიწევთ და წამოსვლაზე უარს განაცხადებს, შეიპყართ და წამოათრიეთ (ამის ნებასაც გაძლევთ მე თქვენ ამ შემთხვევაში), ხოლო თუ ის გაგისხლტებათ და თქვენზე იერიშს მოიტანს და, მაშასადამე, ამა თუ იმ სახით ხელებს აღმართავს თქვენ წინააღმდეგ, მაშინ ჩვენ აშკარა საბუთები გვექნება მის განზრახვათა შესახებ და ამიერიდან შეგვიძლია ჩავთვალოთ მტრად, ისე რომ, თუ მას, ასე გათავხედებულს, ვინმე კიდევაც მოჰკლავს, ამას უკანონო საქციელად არ ჩავთვლით. ამ საქმისათვის არა თუ დასჯილი არ იქნება ის, როგორც მკვლელობის ჩამდენი, არამედ ქების ღირსიც იქნება, როგორც ტირანის მომსპობი“¹.

კოლხი სწავლული იურისტების მოთხოვნით. სასამართლო სხდომაზე იუსტინიანეს წერილის საჯაროდ წაკითხვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ბერძენი სარდლების მიერ ჩადენილი დანაშაული ნათელი გახდა, ამიტომ საგანგებო ბრალმდებლებად დანიშნულ კოლხ სწავლულ იურისტებს მოსამართლემ სთხოვა ჰახუხისგებაში მიცემული ბერძენი სარდლების მიმართ, თუკი ამის

¹ გეორგია, III, გვ. 129.

სურვილი ჰქონდათ, ჩამოეყალიბებინათ თავიანთი ბრალდებები მიუხედავად იმისა, რომ კოლხ ბრალდებლებს მთავარი საქმე უკვე გაკეთებული ჰქონდათ, კერძოდ, მათი მოთხოვნით ექვემდებარებოდნენ სასამართლო პროცესს ესწრებოდა, მოისმინა იუსტიციის იუსტინიანეს წერილი, რომელმაც ნათელი მოჰფინა ბერძენ სარდალთა ჩადენილ დანაშაულს, თავიანთი პოზიციის გასამტკიცებლად, მათ ეს შესაძლებლობაც არ გაუშვიათ ხელიდან და სასამართლოს განუცხადეს, რომ მკვლელები, რომლებმაც ეს საშინელი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს, მკაცრად უნდა დაისაჯონ. კოლხი სწავლული იურისტები ამქადაგებენ ფართო იურიდიულ განათლებას, ისინი ღრმად არიან დაუფლებული არა მარტო ეროვნულ, კოლხეთის სახელმწიფოს სამართლის მეცნიერებას, არამედ სხვა ქვეყნების და პირველ რიგში ბიზანტიაში მოქმედ ბერძნულ (რომაულ) სამართალს. ისინი მიუთითებენ, რომ, რადგანაც სასამართლო დამნაშავეთა საქმეს იხილავს არა კოლხეთის, არამედ ბიზანტიური კანონების მიხედვით, თავს მოვალედ თვლიან პატივი სცენ და დაემორჩილონ ამ კანონების მოთხოვნებს. კოლხი ბრალდებლები მიმართავენ მოსამართლეს: „თქვენი კანონების მიხედვით, თვით აშკარა და უდიდეს უკანონო მოქმედებათა შესახებაც კი მიღებულია, რომ განაჩენი არ იქნეს გამოტანილი, სანამ საქმე არ იქნება გარჩეული სიტყვიერი პაექრობის საშუალებით, და ამიტომ ჩვენ შევუდგებით საქმის ვითარების განმარტებას. ამრიგად, ჩვენ მიერ შესრულებული იქნება კანონით დაწესებული“¹.

კოლხი სწავლული იურისტები პასუხისგებაში მიცემული ბერძენი სარდლების შესახებ სასამართლოს მოახსენებენ შემდეგ ბრალდებებს: ბერძენმა სტრატეგოსებმა მოკლეს ბიზანტიის მეგობარი და მოკეთე. მოკავშირე ომიანობისა და ზავის დროს, უზენაესის შესახებაც თქვენაირად მოაზროვნე და თქვენი წესების მიმდევარი; გუბაზის მკვლელებმა ჩადენილი დანაშაულით ბიზანტიის მიმართ მტრობა გამოამჟღავნეს და მის მტრებს სამსახური გაუწიეს. მკვლელებმა ვერაგულად გამოასალმეს სიცოცხლეს მეფე და არა დაბალი გვარიშვილობის წარმომადგენელი. რომელიც რომაელთა ინტერესების ერთგული იყო ბრალდებულებზე უფრო მეტად. ამ საშინელი დანაშაულის გამო „უკუღმა დატრიალდა კოლხთა საქმეები და დაინგრა, განსაკუთრებით სახელმწიფო საქმეები, თუმცა ჩვენ ქვეშევრდომი სახელმწიფოს ერთ, არა უმნიშვნელო, ნაწილს შევადგებთ. თქვენც აღარა გაქვთ თავისუფალი

¹ გეორგია, III, გვ. 130.

და ურყევი მდგომარეობა და საგრძნობლად დაგისუსტდათ საკუთარი ძალღონე“¹.

ზემოაღნიშნული ბრალდებები კოლხ სწავლულ განმტკიცებული აქვთ თეორიული დებულებებით. ისინი მიუთითებენ, რომ ბიზანტიასთან დადებული ხელშეკრულებით კოლხეთი თუმცა მისი მოკავშირეა, მაგრამ მაინც ბიზანტიის სახელმწიფოს ანგარიშგასაწევი ქვეშევრდომია, რომლის დასუსტება ზიანს აყენებს არა მარტო კოლხებს, არამედ არყევს თვით ბიზანტიის თავისუფალ და მტკიცე მდგომარეობას, ასუსტებს მის ძლიერებას. რადგან კოლხეთი სამოკავშირეო ხელშეკრულებით ქვეშევრდომი ქვეყანაა, იგი ქმნის ბიზანტიის სახელმწიფოს მთლიანობას, რომლის განმტკიცებაზე უნდა ზრუნავდნენ არა მარტო კოლხები, არამედ, პირველ ყოვლისა, ბერძნები. სახელმწიფოს უმთავრეს ნიშანს, რომელიც განსაზღვრავს მის სახელწოდებას, წარმოადგენს მისი თავისუფალი მდგომარეობა და მთლიანობა. კოლხი სწავლული იურისტები აღნიშნავენ: „თუ სახელმწიფო ყოველმხრივ არ არის გამაგრებული და ერთს რომელსაზე ნაწილში მოდუნებულია, ვეღარ იარსებებს წესიერად; პირიქით, ის თავის სახელწოდებასაც ტყუილა ატარებს, ვინაიდან ის მოკლებულია თავისუფალი არსებობის საშუალებას“².

გარდა ამისა, კოლხი სწავლული იურისტების მოსაზრებით, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთსულოვნებასა და აზრთა ერთიანობას, რომელიც მუდამ უნდა არსებობდეს მათ შორის როგორც ომის, ასევე მშვიდობის დროს. მოკავშირეთა შორის შეხედულებათა ერთიანობის უმთავრესი საფუძველია მათი სარწმუნოებრივი მდგომარეობა. ქრისტიანული რწმენის სახელმწიფოებს, ისევე როგორც სხვა რწმენის მიმდევარ ქვეყნებს, ერთნაირი წარმოდგენა აქვთ ღმერთის, უზენაესის შესახებ, ამიტომ ერთმორწმუნე სახელმწიფოებს შორის მტკიცე შეგობრული ურთიერთობა შეიძლება ყოველთვის არსებობდეს, უკეთუ ქვეყნის ცალკეული მოღვაწენი სახელმწიფოზე შალდა არ დააყენებენ პირად ინტერესებს და ამით არ ხელყოფენ მის მთლიანობას. სხვათა შორის, სარწმუნოებრივ მდგომარეობაზე მსჯელობისას ანონიმი კოლხი სწავლული იურისტი, როცა იყენებენ ტერმინს „უზენაესი“, ყოველთვის გულისხმობენ ღმერთს ქრისტიანული წარმოდგენით. კოლხეთის სახელმწიფოს

¹ გეორგია, III, გვ. 130.
² იქვე, გვ. 131.

სარწმუნოებრივი მდგომარეობის დახასიათებისას, ისინი ^{ზაგანე-}ბოლ მიაპყრობენ ბერძენი მოსამართლის ყურადღებას იმას, რომ ^{მოაზროვნენ და} კოლხები „უზენაესის შესახებაც თქვენაირად მოაზროვნენ და ^{ბინძურიცაა} თქვენი წესების მიმდევარი“¹ არიანო.

მძიმეა ბერძენი სარღლების მიერ ჩადენილი დანაშაული, რადგან იგი არა მარტო ბიზანტიის მოკავშირე კოლხეთის სახელმწიფოს მეფის, გუბაზის მკვლელობაში გამოიხატება, არამედ მან არივ-დარია და დაანგრია სახელმწიფოთა საქმეები. ანონიმი კოლხი ბრალმდებლები მხარეთა პაექრობაზე საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ გუბაზის მკვლელები სასამართლო სხდომის დანიშვნამდე ყალბი იურიდიული კონსტრუქციით ცდილობდნენ საზოგადოების წინაშე თავის მართლებას, არასწორად წარმოგვიდგენდნენ განზრახვის ცნებას, ერთმანეთთან აიგივებდნენ განზრახვასა და მოტივს. გუბაზის მკვლელები ამტკიცებენ: „ამ — თუმცა საშინელს—საქმეს კი ნუ უყურებთ, არამედ მხოლოდ ის განზრახვა უნდა გამოიკვლიოთ და მხედველობაში მიიღოთ, რომლითაც ვხელმძღვანელობდითო; და უფრო ამჯობინებენ ზოგიერთი ბუნდოვანი — თითქოს სინამდვილის შესაფერისი — საბუთების საშუალებით დაგისახონ თავისი მოქმედება, როგორც თქვენ საკეთილდღეოდ ჩადენილი, ვიდრე აღიარონ აშკარა ზარალი, საქმისათვის მიყენებული, ასეთ ტყუილებს ყბედობენ ისინი ხშირად სასამართლოს დანიშვნამდე და ფიქრობენ, თუ კი ისინი საქმის გარჩევის დროსაც ასეთსავე მოსაზრებას წამოაყენებენ, დე იცოდნენ მათ, მსაჯულო, რომ არც რომაელს და არც სამართლიანობას სჩვევია ასეთი ცხადი და აშკარად ჩადენილი უსამართლობა უყურადღებოდ დასტოვოს და თავი მოატყუებინოს ბუნდოვან მიზეზებს, რომლებიც უსაფუძვლოდაა მკვლელების მიერ შეთხზული“².

ანონიმი კოლხი ბრალმდებლები მიუთითებენ, რომ სწორედ „ის განზრახვა უნდა გამოიკვლიოთ“, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ბერძენი სარღლები გუბაზის მკვლელობისას, ფაქტები კი მოწმობენ, რომ დამნაშავე მკვლელთა განზრახვა და მოტივი იყო მხოლოდ პირადი შურისა და მტრობის გამო გუბაზის მოსპობა, და არა ბიზანტიის სახელმწიფოს ინტერესების დაცვა. ბერძენმა სარღლებმა მოკლეს ბიზანტიის სახელმწიფოს მოკავშირე, მისი მეგობარი და ერთგული მოკავშირე სპარსელების წინააღმ-

¹ გეორგიკა, III, გვ. 130.

² იქვე, გვ. 131—132.



დეგ ბრძოლაში და ამავე დროს ამტკიცებენ, რომ განზრახვა
 ჰქონდათ, სარგებლობა მოეტანათ ბიზანტიისათვის.

კოლხი ბრალმძებლები ააშკარაებენ დამნაშავეთა მტკიცებულებას
 უსაფუძვლოებას და შეურიგებელ წინააღმდეგობას მათ მსჯელო-
 ბებში. ისინი მიუთითებენ, რომ სარგებლობა მოაქვს კანონიერ
 მოქმედებას, რადგან სახელმწიფო ადგენს მხოლოდ ისეთ კანონ-
 ნებს, რომელთა მიზანია ადამიანებისათვის სარგებლობისა და
 ბედნიერების მოტანა, ამიტომაც „იმთავითვე ხომ სარგებლობა
 და უკანონობა ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებებს წარმოად-
 გენენ, სიმხეცე და სამართლიანობა ერთიმეორეს დაშორებული
 იყვნენ და მათი ერთად არსებობა არასოდეს არ ყოფილა შესაძ-
 ლებელი... როგორ თავსდება მათ თავში ეს წინააღმდეგობა, ან
 როგორ შეგვიძლია ჩვენ, რომლებიც ამ საქციელს საზიზღარს
 ვუწოდებთ, შევაქოთ მისი ჩამდენი და ვთქვათ, რომ მისი მიზან-
 ი იყო სახელმწიფოსათვის სარგებლობა მოეტანა“¹.

კოლხი სწავლული იურისტები მოსამართლეს მოახსენებენ,
 რომ განზრახვა, რომელზეც ლაპარაკობენ პასუხისგებაში მიცე-
 მული ბერძენი სარდლები და რომლის მიხედვითაც ხელმძღვანე-
 ლობენ ისინი გუბაზ მეფის მკვლელობისას, თუ მას გავანალი-
 ზებთ და გამოვიკვლევთ, არსებითად არის განზრახვა, რომელიც
 ემსახურება არა ბიზანტიისა და კოლხეთის სახელმწიფოების ინ-
 ტერესებსა და ურთიერთმეგობრობის განმტკიცებას, არამედ იგი
 მათი საერთო მტრის, სპარსეთის სასარგებლო განზრახვაა. ბრალ-
 დებულებს კი ჰყოფნიან გამბედაობა ამტკიცონ, რომ „მოკლეს
 არა შეგობარი, არა მეფე, არამედ მტერი, ტირანი, სპარსელების
 მომხრე“². გუბაზის ინტერესების დამცველი ბრალმძებლები მო-
 სამართლის ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ „მოწინააღმდე-
 გესა და მტერს ხომ საქმის მიხედვით გამოიცინობ ადამიანი და
 არა სიშორის მიხედვით. ცხადია, მტრად უნდა ჩათვალო ის, ვინც
 იმას აკეთებს ხალისით, რაც მოწინააღმდეგეებს ესია მოვნებათ,
 თუნდაც ის შენთან იყოს და შენთან ერთად ლაშქრობდეს და ახლო
 ნათესაურ კავშირში იყოს შენთან“³.

ამრიგად, გუბაზი კი არ ყოფილა ბერძენების მტერი, არამედ
 ბერძენებთან „ნათესაურ კავშირში“ მყოფი რუსტიკე და იოანე
 ჩანან ჰუმბარიტ მტრად. კოლხი სწავლული იურისტების მტკიცე-

¹ გეორგიკა, III, გვ. 132.
² იქვე, გვ. 133.
³ იქვე.

ბით, სრულიად დაუსაბუთებელია მკვლელთა მიერ გუბაზის მიმართ წაყენებული ბრალდება, რომ ის თითქოს მოლაღატეკე ყველაზე სასამართლო პასუხისგებაში მიცემულმა დამნაშავეებმა გამოაქვეყნებულად მოკლეს კოლხეთის მეფე და ამის შემდეგ მას ბრალი დასდეს მოლაღატეობაში. ვერც ერთი ქვეყნის იურიდიული მეცნიერება ვერ გაამართლებს ამ უაზრობას: „რომელი კანონი — თქვენი ან ბარბაროსებისა — მოიწონებს ასეთ მდგომარეობას, რომ ჯერ განაჩენი გამოუტანოს ადამიანს და მერე წაუყენოს ბრალდება? ისინი თვითონ არიან მსაჯულები, მტრებიც და ბრალმდებლებიც. ყველაფერი ერთად შეასრულეს და საქმის გაურჩევლად სრულიად უდანაშაულო კაცს ისეთი სასჯელი არგუნეს, როგორიც შეეფერებოდა ტირანობაში გამტყუნებულს. ახლა კი, როდესაც თავის მართლება სჭირდებათ, მოდიან და ბრალსა სდებენ უსამართლოდ დასჯილ კაცს. სანამ მას მოჰკლავდნენ, საჭირო იყო, თუკი ისინი დარწმუნებული იყვნენ ბრალდებათა სისწორეში, საქვეყნოდ მიეცათ ის სამართალში და თვით პირველნი გამოსულიყვნენ ბრალმდებლად“¹.

კოლხი ბრალმდებლები მიუთითებენ, რომ საყოველთაოდ აღიარებული იურიდიული წესების დარღვევა აკრძალულია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დაზარალებულ მხარეს წარმოვადგენთ და უსამართლოდ ძოკლული გუბაზის ინტერესებს ვიცავთ. მაკვლელებისათვის რომ მიგვებაძა, შეგვეძლო გუბაზის სიცოცხლის ხელმყოფი ბერძენი სარდლებისათვის სამაგიერო მიგვეზლო, სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე დაგვეხოცა ისინი და მათ წინააღმდეგ სასამართლო შემდეგ მოგვეწყო. კოლხი სწავლული იურისტები გადაჭრით გმობენ თვითგასწორების გზით სამაგიეროს მიზლვას. ისინი მიუთითებენ, რომ მას შემდეგ, რაც სამართალდარღვევების განხილვა სასამართლოს კომპეტენციას დაექვემდებარა, თვითგასწორება და სამაგიეროს მიზლვა დაუშვებელია, მას უბედურება მოაქვს ადამიანებისათვის: „არც ჩვენ და არც სხვებმა ამგვარი რამ არ უნდა გავბედოთ, თუ სახელმწიფო კანონების საფუძველზე ვაპირებთ ცხოვრებას. წარმოიდგინეთ, თუ ყოველ მსურველს ასე ერთბაშად შეეძლება საკუთარი მტრების მოკვლა, ამგვარი საქციელის ხშირად ჩადენა მიგვიყვანდა უსაზღვრო თვითნებობამდე, და როგორღა შეგრჩებოდათ თქვენ შესაძლებლობა თავისუფალი და დაუბრკოლებელი განსჯისა? ყველა რომ ქლეტას დაიწყებს და გაქლეტის იქნება და თამამად მიმართავს ერთმანე-

¹ გეორგია, 111, გვ. 103—104.

თის წინააღმდეგ მახის დაგებას, თქვენ ველარ შესძლებთ სასჯელის დადებას და გამოძიების საშუალებას წინასწარ შეხებულებზე. თი უკანონო საქციელი, რომლებიც ყოველთვის სამართალს დახდას მიმართავენ“¹.

სამაგიეროს გადახდა ეწინააღმდეგება მართლმსაჯულებასა და სამართლიანობას. ყოველი დანაშაული გამოძიებული და დამტკიცებული უნდა იქნეს. მკვლელობის ბრალდებით არაა უბედურება ერთი, ისიც მოღალატედ მიჩნეული კაცის მოკვლა, რადგან შეიძლება ამის შემდეგ ყველა მოკავშირე გაფრთხილდეს და შემდეგში გონივრულად მოიქცეს. მეფეს ბრალად სდებენ მოღალატეობას, მეგობრული კავშირის დარღვევას, მოღალატეობა კი დამტკიცებული არაა და მიუხედავად ამისა, მას მაინც კლავენ. ასეთ შემთხვევაში გაუგებარია, „რანაირად შეუწყობს ეს ხელს იმას, რომ მოკავშირეები თქვენ უფრო გონიერად მოგექცნენ? იქნებ მათ უფრო ხელშეკრულების დარღვევა დაიწყონ, რახან იფიქრებენ, რომ თქვენ ამ ბოროტმოქმედების მონაწილენი ხართ?“² სინამდვილეში კი გუბაზი მოკლეს უღირსებმა და მის მკვლელობაში მონაწილეობა არ მიუღია „მთელ რომაელ ხალხს და ცალკეულ უღირსთა“.

„ვერაგული საქციელი ვერც თქვენ შესახებ წინათ არსებულ აზრს მოსპობს, სახელდობრ, რომ თქვენ ერთგულნი ხართ თქვენი ქვეყით და ურყევენი, და სამართლიანი კანონებითაც. მსაჯულო, როდესაც შენი მსჯავრის მიხედვით ისინი მალე მოკლული იქნებიან, უფრო გასაგები შეიქმნება, რომ თქვენ (რომაელები) თავისიანების მოღალატენი კი არა ხართ, არამედ უსამართლოდ მოქმედთა მომთვინიერებელნი“³. პასუხისგებაში მიცემული ბერძენი სარდლები, მიუთითებენ კოლხი ბრალმდებლები, სიტყვით იცავენ თავს, მაგრამ საქმეები ცხადყოფენ მათ სიცრუეს. იმპერატორ იუსტინიანეს წერილი უბრძანებს სარდლებს, მიჰგვარონ მას ბიზანტიაში გუბაზი, რა საშუალებითაც არ უნდა ყოფილიყო ეს. გუბაზის მოკვლის თანხმობას იუსტინიანე მხოლოდ იმ შემთხვევაში იძლეოდა, თუ გუბაზი საბოლოოდ გაუდგებოდა რომაელებს და მათ მიმართ აშკარად მტრულ მოქმედებას დაიწყებდა. სარდლებმა კი მძიმე დანაშაული ჩაიდინეს, მოკლეს გუბაზი ისე, რომ „არც კი აჩვენეს მეფის წერილი, რომ ის გასცნობოდა მის შინაარსს და მოქცეულიყო საჭიროებისამებრ... რაც ყველაზე უფრო უკანონოდ უნდა ჩაითვალოს“.

¹ გეორგია, III, გვ. 79.

² იქვე.

³ იქვე.

გუბაზი ერთგულად ასრულებდა ბერძნებთან დადებულ სამო-
 კავშირო ხელშეკრულებას, იცავდა ბიზანტიის სახელმწიფოს ინ-
 ტერესებს, თავის თავსა და ოჯახსაც ამის გამო ხშირად ეჭვნიღბულ
 საფრთხეში. კატეგორიულად უარს ამბობდა სპარსელთა მტერად
 მოთავაზებულ მაცდურ საჩუქრებზე და ამჯობინებდა ბერძნებთან
 კეთილგანწყობილებას და ა. შ. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა
 დამსწრეებზე კოლხი იურისტების მიერ ბერძნების მისამართით
 დასმულმა კითხვებმა, რომლებზეც პასუხის მთელი სისრულით
 გაცემა შეუძლებელი იყო გუბაზის დამსახურების გახსენების გა-
 რეშე: „ვინ იყო, რომ სპარსელთაგან დანაპირებ სიმდიდრესა და
 ყოველნაირ სიკეთეს ამჯობინა თქვენდამი კეთილი განწყობილება?
 ვინ იყო, რომ ზოსროს მეგობრობა უკუაგდო და, იმ დროს, რო-
 დესაც ეს მეგობრობა უდიდეს სიმდიდრეს უმზადებდა მას, თქვენ-
 გან მცირედსაც დასჯერდა? ვინ იყო, რომ წინათ, როდესაც ეს
 ქვეყანა დიდი ხნის განმავლობაში მიდიელების სათარეშოდ იყო
 გამხდარი და თქვენი დამხმარე ჯარები იგვიანებდნენ, მაშინვე გა-
 მოიცვალა საცხოვრებელი ადგილი და თვით კავკასიონის მწვერ-
 ვალებზე გადასახლდა, სადაც თითქმის ველურ ცხოვრებას ეწე-
 ოდა, და მან ეს უფრო ამჯობინა, ვიდრე მტრის მეგობრობა გამო-
 ეყენებინა, შინ მისულიყო და განცხრომით ეცხოვრა? ვინ იყო
 ეს? ეს იყო გუბაზი, რომელიც არ უშინდებოდა არავითარ გაჭირ-
 ვებას, თუკი თქვენი გულისთვის იყო ეს აუცილებელი“¹, კოლხი
 ბრალმდებელი იურისტები სასამართლოს ყურადღებას ამახვილე-
 ბენ კითხვაზე, რა მიიღო გუბაზმა სამაგიეროდ? აქაც პასუხს თვი-
 თონ იძლევიან, კერძოდ, რუსტიკემ და იოანემ თვითნებურად, კან-
 ნონიერი საბუთის გარეშე გამოაცხადეს იგი მოღალატედ და ვე-
 რაგულად მოკლეს. ამ აღმაშფოთებელი უსამართლობის იურიდი-
 ულ კვალიფიკაციას კოლხი სწავლული იურისტები რომაულ სა-
 მართალში საყოველთაოდ გავრცელებული სამართლებრივი სენ-
 ტენციით გამოხატავენ: „სად ხართ, კანონებო, სად არის სამარ-
 თალი“².

ბერძენმა სარდლებმა, წინასწარგანზრახვით და პირადი შურის-
 ძიებით შეპყრობილებმა, დიდი ზიანი მიაყენეს თავიანთ ქვეყანას,
 ბიზანტიას — მოკლეს გუბაზი, კოლხთა მეფე, ისე, რომ „არც
 დროის ვითარებას მიაქციეს ყურადღება, არც კარგად მოიფიქრეს,

¹ გეორგიკა, III, გვ. 138.

² იქვე.

რადგან ისეთ მძიმე ომში ვიყავით გახვეული, გონიერ კაცს მო-
ეთხოვებოდა ეზრუნა იმაზე, რომ კარგი მოპყრობის სეპარაციული
თავისკენ მიეზიდა უცხო და ჯერ კიდევ უცნობი ერები — მაქორსეკს
ისინიც რომაელების მტრებად გადააქციეს, რომლებიც წინათ მათი
მახლობელი მეგობრები იყვნენ. და მათი ბრალია, რომ ჩვენ მტრის
მხარეზე გადავდით, ძველ მეგობრებს მზაკვრულად ვეპყრობით,
რომ ეს ქვეყანა სპარსელების ხელშია და მშობლიური წესები მი-
ვიწყებულია, — ერთი სიტყვით, ყველაფერი უწესრიგოდ მიმდი-
ნარეობს, რამდენი ზარდამცემი ნიშანია აჯანყებისა და შინაური
არეულობისა“¹.

კოლხმა ბრალმდებლებმა, რომლებიც ბრალდებული რუსტიკე-
სა და იოანეს პირისპირ იდგნენ, დაამთავრეს თავიანთი სიტყვა
მოთხოვნით: ბიზანტია-კოლხეთის მეგობრული ურთიერთობის
აღსადგენად და განსამტკიცებლად ნურავინ ისარგებლებს ჩვენი
გულმოწყალებით და გუბაზის მკვლელებს იმაზე ნაკლებ სასჯელს
ნუ შეუფარდებს, „ვიდრე მათ მიერ ჩადენილ საქციელს შეეფე-
რება“².

ქართველი ბრალმდებლების მიერ გონივრულად და დიდი ოს-
ტატობით წარმართულმა სასამართლო პროცესმა, გუბაზის მკვლე-
ლობის ყველა დეტალის დამაჯერებელმა იურიდიულმა კვალიფი-
კაციამ, რომაულ-ქართული სამართლის ნორმების უნაკლო ახსნა-
განმარტებამ, მოწინავე სამართლებრივი ცნებებისა და ინსტიტუ-
ტების მოხერხებულმა მისადაგებამ კონკრეტული სამართლებრივი
მოვლენებისადმი, სამართლის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის
ღრმა ცოდნამ დიდი ზეგავლენა მოახდინა სასამართლოზე და დამს-
წრებზე. ქართველი სწავლული იურისტების სიტყვა იმდენად ნა-
თელი და დამაჯერებელი იყო, რომ კოლხების ლაშქარმა და ხალხ-
მაც, როდესაც ბრალმდებლებმა „ლაპარაკი დაამთავრეს და მსა-
ჯული ცოტა ხნით შეჩერდა დაფიქრებული, იმათ ჩუმად დაიწყეს
ბუზღუნი და უკმაყოფილების გამოცხადება, რატომ ეხლავე არ
მიჰყავთ მტრები დასასჯელადო, ხოლო, როდესაც მსაჯულმა მო-
უწოდა ბრალდებულებს ეთქვათ, რისი თქმაც სურდათ, მაშინ
ხალხმა აშკარად იწყო ყვირილი და ბუზღუნი და ეს ხმები კიდევ
უფრო ნათლად ისმოდა“³.

სასამართლო პროცესის ერთი მხარის, ბრალმდებლების სიტყ-

¹ გეორგიკა, III, გვ. 139.

² იქვე, გვ. 140.

³ იქვე.

ვის შემდეგ პაქობაში ჩაება მოპირდაპირე მხარე, ბრალდებუ-
ლები, ძმები რუსტიკე და იოანე.

მაგრამ ბრალმდებელთა მიერ წამოყენებული ბრალდებები
შერყევა და მისგან თავის დაცვის ის იურიდიული პოზიცია, რომელიც
მელიც მათ აირჩიეს, მკდარი აღმოჩნდა, რადგან იგი ეწინააღმდეგე-
ბოდა ბიზანტიის იმპერატორის საგარეოპოლიტიკურ კურსს, ბი-
ზანტია-კოლხეთის ურთიერთობის ოფიციალურად აღიარებულ
იურიდიულ საფუძველს, ამ ორ სახელმწიფოს შორის დადებული
მეგობრული სამოკავშირეო ხელშეკრულების მთავარ პირობებს,
კერძოდ, მეგობრული თანამშრომლობისა და თანასწორობის სა-
ფუძველზე ურთიერთდახმარებას საერთო მტრის წინააღმდეგ
ბრძოლაში.

რუსტიკეს საპასუხო სიტყვაში ჩანდა მხოლოდ ბერძენთა დიდ-
მპყრობელური პოლიტიკა და ქედმაღლობა კოლხი ხალხის მიმართ,
რამაც დიდად შეურაცხყო და გააღიზიანა სასამართლოზე დამსწ-
რე კოლხები და მისი ლაშქარი. რუსტიკემ თავისი სიტყვა ასე და-
იწყო: — „უნდა დავმტკბარიყავით უდიდესი საჩუქრებით და ამის
ნაცვლად სიკვდილით დასჯა მოგველის. თუმცა ჩვენთვის ძალიან
სასიამოვნოა ეს სამსჯავრო და უდიდესი სიამაყის მომგვრელი:
ამით ყველა გაიგებს, რომ მხოლოდ ჩვენი წყალობით მოხერხდა
მოლაღობისა და ტირანის მოსპობა... ასე, რომ კიდევაც რომ სიკვ-
დილი შეგვხვდეს, სიამოვნებით მივეგებებით მას... ვინაიდან გზაზე
წაგვეყვება იმის შეგნება, რომ კოლხების ბატონებად რომაელები
დავტოვეთ“¹. რუსტიკეს ეს დიდმპყრობელური სიტყვა პოლიტი-
კურად სრულიად შეუფერებელი იყო კოლხეთის მეფის გუბაზის
მკვლელობით ბიზანტია-კოლხეთის გართულებული ურთიერთო-
ბისათვის, ის ამ სიტუაციაში მიუღებელი იყო როგორც ბიზანტი-
ის, ასევე კოლხეთისათვის.

იურიდიული თვალსაზრისით წამგებიანი იყო რუსტიკეს სიტყვის
სხვა ნაწილიც, რომელიც ფაქტობრივად წაყენებული ბრალდები-
საგან თავის დაცვას კი არ ისახავდა მიზნად, არამედ წარმოადგენ-
და კოლხების და, საერთოდ, რომაელებისაგან განსხვავებული ყვე-
ლა ხალხის დაცინვას. რუსტიკე ეთანხმება კოლხ ბრალმდებლებს
მტრის ცნების განსაზღვრაში, იგი მიუთითებს: „ბრალმდებლები
სამართლიანად ამბობენ, რომ მტრის სახელწოდება შეეფერება
არა იმას, ვინც მოშორებით, უცხოეთში ცხოვრობს, არამედ იმას,
ვინც თუმცა თვისტომია, მაგრამ მტრისათვის სასიამოვნო საქმეს

¹ გეორგიკა, III, გვ. 141.

აკეთებს... გუბაზი ჩვენი მტერი იყო, ხოლო თუ ეს დამტკიცებულ
ლი იქნება ამ გზით, ნათელყოფილი იქნება ისიც, რომ ის მოკლულ-
ლი იქნა სრულიად მართებულად“¹.

სიხარულით

მაგრამ რუსტიკეს ეს მოსაზრება იურიდიული თვალსაზრისით უაზრობას წარმოადგენს. იმის დასამტკიცებლად, რომ გუბაზი მტერი იყო, რუსტიკე ეხება არა თვით გუბაზს, როგორც ამ შემთხვევაში სამართლის კონკრეტულ სუბიექტს, რომლის მიერ ჩადენილი მოქმედების მიხედვით იგი შეიძლება მტრად იქნეს მიჩნეული, არამედ მთელ კოლხ ხალხს, როგორც ბარბაროსს, რომელიც, რუსტიკეს აზრით, ყოველთვის „ისწრაფვის გადატრიალებისა და აჯანყებისაკენ... გუბაზი ყველა ამ თვისებით იყო აღჭურვილი; ის ხომ წარმოშობით ბარბაროსი იყო და ამ მოდგმისათვის დამახასიათებელი მზაკვრობით იყო დასწრებული“².

გარდა ამისა, გუბაზი რომ მტრად წარმოაჩინოს, რუსტიკე ბრალად სდებს მოკლულ მეფეს, რომ მას რომაელთა მიმართ მტრული განზრახვები ჰქონდა, რაც იმაში გამოიხატება, რომ, როდესაც ჩვენ მტრებს ვებრძოდით, გუბაზი ამგობინებდა შინ მკდარიყო თვისტომებთან, თვალყურს ადევნებდა ჩვენს ბრძოლას მტრებთან და აინტერესებდა, როგორ დამთავრდებოდა იგი. ჩვენს გამარჯვების ხშირად ბედისწერას მიაწერდა, ბარბაროსებში ავრცელებდა ხმას, რომ „რომაელები ცუდი მეომრები არიან, ბარბაროსები მათ ამარცხებენ“ და ა. შ. გუბაზი ჩვენს განკარგულებას არ ემორჩილებოდა, მეტიც, „მან კი წარმოიდგინა თავი, თითქოს მართლაც მეფე ყოფილიყო და თითქოს მის ხელთ ყოფილიყოს თავისი ნებისაებრ ემართა“³. რუსტიკეს ეს მტკიცება აშკარად ლახავდა კოლხთა ეროვნულ ღირსებას. მან სასამართლო სხდომაზე რომაელები, რომლებსაც ხელშეკრულება ჰქონდათ კოლხებთან, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან, წარმოაჩინა დამპყრობლებად, რაც ეწინააღმდეგებოდა ბიზანტიის სამეფო ხელისუფლების ოფიციალურ იდეოლოგიას.

უფრო დიდი უარყოფითი ემოციები მოჰყვა სასამართლოზე რუსტიკეს მტკიცებას, თითქოს საქმის განხილვისა და ბრალდების იურიდიული შეფასების დროს მნიშვნელობა არა აქვს დამამტკიცებელ საბუთებს და ამიტომ უნდა „თავი დავანებოთ საბუთებს,

¹ გეორგიკა, III, გვ. 144—145.

² იქვე, გვ. 145.

³ იქვე, გვ. 149.

მითითებებს და საექვო მტკიცებებს; ყურადღება მივაქციოთ მხოლოდ საქმეთა ვითარებას¹.

ქართველი ბრალმდებლების მიერ გუბაზის მკვლელობის წაყენებული მთავარი ბრალდება რუსტიკემ თავიდანვე პასუხგაუცემელი დატოვა, თითქოს არ არსებობდა, და შეეცადა „ბრალდების წონის“ (onus probandi), რაზეც საგანგებოდ ლაპარაკობს აგათია სქოლასტიკოსი², შემსუბუქებას. ამ მთავარ ბრალდებას წარმოადგენდა ბერძენი სარდლების მიერ ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანეს წერილობითი განკარგულების უხეში დარღვევა. ბრძანების თანახმად, სარდლებს წინადადება უნდა მიეცათ გუბაზისათვის, რომ პირადად ხლებოდა ბიზანტიის იმპერატორს. იმ შემთხვევაში, თუ გუბაზი ხელიდან გაუსხლტებოდათ და იერიშს მიიტანდა ბერძენი სტრატეგოსების წინააღმდეგ, ეს იქნებოდა დამამტკიცებელი საბუთი მისი მტრული განზრახვისა, ამის შემდეგ შეიძლებოდა გუბაზი ჩათვლილიყო მტრად და მისი მოკვლა, როგორც მტრისა, უკანონო აქტად არ ჩაითვლებოდა. რუსტიკემ კი ზედმეტად ჩათვალა იმპერატორის წერილის ჩვენება გუბაზისათვის და, როგორც თვითონ ამბობს, დარწმუნდა რა გუბაზის ვერაგულ განზრახვაში, მოკლა კოლხეთის მეფე, რითაც ბოლო მოუღო „მთელ რიგ ასეთ უბედურებას, არსებულსა და მოსალოდნელს“³.

იმპერატორ იუსტინიანეს წერილში ნათქვამი იყო, რომ გუბაზი მოეკლათ არა იმ შემთხვევაში, როცა სარდლები დარწმუნდებოდნენ მის მოღალატურ განზრახვაში, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც გუბაზის მტრული, მოღალატური განზრახვა შესაბამისი მოქმედებით იქნებოდა გამოხატული. მაგრამ გუბაზს არ დაუწყია ამგვარი მოქმედება და, ცხადია, მარტო განზრახვის და ისიც დაუსაბუთებელი განზრახვის არსებობისას იუსტინიანეს განკარგულება გამორიცხავდა გუბაზის მოკვლის ნებართვას ბერძენი სარდლების მიერ. რუსტიკემ კარგად იცოდა, რომ არც გამოცდილ ბერძენ მოსამართლეს ათანასის და არც მაღალი იურიდიული განათლების მქონე კოლხ სწავლულ იურისტებს მხედველობიდან არ გამოეპარებოდათ, გუბაზის უკანონო მკვლელობის იურიდიული კვალიფიკაციის დროს, წერილში გადმოცემული იუსტინიანეს საგანგებო განკარგულება, რომელიც განსაზღვრავდა იმას, თუ რა ვითარებაში შეეძლოთ ბერძენ სარდლებს გუბაზის მოკვლა. რო-

¹ გეორგიკა, III, გვ. 148.

² იქვე, გვ. 127.

³ იქვე, გვ. 151.

გორც ზემოთ აღვნიშნეთ, იუსტინიანე ნებას იძლეოდა, გუბაზი მოეკლათ ბერძენ სარდლებს მხოლოდ ერთ შემთხვევაში, კერძოდ, თუკი გუბაზი უარს განაცხადებდა, ხლებოდა ბიზანტიის იუსტიციის ნიანეს, სარდლებს ხელიდან გაუსხლტებოდა და მეტიც, წინააღმდეგობას გაუწევდა, შეუტევდა ბერძენ სარდლებს. გუბაზის ამგვარი მოქმედების იურიდიული კვალიფიკაცია ამ შემთხვევაში საფუძველს შექმნიდა მტკიცებისათვის, რომ მას აქვს დანაშაულებრივი განზრახვა და იგი ბიზანტიის აშკარა მტერია.

იუსტინიანეს ამ განკარგულების შეუსრულებლობის გამო რუსტიკემ მოსამართლეს განუცხადა, რომ ნუ დაგვძრახავ, თუკი ვერ შევასრულებ წერილში მოხსენიებული დავალება. იმავეითვე ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ წერილი იუსტინიანეს გამოგზავნილი ჰქონდა გუბაზის გამოსაცდელად, კერძოდ, შეასრულებდა თუ არა იგი „თავისი ნებით ბრძანებას და კანონიერად მოიქცეოდა“¹.

გამოცდილებით ვიცოდით, განაგრძობს რუსტიკე, რომ გუბაზი ჩვენს არავითარ მოთხოვნას არ ასრულებდა. „ქართველი ბრალმდებლები გვისაყვედურებენ, რომ აუცილებელი იყო სამართალში მიგვეცა გუბაზი, მაგრამ ამის საშუალებას არ იძლეოდა შექმნილი კრიტიკული მდგომარეობა. საქმე ისაა, რომ სპარსელები აქვე იყვნენ დარაზმულნი და გამზადებულნი იმისათვის, რომ მთელი კოლხეთი ეგდოთ ხელთ იმის (გუბაზის) დახმარებით“².

რუსტიკე კვლავ იმეორებს, რომ გუბაზი იყო ბიზანტიის მტერი და რადგან იგი მოღალატე იყო, სულ ერთი არ არის „კოლხებისათვის, ჩვენ მოვკლავდით მას, თუ სხვები? გონიერი მოსაზრება მარტო ხელისუფლების მქონეთ კი არ ებადებათ, და მოუღიბო ხოლმე, არამედ ყოველ მსურველს, ჩემის აზრით, უფლება აქვს და შეუძლია გამოეჭომავოს სახელმწიფოს, რომელშიაც ის მოღვაწეობს და შეძლებისამებრ იზრუნოს საზოგადო კეთილდღეობისათვის“³. როგორც ჩანს, რუსტიკემ იმპერატორის წერილი ფორმალურ დოკუმენტად აქცია და გუბაზის მოღალატეობის დასასაბუთებლად შემდეგ გარემოებაზე მიაპყრო მოსამართლის ყურადღება: „სპარსელებს ჰქონდათ დაპყრობილი ონოგურისის ციხე, რომელიც მათ ჩამოეგლიჯათ არქეოპოლისის მიდამოებიდან, და ჩვენთვის აუტანელ სირცხვილს წარმოადგენდა ის, რომ მტრის ჯარი მტკიცედ ჩამჯდარიყო ზღუდის შიგნით ჩვენს მიწა-წყალ-

¹ გეორგივა, III, გვ. 151.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 153.

ზე“¹. სარდლებმა მოვითათბირეთ, განაგრძობს რუსტიკე. რომ მთელი ჩვენი არმიით გავვედევნა სპარსელები, ამის მისაღწევად კი საჭირო იყო გუბაზის ხელმძღვანელობით კოლხების დახმარება. მაგრამ ასეთ კრიტიკულ მომენტში მან უკმეხი უარი შეჰქონა. ვალა და საჭიროდაც არ ჩათვალა მისი დასაბუთება. რუსტიკე ასკვნის: „ყველაფერი ამის შემდეგ განა საჭირო იყო მეტის დაყოვნება ჩვენი მხრით? განა გვეცადა უფრო მეტი საბუთებისათვის და გვეჩვენებინა მეფის წერილი, რათა ბიზანტიონში წასულიყო, იმ დროს, როდესაც საკუთარი მიწა-წყლის ფარგლებში რაღაც მოკლე მანძილის გამოსვლასაც კი არ კადრულობდა? მერე და, განა შესაძლებელი იქნებოდა მოგვეხერხებინა აგრე რიგად ჩვენს წინააღმდეგ განწყობილი გუბაზის ვაკვაზა ბიზანტიონში ისე, რომ ამას არ გამოეწვია ათასნაირი შინაური აჯანყება, მრავალი ხოცვა-ჟლეტა, აშკარა გადადგომა, სპარსელთა მოულოდნელი შენობკრა?“².

კოლხი სწავლული იურისტების მიერ ბერძენი სარდლების საწინააღმდეგოდ წამოყენებულ ბრალდებათა დამაჯერებლობისა და დასაბუთებულობის მიუხედავად, რუსტიკეს სიტყვამ ჩააფიქრა მოსამართლე და „ათანასი... კარგად შეხვდა რუსტიკეს სიტყვებს“³.

ქეშმარიტების დასადგენად საჭირო გახდა ორივე მხარის მონაწილეობით განმეორებითი სასამართლო სჯა-პაექრობა. მოსამართლის მიერ სხვა გარემოებების გამოკვლევა და მათი იურიდიული შეფასება. სამწუხაროდ, არც კოლხი ბრალმძებლების, არც ბერძენ სტრატეგოსთა სიტყვები და არც თვით აგათია სქოლასტიკოსის ცნობები იმის შესახებ, რომ მოსამართლემ რის საფუძველზე „გამოიკვლია ყველაფერი და ასწონ-დასწონა“, ჩვენთვის ცნობილი არ არის. არც ის ვიცით, როგორ წარიმართა მხარეთა განმეორებითი სასამართლო პაექრობა და ა. შ. მაგრამ დაბეჯითებით ვიცით, რომ ჩვენთვის კარგად ცნობილმა მასალებმა და, პირველ რიგში, კოლხ სწავლულ იურისტთა ბრალდებებმა ნათელი გახადა, რომ „მკვლევლობა ჩადენილი იყო უსამართლოდ და კანონის წინააღმდეგ“. რაც შეეხება რუსტიკეს ბრალდებებს გუბაზის მოღალატეობისა და ტირანობის შესახებ, არ დამტკიცდა. სასამართლო სჯა-პაექრობის შედეგად გაირკვა, რომ „ონოგურისზე ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებაზე მედიზმის გამო კი არ ამ-

¹ გეორგია, III, გვ. 148.

² იქვე, გვ. 150.

³ იქვე, გვ. 152.

ბობდა უარს გუბაზი, არამედ იმიტომ, რომ გაჯავრებული იყო სტრატეგოსებზე იმის გამო, რომ მათ დაკარგეს ონოკრატის მსახურის უფუნურობისა და დაუდევრობის წყალობით“¹. ბიზანტიის იმპერატორის

სასამართლომ სიკვდილით დასაჯა მკვლელები და სხვა დამნაშავენი ისე, როგორც ამის შესახებ იმპერატორ იუსტინიანეს წერილში იყო მითითებული.

ანონიმმა ქართველმა სწავლულმა იურისტებმა წარმატებით შეასრულეს ბრალმდებლის მოვალეობა, მათ იმპერატორ იუსტინიანეს მიერ დანიშნული დიდმოხელის ათანასის ხელმძღვანელობით ჩატარებულ სასამართლოზე, რომელიც გუბაზის მკვლელთა საქმეს იხილავდა არა ეროვნული, არამედ რომაული სამართლის მიხედვით, თავი გაართვეს ურთულეს საქმეს, კერძოდ, იურიდიული მეცნიერების განვითარების იმდროინდელი დონის მიხედვით ნათელყვეს კოლხეთის სახელმწიფოში იმპერატორ იუსტინიანეს მიერ სტრატეგოსებად დანიშნული ბერძენების — რუსტიკესა და იოანეს მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაული და მისი ძნელად გამოსაკვლევი მხარეები, სამართლის მეცნიერების ურთულესი ინსტიტუტები და კატეგორიები მიუსადაგეს და გამოიყენეს დამნაშავეთა ბრალის დასადგენად. იმპერატორმა იუსტინიანემ ბერძენი სარდლების გასამართლება კოლხეთში რომაული სამართლის „წესითა და ვარგნული მორთულობით ბრძანა... იმიტომ, რომ აქ მყოფ ბარბაროსებისათვის კვებხით ეჩვენებინა რომაული წესები და გაეკვირვებინა ისინი ამით“². სასამართლო სხდომა მართლაც ვარგნულად შიშისმომგვრელ სანახაობას წარმოადგენდა. სასამართლოს მოხელეებმა (ბოხხმიანი მალწყებელნი, გამმათრახებელნი) მოიტანეს დამნაშავეთა საწამებელი იარაღები (რკინის ჯაჭვები, ბორკილები, ბადესაკრავები და ა. შ.). შეიძლება სასამართლოს ამგვარი ვარგნული ფორმა შთაბეჭდილებას ახდენდა სხდომის ზოგიერთ მონაწილეზე, მაგრამ კოლხი სწავლული იურისტები და კოლხები არ გაუკვირვებია რომის სამართალს და მისი წესებით მოწყობილ სასამართლო პროცესს, პირიქით, ინკვიზიციური სასამართლო პროცესის წესების შესაბამისად, როდესაც სიკვდილმისჯილებს „ყელები გადაუჭრეს, მაშინ ყველანი სიბრალულთა აღივსნენ და ბრახობას თავი დაანებეს“³. რაც შეეხება კოლხ სწავლულ იურისტებს, მათ სასამართლო პროცესზე გამოამყვანეს რომის სამარ-

¹ გეორგიკა, III, გვ. 153.

² იქვე, გვ. 125—126.

³ იქვე, გვ. 153.

თლის რომელ სტრატეგოსებზე უფრო ღრმა ცოდნა და მისი მოქმედებითი გამოყენების უნარი.

კოლხი სწავლული იურისტები უფრო ჯანსაღად აფასებენ მსაჯულ სამართლოს ჩატარებას არა კოლხეთის სამართლის, არამედ რომის სამართლის მიხედვით, კოლხი სწავლული იურისტები, ბერძნებისაგან განსხვავებით, სასამართლოს მიუთითებენ: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახლანდელი სამსჯავროც ხალხის საერთო დიდებისათვის მოაწყეთ, რათა ყველას გაეგო, რომ თქვენ არასდროს არ გდომებიათ, კოლხებს ასეთი საშინელი ძალადობა განეცადათ“¹.


კოლხი სწავლული იურისტები საფუძვლიანად იცნობენ იმდროინდელი მსოფლიოს სამართლის სისტემებს, ერთმანეთისაგან ანსხვავებენ სხვადასხვა ქვეყნის სამართალს და მის თავისებურებებს, გვაძლევენ სამართლის ნორმების მეცნიერულ კლასიფიკაციას და მის კრიტერიუმებს. სამართლის სისტემაში არსებული განსხვავების წარმოსაჩენად, ისინი მიუთითებენ ნორმების კლასიფიკაციის შემდეგ ორ კრიტერიუმზე: პირველი, სამართლის ნორმები, მათი ეროვნული კუთვნილების მიხედვით; მეორე, სამართლის ნორმები მათი ბუნების, შინაარსისა და გადმოცემის ფორმების მიხედვით.

ეროვნული კუთვნილების მიხედვით სამართლის ნორმები იყოფა ორ კატეგორიად: პირველი, რომის სამართალი და მეორე, ბარბაროსთა სამართალი ანუ მამაპაპური სამართლის ნორმები. სამართლის ამ კლასიფიკაციაზე ლაპარაკობენ არა მარტო კოლხი სწავლული იურისტები, არამედ ბერძნებიც. კოლხი სწავლული იურისტები ბერძენი მოსამართლის ყურადღებას ამახვილებენ რომაულ სამართალსა და ბარბაროსთა სამართალს შორის განსხვავებაზე, კერძოდ, ისინი ამბობენ: „კანონი თქვენი ან ბარბაროსებისა“².

აგათია სქოლასტიკოსი წერს, რომ იმპერატორი იუსტინიანე სწორედ ამ განსხვავებას ემყარებოდა, როცა გასცა ბრძანება, ბერძენი სარდლების საქმე გარჩეულიყო რომაული სამართლის მიხედვით; ამ განსხვავებაზე წარმოდგენას გვაძლევს პირველ რიგში თვით აგათია სქოლასტიკოსის და, აგრეთვე, კოლხი სწავლული იურისტების მითითებები, საიდანაც ჩანს, რომ რომაული (ბერძნული) სასამართლო პროცესი არის ინკვიზიციური (გამოიყენება წამება) და ამასთან შეჯიბრებითი, საჯარო, კერძოდ, „ორივე მხრით

¹ გეორგია, III, გვ. 136.

² იქვე, გვ. 133.



კამათი გაიმართებოდა, რომლის დროსაც სასამართლოს მოსამსახურეები აქეთ-იქით ივლიდნენ, მოაწესრიგებდნენ, რათა თითო-ეულ მომთხოვნთაგანს წესრიგი დაეცვა“¹. კოლხეთში კი პროცესი კი იმართებოდა „საიდუმლოდ, ბარბაროსთა წესით“². გარდა ამისა, რომის სამართალი, რომლის დამუშავება საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა, გამოირჩეოდა მწყობრი სისტემით. „რომაელთა კანონების სიმწყობრე“³. განასხვავებს მათ ბარბაროსთა ადათ-წესებისაგან.

ბიზანტიის სახელმწიფო ცდილობს სამართლებრივი ზემოქმედება მოახდინოს კოლხეთზე, მიაღწიოს იმას, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობები წესრიგდებოდეს არა კოლხური, არამედ რომაული სამართლის მიხედვით, ამ ნიადაგზე მიმდინარეობს ბრძოლა ეროვნულ, ქართულ და ბიზანტიურ სამართალს შორის. ბიზანტია ცდილობდა ზემოქმედება მოეხდინა კოლხთა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და ყველა ზომას ლებულობდა იმისათვის, რომ „ისინი უფრო მეტად შეჩვეოდნენ რომაელთა მმართველობას“⁴. თავისუფლებისმოყვარე კოლხებისათვის ძნელი შესაგუებელია უცხო სამართლის მიხედვით ცხოვრება, ამიტომ ისინი ცდილობენ თავი დააღწიონ უცხოელთა ბატონობას, აწყობენ აჯანყებებს და ა. შ. აგათია სქოლასტიკოსი, გადმოსცემს რა კოლხთა ამ განწყობილებას, წერს: „მთელი ეს ბარბაროსული მოდგმა, თუმცა ის რომაელთა ქვეშევრდომია, მაგრამ თავისი შეხედულებით ძალიან დაშორებულია მათ... ის ისწრაფვის გადატრიალებისა და აჯანყებისაკენ. სანამ სხვის ხელქვეით არის, მას არ შეუძლია მშვიდად ცხოვრება“⁵.

კოლხი სწავლული იურისტები კარგად ერკვევიან რომის სამართლის ნიუანსებში, მოხერხებულად იყენებენ რომის სამართლის დადგენილებებს და წესებს რუსტიკესა და იოანეს ბრალდების დასასაბუთებლად. კოლხი სწავლული იურისტები სასამართლო პროცესზე აცხადებენ, რომ „ჩვენ მიერ შესრულებული იქნება კანონით დაწესებული... მაგრამ თქვენი კანონების მიხედვით თვით ამკარა და უდიდეს უკანონო მოქმედებათა შესახებაც კი მიუღე-

¹ გეორგიკა, III, გვ. 126.
² იქვე, გვ. 120.
³ იქვე, გვ. 145.
⁴ იქვე, გვ. 126.
⁵ იქვე, გვ. 145.

ბელია, რომ განაჩენი არ იქნეს გამოტანილი, სანამ საქმე არ იქნება გარჩეული სიტყვიერი პაექრობის მიხედვით“¹.

ამრიგად, კოლხი სწავლული იურისტების შეხედულებების მართლის კლასიფიკაციის პირველი კრიტერიუმის, ე. ი. კუთვნილების მიხედვით სამართალი დაყოფილი უნდა იყოს შემდეგნაირად: პირველი, რომაული სამართალი, რომელიც მოქმედებს კოლხეთის სახელმწიფოსთან პოლიტიკურად დაკავშირებულ ბიზანტიაში და, მეორე, სხვა ქვეყნების სამართალი, ბიზანტიის დიდმპყრობელური იდეოლოგიის მიხედვით კი — დანარჩენი ბარბაროსული ქვეყნების და, კერძოდ, კოლხეთის სამართალი, ანუ მამაპაპური ადათ-წესები. სამართლის ამ ორ სახეს, რომის სამართალსა და ეროვნულს, ამ შემთხვევაში კოლხეთის სამართალს, შორის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრისას, თითოეული ხალხისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ, მამაპაპურ სამართალს, რადგან იგი ჩამოყალიბებულია მოცემული ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის საფუძველზე, ასახავს ამ ქვეყნის ხალხის შეხედულებებს და წარმოდგენებს და ა. შ. კოლხი სწავლული იურისტები მიუთითებენ, რომ იქ, სადაც „მშობლიური წესები მივიწყებულია... ყველაფერი უწყსრიგოდ მიმდინარეობს“².

ზემოაღნიშნული სამართლის ორივე სისტემა მუდამ ვითარდება და სრულყოფილი ხდება. მის განვითარებაზე ზეგავლენას ახდენს არა მარტო მოცემული ქვეყნის საშინაო ფაქტორები, არამედ მეზობელი ქვეყნის სამართალი და მისი პროგრესული ინსტიტუტები, ამიტომ ყველა ქვეყნის სამართალს, კერძოდ, რომაულ და კოლხურ სამართალს შორის ყოველთვის შეიმჩნევა საერთო ნიშნები, კერძოდ, ერთნაირი ინსტიტუტების არსებობა. ყველა სახის სამართალში გვხვდება იურიდიული აქსიომები, რომელთა მოთხოვნებს აღიარებენ და იცავენ ხალხები. ამ იურიდიულ აქსიომებზე მიუთითებენ ანონიმი კოლხი იურისტები: „რომელი კანონი — თქვენი ან ბარბაროსებისა მოიწონებს ასეთ მდგომარეობას, რომ ჯერ განაჩენი გამოუტანო ადამიანს, და მერე წაუყენო ბრალდება?“³.

ასეთივე იურიდიულ აქსიომას წარმოადგენს დანაშაულისა და სასჯელის თანაბარზომიერება, რომელზეც საგანგებოდ მიუთითე-

¹ გეორგიკა, III, გვ. 130.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 133.



ბენ კოლხი იურისტები. არ შეიძლება დანაშაული დაუსჯელი დაჩ-
 ჩეს, მაგრამ დამნაშავეს უნდა შეეფარდოს მხოლოდ ისე, ^{საქვეყნო} ~~საქვეყნო~~
 რომელიც კანონშია მითითებული და, საერთოდ, ^{საქვეყნო} ~~საქვეყნო~~
 საზღვრისას უნდა გამოვიდეთ ჩადენილი დანაშაულის საზოგადო-
 ებრივი საშიშროებიდან. სასამართლო პროცესზე ისინი მოსამართ-
 ლის ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ გუბაზის მკვლელებს
 სასამართლომ უნდა შეუფარდოს „ღირსეული სასჯელი“, უსამართ-
 ლობა იქნება დამნაშავეებმა „ჩვენი ჩვილი ხასიათით ისარგებლონ
 და უფრო ნაკლები სასჯელი მიიღონ, ვიდრე მათ მიერ ჩადენილ საქ-
 ციელს შეეფერება“¹.

კოლხი სწავლული იურისტები სასამართლო პროცესზე იყენე-
 ბენ არა მარტო საყოველთაოდ გავრცელებულ იურიდიულ აქსი-
 ომებს, არამედ სასამართლო სჯა-პაექრობაში კონკრეტული შემ-
 თხვევის სამართლებრივ კვალიფიკაციისას ავითარებენ ცნობილი
 ინსტიტუტების შინაარსს და ამ ინსტიტუტთა თაობაზე მოწინააღ-
 მდეგეთა მიერ ჩამოყალიბებულ შეხედულებებს კრიტიკულად
 აფასებენ. ზემოთქმულის ნათელსაყოფად საკმარისია შევჩერდეთ
 ისეთ სამართლებრივ ინსტიტუტზე, როგორცაა განზრახვა. ბიზან-
 ტიის იმპერატორის იუსტინიანეს წერილში ლაპარაკია დანაშაულებ-
 რივ განზრახვაზე, რომელიც ვლინდება შესაბამის კანონსაწინააღ-
 მდეგო მოქმედებაში, კერძოდ, განზრახვის კანონსაწინააღმდეგო ში-
 ნაარსის კრიტერიუმს წარმოადგენს დანაშაულებრივი მოქმედება.
 მხოლოდ განზრახვა არ იძლევა პირის დასჯის საფუძველს, იგი
 უნდა გამოიხატოს მის მოქმედებაში, რომელიც მოქმედი კანონ-
 მდებლობით დანაშაულადაა დადგენილი.

ბრალდებულები რუსტიკე და იოანე ამტკიცებენ, რომ ჩვენს
 მიერ გუბაზის მოკვლის ფაქტს კი ნუ აძლევთ მნიშვნელობას, მთა-
 ვარია ის განზრახვა, რომლითაც ვხელმძღვანელობდით ჩვენ, კერ-
 ძოდ, ბიზანტიის სახელმწიფოს განმტკიცების სურვილითო. კოლ-
 ხი სწავლული იურისტების მტკიცებით, მაშინ, როდესაც შეუძლე-
 ბელია ქეშმარიტი განზრახვის შინაარსის დადგენა პირის მიერ ჩა-
 დენილი დანაშაულებრივი ქმედებით, ბერძენი სარდლების მიერ
 გუბაზის მოკვლის ქეშმარიტი განზრახვის დადგენა უნდა მოხდეს
 სხვა კატეგორიების დახმარებით, კერძოდ, იმის გარკვევით, თუ
 ვისთვის მოაქვს სარგებლობა გუბაზის მოკვლას — ბიზანტიისა თუ
 ბიზანტიის მტრებისათვის. ასეთი კატეგორია არის სარგებლიანო-
 ბა, უნდა დადგინდეს, გუბაზის მოკვლა ვისთვის არის სასარგებლო.

¹ გეორგია, 111, გვ. 133.

სპარსეთის წინააღმდეგ მიმე ომში „გონიერ კაცს მოეთხოვებოდა ეზრუნა იმაზე, რომ კარგი მოპყრობის საშუალებით თავისკენ მიეზიდა უცხო და ჯერ კიდევ უცნობი ერები. ამათ კი ისინი მათი მათელებების მტრებად გადააქციეს, რომლებიც წინათ მათი მათელები ბელი მეგობრები იყვნენ“¹. კოლხი ბრალმდებლები მიუთითებენ, რომ სწორედ რუსტიკეს და იოანეს ბრალია, რომ გუბაზის ვერაგულად მოკვლით კოლხები უარს ამბობენ ბიზანტიის მოკავშირეობაზე. ამდენად, ასკენიან კოლხი სწავლული იურისტები. თუ რუსტიკეს და იოანეს განზრახვას „გავაშიშვლებთ და გამოვიკვლევთ, ისინი გამოჩნდებიან უბოროტეს მტრებად, სპარსელთა სასარგებლო განზრახვების მქონეებად“².

ბერძენი სარდლების — რუსტიკესა და იოანეს მიერ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო მოქმედების კვალიფიკაციის დროს კოლხ იურისტებს არც ის იურიდიული აქსიომა გამორჩენიათ მხედველობიდან, რომ არ შეიძლება ჯერ სიკვდილის განაჩენი გამოუტანო ადამიანს, სისრულეში მოიყვანო იგი და ბრალდება წაუყენო მას შემდეგ, როდესაც იგი უკვე აღარ არის ცოცხალთა შორის. კოლხმა სწავლულმა იურისტებმა სასამართლოს ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ბერძენი სარდლები სწორედ ასე მოიქცნენ, ისინი იყვნენ გუბაზის მტრები და ამავე დროს ბრალმდებლები და მოსამართლენიც. საყოველთაოდ აღიარებული აღნიშნული იურიდიული აქსიომის თანახმად, ბერძენი სარდლები „სანამ გუბაზს მოკლავდნენ, საჭირო იყო, თუკი ისინი დაწმუნებული იყვნენ ბრალდებათა სისწორეში, საქვეყნოდ მიეცათ ის სამართალში“³.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამართლის კლასიფიკაციის მეორე კრიტერიუმს წარმოადგენს ნორმების დაყოფა მისი დადგენისა და გადმოცემის ფორმისა და იურიდიული ძალის მიხედვით. კოლხი სწავლული იურისტების მტკიცებით, ამ საფუძვლის მიხედვით სამართალი იყოფა შემდეგ ძირითად სახეებად: ბუნებით სამართლად და პოზიტიურ სამართლად.

ბუნებითი სამართალი, რომელიც აგათია სქოლასტიკოსის ნაშრომის ქართულ თარგმანში ყველგან მოიხსენიება, როგორც ბუნების კანონი, ემყარება ადამიანთა ბუნებისათვის დამახასიათებელ თვისებებს. ბუნებითი სამართლის მოძღვრების ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, რომელმაც ახალ დროში სრული განვითარება

¹ გეორგია, III, გვ. 139.

² იქვე, გვ. 132.

³ იქვე, გვ. 133—134.

პოვა თ. ჰობსის ნაშრომებში, ადამიანს ბუნებით აქვს თანდაყოლილი შიშის გრძობა და იგი ეჭვის თვალთ უყურებს მის გარშემო მყოფთ. ადამიანისათვის დამახასიათებელი ამ თვისებით „მტკიცედ ვერავის დაეყრდნობი და მუდამ ეჭვითა და შიშით უნდა იყო აღვსილი თვით ძალიან კარგი მახლობლების მიმართაც კი“¹. კოლხი სწავლული იურისტები, სასამართლო პროცესზე იურიდიულ შეფასებას აძლევენ რა ბერძენი სარღლების მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ მოქმედებას, მოსამართლის ყურადღებას მიაპყრობენ ადამიანის ბუნებისათვის დამახასიათებელ იმ თვისებას, რომელსაც ემყარება ბუნებითი სამართალი, და მიუთითებენ, რომ გუბაზის მკვლელები რუსტიკე და იოანე „უნდა ჩავთვალოთ უკიდურეს მტრებად, რომლებიც ჩვენგან გამოთიშა ბუნების კანონმა, თუმცა ეს კანონი თქვენგან ხელმოწერილი არაა“². ქართველი სწავლული იურისტები მტრის ცნებას განსაზღვრავენ ბუნებითი კანონის შესახებ იმ დროს არსებული მოძღვრებით და საყურადღებოა, რომ ისინი მიუთითებენ ბუნებითი სამართლის ახალ მხარეებზე. კერძოდ, მათი მტკიცებით, ბუნებითი სამართლით დადგენილი ქცევის წესები ადამიანთა მიერ არაა დადგენილი; ისინი მოქმედებენ იმისაგან დამოუკიდებლად, იგი აღიარებული, დადასტურებული და „ხელმოწერილია“ თუ არა ადამიანთა მიერ. ბუნებითი სამართალი ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად არსებობს, იურიდიული ძალის მიხედვით იგი უმაღლესია, ამიტომაც ადამიანები ასრულებენ და მიჰყვებიან მის წესებს, რომლებიც ადამიანების მიერ დადგენილი არაა, მაგრამ „ჩვენ მაინც მივყვებით ბუნების კანონს და ეს არის, რომ ყველაფერში იმარჯვებს“³.

ბუნებითი სამართლის უმაღლესი იურიდიული ძალის გამო ადამიანები ხელმძღვანელობენ მის მიერ დადგენილი ქცევის წესებით, რაც გამოიხატება მისი მოთხოვნების მიხედვით სახელმწიფოს მიერ პოზიტიური სამართლის ნორმების დადგენაში.

სამართლის მეორე სახე, კოლხი სწავლული იურისტების მიუთითებით, სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართალია. მისი ბრძანებების შესრულება აუცილებელია საზოგადოების არსებობისათვის, არავის აქვს უფლება, საკუთარი შეხედულების მიხედვით მოაგვაროს სადავო საკითხები: „არც ჩვენ, არც სხვებმა ამგვარი რამ არ უნდა გავბედოთ, თუ სახელმწიფო კანონების საფუძველ-

¹ გეორგიკა, III, გვ. 128.
² იქვე, გვ. 133.
³ იქვე, გვ. 128.

ზე ვაპირებთ ცხოვრებას“¹. სახელმწიფო კანონები ანუ პოზიტიური სამართალი მიუთითებს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესობაზე, კერძოდ, მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლებას უფლება მოსილი, სამართლებრივი გზით მოაგვაროს სასოგლო კონფლიქტები ურთიერთობები, იგი უკანონოდ აცხადებს იმათ მოქმედებას, რომლებიც ცდილობენ სამაგიეროს გადახდას საკუთარი ძალებით². ყველა სახელმწიფოს, რომელიც ადგენს სამართალს, იგი მიაჩნია სამართლიან სამართლად. კოლხი იურისტები მიმართავენ მოსამართლეს, რომ თქვენ სახელმწიფოს „ერთგულნი ხართ თქვენი ქვევით და ურყევნი, და სამართლიანი კანონებითაც ხელმძღვანელობთ“³.

კოლხი სწავლული იურისტები მსჯელობენ პოზიტიური სამართლის სხვადასხვა სახეებზე, კერძოდ, რომის სამართალზე (უცხოურ სამართალზე), ბარბაროსთა სამართალზე, მამაპაპურ წესებზე (მამაპაპის ადათზე) ანუ მშობლიურ წესებზე. სამართალი, რომლითაც ბიზანტიელები ხელმძღვანელობენ, არის რომის სამართალი. იგი, როგორც ბერძნები მიუთითებენ აგათია სქოლასტიკოსის ნაშრომში, გამოირჩევა მწყობრი სისტემით, ყველა დანარჩენი სამართალი ბარბაროსთა სამართალია. კოლხეთის სახელმწიფოში არსებული სამართალიც ბარბაროსულია, მაგრამ მას ზოგჯერ მამაპაპური ადათის, ზოგჯერ კი მშობლიური წესების სახელით მოიხსენიებენ. იუსტინიანე თავის წერილში კოლხეთის სამართალს მამაპაპის ადათს უწოდებს: „დაუჯერებელი და უცნაურია ის, რაც თქვენ მაცნობეთ, სახელდობრ, თითქოს გუბაზს სურდეს გადაუდგეს მამაპაპის ადათს და თავის ძველ, ყველაფერში ერთაზროვნე წინამძღოლებს, ესე იგი რომაელებს, და გადავიდეს მისდამი მტრულად განწყობილ, სრულად უცხო და სხვა სარწმუნოების მიმდევარ სპარსელთა მხარეზე“⁴. რუსტიკე და იოანე ქედმაღლურად უპირისპირებენ რომის სამართალს კოლხურს და მას ბარბაროსულს უწოდებენ. კოლხი სწავლული იურისტები კი სათანადოდ აფასებენ რომის სამართალს, მიუთითებენ მის მაღალ თეორიულ დონეზე, სრულებითაც არ მიაჩნიათ მისი ნორმების შესრულება გროვული ღირსების დამცირებად, მაგრამ ამასთან, სათანადო პატივს სცემენ და თითოეული ქვეყნის ხალხთა ცხოვრებაში გადამ-

¹ გეორგიკა, III, გვ. 134.

² იქვე, გვ. 135.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 127—128.

წყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ მშობლიურ, მამაკაპურ წესებს.
ჰუმანისტი კოლხი სწავლული იურისტები გამოდიან ქვეყნის
სახელმწიფოთა სამართლებრივი თანასწორობის პრინციპების
და სოციალური ურთიერთობის სფეროში წამოჭრილი საკითხების
გადაჭრისას უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებენ ადამიანთა ბუნე-
ბას და მისთვის დამახასიათებელ როგორც თანდაყოლილ, ასევე
საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებათა შესაბამისად შექე-
ნილ თვისებებს.

შუა საუკუნეებში გაბატონებული რელიგიური წარმოდგენები,
რა თქმა უნდა, შეადგენს მათი მსოფლმხედველობის განმსაზღვრელ
მნიშვნელოვან ნაწილს, მაგრამ საზოგადოებრივი მოვლენების ახს-
ნისას ისინი არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ ადამიანის გონე-
ბას. ჰუმანიზმი კოლხი სწავლულების მსოფლმხედველობის გან-
მსაზღვრელია. კოლხი სწავლულების ჰუმანისტურმა მსოფლმხედ-
ველობამ სრული განვითარება პოვა მოგვიანებით გაერთიანებუ-
ლი ფეოდალური საქართველოს რენესანსულ იდეოლოგიაში, რომ-
ლის ფუძემდებლები არიან დავით აღმაშენებელი, ყუთლუ-არს-
ლანი, შოთა რუსთაველი და ა. შ.

თ ა ვ ი II

ქართული რენესანსის (XI—XII სს.) პოლიტიკური იდეოლოგია

XI—XII საუკუნეები, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მიხედვით, ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს. XI—XII სს. ფეოდალური საქართველოს ძლიერებამ და დიდებამ თავისი გამოხატულება პოვა როგორც ჩვენამდე მოღწეულ მრავალრიცხოვან ქართულ ისტორიულ და ლიტერატურულ ძეგლებში, ასევე ბერძნულ, არაბულ, სომხურ, და სხვა ქვეყნების წყაროებშიც. უამთა სიკვეს გადარჩენილი ამ წყაროების მეცნიერული ანალიზისა და ურთიერთშეპირისპირების გზით შესაძლებელი ხდება XI—XII სს. ფეოდალურ საქართველოში მწვავე კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლების პროცესში წარმოშობილი ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენების შეფასება და მათი განვითარების მიმართულებათა განსაზღვრა.

ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებით და ქვეყნის ეკონომიკის მრავალფეროვნებით, ფეოდალური საქართველოსა და მისდამი დაქვემდებარებული სახელმწიფოების ძლიერი ქალაქებითა და სამრეწველო ცენტრებით, ურთულესი სარიცავიო სისტემებითა და უაღრესად განვითარებული კომუნისკაციებით, მომწიფებული ფეოდალური ურთიერთობების წიაღში ჩასახული ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობების განვითარების დონით და ამასთან დაკავშირებით აზიის, ევროპის და აფრიკის ქვეყნებთან სავაჭრო-სამეურნეო და პოლიტიკური კონტაქტებით, საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურითა და კლასთა შორის არსებული წინააღმდეგობების ხასიათით, ხუროთმოძღვრული, მხატვრული და ჰედური ხელოვნების ძეგლებითა და კულტურულ-საკანმანჯოლებლო დაწესებულებებით, ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი და რენესანსის ეპოქის საერო-პოლიტიკური შინაარსის ორი-

გინალური დოქტრინებითა და თეორიებით XI—XII სს. საქართველოს ამ ეპოქის უძლიერეს ფეოდალურ სახელმწიფოთა სისტემაში თვალსაჩინო ადგილი უკავია.

XI საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს მეფის ბაგრატ მესამის (975—1014 წწ.) მიერ დაწყებულ ბრძოლას ფეოდალური დაქუცმაცებულობის ლიკვიდაციისა და ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის, წარმატებით აგვირგვინებს დიდი პოლიტიკური მოღვაწე დავით მეოთხე (1089—1125), რომელსაც ნაყოფიერი სახელმწიფო მოღვაწეობისათვის მადლიერმა ქართველმა ხალხმა აღმაშენებელი შეარქვა.

ჯვაროსნულმა ომებმა, რასაც შედეგად მოჰყვა თურქ-სელჩუკ მოძალადეთა ბატონობის შესუსტება, ხელი შეუწყო კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების მქონე ხალხების განთავისუფლებისათვის ბრძოლის დაწყებას. როდესაც ამ ბრძოლის შესახებ ვლაპარაკობთ, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ X—XI საუკუნეებში ამ ხელსაყრელი საგარეო პირობების გარდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ კავკასიის ხალხებზე უცხოელი მოძალადეების რბევითარეშმა ვერ შეძლო ეროვნული ძალების მოსპობა და განადგურება.

განსაკუთრებული ისტორიული პირობების გამო უცხოელ მოძალადეთა წინააღმდეგ კავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის ხელმძღვანელობა და საერთო კავკასიური მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნა ხორციელდებოდა ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრიობის ინიციატივით. ფეოდალური საქართველოს უაღრესად განვითარებული ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილება ვახდა კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების მქონე ხალხთა უზარმაზარი სახელმწიფოს ჩამოყალიბების მტკიცე საფუძველი. ისტორიული მოვლენებისა და სხვა ხალხებთან ფეოდალური საქართველოს ურთიერთობის თავისებურებათა მეცნიერული განსაზღვრის შედეგად, აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, XII საუკუნის „საქართველოს სახელმწიფო საზღვრები მოიცავდნენ, გარდა საქართველოს ძირითადი ტერიტორიისა, მთელ კავკასიასაც, ჩრდილო კავკასიის ყველა ტომსა და პოლიტიკურ გაერთიანებას; სამხრეთით კი საქართველოს ვასალური სამფლობელოები ვრცელდებოდა ირანის აზერბაიჯანზედაც და აღწევდა გილანს, ხოლო სამხრეთ დასავლეთით ეს სამფლობელოები მიდიოდა არზრუმამდე და ერ-

ზინჯანამდე, სადაც ნიშნად ვასალური დამოკიდებულების აღებდა საქართველოს სახელმწიფო ალამი¹.

XI—XII სს. საქართველოს ეკონომიკურ საფუძველს უყრდნობდა განვითარებული ფეოდალური ურთიერთობები შეადგენდა ფეოდალური საკუთრება და ყმა გლეხებზე ფეოდალთა ბატონობა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერების წყაროა. მაგრამ ამასთან ერთად ფეოდალური სახელმწიფოებრიობა, რომელიც XI საუკუნიდან დაწყებული საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისას აბსოლუტიზმის პრინციპებით ხელმძღვანელობს, ხელს უწყობს ვაჭრობის, ხელოსნობისა და ალებ-მიცემობის განვითარებას. ფეოდალური საქართველოს აბსოლუტური ხელისუფლება არა მარტო გაცხოველებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობას ამყარებს მეზობელ ქვეყნებთან, არამედ ქვეყნის შიგნით დიდ სამეურნეო საქმიანობას აწარმოებს: გაჰყავს გზები და აგებს ხიდებს, მფარველობს ქალაქებს, სადაც თანდათანობით მტკიცდება ფულად-სასაქონლო მეურნეობა, ქვეშევრდომებზე იდეოლოგიური ზემოქმედების გაძლიერების მიზნით აშენებს ეკლესიებსა და მონასტრებს, სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ხალხთა მიმართ ახორციელებს რჯულშემწყნარებლობის პოლიტიკას და ა. შ. XI საუკუნის დასასრულსა და XII საუკუნის დასაწყისში დავით აღმაშენებლის დიდი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური რეფორმებია შედეგად, საქართველოში ფეხს იდგამს ფეოდალიზმის პოლიტიკური მმართველობის ახალი ფორმა — აბსოლუტიზმი. ოფიციალური სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის წარმომადგენლები, რომლებიც დავით აღმაშენებლის სწავლულთა რაზმს შეადგენენ, ცდილობენ დაასაბუთონ სამეფო ხელისუფლების შეუზღუდველობა, უმაღლესობა და განუსაზღვრელობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილ ახალ პოლიტიკურ მმართველობის ფორმას განათლებული აბსოლუტიზმის ხასიათი უნდა ჰქონოდა, რადგანაც სამეფო ხელისუფლება საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისას ხელმძღვანელობდა ჰუმანიზმის პროგრესული პრინციპებით.

XII საუკუნის დასასრულს ფეოდალური ურთიერთობები ქვეყანაში განვითარების უმაღლეს საფეხურს აღწევს. ეკონომიკურ ცხოვრებაში უკვე საგრძნობი ძალა ხდება ფეოდალური წარმო-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი, 1965, გვ. 409.

ეპითი ურთიერთობების წილში ჩასახული ახალი, ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობები, იქმნება პირობები ბურჟუაზიული ერების ჩამოყალიბებისათვის¹. საზოგადოებრივი მდევობათა გამწვავების შედეგად ადგილი აქვს გააფთრებულ კლასობრივ და შინაკლასობრივ ბრძოლებს. XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურმა განვითარებამ ისეთ მაღალ დონეს მიაღწია, რომ „მისი შემდგომი განვითარება ამ (ფეოდალური) ურთიერთობის რღვევისა და ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის ჩასახვა-წარმოქმნის გზით შეიძლებოდა მხოლოდ წასულიყო“².

XI—XII სს. ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარმა სოციალ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა განაპირობა მრავალრიცხოვანი პოლიტიკური მოძღვრებების წარმოშობა, რომლებიც გამოხატავენ საზოგადოებაში მებრძოლ კლასთა ინტერესებსა და მისწრაფებებს. მაგრამ ჩვენს მეცნიერულ ლიტერატურაში XI—XII სს. პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია სისტემატური სახით არ არის შესწავლილი, თუმცა მისი მეცნიერული შესწავლის ძირითადი მიმართულებები მისთვის დამახასიათებელი სიფრთხილითა და სიზუსტით განსაზღვრა ახალი ქართული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელმა აკად. ივ. ჯავახიშვილმა. შემდეგში აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის დასახული ამოცანების გადაჭრას მიეძღვნა მრავალი შრომა. მართალია, ეს შრომები მიზნად ისახავენ საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხების შესწავლასა და გადაჭრას, მაგრამ ამავე დროს ისინი შეიცავენ ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის ცალკეულ საკითხებზე ზოგადი ხასიათის მითითებებსა და მოსაზრებებს.

მიუხედავად ამისა, XI—XII საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ძირითადი მიმართულებები, ისევე როგორც მთლიანად ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის სისტემა, ჯერ კიდევ სრულიად დაუდგენელი და შეუსწავლელია. ამ გარემოებებით უნდა აიხსნას ის, რომ პოლიტიკურ მოძღვრებათა ზოგადი ისტორიის კურსში ვერავითარი გამოხატულება ვერ პოვა სისტემატური სახით XI—XII სს. ფე-

¹ ი. კაკაბაძე, ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის ეტაპები, თბილისი, 1966, გვ. 16—17.

² ნ. ბერძენიშვილი, პ. კაკაბაძის „დავით მერვე“ („ლიტერატურული გაზეთი“, 1955, 8 აპრილი, № 14).

ოდალური საქართველოს ორიგინალურმა სახელმწიფოებრივმა და სამართლებრივმა შეხედულებებმა XI—XII სს. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა შინაარსი, რომელიც ეპოქის უაღრესად განვითარებული ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების თავისებურებებით არის განსაზღვრული, თავისი მაღალი თეორიული დონითა და დასაბუთებით, წარსული ეპოქების მეცნიერული მემკვიდრეობის ღრმა ცოდნითა და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების შესაბამისად მისი შემდგომი განვითარებით, ფეოდალიზმის ეპოქის პოლიტიკურ მოძღვრებათა სისტემაში თვისებრივად ახალ, რენესანსის ეპოქის შესაბამის მაღალ ეტაპს წარმოადგენს. დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც ფეოდალიზმის წიაღში ბურჟუაზიული ურთიერთობების ჩასახვის შედეგად რენესანსის პოლიტიკური მოძღვრებანი მხოლოდ XIV—XV სს. ჩნდება, XI—XII სს. ფეოდალურ საქართველოში მომხდარი დიდი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებით განსაზღვრულ მწვავე კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის პროცესში წარმოშობილი უაღრესად საინტერესო და ორიგინალური პოლიტიკური მოძღვრებები რენესანსული პოლიტიკური იდეოლოგიის სულისკვეთებას გამოხატავენ.

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში რენესანსის ეპოქამდე ადამიანთა სულიერ ცხოვრებას განსაზღვრავდნენ რელიგიის მსახურნი: ბერები, განდეგელები, მეუღაბნოეები, ეპისკოპოსები და სხვ., რომლებიც ბუნებისა და საზოგადოების განვითარების ყველა მოვლენას რელიგიური სქოლასტიკის მშრალი დოგმებით ხსნიდნენ. შუა საუკუნეებში ადამიანთა გონებაზე განუყოფლად ბატონობდა რელიგია.

რელიგიური სქოლასტიკის წარმომადგენლები შეცვალეს საერო სახელმწიფო მოღვაწეებმა და მოაზროვნეებმა—მეფეებმა, პოეტებმა, მხატვრებმა, მოქანდაკეებმა, მინისტრებმა, მეცნიერებმა და ა. შ. ფეოდალიზმის წიაღში ჩასახული ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების შესაბამისად, შუა საუკუნეების ქრისტიანულ-სქოლასტიკური შინაარსის პოლიტიკური მოძღვრებანი საერო ხასიათის პოლიტიკურმა დოქტრინებმა შეცვალა. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში შემუშავებული მაკიაველის ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების საერო პოლიტიკური დოქტრინა და ჟან-ბოდენის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის თეორია, ჯონ ლოკის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნა და საზოგადოებრივ სოლიდარიზმზე დამყარებული კამპანელასა და მორის უტოპიური სოციალიზმის იდეები, ჰუმანიზმის

პოლიტიკური დოქტრინა და ბუნებითი სამართლის მოძღვრება, რომლებიც ადამიანთა სულიერ ცხოვრებაზე უდიდეს ეჭვგაუთხრელ ახდენს XIV საუკუნიდან, პოლიტიკურ მოძღვრებათა მემკვიდრეობის თვისებრივად ახალ, განსხვავებულ ეტაპს შეადგენს.

ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების შედეგად XI—XII საუკუნეების ფეოდალურ საქართველოში სავსებით ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი: ადამიანთა სულიერი ცხოვრების წინამძღოლებად ბერების, განდევილების, მეუღაბნოეთა და სხვათა როლის შესუსტების შედეგად, საერო მოღვაწეები, მეფეები, მინისტრები, მხედართმთავრები, პოეტები და სწავლულები გვევლინებიან. ამის შესაბამისად იცვლება ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა შინაარსი და მიმართულება, რაც თავის გამოხატულებას პოულობს დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლებისა და ბუნებითი სამართლის საერო ხასიათის პოლიტიკურ დოქტრინებში, გენიოსი პოეტების — შოთა რუსთაველის, იოანე შავთელის, ჩახრუხაძის და სხვათა საზოგადოებრივი სოლიდარიზმისა და ჰუმანიზმის პროგრესულ მოძღვრებაში და თამარ მეფის ფინანსთა მინისტრის ყუთლუ-არსლანის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების ანტიფეოდალურ თეორიებში.

1. დავით აღმაშენებელი

სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ დავით აღმაშენებლის მოძღვრების საფუძველს შეადგენს ადრინდელი რენესანსის პოლიტიკური იდეები და თეორიები, რომლებიც XI—XII საუკუნეების საქართველოში ფეოდალური ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცების შედეგად ჩამოყალიბდა. ფეოდალიზმის ეპოქის დიდი თეორეტიკოსი და მოაზროვნე დავით აღმაშენებელი იმ დროს მოღვაწეობდა საქართველოში, როდესაც ძველ რუსეთში ვლადიმერ მონომახი (1113—1125) ცდილობდა ერთიანი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შექმნას; საბერძნეთში ალექსი კომნენოსს (1081—1112) უჭირდა ძალაუფლების შენარჩუნება; ინგლისში ჰენრი I (1100—1135) ცდას ძლიერი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შესაქმნელად შედეგი არ მოჰყოლია, გერმანიაში ჰენრი V (1106—1125) — ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების შექმნისათვის ბრძოლაში მსხვილ ფეოდალებთან დამარცხებული —

იძულებული ხდება 1122 წელს კომპრომისული ხელშეკრულება დადოს რომის პაპთან, ხოლო საფრანგეთში ჯერ კიდევ ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდი ბატონობს დასავლეთის მეფე ლუი VI (1108 — 1137), რომელიც დამოუკიდებელი ვერ მართავს ქვეყანას, რამდენადაც იგი იძულებული იყო სახელმწიფოებრივი ხელისუფლება გაენაწილებინა მისი ფაქტიური თანამართველის აბატი სუგერისათვის, მხოლოდ იმას ახერხებს, რომ იმორჩილებს ზოგიერთ ფეოდალს სამეფო დომენის შიგნით.

ჩვენამდე მოღწეული ძირითადი ისტორიული წყაროებიდან, რომლებიც საკმაოდ სრულ წარმოდგენას გვაძლევს დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ მოძღვრებათა შესახებ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უცნობი ავტორის თხზულებას „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა“, 1103 წლის რუს-ურბნისის კრების დადგენილებას და ამავე კრების მიერ მიღებულ სამადლობელ ქებათა-ქებას დავით აღმაშენებლისადმი, 1123 წელს შიო-მღვიმის მონასტრისადმი ბოძებულ ანდერძს. 1125 წელს გარდაცვალების წინ მემკვიდრეებისადმი დატოვებულ ანდერძსა და XII საუკუნის ლიტერატურულ ძეგლს „გალობანი სინანულისანი“. მართალია, ამ წყაროებიდან მხოლოდ ერთადერთი, „გალობანი სინანულისანი“ უნდა იყოს უშუალოდ დავით აღმაშენებლის მიერ დაწერილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ზემოთ აღნიშნული სხვა წყაროებიც სრულად გამოგვეცემს სახელოვანი ქართველი მეფის აზრის სიღრმესა და სიდიადეს, რამდენადაც ეს ისტორიული ძეგლები შედგენილია დავით აღმაშენებლის ბრძანებითა და მისი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მიხედვით.

დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის ძირითად წყაროთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უცნობი ავტორის თხზულებას „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა“, რომელიც, როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაში არის აღიარებული, არ შეიცავს საქართველოს ისტორიის თანმიმდევრულ გადმოცემას. მისი ავტორი ყოველგვარი ქრონოლოგიის გარეშე არასრულად აღწერს დავით აღმაშენებლის ეპოქის მხოლოდ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სამხედრო მოვლენების ფრაგმენტებს. XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის ტექსტის დაწვრილებითი ანალიზი საშუალებას გვაძლევს საკმაოდ ზუსტად დავადგინოთ ის მიზანი, რომლითაც ხელმძღვანელობდა ანონიმი ავტორი თავისი თხზულებისათვის პოლიტიკური მოვლენების შერჩევისას. ძეგლის უმთავრესი ნაწილი ეხება თვით დავით აღმაშენებლის პიროვნებას და იმ

მეთოდებისა და ხერხების დახასიათებას, რომლებითაც ხელმძღვანელობდა იგი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების განხორციელებისას. ეჭვი არ არის, რომ თხზულების ავტორი ცდილობდა აქის მეცნიერების განვითარების დონის მიხედვით შეისწავლოს და შეაფასოს დავით აღმაშენებლის პოლიტიკური მოძღვრებანი. შეიძლება ითქვას, რომ „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ ფეოდალური ეპოქიდან ჩვენამდე მოღწეული ამ უანრის ერთადერთი ნაწარმოებია და იგი იმაზე მიუთითებს, რომ თავისი დროისათვის დავით აღმაშენებლის ორიგინალური პოლიტიკური მოძღვრებანი, რომლებიც მიზნად ისახავდა ფეოდალური მმართველობის მის მიერ შემუშავებული ახალი ფორმის — აბსოლუტიზმის დასაბუთებას, იმთავითვე ყოფილა თანამედროვეთა მეცნიერული შესწავლის საგანი.

დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ მოძღვრებათა ზემოაღნიშნული ძირითადი ისტორიული წყაროების ზოგადი შეფასებისას არ შეიძლება არ აღინიშნოს მისთვის დამახასიათებელი რამდენიმე სპეციფიკური თავისებურება: უპირველეს ყოვლისა, ჩვენამდე მოღწეული სხვა ისტორიული წყაროებისაგან განსხვავებით, ყველა ამ ძირითად წყაროს წითელი ზოლივით გასდევს დავით აღმაშენებლის პოლიტიკური მოძღვრებების უმთავრესი საკვანძო დებულებანი და ცნებანი. გარდა ამისა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ მოძღვრებათა ძირითადი წყაროები შედგენილია მისი მეფობის სხვადასხვა პერიოდში, რაც საშუალებას გვაძლევს, საკმაო სიზუსტით გავადევნოთ თვალი დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი შეხედულებების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს, რომელსაც თავისი შინაარსით რთული და მეტად წინააღმდეგობრივი ხასიათი აქვს.

ჩვენამდე მოღწეული ისტორიული წყაროები მოწმობს, რომ დავით აღმაშენებლის მიერ განხორციელებული ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმებით, რაც მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნას, დავით აღმაშენებელი არა მარტო XI — XII საუკუნეების მეფეთა შორის ერთ-ერთი ნიჭიერი და უნარიანი მეფეა, არამედ ფეოდალიზმის ეპოქის დიდი თეორეტიკოსი და მოაზროვნეცაა. დავით აღმაშენებელი ერთი პირველთაგანია შუა საუკუნეების ისტორიაში, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ფეოდალიზმის ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზაციის სისტემის სრულყოფის საქმეში, მტკიცედ ჩამოაყალიბა რა XI—XII საუკუნეების საქართველოში

შუა საუკუნეების ისტორიისათვის ფეოდალიზმის მმართველობის
 თითქმის უცნობი ფორმა — აბსოლუტიზმი და მეცნიერულ საწყის-
 სებზე დასაბუთა მისი როგორც ახალი პოლიტიკური წყობილების
 ბის უპირატესობა ფეოდალურ დაქუცმაცებულობასთან შედარებით.
 ბით. დავით აღმაშენებელი თავის სწავლულ რაზმთან ერთად, სა-
 ზოგადოებრივ ცხოვრებაში სამეფო ხელისუფლების განხორციელებ-
 ბისას, ხელმძღვანელობდა სახელმწიფოს შესახებ მეცნიერებით.
 რომელიც ემყარებოდა წინა ეპოქების ცნობილ მეფეთა პრაქტი-
 კული საქმიანობის გამოცდილებას. ამის შესახებ დავითის ისტორი-
 კოსი საგანგებოდ აღნიშნავს: „ხოლო ვთქუა ესეცა, ვითარმედ
 უკუთუმცა არა წერილთა მეცნიერებანი და გარდასრულთა საქმეთა
 შემეცნებანი, პირველ ყოფილთა მეფეთა კეთილ ძღუანებულთა
 ანუ ვერას წარმოჩნებულთა შემთხუეულნი წინაგანსაკრძალებუ-
 ლად სახედ არა შემოეხუნეს და არ მოეკმარნეს, ვითარცა იტყუს
 სოლომონ, ვითარმედ: „იცნის ქცეულებანი ჟამთანი, აღსნანი
 იკავთანი და გარდასრულთა შეამსგავსნის მომავალნი“, — არა-
 თუმცა ესენი ესრეთ, კუერთხი მეფობისა ესეოდენ დამდაბლებუ-
 ლი, ესეოდენ ძნელი და ნანდვლვე დიდი განსაგებელი რათა იპყრა
 ესრეთ მალლად, ვითარ ვერვინ სხუამან?“¹ დავით აღმაშენებელს,
 როგორც ნიჭიერ მხედართმთავარს, დიდად განსწავლულ მეფესა
 და ფეოდალიზმის ეპოქის დიდ თეორეტიკოსს, თანამედროვენი
 ადარებდნენ ანტიკური ეპოქის ცნობილ მეფეებსა და ფილოსო-
 ფოსებს. ისტორიკოსს დავით აღმაშენებელი მსოფლიო მასშტაბის
 ისეთ დიდ სახელმწიფო მოღვაწედ მიაჩნია, რომელმაც ბევრი რამ
 გააკეთა ფეოდალიზმის ეკონომიკური წყობილების განვითარები-
 სა და განმტკიცებისათვის, მისი მმართველობის ახალი სისტემის
 შემოღებისა და დანერგვისათვის, მაგრამ დავით აღმაშენებელს
 რომ „სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და პრომთა-
 ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინმცა გენახნეს ნაქმნარნი
 მისნი, უაღრესნი სხუათა ქებულთანი“².

დავით აღმაშენებელმა მსხვილი ფეოდალების წინააღმდეგ მძი-
 მე და შეუპოვარი ბრძოლის პროცესში, დიდი სახელმწიფოებრივი
 რეფორმების (საეკლესიო, სამხედრო, სახელმწიფო და ა. შ.) შე-
 დევად შეძლო საქართველოს გაერთიანება და მისი ავტორიტეტის
 ამაღლება კავკასიის ხალხებში, ფეოდალური დაქუცმაცებულობის
 ლიკვიდაცია და ერთიანი ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო-

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. 1, თბილისი, 1955, გვ. 350—351.

² იქვე, გვ. 359.

ებრივი ხელისუფლების შექმნა და შენარჩუნება. მოითხოვა სამხედრო ძლიერების განმტკიცებასთან ერთად ფეოდალური საქართველოში ამ ახალი ფორმის პოლიტიკური ორგანიზაციის და დამყარების ფეოდალურ სამთავროებზე ამღლებულ სამეფო ხელისუფლების იდეოლოგიის შემუშავება. „ცხადია, რომ რაც უფრო და უფრო მეტად გაიზრდებოდა და გაფართოვდებოდა საქართველოს მეფეების საბრძანებელი, მით უფრო მეტად საჭირო იქნებოდა მეფობის უფლებისათვის მტკიცე და შეურყეველი ნიადაგი მოეპოვებინათ იმიტომ, რომ ქართველ მეფეებს თავიანთი ძლიერებისა და ხელისუფლების განსამტკიცებლად აზნაურებთან უხდებოდათ ბრძოლა... ამ გამწვავებული ბრძოლის მოსაგებად მარტო მკლავ-ხმლის ძალა არ კმაროდა. ქართველ მეფეებს კარგად ესმოდათ, რომ ამისთვის ზნეობრივი ძალაც აუცილებლად საჭირო იყო“¹.

დავით აღმაშენებლის პოლიტიკური მოძღვრება, ისევე როგორც შუა საუკუნეების ეპოქის ყველა ცნობილი მოაზროვნის პოლიტიკური მოძღვრებანი, ვერ ასცდა ფეოდალიზმის ეპოქის ამ საერთო მოვლენას სახელმწიფოს წარმოშობისა და არსის საკითხების განსაზღვრაში. მართლმორწმუნე მეფეს დავით აღმაშენებელს ღრმად სწამს, რომ ღმერთი განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას, მისი ნებით ხდება სამეფო ტახტზე მეფეთა ასვლა და სამეფოთა დამხობა, ღმერთი ანიჭებს მეფეებს მტერზე გამარჯვებას. შუა საუკუნეებში გაბატონებული შეხედულების მიხედვით, ღმერთი არის დაუსაბამო და უსასრულო, იგი აძლევს ადამიანებს გონებას, ცნობიერებასა და მხედველობას. 1123 წელს შიო-მღვიმის მონასტრისადმი ბოძებულ ანდერძში დავით აღმაშენებელი აღნიშნავს: „პირველად შენ, დაუსაბამო და უსასრულო ღმერთო, მოაწიე რისხვამ შენი დაუსრულებლად მის ზედა: ... გონებისა, ცნობისა და ჯედვისაგან ოხერ ყავ იგი, ღმერთო“².

ღმერთი არის შემქმნელი ყოველივე არსებულისა, იგი არის ადამიანებისათვის სიცოცხლისა და წყალობის მომნიჭებელი და ამავე დროს სიკვდილის მომავლინებელიც. დავით აღმაშენებელი ღრმად არის დარწმუნებული, რომ სამეფო ხელისუფლების განხორციელებისას იგი ღმერთის თანაგრძნობითა და წყალობით სარგებლობს, თუმცა რადგანაც შუა საუკუნეების რელიგიურ-სქო-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, თბილისი, 1929, გვ. 116—117.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1965, გვ. 18.

ლასტიკური მოძღვრების მიხედვით ყოველი ადამიანი ცოდვილია და ვით აღმაშენებელსაც არ მიაჩნია თავი უცოდველად. მაგრამ თავისი დიდი სახელმწიფოებრივი საქმეების სამართლიანობის უძლეველობაში დარწმუნებულს სწამს, რომ ყოველის შემთხვევაშიც თი იხსნის მას ამქვეყნიური ცოდვებისაგან. „ვინათგან მსთუადმან წყალობად, და სულგრძელმან მხედველობათა შინა ცოდვათასა და წყალობითა სიყუარულისა თვისისა მიმართ მიმზიდველმან ღმერთმან ჩემ უღირსსა ზედა აჩუენნა მიუწდომელნი ქველის-მოქმედებანი, რომელთათჳს ყოვლად უმაღლომ ესე, ჯერისებრ ვერ-მმადლობელიცა, არა მომიძაგა და არა დააცადა ჩუეულებით წყალობამ დღესდღემდე უგბილსა სულსა ზედა, რომელთამ კერძომ რამემ და ურიცხუთაგან ერთი მიზეზად თხრობისავე მივსცე თხრობასა“¹.

რადგანაც ყოველივე არსებული ღვთაებრივი წარმოშობისაა, ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების იდეოლოგი და ვით აღმაშენებელი ფეოდალური დაქუცმაცებულობის დაძლევის, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა დათრგუნვისა და სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტის ამაღლების მიზნით თავის ამ ზოგად ფილოსოფიური მსოფლმხედველობის განმსაზღვრელ მოსაზრებას მოხერხებულად იყენებს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების წარმოშობის ასახსნელად. მისი მტკიცებით, სამეფო ხელისუფლება ღვთაებრივი წარმოშობისაა, ღმერთი გადასცემს მეფეებს სახელმწიფოებს მართვა-გამგეობისათვის და ამავე დროს იგი უმაღლესი მეფეთა-მეფე და ამქვეყნიური გამგებელია. თავის 1123 წლის ანდერძში და ვით აღმაშენებელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ღმერთისაგან აქვს მინიჭებული სამეფო ხელისუფლება. „თვით იგი ოდეს მარწმუნა მის-მიერ განგებულსა მეფობასა, თჳსითა რამთამე განგებითა არა-უღირს-მჩენელმან შარავანდსა შინა პატიოსანსა უპატიოებისა ჩემისამან, აქაითგანვე აღილო ჳელი სიტკბოებითა თჳსითა განძღებად ჩემდა და თჳთ მეფე მეფეთამ იქმოდა საჭირველთა უჭირველად“². ზუსტად ასეთივე აზრია გამოთქმული და ვით აღმაშენებლის მეორე შრომაში „გალობანი სინანულისანი“, რომელშიც მართლმორწმუნე მეფე ასე მიმართავს ღმერთს: „ბუნებითსა რამ პორფირსა თჳთ მფლობელობასა-თანა, მეფობისაცა შარავანდენი მარწმუნენ“³. როგორც ჩანს, და ვით აღმაშენებლის

¹ ძველი ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 12.

² იქვე.

³ თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, ტფილისი, 1898, გვ. 104.



აზრით, მეფენი ღმერთის მიერ არიან მოვლინებულნი დედამიწაზე და ისინი მხოლოდ ღმერთის ნებით ხელმძღვანელობენ საქმეებზე. სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული უკმაყოფილება ყოველს შემძლე ღმერთის წინააღმდეგ გალაშქრებას ნიშნავს.

ღვთაებრივი წარმოშობის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მეთაური — მეფე თავის ყოველდღიურ საქმიანობაში მოქმედებს ღმერთის სახელით. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ შუა საუკუნეების სიგელ-გუჯრების და სხვა ისტორიული დოკუმენტების შინაარსის გადმოცემაზე მისი შემდგენელი საგანგებო მითითებას აკეთებენ ღმერთზე. ამ მხრივ გამოჩაყლის არც დავით აღმაშენებლის ეპოქა შეადგენს. მისი აზრით, ღმერთი არა მარტო განაგებს სამეფო ხელისუფლების ყოველდღიურ საქმიანობას, არამედ იგი ანიჭებს მეფეებს მტერზე გამარჯვებას, ამას ცხადყოფს მისი 1123 წლის ანდერძი შიო-მღვიმის მონასტრისადმი. 1123 წელს შირვანზე გალაშქრების მიმე დღეების წინ, სამხედრო სამზადისისა და თადარიგით გამოწვეული მოუცლევლობის მიუხედავად, დავით აღმაშენებელი საგანგებოდ ეწვევა წმინდა შიოს მონასტერს და შესთხოვს ღმერთს ვერაგ მტერზე გამარჯვებას: „ნებითა ღმერთისაითა მე დავითს მიწყეის. ეამსა ჩემსა შარვან(სა ზედა) გა(ნმა)რთვისასა შევევედრე შეწევნად ჩემდა შესავედრებელსა ჩემსა წმიდასა მამას შიოს. ვიხილე ეკლესიაჲ ჩემ-მიერ აღმაშენებული (და)სრულებულად და მივიღე ლოცვა ყოველთა მამათაჲ“¹.

სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის თეორია არსებითად განსაზღვრავს დავით აღმაშენებლის მოსაზრებებს საერო და საეკლესიო ხელისუფლებას შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების საკითხში. დავით აღმაშენებელი დარწმუნებულია, რომ ეკლესიები და მონასტრები ფეოდალურ საზოგადოებაში ის უმთავრესი პოლიტიკური დაწესებულებებია, რომლებიც განსაზღვრვენ ქვეშევრდომთა სულიერი ცხოვრების ყველა მხარეს და სწორედ ამიტომ ეკლესიები და მონასტრები წარმოადგენენ შუამავლებს ღმერთსა და ქვეშევრდომებს შორის, მაგრამ ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების იდეოლოგიის დავით აღმაშენებლის აზრით, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ სასულიერო ხელისუფლება საერო ხელისუფლებაზე მაღლა დგას. დავით აღმაშენებლის პოლიტიკური მოძღვრების მიხედვით საერო და საეკლესიო ხელისუფლებას შორის ურთიერთდამოკიდებულებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას აქვს, რომ საერო ხელისუფ-

¹ ძველი ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 11, გვ. 12.

ლება, რომელსაც მეფე ახორციელებს, ღვთაებრივი წარმოსობისაა, იგი გამოხატავს ღმერთის ნებას და მოქმედებს მისი სახელით ამის გამო, ღმერთის ნების გამოხატველი საერო ხელისუფლებას სასულიერო ხელისუფლებაზე არა მარტო მაღლა უნდა ადგეს, არამედ ვალდებულია ჩაერიოს საეკლესიო ხელისუფლების საქმეში და ღმერთის ნების შესაბამისად მოაწესრიგოს იგი, თუ ამის საჭიროება არსებობს. დავით აღმაშენებლის მხოლოდ ამ პოლიტიკური მოსაზრებებით უნდა აიხსნას, ჯერ ერთი, 1103 წელს სამეფო ხელისუფლების მიერ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევა, რომელიც მიზნად ისახავდა თურქ-სელჩუკთა ბატონობით ქართველთა შორის შერყეული ზნეობის აღდგენას და, გარდა ამისა, მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის თანამდებობების შეერთება, რითაც პრაქტიკულად განხორციელდა საერო ხელისუფლებისადმი საეკლესიო ხელისუფლების დაქვემდებარების იდეა.

დავით აღმაშენებლის მიერ ფეოდალურ საქართველოში განხორციელებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნები განსაზღვრულია მისი პოლიტიკურ მოძღვრებათა მწყობრი და თანმიმდევრული სისტემით, რომელშიც უმთავრესი ადგილი საერო ხელისუფლების უმაღლესობის საკითხს უკავია. დამახასიათებელია, რომ დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ მოძღვრებაში საერო ხელისუფლების უმაღლესობის იდეა ფეოდალიზმის მმართველობის მანამდე უცნობი ფორმის — აბსოლუტიზმის პრინციპამდეა აყვანილი. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის ამ მეტად ახალი და თავისებური მხარის შესახებ პირველად აკად. ივ. ჯავახიშვილმა მიუთითა, რომელიც აღნიშნავს, რომ ფეოდალური „საქართველოს მეფის პიროვნება მთავრობის მომხრე წრეებმა გააღმერთეს, ხოლო მის უფლებას ზეციური ძლიერება და უცოდველობის თვისება მიანიჭეს. რაკი საქართველოს მეფეები და მათი თანამოაზრენი ასეთ შეხედულებას მისდევდნენ, ცხადია, მეფეები თავიანთ თავს სრულ თვითმპყრობელებად ჩასთვლიდნენ და კეისრობის ძლიერობის მოხვეჭასაც მოინდომებდნენ“¹.

მართლაც, ფეოდალურ საქართველოში აბსოლუტიზმის იდეები ფართოდ ვრცელდება ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისათვის ბრძოლის დაწყებასთან დაკავშირებით, მაგრამ ლმობიერი და სუსტი ნებისყოფის მქონე მეფის, გიორგი მეორის დროს, ამ იდე-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაწ. II, გვ. 123.



ებმა პრაქტიკული განხორციელება ვერ პოვა. მხოლოდ დავით აღ-
მაშენებლის მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის ინტერესების
შექმნილ მრავალეროვან სახელმწიფოში გახდა შესაძლებელი მისი
ოდალიზმის მმართველობის განსაზღვრული ფორმის — აბსოლუ-
ტიზმის პრინციპების მიხედვით სახელმწიფოებრივი წყობილების
გარდაქმნა და აბსოლუტიზმის პოლიტიკური იდეოლოგიის საბო-
ლოდ შემუშავება.

დავით აღმაშენებელმა მის მიერ შემუშავებული საზოგადოებ-
რივ-პოლიტიკური რეფორმების განხორციელების შედეგად შექმნა
აბსოლუტიზმის პრინციპებზე დამყარებული სახელმწიფოებრივი
მმართველობის მტკიცე სისტემა, რომლის მექანიზმი რთულია არა-
მარტო თავისი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკურ-კულტუ-
რული დაწესებულებების ქსელით, არამედ ამ მექანიზმის შემად-
გენელი ორგანოების ფუნქციებითაც. აბსოლუტური სახელმწიფოს
მრავალფეროვანი ორგანოების ამ ფუნქციების შესახებ XII საუკუ-
ნის ფეოდალურ საქართველოში უკვე ჩამოყალიბდა სრულიად
თანმიმდევრული მოძღვრება, რომელიც შემოგვინახა დავით აღმა-
შენებლის ისტორიკოსის თხზულებამ. დავითის მემატთანე წერს:
„ვითარ ვინ აღრაცხნეს რაოდენნი საქმენი ეთხოვებიან მეფობასა,
რაოდენნი მართებანი და განსაგებელნი, კიდეთა პყრობანი, ნაპირ-
თა ჭირვანი, განხეთქილებათა კრძალვანი, სამეფოსა წყნარებისა
ლონენი, ლაშქრობათა მეცადინეობანი, მთავართა ზაკვისა ცნობა-
ნი, მკედართა განწესებანი, საერონი შიშნი, საცელოთა და საბჭოთა
სჯანი, საჭურჭლეთა შემოსავალი, მოციქულთა შემთხუევანი და
პასუხნი, მეძღუნეთა ჭეროვანი მისაგებელნი, შემცოდეთა წყა-
ლობითნი წურთანი, მსახურებელთა ნიჭ-მრავლობანი, მოჩივართა
მართალნი გამოძიებანი, მოსაკითხავთა შესატყვისნი მოკითხვანი,
სპათა დაწყობანი და ღონიერნი მიმართებანი“¹.

დავით აღმაშენებელი სამეფო ხელისუფლების განხორციელე-
ბისას აბსოლუტიზმის იდეებით ხელმძღვანელობს. სახელმწიფოებ-
რივი ხელისუფლების საშუალებით იგი აქტიურად ერევა საზოგა-
დოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, ღვთაებრივი წარმოშობის
სამეფო ხელისუფლების ინტერესების შესაბამისად აწესრიგებს
საზოგადოებრივ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მრავალეროვანი
ცენტრალიზებული ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა და-
წესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობას. დავითის აბსო-
ლუტისტური იდეები შესანიშნავად აქვს გადმოცემული თავის

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. 1, 1955, გვ. 351.

თხზულებაში მის ისტორიკოსს, რომელიც, ეხება რა დავით აღმაშენებლის განუსაზღვრელი, აბსოლუტური ხელისუფლების ჩატარებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, აღნიშნავს: „აღმაშენებლის იდეაში ვინ აღმოწყუნეს სიტყვათა უფსკრულისაგან სამეფოთა საქმეთასა, რომელთა შინა ვერვინ ძუელთა და ახალთაგან მეფეთა ემსგავსა“¹, ე. ი. სამეფო ხელისუფლების მოვალეობანი უფსკრულსა ჰგავს, და ვინ უგუნური იქნება, ამ უფსკრულის ძირი იპოვნოს და სიღრმე გაზომოს. აბსოლუტისტური სამეფო ხელისუფლების შეუზღუდველობას და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგებში მისი ჩარევის განუსაზღვრელობას დავით აღმაშენებლის მემკვიდრე უძირო უფსკრულს ადარებს და ამ შესანიშნავი მხატვრული შედარებით მოკლედ და ლაკონურად აქვს დახასიათებული აბსოლუტიზმის პოლიტიკური მოძღვრება.

აბსოლუტიზმის პრინციპებზე დამყარებული ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შექმნის იდეები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში რენესანსის ეპოქაში ჩაისახა და თავისი გამოხატულება პოვა XIV საუკუნის ისეთი დიდი მოაზროვნეების პოლიტიკურ მოძღვრებებში, როგორიც ნ. მაკიაველი, ჟან-ბოდენი და სხვებია. მაგრამ აბსოლუტიზმის იდეებმა პრაქტიკული განხორციელება განსაკუთრებული ისტორიული პირობების გამო გვიან პერიოდში პოვა, როდესაც ფეოდალიზმის ეპოქაში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დაიწყო მრავალეროვანი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრიობის შექმნა და ჩამოყალიბება. დავით აღმაშენებლის პოლიტიკური მოძღვრებანი, რომელთა მთავარ საფუძველს აბსოლუტიზმისა და ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შექმნა წარმოადგენს, აღმოსავლეთის რენესანსის მთავარი პოლიტიკური მოთხოვნაა, რომლის ძირითადი იდეების შემუშავება ფეოდალურ საქართველოში დაიწყო დავით აღმაშენებლამდე, ბაგრატ მესამის მეფობიდან დაწყებული“². აბსოლუტიზმის იდეების სრული განვითარება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი პრაქტიკული განხორციელება მოხდა დავით აღმაშენებლის მეფობისას. აბსოლუტიზმის პოლიტიკური მოძღვრება ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების ეროვნულმა თავისებურებებმა განსაზღვრა. ამიტომაც მისი ხასიათი ქართული სახელმწიფოებრიობის ინიციატივით შექმნილ მრავალ-

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 351.

² იხ. სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გამოსცა ე. თაყაიშვილმა, 1949, § 82, გვ. 68.

ეროვან სახელმწიფოში მხოლოდ საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ადრინდელი რენესანსის პერიოდში რეალური გარემოებებით უნდა აიხსნას. ჰუმანიზმი და კაცობრივობის რჯულშემწყნარებლობა და სხვა ერებისადმი პატივისცემა, წინანდელი ეპოქების განათლებულ მხედართმთავართა და მეფეთა გამოცდილებისა და სახელმწიფოს მართვის შესახებ მეცნიერების გათვალისწინება სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელებისას, სხვადასხვა პოლიტიკურ-რელიგიური და ფილოსოფიური მიმართულებების წარმომადგენელთაგან სწავლულთა რაზმის შექმნა, ქვეყანაში განათლებისა და კულტურის დანერგვა, ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება და საგარეო თუ საშინაო ურთიერთობაში პატრიოტულ ძალებზე დაყრდნობა, გვაროვნული წარმოშობის უარყოფა და ნიჭისა და პირადი უნარის მიხედვით აღამიანთა დაფასება. — აი ის ძირითადი თავისებურებანი, რითაც ხელმძღვანელობდა დავით აღმაშენებელი განათლებული აბსოლუტიზმის იდეებზე მრავალეროვანი სახელმწიფოს მოწყობისას. სწორედ ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია გავიზიაროთ ნ. ურბნელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს თვითმპყრობელობის იდეამ ფეოდალურ საქართველოში შემოაღწია ბიზანტიიდან, რომელსაც ქვეყანა მჭიდროდ დაუახლოვდა არაბთა ბატონობის ეპოქაში¹. მართლაც, ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოები მონარქის შეუზღუდველი უფლებებით არსებობდნენ არა მარტო ბიზანტიაში, არამედ უფრო ადრე ძველ ბაბილონში, ეგვიპტესა და ძველი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. მაგრამ ამ ქვეყნებში ჩამოყალიბებული პოლიტიკური რეჟიმის მიხედვით, ეს სახელმწიფოები თავისი ფორმით ტირანიას უფრო წაგავდნენ, ვიდრე მონარქიას. ამ მხრივ გამონაკლისს არც ბიზანტია წარმოადგენდა². დავით აღმაშენებლის მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის ინიციატივით მრავალეროვან ცენტრალიზებულ საერთო კავკასიურ სახელმწიფოში შექმნილ ფეოდალიზმის მმართველობის ამ ახალ ფორმას კი განათლებული აბსოლუტიზმის ხასიათი ჰქონდა.

დავით აღმაშენებელი ფეოდალიზმის იდეოლოგი და დამკვეცელია, ამიტომაც სახელმწიფოს ყველაზე უკეთეს ფორმად მას მხოლოდ მონარქია მიაჩნია, თუმცა დავით აღმაშენებლის დიდი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ანალიზი იმაზე მიუთითებს, რომ იგი იცნობს ფეოდალური სახელმწიფოა სხვა ფორმებსაც, კერძოდ,

¹ ნ. ურბნელი, მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო (ტურნ. „დროება“, 1894, № 1, გვ. 28).

² Анна Комнина, Алекснада, М., 1965, გვ. 9.

ტირანიასა და რესპუბლიკურ წყობილებას. დამახასიათებელია, რომ საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ტიპურ ფორმას ფეოდალიზმის ეპოქაში ყველგან მონარქია წარმოადგენს. უფრო ადრეულ საზოგადოება, რომლის ეკონომიკური საფუძველი მკაცრად დალაშქრებული საკუთრებაა, თავისი კლასობრივი ინტერესების განხორციელების ყველაზე მისაღებ ფორმად, რა თქმა უნდა, მონარქიულ წყობილებას მიიჩნევს. საქმე ის არის, რომ ფეოდალიზმის ეპოქაში საზოგადოების პოლიტიკური ძლიერების საფუძველს მიწაზე საკუთრება განსაზღვრავს. ვისაც მეტი საკუთრება გააჩნია მიწაზე, იგი მეტი პოლიტიკური ძლიერების მქონეა. ამ გარემოებით უნდა აიხსნას ფეოდალურ საზოგადოებაში სოფლის ბატონობა ქალაქზე და ფეოდალური სახელმწიფოების ის აგრესიული პოლიტიკაც, რომელიც სხვა ქვეყნების ტერიტორიების მიტაცებას ისახავდა მიზნად. მართალია, ფეოდალიზმის ეპოქაში გვხვდება სახელმწიფოს სხვა ფორმაც, კერძოდ რესპუბლიკურ პრინციპებზე დამყარებული სახელმწიფოს ფორმა, მაგრამ მისი წარმოშობა ყველგან გამოიწვია არა ფეოდალური საზოგადოების ეკონომიკური ბაზისის განმსაზღვრელმა ურთიერთობებმა, არამედ ანტიფეოდალური ელემენტების არსებობამ.

სწორედ ამიტომ დავით აღმაშენებელი, როგორც ფეოდალიზმის იდეოლოგი, რა თქმა უნდა, უპირატესობას სახელმწიფოს მონარქიულ ფორმას ანიჭებს. დავით აღმაშენებელი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ის დიდი ისტორიული მისია, რომელიც ღმერთმა ფეოდალურ საქართველოს დააკისრა — კავკასიის ხალხების განთავისუფლება უცხოელ მოძალადეთა ბატონობისაგან, მრავალეროვანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა, ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობების დაცვა და განვითარება — შესაძლებელია მხოლოდ ცენტრალიზებული მონარქიული წყობილების არსებობის პირობებში. დავით აღმაშენებელი ვერ ითმენს მის მიერ შექმნილ მრავალეროვან სახელმწიფოში მონარქიისაგან განსხვავებულ და რესპუბლიკურ პრინციპებზე აგებულ თავისუფალ ფეოდალურ ქალაქებს და მძიმე, მაგრამ შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებს თბილისის წინააღმდეგ, სადაც ჯაფარიდების დინასტიის განდევნისა და ამოწყვეტის შემდეგ დავით აღმაშენებლის დაპყრობამდე თავისი არსებობის უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში რესპუბლიკური წყობილება არსებობდა¹.

¹ ვ. ფუთურიძე, არაბი ისტორიკოსის ცნობები XII ს. თბილისის შესახებ, „ენიშის მოამბე“, ტ. XIII, 1943, გვ. 143; გ. წერეთელი, არაბული ქრესტომათია, თბილისი, 1949, გვ. 7. შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბილისი, 1962, И б и - а л - А з р а к а л - Ф а р и к, Из «Истории Майяфарикша» (Труды Института истории АН Аз. ССР, XII, 1957, гв. 222. 6. ვ. აბაშაძე

დავით აღმაშენებელი მემკვიდრეობითი მონარქიის მომხრეთა გარდაცვალების წინ, 1125 წელს შედგენილი ანდერძით დადგინდა აღმაშენებელი სამეფო ხელისუფლებას გადასცემს თავისი ძეგლის ვაჟიშვილს დემეტრეს და ამავე დროს რჩევას აძლევს იმ სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელების თაობაზე, რომელიც მის მიერ იქნა შემუშავებული წლების განმავლობაში. დავით აღმაშენებელი წერს: „აწ შულმან ჩემმან მეფემან დიმიტრი სრულ ჰყოს ყოვლითურთ საუკუნოდ (სალოცავად) ჩემთვის და მისთვის და მომავალთა ჩემთათვის; რომელი მიმიცემია, მისგან ნურას მიაკლებს და ადგილნი, რომელნი მიშოვებიათ უმკვდრონი და უმამულონი, მათგანნიცა ვითარცა ბერმან არსენი და კათალიკოზმან გამთარჩიონ, მეფემან დიმიტრი მიცემითა წერათა და სიგელთა განასრულონ ყოველითურთ უნაკლოდ“¹. ამავე ანდერძიდან ისიც ჩანს, რომ, მართალია, დავით აღმაშენებელი უფროს შვილს დემეტრეს უტოვებს სამეფო ტახტს, მაგრამ ტახტის მემკვიდრეთა წრიდან იგი არ გამოირიცხავს თავის მეორე შვილს ვახტანგს, რომელიც დავით აღმაშენებლის გარდაცვალებისას მცირეწლოვანი იყო. ამ ანდერძში ნათქვამია: „და მივანდუშნ შულნი და დედოფალიცა, შუამდგომლობითა ღუთისათა, რათა ძმა მისი გაზარდოს და თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ იყოს ცუტა, შუამდგომად მისსა მეფე ჰყოს მამულსა ზედა და დათა მისთა პატივ სცეს, ვითარ შულთა ჩემთა საყუარელთა“².

დავით აღმაშენებლის აზრით, მონარქი უნდა იყოს განათლებული, ჰუმანიستي, მართლმსაჯული და ქვეშევრდომთა მოწყალე. განათლებული აბსოლუტიზმის ამ ნიშნების მიხედვით დავით აღმაშენებელი მონარქიას ასხვავებს ტირანიისაგან. მისი აზრით, ტირანთა გულქვაობა, სისასტიკე, შეუბრალებლობა და ძალადობა არღვევს სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის პრინციპებს და სწორედ ამიტომ ღმერთი ტირანებს ყოველთვის მიაგებს სამაგიეროს. დავით აღმაშენებლის მიერ 1103 წელს მოწვეულ რუის-ურბნისის კრების დადგენილებაში ნათქვამია, რომ ღმერთმა „გულფიცხელობასა ფარაოჲსსა, უსახურებასა მეგვბტელთასა: უცხოთა მძლავრებათათს, უცხოჲ მიუგო მისაგებე-

¹ თ. კორდანი, ქრონიკები, III; გვ. 52.

² იქვე, გვ. 51.

ლი¹. თუ გავითვალისწინებთ, რომ „მძლავრი“ ძველ ქართულში ნიშნავს ტირანს, დესპოტს², მაშინ ცხადი გახდება, რომ სახელმწიფოს სხვა ფორმათა შორის დავით აღმაშენებელს ტირანულ ლაზე უარეს ფორმად მიაჩნია.

დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო ფეოდალური დაქუცმაცებულობის ლიკვიდაციისა და ცალკეულ სამთავროებზე სამეფო ხელისუფლების ამალღებისაკენ, ძირითადად განსაზღვრავს მის სამართლებრივ შეხედულებებს, რომლებსაც თავისი დროისათვის უარესად პროგრესული ხასიათი ჰქონდა. დავით აღმაშენებელი, იმისათვის რომ აამაღლოს დაქუცმაცებულ ფეოდალურ სამთავროებზე გაბატონებული სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტი და ხაზი გაუსვას სამეფო ხელისუფლების მიერ დადგენილი სამართლებრივი ნორმების უპირატესობას, ფეოდალური დაქუცმაცებულობის დროს არსებულ სამართლებრივ პარტიკულარიზმთან შედარებით იყენებს ბუნებითი სამართლის პროგრესულ მოძღვრებას. 1103 წლის რუის-ურბნისის კრების დადგენილებასა და XII საუკუნის ლიტერატურულ შედეგში „გალობანი სინანულისანი“ მოცემულია დავით აღმაშენებლის ბუნებითი სამართლის მოძღვრების მწყობრი და თანმიმდევრული სისტემა.

უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალური საქართველოს სამართლის ისტორიაში ბუნებითი სამართლის მოძღვრება სრულებით შეუსწავლელია, თუმცა მისი არსებობის შესახებ ზოგადი მითითება პირველად აკად. ივ. ჯავახიშვილმა მოგვცა³. მაგრამ აკად. ივ. ჯავახიშვილის ეს მოკლე მითითება ფეოდალურ საქართველოში ბუნებითი სამართლის მოძღვრების საფუძვლიანი გამოკვლევის გარეშე, რა თქმა უნდა, არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში, რომელიც შეისწავლის მსოფლიოს ყველა ქვეყნის მოწინავე და ორიგინალურ სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ შეხედულებებს, გამოხატულება პოვოს ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური განვითარების თავისებურებებით წარმოშობილმა ბუნებითი სამართლის მოძღვრების არსებობის ფაქტმა საერთოდ.

¹ თ. უორდანი, ქრონიკები, გვ. 56.

² იხ. ი. იმნაიშვილი, საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, თბილისი, 1966, გვ. 184; ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, თბილისი, 1963, გვ. 193.

³ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 43.

დავით აღმაშენებელი სამართლის ნორმებს, რომლითაც უხვად იხელმძღვანელონ ადამიანებმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კატეგორიად ყოფს: ბუნებითი, ღვთაებრივი და დადგენილი. „გალობანი სინანულისანი“, რომელიც შეიცავს მართლმორწმუნე დავით აღმაშენებლის აღსარებას ღმერთის მიმართ მის მიერ ჩადენილი საქმეების თაობაზე და ზოგჯერ უმართებულო თვითბრალდებებსაც, იგი აღნიშნავს, რომ თითქოს მან ფეხქვეშ გათელა და არ შეასრულა არა მარტო ბუნებითი სამართლის, არამედ ღვთაებრივი სამართლის მოთხოვნებიც და დაემონა ხორციელი, ამქვეყნიური გატაცებებისა და ინტერესების მიხედვით სახელმწიფოებრივ ხელისუფლების მიერ დადგენილ სამართალს. „სჯულნი დაფორგუნენ წიგნისაჲ და ახალი ბუნებითი, და კუალად სხუად სჯულისა შენისა მოწამე, სჯული ბუნებისა და ჯორცთამსა და ჯორცთა სჯულსა დავემონე“¹. დავით აღმაშენებლის აზრით, ბუნებითი სამართლის ნორმებს სხვა სამართლის ნორმებს შორის იერარქიულად ყველაზე მაღალი მდგომარეობა უკავია. ბუნებითი სამართალი გამოხატავს იმ შემოქმედის ნებას, რომელმაც შექმნა სამყარო და ადამიანებს მიუჩინა თავისი ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამასთან ერთად შემოქმედმა, ე. ი. „არა არსისაგან არსებად მომყვანებელმან ღმერთმან“ ადამიანებს დაუწესა სამართალი, რომელიც, ემყარება რა მხოლოდ შემოქმედის ნებას, განსაზღვრავს მის მიერ შექმნილ სამყაროში ადამიანთა ბუნებას.

მაგრამ დროთა განმავლობაში ადამიანებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ შემოქმედის მიერ მათთვის მოწყობილ სამოთხეში, თანდათანობით დაარღვიეს და არ შეასრულეს შემოქმედის ნების გამოხატველი ბუნებითი სამართლის ნორმები. „გარნა ვინათგან, ნიეთად თვთ მფლობელისა მოცემული მისდა სჯული წინა უკუმოდ სალოთისა ნებისა იჯუმია“, რის გამო „შურითა ეშმაკისათა და განმცდელიობითა დედაკაცისაჲთა ცთომილი, ძელისა მისგან ცხორებისა და სამოთხისა და ღთისა, სიბოროტისათუს, ექსორია იქმნა და სიკუდილითა და ხრწნილებითა დასჯილი, ბევრეულთა ნებათა და ძერთა მიერ უფლებულ იქმნა“. სწორედ ამის შემდეგ ყველა ადამიანი ამ ქვეყანაზე ცოდვილია. დავით აღმაშენებლის აზრით, შემოქმედმა ადამიანებს ამ შეცოდებისათვის მრავალი სასჯელი მოუვლინა. „გარნა ვერცა ერთი რაჲ პირველ თქმულთა ამათგანი შემძლებელ იქმნა კურნებად ბუნებისა: გინა თუ მტანჯველობითთა და

¹ თ. უორდანი, ქრონიკები, II, გვ. 105.

საშინელებათა, ანუ ქველის მოქმედებითა სიტკობებათაგანი რომელთა თანა სჯულნიცა უქმ იყვნენ“¹.

ამრიგად, დავით აღმაშენებლის აზრით, შემოქმედის ნებისმიერი მომხატველი ბუნებითი სამართლის ნორმებში მოცემულ წესებს ადამიანებმა ფეხქვეშ გათელეს, შემოქმედმა მათ ამ შეცოდებისათვის მრავალგზის მოუვლინა წარღვნა, მაგრამ ამით ვერ შეძლო ბუნებითი სამართლის ნორმებისადმი ადამიანთა დამორჩილება, შემოქმედის ნების გამომხატველი ეს მოთხოვნები კვლავ გაუგებარი დარჩა ადამიანთათვის, სწორედ „ამისთვის თუთ გუამივანი იგი სიბრძნე და ძალი. და თანა არსი ღ~თისა მამისა სიტყუაჲ, რომელი დასაბამად იყო. და ღ~თისა თანა იყო, და მარადის იყო: მოვიდა ხატისა თვისისა. და უხრწნელთა მათგან და ყოვლად უბიწოთა სისხლთა, ჭეშმარიტებით და საკუთრად ღთისამშობლისა მარადის ქალწულობათა, კორცნი შეიმოსა კორცთათვის, და სულსა გონიერსა და სიტყვმრსა შეეზავა სულისათვის ჩემისა (ჩუფნისა?), მსგავსითა მსგავსსა განწმედად“². ამრიგად, შემოქმედმა უკანასკნელ ღონეს მიმართა და ადამიანებს თავისი ნების საქადაგებლად მოუვლინა ღმერთი ადამიანის სახით, რომელიც არის შემოქმედის ხატი. ქრისტე მოვიდა ამ ქვეყანაზე, როგორც ადამიანი „მსგავსითა მსგავსსა განწმედად“ და „ამისთვის იქმნა განკაცებაჲ ღ~თისა“³, რომ შემოქმედის მიერ მოვლინებული ღმერთი თავის მოწაფეებთან ერთად „განეფინნეს რაჲ კიდეთა ქუჭყანისათა, ყოველი ნივთი კერპბორგნელისა უღმთოებისაჲ, მახვლითა სულისაჲთა მოჰრეს. და ცეცხლით სარწმუნოებისაჲთა მოწუტს: და ერქუნითა ჭუარისაჲთა მოიორნატნეს გულნი შემწყნარებელთა კაცთანი“⁴. შემოქმედის მიერ მოვლენილმა ღმერთმა მთელს ქვეყანაზე „წარავლინა ათორმეტნი მოწაფენი თვისნი, რომელთაცა მოციქულად უწოდა“⁵ და ისინი შეუდგნენ ქადაგებას მათი მომავლინებლის ინტერესთა შესაბამისად. ღმერთი და მისი მოწაფეები ასწავლიდნენ ადამიანებს ყოველდღიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ერთმანეთთან, აგრეთვე ბუნების მოვლენებთან ურთიერთობის წესებს, რომელთა ერთობლიობა, დავით აღმაშენებლის აზრით, შეადგენს ღვთაებრივ სამართალს. ღვთაებრივი სამართალი, მისი შეხედულებით, არის სამართლის მეორე სახე.

¹ თ. ეორღანიძე, ქრონიკები, 11, გვ. 56.
² იქვე, გვ. 57.
³ იქვე, გვ. 61.
⁴ იქვე, გვ. 57.
⁵ იქვე.

დავით აღმაშენებლის აზრით, ბუნებითი და ღვთაებრივი სამართლის გარდა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქმედებს დადებითი, პოზიტიური სამართლის ნორმები, რომლებიც ნილია სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მიერ. სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მიერ დადგენილი სამართლებრივი ნორმები უნდა გამოხატავდნენ ბუნებითი სამართლის ნორმებს, ისევე როგორც ამ უკანასკნელს შეესაბამება ღვთაებრივი სამართალი. ღვთაებრივი სამართლისაგან განსხვავებით, რომელიც დადგენილია საეკლესიო ხელისუფლების მიერ და გადმოცემულია დაწერილი სახით საღვთო წიგნებში, პოზიტიური სამართალი საერო ხელისუფლების საკანონმდებლო საქმიანობის შედეგს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ დადებითი სამართლის ნორმები სამეფო ხელისუფლების ინტერესებს გამოხატავს, მისი შინაარსი ღმერთის ნებით არის განსაზღვრული იმ უბრალო მიზეზით, რომ შუა საუკუნეებში გაბატონებული რელიგიური იდეოლოგიის თანახმად, სამეფო ხელისუფლება, რომელიც ადგენს დადებითი სამართლის ნორმებს, თვით არის ღვთაებრივი წარმოშობისა. დავით აღმაშენებლის შესახებ რუის-ურბნისის კრების დადგენილებაში ნათქვამია, რომ შემოქმედის მიერ მოვლინებულმა ღმერთმა შეაერთა ქრისტიანნი და სწორედ ღმერთს „კეთილად ებაძვა შურსა ჩუენიცა ეს, გურგვოსანი: მრჩობელ მარჯუმე და შეყუარებული. გვრგვნი (თავისაჲ) და სასურველი ძე დავითი“¹. შუა საუკუნეების ძეგლში „გალობანი სინანულისანი“ დავით აღმაშენებელი თვითონ გადმოგვცემს, რომ სამეფო ხელისუფლება ღმერთისაგან აქვს მინიჭებული. იგი მუხლმოდრეკილი ღმერთსა „კმობს აღსარებასა“ და მიმართავს: „ხატსა თუსსა მამსგავსე... ბუნებითსა რაჲ პორფირისა თვთ მფლობელობასა — თანა, მეფობისაცა შარაევანდენი მარწმუნენ“².

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ვეხებით დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“ მიხედვით მისი პოლიტიკური მოძღვრების სხვა შემადგენელ ნაწილებს, მხედველობაში უნდა მივიღოთ ამ ნაწარმოების მეტად თავისებური და ორიგინალური შინაარსი. მაშინ როდესაც ჩვენამდე მოღწეული ისტორიული წყაროების მიხედვით, დავით აღმაშენებელი არის არა მარტო ძლიერი ნებისყოფისა და მტერთათვის შიშის მომგვრელი მეფე, არამედ იგი ამავე დროს ცნობილია როგორც რჯულშემწყნარებ-

¹ თ. ქორდანია, II, გვ. 104.

² იქვე.

ლი, მართლმსაჯული, ქვრივთა და ღარიბთა დამხმარე, სამართლიანობისა და მშვიდობის დამცველი, თავისი დროის დიდი ჰუმანიტარული ფილოსოფოსი. „გალობანი სინანულისანი“, გამომდინარეობს იქიდან, რომ შუა საუკუნეებში გაბატონებული რელიგიური მოძღვრების მიხედვით — ყველა ადამიანი დასაბამითავე ცოდვილია, შეიცავს უსაზღვრო ბრალდებებს, რომელთაც მართლმორწმუნე მეფე თავის თავს უყენებს გარდაცვალების წინ. ეს ძეგლი მასში ჩამოყალიბებული თვითბრალდებებით ქრისტიანული საეკლესიო სვედით განსაზღვრული მსოფლმხედველობის გამოხატველია და ცოდვებისაგან სულის განწმენდისა და ხორცის უარყოფის რელიგიურ მოძღვრებას ემყარება. ამ მხრივ იგი არაფრით განსხვავდება ანალოგიური ქანრის რელიგიური წიგნებისაგან, მათ შორის ანდრია კრეტელის „დიდი კანონის“ და ბიბლიური სოლომონის „ეკლესიასტესა“ და „ქებათა-ქებასაგანაც“¹.

მიუხედავად ამ თავისებურებისა, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ შუა საუკუნეების უმნიშვნელოვანესი ისტორიული ძეგლია, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს არა მარტო ფეოდალური საქართველოს მრავალი სამართლებრივი ინსტიტუტის, არამედ დავით აღმაშენებლის პოლიტიკური მოძღვრების დღემდე შეუსწავლელი ბევრი საკითხის შესახებაც.

დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ მოძღვრებათა სისტემაში ყველაზე დიდი ადგილი უკავია ბუნებითი სამართლის მოძღვრებას, რომელიც მის მიერ შექმნილ ძლიერ ცენტრალიზებულ მრავალეროვან სახელმწიფოში მეფის აბსოლუტური ხელისუფლების შექმნისა და განმტკიცების თეორიულ საფუძველს შეადგენს. ქვეყანაში ფეოდალური დაქუცმაცებულობის ლიკვიდაციის შედეგად ცალკეულ სამთავროებზე ამალეებული სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტის განსამტკიცებლად, დავით აღმაშენებელი მის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს შემოქმედის ნებით განსაზღვრული ბუნებითი სამართლის გამოხატულებად მიიჩნევს. სწორედ ამიტომ დავით აღმაშენებლის აბსოლუტისტური სამეფო ხელისუფლება და მისი შესაბამისი იდეები შუა საუკუნეების ფეოდალურ საქართველოში უაღრესად პროგრესული და ახალი იყო.

მართლაც, დავით აღმაშენებლის ძლიერი სამეფო ხელისუფლე-

¹ იხ. А. Гзелиев, „Дзеглис Цера“ (Хартия) грузинского царя Давида Возобновителя, Тифлис, 1898, გვ. 6; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 600; მ. კაკაბაძე, დავით აღმაშენებლის და დემეტრე მეფის ლირიკა (ყურნ. „მნათობი“, 1962, № 4, გვ. 137).

ბის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ფეოდალური დაქვეითების
ლობის ლიკვიდაცია და ქვეყნის ცენტრალიზაცია, უცხოეთის
პყრობთა განდევნა და კავკასიის უზარმაზარ ტერიტორიულ-საზღვრო
რეზერვების სარწმუნოებისა და ეროვნების მქონე ქვეყნებში
ქართული სახელმწიფოებრიობის ინიციატივით უძლიერესი მრავალ-
ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნის განხორციელება და
ა. შ. დავით აღმაშენებელი ფეოდალური საქართველოს შემდგომი
აღმავლობისა და გაძლიერების, საერთაშორისო ასპარეზზე მისი
ავტორიტეტის ამაღლების უმთავრეს საშუალებად მიიჩნედა მო-
ნარქიული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას აბსოლუტიზმის
პრინციპებზე. სწორედ ამიტომ თითქმის ყველა ქვეყანაში, რომელსაც იგი
ფეოდალურ საქართველოს უმორჩილებდა, ნერგავდა და ამტკიცებდა
მონარქიულ-აბსოლუტიზმის ხელისუფლებას. დავით აღმაშენებლის
რთული და მრავალფეროვანი სახელმწიფოებრივი საქმიანობის
ანალიზი ცხადყოფს, რომ იგი ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ითმენს
სახელმწიფოებრივი წყობილების სხვა ფორმას და როცა ამას
ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური ინტერესები მოითხოვენ,
შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებს მის წინააღმდეგ. დავით
აღმაშენებელი წარმატებით აგრძელებს მისი სახელოვანი
წინაპრების მიერ დიდი ხნის წინათ დაწყებულ ბრძოლას საქართველოსაგან
პოლიტიკურად ჩამოშორებული თბილისის წინააღმდეგ, სადაც,
როგორც ისტორიული წყაროები ცხადყოფს, ჯაფარიდების
დინასტიის წარმომადგენელთა განდევნისა და ამოწყვეტის
შემდეგ დავით აღმაშენებლის დაპყრობამდე მისი არსებობის
უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში რესპუბლიკური
წყობილება პყვავდა. დავით აღმაშენებელი ვერ ითმენს
აბსოლუტიზმის პრინციპებზე აგებული ფეოდალური საქართველოს
ტერიტორიაზე თბილისში არსებულ რესპუბლიკურ წყობილებას და
თანმიმდევრულ ბრძოლას აწარმოებს მის შემოსაერთებლად. ამ
ბრძოლის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა დიდგორის ომმა, რასაც
შემდეგად მოჰყვა რესპუბლიკური თბილისის შემოერთება ფეოდალურ-
მონარქიული საქართველოსათვის.

ფეოდალურ-მონარქიულ საქართველოსა და რესპუბლიკურ თბილისის შორის
წლების განმავლობაში არსებული გააფთრებული ბრძოლების პროცესში
წარმოიშვა მრავალრიცხოვანი პოლიტიკური მოძღვრებანი, რომლებიც
მიზნად ისახავდა თბილისის საქალაქო წრეების რესპუბლიკური
ინტერესებისა და ფეოდალურ-მონარქიული საქართველოს
სამეფო ხელისუფლების აბსოლუტიზმის

მისწრაფებების თეორიულ დასაბუთებას, რაც სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

დამახასიათებელია, რომ თბილისზე დავით აღმაშენებლის მარჯვების შემდეგ ფეოდალური საქართველოს საქალაქო დიდხანს არსებობდა რესპუბლიკური იდეები და მისწრაფებანი. მონარქიულ პრინციპებზე აგებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების კრიზისით გამოწვეულ კრიტიკულ მომენტებში მესამე წოდების იდეოლოგები, რომელთაც ჯერ კიდევ არ დაეკარგათ რესპუბლიკური იდეებისადმი რწმენა, გაბედულად გამოდიოდნენ ფეოდალურ საქართველოში მონარქიული წყობილების რესპუბლიკური დაწესებულებებით შეცვლის მოთხოვნებით. ხშირად ამ გამოსვლებს ფეოდალური საქართველოს მონარქიული წყობილების წინააღმდეგ აჯანყების ხასიათიც კი ჰქონდა.

ჩვენამდე მოღწეული XII საუკუნის ისტორიული წყაროების მიხედვით, მესამე წოდების დიდ აჯანყებას, ფეოდალურ საქართველოში მონარქიული წყობილების რესპუბლიკური დაწესებულებებით შესაცვლელად, ადგილი ჰქონდა XII საუკუნის მეორე ნახევარში თამარ მეფის ფინანსთა მინისტრის ყუთლუ-არსლანის მეთაურობით.

* * *

დავით აღმაშენებლის მიერ განხორციელებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა რეფორმებმა განამტკიცა საქართველოში ფეოდალიზმის ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების სისტემა. XII საუკუნის აბსოლუტურ-ფეოდალური საქართველო სამეფო ხელისუფლების საშუალებით მხარს უჭერს ქვეყანაში ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას. ფეოდალური ურთიერთობების განვითარებასთან ერთად ქვეყნის ეკონომიკაში ყალიბდება ახალი, ბურჟუაზიული სოციალური ძალები, რამაც გამოიწვია კლასობრივი ბრძოლების გამწვავება როგორც სამეფო ხელისუფლებასა და დიდგვარიან აზნაურთა შორის, ასევე დიდგვარიან აზნაურთა, სამეფო ხელისუფლებასა და დაბალი წარმოშობის სოციალურ ფენებს შორის.

დიდგვარიანი აზნაურები უკმაყოფილონი იყვნენ იმ პროგრესული პოლიტიკური რეჟიმისა, რომელიც ფეოდალურ საქართველოში დავით აღმაშენებელმა დანერგა და შემდეგში თამარის მამამ, გი-

ორგი მესამემ განავითარა. ისინი ხელსაყრელ მომენტს ეძებდნენ/ ქვეყანაში მტკიცედ ჩამოყალიბებული პროგრესული რეჟიმის/ სამხობად და ასეთი მომენტიც დადგა; დიდგვარიანმა მხარეებმა/ ისარგებლეს გიორგი მესამის გარდაცვალებით და ახალგაზრდა მე- ფის თამარის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს.

2. ყუთლუ-არსლანი

დიდგვარიან აზნაურთა გამოსვლა პოლიტიკური რეჟიმის და- სამხობად, მართალია, რეაქციული ხასიათისა იყო, მაგრამ ძლიერი ქართველი მეფის გიორგი მესამის გარდაცვალებით შექმნილ კრი- ტიკულ მომენტში თამარ მეფე იძულებული იყო დაეკმაყოფილე- ბინა მათი მოთხოვნები. დიდგვარიან აზნაურთა შეთქმულება ჯერ კიდევ დამცხრალი არ იყო, რომ სამეფო ხელისუფლების წინა- აღმდეგ ყუთლუ-არსლანის მეთაურობით იფეთქა მეორე დიდმა აჯანყებამ, რომლის მსგავსი თავისი პოლიტიკურ-ორგანიზაციული სიმტკიცითა და დასახული პროგრამის მიხედვით საქართველოს ისტორიას არ ახსოვს. თამარის ისტორიკოსი ამ აჯანყებას „უცხოდ მოსაგონებელს“ უწოდებს.

მიუხედავად იმისა, რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური და- სის გამოსვლისა და მისი პროგრამის შესახებ საკმაოდ მდიდარი თანამედროვე ლიტერატურა არსებობს, ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის გადაჭრილი საკითხი იმის შესახებ, თუ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასი და მისი პროგრამა XII საუკუნის საქართვე- ლოს რომელი სოციალური ფენის ინტერესებს გამოხატავდა. მეც- ნიერთა ერთი ჯგუფის აზრით (ივ. ჯავახიშვილი, ი. პეტრუშევსკი, შ. მესხია, ა. კიკვიძე, ს. მაკალათია და სხვ.), ყუთლუ-არსლანის პო- ლიტკური დასის გამოსვლა „მესამე წოდების“ ამბოხებად უნდა იქნეს მიჩნეული¹. ისტორიკოსთა მეორე ჯგუფი კი ფიქრობს, რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლა დიდგვარიან

¹ ივ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, გ. II, გვ. 155—186; შ. მესხია, სოციალურ-პოლიტიკურ მოძრაობათა ბუნებისათ- ვის XII საუკუნის საქართველოში (საბჭოთა საქართველოს 40 წელი, თბილისი, 1961, გვ. 341—372); მისივე, Города и городской строй феодальной Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 87; ა. კიკვიძე, საქართველო XII საუკუნეში, თსუ შრომები, IX, 1939, გვ. 167; И. П. Петрушевский, Городская знать в государстве хулагуидов, «Советское востоковедение», IV, 1948, გვ. 97. ს. მაკალათია, თამარ მეფე, 1942, გვ. 15—17.

აზნაურთა მორიგი აჯანყება იყო, რომელიც მიზნად ისახავდა სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას (ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. სოსელია და სხვ.)¹.

ისტორიულ ლიტერატურაში ყუთლუ-არსლანის პარტიკულარისტული დასის პროგრამის სოციალური ბუნების სხვადასხვაგვარი გაგება იმით არის გამოწვეული, რომ XII საუკუნის ამ დიდი პოლიტიკური მოვლენის შესახებ ისტორიულ წყაროებს მეტად მშრალი და ძუნწი ცნობები აქვს შემონახული. დღემდე ცნობილი ერთადერთი წყარო, რომელიც შედარებით სრულ წარმოდგენას გვაძლევს ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლის შესახებ, თამარის ანონიმური ისტორიკოსის ცნობებია, მოცემული ამ უკანასკნელის შრომაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, რომელშიც ნათქვამია: „და ესეცა უცხო მოსაგონებელი: ყუთლუ-არსლან, ცხოვარმან ჯორის სახ(ედ) ორ ბუნებისა მყოფელმან, ვითარ მისცეს ბიჭთა გონებისა მზაკუარება, მომღებელმან წესსა რასამე სპარსთა განაგისსა, ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანი-სასა და სანახებსა სალოდებლისასა და თქუა: „დასხდომილნი მუნ-შიგა, განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა; მაშინდა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი.“

ესე ვიეთ საწყენელ იყო — დასასრულისა კელმწიფობისა პატრონისასა მიმცემელი — ესრეთ იწყინა, და გაიკურვა, და გაიგონა უკლებელმან გონებითა და საუნჯემან სიბრძნისამან და მოიღონა კელით გდება თავისა მის მოქმედთასა და, თანამზრახველ მყოფელმან ერთგულთა და საკუთართა მისთამან, შეიპყრა ყუთლუ-არსლან, მეჭურჭლეთ-უხუცესი და აწ თავისა თჳსა ამირსპასალარად და სომხითს სომეხთა მეფისა ადგილს, ლორეს დაჯდომად განმზადებული.

და ვითარცა ცნეს ესე ლაშქართა თანაშეფიცულთა და თანაშემწეთა მისისა მის გზად-გამყუელობისა და უკეთურებისათა, შეიყარნეს და უკუაგდეს თამარს, დაადგინეს ახალი სიმტკიცე ყუთლუ-არსლანის გაშუებულობისა და, არ მიშუებისა ვნებად მისსა მეტყუელნი, განემზადნეს ისანისაცა შემობმად. გარნა ვინათგან კელი საუფლო და მკლავი მაღალი შემწე და თანამბრძოლ

¹ იხ. ს. ჯანაშია, შრომები, II, 1952, გვ. 428; ნ. ბერძენიშვილი და სხვ., საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 197; გ. სოსელია, ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის შესახებ (ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X—XI, 1958, გვ. 67—99).

(ექმნებოდა) მბრძოლთა მათ მისთა და, მის წილ ამღებელი გუ-
რისა და ფარისა ეკუთვებოდა დამკობად წინააღმდეგობა¹ და
ცულ სამე იქმნა განზრახვა მათი, ვითარ განზრახვა² და
მღდელისა და იოაბ სპასპეტისა, რომელნი ეთანებოდეს ორნიას,
ძმასა სოლომონისასა; და ამას შინა თამარ, წარმგზავნელმან ორ-
თა საპატოთა დიოფალთამან, რომელი იყო ერთი ხუაშაქი ცო-
ქალი, დედა ქართლისა ერისთავთ-ერისთავისა რატისი, და ერთი
კრავაჲ ჯაყელი, დედა აწ მყოფთა სამძივართა, უბრძანა ფიცით მინ-
დობა და სხვა არავისი ბრალობა. და მოჰყვეს დიდებულნი ბრძანე-
ბასა პატრონისასა და წინაშე მოსრულდა დავრდომით თაყვანი-სცეს,
ალიდეს ფიცი პატრონისაგან და მისცეს მათ პირი ერთგულებისა და
ნების-მყოფლობისა მათისასა³. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით².
ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლაზე უნდა ჰქონ-
დეს ლაპარაკი აგრეთვე „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთა-
ნის“ უცნობ შემავსებელს, რომელიც ალბათ ყუთლუ-არსლანის
შესახებ აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელმა „დაუდგრომელმან წეს-
სა ზედა თვისსა, ვითარ ჩვეულება აქვს ყრმათა ადრე აღზუაებად
სიდიდისა მიერ, და უფროსლა გვართა და უაზნოთა აღამაღლებს
სიმდიდრე“³. ამას გარდა, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილმა ცხად-
ყო⁴, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლას უნდა
გულისხმობდეს ბასილი ეზოსმოძღვარი, რომელიც თავის თხზუ-
ლებაში „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ წერს: „და კუალად
ამისთვის არა უდებებდა, რათა არა მოცლილთა განსუენებად სი-
ჩუქნედ განსცენ თავი და სხუათა განზრახვათა დამოეკიდნენ, ვი-
თარცა სიმდიდრითა ალაღებულთა, ანუ ერთ-ერთისა მტერობად
მოიციდდეს და ბრძოლად, ვითარ ყვესცა ვიეთმე დაწყებასავე
ამისსა მეფობისასა მისვე“⁵.

ზემოაღნიშნულის გარდა, სხვა რამ უფრო მნიშვნელოვანი ის-
ტორიული წყარო ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვ-
ლისა და მისი იმ ფართო პოლიტიკური პროგრამის შესახებ, რომ-
ელმაც ასე დიდი ზეგავლენა მოახდინა ქართული სახელმწიფო-
ებრიობის განვითარებაზე, ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ამ

¹ იხ. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის-
მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 30—32.

² იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II,
ნაქ. II, ტფილისი, 1929, გვ. 160.

³ ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 30—31.

⁴ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II,
ნაქ. II, გვ. 160.

⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 30—31.

ვარემოებასთან დაკავშირებით აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „გასაოცარი კია, რომ ჩვენის წარსულის ამ საგულსკვეთულ ამბის შესახებ ამაზე მეტი ცნობები არც თამარ მეფის ბიოგრაფიაში, არც სხვა რომელსამე წყაროში არ მოიპოვება“¹.

როგორც ითქვა, სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებული ყუთლუ-არსლანის დასი და მისი პოლიტიკური პროგრამა, როგორც ფეოდალური ეპოქის იდეოლოგიური ბრძოლის უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა, ქართულ მეცნიერულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს. ამით უნდა აიხსნას აზრთა სხვადასხვაობა და წინააღმდეგობა, რომელიც ყუთლუ-არსლანის დასის სოციალური შემადგენლობისა და მისი პროგრამის პოლიტიკური შინაარსის შეფასების თაობაზე გვხვდება ქართულ ისტორიოგრაფიაში. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამა მეცნიერულ ლიტერატურაში, მართალია, განიხილება XII ს-ის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად, მაგრამ მისი ზოგადი მნიშვნელობა, რაზეც პირველად ივ. ჯავახიშვილმა მიუთითა, სრულიად მივიწყებულია. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ყუთლუ-არსლანის აჯანყების შედეგად შეიზღუდა სამეფო ხელისუფლება და ამ მოვლენას „იმ ეპოქის მსოფლიო ისტორიაში ანალოგია შეიძლება მოეძებნოს მხოლოდ ინგლისის თავისუფლებათა დიდ ქარტიაში. სწორედ ამ მოწესრიგებულმა სოციალ-პოლიტიკურმა ბრძოლამ გახადა ამ პერიოდის საქართველოს ისტორია არაჩვეულებრივად ინტერესის მქონედ და საგულისხმოდ არა მარტო ადგილობრივი, არამედ ზოგად-ისტორიული თვალსაზრისითაც“².

სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამა უკანასკნელ პერიოდამდე არ გამოკვლეულა, თუმცა ამჟამადაც გვხვდება მისი მნიშვნელობის ლოკალიზაციის ცდები. 1977 წელს ილ. ანთელავას თავისთავად საინტერესო ნაშრომში „ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ“ და აგრეთვე გ. მკედლიძის სტატიაში „ეტიუდი რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორიიდან“ გამოთქმულია საყვედური, რომ ჩვენ ყუთლუ-არსლანის გამოსვლა უფრო მასშტაბურ მოვლენად

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1965, გვ. 247.

² იქვე, გვ. 410—411.



მივიჩინეთ და აჯანყებულთა პროგრამაში დავინახეთ ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნა¹.

ქართული
ისტორიული

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ყუთლუ-არსლანის მოსვლა „მასშტაბურ მოვლენად“ და აჯანყებულთა პოლიტიკურ პროგრამაში გადმოცემული იდეოლოგია ზოგადისტორიული მნიშვნელობის მქონედ პირველად წარმოადგინა ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც აქვე მიუთითა ამ მიმართულებით მეცნიერული კვლევის საფუძვლებზე². მართლაც, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამა, როგორც საერთოდ შუა საუკუნეებში დაწყებული იდეოლოგიური ბრძოლის მანამდე უცნობი მიმართულების გამოვლენა, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიის შუქზე მსოფლიო კულტურის ისტორიის ახალი ფურცელია თა ამდენად, თავისი მნიშვნელობით იგი სცილდება საქართველოს ისტორიის ფარგლებს. ამიტომ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ პროგრამას საერთოდ ფეოდალიზმის ეპოქის ადამიანთა სულიერი ცხოვრების განვითარების სრული სურათის წარმოდგენისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე საკუთრივ საქართველოს ისტორიისათვის.

დიდია ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა. საქმე ისაა, რომ მთელი შუა საუკუნეების ეპოქაში და განსაკუთრებით კი მის ადრინდელ პერიოდში ადამიანთა გონებაზე განუყოფლად ბატონობდა რელიგიური დოგმატები და საზოგადოების სულიერი ცხოვრება სქოლასტიკის უშუალო ზეგავლენით ვითარდებოდა, კერძოდ, სახელმწიფოსა და სამართლის ყველა საკითხს მხოლოდ ღმერთის ნების მიხედვით ხსნიდნენ. ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამა მთლიანად თავისუფალია ღვთაებრივ-რელიგიური წარმოდგენებისაგან და საერო მოძღვრებებს ემყარება, მასში სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებულთა მიერ წამოყენებული პოლიტიკური მოთხოვნები დასაბუთებულია იდეებით, რომლებიც ფეოდალიზმის ეპოქაში მანამდე სრულიად უცნობი იყო. „ისტორიანი და აზმანი შარავენდედთანის“ უცნობი ავტორი, რომელიც სამეფო ხელისუფლების დამცველია, თავის თხზულებაში ნათლად უპირისპირებს ერთმანეთს იმ იდეოლოგიას, რომლითაც ხელმძღვ-

¹ ი. ლ. ანთელავა, ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ (მატ. ისტორიის სერია, 1977, № 4, გვ. 181); ვ. მკვდლიძე, ეტიუდი რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორიიდან (განთიადი, 1977, № 6, გვ. 176).

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, თბ., 1929, გვ. 171—174.

ნელობდნენ ურთიერთბრძოლისას სამეფო ხელისუფლება და ყუთლუ-არსლანის დასი. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ პროგრამაში მთელი ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილების დაქმნის იურიდიულ საფუძვლად მიჩნეულია სახელმწიფო უფლების დანაწილების საერო მოძღვრება.

რაც შეეხება სამეფო ხელისუფლების იდეოლოგიას, რომლითაც იგი ხელმძღვანელობდა ყუთლუ-არსლანის დასის წინააღმდეგ ბრძოლაში, მის შინაარსს მთლიანად ღმერთის უძლევებლობისა და სახელმწიფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის რელიგიური დოგმატები განსაზღვრავენ. სამეფო ხელისუფლების რელიგიური იდეოლოგიის მიხედვით, ყველაფერი ამქვეყნად ხდება ღმერთის ნებით, მეფეები და სახელმწიფოები ემხოზა ღმერთის კარნახით და ღმერთისავე ნებით იცვლება სახელმწიფოს ფორმები. უცნობი ისტორიკოსის აზრით, თამარმა ყუთლუ-არსლანის დასზე იმიტომ გაიმარჯვა, რომ მეფეს ამ ბრძოლაში ეხმარებოდა ღმერთი. სამეფო ხელისუფლების იდეოლოგია „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ თხზულებაში ასეა გადმოცემული: „გარნა ვინათგან ჯელი საუფლო და მკლავი მალალი შემწე და თანამბრძოლ (ექმნებოდა) მბრძოლთა მათ მისთა, და მის წილ ამღებელი ჭურისა და ფარისა ეკუთებოდა დამჯობად წინააღმდეგომთა მისთა, ცუდ საქმე იქმნა განზრახვა მათი, ვითარ განზრახვა აბიათარ მღდელისა და იოაზ სპასპეტისა, რომელნი ეთნებოდეს ორნიას, ძმასა სოლომონისასა“¹.

სამეფო ხელისუფლების და ყუთლუ-არსლანის დასის იდეოლოგიურ თვალსაზრისთა განსხვავებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ აჯანყებული მეჭურჭლეთუხუცესის დასის მომხრეების შეთანხმების სიმტკიცე და დაურღვევლობა ყოვლისშემძლე ღმერთზე მითითებას კი არა, მხოლოდ ფიცს ემყარება. ეხებოდა რა ყუთლუ-არსლანის პროგრამის პოლიტიკური იდეოლოგიის ამ თავისებურებას, ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „პირველი შემთხვევა გვაქვს აქ, როდესაც პოლიტიკური საკითხის განსახორციელებლად ძველ საქართველოში ფიცზე დამყარებული შეთანხმებული პოლიტიკური დასი გვევლინება“².

ყველაფერი ეს აუცილებელს ხდის ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამის შესწავლას სახელმწიფო ხელისუფლების და-

¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 11, თბ., 1959, გვ. 31—32.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 11, გვ. 376.

საქართველო
ბიზნისი

ნაწილების თეორიის შექმნე, მაგრამ, პირველ ყოვლისა, მიგვაჩნია მოკლედ შევჩერდეთ იმ წყაროებზე და ლიტერატურაზე, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ყუთლუ-არსლანის აჯანყებაზე.

ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამის მეცნიერულ კვლევას საფუძველი ჩაუყარა ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც XII ს-ის საქართველოს ისტორიასა და მსოფლიო კულტურის ისტორიაში სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ყუთლუ-არსლანის აჯანყებას კუთვნილი ადგილი მიუჩინა. მაგრამ ყუთლუ-არსლანის შეთქმულების შესახებ ჩვენამდე მოღწეული წყაროს მრავალნაირი ლოგიკური ახსნა-განმარტების შესაძლებლობა და ამის საფუძველზე მეცნიერულ ლიტერატურაში გავრცელებული ურთიერთდაპირისპირებულ შეხედულებათა არსებობა, აგრეთვე აჯანყებულთა პოლიტიკურ პროგრამაში ჩამოყალიბებულ იდეათა ორიგინალობა მეცნიერების განვითარების ყოველ ახალ საფეხურზე აუცილებელს ხდის, ისევ და ისევ დავეუბრუნდეთ ქართული ისტორიოგრაფიის ამ პრობლემას.

ყუთლუ-არსლანის დასის მიერ თამარ მეფის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყებისა და მისი პოლიტიკური პროგრამის შესახებ ჩვენამდე მოღწეულ ერთადერთ წყაროს წარმოადგენს ძუნწი ცნობა, რომელიც გადმოცემული აქვს უცნობ ისტორიკოსს თავის თხზულებაში „ისტორიანი და ახმანი შარვანდედთანი“¹. ამ ცნობის პირველ ნაწილში ლაპარაკია სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლაზე და აჯანყებულთა პოლიტიკურ პროგრამაზე. მეორე ნაწილი შეიცავს სამეფო ხელისუფლების მიერ აჯანყებულთა პოლიტიკური მოთხოვნის შეფასებას და ყუთლუ-არსლანის დაპატიმრების ამბავს. მესამე ნაწილი კი დათმობილი აქვს სამეფო ხელისუფლებასა და ყუთლუ-არსლანის მომხრეებს შორის შემდგომ ურთიერთდამოკიდებულებას და თამარ მეფის მიერ ამ უკანასკნელთა შემორიგებას.

პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს თვით ამ აჯანყების მეთაურის ყუთლუ-არსლანის პიროვნება და მისი სოციალური წარმოშობა. ისტორიული წყაროები მოწმობს, რომ ყუთლუ-არსლანი იყო მაღალი თანამდებობის პირი, ერთ-ერთი თვალსაჩინო ვაზირი, მეჭურჭლეოთუხუცესი ანუ ფინანსთა მინისტრი², რომელიც

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 30—32.

² იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 25; ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, გვ. 159.

თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით ძალიან ახლოს იყო ქალაქის დაბალი წარმოშობის სოციალურ ფენებთან, სავაჭრო და საფინანსო წრეებთან¹. ისტორიულ ლიტერატურაში წამოიჭრა მსგავსი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ყუთლუ-არსლანი დიდგვარიან აზნაურთა წრიდან იყო წარმომდგარი, არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს, რადგანაც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ანონიმი ავტორის მიერ ყუთლუ-არსლანის პიროვნების დახასიათება მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ყუთლუ-არსლანი დაბალი სოციალური წარმოშობის პირი იყო², რომელიც განსაკუთრებული ნიჭისა და უნარის ან დამსახურების გამო საქართველოს მეფემ, გიორგი მესამემ გააფაჩრა³. აკად. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, დაბალი სოციალური წარმოშობის ყუთლუ-არსლანი დიდგვარიან აზნაურთა შეთქმულების მსხვერპლი, ყუბასარისა და აფრიდონის მსგავსად, არ გამხდარა, რადგანაც ყუთლუ-არსლანი მაშინ შეთქმულთათვის „იმდენად საქულველი არ ყოფილა და კიბებრივით მასაც თავისი თავი დიდგვარიან აზნაურთა მრისხანებისაგან უზრუნველყოფია: „ცხვარივით“ იგი მშვიდ და უვნებელ ადამიანად მოსჩვენებიათ“⁴. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ თამარის პირველი ისტორიკოსის ზემოაღნიშნული თხზულების ტექსტი, რომელიც ყუთლუ-არსლანისადრე მიძღვნილი, დამახინჯებულია და აღდგენილ უნდა იქნეს მარიამ დედოფლისეული და შევსებული „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით. კერძოდ, იქ, სადაც ლაპარაკია ყუთლუ-არსლანის „მზაკვარებაზე“ თხზულების ტექსტს უნდა ჩაემატოს „ადრე აღზავებად და უფროს-ლა გვართა უაზნოთა აღამალლებს სიმდიდრე“⁵. გარდა ამისა, ი. ჯავახიშვილის აზრით, თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულებაშიც უნდა იყოს ლაპარაკი ყუთლუ-არსლანზე და მის მომხრეებზე: „მეორე ისტორიკოსმაც იცოდა, რასაკვირველია, ეს ამბები, როდესაც „სიმდიდრით აღადებულნი“ თურმე „სხუჯთა განზრახუათა დამოეკიდნენ“

¹ ი. ბერძენიშვილი და სხვ., საქართველოს ისტორია, I (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე), თბ., 1958, გვ. 173.

² იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 30.

³ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, გვ. 162. მისივე, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 249; შ. მესხია, საქართველოს ქალაქების სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, (მიომხილველი, II, 1951, გვ. 100); კ. გრიგოლია, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, I, ახალი ქართლის ცხოვრება, 1954, გვ. 43.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, გვ. 162.

⁵ იქვე, გვ. 156.



(იგულისხმება ყუთლუ-არსლანის დასის მოძრაობა) და „ერთი კითხვისათვისა მტერობად მოიცილდეს ბრძოლად“, რაც მისივე კვირეულში „ყუესცა ვიეთ(თა)მე დაწყებასა ამის (ე. ი. თამარის) მეტეზსისიყესქს მაგრამ რამდენადაც მეორე ისტორიკოსის თხზულების გადარჩენილ ნაწილთაგან ჩანს, ამას ის მხოლოდ გაკვირთ და ზემომოყვანილი ორიოდე სიტყვით იხსენიებს“¹.

ყუთლუ-არსლანის სოციალური წარმოშობის გარკვევის შემდეგ ძნელი არ არის მის მიერ შედგენილი პოლიტიკური დასის სოციალური შემადგენლობის დადგენაც. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასი შედგებოდა როგორც დაბალი სოციალური წარმოშობის საქალაქო წრეებისაგან ანუ „სიმდიდრით ალაღებულთაგან“, ისე განსაკუთრებული ნიჭისა და უნარის წყალობით სამეფო ხელისუფლების მიერ ყუთლუ-არსლანივით აღზევებულთაგან², რომლებიც ამ აჯანყების მეთაურის საიმედო თანაშემწენი იყვნენ. მართლაც, ფეოდალური საქართველოს სხვა ქალაქებისაგან განსხვავებით, თბილისს საუკუნეების განმავლობაში განსაკუთრებული საქალაქო წყობილება ჰქონდა, რამაც ყველაზე თვალსაჩინოდ მისი დამოუკიდებელი არსებობის უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში იჩინა თავი, როდესაც, არაბი ისტორიკოსის ალ-ფარიკის ცნობით, რესპუბლიკურ პრინციპებზე აგებული „ხალხის მმართველობა“ ჩამოყალიბდა³. მართალია, დიდგორის 1121 წლის ომის შედეგად თბილისმა დამოუკიდებლობა დაკარგა და იგი დავით აღმაშენებელმა საბოლოოდ შემოუერთა ფეოდალურ საქართველოს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ქალაქის მოსახლეობაში, რომელთა საგრძნობი ნაწილი ქართველები და ქრისტიანები იყვნენ⁴, დიდხანს ცოცხლობდა „მესამე წოდების“ ინტერესების გამომხატველი რესპუბლიკური იდე-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, გვ. 156.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, გვ. 161; შ. მესხია, საქართველოს ქალაქების სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 83 და სხვ.

³ Ибн-ал-Азрак ал-Фарик, Из «Истории Майяфарикина [Труды Института истории АН Аз ССР, XII, 1957, гв. 222]; Ш. Месхиа, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბილისი, 1962, გვ. 66—81; ვ. გაბაშვილი, თბილისის მმართველობა X — XI საუკუნეებში (თსუ შრომები. 108, თბ., გვ. 331—358).

⁴ ვ. გაბაშვილი, თბილისის მმართველობა X — XI საუკუნეებში, გვ. 348; ა. კიკვიძე, დავით აღმაშენებელი, თბილისი, 1942, გვ. 23.



ები, რომლებმაც თავისი გამოვლინება პოვეს საქართველოს ისტორიის კრიტიკულ მომენტში, როდესაც თამარის მეორე მემკვიდრეობის დროს შექმნილი პოლიტიკური სიტუაციით კარგად მოხერხდა გებლეს დიდგვარიანმა აზნაურებმა და მიაღწიეს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეჟიმის შეცვლას. თუ იმ ისტორიულ მოვლენებს გავადევნებთ თვალს, რომლებიც წინ უძღოდა ყუთლუ-არსლანის გამოსვლას, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლა ე. წ. „მესამე წოდების“ სოციალური მოძრაობის შედეგი იყო. როგორც ცნობილია, თამარის სამეფო ტახტზე მეორედ აყვანისთანავე დიდგვარიანმა აზნაურებმა, რომლებსაც არ მოსწონდათ დავით აღმაშენებლისა და შემდეგ გიორგი მესამის მიერ განმტკიცებული პოლიტიკური რეჟიმი, რაც საშუალებას აძლევდა შედარებით დაბალი წარმოშობის, მაგრამ დიდი ნიჭისა და უნარის მქონე პირებს დაეკავებინათ სამეფო ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოთა სისტემაში მაღალი თანამდებობრივი პოსტები, თვით მინისტრთა თანამდებობების ჩათვლით. მოაწყვეს შეთქმულება თამარის წინააღმდეგ და მოითხოვეს ქვეყანაში არსებული პროგრესული პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა. ამ დიდ პოლიტიკურ მოთხოვნას კონკრეტული ხასიათიც ჰქონდა: აჯანყებულებმა ამჯერად მიზანში ამოიღეს მათთვის ყველაზე საძულველი დაბალი სოციალური წარმოშობის ვაზირები — ყუბასარი და აფრიდონი და მოითხოვეს მათი გადაყენება. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლა დიდგვარიან აზნაურთა გამოსვლა რომ ყოფილიყო, როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, მაშინ ეჭვი არ არის, რომ თამარის წინააღმდეგ გამოსული დიდაზნაურები ადვილად დაამყარებდნენ პოლიტიკურ კავშირს, თუნდაც დროებითს, ყუთლუ-არსლანის დასის მომხრეებთან, რომლებიც როგორც ამ დასის ორგანიზაციული სიმტკიცედან და წინასწარ მოფიქრებული პოლიტიკური პროგრამიდან ჩანს, დიდი ხანია ამზადებდნენ აჯანყებას და გამოსვლისათვის სასურველ მომენტს არჩევდნენ. მაგრამ, როგორც დადგენილია, ამ ორი პოლიტიკური ძალის გაერთიანება არ მომხდარა და უნდა ვიფიქროთ, რომ ამას ხელი შეუშალა ზემოაღნიშნულ დაჯგუფებათა სოციალურმა შემადგენლობამ და განსხვავებულმა პოლიტიკურმა პროგრამამ. იმ მიზნის მიხედვით კი, რომელსაც ეს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული სოციალური ძალა ისახავდა, მათ ბევრი საერთო ჰქონდათ. როგორც დიდგვარიანი აზნაურები, ისე ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასი მიზნად ისახავდნენ სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას. მიუხედავად ამისა, მათ შორის კავშირი არ დამყარებულა, რადგანაც



თითოეულს ცალ-ცალკე სხვადასხვანაირად ესმოდა სამეფო ხელისუფლების შეზღუდვა. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ დამატებით აზნაურთა შეთქმულების შედეგად ქვეყანაში წინათ უკვე არსებული პროგრესული პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა ყველაზე მწვავედ დაბალი წარმოშობის სოციალურმა ფენებმა განიცადეს, რადგანაც გიორგი მესამის მეფობისას არსებული პოლიტიკური რეჟიმის დამხობამ საბოლოოდ დაუხშო გზა დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლებს სახელმწიფოებრივი ხელისუფლებისაკენ. სწორედ ამიტომ მათთვის სასურველი პოლიტიკური რეჟიმის შეცვლას დაბალმა სოციალურმა ფენებმა დაუყოვნებლივ უპასუხეს დიდი აჯანყებით, რომელიც, როგორც წყაროებიდან ირკვევა, ანტიფეოდალურ ხასიათს ატარებდა. აჯანყებულები მოითხოვდნენ სამეფო ხელისუფლების უკიდურესად შეზღუდვას სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების გზით¹, რაც ფაქტიურად იყო დასაწყისი „დასასრულისა კელმწიფობისა პატრონისასა“².

ყუთლუ-არსლანის სოციალური წარმოშობის და განსაკუთრებით მის მიერ შექმნილი პოლიტიკური დასის სოციალური შემადგენლობის შესახებ ყველაზე ნათელ და გარკვეულ პასუხს გვაძლევს მისი პოლიტიკური იდეოლოგია, რომელმაც თავისი სრული გამოხატულება პოვა ამ დასის პოლიტიკურ პროგრამაში. უნდა აღინიშნოს, რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის იდეოლოგია არასრულად არის შესწავლილი პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის თვალსაზრისით და სწორედ ამის გამო დღემდე ჯერ კიდევ სადავოა ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის სოციალური ბუნება.

ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური იდეოლოგიის გაგებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს თამარის ისტორიკოსის ცნობას იმის შესახებ, რომ აჯანყების მეთაურმა ყუთლუ-არსლანმა „ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებესა სალოდებლისასა და თქუა: „დასხდომილნი მუნ შიგა, განმგებლნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვჰადრებდეთ და ვაცნობდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა; მაშინღა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩვენი“.

ეჭვი არ არის, რომ ყუთლუ-არსლანი მოითხოვდა სამეფო ხელისუფლების რეზიდენციის გვერდით სრულიად ახალი დაწესებუ-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, გვ. 171 — 172; კ. გრიგოლია, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, 1, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 42.
² ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 31.

ლების, „კარავის“ ჩამოყალიბებას, რომელიც სამეფო ხელისუფ-
 ლებისაგან დამოუკიდებლად იქნებოდა „განმგებელნი მიტევისა და
 მიღებისა, წყალობისა და შერისხვისანი“ და მის გადაწყვეტი-
 ბას მეფისათვის მოხსენების შემდეგ „მაშინდა სრულ იქნებოდა ეს
 განგებული ჩვენი“. ჩვენი აზრით, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ
 პროგრამაში მთავარია არა პარლამენტის მსგავსი დაწესებულების
 შექმნა, არამედ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილება
 და მისი განხორციელება სხვადასხვა ორგანოების მიერ. ყუთლუ-
 არსლანის პოლიტიკური პროგრამის მიხედვით, როგორც აკად.
 ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა, სასამართლო და საკანონმდებლო ხე-
 ლისუფლება უნდა მიკუთვნებოდა ყუთლუ-არსლანის მომხრეები-
 საგან შემდგარ პარლამენტს, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფ-
 ლება — მეფეს¹. ამასთან საყურადღებოა, რომ მეფეს „კარავთან“
 არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონოდა, იგი არ უნდა დასწრებოდა
 „კარავის“ სხდომებს, მას არ ჰქონოდა „კარავის“ დადგენილების
 შეჩერების უფლება, არამედ იგი მხოლოდ თავისი აღმასრულებე-
 ლი ხელისუფლებით სისრულეში მოიყვანდა „კარავისელთა“ გან-
 გებულს. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ პროგრამაში სახელმწი-
 ფოებრივი ხელისუფლების დანაწილების თეორიის არსებობაზე
 პირველმა მიუთითა აკად. ივ. ჯავახიშვილმა. ამ საკითხზე გაკვირთ
 თავიანთი შეხედულება გამოთქმული აქვთ პროფ. კ. გრიგოლიას²
 და პროფ. გ. სოსელიას³. კ. გრიგოლია, რომელიც ფიქრობს, რომ
 ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოხვლა „მესამე წოდე-
 ბის“ მიერ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილი აჯან-
 ყება იყო, მთლიანად იზიარებს აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრე-
 ბას იმის შესახებ, რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური მოძღვრე-
 ბა ხელისუფლების დანაწილებას გულისხმობდა, თუმცა აჯანყების
 დამარცხების გამო იგი ვერ განხორციელდა ფეოდალურ საქართვე-
 ლოში. რაც შეეხება გ. სოსელიას, იგი რაიმე დასაბუთებულ არ-
 გუმენტაციას აკად. ივ. ჯავახიშვილის ზემოთ აღნიშნული მოსაზრე-
 ბის წინააღმდეგ არ გვაძლევს, მხოლოდ იმის აღნიშვნით კმა-
 ყოფილდება, რომ ამ პერიოდში საქართველოში არ არსებობს
 „მესამე წოდება“⁴, რომლის სახელთანაც არის ისტორიულად და-

¹ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაქ. II, გვ. 171.

² იხ. კ. გრიგოლია, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთ-
 მცოდნეობიდან, I, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 42.

³ გ. სოსელია, ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის შე-
 სახებ, გვ. 87.

⁴ იქვე, 91.

ცავშირებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების თეორია. არსებითად გ. სოსელიას მოსაზრება ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის პროგრამის შესახებ, რომელიც მასს უკლებლად ულად მიაჩნია, ვერ გვაძლევს ამ პროგრამით გათვალისწინებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების ახსნას. რაც შეეხება იმის ხელაღებით მტკიცებას, რომ ფეოდალურ საქართველოში XII საუკუნეში არ არსებობდა „მესამე წოდება“, თავისთავად ვერ უარყოფს იმას, რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამა არ შეიცავს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების თეორიას. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილის ფილოლოგიურ-ისტორიული კვლევით დადგინდა, თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობა მხოლოდ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებად დანაწილებას ნიშნავს¹.

მაგრამ, ამას გარდა. არადაამაჯერებელია გ. სოსელიას მტკიცება იმის შესახებ, თითქოს X—XII საუკუნეების საქართველოში არ არსებობდა ე. წ. „მესამე წოდება“. უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საქალაქო წყობილების შესახებ გამოქვეყნებული შრომები ცხადყოფს, რომ XII საუკუნის საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ვაჭრობასა და ხელოსნობას². საქართველოს ქალაქებში განვითარებული ფულად-სასაქონლო მეურნეობა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მესამე წოდების არსებობისათვის.

ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამის შინაარსის გაგებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს X—XI საუკუნეებში თბილისის საქალაქო მმართველობის ისტორიასა და იმ სოციალურ-პოლიტიკურ ბრძოლებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა ამ პერიოდში.

არაბი ისტორიკოსის ალ-ფარისის ცნობის საფუძველზე³ პროფ.

¹ ივ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, გვ. 172.

² ივ. III. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тбилиси, 1959; შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბილისის ისტორია, თბილისი, 1958; შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში და სხვ.

³ Ибн-ал-Азрак ал-Фарик, Из Истории Майяфарикина «Труды Института истории АН Аз. ССР, XII 1957, гв. 222);

გ. წერეთელი და პროფ. ვ. ფუთურიძე² ფიქრობენ, რომ თბილისში მისი დამოუკიდებელი არსებობის ოთხასი წლის განმავლობაში, დავით აღმაშენებლის მიერ 1121 წელს მის აღებამდე, რესპუბლიკური წყობილება არსებობდა. პროფ. შ. მესხიამ, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა თბილისის საქალაქო მმართველობა ალ-ფარიკის ცნობების თვალსაზრისით, განავითარა ეს მოსაზრება და დაადგინა, რომ ზემოაღნიშნულ პერიოდში თბილისი თავისუფალი ქალაქი იყო და საქალაქო მმართველობა დასავლეთ ევროპის ქალაქებში არსებული კომუნის საფუძველზე იყო აგებული³. მნიშვნელოვნად განსხვავებული მოსაზრება წამოაყენა პროფ. ვ. გაბაშვილმა, რომელიც, მართალია, არ უარყოფს, რომ X—XI საუკუნეების თბილისში, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართველები და ქრისტიანები იყვნენ, საქალაქო წყობილება არსებობდა, მაგრამ ალ-ფარიკის ცნობის გარდა, სხვა წყაროებში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამოხელეო ტერმინებს, არაფერია ნათქვამი თბილისის მმართველობასა და სამოხელეო ორგანიზაციაზე⁴. ამიტომაც იგი არაბული წარმოშობის ზოგიერთი თანამედრობრივი ინსტიტუტების ანალიზის საფუძველზე მიდის იმ დასკვნამდე, რომ დავით აღმაშენებლის დაპყრობამდე თბილისის საამიროს პოლიტიკური ორგანიზაცია და საქალაქო ადმინისტრაცია აღმოსავლურ ყაიდაზე იყო მოწყობილი⁵ და X—XI სს. თბილისის მმართველობა ქართული ფეოდალური საქალაქო წყობილებისაგან განსხვავდებოდა.

განურჩევლად იმისა, თბილისის საქალაქო წყობილება აღმოსავლურ ყაიდაზე იყო მოწყობილი თუ ქართული ფეოდალური საქალაქო წყობილების შესაბამისად, ერთი რამ მაინც ნათელია, რომ ჯაფარიდების დინასტიის წარმომადგენელთა ამოწყვეტისა და განდევნის შემდეგ თბილისის საამირო ჯერ დამოუკიდებლობას აღწევს, ხოლო მისი არსებობის უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში ალ-ფარიკის ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ცნობის მიხედვით „ხალხის მმართველობა“ არსებობს. ამრიგად, დავით აღმაშენებლის დაპყრობამდე თბილისში, რომელიც ოთხას წელს იყო ჩამოშორებული საქართველოსაგან, ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობისათვის უცხო და მიუღებელი საქალაქო წყობილება ყოფილა. ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს იმისას, რომ

¹ გ. წერეთელი, არაბული ქრესტომათია, თბილისი, 1949, გვ. 7.

² ვ. ფუთურიძე, არაბი ისტორიკოსის ცნობები XII ს. თბილისის შესახებ, „ენიმის“ მოამბე, ტ. XIII, 1943, გვ. 143.

³ შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 170.

⁴ ვ. გაბაშვილი, თბილისის მმართველობა X—XI საუკუნეებში, გვ. 331.

⁵ იქვე.

ყუთლუ-არსლანის ანტიფეოდალური იდეოლოგია, რომელმაც თავისი გამოხატულება სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მოთხოვნაში პოვა, მისი იდეურ-პოლიტიკური დავით აღმაშენებლის დაპყრობამდე თბილისში არსებულ რესპუბლიკურ წყობილებაში ვეძებოთ. მართალია, ყუთლუ-არსლანის გამოსვლა მოხდა თბილისში არსებული რესპუბლიკური წყობილების დამხობიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, მაგრამ, როგორც ისტორიულ ლიტერატურაში არის აღიარებული, თბილისის მოსახლეობაში და საქალაქო ცხოვრებაში ძველი რესპუბლიკური წყობილებისათვის დამახასიათებელი თანამდებობრივი ინსტიტუტები და შეხედულებანი დიდხანს შემორჩა¹, რაც, უნდა ვიფიქროთ, ფეოდალურ საქართველოში კლასობრივი ბრძოლების გამწვავების გარკვეულ პერიოდში ანტიფეოდალური ძალების იდეურ საზრდოს წარმოადგენდა.

ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის პროგრამაში ქალაქის სოციალური ფენების ინტერესები გადმოცემულია სამეფო ხელისუფლებასა და ფენებს შორის ქვეყანაში არსებული ძველი, პროგრესული პოლიტიკური რეჟიმის შეცვლასთან დაკავშირებით გაჩაღებული კლასობრივი ბრძოლის თავისებურებათა შესაბამისად. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ პროგრამაში, რომლის მთავარ განმსაზღვრელ ნაწილს სახელმწიფოს შესახებ მოძღვრება წარმოადგენს, მოცემულია არა მარტო „უზარმაზარი ამბავი პარლამენტური წყობილების შემოღების ცდისა“², არამედ საკმაოდ თანმიმდევრული თეორია სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილებისა, რამდენადაც „ისნის კარავი უნდა ყოფილიყო როგორც საკანონმდებლო ორგანო, ხოლო მეფე აღმასრულებელი ხელისუფლება“³.

სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების თეორია, ყველგან სადაც კი იგი წარმოიშვა და განვითარდა, ყოველთვის დაკავშირებულია განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობებთან, რომლის წიაღში ისახება ახალი, მესამე წოდების ინტერესების შესაბამისი საზოგადოებრივი ურთიერთობები. სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების თეორია ანტიფეოდალური იდე-

¹ ვ. გაბაშვილი, თბილისის მმართველობა X — XI საუკუნეებში, გვ. 347; შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 100—145.

² ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 015; ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაყ. II, გვ. 172.

³ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 015.

ოლოგიის გამოხატველია, იგი მიმართულია იმ ფეოდალური სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, რომელიც ვერ ითმენს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილებას. სამეფო ხელისუფლების და დიდგვარიან ფეოდალთა შორის ბრძოლაშიც, ამგვარი მეფის ხელისუფლების შეზღუდვას ისახავდა მიზნად ფეოდალურ საქართველოში, ვერც ერთი მხარე ვერ აყენებს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების მოსაზრებებს, რადგანაც იგი არ შეესაბამება ფეოდალურ იდეოლოგიას, ხოლო სამეფო ხელისუფლებაც და დიდგვარიანი ფეოდალებიც ყოველთვის მხოლოდ ფეოდალური იდეოლოგიით ხელმძღვანელობდნენ.

სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების თეორია ინგლისში, რომელიც XVII საუკუნეში ჯ. ლოკმა შეიმუშავა განვითარებული ფეოდალური ურთიერთობების ეპოქაში, მესამე წოდების ინტერესებს გამოხატავდა და მიმართული იყო სამეფო ხელისუფლების შეზღუდვისაკენ. მისი აზრით, ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოებრივი ხელისუფლება კერძო საკუთრების და პიროვნებათა უფლებების დაცვის მიზნით დანაწილებულ უნდა იქნეს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და საკავშირო ანუ ფედერაციულ ხელისუფლებად, რომელთაც სხვადასხვა სოციალური ფენების ინტერესთა გამოხატველი სახელმწიფო ორგანოები უნდა ახორციელებდნენ¹.

მოგვიანებით, განვითარებული ფეოდალური ურთიერთობების შიგნით წარმოშობილი ახალი სოციალური ფენების ინტერესები სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების თეორიით გამოხატა XVIII საუკუნის ფრანგმა განმანათლებელმა შ. ლ. მონტესკიემ². ასევე ანტიფეოდალური ხასიათი ჰქონდა მამლის³, ჰეგელის⁴, კონსტანის⁵ და სხვათა პოლიტიკურ მოძღვრებებს, რომელთა შინაარსის განმსაზღვრელს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნა წარმოადგენს.

¹ Дж. Локк, Избранные философские произведения в двух томах, II, М., 1960, гл. 83—84.

² Монтескье, О духе законов, Санкт-Петербург, 1900, гл. 156.

³ იხ. История политических учений, под ред. проф. К. А. Мокичева, М., 1959, гл. 255; Г. Мабли, О правах и обязанностях гражданина (Избранные произведения, М.—Л., МСМ, гл. 241).

⁴ იხ. История политических учений, под ред. проф. С. Ф. Качкьяна, М., 1955, гл. 360; Г. Гегель, Философия духа (Сочинения, т. III, М., 1956, гл. 321).

⁵ იხ. История политических учений, под ред. проф. К. А. Мокичева, ч. I, М., 1959, гл. 335; Бенжамен Констан, Об ответственности министров (Юридический Вестник, М., 1883, № 1, гл. 79).

ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამა, რომლის ძირითადი პრინციპები ფეოდალური სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილებას ითვალისწინებს, ამ საერთო კანონზღვრებულ დანაწილებას არ უნდა წარმოადგენდეს. იგი გამოხატავდა XII საუკუნის საქართველოს განვითარებული ფეოდალური ურთიერთობების, კერძოდ, წინაბურჟუაზიული (ფეოდალური ურთიერთობების რღვევის) ეპოქის¹ იდეოლოგიას. სხვათა შორის, ყუთლუ-არსლანის მოწინავე პოლიტიკური იდეოლოგია რომ XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს ეკონომიკას შეესაბამებოდა, იქიდანაც ჩანს, რომ სამეფო ხელისუფლებამ, რომელიც ფეოდალური იდეოლოგიით ხელმძღვანელობდა, ვერ გაბედა მესამე წოდების ინტერესთა გამომხატველი ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამის უგულვებელყოფა და მან ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ დასთან კომპრომისის გზა აირჩია². სამეფო ხელისუფლებამ უარყო პარლამენტის შექმნისა და სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების იდეა, მაგრამ სამაგიეროდ ამიერიდან სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტისას იგი ხელმძღვანელობს „თანადგომისა და ერთნებაობის“ პრინციპებით და სახელმწიფო დარბაზში თვალსაჩინო როლს ასრულებენ მესამე წოდების წარმომადგენელნი. ამას მოწმობს ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლის შემდეგდროინდელი პოლიტიკური მოვლენები. სახელმწიფო დარბაზში აბულსანის მოღვაწეობა და ამ უკანასკნელის წინადადებით დიდვაჟარ ზანქან ზორაბაბელის გაგზავნა თამარის საქმროს ჩამოსაყვანად, დაბალი სოციალური წარმოშობის ეგარსლან ბაკურციხელისა და მესტუმრე ჯიქურის დაწინაურება XIII საუკუნეში და სხვ.

ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკურმა პროგრამამ და მისმა პოლიტიკურმა იდეოლოგიამ უდიდესი როლი შეასრულა XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. იგი ჩამოყალიბდა XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში, როცა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურმა განვითარებამ ისეთ მაღალ დონეს მიაღწია, რომ „მისი შემდგომი განვითარება ამ (ფეოდალური) ურთიერთობის რღვევისა და ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის ჩასახვა-წარმოქმნის გზით შეიძლებოდა მხოლოდ წასულიყო“

¹ იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის (ტურნ. „მნათობი“, 1954, № 6, გვ. 122).

² იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაწ. II, ტფილისი, 1929, გვ. 179; კ. გრიგოლია, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, I, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 421.

XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში მოახლოებული ბურჟუაზიული ეპოქის სულსკვეთებამ თავისი სრული გამოხატულება პოვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებით დაინტერესებასა და, კერძოდ, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის მიერ შექმნილ ენებულ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილებით. ორიაში, რომელიც არა მარტო საქართველოში, არამედ ყველგან, სადაც კი იგი წარმოიშვა, მესამე წოდების იდეოლოგიის განმსაზღვრელი იყო.

ყუთლუ-არსლანის პრობლემის კვლევისას გამოყენებული სპეციალური მეთოდები და XII საუკუნიდან ჩვენამდე მოღწეული წყაროების ტექსტთა ისტორიულ-ფილოლოგიური ანალიზი, აგრეთვე ლოგიკურ მსჯელობებზე დამყარებული სხვადასხვა სახის არგუმენტები, რაც მეცნიერებისათვის პირველად ცნობილი გახდა ივ. ჯავახიშვილმა, საკმაო საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ ყუთლუ-არსლანის დასის მომხრეები მესამე წოდების ინტერესებით მივიჩნიოთ ანტიფეოდალურ ძალად, რომლებიც მიზნად ისახავდნენ სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას. ჩვენი ეს მოსაზრება უფრო ვრცლად გადმოცემულია ნაშრომში „ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან“ და მასზე აქ აღარ შევჩერდებით¹.

ივ. ჯავახიშვილის კონცეფცია ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის თაობაზე მეცნიერებაში გაბატონებულია და მისი მომხრეთა რიცხვი თანდათან იზრდება. მაგრამ შემდგომ პერიოდში გამოქვეყნებულ ზოგიერთ ნაშრომში წამოყენებულია საწინააღმდეგო თვალსაზრისი, მეტიც, მოცემულია ყუთლუ-არსლანის დასის თაობაზე მეცნიერებაში გაბატონებული აზრის კრიტიკაც. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამისადმი ახლებური მიდგომით გამოირჩევა ილ. ანთელავას სტატია „ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ“². ამ ნაშრომის ორიგინალობა იმაში მდგომარეობს, რომ ყუთლუ-არსლანის დასის დიდგვაროვნული შემადგენლობისა და მისი პოლიტიკური პროგრამის ფეოდალური შინაარსის დასაზუსტებლად ავტორს მეცნიერულ ლიტერატურაში დღემდე უცნობი და საინტერესო მოსაზრება შემოაქვს. ილ. ანთელავასეული ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამის სიახლე იწყება „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთთანის“ უცნობი ავტორის ერთი პატარა მითითების თავისებური გააზრებით. ეს

¹ იხ. ვ. აბაშვილი, ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 1969, გვ. 368—450.

² „მაცნე“, 1977, № 6, გვ. 180—192.



მითითება ეხება იმას, რომ ყუთლუ-არსლანი მოითხოვდა შემოღებას „წესსა რასამე სპარსთა განაგისსა“. თამარის ისტორიკოსების მითითება ივ. ჯავახიშვილს არ მიაჩნდა ყუთლუ-არსლანის სპარსული წესის მიბაძვით ახალი მმართველობის შემოღების მოთხოვნად¹. ილ. ანთელავას მმართველობის „სპარსული წესი“ პირდაპირი მნიშვნელობით ესმის და მიუთითებს, რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამა, მართლაც, გულისხმობდა სახელმწიფო ხელისუფლების გარდაქმნას მუსლიმანურ-მაჰმადიანურ სამყაროში ჩამოყალიბებული პოლიტიკური სისტემის მიბაძვით. ამის დასამტკიცებლად იგი გაცნობია მუსლიმანურ-მაჰმადიანური სახელმწიფოების წყობილების თავისებურებებს, მის შესახებ არსებულ მეცნიერულ ლიტერატურას და ცნობილი მეცნიერის ვ. ბარტოლდის გამოკვლევებიდან ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამის კვლევისას სახელმძღვანელოდ მიიჩნევს შემდეგ დებულებას: „აღმოსავლურ-მუსლიმანური პოლიტიკური ორგანიზაციის მთელ სისტემას წითელ ხაზად გასდევს მმართველობის ყველა ორგანოს ორ დიდ კატეგორიად, დერგაჰად (სასახლე) და დივანად (კანცელარია) გაყოფა“².

ილ. ანთელავას მტკიცებით, აღმოსავლურ-მუსლიმანური სამყაროსაგან განსხვავებით, XII ს-ის საქართველოში მეფის კარისაგან ცენტრალური მმართველობის აპარატი გამოყოფილი არ იყო და სწორედ დიდგვარიანმა აზნაურებმა ყუთლუ-არსლანის მეთაურობით მოითხოვეს რეფორმის განხორციელება სახელმწიფო მმართველობაში. ილ. ანთელავა წერს: „ჩვენი აზრით, ყუთლუ-არსლანის დასმა მოითხოვა არა პარლამენტური დაწესებულების შემოღება, არამედ ცენტრალური მმართველობის აპარატის გამოყოფა მეფის კარისაგან“³.

თუ შევადარებთ ილ. ანთელავას მიერ წამოყენებულ მოსაზრებას გაბატონებულ კონცეფციას, რომელსაც ივ. ჯავახიშვილმა ჩაუყარა საფუძველი, დავინახავთ, რომ მას აკლია დასაბუთება. საქმე ისაა, რომ, ჯერ ერთი, ყუთლუ-არსლანის პროგრამის შინაარსის დადგენა შეუძლებელია მხოლოდ ერთი ტერმინის, კერძოდ „სპარსული წესის“ მიხედვით, რადგან ყუთლუ-არსლანის გამოსვლისადმი მიძღვნილ ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში გვხვდება ბევრი

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე ნაკვეთი მეორე, გვ. 182—183.

² ილ. ანთელავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.


³ იქვე, გვ. 189.

ისეთი სხვა ტერმინი, რომლებიც ტერმინს „სპარსული წესი“ ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონედ არ აქცევს. გარდა ამისა, ილ. ანთელავას მიერ წამოყენებული თვალსაზრისის მხარს უჭერს ნაკლოვანება ისაა, რომ იგი დასაბუთებულია იურიდიული მნიშვნელობის მიერ შემუშავებული ისეთი სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ინსტიტუტებით (ფეოდალური სახელმწიფოს წყობილება, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, სამეფო ხელისუფლება ფეოდალურ საზოგადოებაში, ფეოდალური სახელმწიფოს პოლიტიკური რეჟიმი, სამეფო კარი და სახელმწიფო მმართველობის აპარატი და ა. შ.), რომელთა არსი, დანიშნულება და ფუნქციები ავტორს ძალიან ხშირად არაზუსტად აქვს წარმოდგენილი.

ილ. ანთელავას ნაშრომში დასახელებულ ყველა სამართლებრივ და სახელმწიფოებრივ ინსტიტუტზე შეჩერება აქ შეუძლებელია, მაგრამ სახელმწიფო წყობილების ზოგიერთ ძირითად ცნებებზე, რომლებიც აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამის შესახებ ილ. ანთელავას მიერ ჩამოყალიბებულ მოსაზრებებში გარკვევისათვის, აქ არ შეიძლება არ გავამახვილოთ ყურადღება.

ყველა ფეოდალური სახელმწიფო და სამართალი საზოგადოებაში ფეოდალთა კლასის ბატონობის დაწესებულებებია. ფეოდალური სახელმწიფოს სათავეში დგას მეფე, რომელიც ხელისუფლებას არავის უნაწილებს, ე. ი. მეფე თვითონ არის საკანონმდებლო, აღმასრულებელ-განმკარგულებელი და სასამართლო ხელისუფლების მეთაური. ფეოდალური სახელმწიფოებრიობა წარმოადგენს საკანონმდებლო, აღმასრულებელ-განმკარგულებელი და სასამართლო ხელისუფლებების ერთობლიობას და მისი მეთაურია მეფე. ამრიგად, ფეოდალური სახელმწიფოებრიობა, როგორც საკანონმდებლო, აღმასრულებელ-განმკარგულებელი და სასამართლო ხელისუფლების ერთობლიობა, თავისი არსით მონისტურია, რამდენადაც მხოლოდ მეფეა მის სათავეში.

სამეფო ხელისუფლება ფეოდალურ საზოგადოებაში სახელმწიფოებრიობის განხორციელების მიზნით ქმნის ორი სახის სახელმწიფო ორგანოს: სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს, რომელიც ფეოდალიზმის ეპოქაში მეფეს ეკუთვნის, გააჩნია უშუალო მბრძანებლური ხასიათის კომპეტენცია, რაც გულისხმობს ქვეყნის სავალდებულო წესების დადგენისა და ამ წესების შესრულების უზრუნველყოფისათვის იძულებ-



ბითი ღონისძიებების გამოყენებას. რაც შეეხება სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს, რომელთაც მეფე, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების მეთაური, ქმნის თავისი მბრძანებლის სიათის ძალაუფლების განხორციელებისათვის, ისინი აწარმოებენ აღმასრულებელ და განმკარგულებელ საქმიანობას, რაც ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ დადგენილი ზოგადი ქვეყნის წესების საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეულ დარგებში განხორციელებასა და მათ შესრულებაზე კონტროლს. სახელმწიფო მმართველობის ორგანოები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების დამხმარე დაწესებულებებია, რომლებიც თავიანთ საქმიანობას აწარმოებენ მბრძანებლური სახელმწიფო ორგანოს (სამეფო ხელისუფლების) უშუალო კონტროლითა და მითითებით, ამრიგად, ფეოდალურ საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფლება მთლიანია, მონისტურია, ამიტომ ილ. ანთელავას მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ, შეუძლებელია ვილაპარაკოთ ფეოდალურ საზოგადოებაში სამეფო ხელისუფლების (სამეფო კარისა) და მმართველობის ორგანოების გაყოფაზე (დაყოფაზე). სწორედ ამიტომაც, რომ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორია ანტიფეოდალურია თავისი შინაარსით. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ფეოდალური სახელმწიფოს ორგანოების ფუნქციების გამიჯვნაზე, რომელიც ხდება სახელმწიფოს უმაღლესი სუვერენის — მეფის ნების შესაბამისად. ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ასეთი გამიჯვნა დამახასიათებელია ყველა განვითარებული ფეოდალური სახელმწიფოსათვის, რომლის ადრეულ სტადიაზე საზოგადოებაში სახელმწიფოებრიობა ხორციელდება სასახლის ვოტჩინური მმართველობის ფორმით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ ნათელია, რომ ილ. ანთელავას მიერ თავის ნაშრომში ციტირებული ვ. ბარტოლდის საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულება აღმოსავლურ-მუსულმანურ განვითარებულ ფეოდალურ სახელმწიფოებში ყველა ორგანოს ორ დიდ კატეგორიად გამიჯვნის შესახებ არავითარ შემთხვევაში არ იწვევს ეჭვს. რაც შეეხება ვ. ბარტოლდის ამ სწორი მოსაზრებიდან ილ. ანთელავას მიერ გაკეთებულ დასკვნას იმის შესახებ, რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური მოთხოვნა იყო „ცენტრალური მმართველობის აპარატის გამოყოფა მეფის კარისაგან“, იგი მცდარია. საქმე ისაა, რომ XII ს-ის საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილება თუ მეტი არა, იმდროინდელი ფეოდალური სამყაროს განვითარების დონეზე იდგა. ყოველ შემთხვევაში საქართველო ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარე-

ბის მიხედვით აღმოსავლურ-მუსულმანურ სახელმწიფოებზე მალე იდგა. ამიტომ გასაკვირი არცაა, რომ XII ს-ის ფეოდალურ საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში ხელისუფლების ცენტრალიზაციის ველობის ორგანოები ერთმანეთისაგან ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლამდე უკვე დიდი ხანია გამიჯნული იყო და ამის თაობაზე ბრძოლის საფუძველიც არ არსებობდა. ივ. ჯავახიშვილმა „ქართული სამართლის ისტორიის“ ორ ტომში XII ს-ის ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო სამართალში ერთმანეთისაგან სავსებით გამიჯნულად წარმოგვიდგინა სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოები. ივ. ჯავახიშვილი „ქართული სამართლის ისტორიის“ მეორე წიგნის მეორე ნაკვეთში ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შემდეგნაირად წარმოგვიდგენს: პირველი, სამეფო ხელისუფლება და მეორე, სახელმწიფო დარბაზი¹. რაც შეეხება სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს, რომელთაც ვაზირები (მწიგნობართუხუცესი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი და ა.შ.) ედგნენ სათავეში, იგი ივ. ჯავახიშვილმა გამოიკვლია „ქართული სამართლის ისტორიის“ მეორე წიგნის პირველ ნაკვეთში². ივ. ჯავახიშვილმა ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა მიუთითა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ერთმანეთისაგან გამიჯვნაზე და საფუძვლიანად გამოიკვლია ამ ორგანოების სამართლებრივი სტატუსი ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში. ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების იურიდიული ბუნება ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებათა მიხედვით მომდევნო პერიოდში შეისწავლეს ნ. ბერძენიშვილმა³, ი. სურგულაძემ⁴ და სხვებმა.

ილ. ანთელავას მოსაზრება კი იმის შესახებ, რომ ყუთლუ-არსლანი მოითხოვდა მეფის კარისაგან (სამეფო ხელისუფლებიდან)

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, გვ. 108—248.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი პირველი, 1928, გვ. 108—217.

³ ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში (მისივე საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი III, თბ., 1966, გვ. 5—57).

⁴ ი. სურგულაძე, სავაზირო ვეფხისტყაოსნის მიხედვით („მნათობი“, 1967, № 12).

ცენტრალური მმართველობის აპარატის (სავაზიროს) დამოკიდებუ-
არ შეიძლება ვაზიარებულ იქნეს, რადგან ეს მოთხოვნა უკვე დიდი
ხანია განხორციელებული იყო XII ს-ის საქართველოს მმართველთა
კურ სისტემაში და სხვათა შორის სწორედ ამის შედეგად განდა-
ყუთლუ-არსლანი მეჭურჭლეთუხუცესი—ფინანსთა მინისტრი, ვი-
თარცა სავაზიროს (მინისტრთა საბჭოს) წევრი (ვაზირი).

ამრიგად, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებუ-
ლი შეხედულება სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ყუთლუ-
არსლანის გამოსვლისა და აჯანყებულთა პოლიტიკური პროგრამის
შესახებ, რომელიც ივ. ჯავახიშვილის სახელთანაა დაკავშირებუ-
ლი, ძალაში უნდა დარჩეს. მაგრამ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური
პროგრამის შინაარსის ი. ჯავახიშვილისეული გააზრების მართებუ-
ლობის დასასაბუთებლად დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო
ხელისუფლების დანაწილების თეორიას, რომლის შუქზე ნათლად
ჩანს აჯანყებული მეჭურჭლეთუხუცესის პროგრამის შინაარსი და
მასში გადმოცემული იდეების მნიშვნელობა მსოფლიო კულტურის
ისტორიისათვის.

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორია მონათ-
მფლობელურ ეპოქაში ჩამოყალიბდა. ანტიკური ეპოქის მოაზროვ-
ნები (პლატონი, არისტოტელე, ციცერონი და სხვები) საზოგადო-
ებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოებრიობის წარმატებით განხორ-
ციელების მიზნით საგანგებოდ ამუშავებენ სახელმწიფო ხელისუფ-
ლების დანაწილების თეორიას. პლატონის აზრით, სახელმწიფო
აპარატის მუშაობა უნდა ემყარებოდეს შრომის დანაწილების პრინ-
ციპს: „თითოეულს შეუძლია კარგად შეასრულოს მხოლოდ ერთი
საქმე და არა მრავალი; თუ ვინმე შეეცდება ერთდროულად მრავ-
ალი საქმის გაკეთებას, იგი ვერაფერს მიაღწევს“¹. შრომის
დანაწილების პრინციპს პლატონი ავრცელებს სახელმწიფოს საქმი-
ანობაზე და მიუთითებს, რომ ერთიანი სახელმწიფოებრივი ხელი-
სუფლების საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატებით განხორციე-
ლებისათვის, იგი უნდა დანაწილდეს საკანონმდებლო (μ νομ οἰκεία)²,
აღმასრულებელ (τ σ ἀρχεῖον)³ და სასამართლო (τ σ δικαιο)

¹ Платон, Государство, 394.

² Платон, Законы, 807, 823.

³ იქვე, 842, 948.

⁴ იქვე, 945.

ხელისუფლებებად¹. პლატონის მიერ ჩამოყალიბებული სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორია განვითარებულ იქნა არისტოტელეს, პოლიბიოსის, ციცერონის და სხვათა მიერ².
ს. გ. აბაშვილი

ფეოდალური ეკონომიკის წიაღში ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობების ჩასახვამ, რაც უკვე შესამჩნევი ხდება XII საუკუნეიდან, თავისი გამოხატულება პოვა საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში. ფეოდალურ საზოგადოებაში სასაქონლო ფულადი ურთიერთობების ჩამოყალიბებამ, ქალაქების წარმოშობამ, რამაც ხელსაყრელი პირობები შექმნა ვაჭრობისა და ხელოსნობის სწრაფი განვითარებისათვის, ფეოდალური საკუთრების ბატონობის მიუხედავად, განაპირობა ახალ კერძო მესაკუთრეთა გაჩენა. კერძო საკუთრებაზე დამყარებული საზოგადოებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად იწყება რომის სამართლის რეცეპცია. იზრდება ინტერესი, აგრეთვე, ანტიკური სამყაროს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგებისადმი.

უდიდესმა კულტურულმა მოვლენამ — რენესანსმა თავისი იდეური საფუძვლები პოვა ანტიკურობაში, რამდენადაც ქრისტიანული შუასაუკუნეები ყოველმხრივ თრგუნავდა რელიგიური დოგმატიზისაგან თავისუფალ აზრს. რენესანსის კულტურული მემკვიდრეობის მთავარი დამახასიათებელი თავისებურება ხდება. მეცნიერების თითქმის ყველა დარგში საერო მოტივების კვლევა უმთავრეს ადგილს იკავებს. პლატონის, არისტოტელეს და ანტიკური სამყაროს სხვა მოაზროვნეების მიერ დამუშავებულ პრობლემებს რენესანსის ეპოქაში იყენებენ სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალები თავიანთი პოლიტიკური პროგრამების დასასაბუთებლად. ანტიკურობის ამ პრობლემათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიაა, რომელიც შუა საუკუნეებში უკვე მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება, კერძოდ, სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას. მაგრამ სამეფო ხელისუფლების შეზღუდვით დაინტერესებული იყვნენ სხვადასხვა საზოგადო-

¹ C. Michelakis, Platons Lehre von der Anwendung des Gesetzes und der Begriff der Billigkeit bei Aristoteles, 1958, გვ. 5—27; Forsthoff, Gewaltenteilung (Evangelische Staatslexikon, გვ. 655); В. А б а ш м а д з е, Учение о разделении государственной власти и его критика, გვ. 11—14 და ა. შ.

² Политика Аристотеля, /1297, 1298; Ц и ц е р о н и, О государстве, I, 29 45; Ш. Монтескье, Избранные произведения, М., 1955, გვ. 301—303; ვ. აბაშვილი, ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, ტ. 11, თბ., 1977, გვ. 344—351 და ა. შ.

ებრივი ძალები და დაწესებულებები, ამიტომ ყველა ისინი სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებას განიხილავდნენ თავიანთი კლასობრივი პოზიციებიდან. შუა საუკუნეების ეპოქაში სახელმწიფო ლური სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ორი ძირითადი მიზეზი იბრძოდა: საეკლესიო ხელისუფლება და რენესანსის მედროვე ბურჟუაზია, რომელიც ფეოდალური სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ბრძოლაში სრულყოფდა საკუთარ იდეოლოგიას. ყველა ეს საზოგადოებრივი ძალა, თავიანთი პოლიტიკური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, როგორც სააზროვნო მასალას, იყენებს წარსული ეპოქების მეცნიერულ მემკვიდრეობას, უმთავრესად არისტოტელისმს, რომელიც ლოგიკის გარდა მთლიანად უცნობი იყო მანამდე დასავლეთის ქვეყნებისათვის¹.

შუა საუკუნეების ეპოქაში პირველად ჩნდება დასავლეთ ევროპაში სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრება და იგი მიმართულია სამეფო ხელისუფლების შეზღუდვისაკენ. ფეოდალურ საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფლება მონისტურია². ამიტომ ფეოდალიზმში ჩასახული ბურჟუაზიული ელემენტები განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველი ეტაპიდანვე აქტიურად გამოდიან მონისტური სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. დამახასიათებელია, რომ განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველ ეტაპზე ფეოდალური სახელმწიფოებრიობის მოსპობა და ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნა არ წარმოადგენს ბურჟუაზიის პოლიტიკურ მოთხოვნას. ამ პერიოდში ბურჟუაზია ცდილობს შეზღუდოს სამეფო ხელისუფლება და ამ მიზნით მათი იდეოლოგიები ანტიკურობიდან მემკვიდრეობით მიღებულ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიას ავითარებენ.

მეცნიერულ ლიტერატურაში, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიის ისტორიისადმი მიძღვნილი, ერთხმადაა აღიარებული, რომ XIII საუკუნემდე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ეს თეორია ჯერ კიდევ უცნობია³. სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრება ფეოდალიზმის ეპოქაში პირველად გვხვდება XIII ს-ის მოაზროვნის, ერთ დროს პარიზის უნივერსიტეტის რექტორის, მარსილუს პადუელის ნაშრომებში. მარსილუს პადუელი წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის იდეოლოგია. ბურჟუაზიის ინტერესების შესაბამისად იგი მო-

¹ Ю. Боргош, Фома Аквинский, М., 1960, гл. 9—18.

² W. Kögi. Von der klassischen Dreiteilung zum umfassenden Gewaltenteilung. Bern, 1961, гл. 162.

³ В. В. Абашмадзе, Учение о разделении государственной власти и его критика, гл. 18—27.

ითხოვს, რომ სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც მთლიანად მეფეს ეკუთვნოდა, საზოგადოებაში დანაწილებული საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებად. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მარსელიელ დიდი სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნას ასაბუთებს არიატოტელეს ნაშრომებით, რომლებშიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩამოყალიბებულია მოსაზრება ერთიან ხელისუფლებად დანაწილების შესახებ: „Civem autem dico, secundum Aristotelem 3° Politice, capitulis 1°, 3° et 7°, eum qui participat in sommunitate civili aut consiliativo vel indicativo secundum. gradum sum.“¹

როგორც ქართულ მეცნიერულ ლიტერატურაში აღნიშნული, საქართველოში ადრინდელი რენესანსის იდეები გვხვდება ჯერ კიდევ XII საუკუნეში. რენესანსულ-პოლიტიკური იდეოლოგიის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება, რომელიც უკვე გვხვდება ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ პროგრამაში.

ყუთლუ-არსლანის პროგრამაში გადმოცემული სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნის თაობაზე უკანასკნელი პერიოდის ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია არასწორი მოსაზრება, რომელზეც საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ. სტატიაში „ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ“ ილ. ანთელავა აღნიშნავს, რომ „ვ. აბაშაძემ ყუთლუ არსლანის გამოსვლა... მასშტაბურ მოვლენად მიიჩნია და მასში ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნა დაინახა“². სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიის სრულ გაუგებრობაზეა დამყარებული გ. მჭედლიძის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის „ეტიუდი რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორიიდან“ ის ნაწილი, რომელიც ყუთლუ-არსლანის პროგრამის პოლიტიკურ მოთხოვნებს ეხება. გ. მჭედლიძე წერს, რომ ჩვენი მოსაზრებანი XII ს-ის საქართველოში ახალი, ბურჟუაზიული იდეოლოგიის არსებობაზე საისტორიო წყაროებით არ არის დადასტურებული, ამიტომ „მკვლევარი იძულებული გახდა, მსჯელობა სულ სხვა ასპექტში, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიის სფეროში გადაეტანა“³.

¹ Marsilius von Padua, Der Verteidiger des Friedens (Defensor Pacis), Bd. 2, 1, XI, 4.

² „მაცნე“, № 4, 1977, გვ. 181.

³ „განთიადი“, № 6, 1977, გვ. 176.



საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ივ. ჯავახიშვილი იყო პირველი მკვლევარი, რომელმაც ყუთლუ-არსლანის პროგრამა შეისწავლა მეცნიერების განვითარების დონეზე და გააკეთა შემდეგი დასკვნები: პირველი, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური გამოსვლა და მისი პოლიტიკური მოთხოვნები სწორედ რომ „მასშტაბურ მოვლენას“ წარმოადგენს; მეორე, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამა ემყარება არისტოტელეს მიერ შემუშავებულ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიას: მესამე, მეჭურჭლეთუხუცესის დასის აჯანყება მხოლოდ მესამე წოდების ინტერესების განხორციელებას ისახავდა მიზნად სამეფო ხელისუფლების შეზღუდვის გზით.

ყუთლუ-არსლანის პროგრამის პოლიტიკური მოთხოვნის დახასიათებისას ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ აჯანყებულები მიზნად ისახავდნენ სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას პარლამენტით, რასაც იგი მსოფლიო ისტორიის უდიდეს მოვლენად თვლიდა¹. ივ. ჯავახიშვილის ამ დასკვნის საფუძველზე ს. ყაუხჩიშვილი მიუთითებს, რომ ყუთლუ-არსლანის პროგრამაში მოცემულია „უზარმაზარი ამბავი პარლამენტური წყობილების შემოღების ცდისა“². ამავე დროს პირველი მეცნიერი, რომელმაც ყუთლუ-არსლანის პროგრამის პოლიტიკური მოთხოვნები სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიას დაუკავშირა, ივ. ჯავახიშვილი იყო. თავისი „ქართული სამართლის ისტორიის“ მეორე წიგნის მეორე ნაკვეთში იგი წარმატებით ადგენს ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური მოთხოვნების იურიდიულ საფუძვლებს და მიუთითებს: „მეჭურჭლეთუხუცესის დასის პროგრამა რომ თანამედროვე იურიდიული ტერმინოლოგიით გამოითქვას, მეფეს უნდა მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება შეჩინოდა, კანონმდებელი ხელისუფლება კი — მარტო „ქარავეში დასხდომილთ“ უნდა ჰქონოდათ“³. ივ. ჯავახიშვილი ყურადღებით იკვლევს ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამაში გადმოცემული სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების გენეზისს XII ს-ის ფეოდალურ საქართველოში და მას სავსებით სამართლიანად უკავშირებს არისტოტელეს მოძღვრებას სახელმწიფოს შესა-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, გვ. 410—411.

² ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 015.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, გვ. 173.

ხებ. ივ. ჯავახიშვილი წერს: „ცნობილია, რომ არისტოტელის სახელმწიფოს ფუნქციების დასახასიათებლად თავისი განთქმული დებულება *Trias politica* წამოაყენა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს სამი ფუნქცია აქვს: კანონმდებლობითი (*πολιτευσις*), მართლმსაჯულებითი (*διοικησις*) და მართვა-გამგეობითი (*πρυτανεια*).¹ მართლაც, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხმად აღიარებული, არისტოტელემ პლატონთან ერთად საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიას. შუა საუკუნეებში კი არისტოტელეს მოძღვრება სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების შესახებ ფართოდ იქნა გამოყენებული ევროპაში ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველი ეტაპიდანვე (XIII—XVII სს.) მესამე წოდების მიერ სამეფო ხელისუფლების შესაზღუდავად და სახელმწიფოებრიობის განხორციელებაში მონაწილეობის მისაღებად². ამიტომ ბუნებრივია, მესამე წოდება, რომლის პოლიტიკური მოთხოვნები ჩამოყალიბებულია ყუთლუ-არსლანის პროგრამაში, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიას იყენებდა სამეფო ხელისუფლების შესაზღუდავად განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველი ეტაპიდანვე, კერძოდ, XII ს-ის დასასრულიდანვე საქართველოშიც³.

აქვე არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრების ცალკეული საკვანძო დებულებები გ. მჭედლიძეს არასწორად აქვს გაგებული თავის ზემოთ აღნიშნულ სტატიაში. ამიტომაც მისი შენიშვნები ყუთლუ-არსლანის პროგრამაში სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნათა თაობაზე უსაფუძვლოა.

გ. მჭედლიძე შენიშნავს, რომ „ძნელი წარმოსადგენია ყუთლუ-არსლანს რაიმე პოლიტიკური თეორია ჰქონოდა, მით უფრო, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორია. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში, მხოლოდ, რაღაც ჩამოუყალიბებელი იდეის არსებობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ“⁴. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამა რომ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნებს შეიცავს, იგი ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა ცხადყო, ამიტომ მასზე შეჩერება ზედმეტად მიგვაჩნია.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, გვ. 171.

² მარსილუს პაღუელი, დასახ. ნაშრომი, Bd. 2, I, XII, 4; R. Treumann, Die Monarchomachen, Leipzig, 1895 გვ. 41—48 და ა. შ.

³ В. В. Абашмадзе, Учение о разделении государственной власти и его критика, Тб., 1972.

⁴ „განთიადი“, 1977, № 6, გვ. 176.

მაგრამ აქ ყურადღებას იპყრობს გ. მჭედლიძის შენიშვნის ის ნაწი-
ლი, რომელშიც გამოთქმულია ვარაუდი იმის შესახებ, რომ ყუთლუ-
არსლანის პროგრამაში შეიძლება მხოლოდ „რალაც ჩამოყალიბებელი
ბელი იდეის არსებობაზე ვიმსჯელოთ“. ცხადია, აქ მკვლევარს მხედ-
ველობაში აქვს სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების „რალაც
ჩამოყალიბებელი იდეა“. სახელმწიფო ხელისუფლების დანაწი-
ლების თეორია თავისი ჩამოყალიბების პერიოდიდან (ანტიკური
სამყარო) გულისხმობს ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების და-
ნაწილებას საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო
ხელისუფლებებად. ყუთლუ-არსლანის პროგრამაში უცნობი ის-
ტორიკოსის მიერ გამოყენებული ტერმინები „განგება“, „სრულ-
ქმნა“, „წყალობა და შერისხვა“, როგორც ი. ჯავახიშვილმა ცხად-
ყო, ნიშნავს კანონმდებლობას, აღსრულებასა და მართლმსაჯულე-
ბას¹, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ცალკეულ ნაწილებს
და ამდენად, აქ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების „რალაც
ჩამოყალიბებელი იდეა“ კი არაა მოცემული, არამედ საოცრად
ნათელი მოთხოვნა ერთიანი ხელისუფლების საკანონმდებლო, აღ-
მასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებად დანაწილების
შესახებ. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ივ. ჯავა-
ხიშვილს, როცა ხაზგასმით მიუთითებდა: „რაც უნდა იყოს,
ერთი რამ სრულებით ცხადი და უცილობელია: ყუთლუ-არსლა-
ნისა და მისი თანამოაზრეების მიერ წამოყენებული მოთხოვნილე-
ბანი საქართველოს სახელმწიფო ცხოვრებაში განსაკუთრებულ და
მეტად საგულისხმო მოვლენად უნდა ჩაითვალოს; რამდენადაც
ვიცით, არასდროს არავისგან ასე მკაფიოდ და ნათლად არ ყოფი-
ლა წამოყენებული საკითხი საქართველოს სახელმწიფო წესწყობი-
ლების შეცვლის საჭიროების შესახებ, რომ მეფეს „თვითმპყრობე-
ლობით“ და მხოლოდ მას საკუთრივ სახელმწიფო საქმეების გადა-
წყვეტის უფლება არა ჰქონდა, არამედ ეს უფლება განსაკუთრე-
ბულს უზენაესს დაწესებულებას მინიჭებოდა, მეფეს კი მარტო
ამ დაწესებულების გადაწყვეტილების „განგებულის“ აღსრულებ-
ის, „სრულქმნის“ უფლება შერჩენოდა. მაშასადამე, აქ საუცხო-
ოდ არის ერთმანეთს შორის განსაზღვრული კანონმდებლობისა და
განგების უფლება ერთი მხრით და სრულყოფის უფლება მეორე
მხრით. მარტო ეს განსაზღვრა ქართული სახელმწიფო სამართლისა
და აზროვნების დიდი განვითარების დამამტკიცებელია“². ივ. ჯავა-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, გვ. 169—171.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 11, გვ. 248—249.

ხიშვილის ამ დასკვნის შემდეგ გ. მკედლიძის შენიშვნა ყუბულუაშვილის პროგრამის „რალაც ჩამოუყალიბებელი იდეის“ შესახებ, რა თქმა უნდა, სრულიად უსაფუძვლო მოჩანს.

ასევე მეცნიერულად დაუსაბუთებლად გვეჩვენება გ. მკედლიძის მეორე შენიშვნა იმის შესახებ, რომ „სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება ყველგან და ყოველთვის, მხოლოდ მესამე წოდების მიერ ხელისუფლების მიღებას ნიშნავდა, მაინცდამაინც დამარწმუნებლად არ ჩანს. ნოვგოროდისა და ფსკოვის XII—XIII საუკუნეთა ისტორია ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს“¹. მკვლევარს აქ არასწორად აქვს გაგებული სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორია. საქმე ისაა, რომ ეს თეორია წარმოიშვა ანტიკურ სამყაროში და, რა თქმა უნდა, არავის შეუძლია ამტკიცოს, რომ იგი „ყველგან და ყოველთვის, მხოლოდ მესამე წოდების მიერ ხელისუფლების მიღებას ნიშნავდა“ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ანტიკურ სამყაროში მესამე წოდება არ ყოფილა. ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორია ყველგან და ყოველთვის მიზნად ისახავს სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას². ფეოდალიზმის ეპოქაში კი ბურჟუაზია განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველ საფეხურზე (XIII—XVII სს.) სამეფო ხელისუფლების შესაზღუდავად იყენებს სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიას. ამ მოსაზრებას ვერ უარყოფს ის გარემოება, რომ XII—XIII სს. ფსკოვსა და ნოვგოროდში არ იცნობდნენ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიას, რადგან ამ ეპოქაში აქ ჯერ კიდევ არ არსებობდა ჩამოყალიბებული მესამე წოდება საკუთარი პოლიტიკური იდეოლოგიით. რაც შეეხება რენესანსულ პოლიტიკურ თეორიებს (სახელმწიფო სუვერენიტეტი, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება და ა. შ.), ნოვგოროდსა და ფსკოვში მათ არსებობაზე ლაპარაკი ზედმეტია. აქ მესამე წოდების ჯერ კიდევ სისტემად ჩამოუყალიბებელი შეხედულებები ეკლესიის ძლიერ ზეგავლენას განიცდიდა და მისი დოგმატების მიხედვით ვითარდებოდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ნოვგოროდში ვაჭართა კორპორაციები და საზოგადოებები დამოუკიდებლად კი არ არსებობდა, არამედ ცალკეულ ეკლესიებთან იყო ჩამოყალიბებული³.

¹ „განთიადი“, 1977, № 6, გვ. 176.

² მარსილუსის პირველი, დასახ. ნაშრომი, Bd. 2. 1, X11, 4; რ. ტრომანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 41—48 და ა. შ.

³ История государства и права СССР, часть I, М., 1967, გვ. 187.

არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს გ. მკედლიძის შესაძლებლობის შესახებ, რომ XII საუკუნეში „ბურჯუაზიული ურთიერთობანი... ისე დაწინაურებულნი არ იყვნენ, რომ მათი შესაძლებლობა ლიტერატურული იდეოლოგიის ჩამოყალიბება გამხდარიყო... საისტორიო წყაროები ასეთი მტკიცების შესაძლებლობას არ იძლევიან“¹. საქმე ისაა, რომ მესამე წოდების პოლიტიკური იდეოლოგია ყალიბდება ბურჯუაზიის განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველივე ეტაპზე, რომელიც, როგორც მეცნიერები მიუთითებდნენ, დასავლეთ ევროპაში დაიწყო XIII საუკუნეში. ეს იდეოლოგია ჩამოყალიბებულია მ. პადუელის, ნ. მაკიაველის, ჟან ბოდენის, თ. მორის, თ. კამპანელას და სხვათა ნაშრომებში. როგორც ჩანს, XIII საუკუნეში, როცა დაიწყო ბურჯუაზიის განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველი ეტაპი, დასავლეთ ევროპაში ბურჯუაზიული ურთიერთობანი იმდენად იყო განვითარებული, რომ მის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ბურჯუაზიის მებრძოლი იდეოლოგიის ჩამოყალიბება. მაგრამ რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ XII ს-ის დასასრულსა და XIII ს-ის დასაწყისში ფეოდალურ საქართველოში? ცნობილია, რომ XII ს-ის საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონე დასავლეთ ევროპის ქვეყნების განვითარების დონეზე საგრძნობლად მაღალი იყო. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მხრივ ნაკლები ყურადღება ექცევა ივ. ჯავახიშვილის შემდეგ საგულისხმო ცნობას: „საქართველო, თავისი ინტენსიური მეურნეობისა და ფართო ალემ-მიცემობის წყალობით, ფინანსურად მდიდარი ქვეყანა იყო. სპარსელი გეოგრაფის აბდალაჰ ყაზვინის ცნობით, საკუთრივ საქართველოს (უყმაღნაფიცო ქვეყნებად) ყოველწლიური სახელმწიფო სალაროს შემოსავალი 3 750 000 ოქროს მანეთს უდრიდა. ამ ხანაში კი მცირე აზიის შემოსავალიც 2 475 000 მან., არაბეთის ერაცის 2 250 000 მან. და ფარსის 2 153 000 მან. შეადგენდა მხოლოდ. დას. ევროპის ქვეყნებიდანაც ზომბარტით ინგლისის მეფის შემოსავალი 1300 წელს 4 000 000 ოქროს ფრანკს, ხოლო საფრანგეთის 1311 წელს 3 000 000 ფრანკს არ აღემატებოდა. საქართველოს ეკონომიკაში ზემოაღნიშნული შემოსავლის თანხა მხოლოდ ფულადი შემოსავლის ოდენობაა. ამას გარდა, მას სულადად დაწესებული გადასახადების შემოსავალიც ჰქონდა. მხოლოდ სწორედ ასეთმა ეკონომიკურმა კეთილდღეობამ მისცა საშუალება საქართველოს და ხალხს აეტანა ის საშინელი პოლიტიკური და ეკონომიკური განსაცდელი.

¹ „განთიადი“, 1977, № 6, გვ. 176.

რომელიც მას XIII საუკუნეში დაატყდა თავს¹. მართალია, ამ სიმ-
დიდრის დაგროვება საქართველოში ძლევამოსილი ლაშქრობების
შედეგიც იყო, მაგრამ ქვეყნის მაღალი ეკონომიკური დონე² და
ბისა და ხელოსნობის განვითარებით იყო განპირობებული. XII
საუკუნის საქართველოს განვითარებულ ეკონომიკურ წყობილება-
ზე წარმოდგენას გვაძლევს ვაჰარ-ხელოსანთა მაღალორგანიზებუ-
ლი გაერთიანებები ამქრებისა და ორტალების სახით. ქალაქებში
ვაჰრობისა და ხელოსნობის განვითარებამ გამოიწვია საქალაქო
მოხელეთა ხელისუფლების სისტემის ჩამოყალიბება. სწრაფი ტემ-
პით მიმდინარეობს ქონებრივი უთანასწორობის ზრდასთან ერთად
ვაჰართა და ხელოსანთა წოდების შიგნით სოციალური დიფერენ-
ციაცია. თამარ მეფის დროინდელი საქართველოს განვითარებული
ეკონომიკური წყობილების ფონზე სავსებით დამაჯერებლად მიგ-
ვაჩნია ნ. ბერძენიშვილის ნაშრომებში „პ. კაკაბაძის „დავით მერ-
ვე“ და „საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშ-
ვნელობისათვის“ ჩამოყალიბებული მოსაზრება იმის შესახებ,
რომ XII ს-ის დასასრულს ფეოდალური წყობილება საქართველო-
ში განვითარების იმ დონეს აღწევს, რომ „ამის შემდგომი განვი-
თარება ამ ურთიერთობის დაშლის ტენდენციების ზრდის ნიშნის
ქვეშ, ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის ჩასახვის ნიშნის ქვეშ
შეიძლება მხოლოდ“³.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, გ. მჭედლიძე გვისაყვედურებს,
რომ მესამე წოდება ჩვენთვის ბურჟუაზიაა, რომელსაც XII ს-ის
საქართველოში გააჩნდა ანტიფეოდალური (ბურჟუაზიული) იდე-
ოლოგია. გ. მჭედლიძეს დიდ ცოდვად მიაჩნია ჩვენი ეს მოსაზრება
და გვისაყვედურებს, რომ XII ს-ის საქართველოს სოციალურ-
ეკონომიკურ მდგომარეობაზე მსჯელობისას გავვიტაცა „ბურჟუაზი-
ულ ურთიერთობათა მაღალგანვითარებულობის დამტკიცების პერს-
პექტივამ“ და ჩავთვალეთ რა „მესამე წოდება ეკონომიკურად ისე
მომძლავრებულ კლასად, რომ მას თითქოს ქვეყნის შემდგომი პო-
ლიტიკური განვითარების პერსპექტივის განსაზღვრა შეეძლო“, სა-
უბარი წამოვიწყეთ „ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების შე-
საბამისი იდეოლოგიის არსებობაზე“³.

წინასწარ უნდა ითქვას, რომ გ. მჭედლიძე ბევრ საყოველთაოდ
ცნობილ კეშმარტებას შეცდომად მიიჩნევს. დავიწყეთ იმის გარ-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 11, გვ. 394.

² ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. V, 1971,
გვ. 160.

³ „განთიადი“, 1977, № 6, გვ. 176.

კვეციო, თუ რა ურთიერთკავშირია მესამე წოდებასა და ბუჩქნა-
აზიას შორის. ნუთუ ისე დაპირისპირებული და დაშორებული
ისინი ერთმანეთის მიმართ, როგორც ეს გ. მკედლიძეს
თქმა უნდა, არა, ქალაქების თავისუფალი მოსახლეობა, მოქალაქე-
თა ეს წოდება წარმოადგენს ბურჟუაზიის კლასის ძირითად და
უპირველეს ელემენტს.

დაბოლოს, გაუგებრობაზეა დამყარებული გ. მკედლიძის მომ-
დევნო შენიშვნაც. იგი გვისაყვედურებს, რომ „ვ. აბაშმაძე, როგორც
სამართალმცოდნე... არ უნდა დათანხმებოდა მათ, ვინც ფიქრობს,
რომ: „ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამა მიზნად
ისახავდა საქართველოში მანამდე არსებული მონარქიული წყობი-
ლების რესპუბლიკურით შეცვლას“¹. მკვლევარი, რომელიც სამარ-
თლიანად ამტკიცებდა, რომ ყუთლუ-არსლანის პროგრამა მიზნად
ისახავდა მონარქიული წყობილების რესპუბლიკურით შეცვლას,
ივ. ჯავახიშვილია. ყუთლუ-არსლანისადმი მიძღვნილ ნაშრომში ივ.
ჯავახიშვილი ხაზგასმით წერდა: „თუ საქმის ამ ვითარებასა და
პოლიტიკურ პროგრამას თანამედროვე იურიდიული ტერმინოლო-
გიით დავახასიათებთ, ეს დაახლოებით იმას უდრიდა, რომ საქარ-
თველოს მანამდე არსებული მონარქიული წესწყობილება რესპუბ-
ლიკურად უნდა შეცვლილიყო“².

გარდა ამისა, დასაწინაა, რომ გ. მკედლიძეს ჩვენი ნაშრომიდან
ციტატა მოყვანილი აქვს არასრულად, რაც მთლიანად ამახინჯებს
ჩვენს აზრს. კერძოდ, იქ, სადაც გ. მკედლიძე ეხება მონარქიული
წყობილების რესპუბლიკურით შეცვლას, გამოტოვებულია მომდევ-
ნო, პირველთან ორგანულად დაკავშირებული წინადადება „სამე-
უფო ხელისუფლების შეზღუდვისა და ფეოდალურ საქართველო-
ში პარლამენტის მსგავსი დაწესებულების შექმნის გზით“³. ამ გან-
მარტებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი მიუთითებს
იმაზე, თუ რას გულისხმობდა ივ. ჯავახიშვილი, როცა აღნიშნავ-
და, რომ ყუთლუ-არსლანის პროგრამა მიზნად ისახავდა მონარ-
ქიული წყობილების რესპუბლიკურით შეცვლას.

ცნობილია, რომ მესამე წოდების რესპუბლიკური იდეების
განხორციელებისათვის ბრძოლა ყველგან იწყება თავდაპირველად
სამეფო ხელისუფლების შეზღუდვისა და პარლამენტის შექმნის

¹ „განთიადი“, 1977, № 6, გვ. 176.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე,
ნაკვეთი მეორე, გვ. 183.

³ ვ. აბაშმაძე, ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა
ისტორიიდან, 1969, გვ. 420.

მოთხოვნით. ამას ნათელყოფს ფეოდალური სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველ საფეხურზე ჩამოყალიბებული პოლიტიკური დოქტრინე. მისი წარმოქმნის კედელს XIII საუკუნეში წოდებრივ-წარმომადგენლობითი მემკვიდრეობის იდეოლოგი მ. პადუელი მოითხოვდა სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებისა და მეფის ხელისუფლების შეზღუდვის მიზნით რესპუბლიკური წყობილებისათვის გზის გაკაფვას, რაც მესამე წოდების სასიცოცხლო ინტერესს შეადგენდა. მეტიც, ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველი ეტაპის დასასრულისა და აგრეთვე მეორე ეტაპის დასაწყისში XVII ს-ის ბუნებითი სამართლის წარმომადგენლები თ. ჰობსი, ჯ. ლოკი, ჰ. გროციუსი და აგრეთვე XVIII ს-ის უფროსი თაობის ფრანგი განმათავისუფლებლები ვოლტერი, მონტესკიე და სხვები, რომლებიც ბურჟუაზიის ინტერესების შესაბამისად მონარქიის რესპუბლიკური წყობილებით შეცვლისათვის იბრძოდნენ, ჯერჯერობით ზომიერ მოთხოვნებს აყენებენ. კერძოდ, ისინი მეფის ხელისუფლების კონსტიტუციურ შეზღუდვას ქადაგებენ¹.

აქედან ცხადია, როცა ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ ყუთლუ-არსლანის პროგრამა მიზნად ისახავდა საქართველოში მანამდე არსებული მონარქიული წყობილების რესპუბლიკურით შეცვლას, იგი სწორედ ზემოთ აღნიშნულ გარემოებას გულისხმობდა. მართლაც, ივ. ჯავახიშვილი ყუთლუ-არსლანის აჯანყებასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევისას წერს: „სიმდიდრით აღზევებულთა“ დასის პროგრამის ეს დამახასიათებელი რესპუბლიკური წესწყობილებისადმი მიდრეკილება საშუალებას გვაძლევს ამ პროგრამის სადაურობა გამოვარკვეოთ“². ივ. ჯავახიშვილს ჩვენთვის საინტერესო დებულება სხვათა შორის აქვს გამოთქმული. მაგრამ მისი საგანგებოდ აღნიშვნა არც კი იყო საჭირო, რადგან ვინც კარგად იცნობს ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველი და მეორე ეტაპის დროინდელი ანტიფეოდალური აზრის ისტორიას, მისთვის ზედმეტი განმარტებებიც აღარაა საჭირო.

ამრიგად, გ. მკედლიძის შენიშვნის საწინააღმდეგოდ, სწორედ როგორც იურისტი, უნდა დავთანხმებულიყავი ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური

¹ История политических учений, М., 1955, გვ. 110—113, 161—181, 189—200, 237—262.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, გვ. 183; მისივე, ქართველი ერის ისტორია, ტ. 11, გვ. 250.


პროგრამა მიზნად ისახავდა საქართველოში მანამდე არსებული მონარქიული წყობილების რესპუბლიკურით შეცვლას.

ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ ი. ჯავახიშვილის, ყუთლუ-არსლანის დასის შესახებ, რომელიც მან წამოაყენა ამ ორ-მოცდათზე მეტი წლის წინათ, მილიანად დასტურდება მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონის მიღწევათა მიხედვით. კერძოდ, ყუთლუ-არსლანის დასი მესამე წოდების (ბურჟუაზიის) ინტერესების შესაბამისად მოითხოვდა სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას და ეს დასი თავის პოლიტიკურ პროგრამას ამყარებდა სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიაზე, რომელიც ყველგან, სადაც კი იგი გაჩნდა ფეოდალიზმის ეპოქაში, ბურჟუაზიის პოლიტიკური იდეოლოგიის უმთავრესი შემადგენელი ნაწილი იყო.

* * *

XII საუკუნის დასასრულს ფეოდალურ საქართველოში კლასობრივი ბრძოლების გამწვავებამ, რაც ფეოდალური ურთიერთობის განვითარებისა და ფეოდალიზმის წიაღში ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობების ჩასახვით იყო გამოწვეული, მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია სამეფო ხელისუფლებაში. თამარ მეფეს, როგორც საქართველოს ინიციატივით შექმნილ უზარმაზარ ტერიტორიაზე გადაჭიმულ მრავალეროვანი სახელმწიფოს მეთაურს, აღარ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს ქვეყანაში მომხდარ ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის ძვრების შედეგად გაჩენილ სოციალურ ძალებს და სახელმწიფოებრივი ხელისუფლების განხორციელების აბსოლუტისტური პრინციპების ნაცვლად, რასაც დავით აღმაშენებლის პოლიტიკა ემყარებოდა, სამეფო ხელისუფლებას „თანადგომითა და ერთნებაობით“ ახორციელებს. სამეფო ხელისუფლება ცდილობს პოლიტიკური წონასწორობა დაამყაროს ფეოდალურ საზოგადოებაში მებრძოლ კლასებს შორის და სახელმწიფოებრივი მმართველობა განახორციელოს ყველა შეძლებული საზოგადოებრივი კლასის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის აჯანყებამ რადიკალური რესპუბლიკური მოთხოვნებით შეარყია ფეოდალური საქართველოს მშვიდი პოლიტიკური ცხოვრება. ამას გარდა, საქართველოს ბარში გამარჯვებული ფეოდალური ურთიერთობების თანდათანო-

პითმა შექრამ მთიან რაიონებში ყმა გლეხთა მრავალრიცხოვანი აჯანყებები გამოიწვია.



ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრიობა, ტყვეობის მთელი კავკასიის ტერიტორიაზე ვრცელდება, მრავალი სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების ხალხებს აერთიანებს. საქართველოს სამეფო ხელისუფლება ცდილობს შეარიგოს ამ ხალხთა სარწმუნოებრივი და პოლიტიკური წინააღმდეგობანი და საზოგადოებრივი წონასწორობა დაამყაროს მათ შორის.

ფეოდალური საქართველოს საშინაო და საგარეო ამოცანების შესაბამისად, XII საუკუნის დასასრულს სამეფო ხელისუფლების პოლიტიკური იდეოლოგიის მესვეურნი ცდილობენ ახალი პოლიტიკური თეორიებისა და დოქტრინების შემუშავების გზით გამოიყენონ გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან და მათი საშუალებით იდეოლოგიური ზემოქმედება მოახდინონ ფეოდალურ საქართველოში მებრძოლ კლასებზე.

XII საუკუნის დასასრულს ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური იდეოლოგიის მიერ შემუშავებულ ყველაზე გავრცელებულ დოქტრინას, რომლითაც ხელმძღვანელობდა სამეფო ხელისუფლება საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას, შეადგენდა საზოგადოებრივი სოლიდარიზმის იდეები, რომლებიც მიზნად ასახავდნენ როგორც ქვეყნის შიგნით ჩასახული ბურჟუაზიული ურთიერთობების შედეგად გამოწვეული კლასობრივი ბრძოლების შერბილებას და ფეოდალურ საზოგადოებაში კლასობრივი ზავის დამყარებას, ასევე ფეოდალური საქართველოს ინიციატივით კავკასიაში შექმნილ მრავალეროვან სახელმწიფოში შემავალ ქვეყნებს შორის მშვიდობისა და ფეოდალური წესრიგის შენარჩუნებას.

თამარ მეფის ფინანსთა მინისტრის, ყუთლუ-არსლანის მიერ წამოყენებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების იდეა ვერ განხორციელდა. სამეფო ხელისუფლებამ ყუთლუ-არსლანი დააპატიმრა და მისი დასის წევრებთან პოლიტიკური მოლაპარაკების შემდეგ მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა სახელმწიფოებრივ მმართველობაში, ამ ცვლილებების შედეგად სამეფო ხელისუფლება ქვეყანას მართავს „თანადგომითა და ერთნებობით“ საზოგადოებრივი სოლიდარობის პრინციპების საფუძველზე. XII საუკუნის დასასრულს ფეოდალურ საქართველოში კლასობრივ ძალთა განვითარების შესაბამისად საზოგადოებრივი სოლიდარიზმის ახალი პოლიტიკური დოქტრინა სხვა ისტორიულ

წყაროებთან ერთად სრული სახით გადმოცემულია ქართველი ხალხის გენიალური პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის პოლიტიკურ მოძღვრებაში, რომლის ყველა მხარის დაფუძნებაც უკვდავი პოემით — „ვეფხისტყაოსნით“ არის შესაძლებელი.

3. შოთა რუსთაველი

„ვეფხისტყაოსანს“, როგორც რენესანსის ეპოქის უდიდეს მხატვრულ ნაწარმოებს, საქართველოს ისტორიული წარსულის საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალფეროვანი ურთიერთობანი უძევს საფუძვლად. ამიტომ მის ავტორს, გენიალურ პოეტსა და მრავალმხრივ განსწავლულ მოაზროვნეს, შოთა რუსთაველს თავისი დროისათვის ღრმად დასაბუთებული ჰუმანისტური შეხედულებები გააჩნია ადამიანთა საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების სხვადასხვა, ერთმანეთისადმი საკმაოდ დაშორებული დარგების შესახებ. „ვეფხისტყაოსანში“ არაჩვეულებრივი სისრულით არის ასახული არა მარტო XII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების თავისებურებანი, არამედ მასში საზოგადოებრივი ცხოვრების ურთულესი პრობლემებია გადაწყვეტილი ზოგადსაქაობრიო თვალსაზრისითაც, რომელიც გამოირიცხავს ვიწრონაციონალურ ინტერესებს. „ვეფხისტყაოსნის“ არაჩვეულებრივად დახვეწილი და მაღალი გემოვნებით დამუშავებული სიუჟეტის განვითარება დაკავშირებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან და ამ ქვეყნების ხალხთა ზოგადსაქაობრიო მაღალი იდეებთან. სწორედ ამით უნდა აიხსნას „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ ყველა იმ ქვეყნის ხალხთა უდიდესი ინტერესი, რომლებიც ეზიარნენ XII საუკუნის საქართველოს ამ ღირსშესანიშნავი ნაწარმოების დიად და ცხოველყოფელ იდეებს. გენიალური პოეტის უბადლო ნაწარმოები მეცნიერების თითქმის ყველა დარგის წარმომადგენელთა ინტერესს იწვევს და რაც დრო გადის, მით უფრო ცხადი ხდება მისი სიდიადე.

„ვეფხისტყაოსანი“ როგორც პოეტური ქმნილება, მასში მოცემული ღრმა საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეებით, განპირობებულია საქართველოს რეალური სინამდვილის უმნიშვნელოვანესი სოციალურ-პოლიტიკური ამოცანებით. შოთა რუსთაველი, როგორც

რეალისტი მნატვარი, თავისუფლად გამოთქვამს თავის შეხედულებებს XII საუკუნის საქართველოს ისტორიული სინამდვილით გაპირობებული ამ დიდი სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების შესახებ და წინადროინდელი ეპოქების ქართველ და უცხო მკვლევართა მიერ შემუშავებულ თეორიულ შეხედულებებზე გვაძლევს ფილოსოფიურ-პოლიტიკური თვალსაზრისით თავისი ეპოქისათვის ღრმად გააზრებულ პასუხებს საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე. ურთულეს პოლიტიკურ საკითხებზე პოეტის მიერ მხატვრულ ფორმებში ჩამოყალიბებული შეხედულებანი უაღრესად მებრძოლი ჰუმანისტური ხასიათისაა და იგი მიზნად ისახავს XII საუკუნის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა მხარეების მოწესრიგებას ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მიერ საზოგადოებრივი სოლიდარიზმის მოძღვრების თვალსაზრისით.

საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების საკითხებზე შოთა რუსთველის მიერ „ვეფხისტყაოსანში“ გადმოცემული მეცნიერულად გააზრებული თეორიული დასკვნები და სახელმწიფოს მართვის რეკომენდაციები არა მარტო XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის ანარეკლია, არამედ ამასთან ერთად ისინი წარმოადგენენ რჩევა-დარიგებას სამეფო ხელისუფლებისა და აგრეთვე ურჩ ფეოდალთა მიმართაც, საქართველოს მეთაურობით შექმნილ საერთო კავკასიურ სახელმწიფოში შემავალ მრავალმილიონიან მოსახლეობაზე და სხვადასხვა სარწმუნოებისა და ჩვევების მქონე ხალხებზე რა მეთოდებისა და ხერხების გამოყენებით შეიძლება განხორციელებულ იქნეს ქართული სახელმწიფოებრიობა. ფეოდალური საქართველო ყოველგვარ ზომებს იღებს შეინარჩუნოს კავკასიისა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის გაბატონებული მდგომარეობა. ამ მიზნით სამეფო ხელისუფლება საყოველთაო მშვიდობისა და კლასობრივი ზავის პოლიტიკურ მოძღვრებას ქადაგებს. დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსები, რომლებიც ყველაზე სრულად გამოხატავენ XI—XII საუკუნეების ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ იდეოლოგიას, ერთხმად მიუთითებენ საქართველოს დიდ ისტორიულ მისიაზე კავკასიისა და მის მეზობელ ხალხებს შორის საყოველთაო მშვიდობისა და სამართლიანობის დასაცავად. ბასილი ეზოსმოძღვარი გადმოგვცემს, რომ თამარის მეფობის დროს „იყო დღეთა მის-



თა სიმართლე და მრავალი მშუდობა, განეფინა მადლი ბაგეთა მის-
 თა. (ამისთვის აკურთხა იგი ღმერთმან უკუნისამდე და დააბრუნა
 თავსა მისსა გვრგვინი პატიოსნებისა, და დასდვა წელთჳწესაჲსა
 ვლი ძლიერებისა) და წარემართა სუფევად უკუნისამდე კემპარი-
 ტებისათჳს, სიმშუდისა და სიმართლისა“¹.

ფეოდალური საქართველო, რომელიც დაინტერესებული იყო
 გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნებით, მოდავე ქვეყნების
 თხოვნით ერეოდა მათ საშინაო საქმეებში, აღადგენდა და უზრუნ-
 ველყოფდა მშვიდობასა და სამართლიანობას არა მარტო მისი მე-
 თაურობით შექმნილ მრავალეროვან სახელმწიფოში, არამედ მე-
 ზობელ ხალხებს შორისაც. თამარის იმავე ისტორიკოსის აზრით,
 ფეოდალური საქართველოს მიერ მასზე დაკისრებული ამ სახელო-
 ვანი მისიის წარმატებით განხორციელებას ცხადყოფს „... ყოველი
 მახლობელი სამეფო გარემომო ქართლისა... რაოდენნი დაგლახა-
 კებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა მიმძღვერებულთა უკუნ
 სცა სამეფო თჳსი, რაოდენნი განდევნილნი სამეფოდვე თჳსად კუ-
 ალად აგნა და რაოდენნი სიკუდილად დასჯილნი განათავისუფლა.
 და ამისი მოწამე არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა,
 ხუნძთა, ოგსთა, ქაშაგთა, კარნუ-ქალაქელთა და ტრაპიზონელთა,
 რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყვნეს და
 მტერთაგან უზრუნველობასა“².

შ. რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“ მხატვრული ფორმით გად-
 მოცემულია XII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ
 და პოლიტიკურ მდგომარეობასთან ერთად სამეფო ხელისუფლების
 ის დიადი საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეები და შეხედულებე-
 ბი, რომლებიც ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების,
 დაცვისა და განმტკიცების აუცილებლობის დასაბუთებას ისახავს
 მიზნად.

სწორედ ამიტომ „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი თემის შესახებ
 რუსთველოლოგიაში გამოთქმული მრავალი ურთიერთსაწინააღ-
 მდეგო შეხედულებიდან, არც ერთი არ შეიძლება ჩაითვალოს მარ-
 თებულად, რადგან ისინი არასრულ წარმოდგენას გვაძლევენ XI—
 XII საუკუნეების ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნე-
 ლოვანესი ამოცანის შესახებ. მართლაც, ძმადნაფიცობა, ისევე
 როგორც სიყვარული და მეგობრობა, ცალ-ცალკე არ წარმოადგენს
 ვეფხისტყაოსნის“ მთავარ თემას. რა თქმა უნდა, ძმადნაფიცობის,

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 141.
² იქვე, გვ. 147.

სიყვარულისა და მეგობრობის ცხოველმყოფელ იდეებს დიდი ადგილი აქვს დათმობილი „ვეფხისტყაოსანში“, მაგრამ ყველა ისინი, ერთად აღებული, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის აზრით, დაქვემდებარებულია XII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების უმთავრესი ამოცანის — კავკასიის ტერიტორიაზე მუსულმანულ ხალხებზე ქართული სახელმწიფოებრიობის წარმატებით განხორციელებასთან და მასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივი სოლიდარიზმისა და კლასობრივი ზავის უზრუნველყოფასთან, რაც, შოთა რუსთველის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ თემასა და იდეას წარმოადგენს.

შოთა რუსთველი ღრმად არის დარწმუნებული, რომ XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოსთან პოლიტიკურად დაკავშირებულ ქვეყნებზე ქართული სახელმწიფოებრიობის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს ამ ქვეყნების ხალხთა მშვიდობისა და კეთილდღეობის, აგრეთვე სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის კლასობრივი ზავის უზრუნველყოფას, უნდა მოხდეს მეგობრობის, სიყვარულის, ერთგულებისა და ძმადნაფიცობის განმსაზღვრელი კეთილშობილური ნორმების მიხედვით. ამდენად, მეგობრობა, სიყვარული, ძმადნაფიცობა და ერთგულება, ცალ-ცალკე აღებული, „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი თემა კი არ არის, როგორც ეს დღემდე იყო გაგებული, არამედ ყველა ეს ზემოთ აღნიშნული მოვლენა, რომელიც პოემის სიუჟეტური განვითარების მიმართულებას განსაზღვრავს, ემსახურება ერთი უმთავრესი იდეის — საზოგადოებრივ ცხოვრებაში კლასობრივი ზავისა და საყოველთაო მშვიდობის დამყარების შესაძლებლობათა დასაბუთებას. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თითქმის ყველა სიუჟეტური წინააღმდეგობა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელების ფონზე ვითარდება: პოემის დასაწყისშივე შოთა რუსთველი მკითხველს წარმოუდგენს იდეალურ მეფეს — როსტევანს, რომელსაც სამეფო ტახტზე აპყავს ერთადერთი მემკვიდრე თინათინი. აქვე ახასიათებს იგი ტახტის მემკვიდრეობის უფლების ინსტიტუტს და გამოთქვამს მთელი პროგრესულ შეხედულებებს სამეფო ხელისუფლების განხორციელების მეთოდების შესახებ; ინდოეთის მეფის — ფარსადანის სასახლეში მომხდარი ტრაგედია, რასაც შედეგად მოჰყვა ხვარაზმშას შვილის სიკვდილი და ნესტანისა და ტარიელის სამშობლოდან განდევნა, ტახტის მემკვიდრეობის უფლების განხორციელებასთან არის უშუალოდ დაკავშირებული; და ბოლოს, „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგიც, რომელიც ძლიერი ცენტრალიზებული სახელ-



მწიფობები ხელისუფლების აპოთეოზს წარმოადგენს, ფაქტიურად ისეთი სამეფო ხელისუფლების ქებათა-ქებაა, რომელიც კლასობრივ ზავსა და საყოველთაო მშვიდობას ამყარებს საზოგადოებაში. „ვეფხისტყაოსნის“ ზემოაღნიშნული მთავარი თემის ამგვარ გადაწყვეტაზე მიგვანიშნებს მისი ფინალი:

მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს,
ერთმანერთსა პნახვიდიან, საწაღელნი გაუსრულდეს,
ბრძანებისა შემცილენი მათთა ხრმალთა და-ვე-წყულულდეს,
მოიმატეს სამეფონი, გახელმწიფდეს, გამორკმულდეს.
(1663)

ყოველთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოდეს,
ობოლ-ქერიენი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავის მქმნელნი დააშინეს, კრავნი კრავთა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს.
(1664)

როგორც ირკვევა, საზოგადოებრივი სოლიდარიზმის ეს იდეები XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს სამეფო ხელისუფლების ოფიციალურ სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას განსაზღვრავდა. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ უცნობი ავტორი, რომელიც სამეფო ხელისუფლების იდეოლოგიის დიდი წარმომადგენელია, ასე აღწერს თამარ მეფის დროინდელი საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას: „შეიქმნა მშუდობა, სიხარული და ერთობა, რომელი არაოდეს სადა ვის უხილავს. და „ერთბაშად ძოვდეს ლომი და ჯარი, და იხარებდეს ვეფხი თიკანთა თანა, და მგელი ცხუართა თანა“¹.

შოთა რუსთველის სახელმწიფოებრივი შეხედულებები ფეოდალიზმის ეპოქის საერთო კანონზომიერებით განსაზღვრულ რენესანსულ მსოფლმხედველობას ემყარება და სწორედ ამის გამო მისი პოლიტიკური მოძღვრება შეიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრი ისეთი საკითხის ახლებურად დაყენებასა და გადაწყვეტას, რომელიც ფეოდალური ურთიერთობის ფარგლებს სცილდება და მთლიანად შეესაბამება წინაბუტყუაზიული ეპოქის იდეოლოგიას.

შოთა რუსთველის როგორც საქართველოში რენესანსული ეპოქის დიდი იდეოლოგისა და მოაზროვნის მსოფლმხედველობის ამოსავალ წერტილს ღმერთისა და სამყაროს ურთიერთდამოკიდებუ-

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 54—55.

ლების საკითხი განსაზღვრავს, რადგანაც ფეოდალიზმის ეპოქის არც ერთ იდეოლოგიურ მიმართულებას დაწყებული ერესებითა და რეფორმაციით და დამთავრებული ჰუმანიზმითა და განმანათლებლობით, არ შეუძლია უარყოს ღმერთი, მიუხედავად იმისა, რომ მათი წარმოდგენა ღმერთისა და მისი არსების შესახებ ფეოდალურ საზოგადოებაში გაბატონებული ქრისტიანული ღმერთისაგან არსებითად განსხვავდება.

შოთა რუსთველს ღრმად სწამს, რომ სამყარო შექმნილია ღმერთის მიერ, რომელიც ერთადერთ ზებუნებრივ ძალას წარმოადგენს. ღმერთმა მისცა დასაბამი ბუნებასა და საზოგადოებაში არსებულ ყველა არსებასა და მოვლენას. საზოგადოებაში სახელმწიფოს წარმოშობასაც იგი ღმერთის სახელს უკავშირებს და სრულიად ახალ მიმართულებას აძლევს სახელმწიფოს წარმოშობის თეოლოგიურ თეორიას:

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყენა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.

(1)

მაგრამ რუსთველის თეოლოგიური მოძღვრების ანალიზი ცხადყოფს, რომ მისი წარმოდგენით უზენაესი არსება — ღმერთი არ არის არც ქრისტიანული ღმერთი, არც მაჰმადიანური, არც წარმართული და არც მანიქეველური. რჯულშემწყნარებლობის ჰუმანურ პოლიტიკას, რომელსაც X — XII საუკუნეებში საქართველოს სამეფო ხელისუფლება ახორციელებდა, როგორც პოემიდან ჩანს, პოეტის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი ზეგავლენა მოუხდენია და მას, როგორც ფეოდალური საქართველოს უდიდეს პოლიტიკურ იდეოლოგსა და თანამდებობის პირს, ღმერთი წარმოდგენილი ჰყავს ყოველგვარი სარწმუნოებისა და ეროვნებისაგან დამოუკიდებლად, როგორც ყველა ხალხის სულიერი ცხოვრების განმსაზღვრელი და გონიერების საწყისი. ღმერთი, მისი აზრით, „უცნაური და უთქმელია“, მაგრამ ამავე დროს იგი არ არსებობს ადამიანთა გონებისაგან დამოუკიდებლად და, ამდენად, მისი ღმერთი გონების შესაბამისი ღმერთია, რაციონალურია თავისი არსებით. სწორედ ამიტომ არის, რომ ავთანდილი შორეულ მგზავრობასთან დაკავშირებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად და დასახული მიზნის მისაღწევად შევლას შესთხოვს არა ჩვეულებრივ, რომელიმე სარწმუნოების მიერ აღიარებულ ღმერთს, არამედ რა-

ციონალურ, გონების შესაბამის არსებას, რომელსაც ფილოსოფოსები ღმერთს უწოდებენ.

ფილოსოფოსი

ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინაშე, შენ მიშველე რა ტყვე ქმნილსა, ჭაქვენი მამიან რკინანი! ბროლ-ბადახშისა მძებნელმან სათნი დაეკარგენ, მინანი; მაშინ ვერ გავძელ სიახლე, აწ სიშორესა ვინანი.

(837)

დამახსიათებელია, რომ შოთა რუსთველის რაციონალურ-თეოლოგიური მოძღვრება გამოირიცხავს ღმერთისადმი რელიგიურ სამსახურს, რაზედაც შუა საუკუნეებში მხოლოდ ეკლესია აცხადებდა პრეტენზიას. პოეტის აზრით, გონების შესაბამის, რაციონალურ ღმერთს არ ესაჭიროება ოფიციალური საეკლესიო იერარქია და ამ ღმერთსა და მის მორწმუნეთა შორის სრულებითაც არ არის საჭირო შუამავლობდეს საეკლესიო დაწესებულებანი. გონების შესაბამის ღმერთს, „უთქმელს, უცნაურსა და უფლებათა უფალს“ შეუძლია უშუალოდ მიმართოს ყველამ, ყოველგვარი შუამავლის გარეშე, ვისაც კი სწამს მისი ყოვლისმძლეობა, რადგანაც ამ ღმერთისადმი პატივისცემა და მისი ყოვლისმძლეობის რწმენა რაიმე იძულებას, რომელსაც საეკლესიო ხელისუფლება ხშირად ახორციელებდა მორწმუნეთა მიმართ, კი არ ემყარება, არამედ ღმერთისადმი ეს მოკრძალება და სიყვარული იმის ღრმა შეგნებით არის განსაზღვრული, რომ მისი ძალა მის გონიერებაში გამოიხატება. „ვეფხისტყაოსნის“ ყველა გმირს სწამს ღმერთი, მაგრამ პოემაში თითქმის არსად არ გვხვდება რელიგიური დაწესებულებანი და რელიგიის მსახურნი, რომელთა მიმართ რუსთველი სრულ ინდიფერენტუზმს იჩენს. მართალია, პოემიდან ჩანს, რომ ინდოეთის მეფის სასახლეში არიან რელიგიის მსახურნი „მუყრნი“ და „მულიმნი“, რომელთა საქმიანობას შოთა რუსთველი ისეთნაირი საცოდავი და დამამცირებელი ფორმით წარმოგვიდგენს, რომ იგი მხოლოდ ღიმილს თუ მოკვების მკითხველს. არანაკლებ საყურადღებოა ისიც, რომ ისინი „ვეფხისტყაოსანში“ გვევლინებიან არა როგორც რელიგიური სამსახურის შემსრულებელნი, რაც ჩვეულებრივ მათ პირდაპირ მოვალეობას შეადგენს, არამედ როგორც მკურნალნი, რომლებიც პროფესიულ ექიმებთან ერთად ცდილობენ გულწასული ტარიელის მოსულიერებას. სპეციალურად განსწავლულ ექიმთა საქმიანობის ფონზე მათი მკურნალთა როლში წარმოდგენა, სხვანაირად არ შეიძლება გავიგოთ თუ არა რუსთველის უარყოფითი დამოკიდებულება რელიგიური დაწესე-

ბულებსადმი, რომელიც შუა საუკუნეებში ბნელეთის მოციქუ-
ლობასა და ასკეტიზმს ქადაგებდა.

შოთა რუსთველის აზრით, გონების შესაბამისი რაციონალური
ლმერთი განაგებს ბუნებისა და საზოგადოების მოვლენების გან-
ვითარებას ადამიანთა სიკეთისა და ბედნიერების უზრუნველსაყო-
ფად მკაცრად დეტერმინებული კანონზომიერების მიხედვით; ამ
კანონზომიერების შეცნობა ყველას როდი შეუძლია, იგი მხოლოდ
ბრძენთა ზვედრია:

მიმდინი საწუთროსანი მისთა ნივთთაგან რჩებიან,
იშვებენ, მაგრა უმუხთლოდ ბოლოდ ვერ მოურჩებიან;
ვაქებ ჰკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან;
ისმენდი ჩემსა ამბავთა, თუ სულნი შეღამრჩებიან.
(347)

მას ღრმად სწამს, რომ ბრძენსა და გონიერ ადამიანს, რომელიც
შეიცნობს რაციონალური ღმერთის ნებას, შეუძლია წამხდარი საქ-
მე შემოაბრუნოს თავის სასარგებლოდ და უზრუნველყოს მისი
წარმატებით შესრულება. ავთანდილი, რომელმაც სამი ხატაელი
ძმის საშუალებით მიაგნო ტარიელის კვალს, ფრთხილად ადგენს
ტარიელთან შეხვედრის გეგმას და დარწმუნებულია, რომ:

ხამს, თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოავოს,
არ სიწყნარე გონებისა მოიძულოს, მოიძავოს.
(215)

რადგანაც ყოველივე ზეციური და ამქვეყნიური ღმერთის მიერ
არის შექმნილი და მის ნებას ექვემდებარება, ასევე სახელმწიფოც,
როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების უდიდესი პოლიტიკური
ძალა, გონების შესაბამისი ღმერთის შემოქმედებაა და, ამდენად,
სახელმწიფოს საქმიანობაც მხოლოდ გონების შესაბამისი უნდა
იყოს. რუსთველი ერთმანეთისაგან არ ასხვავებს საზოგადოებასა
და სახელმწიფოს და ფიქრობს, რომ სახელმწიფო საზოგადოების
დიდ უმრავლესობაზე მისი მცირე ნაწილის ბატონობის ორგანო
კი არ არის, არამედ სახელმწიფო ღმერთმა შექმნა საზოგადოებას-
თან ერთად და სწორედ ამიტომ იგი მთელი საზოგადოების ინტე-
რესთა შესაბამისად უნდა აწარმოებდეს საქმიანობას; სახელმწი-
ფო საზოგადოების შემაკავშირებელი და გამაერთიანებელი ძალაა
და მის მიზანს ადამიანებისათვის მშვიდობისა და კეთილდღეობის
უზრუნველყოფა შეადგენს. XII საუკუნის უაღრესად განვითარე-
ბული ქართული სახელმწიფოებრიობის კავკასიის ხალხებზე წარ-

მატებით განხორციელების გამოცდილებათა თეორიული განხორციელების შედეგად, იგი აყალიბებს წინაბურჟუაზიული ეპოქის და მახასიათებელ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოსაზრებებს ხელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

რუსთველის სახელმწიფოებრივი შეხედულებები, მართალია, ძირითადად საქართველოში არსებული ბატონყმური საზოგადოების განვითარების კანონზომიერებით არის განსაზღვრული, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი გვერდს ვერ უვლის საქართველოში წინაბურჟუაზიულ ეპოქაში ჩამოყალიბებულ ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომელთაც დასაბამი მისცა ვაჭრობის განვითარების შედეგად სხვადასხვა ქვეყნებს შორის სამეურნეო და ეკონომიკური კონტაქტების დამყარებამ. ამ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ძლიერი ზეგავლენა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტურ განვითარებაშიც იჩენს თავს. საყურადღებოა, რომ ტარიელმა, ავთანდილმა და ფრიდონმა ფეოდალური მონარქიის ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრიობის დახმარებით ვერ შეძლეს მთავარი საზრუნავის — უგზო-უკვლოდ გადაკარგული ნესტანდარეჯნის კვლის მიგნება. პოლიტიკურად მოდუნებული, წყნარი და შედარებით კონსერვატიული ფეოდალური სახელმწიფოებრიობა უძლური აღმოჩნდა ამ ამოცანის გადასაჭრელად. მხოლოდ ლალ, სიცოცხლით სავსე, თავისუფალი ყოფაცხოვრებით და ამქვეყნიური პოლიტიკური ცხოვრებით დაინტერესებულ ვაჭართა სახელმწიფოდან, სადაც ვაჭრობისა და ალებმიცემობის მიზნით თავს იყრიან სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, შესაძლებელია პოემის ძირითადი სიუჟეტური კვანძის გახსნა — საიდუმლოებით მოცული ნესტანდარეჯნის ამბის გაგება და მისი განთავისუფლებისათვის ბრძოლის დაწყება.

მართალია, რუსთველი პატრონყმური საზოგადოებრივი ურთიერთობის მეხოტბეა, მაგრამ მის მოძღვრებაში სახელმწიფოსა და საზოგადოების შესახებ მძლავრად იგრძნობა წინაბურჟუაზიული ეპოქის პოლიტიკური იდეოლოგიის ზეგავლენა, კერძოდ, ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარების შედეგად ფეოდალურ საზოგადოებაში გაჩენილი სოციალური ფენების ინტერესთა შესაბამისი მოთხოვნები. ძველ გვარიშვილობაზე დამყარებულ ფეოდალურ რეაქციულ შეხედულებებსა და ახალ, პროგრესულად განწყობილ ფეოდალური არისტოკრატისა და ვაჭარ-ხელოსანთა მოწინავე შეხედულებებს შორის არსებულმა დიდმა იდეურმა უთანხმოებამ, რომელმაც განსაკუთრებული სიმწვავეთ იჩინა თავი თამარ მეფის

ეპოქაში, თავისი სრული გამოხატულება პოვა გენიფორმის
ეტის მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალური საკითხების
გადაწყვეტაში.

შოთა რუსთველის სახელმწიფოებრივი შეხედულებანი გამო-
ხატავენ იმ კომპრომისს, რომელიც დამყარდა XII საუკუნეში სა-
ხელმწიფოს სათავეში მყოფ ფეოდალური საზოგადოების პროგ-
რესულ ნაწილსა და წინაბურჟუაზიული ეპოქის ახალ სოციალურ
ფენებს შორის ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის მომხრეების
სახით. ამ კომპრომისს უნდა გამოეწვია ის ცვლილებები, რომელ-
თაც ადგილი ჰქონდა XII საუკუნეში სახელმწიფოებრივი წყობი-
ლების ცენტრალურ სისტემაში.

რუსთველის აზრით, პატრონჟმური ურთიერთობა შესაძლებ-
ლობას იძლევა სახელმწიფოებრივი წყობილება აგებულ იქნეს იდე-
ალურ, გონების შესაბამის საწყისებზე. მისი აზრით, ასეთი სახელ-
მწიფო, მართალია, იცავს პატრონჟმურ ურთიერთობას, როგორც
საზოგადოების არსებობის აუცილებელ წანამძღვარს, მაგრამ ამავე
დროს, პატრონჟმური ურთიერთობის პრინციპებზე აგებულ სახელ-
მწიფოებრივ ხელისუფლებას შეუძლია აგრეთვე მფარველობა და
სერიოზული დახმარება გაუწიოს წინაბურჟუაზიული ეპოქის სო-
ციალურ ჯგუფებს — ვაჭრებსა და ხელოსნებს ანუ ე. წ. „მესამე
წოდებას“.

„ვეფხისტყაოსანში“ დახასიათებული საზოგადოების აგებულება
არ არის ერთნაირი და იგი რუსთველს დაკავშირებული აქვს სა-
ხელმწიფოს ფორმების საკითხთან. იმ სახელმწიფოებში, სადაც პო-
ლიტიკური ორგანიზაციის ფორმა მონარქიულია და მონარქიული
სახელმწიფოებრივი წყობილება არაფრით არის შეზღუდული, მისი
აზრით, საზოგადოება ემყარება მხოლოდ სენიორულ-ვასალური
ხელშეკრულების პრინციპებს. ასეთ სახელმწიფოებში მთელი სა-
ზოგადოება იერარქიული კიბეა, რომლის საფეხურებზე განლაგებუ-
ლია მსხვილი და წვრცლი ფეოდალები თავიანთი ეკონომიკური და
პოლიტიკური სიძლიერის მიხედვით და ამდენად, მაღალი რანგის
ფეოდალები ქვემდგომთა მიმართ სენიორები არიან. ამ იერარქი-
ული კიბის სათავეში დგას ფაქტობრივად შეუზღუდველი ძალაუფ-
ლების მქონე მეფე ანუ უმაღლესი სიუზერენი. პატრონსა და ყმას
(სენიორსა და ვასალს) შორის ურთიერთობას განსაზღვრავს სპე-
ციალური ხელშეკრულება, რომელშიც ზუსტად არის განსაზღვრუ-
ლი პატრონჟმური ურთიერთობის სუბიექტთა უფლება-მოვალე-
ობანი.

სენიორულ-ვასალური ურთიერთობის ჰუმანური პრინციპების




მიხედვით, საზოგადოების შინაგანი სტრუქტურის განსაზღვრა და მოხატავს რუსთველის დადებით დამოკიდებულებას ფერდობებზე საზოგადოების იმ პროგრესული ნაწილისადმი, რომელიც ველოს სამეფო ხელისუფლებასთან ერთად უპირატესობას ფეოდალურ საზოგადოებრივ ურთიერთობას აძლევდა და მოითხოვდა მის მოწესრიგებას განათლებული აბსოლუტიზმის იდეების მიხედვით.

მაგრამ „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ფეოდალური საქართველოს რეალური სინამდვილის გამომსახველი ნაწარმოები, რომელშიც ნათლად ჩანს ფეოდალური საზოგადოების მოწინავე ნაწილის კომპრომისული განწყობილება XII საუკუნის საქართველოს წინაბურჟუაზიული სოციალური ფენების მიმართ, ემყარება აგრეთვე საზოგადოების შინაგანი სტრუქტურის განსაზღვრის სხვა პრინციპებსაც. XII საუკუნის საქართველოს წინაბურჟუაზიული სოციალური ფენების ინტერესთა შესაბამისად რუსთველს მიზანშეწონილად მიაჩნია საზოგადოებების წოდებებად დაყოფა და თითოეულ წოდებაზე გარკვეული საზოგადოებრივი ფუნქციის დაკისრება. მაგრამ საყურადღებოა, რომ საზოგადოების წოდებებად გამიჯვნას, რუსთველის აზრით, საფუძვლად მისი კლასობრივი წარმოშობა კი არ უნდა დაედოს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათი შრომითი საქმიანობა და პროფესია. რუსთველი მოითხოვს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში

მუშა მიწყვიტო მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს;
 კვლა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს.
 (11)

საზოგადოების შესახებ რუსთველის მოძღვრებიდან ნათლად ჩანს, რომ უმაღლეს წოდებას სამეფო გვარეულობა წარმოადგენს, რომელიც თავისი ზნეობრივი და ინტელექტუალური განვითარების დონის მიხედვით განსხვავდება საზოგადოების დანარჩენი წოდებებისაგან. მათ მოვალეობას შეადგენს ქვეყნის პოლიტიკურ მართვაზე ზრუნვა, რისთვისაც ისინი ბავშვობიდანვე ეუფლებიან და სწავლობენ სახელმწიფოს მართვის რთულ ხელოვნებას. ტარიელი, რომელიც ავთანდილს გამოქვამულში ასმათის საშუალებით გაიცნობს, უამბობს მას, რომ იგი შვილად აიყვანა ინდოეთის სახელოვანმა მეფემ ფარსადანმა, რომლის დიდ სამეფოს ნაბაყოფლობით შეუერთა ტარიელის მამამ, სარიდანმა მისი კუთვნილი ინდოეთის მეშვიდე სამეფო. ინდოეთის უშვილო მეფე ფარსადანი ტარიელს ტახტის მემკვიდრედ ამზადებს და სწორედ ამ მიზნით, განაგრძობს ტარიელი:

მეფემან და დედოფალმან მიმიყვანეს შვილად მათად,
საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად,
ბრძენთა მიმცეს სასწავლებლად ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათად,
მოვიწიფე, დავემსგავსე მზესა თვალად, ღმრთა ნაკეთად.



(319)

უფრო დაბალი რანგის საზოგადოებრივ წოდებას შეადგენს მსახურეული დემოკრატია, რომლის წარმომადგენლები მეფის სასახლეში საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ დარგებს ხელმძღვანელობენ. თავისი კლასობრივი შემადგენლობით მსახურეული დემოკრატია ეკუთვნის უმსხვილეს ფეოდალებს, რომელთაც თვითონაც გააჩნიათ ვასალები, და სწორედ ამიტომ მეფის სასახლეში დიდად დაფასებული მაღალი რანგის მოხელეებთან „თანადგომით“, რომლებიც მეფესთან არსებული სათათბიროს — დარბაზის წევრები არიან, მეფე ხშირად წყვეტს საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირობოროტო საკითხებს.

„ვეფხისტყაოსანში“ დახასიათებულ საზოგადოების დანარჩენ წოდებებს შეადგენენ მეომრები, ვაჭრები, ხელოსნები და სხვები, მაგრამ ყველაზე მეტად საყურადღებოა, რომ „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც წინაბურჟუაზიული ეპოქის უდიდესი ძეგლია, შეიცავს, მართალია, ძუნწ მითითებას, მაგრამ მაინც მეტად მნიშვნელოვან მასალას ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებისათვის აუცილებელი სოციალური ჯგუფის, თავისუფალი დაქირავებული მუშახელისაგან შემდგარ განცალკევებული წოდების შესახებ. გულანშაროს მონარქიულ სახელმწიფოში, სადაც მეფის ხელისუფლება ვაჭართა ასოციაციის მიერ არის შეზღუდული, გვხვდება თავისუფალი მუშა-ხელი, „დამიზნებულნი დრამითა“, რომელიც, რა თქმაუნდა, განსაზღვრულ საზოგადოებრივ წოდებას შეადგენს, რუსთველი, ეხება რა ვაჭრებთან ერთად ავთანდილის მისვლას გულანშაროს საზღვაო სახელმწიფოში, წერს:

მათ ბალთა პირსა დააბეს ნავი საბლითა სამითა;
ავთანდილ ტანსა ჯუბანი ჩაიცენა, დაჯდა სკამითა;
მოსხნეს კაცნი მზიდავნი, დამიზნებულნი დრამითა;
იგი ყმა ვაჭრობს, თავადობს და თავსა მალავს ამითა.

(1062)

მისი აზრით, თითოეულ წოდებას დაკისრებული უნდა ჰქონდეს გარკვეული საზოგადოებრივი ფუნქცია, რომელსაც ისინი კეთილსინდისიერად უნდა ასრულებდნენ; საზოგადოებრივ ცხოვრებაში წოდებათა შორის წინააღმდეგობების აღმოფხვრა და კლასობრივი

ზავის დამყარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთი წოდების წარმომადგენლები არ დახარბდებიან მეორე წოდების მდგომარეობას და არ დაიწყებენ იმ საზოგადოებრივ უთანობას, რაც მათ არა აქვთ დაკისრებული; ყოველ საზოგადოებაში წოდებანი კმაყოფილი უნდა იყვნენ თავიანთი მდგომარეობით და არ უნდა იბრძოდნენ, თუ ამის სათანადო საფუძველი არა აქვთ, სხვა, უფრო მაღალი წოდებისათვის მინიჭებული უფლებების დაპატრონებისათვის, რადგან

რაცა ვის რა ბედმა მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს;
არცა ვისგან დაიწყუნოს, არცა სხვათა უწყუნობდეს.

(11)

მართალია, რუსთველის აზრით, ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობა საზოგადოებაში მხოლოდ იმ წოდების მიხედვით უნდა განისაზღვროს, რომელსაც იგი ეკუთვნის და ყველა ადამიანი უნდა დასჯერდეს იმას, რაც მას ბედმა არგუნა, მაგრამ საყურადღებოა, რომ მისი შეხედულებები საზოგადოებრივ წოდებათა შესახებ არ ხასიათდება ვიწრო შეზღუდულობით. საქმე ის არის, რომ, მისი აზრით, საზოგადოებრივი წოდებები გადაულახავი ბარიერებით არ არიან გამოიჯნული ერთმანეთისაგან. „ვეფხისტყაოსანი“ შეიცავს მითითებას იმის შესახებ, რომ ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობა საზოგადოებაში მარტო წოდებრივი წარმოშობით კი არ უნდა განისაზღვროს, არამედ ამ მხრივ წოდებრივ წარმოშობაზე უფრო ადამიანთა პირად ღირსებებზე დამყარებულ გარემოებებს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. რუსთველის ეს მოსაზრება, რომელიც ჯერ კიდევ გიორგი მთაწმინდელმა წამოაყენა და იგი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მტკიცედ დანერგა დავით აღმაშენებელმა, წითელი ზოლივით გასდევს „ვეფხისტყაოსანს“, მაგრამ ყველაზე სრულად შუა საუკუნეებისათვის სრულიად უცნობი ეს პროგრესული მნიშვნელობის დებულება გადმოცემულია იმ სტროფში, რომელსაც თავიდანვე ხალხი „ვეფხისტყაოსანს“ მიაწერდა, მაგრამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში კლასობრივ ძალთა განლაგების შეცვლასთან დაკავშირებით, იგი ამოღებულ იქნა, ამიტომ არის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევრები: დ. ჩუბინაშვილი, ნ. მარი, ა. წერეთელი, ა. ბარამიძე და სხვები — რუსთველის შემოქმედებას უკავშირებენ სტროფს

ფილოსოფოსნი შემოკრბეს, ამაზედ ჰქონდათ ცილობა:
პატრონი ვმასა რითა სჯობს და ჰქუას — გამოცდილობა.



ამრიგად, სახელმწიფოს არსს განსაზღვრავს იმ სოციალურ ცენტრის ცანათა კომპლექსი, რომლის განხორციელება უზრუნველყოფს საყოველთაო მშვიდობასა და უშიშროებას, წოდებათა შორის კლასობრივ ზავსა და საზოგადოებრივ სოლიდარიზმს. რუსთველის ამ შეხედულებებში უკუფენილია XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს მთავარი პოლიტიკური მოთხოვნა, რომელიც მიზნად ისახავდა იმ ქვეყნებში ქართული სახელმწიფოებრიობის წარმატებით განხორციელებას, რომელშიც საქართველოს სამეფო ხელისუფლება ვრცელდებოდა. ამასთან დაკავშირებით პოეტი განსაკუთრებით დაინტერესებულია ზემოაღნიშნული პოლიტიკური მოთხოვნის განხორციელების ხერხებისა და საშუალებების გამოძენით და სწორედ ამიტომ იგი დაწვრილებით იკვლევს იმ საკითხს, თუ რა საშუალებით შეიძლება ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე მდგარი ამოცანის — კლასობრივი ზავისა და მშვიდობის შენარჩუნება საქართველოსადმი დაქვემდებარებულ ქვეყნებში. ამ საკითხის გადასაჭრელად იგი იძულებულია შეჩერდეს სახელმწიფოს ფორმის საკითხზე, კერძოდ, იმაზე, თუ რა ფორმით შეიძლება სახელმწიფოებრივმა ხელისუფლებამ წარმართოს თავისი საქმიანობა საზოგადოებაში კლასობრივი ზავისა და საზოგადოებრივი სოლიდარიზმის მისაღწევად.

ამგვარად, იგი მხოლოდ სახელმწიფოს ერთ ფორმას — მონარქიას ცნობს, მაგრამ ამასთან ერთად სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ იგი იცნობს აგრეთვე სახელმწიფოს სხვა ფორმასაც, კერძოდ ფეოდალური სახელმწიფოს რესპუბლიკურ ფორმას, რომელიც შუა საუკუნეებში ვაჭრობის და ხელოსნობის განვითარების შედეგად წარმოიშვა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, თუმცა „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილ სახელმწიფოთაგან არც ერთს არ გააჩნია რესპუბლიკური ფორმა.

რუსთველის მონარქიზმს საფუძვლად უდევს მისი ზოგადი მსოფლმხედველობის განმსაზღვრელი მონოთეიზმი. იგი მონოთეისტია იმ გაგებით, რომ ფეოდალიზმის ეპოქაში არსებული ყველა ოფიციალური სარწმუნოების მიერ აღიარებული ღმერთისაგან განსხვავებით, მხოლოდ გონების შესაბამის რაციონალურ ღმერთს ცნობს, მაგრამ ეს ღმერთი არის მხოლოდ ერთი ერთარსება, რამდენადაც გონების შესაბამისი ჰემმარიტება მხოლოდ ერთი შეიძლება არსებობდეს. მისი მონოთეიზმი პირდაპირ, ყოველგვარი შე-

ლაშაშვილის გარეშე მონარქიზმში გადადის, რამდენადაც მას გონების/ შესაბამის, კემპარიტ და სამართლიან სახელმწიფოებრივე ფორმად მონარქია მიაჩნია. ინდოეთისა და არაბეთის სახელმწიფოებრივე ფორმად რომლებიც შოთა რუსთველს იდეალურ სახელმწიფოებად მიაჩნია, მონარქიული წყობილება ბატონობს. ამასთან ერთად რუსთველი ვერ ითმენს ფეოდალურ დაქუცმაცებულობას, რამდენადაც იგი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დაკნინებისა და დასუსტების მაჩვენებლად მიაჩნია. ამიტომაც მთელი მისი სიმპათიები მიმართულია ძლიერი ცენტრალიზებული მონარქიისაკენ.

მაგრამ საყურადღებოა, რომ რუსთველი ცნობს მხოლოდ მემკვიდრეობით მონარქიას, რომელიც, მართალია; ფორმალურად დარბაზით არის შეზღუდული, მაგრამ ფაქტობრივად სახელმწიფო დარბაზი ვიწრო სათათბირო დაწესებულებაა, რომელიც ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს მეთაურის — მონარქის ნებასურვილის შემსრულებელია. მემკვიდრეობით წესზე დამყარებულ მონარქიულ წყობილებას, მისი აზრით, დიდი უპირატესობა გააჩნია სახელმწიფოებრივი წყობილების სხვა ფორმებთან შედარებით.

უპირველეს ყოვლისა, მემკვიდრეობითი მონარქიის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მონარქი, რომელიც სახელმწიფოს სასათავეში დგას, ჯერ-ერთი, დაინტერესებულია თავისი კანონიერ მემკვიდრეს დაუტოვოს ძლიერი და მტკიცე სახელმწიფოებრივი ხელისუფლება, და, გარდა ამისა, თავიდანვე ზრუნავს თავისი მემკვიდრის განსაკუთრებულ აღზრდაზე, ასწავლის მას სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მართვის რთულ მეცნიერებას. ტახტის მემკვიდრის სამეფოდ აღზრდის მიზნით იწვევენ ბრძენთ, რომლებიც წინასწარ სპეციალურად შედგენილი პროგრამის მიხედვით წვრთნიან ტახტის მემკვიდრეს. ასე დაუწყო ზრდა ფარსადანმა შვილად აყვანილ ტარიელს.

ამრიგად, მემკვიდრეობითი მონარქიის დროს ტახტის მემკვიდრე საფუძვლიან განათლებას იღებს და ამ გზით სამეფო ხელისუფლება არასდროს არ შეიძლება ხელში ჩაუვარდეს შემთხვევით პირებს, რომელთაც არასათანადო განათლების გამო შეუძლიათ დაღუპვამდე მიიყვანონ ქვეყანა.

გარდა ამისა, მემკვიდრეობითი მონარქიის დროს სამეფო ტახტი არც ერთ დღეს არ რჩება დაუკავებელი. სამეფო ტახტის მპყრობელის გარდაცვალების შემთხვევაში ან მისი სურვილის შესაბამისად, ტახტს მექანიკურად იკავებს ტახტის მემკვიდრე. „ვეფხისტყაოსნიდან“ ჩანს, რომ ტახტის მპყრობელს ამავე დროს შე-

უძლია თავის სიცოცხლეში აიყვანოს მემკვიდრე ტახტზე და სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მართვის უფლებამოსილება ფორმალურად გაუზიაროს მემკვიდრეს. ამ შემთხვევაში მემკვიდრის მკაცრად აღზარდა იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობს, რომ მას შესაძლებლობა ეძლევა თვალყური ადევნოს მემკვიდრის საქმიანობას, რადგან ეს უკანასკნელი ფორმალურად უკვე მეფის უფლებებით არის აღჭურვილი.

რუსთველი არსებითად მემკვიდრეობითი მონარქიის მომხრეა და მემკვიდრეობითი მონარქიის უფლების განხორციელების ორ განსხვავებულ წესს გვაძლევს იგი „ვეფხისტყაოსანში“.

არაბეთში ტახტის მემკვიდრე თინათინია, რომელიც მამამისს, როსტევან მეფეს სამეფო ტახტზე აპყავს თავის სიცოცხლეში და, ამრიგად, ორივენი, მამა და შვილი, ფორმალურად ერთად განაგებენ სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას. მაგრამ ფაქტობრივად სამეფო ხელისუფლებას მაინც როსტევანი ახორციელებს და მის მიმართ თინათინი ისევე მოკრძალებულია და მორჩილი, როგორც იყო იგი გამეფებამდე. როგორც პოემის ტექსტიდან ჩანს, თინათინი სამეფო ტახტის ფაქტობრივი მფლობელი მხოლოდ როსტევან მეფის გარდაცვალების შემდეგ იქნება, თუმცა როსტევანი გამარჯვებით დაბრუნებულ ტარიელს ეუბნება, რომ თინათინი უკვე მეფეა, რომ „...მეფობა ქალსა ჩემსა მივეც, აქვს და მას ეფერა“ (1526) და ამიტომაც იგი მეფედ კურთხევის მომენტიდანვე სრულად ატარებს სამეფო რეგალიებს.

მაგრამ საყურადღებოა, რომ როსტევან მეფემ თავისი პირდაპირი მემკვიდრე მეორედ აიყვანა სამეფო ტახტზე სიძესთან ერთად და ამის შესახებ კიდევაც აცნობა თავის ქვეშევრდომებს:

ორთავე ხელი მოჰკიდეს და დასვეს ტახტსა თავისსა,
გვერდსა დაუსვეს ავთანდილ, სურვილსა მოეკლა ვისსა;
უნახავსა და ნახულსა სჯობს ყოელსა სანახავისსა,
ნუ ეჭვ მიჯნურად მათებრსა, ნუცა თუ რამინს და ვისსა.
(1543)

მართ მეფემამ სპათა ბრძანა ავთანდილის თაყვანება:
„ესეაო მეფე თქვენი, ასრე იქმნა ღმრთისა ნება,
ღლეს ამას აქვს ტახტი ჩემი, მე — სიბერე ვითა სნება,
ჩემად სწორად ჰმსახურებდით, დაიჭირეთ ჩემი მცნება!“
(1546)

ტახტის მემკვიდრეობის უფლების რეალიზაციის მხრივ სულ სხვა მდგომარეობაა ინდოეთში. ფარსადანს, მას შემდეგ, რაც სა-

კუთარი ქალიშვილი შეეძინა, აღარ სურს სამეფო ტახტზე აიყვანოს/ ტარიელი, რომელიც მას ტახტის კანონიერ მემკვიდრედ მიიჩნეულა და სამეფოდ ზრდიდა. ფარსადანს გადაწყვეტილი აქვს ტახტზე წაიყვანოს თავისი ქალიშვილი ნესტანი, მაგრამ, არაბეთისაგან განსხვავებით, ინდოეთში არსებული წესის თანახმად, ქალი შეიძლება სამეფო ტახტზე აყვანილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმთავითვე ცნობილი იქნება მისი ქმარი, რადგანაც, ამ ქვეყანაში არსებული ტახტის მემკვიდრეობის წესის თანახმად, სამეფო ხელისუფლებას ცოლ-ქმარი განაგებს. სწორედ ამიტომ ფარსადანს გადაწყვეტილი აქვს ნესტანი გაათხოვოს ხვარაზმშას შვილზე და, ამრიგად, მათ გადასცეს სამეფო ტახტი. XII საუკუნის საქართველოში უცხო ქვეყნიდან თამარის საქმროდ მოწვევასთან დაკავშირებული ტრაგიკული შედეგებით უკმაყოფილო რუსთველს არასწორად მიაჩნია ფარსადანის გადაწყვეტილება. ამიტომ იგი სავსებით დასაშვებად თვლის ტარიელის მოქმედებას, მიმართულს ფარსადანის განზრახვის წინააღმდეგ. საერთოდ, მშვიდობისა და საზოგადოებრივი სოლიდარიზმის მეხოტბე რუსთველი ამ შემთხვევაში მართლზომიერად თვლის მეფისადმი წინააღმდეგობის გაწევას.

საყურადღებოა, რომ რუსთველს ტარიელი ყოველთვის და ყველა შემთხვევაში სამეფო ტახტის კანონიერ მემკვიდრედ მიაჩნია და იგი მეფედ იხსენიებს მას მაშინაც კი, როდესაც ფარსადანი ცოცხალია და ძველებურად ისევ ინდოეთის სამეფო ტახტს განაგებს. არაბეთში ავთანდილთან და ფრიდონთან ერთად გამარჯვებით დაბრუნებული ტარიელი შეუთვლის როსტევან მეფეს:

ტარიელ კაცი გაგზავნა წინაშე როსტან მეფესა,
შესთვალა: „გკადრებ, მეფეო, სკრვილთა სიიფესა;
მე მოვალ, მეფე ინდოთა, დარბაზსა თქვენსა სეფესა,
გიჩვენებ ვარდსა კოკობსა, უკრქენელსა, მოუკრეფესა“.
(1504)

მაგრამ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ტარიელს თვითნებურად არა აქვს მითვისებული ინდოეთის მეფის ტიტული. არაბეთის ძლიერი სახელმწიფოს მეფე როსტევანი ტარიელს ცნობს როგორც ინდოეთის მეფეს, ფაქტიურად და იურიდიულად.

ცნა მეფემან, ტარიელი მართო მოვა, მოხზრის ტანსა,
გარდახდა და თაყვანი-სცა მას უკადრსა, ლომებრ ჯანსა.
სდებს პატივსა ინდოთ მეფეს, მართ მამისა შესაკვანსა.
(1514)

„ვეფხისტყაოსანში“ საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება იყოს ტახტის მემკვიდრე, გადაწყვეტილია ჰუმანიზმის პროგრესული პრინციპების შესაბამისად. ფეოდალურ საზოგადოებაში ყალიბებული მტკიცე ტრადიციისაგან განსხვავებით, რომელსაც ხედვით სამეფო ტახტის მემკვიდრე მხოლოდ მამაკაცი უნდა ყოფილიყო, რუსთველი აფართოებს ტახტის მემკვიდრეთა წრეს და სავსებით დასაშვებად თვლის ქალი იყოს ტახტის კანონიერი მემკვიდრე. ფეოდალურ საქართველოში თამარის გამეფებით შექმნილი პრეცედენტის დასაბუთების მიზნით, რუსთველი ცდილობს ქალის სამეფო ტახტის მემკვიდრეობის უფლებას თეორიული საფუძველი მოუძებნოს. საყურადღებოა, რომ ფეოდალურ საზოგადოებაში გაბატონებულ თეოლოგიურ შეხედულებებს, რომელთაც ხშირად იყენებდნენ ფეოდალურ საქართველოში თამარის გამეფებით უკმაყოფილო რეაქციულად განწყობილი ფეოდალები, შოთა რუსთველი მოხერხებულად იყენებს ქალის სამეფო ტახტის მემკვიდრეობის უფლებათა დასაბუთებლად. საქმე ისაა, რომ რუსთველის რაციონალური ღმერთი, რომელიც ბუნებას განაგებს გონიერების საწყისებზე, არის ყოველივე არსებულის შემქმნელი. ღმერთს სიკეთე და ბედნიერება მოაქვს ადამიანებისათვის, სწორედ ამის გამო თინათინი შეიძლება იყოს ტახტის კანონიერი მემკვიდრე, რადგან იგი ადამიანებისათვის სიკეთისა და ბედნიერების მომნიჭებელი ღმერთის მიერ არის შექმნილი. თავის მოსაზრების სისწორეში ღრმად დარწმუნებული პოეტი „ვეფხისტყაოსანში“ მთლიანად ამართლებს არაბეთის სახელმწიფოს სამეფო ტახტზე თინათინის ასვლას, რადგანაც „თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია“ (39). ამასთან ერთად იგი ამ მოსაზრების თანამიმდევრული განვითარების შედეგად, მიდის შუა საუკუნეებისათვის უცნობ, მაგრამ XII საუკუნის ქართული სახელმწიფოებრიობისათვის კარგად ცნობილ თანასწორუფლებიანობის იდეამდე სამეფო გვარეულობის წევრებს შორის. სიკეთისა და ბედნიერების მომტანი ღმერთის ნების მიხედვით, ქალის მეფედ დანიშვნის დასაბუთების შემდეგ, შოთა რუსთველი მიდის ჰუმანურ დასკვნამდე: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“ (39).

ფეოდალური მონარქიის მეთაური, „ვეფხისტყაოსანის“ მიხედვით, ფორმალურად შეზღუდულია უმაღლესი რანგის ფეოდალების — მაღალი თანამდებობის პირების — მინისტრების სათათბიროთი, დარბაზით. მაგრამ ფაქტობრივად მონარქის ხელისუფლება შეუზღუდველია, დარბაზს არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს მეფის გადაწყვეტილებას და, ამრიგად, მეფის გადაწყვეტილების

განხილვას დარბაზის სხდომაზე მაღალი თანამდებობის პირებისათვის, რომლებიც მისი წევრები არიან. მხოლოდ ინფორმაციის მნიშვნელობა აქვს და მეტი არაფერი. ძნელი დასაჯერებელია ინდოეთის მეფის — ფარსადანის გადაწყვეტილებას ნესტანის საქმროდ ხვარაზშმას შვილის ზედსიძედ შემოყვანის შესახებ, დარბაზის ყველა წევრი მოიწონებდა, მაგრამ სინამდვილეში მეფისადმი მოკრძალების გამო მათ ვერც კი გაბედეს წინააღმდეგობის გაწევა, ტარიელიც კი, რომელიც დარბაზის სხდომას ესწრება როგორც მაღალი თანამდებობის პირი, რა თქმა უნდა, არ თანაუგრძნობს ფარსადანს, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი დუმილს არჩევს.

გარდა არაბეთისა და ინდოეთის მონარქიული სახელმწიფოებისა, სადაც მეფის ხელისუფლება ფორმალურად შეზღუდულია დარბაზით, „ვეფხისტყაოსანში“ მოცემულია აგრეთვე ვაჭართა ასოციაციის შეზღუდული სახელმწიფო, რომელსაც ასევე მონარქიული ფორმა აქვს. ასეთია გულანშაროს სახელმწიფო.

დამახასიათებელია, რომ გულანშაროს სახელმწიფოებრივ წყობილებას საფუძვლად არ უდევს პატრონჟიმური ურთიერთობა, რადგანაც ამ ქვეყანაში გვხვდებიან ვაჭრები, ხელოსნები და დაქირავებული მუშა-ხელი, რომლებიც სენიორულ-ვასალური ურთიერთობისაგან თავისუფალი არიან.

ჩვეულებრივ, შუა საუკუნეებში ვაჭართა და ხელოსანთა ქალაქების უმრავლესობა თავისი წყობილებით რუსპუბლიკური იყო, მაგრამ იმის გამო, რომ რუსთველს საზოგადოებრივ ცხოვრებაში კლასობრივი ზავის უზრუნველყოფა სახელმწიფოს მხოლოდ მონარქიულ ფორმასთან აქვს დაკავშირებული, გულანშაროს ვაჭართა სახელმწიფოც მონარქიულია, სადაც სამეფო ხელისუფლებას მეფე მელიქ-სურხავი განაგებს. მაგრამ სინამდვილეში ამ სახელმწიფოს მონარქიული ფორმა ეფემერულ ხასიათს ატარებს, რადგანაც შუა საუკუნეებში მონარქებს საფუძვლად ყოველთვის ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობანი გაჩნდა, გულანშაროს მონარქიულ სახელმწიფოში კი საზოგადოებრივი ურთიერთობანი სავაჭრო ოპერაციების სახელგანთქმული ცენტრია. ხალისით აღსავსე, თავისუფალი ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრება მიმზიდველს ხდის მას. აქ იყრიან თავს ყველა ქვეყნის დიდვაჭრები, გულანშაროსაკენ მოეშურება ყველა, ვინც დროსტარებას და თავისუფალ ცხოვრებას მონატრებულისა:

ესეა ზღვათა სამეფო თვისა ათისა სავლითა,
თვით გულანშაროს ქალაქი, სავსე ტურფითა მრავლითა;

აქ მოდის ტურფა ყველაი ნავითა ზღვა-ზღვა მავლითა;
მელქ-სურხავი ხელმწიფობს, სრული სვითა და დავლითა.

(1065)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქა მოსვლითა გაუმდების, კაციმცა იყო ბერები:
სმა, გახარება, თამაში, ნიადაგ არნ სიმღერება,
ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს ყვავილი ფერად-ფერები;
ვინცა გვიცნობენ, გვანატრიან, იგიცა, ვინა მტერები.

(1066)

გულანშაროს სახელმწიფოში ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ბატონ-პატრონი ვაჭრები არიან, რომლებიც თავიანთ ასოციაციას ქმნიან, მაგრამ ფორმალურად აქ სახელმწიფოს მეთაური მეფეა. სამეფო ხელისუფლებასა და ვაჭართა გაერთიანებას შორის გარკვეული ურთიერთობის წესებია დადგენილი და წესების მიხედვით სამეფო ხელისუფლებას ექვემდებარება ვაჭართა მთელი საქმიანობა. ვაჭრები თავიანთი შეძლების მიხედვით სხვადასხვა რანგებად იყოფიან. სავაჭრო გაერთიანების სათავეში კი დგას ვაჭართა მეთაური უსენი, რომელსაც ახლო მეგობრული ურთიერთობა აქვს მეფესთან. ვაჭართა გაერთიანების მეთაური, რომელიც ხშირად მიართმევს მეფეს საჩუქრებს, თავისუფლად გრძნობს თავს სამეფო კარზე. სამეფო ხელისუფლება მტკიცედ იცავს ვაჭართა ინტერესებს.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული ყველა სახელმწიფო ფორმის მიხედვით მონარქიულია. მათ შორის განსხვავება შეიძლება არსებობდეს პოლიტიკური რეჟიმის მიხედვით. სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმის მქონე ამ ერთი და იმავე ფორმის სახელმწიფოებიდან რუსთველი უპირატესობას არაბეთისა და ინდოეთის ძლიერ ცენტრალიზებულ ფეოდალურ მონარქიებს ანიჭებს და თავისუფალი, წრეგადასული ყოფა-ცხოვრების წესები, რომლებიც გულანშაროს სახელმწიფოშია გაბატონებული, მის მოწონებას ვერ იმსახურებს.

რუსთველი „ვეფხისტყაოსანში“ ურთულესი სიუჟეტური წინააღმდეგობების გადაწყვეტისას გვაძლევს მწყობრ და თანმიმდევრულ პასუხს სამართლის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის შესახებ. ტახტის მემკვიდრეობის უფლება, მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობა, ფეოდალური საზოგადოების თითოეული წოდებისათვის სავსებით გარკვეული უფლებებისა და მოვალეობების დადგენა, ომისა და აჯანყების უფლება და სხვ.—აი, ის მთავარი საკითხები, რომლებიც წარმოდგენას გვაძლევს მის სამართლებრივ შეხედულებებზე: მაგრამ დამახასიათებელია, რომ ყველა ზემოთ აღნიშნული საკითხი შოთა რუსთველს გადაწყვეტილი აქვს



ე. წ. „მართალი სამართლის“ მოძღვრების მიხედვით. სამწუხაროდ, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა პერიოდში აში „მართალი სამართლის“ ცნება და მისი შინაარსის განსაზღვრული გარემოებები სრულიად შეუსწავლელია. დღემდე არ მოგვეპოვება განსაზღვრა „მართალი სამართლის“ მოძღვრებისა, რომელიც, როგორც გამოიკვეთა, XI—XII სს. ფეოდალური საქართველოს უმთავრეს პოლიტიკურ დოქტრინას წარმოადგენს. როგორც ლიტერატურული და ისტორიული წყაროებიდან ჩანს, XI—XII სს. ფეოდალურ საქართველოში ფართოდ გავრცელებულ ე. წ. „მართალი სამართლის“ დოქტრინას დაბეჭითებით ნერგავდა სამეფო ხელისუფლება, ფეოდალური დაქუცმაცებულობის დროს არსებული სამართლებრივი პარტიკულარიზმისაგან განსხვავებით, მის მიერ დადგენილი სამართლებრივი ნორმების ავტორიტეტის ასამაღლებლად, „მართალი სამართლის“ შესახებ „ვეფხისტყაოსანი“ შეიცავს მითითებას ქვემოთ მოყვანილ ორ სტროფში:

მიბრძანა, თუ: ხამს დიაცი დიაცურად, საქმე-დედლად,
დიდსა სისხლსა ვერ შეგაქმნევ, ვერ ვიქმნები შუა კედლად;
რა მოვიდეს სიძე, მოკალ, მისთა სპათა აუწყვედლად.
ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად.
(542)

რაცა ვინილვე ბედისა ჩემისა, კმა საჩივარად;
ცან, სამართალი მართალი გულისა გულსა მივა რად.
შენთვის მოვკვდები, გავხდები ყორანთა დასაყვიარად,
ვირე ცოცხალ ვარ. გეყოფი სატირლად და სატიკვიარად.
(1308)

რადგან გაერთიანებული საქართველოს სამეფო ხელისუფლება XI—XII საუკუნეებში თავის სამართლებრივ პოლიტიკას „მართალი სამართლის“ მოძღვრებაზე აგებდა, „ვეფხისტყაოსნის“ გარდა, ე. წ. „მართალ სამართალზე“ მითითებას შეიცავენ აგრეთვე სხვა ისტორიული ძეგლებიც. იოანე შავთელის „აბდულმესიანის“ 21-ე სტროფის დასაწყისში ნათქვამია:

ესა მართალი: ეს სამართალი
ხეს შეიქმს კმელსა წყალმომდინარედ.

უკანასკნელ პერიოდში ამ სტროფის გავრცელებული წაკითხვა — „ეს არის მართალი (—სწორი): სამართალი გამზმარ ხეს განედლებს (—წყალმომდინარედ აქცევს)“¹ — არ შეიძლება

¹ Н. Я. Марр, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, IV, С.-Петербург, 1902, გვ. 14.



მიხნეულ იქნეს მართებულად. ძნელი მისახვედრი არაა, რომ შავ-
თელი, რომელიც სამეფო ხელისუფლების პოლიტიკური იდეოლოგიის
გის წარმომადგენელია, თავის პოემაში ყველა სამართლებრივ სწავლებას
კითხს წყვეტს XII საუკუნის საქართველოში ფართოდ გავრცელებული
„მართალი სამართლის“ მოძღვრების მიხედვით, და სწორედ ამიტომ
„აბდულმესიანის“ ზემოთ მოყვანილი სტროფი შეიცავს მსჯელობას
არა სამართალზე საერთოდ, არამედ „მართალ სამართალზე“, რადგანაც
XII საუკუნეში გავრცელებული ამ პოპულარული მოძღვრების მიხედვით
მხოლოდ მართალი სამართალი ხდის ხმელ ხეს ნედლად. „აბდულმესიანის“
ოცდამეერთე სტროფის პირველ ნაწილში რომ მხოლოდ „მართალ სამართალზეა“
ლაპარაკი, ეს ჯერ კიდევ აკად. ნ. მარმა შენიშნა, რომელმაც დაადგინა
„აბდულმესიანის“ ზემოთ აღნიშნული სტროფის იდენტურობა შინაარსის
მიხედვით „ვეფხისტყაოსნის“ სამართლებრივ აფორიზმთან
„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“¹.

ამას გარდა, საყურადღებოა, რომ შავთელის „აბდულმესიანის“
ადრინდელი პერიოდის მკვლევარს პ. იოსელიანს, რომელსაც კარგად
ესმოდა, რომ პოემის ტექსტი უმთავრესად ემყარება სიტყვების
ვერსიფიკატორულ თამაშს და მისი შინაარსის შეცნობა ომონიმურ-
მაჯამური სიტყვების სწორად გაგებაზეა დამოკიდებული, „აბდულმესიანის“
21-ე სტროფი თანამედროვე პუნქტუაციური კონსტრუქციისაგან
მნიშვნელოვნად განსხვავებული სახით ჰქონდა წარმოდგენილი
და, მისი აზრით, იგი მხოლოდ „მართალ სამართალს“ უნდა
გულისხმობდეს².

უნდა ვიფიქროთ, რომ „მართალი სამართლის“ შესახებ მოსახ-
რებანი, რომლებიც შემოგვინახა ისეთმა მხატვრულმა ნაწარმოებებმა,
როგორიც „ვეფხისტყაოსანი“ და „აბდულმესიანია“, არ წარმოადგენენ
XI—XII სს. ფეოდალური საქართველოს მართლმოდენ პოეტურ-
მხატვრული აზროვნების შედეგს, არამედ „მართალი სამართლის“
შესახებ მოძღვრება რომ ამ ეპოქის პოლიტიკუ-

¹ ძველი ქართველი მეზობენი, II, იოანე შავთელი, „აბდულმესიანი“, თამარ მეფისა დავით სოსლანის შესხმა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბილისი, 1964, გვ. 180.

² თამარ მეფესა და მეუღლისა მისისა დავით მეფობისა შესხმა, თქმული ლექსად აბდულმესია შავთელისაგან, წელთა ქრისტესით 1192-სა აღბეჭდილი პლატონ ეგნატისძის იოსელიანისა მიერ, ტფილისი, 1938, გვ. 16.

რი იდეოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი სამართლებრივი ინსტიტუტი იყო, ამას სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ისტორიული წყაროებიც ადასტურებს. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს 1263 წლის საეკლესიო კრების დადგენილება, რომელშიც მიმტაცებელთა მიერ შევიწროებული ეკლესიები და მონასტრები სთხოვენ მეფეს, დაიცვან მათი საკუთრება მიწაზე „მართალი სამართლის“ მიხედვით¹.

ამრიგად, „მართალი სამართლის“ მოძღვრება იმდენად გაბატონებულია ფეოდალურ საქართველოში, რომ ამ ეპოქის ჩვენამდე მოღწეულ წყაროებში თითქმის ყველგან გვხვდება მასზე მითითება. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო ლიტერატურაში „მართალი სამართლის“ ცნება დაუდგენელია. სწორედ ამის გამო, ჯერ კიდევ გაურკვეველია, რით ხელმძღვანელობდა სამეფო ხელისუფლება, როცა სამართლის ცნებას, რომელსაც საქართველოში სახელმწიფოს გაჩენიდანვე იცნობდნენ, დაუმატა განსაზღვრება „მართალი“ და ამით შექმნა წინათ არსებული სამართლის ცნებისაგან განსხვავებული შინაარსის მქონე „მართალი სამართლის“ მოძღვრება.

ერთ-ერთი უძველესი წყარო, რომელიც „მართალი სამართლის“ ცნების დადგენის საშუალებას გვაძლევს, ქართული ოთხთავია. იგი შეიცავს არა მარტო მითითებას „მართალი სამართლის“ შესახებ, არამედ მასში მოცემულია „მართალი სამართლის“ ცნების პირდაპირი განსაზღვრება. ქართული ოთხთავიდან ყურადღებას იპყრობს შემდეგი სწავლება: „არა კელმწიფების მე თავით ჩემით არარაა, არამედ ვითარცა მესმის, ესჯი, და სასჯელი ჩე(მი) მართალ არს, რამეთუ არა ვეძიებ ნებასა ჩემსა, არამედ ნებასა მომავლინებელისა ჩემისასა“².

ქართული ოთხთავის მიხედვით „მართალი სამართლის“ ცნების დასადგენად წინასწარ მხედველობაშია მისაღები შემდეგი გარემოებანი: პირველ ყოვლისა, ქართულ ოთხთავში, როგორც პროფ. ივ. იმნაიშვილმა დაადგინა, „სასჯელი“, „სამსჯელი“ ვეხვდება სამართლის მნიშვნელობით³; ამის გარდა, ქართული ოთხთავის მიხედვით, ის, ვინც საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას ხელმძღვანელობს „მართალი სამართლით“, მართლმსაჯულად იწოდება⁴; პროფ. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, არა მარტო ფეოდალური

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი V, თბილისი 1953, გვ. 157.

² იოვ. 5,30. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1945.

³ ივ. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია—ლექსიკონი, თბილისი, 1948—1949, გვ. 65.

⁴ ივ. იმნაიშვილი, საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, თბილისი, 1966, გვ. 77.

დაქუცმაცებულობის პერიოდში, არამედ XI—XII სს. ისტორიულ ძეგლებშიც მართლმსაჯულება ყველგან „მართალ სამართალთან“ არის დაკავშირებული¹.

„მართალი სამართლის“ ცნების სრული შინაარსის დასაზღვრავად საშუალებას გვაძლევს ქართული ოთხთავიდან ჩვენ მიერ ცნობილი ტექსტის უკანასკნელი ნაწილი, რომელიც ამბობს, რომ „სასჯელი ჩე(მი) მართალ არს. რამეთუ არა ვეძიებ ნებასა ჩემსა, არამედ ნებასა მომავლინებელისა ჩემისასა“. როგორც ჩანს, აქ ერთმანეთისაგან განსხვავებულია ორი სახის სამართალი, კერძოდ, სამართალი, რომლის შინაარსი განსაზღვრულია ადამიანთა ნება-სურვილით, და სამართალი, რომლის ნორმები გამოხატავენ „ნებასა მომავლინებელისა ჩემისასა“, ე. ი. ღმრთის ნებას.

ქართული ოთხთავის მიხედვით, ექვს არ იწვევს ის, რომ ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში „მართალი სამართლის“ ცნება გულისხმობს არა ცალკეულ პირთა ნება-სურვილის გამომხატველი ქცევის სავალდებულო წესებს, არამედ მხოლოდ ღმრთის ნების გამომხატველ ნორმებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სამართლის ნორმის შემფარდებელმა საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას. „მართალი სამართლის“ მოძღვრება ემყარება თეოლოგიური ხასიათის არგუმენტებს. სწორედ იმის გამო, რომ შუა საუკუნეებში რელიგია გაბატონებულ იდეოლოგიას წარმოადგენდა, ფეოდალური საქართველოს სამართლებრივი იდეოლოგია ყველაზე მართალ და ჭეშმარიტ სამართლად ადამიანთა ნების მიხედვით დადგენილ სამართლებრივ ნორმებს როდი მიიჩნევს; „მართალი სამართლის“ ნორმები არ არის დამოკიდებული არავის ნებაზე და იგი მხოლოდ ღმრთის უცვლელი და მუდმივი ხასიათის ნებით განისაზღვრება.

„მართალი სამართლის“ ცნების ამგვარ გაგებაზე მიუთითებს სიტყვა „მართლის“ ეტიმოლოგიური წარმოშობაც. როგორც მ. ანდრონიკაშვილმა სხვადასხვა ენებთან შეპირისპირებით დამაჯერებლად ცხადყო, სიტყვა „მართ“-, „მართ-ად-ი“-ს ფუძე უნდა იყოს „ართ“, რომელიც სპარსული წარმოშობისაა და იგი ღვთაების აღმნიშვნელია².

საგანგებო შესწავლას მოითხოვს საკითხი იმის შესახებ, თუ რა კავშირშია „მართალი სამართლის“ ცნება ბუნებითი სამართლის მოძღვრებასთან. გავრცელებული აზრით, „მართალი სამართლის“

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 573.

² მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივ ურთიერთობიდან, თბილისი, 1966, გვ. 26.

ცნება, რომელიც განსაკუთრებით ფართოდ XI—XII სს. იყო გავრცელებული, ბუნებითი სამართლის ადრინდელი მოძღვრების სახესხვაობად უნდა იქნეს მიჩნეული¹, რამდენადაც „მართალი“ მართალი“ ღმერთის უცვლელი და მუდმივი ნების გამოხატულებას წარმოადგენს ისტორიული წყაროების მიხედვით. ამ მოსაზრებას აძლიერებს ისიც, რომ XI—XII სს. ფეოდალური საქართველოს ინიციატივით შექმნილ საერთო-კავკასიურ სახელმწიფოში ბუნებითი სამართლის მოძღვრება საერთოდ ცნობილი იყო.

„მართალი სამართლის“ მოძღვრების საბოლოოდ ჩამოყალიბება ფეოდალური დაქუცმაცებულობის დაძლევისა და ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრიობის შექმნასთან არის დაკავშირებული. „მართალი სამართლის“ მოძღვრება სამეფო ხელისუფლებამ გადაამუშავა ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში ცალკეულ სამთავროებში არსებული სამართლებრივი პარტიკულარიზმის დასაძლევად. მას შემდეგ, რაც ფეოდალური დაქუცმაცებულობა დაძლეულ იქნა, სამეფო ხელისუფლება, რომელიც სამთავროებზე მალა დადგა, მთელს ქვეყანაში ერთგვაროვან საზოგადოებრივ ურთიერთობებს უკვე ერთნაირად აწესრიგებს. ამავე დროს სამეფო ხელისუფლება, რომელიც ცდილობს აამაღლოს მის მიერ დადგენილი სამართლებრივი ნორმების ავტორიტეტი, ფეოდალური დაქუცმაცებულობის დროს არსებული სამართლებრივი რეჟიმისაგან განსხვავებით, როდესაც ერთი და იგივე საზოგადოებრივი ურთიერთობანი სხვადასხვა სამთავროებში სხვადასხვანაირად წესრიგდებოდა, მის მიერ დადგენილ სამართალს „მართალ სამართალს“ უწოდებს.

ფეოდალური დაქუცმაცებულობის ეპოქაში საეკლესიო ხელისუფლების მიერ რელიგიური შინაარსის თხზულებებში შემუშავებული „მართალი სამართალი“ მოძღვრება ღმერთის ნების გამოხატველ ღვთაებრივ სამართალს ნიშნავს, რომელსაც საეკლესიო ხელისუფლება უნდა ახორციელებდეს. მაგრამ ფეოდალური დაქუცმაცებულობის ლიკვიდაციისა და ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ჩამოყალიბების შემდეგ, სამეფო ხელისუფლება, რომელიც თავის ძალაუფლებას არა მარტო სამთავროებზე, არამედ ეკლესიაზეც ავრცელებს, ახდენს „მართალი სამართლის“ მოძღვრების გადაამუშავებას. ოფიციალური სახელმწიფოებრივი იდეოლოგია სამეფო ხელისუფლების წარმოშობას ღვთაებრივი საფუძვლებით ხსნის და ხელს უწყობს ქვეშევრ-

¹ R. Stammler, Die Lehre von dem richtigen Rechte, Halle, (Saale), 1926.

დომთა შორის იმ აზრის განმტკიცებას, რომ ღმერთის ნების გან-
მხორციელებელი სამეფო ხელისუფლება მოწოდებულია ქვეყანა-
ში მხოლოდ „მართალე სამართლის“ მიხედვით მოაწესრიგოს სა-
ზოგადოებრივი ურთიერთობანი. ამის საჭიროება კი იგივენივენი
ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების
შექმნისა და ფეოდალური დაქუცმაცებულობის ლიკვიდაციის შემ-
დეგაც, რადგან „მეტად დიდი და მძიმე იყო ძალადობა-უსამართ-
ლობა ფეოდალურ საქართველოში... დიდი აზნაური თავისი სახ-
ლისკაცებით დიდმოხელე-ერისთავი თავისი აგენტებით, მეკობრე-
ები, იჯარადარ-ხარკის ამკრეფნი, მეზურე-მებაჟენი და სხვა ასეთი
„მძლავრობდა“ და „აჭირვებდა“, ვისაც კი მოახლებდა.

დაჩაგრულ-მომძლავრებულნი ხმამაღლა ჩიოდნენ და „მართალ
სამართალს“ ეძებდნენ¹ მეფესთან. თავის მხრივ, სამეფო ხელი-
სუფლება კი, ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში არსე-
ბული სამართლისაგან განსხვავებით, მის მიერ დადგენილი სამართ-
ლებრივი ნორმების ავტორიტეტის ასამაღლებლად, ამ ნორმებს
ღმერთის ნების გამომხატველ „მართალ სამართალს“ უწოდებდა.

მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ „მართალი სამართალი“ იგივე
ბუნებითი სამართალია, შეიძლება სავსებით საფუძვლიანად ვამტ-
კიცოთ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ რუსთველი აღიარებს სამეფო
ხელისუფლების წინააღმდეგ ქვეშევრდომთა აჯანყების უფლებას
და კიდევაც იწონებს მას. ზემოაღნიშნული მოსაზრება ყველაზე
ნათლად ჩანს მის მიერ ზუსტ მეცნიერულ საწყისებზე მაღალი
მხატვრული გემოვნებით დამუშავებულ იმ ურთულეს სიუჟეტურ
ეპიზოდში, რომელიც, ერთი მხრივ, ტარიელსა და ნესტანს და,
მეორე მხრივ, ფარსადანსა და ხვარაზმშას შვილს შორის წარმო-
შობილ შეუთრეგებელ წინააღმდეგობებს ემყარება.

ტარიელის მამამ სარიდანმა მისი კუთვნილი ინდოეთის მეშვიდე
სამეფო ნებაყოფლობით შეუერთა ინდოეთის დაჩარჩენი ექვსი
სამეფოს მფლობელს ფარსადანს, რომელსაც არა ჰყავს მემკვიდრე.
სარიდანის პატრიოტული მოქმედებით აღფრთოვანებული ფარსა-
დანი მას გაერთიანებული ინდოეთის სამეფოს ამირბარად ნიშნავს,
ხოლო სარიდანის ვაჟს — ტარიელს კი თავის სასახლეში ზრდის
და ტახტის მემკვიდრედ ამზადებს. ამ დიდი პოლიტიკური მოვლე-
ნის შემდეგ ფარსადანს შეეძინება ქალიშვილი ნესტან-დარეჯანი,
რომელიც ერთხანს ტარიელთან ერთად იზრდება სასახლეში, მაგ-

¹ საქართველოს ისტორია, I (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულ-
ამდე), თბილისი, 1958, გვ. 164.

რამ შემდეგ, როცა ნესტანი წამოიზრდება, ფარსადანი მას შეემა-
ბულად განაცალკევებს ტარიელისაგან და აღსაზრდელად თავის
ქვივ დას, ქაჯეთის მეფის ცოლყოფილს დაეარს უნიწნაქს ნესტან
ტან-დარეჯნის დაბადების შემდეგ ფარსადანი უარს ამხადს ნესტანს
აღრინდელ გადაწყვეტილებაზე — ტარიელისათვის სამეფო ტახ-
ტის მემკვიდრეობის უფლების მინიჭების შესახებ და სამეფო
ტახტზე ასაყვანად ახლა უკვე ნესტან-დარეჯანს ამზადებს. მაგრამ
ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს შორის უკვე მტკიცე სამიჯნურო
ურთიერთობაა და მათ უერთმანეთოდ ვერ წარმოუდგენიათ ცხოვ-
რება. ტარიელისა და ნესტანის შეუღლებას შედეგად უნდა მოჰყ-
ვეს ორთავეს სამეფო ტახტზე ასვლა ერთდროულად, რაც, შოთა
რუსთველის აზრით, ტახტის მემკვიდრეობის უფლების განხორცი-
ელებასთან დაკავშირებით წარმოშობილი კოლიზიის თავიდან აცი-
ლების ერთადერთი საშუალებაა და იგი ნიშნავს სამეფო ტახტის
საკითხის გადაწყვეტას ე. წ. „მართალი სამართლის“ შესაბამისად.

მაგრამ სულ სხვანაირად ფიქრობს ინდოეთის მეფე ფარსადანი.
მისი აზრით, როგორც პოემიდან ჩანს, ნესტანის გაჩენის შემდეგ
ტარიელს ტახტის მემკვიდრეობის უფლება აღარა აქვს და ტახ-
ტის ერთადერთი მემკვიდრე ნესტან-დარეჯანი უნდა იყოს. მაგრამ
რადგან, არაბეთისაგან განსხვავებით, ინდოეთში არსებული ტახ-
ტის მემკვიდრეობის წესების მიხედვით, ქალი მისი მეუღლის, თა-
ნამეფის გარეშე არ შეიძლება სამეფო ტახტზე იქნეს აყვანილი,
ფარსადანი ჩქარობს ნესტანის გათხოვებას და სახელმწიფო დარ-
ბაზის ფორმალური დასტურით ზედსიძედ ხვარაზმშას შვილს იწ-
ვევს.

ფარსადანის ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ ნესტანი და
ტარიელი აჯანყებას აწყობენ: ნესტანმა შთააგონა ტარიელს, რომ
შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი ხვარაზმშას
შვილის მოკვლაა. ზედსიძედ მოწვეული ხვარაზმშას შვილის სიკვ-
დილის შემდეგ ტარიელი ფარსადანს სამეფოს დარბევით უნდა
დაემუქროს, მაგრამ ნესტანისა და მისი სამიჯნურო ურთიერთო-
ბა არ უნდა გაამეღავნოს. ამასთან, იგულისხმება, რომ ხვარაზმშას
შვილის მკვლელობა უკიდურესად გაამწვავებს ურთიერთობას ინ-
დოეთსა და ხვარაზმეთს შორის და ხვარაზმშა ფარსადანის წინა-
აღმდეგ ამხედრდება. ამრიგად, ფარსადანი კრიტიკულ მდგომარე-
ობაში აღმოჩნდება: ქვეყნის შიგნით მას სამეფოს დარბევით და-
ემუქრება ტარიელი, ხოლო ხვარაზმშას შვილის მკვლელობისათვის
ხვარაზმეთიდან იქმნება ინდოეთზე სამხედრო თავდასხმის საფრ-
თხე. ნესტანის აზრით, ასეთ საბედისწერო მომენტში მყოფი ფარ-

სადანი თვითონ შეეხვეწებოდა ტარიელს ნესტანის ცოლად შერთ-
ვას და ინდოეთის დაცვას.

ამ სიუჟეტურ ეპიზოდთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ინტერესო-
სა ხვარაზმშას შვილის მკვლელობის სამართლებრივად დასაბუთებას
გუმენტაცია, რომელიც, მართალია, „ვეფხისტყაოსანში“ ნესტანის
მიერ არის გადმოცემული, მაგრამ, ეჭვი არ არის, იგი შოთა რუს-
თაველის შეხედულებას გამოხატავს. აი, ისიც:

რა მოვიდეს, სიძე მოკალ, მისთა სპათა აუწყვედლად,—
ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად. (542)


აქედან ცხადია, რომ ტარიელის მოქმედება, რაც ობიექტურად,
ერთი შეხედვით, უდანაშაულო ხვარაზმშას შვილის მკვლელობაში
გამოიხატება, შოთა რუსთაველის აზრით, არ წარმოადგენს დანა-
შაულს, რადგანაც ხვარაზმშას შვილის მკვლელობა, როგორც პო-
ემიდან ჩანს, იმ მართალი სამართლის განხორციელებაა: რომელიც
ხმელ ხეს ნედლად აქცევს. ამ მოსაზრებას აძლიერებს „ვეფხის-
ტყაოსნის“ 543-ე სტროფი, რომელიც შეიცავს ნესტანის რჩევას
ტარიელისადმი:

ასრე ქმენ, ჩემო ლომო და მჯობო ყოველთა გმირთაო,
მიპარვით მოკალ სასიძო, ლაშქართა ნუ მოირთაო,
მისთა სპათაცა ნუ დაპხოც, ზროხათა, ვითა ვირთაო,—
სისხლი კაცისა უბრალო კაცმანმცა ვით იტვირთაო.

თუ მხედველობაში მივიღებთ აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრე-
ბას იმის შესახებ, რომ XIII საუკუნემდე ქართული სამართლის
ისტორიულ წყაროებში „უბრალო“ ნიშნავს „უდანაშაულოს“, ხო-
ლო „ბრალი“ კი „დანაშაულს“¹, მაშინ ცხადი გახდება, რომ, შო-
თა რუსთაველის აზრით, ხვარაზმშას შვილის თანმხლები ლაშქარი
არის უბრალო, ე. ი. უდანაშაულო და მას ხელი არ უნდა ახლოს
ტარიელმა, რაც შეეხება ხვარაზმშას შვილს, იგი მართალი სამართ-
ლის მიხედვით დანაშაუვა და ამიტომაც ხვარაზმშას შვილის მოკვ-
ლა მართალი სამართლის ნორმების განხორციელებაა.

მიუხედავად ამისა, ჩვენს რუსთაველოლოგიურ ლიტერატურა-
ში ხვარაზმშას შვილის მკვლელობა დანაშაულებრივ ქმედობად
არის აღიარებული. „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ მკვლევარს ვ. ნო-
ზაძეს „მართალი სამართალი“ პირდაპირი მნიშვნელობით აქვს გა-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი 11, ნაწ. 11,
ტფილისი, 1929, გვ. 255.



გებული და შოთა რუსთაველის მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ ფიქრობს, რომ ხვარაზმშას შვილის მკვლელობა არ შეიძლება ჩაითვალოს მართალი სამართლის ქმნად¹. თუ აპრიორულად ვხედავთ, რომ ტარიელის მიერ ხვარაზმშას შვილის მკვლელობა დანაშაულებრივ ქმედობას წარმოადგენს, მაშინ სავსებით ბუნებრივად ისმის კითხვა: როგორ მოხდა, რომ უღერესად პროგრესული და დღესაც პოპულარული სამართლებრივი აფორიზმი ლოგიკური დასკვნის სახით შოთა რუსთაველს დაკავშირებული აქვს სრულიად შეუსაბამო სიუჟეტურ ეპიზოდთან, კერძოდ, ხვარაზმშას შვილის წინააღმდეგ ტარიელის მოქმედებასთან. ტარიელის მიერ ხვარაზმშას შვილის მკვლელობას თუ დანაშაულად მივიჩნევთ, მაშინ, რა თქმა უნდა, სამართლებრივი აფორიზმი „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“ შეუსაბამო ხდება პოემის სიუჟეტურ ეპიზოდთან და მისგან სრულებითაც არ გამომდინარეობს, რადგანაც ამ შემთხვევაში უდანაშაულო ხვარაზმშას შვილის მოკვლა მიჩნეული უნდა იყოს იმ მართალი სამართლის ქმნად, რომელიც ხმელ ხეს ანედლებს.

სწორედ ამიტომ „ვეფხისტყაოსნის“ ზემომოყვანილი სიუჟეტური ეპიზოდის დღევანდელი გაგება, რომლის მიხედვით ტარიელისა და ნესტანის მოქმედება დანაშაულებრივად არის მიჩნეული, არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს. ძნელი დასაჯერებელია, რომ შოთა რუსთაველი, რომლის ჰუმანიზმი და პროგრესული შეხედულებები ყოველთვის აღგვაფრთოვანებს, ვერ გამოქმენიდა უფრო მოხერხებულ და ლოგიკურად მჭიდროდ დაკავშირებულ სიუჟეტურ ეპიზოდს ამ სამართლებრივი აფორიზმის გადმოსაცემად. მაგრამ რაკი პოემაში პროგრესული შინაარსის სამართლებრივი აფორიზმი „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“ დაკავშირებულია, ერთი შეხედვით, მასთან შეუსაბამო სიუჟეტურ ეპიზოდთან, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ხვარაზმშას შვილის წინააღმდეგ ტარიელისა და ნესტანის მოქმედების გასამართლებლად შოთა რუსთაველს უნდა გააჩნდეს რაღაც სამართლებრივი არგუმენტი, რომელიც თავისი დროისათვის უძლიერესი იყო დამაჯერებლობით და ამიტომაც შოთა რუსთაველს სრულიადაც არ ეუხერხებულება ეს პროგრესული სამართლებრივი აფორიზმი პოემაში მოგვცეს როგორც ხვარაზმშას შვილის წინააღმდეგ ტარიელისა და ნესტანის მოქმედებისაგან ლოგიკური აუცილებლობით

¹ ვ. ნ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოებრივ-მეცნიერული კვლევა, 1958, 23-218.

გამომდინარე დასკვნა, მაგრამ იმის გამო, რომ რვა საუკუნის განმავლობაში, რომელიც გვაშორებს რუსთაველისაგან, ბევრი რამ შეიცვალა მოვლენებისადმი ადამიანთა დამოკიდებულებებში, ველებსა და შეხედულებებში, რა თქმა უნდა, არასწორი იქნება შეხედულებები და ადამიანთა დასწრებული ეპოქის მოვლენები და ადამიანთა მოქმედებანი კვალიფიცირებულ იქნეს მხოლოდ დღევანდლობის თვალსაზრისით.

ცნობილია, რომ ისტორიული პიროვნებების დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა მოგვეცეს მათ მეცნიერების განვითარების დღევანდელი დონის შესაბამისად, არამედ იმის გათვალისწინებით, თუ რა შექმნეს მათ ახალი და პროგრესული იმ ეპოქის მიღწევებთან შედარებით, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ. მართლაც, იურიდიული მეცნიერების განვითარების დღევანდელი დონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ტარიელისა და ნესტანის მოქმედება დანაშაულებრივი ხასიათისაა, მაგრამ ფეოდალურ საქართველოში ფართოდ გავრცელებული ე. წ. მართალი სამართლის მოძღვრება, რომლის მიხედვითაც აფასებს რუსთაველი ტარიელისა და ნესტანის მოქმედებას, ხვარაზმშას შვილის წინააღმდეგ მიმართულს, მთლიანად აცლის ამ მოქმედებას დანაშაულებრივ ხასიათს. სწორედ ამიტომ რუსთაველი არავითარ უხერხულობას არ გრძნობს, პროგრესული სამართლებრივი აფორიზმი — „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“ ჩამოაყალიბოს როგორც ხვარაზმშას შვილის მკვლელობასთან დაკავშირებული სიუჟეტური ეპიზოდის ლოგიკური დასკვნა.

მას შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდა „მართალი სამართლის“ ცნების დადგენა, ტარიელისა და ნესტანის მოქმედებას ხვარაზმშას შვილის წინააღმდეგ, ფეოდალური საქართველოს სამეფო ხელისუფლების პოლიტიკური იდეოლოგიის მიხედვით, რუსთაველოლოგიურ ლიტერატურაში შემოთ გამოთქმული შეხედულებისაგან განსხვავებული კვალიფიკაცია უნდა მიეცეს.

ფეოდალური საქართველოს სამართლებრივი იდეოლოგიის განმსაზღვრელი „მართალი სამართალი“ ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში წარმოშობილი და შემდეგ შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული იგივე ბუნებითი სამართალია, მაგრამ ადრინდელი ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქაში გადამუშავებული ბუნებითი სამართლის მოძღვრებისაგან განსხვავებით, შუა საუკუნეებში ბუნებითი სამართალი ყველგან ღვთაებრიობის შარავანდელით არის მოსილი. მონათმფლობელური და ფეოდალური ეპოქების პოლიტიკური მოძღვრების მიხედვით, ბუნებითი სამართალი არის ქცევის

განსაკუთრებული წესები, რომლებიც, ადამიანთა ნება-სურვილის მიხედვით დადგენილი დადებითი (პოზიტიური) სამართლისგან განსხვავებით, ღმერთის უცვლელ და მუდმივ ნებას ფეოდალიზმის ეპოქაში გავრცელებული ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომადგენელთა აზრით, საზოგადოებაში მოქმედებენ ქცევის განსაკუთრებული წესები (მშობლებისადმი პატივისცემა, ღმერთებისადმი დამოკიდებულება, ღვთაებრივი წარმოშობის მქონე სამეფო ხელისუფლების ტახტის მემკვიდრეობა და ა. შ.), რომლებიც ადამიანთა ნება-სურვილზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ დადგენილია ღმერთის მიერ და ამიტომაც სახელმწიფოებრივი ხელისუფლება, რომელიც ადგენს დადებითი სამართლის ნორმებს, თავის საკანონმდებლო საქმიანობაში უნდა ხელმძღვანელობდეს ღმერთის ნებით განსაზღვრული ბუნებითი სამართლის ნორმებში მოცემული ქცევის წესებით. სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მიერ დადგენილი სამართლის ნორმები უნდა შეესაბამებოდეს და გამოხატავდეს ღმერთის ნების მიხედვით დადგენილი ბუნებითი სამართლის ნორმებს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ შეუსაბამობა არსებობს ბუნებითი და დადებითი სამართლის ნორმებს შორის, მაშინ ქვეშევრდომებს უფლება აქვთ დაარღვიონ სახელმწიფოებრივი ხელსუფლების მიერ დადგენილი ქცევის წესები.

ბუნებითი სამართლის ამ მოთხოვნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ზვარაზმშას შვილის მკვლელობით გამოწვეული ტრაგედიის ნამდვილი არსისა და მასთან დაკავშირებული ნესტანისა და ტარიელის მოქმედების მორალურ-პოლიტიკური შეფასებისათვის.

ნესტანისა და ტარიელის აზრით, მართალი სამართლით, ე. ი. ღმერთის მიერ დადგენილი ბუნებითი სამართლის ნორმების მიხედვით სამეფო ტახტი მხოლოდ ტარიელსა და ნესტანს ეკუთვნის, მაგრამ ბუნებითი სამართლის ამ მოთხოვნას ეწინააღმდეგება ფარსადანის სამეფო ხელისუფლების მიერ დადგენილი პოზიტიური სამართლის ნორმა — ჩამოართვას ტახტის მემკვიდრეობის უფლება ტარიელს და გადასცეს იგი უცხოელს, კერძოდ, ზვარაზმშას შვილს. ამდენად, ფარსადანის სამეფო ხელისუფლების გადაწყვეტილებამ წარმოშვა წინააღმდეგობა ბუნებით სამართალსა და დადებით სამართალს შორის და ასეთ შემთხვევაში ფეოდალურ საზოგადოებაში გაბატონებული სამართლებრივი იდეოლოგიის მიხედვით უნდა შესრულდეს არა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დადგენილება, არამედ ღმერთის ნება, ე. ი. განადგურებულ იქნეს ის, ვინც ღმერთის ნების წინააღმდეგ ცდილობს სამეფო

ტახტის უკანონო დაკავებას. სწორედ ამიტომ შუა საუკუნეებში გაბატონებული ერთადერთი მართალი და ქვეყნის მშენებლის ნების გამოხატველი ბუნებითი სამართლის ნორმების, მნიშვნელოვანი ტარიელისა და ნესტანის მოქმედება ხვარაზმშას შვილის წინააღმდეგ არ უნდა ჩაითვალოს დანაშაულად. მართალი, ღვთაებრივი სამართალი, ბრალი და ა. შ. შუა საუკუნეების ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების სიმდიდრეა და მათი იგნორირება ქვეყნის წარმოდგენას ვერ გვაძლევს ქართველი კაცის ნააზრევზე, მის წვლილზე მსოფლიო კულტურის საგანძურში. ვ. ნოზაძე ხელაღებით, მეცნიერული დასაბუთების გარეშე მთლიანად უარყოფს იმ იურიდიულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ჩვენ შევისწავლეთ „ვეფხისტყაოსნის“ მოვლენები. ვ. ნოზაძე წერს: „იურიდიული თვალსაზრისით ვეფხისტყაოსანი გაუსინჯავს ვახტანგ აბაშაძეს და მას ჰგონია — „ვეფხისტყაოსანში“... რუსთაველი გადაჭრით უარყოფს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას და მოითხოვს პასუხისმგებლობის საფუძვლების განსაზღვრას არა ობიექტური შერაცხვის პრინციპების მიხედვით, არამედ ბრალისა და სამართლიანობის (კანონიერების) მიხედვით. ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის განვითარებას პოემის მთავარი გმირების მოქმედებათა იურიდიული შეფასების საფუძვლად უდევს ბრალის ცნება“¹. ვ. ნოზაძე არ იზიარებს მის მიერ ჩვენი ნაშრომიდან ციტირებულ ამ მოსაზრებას, მეტიც, მთლიანად უარყოფს საკითხის ამგვარ დასმას და გაკვირვებული კითხულობს: „სად, რომელ ქვეყანაში, რომელ ჩამორჩენილ, თუ ჩამოუჩინებელ მხარეში იყო აღიარებული და დანამდვილებული „ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა“². ვ. ნოზაძის მიერ დაწუნებული იურიდიული თვალსაზრისი გვაკლდებულებს, რომ პირდაპირ ვუპასუხოთ ვ. ნოზაძეს: კაცობრიობის განვითარების აღრინდელ ეტაპზე ადამიანები ჯერ კიდევ არ იცნობდნენ ბრალის ცნებას და ყველა ქვეყანაში პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენდა ობიექტური შერაცხვა. როგორც იურიდიულ მეცნიერებაში დადგენილია, ობიექტური შერაცხვა ნიშნავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ბრალის არარსებობისას³. ობიექტური შერაცხვისას საკმარისია ქმედობით ან უმოქმედობით ამა თუ იმ შედეგის დადგომა, მიუხედა-

¹ ვ. ნოზაძე, მხარეთ შოკალ სასიძო (ტურნ. „კავკასიონი“, XI, 1960, გვ. 116).

² იქვე.

³ Юридический словарь, М., 1953, გვ. 425.



ვად იმისა, პირი არათუ არ ითვალისწინებდა ამ შედეგის დადგომის შესაძლებლობას, არამედ არც შეეძლო იგი გაეთვალისწინებინა ობიექტური შერაცხვა გულისხმობს აშკარად უდანაშაულოდ აღიქმება ანების დასჯას, მაგალითად, სასჯელის შეფარდებას მოქმედებისათვის, რომელიც ჩადენილია სხვების მიერ (მთელი სოფლის მცხოვრებთა დასჯა დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია ამ სოფლის რომელიმე მცხოვრების მიერ). ისტორიულად ობიექტური შერაცხვა არსებობდა განუვითარებელ საზოგადოებაში, რომელიც არ იცნობდა ისეთ პროგრესულ სამართლებრივ მოვლენებს, როგორცაა ბრალი და მხოლოდ ბრალის მიხედვით პასუხისმგებლობა¹. ძველ დროში სისხლის სამართალი არ იცნობდა ბრალის ცნებას, რომელიც შედგება განზრახვისა და გაუფრთხილებლობისაგან. ადამიანთა მაღალი სულიერი ცხოვრების გამომხატველია ჩადენილი მოქმედებისათვის სასჯელის შეფარდების დროს პირის ფსიქიკური დამოკიდებულების აუცილებელი გათვალისწინება. პირის მიერ ჩადენილი მოქმედების სამართლებრივი შეფასებისას თუ არ დადგინდება ბრალი, შეუძლებელია სასჯელის შეფარდება. ბრალის ცნების შემუშავება და მხოლოდ ბრალის მიხედვით დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდება დამახასიათებელია მაღალგანვითარებული საზოგადოებისათვის.

როგორც ი. ჯავახიშვილმა დაადგინა, შუა საუკუნეების საქართველოს სამართალში უკვე დიდი ადგილი უკავია ბრალს. ქართული სამართლებრივი კულტურა ისეთ მაღალ დონეზეა, რომ სასჯელის შეფარდებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბრალს და ბრალის ცნება მაღალ მეცნიერულ დონეზეა დამუშავებული². მართლაც, ცნობილი ქართველი მოაზროვნის ექვთიმე მთაწმინდელის (955—1028 წწ.) ნაშრომებში დამუშავებულია არა მარტო ბრალის ზოგადი ცნება, არამედ მისი ფორმები³, ეს მოვლენა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანშიც“ ნათლად ჩანს. როგორც ზემოთ მივუთითეთ, ნესტანი ურჩევს ტარიელს, მიპარვით მოკლას ხვარაზმშას შვილი იმიტომ, რომ, მას ბრალი მიუძღვის დატრიალებულ ტრაგედიაში, ხოლო მის თანმხლებ სპას, როგორც ბრალის არმქონეს, ხელი არ ახლოს.

¹ Юридический словарь, М., 1953, გვ. 425.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, გვ. 260—271.

³ И. И. Сургуладзе, История государства и права Грузии, Тб., 1968, გვ. 73.

3. ნოზაძე არ იცნობს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიას; კაცობრიობას ბევრი შრომა და ფიქრი დასჭირდა იმისათვის, რომ ბრალი გამოეცხადებინა პასუხისმგებლობის საფუძვლებზე საქართველო X—XI საუკუნეებში უკვე ერთ-ერთი დაწინაურებული ქვეყანა იყო, რომელმაც ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა „მართალი სამართლის“ საწინააღმდეგო მოვლენად გამოაცხადა. ამიტომ გაუგებრობას უნდა მიეწეროს ვ. ნოზაძის გაკვირვება და საყვედური ჩვენი მისამართით: „... ვახტანგ აბაშმაძეს... ჰგონია, „ვეფხისტყაოსანში“ რუსთველი გადაჭრით უარყოფს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას და მოითხოვს პასუხისმგებლობის საფუძვლების განსაზღვრას არა ობიექტური შერაცხვის პრინციპის მიხედვით, არამედ ბრალისა და სამართლიანობის (კანონიერების) მიხედვით: „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის განვითარების, პოემის მთავარი ვმირების მოქმედების იურიდიულ შეფასებას საფუძვლად უდევს ბრალის ცნებაო. სად, რომელ ქვეყანაში, რომელ ჩამორჩენილ თუ ჩამოურჩენელ მხარეში იყო აღიარებული და განამდვილებული „ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა?“¹ ბრალის ისტორიის ზემომოყვანილი მოკლე ანალიზიც კი ცხადყოფს ვ. ნოზაძის მსჯელობის უსაფუძვლობას.

ვ. ნოზაძის რუსთველოლოგიური გამოკვლევები უთუოდ დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ როგორც აკად. აღ. ბარამიძე აღნიშნავს, მათში „ბევრი რამე... სადავოა, ან მცდარი და მიუღებელი“². ვ. ნოზაძის ნაშრომებში ცალკეული ნაკლოვანებების არსებობას ადასტურებს ჩვენ მიერ ზემომოყვანილი შენიშვნები. ისინი ცხადყოფენ, რომ იურიდიული მეცნიერების პრობლემათიკის ირგვლივ არსებულ თანამედროვე ლიტერატურას არ იცნობს ბატონი ნოზაძე. სწორედ ამით უნდა აიხსნას მისი უსაფუძვლო საყვედური ჩვენი მისამართით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსთველოლოგიური მეცნიერების მკვლევარ ვ. ნოზაძეს „ვეფხისტყაოსნის“ „ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“, შუა საუკუნეების ქართული სამართლებრივი ინსტიტუტი „მართალი სამართალი“ გაგებულ აქვს პირდაპირი მნიშვნელობით, როგორც სწორი, ჭეშმარიტი, მართალი სამართალი, მაგრამ მხოლოდ ამგვარ გაგებას აშკა-

¹ ვ. ნოზაძე, მიპარვით მოკალ სასიძო, (ეურნ. „კავკასიონი“, XI 1966, გვ. 116).

² გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 7 აგვისტო, 1987, გვ. 11.

რად ეწინააღმდეგება „ვეფხისტყაოსნის“ უმთავრესი ეპიზოდი, კერძოდ, ტარიელის მიერ, ერთი შეხედვით, უდანაშაულოდ დაწინაურებული მას შეილის მკვლელობა. დაუჯერებელია, რომ უდანაშაულოდ მიაჩნის მკვლელობა მართალი სამართლის კმნად მიაჩნდეს დიდ ჰუმანისტ შოთა რუსთველს. ეს გარემოება გვაიძულებს რუსთველის „მართალ სამართალს“, სხვა, ვ. ნოზაძისაგან არსებითად განსხვავებული ახსნა მოვუძებნოთ.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ამ კვლევამ იქამდე მიგვიყვანა, რომ არც საქართველოში და არც მსოფლიოს კულტურულად დაწინაურებულ ქვეყნებში „მართალი სამართალი“, როგორც სამართლებრივი ტერმინი, არ გაიგება, როგორც მხოლოდ სწორი, კუთვნილი სამართალი, მას სპეციალური იურიდიული აზრი აქვს. კერძოდ, როგორც ეს იურიდიულ მეცნიერებაშია დადასტურებული, შუა საუკუნეების კულტურულად დაწინაურებულ ქვეყნებში „მართალი სამართალი“ გაგებული იყო, როგორც ბუნებითი სამართალი, ღვთაებრივი სამართალი¹. შ. რუსთაველის „მართალი სამართლის“ ამ სპეციფიკური იურიდიული თვალსაზრისის უგულებელყოფამ ვ. ნოზაძე მიიყვანა მრავალ გაუგებრობამდე და უხერხულობამდე. რუსთაველის მიერ ხვარაზმშას შეილის მკვლელობის „მართალი სამართლის“, „ბრალის“ და სხვა იურიდიული ინსტიტუტების თვალსაზრისით, შეფასების ვ. ნოზაძის მიერ იგნორირება ამ უკანასკნელის რუსთველოლოგიური შრომების დიდი და დასანანი ხარვეზებია.

შოთა რუსთაველის სამართლებრივი აფორიზმი „კმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“ დამყარებულია ფეოდალურ საქართველოში ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების აყვავების პერიოდში გაბატონებულ ე. წ. მართალი, ანუ ბუნებითი სამართლის მოძღვრებაზე. „ვეფხისტყაოსნიდან“ ჩანს, რომ შოთა რუსთაველი შესანიშნავად იცნობს ამ მოძღვრებას და მოხდენილად იყენებს მას პოემის უმთავრესი სიუჟეტური ეპიზოდის დასასაბუთებლად.

¹ R. Stammer, Die Lehre von dem richtigen Rechte, Halle (Saale) 1926.



ამრიგად, ფეოდალური საქართველოს ძლიერი და განუყოფელი მეფის დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის ფინანსთა მინისტრის ყუთლუ-არსლანისა და ქართველი ხალხის გენიალური პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთველის პოლიტიკური მოძღვრებები მთელი სისრულით გვაძლევენ წარმოდგენას XI—XII სს. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის ხასიათისა და მისი განვითარების ძირითადი მაგისტრალური ხაზის შესახებ.

XI—XII სს. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური მოძღვრებანი თავისი ხასიათით რენესანსულია. როგორც ჩანს, ამ პერიოდში საქართველოში რენესანსის ეპოქის იდეები განსაზღვრავდა არა მარტო ადამიანთა სულიერი ცხოვრების მრავალ დარგს, მხატვრობასა და ხუროთმოძღვრებას, ოქრომკვდლობასა და ქედურ ხელოვნებას, მწერლობასა და მეცნიერებას, არამედ სამეფო ხელისუფლების მიერ შემუშავებულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკასაც. რენესანსის ეპოქისათვის დამახასიათებელი საერთო მოვლენის მსგავსად, ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ XI—XII სს. ფეოდალური საქართველოს სულიერი ცხოვრების მესვეურებად განდევილების, ეპისკოპოსების, ბერებისა და მეუდაბნოეების ნაცვლად გამოდის საერო ხალხი — სახელმწიფო მოღვაწენი და მეცნიერები, პოეტები, მხატვრები და სხვ.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში რენესანსის ეპოქის იდეებმა გამოხატულება პოვა ნ. მაკიაველის, ჟან-ბოდენის, თ. მორის, კამპანელას, ჯ. ლოკის, გ. შაბლის, თ. ჰობსის და სხვათა მოძღვრებებში. ძლიერი ცენტრალიზებული და შეუზღუდველი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შექმნა, რენესანსის ეპოქის იდეოლოგიის განმსაზღვრელი ძალის — „მესამე წოდების“ ინტერესების შესაბამისად ხელისუფლების დანაწილების ანტიფეოდალური თეორიის შემუშავება, ფეოდალიზმის წიაღში ბურჟუაზიული ურთიერთობების მშვიდობიანი განვითარების უზრუნველსაყოფად საზოგადოებრივი სოლიდარიზმის იდეების ქადაგება, — რენესანსის ეპოქის საერთო მოვლენაა და მას ფეოდალური საქართველოც ვერ ასცდა.

XI—XII საუკუნეების მიჯნაზე თურქ-სელჩუკთა ბატონობის შესუსტებით გამოწვეული ხელსაყრელი საგარეო მდგომარეობა სათანადო პირობებს ქმნის დავით აღმაშენებლის დიდი სახელმწიფოებრივი ნიჭის გაფურჩქვნისათვის. ნიჭიერი, ენერგიული და ძლიერი ნებისყოფის მეფე ქვეყნის შიგნით ურჩი ფეოდალთა დათ-

რგუნვის შედეგად ახდენს ფეოდალური დაქუცმაცებულობის
ვიდაციას და ქართული სახელმწიფოებრიობის მეთაურობით
კასიის ტერიტორიაზე ქმნის სხვადასხვა ეროვნებისა და
ელების მქონე ხალხთა მრავალეროვან, ძლიერ სახელმწიფოს. ძლიერი
სახელმწიფოებრივი ხელისუფლების საშუალებით დავით აღმაშენ-
ნებელი კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებს ათავისუფლებს
თურქ-სელჩუკთა მოძალადე ტომებისაგან და ცდილობს „ფეოდა-
ლურ უწესრიგობაში“ გარკვეული წესრიგის დამყარებას. დავით
აღმაშენებელი თავის „სწავლულ რაზმთან“ ერთად ქმნის სამეფო
ხელისუფლების ოფიციალურ პოლიტიკურ იდეოლოგიას, რომლის
მიზანია გაამართლოს სამეფო ხელისუფლების შეუზღუდველობა
და უმაღლესობა. მის მიერ შექმნილ ძლიერ ფეოდალურ სახელ-
მწიფოში დავით აღმაშენებელი ქმნის ფეოდალური მმართველო-
ბის ახალ, განსაკუთრებულ ფორმას აბსოლუტიზმის პრინციპების
მიხედვით. მაგრამ რენესანსის ეპოქის საერთო მოვლენის შესაბამის-
სად დავით აღმაშენებელი ფეოდალურ საზოგადოებაში სამეფო
ხელისუფლების განხორციელებისას ხელმძღვანელობს განათლებუ-
ლი აბსოლუტიზმის იდეებით. ამასთან ერთად სამეფო ხელისუფ-
ლების უმაღლესობისა და შეუზღუდველობის დასასაბუთებლად
დავით აღმაშენებელი მოხერხებულად იყენებს ბუნებითი სამართ-
ლის მოძღვრებას, რომელიც, როგორც წყაროებიდან ჩანს, XI—
XII სს. ფეოდალურ საქართველოში ფართოდ ყოფილა გავრცელებული
„მართალი სამართლის“ სახელწოდებითაც.

აბსოლუტიზტური სამეფო ხელისუფლება, როგორც ფეოდალური
საზოგადოების მმართველობის ტიპური ფორმა, XI—XII საუკუნე-
ებში პროგრესულ პოლიტიკურ დაწესებულებად მოჩანს, რამ-
დენადაც იგი საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას
ხელმძღვანელობს განათლებული აბსოლუტიზმის იდეებით, ხელს
უწყობს ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებასა და ეკონომიკურ აღ-
მავლობას და ამასთან ერთად წარმოადგენს მრისხანე იარაღს
უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ უნდა
აღინიშნოს, რომ აბსოლუტიზტური სამეფო ხელისუფლება ვაჭრობის,
ხელოსნობის და აღებ-მიცემობის განვითარების გზით ქვეყნის
ეკონომიური აღმავლობისათვის რომ იბრძოდა, ამავე დროს
ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ახალი, ანტიფეოდალური, ბურჟუაზიული
ურთიერთობების ჩასახვა-წარმოქმნისათვის ფეოდალურ
საზოგადოებაში.

მართლაც, XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს ეკონომი-
კაში ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობების განვითარების მაღალ

დონეს ცხადყოფს თამარ მეფის ფინანსთა მინისტრის ყუთლუ-
არსლანის მიერ მოწყობილი აჯანყება სამეფო ხელისუფლების წი-
ნააღმდეგ „მესამე წოდების“ წარმომადგენელთა პოლიტიკურ-
უფლებების გასაფართოებლად. ამ მიზნით ყუთლუ-არსლანის
ლიტიკური დასი აყენებს თავისი დროისათვის მეტად ორიგინალურ
და სრულიად ახალ ანტიფეოდალურ პოლიტიკურ მოძღვრებას სა-
ხელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების შესახებ. ყუთლუ-
არსლანის ამ დიდი პოლიტიკური აჯანყებით შემფოთებული სამე-
ფო ხელისუფლება გადამკრულ ზომებს იღებს აჯანყების ჩასაქრო-
ბად. აპატიმრებს მის მეთაურს ყუთლუ-არსლანს. მაგრამ ბურჟუა-
ზიის ინტერესების შესაბამისი ახალი ანტიფეოდალური იდეოლო-
გები და მისი მომხრე ძალები იმდენად მტკიცე და ძლიერნი არიან,
რომ სამეფო ხელისუფლებას უკვე აღარ შეუძლია ანგარიში არ გა-
უწიოს მესამე წოდებას და, ამგვარად, XII საუკუნეში ყუთლუ-
არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლის შემდეგ ფეოდალურ
საქართველოში მყარდება ერთგვარი კომპრომისი სამეფო ხელი-
სუფლებასა და „მესამე წოდებას“ შორის. ამ პოლიტიკური კომპ-
რომისის შედეგად ფეოდალური საქართველოს მეთაური — მეფე
სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში
ახორციელებს „თანადგომითა და ერთნებაობით“.

XII საუკუნის დასასრულისათვის ფეოდალურ საქართველოში
უკვე ჩამოყალიბდა ისეთი ეკონომიკური და პოლიტიკური წინამ-
ძღვრები, რომ ქვეყნის შემდგომი განვითარება შეიძლებოდა მხო-
ლოდ წარმართულიყო ფეოდალური ურთიერთობების რღვევისა
და ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩამოყალიბება-განმტკი-
ცების გზით, გარეშე ფაქტორებს რომ არ შეეშალა ხელი. XII სა-
უკუნის დასასრულს სამეფო ხელისუფლებასა და მესამე წოდებას
შორის გაჩაღებულ ბრძოლაში გამარჯვებული თითქმის არც ერთი
მხარე არ გამოსულა, ქვეყანა იხსნა იმ პოლიტიკურმა კომპრომისმა,
რომელიც დამყარდა ამ ორ სოციალურ ძალას შორის. მწვავე კლასო-
ბრივი ბრძოლების პროცესში მიღწეული პოლიტიკური კომპ-
რომისი ჯერჯერობით ორივე მხარეს აწყობს და სწორედ ასეთ
ვითარებაში სამეფო ხელისუფლება ქმნის ახალ პოლიტიკურ დოქ-
ტრინას, საზოგადოებრივი სოლიდარიზმის პოლიტიკურ მოძღვრე-
ბას, რომელიც XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში არსე-
ბულ ანტაგონისტური ხასიათის კლასობრივი წინააღმდეგობების
შერიგებას ისახავს მიზნად. საზოგადოებრივი სოლიდარიზმის პო-
ლიტიკური დოქტრინა XII საუკუნის მრავალ ისტორიულ-ლიტერ-
ატურულ წყაროს საშუალებით არის ჩვენამდე მოღწეული, მაგ-

რამ ყველაზე ნათლად იგი გადმოცემულია შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ და ანონიმი ავტორის თხზულებაში „ქვეყნისაჲ და აზმანი შარავანდედთანი“.

სიგელი

XII საუკუნის დასასრულს ფეოდალურ საქართველოში სამეფო ხელისუფლების მიერ შემუშავებული საზოგადოებრივი სოლიდარიზმის მოძღვრების მიხედვით თითოეულ სოციალურ კლასს დაკისრებული უნდა ჰქონდეს საესეებით ზუსტად განსაზღვრული ფუნქცია. ფეოდალურ საზოგადოებაში არსებული კლასები კეთილსინდისიერად უნდა ასრულებდნენ ამ ფუნქციებს და დასჯერდნენ იმას, რაც მათ ღმერთმა მისცა. ასეთ პირობებში საზოგადოებრივი სოლიდარიზმის ფართოდ გავრცელებული დოქტრინის მიხედვით უზრუნველყოფილი იქნება ქვეყნად საყოველთაო მშვიდობა.

მიუხედავად იმისა, რომ შოთა რუსთაველი საზოგადოებრივი სოლიდარიზმის თეორიას არსებული საზოგადოებრივი წყობილების დასაცავად იყენებს, მას შუა საუკუნეებში გავრცელებული ბუნებითი სამართლის მოძღვრება ახალ საფეხურზე აყვავს და ფეოდალურ საზოგადოებაში ანტიკური ეპოქიდან გადმოღებული ბუნებითი სამართლის მოძღვრებიდან, მისი თითქმის ყველა წინამორბედი-საგან განსხვავებით. სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ქვეშევრდომთა აჯანყების უფლება გამოჰყავს.

XI—XII სს. საქართველოს მეტად ორიგინალური პოლიტიკური მოძღვრებანი თავიანთი შინაარსით მთლიანად გამოხატავს განვითარებულ ფეოდალურ ეკონომიკაში ჩასახულ ახალ ბურჟუაზიულ ურთიერთობებს, რამაც განსაზღვრა ამ მოძღვრებათა თვისებრივად ახალი, რენესანსული ხასიათი.

დავით აღმაშენებლის, ყუთლუ-არსლანის და შოთა რუსთაველის მემკვიდრეობა სრულ წარმოდგენას გვიქმნის ქართული რენესანსის პოლიტიკურ იდეოლოგიაზე, რომელმაც ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების შემდეგი პერიოდის განვითარება განსაზღვრა. უცხოელ დამპყრობთა გამაჩანაგებელი შემოსევებისა და პოლიტიკური დაქუცმაცებულობის მიუხედავად, ქართული რენესანსის მემკვიდრეობა ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც კი ქმნიდა საფუძველს საქართველოს სულიერი ცხოვრების ასაღორძინებლად.

რუსეთთან შეერთების შედეგად ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის გაუქმებამ ქვეყანაში უმძიმესი ვითარება შექმნა. XIX საუკუნეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებად მოგვევლინენ სოლომონ დოდაშვილი და ილია ჭავჭავაძე. მათ შეადგინეს საქართველოში გაუქმებული სახელმწიფოებრიობის აღდგენის თვისებრივად ახალი პროექტი, რომელიც გულისხმობდა დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას.

თ ა ვ ი III

**საქართველოს რუსეთთან შეერთების დროინდელი
კოლიტიკური და სამართლებრივი მოქმედებები**


XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან ქართველი ხალხის სულიერ და მატერიალურ ცხოვრებაში უდიდესი გარდატეხა მოხდა, საქართველო რუსეთმა შეიერთა, რის შედეგადაც ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობა გაუქმდა და საქართველოში რუსული მმართველობა დამყარდა. საქართველოს რუსეთთან შეერთებას ილია ჭავჭავაძე ასე აფასებდა: „ამ ღირსსახსოვარი დღიდან საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუშვიდებელი, დაღლილი ჭვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აზრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ქღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწავადა ჰბუჯავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს“¹.

ამ სიკეთესთან ერთად ქართველმა ხალხმა გაიზიარა მეფის თვითმპყრობელობის ბატონობის ქვეშ მყოფი რუსეთის მშრომელთა ბედი. საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა. ილია ჭავჭავაძე საქართველოს სამართლებრივ მდგომარეობას რუსეთის იმპერიაში შემდეგნაირად ახასიათებდა: „ჩვენი ქვეყანა სათრეველაა ერთს დიდ ურემზედ გამობმული, საითაც გაიწევეს ურემი, იქით მიდის სათრეველა“².

მეფის თვითმპყრობელობის მიერ რუსეთ-საქართველოს ტრაქტატის პირობების დარღვევისთანავე ქართველმა ხალხმა დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელიც მიზნად ისახავდა გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ეს

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. IV, გვ. 216—217.

² იქვე, გვ. 268.



ბრძოლა ჯერ კიდევ 1832 წლის შეთქმულებმა გააჩაღეს, ისინი მოითხოვდნენ საქართველოს რუსეთისაგან ჩამოშორებას, რაც შეუძლებელი იყო. ეხება გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისკენ. 1832 წლის შეთქმულებს იგი სხვადასხვანაირად ჰქონდათ წარმოდგენილი. შეთქმულთა თავადაზნაურულ-მონარქისტული ჯგუფი საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე არსებული მონარქიის აღდგენას მოითხოვდა, ხოლო შეთქმულთა პროგრესული ნაწილი ს. დოდაშვილის მეთაურობით დაბეჯითებით იბრძოდა საქართველოს რუსეთისაგან ჩამოსაშორებლად და რესპუბლიკური წყობილების დასამყარებლად.

1832 წლის შეთქმულება დამარცხდა, მეფის რუსეთი სასტიკად გაუსწორდა შეთქმულებს. მაგრამ ქართველი ხალხის ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისა და გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის არ შენელებულა, იგი კვლავ დაიწყო 60-იან წლებში თერგდალეულებმა და მათმა წინამძღოლმა ილია ჭავჭავაძემ, რომლებმაც ახალი სული შთაბერეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეებს. კერძოდ, მათ მეცნიერულ საწყისებზე დაამუშავეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხები და გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლა ე. წ. რეალურ პოლიტიკაზე დაამყარეს.

ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური მოწყობის მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამის ავტორები არიან სოლომონ დოდაშვილი და ილია ჭავჭავაძე. ისინი მოითხოვდნენ ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას დემოკრატიული რესპუბლიკის ფორმით. ცნობილია, რომ „დროების“ საიუბილეო ზეიმზე მის რედაქტორს ს. მესხს საგანგებოდ აღუნიშნავს გაზეთის პოლიტიკური დროშის დემოკრატიულობა, იქვე დამსწრე თერგდალეულთა წინამძღოლს ილია ჭავჭავაძეს დაუდასტურებია, რომ ეს „დროშა... მემკვიდრეობით გვაქვს გადმოცემული განსვენებულის ღოდაევისაგან“...¹

1. სოლომონ დოდაშვილი

ს. დოდაშვილი XIX საუკუნის პირველი ნახევრის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი პროგრესული მოაზროვნეა, რომლის მსოფლმხედველობა საბოლოოდ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ქართველი თავადაზნაურულ-პატრიოტული ზედაფენის მიერ დაწყე-

¹ გაზეთი „დროშა“ № 24, 1876 წლის 7 მარტი.

ხულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩამოყალიბდა
 ს. დოდაშვილი იყო რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ გაჩაღებული
 ამ ბრძოლის უშუალო მონაწილე და მისი აღიარებული მეთაურული
 მედროშე. 1832 წლის შეთქმულების მონაწილეები ს. დოდაშვილი
 რუსეთსა და საქართველოში უკვე იცნობდნენ როგორც მრავალ-
 მხრივ განათლებულ მოაზროვნეს, ფილოსოფიისა და იურიდიული
 მეცნიერებების მოწინავე მიღწევებს დაუფლებულ კვალიფიციურ
 სპეციალისტს. მისი ნაშრომები ემყარება ანტიკური ეპოქის, შუა
 საუკუნეებისა და ახალი დროის მეცნიერულ მიღწევებს (ეპიკურე,
 პროტაგორა, პლატონი; არისტოტელე, სტოელები, სქოლასტიკო-
 სები, კამპანელა, თომაზიუსი, აბელარი, ბეკონი, ვოლფი, ლოკი,
 კონდილიაკი, ვოლტერი, რუსო, კანტი და ა. შ.). ამით უნდა აიხს-
 ნას ს. დოდაშვილის ნაშრომების მაღალი თეორიული დონე და, მა-
 შასადამე, მისი პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებების
 ღრმა მეცნიერულობა. ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტები ცხად-
 ყოფს, რომ ს. დოდაშვილს საფუძვლიანად ჰქონდა განსაზღვრული
 რუსეთის იმპერიაში საქართველოს სამართლებრივი მდგომარეობა,
 ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური მოწყობის ფორმა, მე-
 ფის თვითმპყრობელობის მიერ გაუქმებული ქართული სახელ-
 მწიფოებრიობის აღდგენის გზები და საშუალებები, საქართველო-
 ში დამყარებული რუსული მმართველობის შეუსაბამობა ეროვნულ
 ზნე-ჩვეულებებთან, ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში რუსუ-
 ლი კანონების სრულად რეალიზაციის შემაფერხებელი გარემოება-
 ნი და ა. შ. გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მომავალი,
 ახალი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოწყობასთან
 დაკავშირებული პრობლემები ქართველი ხალხის ეროვნულ-განმა-
 თავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში პირველად ს. დოდაშვილმა
 დასვა და მეცნიერულად გაიაზრა მათი გადაჭრის საფუძვლები,
 ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დიდი დროშა ს. დო-
 დაშვილისაგან მიიღეს ქართველმა სამოციანელებმა, რომლებმაც
 დიდი ქართველი მოაზროვნის მიერ დასახული პოლიტიკური მიზ-
 ნები თავიანთ სამოქმედო პროგრამად გაიხადეს. ამ მხრივ საყურად-
 ლებოა გაზეთ „დროების“ ათი წლისთავის საიუბილეო დღესასწა-
 ულზე ს. მესხის და ი. ჭავჭავაძის გამოსვლები. ს. მესხს განუცხა-
 დებია, რომ გაზეთ „დროების“ ზეიმზე შეკრებილნი თანაგრძნობას
 უცხადებენ „იმ დროშას, რომლის ქვეშ დღეს ყველანი შეკრე-
 ბილნი ვართ აქ. ეს დროშა მარტო ერთს გაზეთს, ან რომელსამე
 მიმართულებას ან თაობას კი არ წარმოადგენს. ამ დროშაზე არ
 აწერია არც ბატონი, არც გლეხი, არც ახალი და არც ძველი თა-

ობა“¹. ი. ჰავჭავაძეს ს. დოდაშვილის მიერ დასახული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანების მემკვიდრეობით შეიღების თაობაზე უთქვამს: „ყველას სამართალი ითხოვს, რომელიც უფ. შესხმა ლეს თავისი მიეწყოს, თუმცა იმ დროშაზედ, რომელიც უფ. შესხმა მოიხსენა, ეხლანდელთა „დროების“ მოღვაწეთა თვისი მიმართულება ზედ წააწერეს, მაგრამ თვით დროშა კი მემკვიდრეობით გვაქვს გადმოცემული განსვენებულის დოდავეისაგან, გიორგი ერისთავისაგან. საუკუნოდ იყოს ხსენება მათი ჩვენში“².

ს. დოდაშვილმა ახალ დროში პირველად დასვა რუსეთის იმპერიაში ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის ორი უმთავრესი პრობლემის, კერძოდ, სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სამართლებრივი გადაწყვეტის საკითხი, რომელმაც შემდგომი განვითარება პოვა ქართველი სამოციანელების და მათი ბელადის — ი. ჰავჭავაძის საბრძოლო მოთხოვნაში: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“.

როგორც მითითებულია, ს. დოდაშვილის სოციალურ-პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებების განმსაზღვრელ წყაროებს წარმოადგენს: საქართველოს გმირული ისტორიული წარსული და მისი იმდროინდელი სამართლებრივი მდგომარეობა მდიდარი მრავალსაუკუნოვანი კულტურით, რუსეთის მოწინავე რევოლუციური მოძრაობის ტრადიციები, რასაც საფუძველი დეკაბრისტებმა ჩაუყარეს და, აგრეთვე, დასავლეთი ევროპის ბურჟუაზიული რევოლუციების, განსაკუთრებით, XVIII საუკუნის ფრანგი განმანათლებლების პოლიტიკური მოძღვრებები თავისუფლების, ადამიანთა გონების უძლეველობის, რესპუბლიკური წყობილებისა და სხვათა შესახებ.

ს. დოდაშვილის სულიერ მემკვიდრეობაზე წარმოდგენას გვაძლევს ჩვენამდე მოღწეული 1832 წლის შეთქმულების მასალები³ და საკუთრივ მისი ნაშრომები⁴, რომელთაგან ბევრი მათგანი ჯერ-

¹ გაზ. „დროება“, 1876, 7 მარტი, № 24.

² იქვე.

³ ვ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, ტფილისი, 1935; მისივე, 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, თბ., 1970.

⁴ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961; სოლომონ დოდაშვილის წერილები, 1825—1832, ს. ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით (მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. II, თბ., 1945 და ა. შ.).

ჯერობით მიუგნებელია¹. რაც შეეხება სოლომონ დოდაშვილის სოციალურ-პოლიტიკურ და სამართლებრივ შეხედულებებს, ამ მხრივ საყურადღებოა საგამომცემლო კომისიისათვის მის მიერ შემუშავებული რამდენიმე ჩვენება, რომლებიც გამოქვეყნებულია 1832 წლის შეთქმულების დოკუმენტთა კრებულებაში, აგრეთვე ს. დოდაშვილის ნაშრომებში: „ლოგია“, „ჟინერა“, „ელენა“, „ანეკდოტი ანუ ღირსსახსოვარი შემთხვეულება“, „შენიშვნა დამარხვის წესსა ზედა უკანასკნელთა მეფეთა საქართველოსათა, რომელიცა დაბეჭდილ იყო პირველსა ნომერსა შინა რუსულთა გაზეთთასა 1832-სა ამას წელსა“, წერილები ძმისა, ი. ხელაშვილისა და სხვათა მიმართ, „შესხმა წარმოთქმული ტფილისის კეთილშობილთ სასწავლებლის მოძღვრისა მიერ სოლომონ დოდაშვილისა მალაროელისა დროსა მოწაფეთა გამოცდისასა საზოგადოსა შეკრებულებასა შინა წელსა 1828 ივნისის 3-სა (6-სა) დღესა“, „სიტყვა-მოწოდება“, ლექსი „მანისი“, „მილოცვა დავით ბაგრატიძის ძეს“ და აგრეთვე ზოგიერთი სარქივო დოკუმენტი, გამოქვეყნებული მ. გოცაძის მიერ 1961 წელს დაბეჭდილ ს. დოდაშვილის წიგნში — „თხზულებანი“.

ს. დოდაშვილის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები დღემდე არ ყოფილა სპეციალური გამოკვლევის საგანი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეული ავტორის ნაშრომებს, რომლებშიც გაკვრით არის ლაპარაკი ს. დოდაშვილის პოლიტიკურ იდეალებზე².

1832 წლის შეთქმულებაში ჩაბმამდე ს. დოდაშვილის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები იმით ხასიათდება, რომ იგი, როგორც რუსეთში აღზრდილი გლეხური ჩამომავლობის ინტელიგენტი, რომელიც კარიერაზე ოცნებობს, კმაყოფილია იმ სი-

¹ მ. გოცაძე, სოლომონ დოდაშვილი, თბ., 1955. ს. დოდაშვილის ბიბლიოგრაფია, თბ., 1967; ზ. კიჭინაძე, სოლომონ დოდაშვილი, თბ., 1973; თ. კუკავაძე, სოლომონ დოდაშვილის მსოფლმხედველობა, თბილისი, 1955 და ა. შ.

² მ. გოცაძე, სოლომონ დოდაშვილი, თბ., 1955, გვ. 62—117; 3. კარბელაშვილი, სოლომონ ივანეს ძე რაზმაძე (გაზ. „დროება“, 1882, 11 დეკემბერი); ე. აბაშიძე, პოლიტიკური რომანტიზმი („მომამბე“, 1905, № 1); ა. ჭორჭაძე, თავდაზნაურული ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება მე-19 საუკუნეში („თხზულებანი“, წიგნი 2, 1911); ს. ხუნდაძე, ქართველი ინტელიგენციის პროფილი მე-19 საუკუნეში, თბ. 1927; გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება („მნათობი“, 1932, № 10); თ. კუკავაძე, სოლომონ დოდაშვილი და მისი მსოფლმხედველობა, თბ., 1955; გ. აბზიანიძე, ს. დოდაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა (ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961) და ა. შ.

კეთითა და სარგებლობით. რაც ქართველმა ხალხმა მიიღო საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. იგი საქართველოს რუსეთთან შეერთებას თვლის პროგრესულ მოვლენად, რუსეთის შეერთებამ დიდი ისტორიული წარსულის მქონე საქართველოს წინსვლის ნათელი პერსპექტივები შექმნა, ქვეყანაში მშვიდობა დამყარდა: „მტკიცე მარჯვენა მეფისა ჰზრუნავს უშიშროებისათვის ჩვენისა, ყოველივე დაბრკოლება აღხოცეს“¹. ს. დოდაშვილს ღრმად სწამს, რომ „საქართველოს რუსეთის მფარველობის გარეშე არსებობა არ შეუძლია“². მიუხედავად ამისა, რუსული მმართველობის დამყარების შედეგად გაუქმებული სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე ფიქრი მონარქიის ფორმით ს. დოდაშვილს მაინც არ ასვენებს. 1827 წელს ქართველთა მეფის გიორგი XII-ის ძის ბაგრატ ბატონიშვილის ვაყის დავითის დაბადების დღის მისალოც წერილში წერს: „მე და ყოველნი სხვანი ერნი ივერიისანი არიან ერთხმობით მღალადებელნი და იქმნებიან მთხოვნელნი, რათა ძველათ მომდინარებული მეფობა თქვენი განახლდეს თქვენ მიერ და ჰყოს კურთხეულ უკუნისამდე“³.

მაგრამ, როცა ს. დოდაშვილმა გაიგო საქართველოს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად საიდუმლო ორგანიზაციის არსებობა და მეტიც, შეთქმულების მესვეურებმა შესთავაზეს მასში მონაწილეობა, მასში მყისვე გაიღვიძა მალაშა პატრიოტულმა გრძნობამ და იგი გაბედულად მოითხოვს შეიარაღებული აჯანყების გზით გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას და „ქართველთა უფლების“ დაცვას. ს. დოდაშვილი ახლა მოითხოვს რუსეთისაგან საქართველოს საბოლოოდ ჩამოშორებას. მისი ამ პერიოდის პოლიტიკური შეხედულებები ნათლად არის გადმოცემული 1831 წელს მის მიერ დაწერილ „სიტყვა-მოწოდებასა“ და ლექსში — „მაისი“. დოდაშვილი აღნიშნავს, რომ „ქვეყნის დაარსებითან მამულსა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თვისნი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა და თვისი ჩვეულება. ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თვისი ხელმწიფე და არაოდეს არ იყო მოკიდებული სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწ არს მამული ესე ჩვენი“⁴. წინათ დამოუკიდებელი საქართველო წარმატებით ივერიებდა მტრების შემოსევას, ხოლო „აწ ხედავთა დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა? ჰგრძნობ-

¹ ს. დოდაშვილი. თხზულებანი, თბ., 1961, გვ. 217.

² „მნათობი“, 1955, № 5, გვ. 136.

³ ს. დოდაშვილი. თხზულებანი, თბ., 1961, გვ. 229.

⁴ იქვე, გვ. 228.

და შეიწროებასა ყოვლისა კაცისასა“¹ და სვამს კითხვას: „რა სათვის არს ესე ესრეთ?“ თუ ჩვენ აღარა გვაქვს ჩვენი სახელოვანი წინაპრების მხნეობა და ძალ-ღონე, „მაშა რა მათთვის ვცხვენ ვართ?“² ლექსში — „მაისი“ ს. დოდაშვილი განსაზღვრავს ველოს დამოუკიდებლობის გზებს და მოუწოდებს „ქართველთ უფლებების“ აღსადგენად შეიარაღებული აჯანყებისაკენ: „აღვებყრათ ხელთა მახვილი, მივცეთ მტერთა შიში ძრიელი, შემოვიკრიბოთ გულით მხურველნი, ვეცეთ, ვეძგერნეთ გაგულებულნი, განვდევნოთ სოფლით ძალით მოსრულნი, ჩვენ მამულისა მათხრებელნი, წარვიდნენ აქით, არ იყვნენ აქა. ქართველნო, ხართ სადმე თუ არა? არვინ არ იცის! მოივეთ გონება!“³


მაგრამ ს. დოდაშვილს, როგორც რეალისტ მოაზროვნეს, მხედველობის გარეშე არ დარჩენია ის, რომ 1832 წლის შეთქმულთა შორის თუ აზრთა ერთიანობა არსებობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ამოცანებისა და მიზნების გაგებაში, სოციალურ საკითხში მათი შეხედულებები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ამდენად ს. დოდაშვილის შემდეგი პერიოდის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებების ჩამოყალიბება განსაზღვრა არა მარტო საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის ინტერესებმა, არამედ სოციალური ურთიერთობის პრობლემებმაც, კერძოდ, განთავისუფლებული საქართველოს მომავალ სახელმწიფო ხელისუფლებაში რანაირად იქნება წარმოდგენილი წოდებათა კლასობრივი ინტერესები. ს. დოდაშვილი მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ მოაზროვნეთაგან ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა დაუკავშირა სოციალურ, კლასობრივ ურთიერთობას, რამაც გაამდიდრა და სრულყო მისი პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი. ს. დოდაშვილი იქიდან ამოდის, რომ „არა გუარითა იქნების კაცი, არამედ გონებითად მოქმედებათა ხელოვნად“³, ამიტომ, ს. დოდაშვილის აზრით, მაღალი იდეალებითა და სათვის ბრძოლაში მნიშვნელობა არა აქვს მის მონაწილეთა გაროვნულ წარმომავლობას, არამედ დასახული მიზნის მიღწევისათვის ბრძოლაში გადამწყვეტია ის, თუ რამდენადაა დაუფლებულნი ისინი ცოდნას, რადგანაც „განათლება არს უუმტკიცესი და უუსა-

¹ სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961, გვ. 229.

² იქვე.

³ ა. გაწერელია, სოლომონ დოდაშვილი, „მნათობი“, 1955, № 5, გვ. 128.

იმედოესი საფუძველი კეთილმდგომარეობისა ყოვლისა საზოგადოებისა“¹.



ს. დოდაშვილს 1832 წლის შეთქმულების მიზანი ხალხის საერთო მიზნად მიაჩნია, მას სწამს, რომ ეროვნული სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ დამყარებული რუსული მმართველობა უფრო მეტად უცხოა მშრომელი ქართველი ხალხისათვის, ვიდრე თავადაზნაურობისათვის, ამიტომაც იგი კიდევ ცდილობს გლეხობის ფართო მასების ჩაბმას 1832 წლის შეთქმულებაში, მაგრამ ამასთან ერთად მას აშინებს შეთქმულების მონაწილე თავადაზნაურობის ხელისუფლებისმოყვარეობა, რომ თავადაზნაურობა გამოიყენებს მშრომელი ხალხის ფართო მასებს აჯანყებაში, მაგრამ აჯანყების შედეგებით თავადაზნაურული არისტოკრატია ისარგებლებს, კერძოდ, სახელმწიფო ხელისუფლებას იგი განუყოფლად დაეუფლება.

ცნობილია, რომ თავადაზნაურობის ზედაფენის ერთი ნაწილი ეჭვის თვალით უყურებდა შეთქმულებაში ს. დოდაშვილის მონაწილეობას, რადგან იგი დაბალი სოციალური წარმოშობისა იყო და მისი მისამართით კიდევაც უთქვამთ: როგორ ენდეთ ს. დოდაშვილს, ამ „უგვარკოდოსაო“². ამიტომ იგი საგამომძიებლო კომისიას აძლევს ჩვენებას, რომ თუ 1832 წლის შეთქმულება გაიმარჯვებს და რუსები აღარ იქნებიან საქართველოში, „მაშინ თავადები იტყვიან: მე ერისთავი ვარ, მე ორბელიანოვი ვარ და თქვენ კი ვინა ხართ“³.

სოციალური საკითხის დაკავშირებამ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლასთან გამოიწვია ს. დოდაშვილის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებების გადასინჯვა. ახლა იგი იცავს რუსეთის მფარველობაში საქართველოს არსებობას, ცხარე კამათი აქვს ამის თაობაზე შეთქმულების მონაწილე თავადაზნაურულ ზედაფენასთან. ს. დოდაშვილი საგამომძიებლო კომისიას აძლევს შემდეგ ჩვენებას: „დიახ, ვუთხარი ელ. ერისთავს, რომ ერისთავებს როგორ არ გრცხვენიათ იმაზე ფიქრის, რომ რუსები აქედან გააძევოთ, ან რაზე უჩივით მაგათ, როდესაც ყველაფრის მიზეზი თქვენა ხართ, თავადების სურვილით მოვიდნენ ეგენი აქ და ეხლა აღარ

¹ ს. ლომონ დოდაშვილი, თხულებანი, გვ. 217.

² მ. გოცაძე, სოლომონ დოდაშვილი, თბ., 1955, გვ. 75—76.

³ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. 11, თბ., 1970, გვ. 82.

ზნებავთ-მეთქი. მან მიპასუხა: ჩვენ მოვიყვანეთ ეგენი და ჩვენვე მოვახერხებთ, რომ ეგენი აქ აღარ იყვნენო“¹.

ცნობილია, რომ ს. დოდაშვილი 1832 წლის შეთქმულების შესახებ ბოლოოდ ჩამოშორდა², ამის მიზეზი იყო თავადაზნაურთა უფუნასთან მისი იდეური უთანხმოება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა და ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური მოწყობის საკითხებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ს. დოდაშვილი რუსეთისაგან საქართველოს ჩამოშორებას შეუძლებლად მიიჩნევდა და, ცხადია, წარმოუდგენლად ეჩვენებოდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შექმნა. იგი ამის შესახებ საგამომძიებლო კომისიას შემდეგ ჩვენებას აძლევს: „ერთხელ ოქროპირ ბატონიშვილისაგან ტფილისში გავიგონე, შეიძლება საქართველო ოდესმე ცალკე სახელმწიფო გახდესო, მაგრამ მე არასოდეს არ მიფიქრია. გახდება თუ არა ცალკე სახელმწიფოდ, არასოდეს არ წარმომედგინა“³.

მაგრამ ს. დოდაშვილი, როგორც 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, იცავდა რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ურთიერთობის შენარჩუნებას და დიდი ინტერესით ამუშავებს 1832 წლის შეთქმულების გამარჯვების შემთხვევაში ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური მოწყობის ყველაზე მისაღებ გეგმას, რომელიც მან დაუპირისპირა შეთქმულების მონაწილე თავადაზნაურთა ზედაფენის შეხედულებებს. შეთქმულების მონაწილე თავადაზნაურობის იმ ნაწილის მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ, რომელიც ოცნებობდა საქართველოს რუსეთისაგან ჩამოშორებაზე და მონარქიის აღდგენაზე, ს. დოდაშვილს განსხვავებული პოლიტიკური პროგრამა ჰქონდა, მისი აზრით, საქართველო თუ რუსეთს ჩამოშორდება, გაბატონებული თავადაზნაურობა განუყოფლად დაეუფლება სახელმწიფოს, და, რა თქმა უნდა, მონარქიულ წყობილებას დაამყარებს. მომავალი საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში უნდა მონაწილეობდეს არა მხოლოდ თავადაზნაურობა, არამედ მთელი ხალხი. ამიტომ ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური მოწყობის ყველაზე მიზანშეწონილ ფორმას რესპუბლიკა წარმოადგენს, მაგრამ ეს რესპუბლიკა უნდა ჩამოყალიბდეს რუსეთის სახელმწიფოში, რომელიც არ მისცემს თავად-

¹ გ. გოხალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, ტფ., 1935, გვ. 219.

² მ. გოცაძე, სოლომონ დოდაშვილი, თბ., 1955, გვ. 112.

³ გ. გოხალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, თბ., 1970, გვ. 81.

აზნაურობას იმის უფლებას, რომ საქართველოში მონარქია აღადგინოს. ს. დოდაშვილი მის მიერ შემუშავებული ამ პოლიტიკური პროგრამის ფართო პროპაგანდას ეწევა.

ვახტანგ ორბელიანი საგამომცემლო კომისიას აძლევს შემდეგ ჩვენებას: „1832 წელს დოდაშვილისაგან გავიგონე შემდეგი სიტყვები: როდესაც ტფილისიდან ოქროპირ ბატონიშვილს ვაცილებდი, იმან მითხრა, დიახ, ბატონო ქართველებო, ეცადეთ საქართველოს განთავისუფლებასო. თუმცა მე საქართველოს განთავისუფლება იმითომ კი არ მინდა, რომ ბაგრატიონთა გვარიდან ვინმე გამეფდეს, არამედ, რომ საქართველო შეიქმნას რესპუბლიკის მაგვარ სახელმწიფოდო“¹.

ს. დოდაშვილის პოლიტიკური პროგრამა, კერძოდ, საქართველოს რუსეთის სახელმწიფოში დარჩენა და ეროვნული, ქართული სახელმწიფოებრიობის მოწყობა რესპუბლიკურ პრინციპებზე, უფრო ნათლად ჩამოყალიბებულია მ. გოცაძის მიერ მიგნებულ ჩვენებაში: «А. Орбелианову я говорил... следующее: царствовать в Грузии, хотя и само русское правительство захотело, ни один царевич не может, и Грузия без покровительства России существовать не может... если князья желаете облегчения от притеснения и хотите иметь царевича, то можете представить жалобу государю-императору и просить одного из царевичей не царствовать, а присутствовать и входить в дела Грузии по гражданской части, кажется, в заключение сказал: тогда бы вышло республиканское правление»².

ამრიგად, მომავალი საქართველოს რესპუბლიკური წყობილება ს. დოდაშვილს ასე წარმოუდგენია: საქართველო რჩება რუსეთის სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად, რადგან მას ურუსეთოდ არსებობა არ შეუძლია, მაგრამ საქართველოში არ იქნება მონარქიული წყობილება, არ იქნება მეფე. თუ თავადაზნაურობას სურს რუსეთის სახელმწიფოს შევიწროებისაგან მდგომარეობის შემსუბუქება, მას შეუძლია რუსეთის ხელმწიფეს მიმართოს საჩივრით და სთხოვოს— რომელიმე ბატონიშვილი კი არ მეფობდეს, არამედ გახდეს რესპუბლიკურ საქართველოში მაღალი თანამდებობის პირი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სამოქალაქო მმართველობის განხორციელებაში. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით ს. დოდაშვილის მიერ

¹ მ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, ტფ., 1935, 83-92.

² „მნათობი“ 1955, № 5, გვ. 136 გ. აბზიანიძე, გამოჩენილი ქართველი მოაზროვნე, წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ ეს საბუთი მას გადასცა მიხეილ გოცაძემ.

შედგენილი რესპუბლიკური წყობილების პროექტში რომელსაც
განობებს უნდა განეხორციელებინა საკანონმდებლო, აღმასრულებ-
ბელი და სასამართლო ხელისუფლებები. ვიცით მხოლოდ, რომ
რესპუბლიკური წყობილება ქვემარტად ხალხური ბუნებისაა და
ყოფილიყო და ხელისუფლება უნდა განეხორციელებინა ხალხის
წრიდან არჩეულ თანამდებობის პირებს, განურჩევლად მათი წო-
დებრივი წარმომავლობისა. ს. დოდაშვილს საგამომძიებლო კომი-
სიისათვის შემდეგი ჩვენება მიუცია: „სასამართლოებში უნდა იყოს
არჩეული ადამიანები, რომლებიც ზედმიწევნით იცნობენ ხალხს,
რასაკვირველია, ისინი უნდა იყვნენ მიუდგომელნი და კეთილნი“¹.

მონარქიის სიძულვილი და რესპუბლიკური იდეები შეთქმულე-
ბის ბოლო წლებამდე განსაზღვრავდა ს. დოდაშვილის მსოფლმხედ-
ველობას. ანტიმონარქისტული იდეები უდევს საფუძვლად მის მიერ
1832 წელს გამოქვეყნებულ მოთხრობას: „ანეკდოტი ანუ ღირს-
სახსოვარი შემთხვეულება“. მოთხრობის სიუჟეტი მარტივია: ერთ
მეფეს ჰყავდა ვეზირი, რომელიც დღე და ღამე ერთგულად ემსახუ-
რებოდა მას. მაგრამ ვეზირმა გადაწყვიტა, თავი დაანებოს მეფის
სამსახურს და თუ აუცილებელია ვინმესადმი სამსახური, ამ შემ-
თხვევაში უმჯობესია ღმერთს ემსახუროს. მის მიერ მიღებული გა-
დაწყვეტილების სისწორეში დარწმუნებული ვეზირი მეფეს უპა-
სუხვებს: „მე დაგიტყვე შენ ამისათვის, რომელ შევნიშნე ხუთი
ჩვეულება შენი, რომელთაცა აწარმოვეს ჩემ შორის სიძულვილი
შენი, ამის გამო თავს ვიდე, რათა შევეუდგე სამსახურსა ღვთისასა
და ვეძიო ერთი ნება მისი“². ვეზირი შემდეგნაირად აყალიბებს ამ
ხუთ გარემოებას, რამაც აიძულა იგი, მიეტოვებინა მეფის სამსახუ-
რი: პირველი, მეფე სულ მოსვენებული იყო, ვეზირი კი მუდამ
ფეხზე მდგარი ემსახურებოდა, მეფე არასოდეს აღირსებდა დაჯ-
დომას, ღმერთი კი ყოველთვის აძლევს დასვენების ნებას; მეორე,
როცა მეფეს ეძინა, ვეზირს ევალებოდა მისი დაცვა და გაფრთხილე-
ბა, ღმერთი კი პირიქით, — ყოველთვის ფხიზლობს, და მეტიც,
იცავს, უფრთხილდება ვეზირს: მესამე, როცა მეფე სადილობდა,
ვეზირისთვის არაფერს იმეტებდა, ახლა, როცა ვეზირი ემსახურება
ღმერთს, მისგან იგი არათუ არ მოითხოვს საჭმელ-სასმელს, პირ-
იქით, ღმერთი ზრუნავს ვეზირის გამოკვებისათვის; მეოთხე, მეფის
სამსახურში ყოფნისას ვეზირი სულ შიშში იყო, რადგან არ იცო-

¹ გ. ვოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, თბ., 1970, გვ. 178.

² ს. დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 193.

და, რა მოელოდა მეფის სიკვდილის შემდეგ, ახლა, ღმერთს ემსახურება, მას არაფრის ეშინია, რადგან ღმერთი უკვდავია. მეფის სამსახურში ყოფნისას ვეზირი სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ შეცდომისათვის არ დაესაჯა მეფეს, ახლა, როცა ღმერთს ემსახურება, დარწმუნებულია, ათასჯერ რომ შეცდეს და თუნდაც ერთხელ სთხოვოს პატიება, „ღმერთი ჭეშმარიტად ყოველთა ცოდვათა მოგვიტყევებს“.

ანტიმონარქისტული იდეებია აგრეთვე ჩამოყალიბებული ს. დოდაშვილის მოთხოვნებში: „პარუნ-ალ-რაშიდი და მოხუცი“ და „სამი ინდის ხურმა“.

ს. დოდაშვილის პოლიტიკური იდეალის განხორციელება, კერძოდ, რუსეთის იმპერიის ფარგლებში ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა რესპუბლიკის ფორმით, მოითხოვდა მრავალი სამართლებრივი საკითხის გადაჭრას, პირველ ყოვლისა იმის გარკვევას, თუ რა პრინციპების მიხედვით უნდა მოხდეს რესპუბლიკური საქართველოს ტერიტორიაზე რუსული კანონმდებლობისა და ქართული ეროვნული ჩვეულებებით სამართლის მიხედვით საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირება, მათი მოქმედების საზღვრების გამიჯვნა და ა. შ.

ს. დოდაშვილი დარწმუნებულია, რომ სამართალს, როგორც არ უნდა იყოს იგი, დიდი სარგებლობა მოაქვს ადამიანებისათვის. კანონი არეგულირებს რა ადამიანთა ურთიერთობებს, გარკვეული წესრიგი შეაქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ სამართლის სუბიექტები უნდა იცნობდნენ სამართლის შინაარსს, მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებებსა და მოვალეობებს. განსაკუთრებით ეს ითქმის ისეთ ქვეყანაზე, როგორც საქართველოა, რომლის ტერიტორიაზე ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა და რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ რუსეთის კანონები მოქმედებს. მაგრამ ქართველი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა რუსული ენის უცოდინარობის გამო არ იცნობს რუსულ კანონმდებლობას, რუსული კანონებით დადგენილ მოქალაქეთა უფლებამოვალეობებს. რადგანაც კანონის უცოდინარობა არ ათავისუფლებს პირს პასუხისმგებლობისაგან, ს. დოდაშვილი დიდი მონდომებითა და ყურადღებით შეუდგა რუსული კანონმდებლობის ქართულად თარგმნას. 1829 წლის 29 დეკემბერს იგი ი. ხელაშვილს სწერს: „ვკსთარგმნე, რწმუნებისამებრ მთავრობისა, სჯული ვალდებულებანი სასამართლოებისანი“¹ მართალია, ს. დოდაშვილს რუ-

¹ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 300.

სული კანონების თარგმნა ქართულად მთავრობის დავალებით და-
უწყია, მაგრამ რუსული კანონმდებლობის მოთხოვნების ქართველ-
ხალხისათვის ფართოდ გაცნობის მიზნით, ამ საქმეს იგი დიდ-
ლისით შესდგომია. ამის შესახებ ს. დოდაშვილი საგამომცემლო
კომისიას აძლევს ჩვენებას, რომ 1830 წლის ბოლოს თუ 1831 წლის
დამდეგს მას ესტუმრენ ალ. ორბელიანი და ელ. ერისთავი, რომ-
ლებიც დაინტერესდნენ მისი საქმიანობით, ს. დოდაშვილს კი მათ-
თვის უთქვამს, რომ „კანონებსა ვთარგმნი, რაც ჩვენი ქვეყნისათ-
ვის დიდად სასარგებლოა და მთავრობასაც სურს ქართველებმა თა-
ვიანთი ვალდებულებანი იცოდნენ მეთქი“¹.

აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ რუსული კანონების
თარგმნა მარტო იმიტომ კი არ იყო აუცილებელი, ქართველ ხალხს
სცოდნოდა მეფის რუსეთის კანონთა მოთხოვნები, ს. დოდაშვილი
იმასაც ცდილობდა, ყველასათვის დაენახებინა ის დიდი წინააღმ-
დეგობა, რომელიც არსებობდა, ერთი მხრივ, საუკუნეების განმავ-
ლობაში ჩამოყალიბებულ ქართულ სამართალს და მის ერთ-ერთ
უმთავრეს იურიდიულ წყაროს, ეროვნულ ზნე-ჩვეულებებსა და,
მეორე მხრივ, მეფის თვითმპყრობელობის კანონმდებლობას შორის.
ამ წინააღმდეგობის შესახებ ჯერ კიდევ ციციანოვი ატყობინებდა
რუსეთის მთავრობას — რუსული მმართველობა და რუსული კა-
ნონები საქართველოში იწვევს საერთო დრტვინვას, საჩივრებს,
უქმყოფილებას, მთავრობისადმი გაბოროტებასა და მიუღებელი
აზრების გავრცელებასო².

ამ მიზნით ს. დოდაშვილი დაინტერესდა ქართული, ეროვნული
ზნე-ჩვეულებების შეკრებით და მათი გამოქვეყნებით. 1829 წლის
26 დეკემბერს ს. დოდაშვილი თავისი შემოქმედებითი საქმიანო-
ბის შესახებ ანგარიშს აბარებს ი. ხელაშვილს და წერს: „შევადგი-
ნე სხვადასხვანი ზნეობითნი ნაწყვეტობანი (ოტრიეკი), შესხმანი,
ავთრათნი და სხვანი“³. ეს მუშაობა არ შეუწყვეტია ს. დოდა-
შვილს მაშინაც კი, როცა შეთქმულების ამბებით იყო დაკავებუ-
ლი. 1831 წლის 19 ივნისს იგი კვლავ სწერს ი. ხელაშვილს: „ორი
კვირა მგზავრათ გახლდი გორს და დუშეთს, ამასთან მთიულეთს,
სადაც ვიხილე მთიელნი, ვსცან თვისება მათი ზნე და მდგომარეობა
და აღვწერე გაზეთებისათვის“⁴.

¹ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, თბ., 1970, გვ. 79.

² АКАК, II, V, გვ. 8—9.

³ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 301.

⁴ იქვე, გვ. 309.



რუსული კანონებისა და ქართული, ეროვნული ზნე-ჩვეულებების შედარებითი ანალიზის შედეგად, ს. დოდაშვილი მივიჩნევს, რომ მათ შორის დიდი წინააღმდეგობაა—^{რუსულ კანონებში} ნონმდებლობა უცხოა ქართველი ხალხისათვის, რომელიც აღზრდილია მრავალსაუკუნოვან ეროვნულ ზნე-ჩვეულებებზე. საგამომძიებლო კომისიისათვის მიცემულ ჩვენებაში ს. დოდაშვილი მიუთითებს, რომ რუსი მოხელეები საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას ხელმძღვანელობენ რუსული კანონებით და ადგილობრივი მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებს, რომელთაც ისინი არ იცნობენ, მხედველობაში არ ღებულობენ. სამართლის შეფარდება შეუძლებელია მისი ახსნა-განმარტების გარეშე, მაგრამ რუსი მოხელეები კანონებს უკუღმართად მარტავენ, დაწესებულებებში გაბატონებულია ბიუროკრატიზმი და მექრთამეობა: „1. სახელმწიფო დაწესებულებებში საქმეებს ძალიან ნელა არჩევენ, არ უყურებენ ხალხის ხასიათსა და ადათს, ზნე-ჩვეულებებს, კანონებს უკუღმართად მარტავენ და საქმეები უსამართლოდ წყდება; 2. ამ დაწესებულებებში საქმეები წყდება მხოლოდ ქალაღღზე და ამას საქმის გადაწყვეტას ეძახიან, მაგრამ იშვიათად თუ ვინმე კმაყოფილი დარჩეს; 3. წუთიერი და უმნიშვნელო საქმის დაწერაც საღერბო ქალაღღზეა ნაბრძანები; 4. საქმე, რომელიც შეიძლება სიტყვიერად გადაწყდეს და ძალიან სწრაფადაც, ნაბრძანებია, მაინც სასამართლოში შეიტანონ, სადაც დიდხანს ჭიანურდება; 5. მომჩივანთაგან როგორც მართალი, ისე მტყუანი მხარე ხარჯავს გაცილებით იმაზე მეტს, რაც საქმე უღირს, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ საქმეს არავინ მოისმენს და არ გაარჩევს; 6. ძალიან პატიოსანი და ყველასაგან პატივცემული კაცი ხშირად ისჯება, თუ როგორმე მოუხნა დანაშაულის ჩადენა. ეს კი ძალიან ხშირად ხდება გულუბრყვილობით, კანონების უცოდინარობით და ქართველის კაცის მხიარული ბუნებით, რომელსაც უყვარს თავისუფლად ლაპარაკი, რითაც შეიძლება არავის ზიანს არ აყენებს, მაგრამ კანონით ეს აკრძალულია და დანაშაულად ითვლება, რასაც სასჯელი მოსდევს; უკეთუ შეწყალება მიიღო, საზოგადოების მიერ მისი არჩევა აკრძალულია. აი რა არის მთავარი საჩივარი, ხშირად უდანაშაულოდაც ისჯება კაცი“¹.

ს. დოდაშვილი აკრიტიკებდა რუსულ კანონმდებლობას და რუსულ მმართველობას და, ამავე დროს, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ქართული ზნე-ჩვეულებებით დადგენილ ჰუ-

¹ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 177—178.

მანურ ქცევის წესებს გაბედულად იცავდა გამყალბებლებისაგან. 1832 წელს გაზეთ „ტიფლისსკიე ვედომოსტში“ გამოქვეყნდა გრ. გორდევის წერილი — „უკანასკნელ ქართველ მეფეთა დამახინჯების წესები“, რომელშიც, როგორც ს. დოდაშვილი წერს, უხეშადაა დამახინჯებული ქართული წეს-ჩვეულებანი: „უფალი ღარდევნი, არა მცოდნე ქართულისა ენისა და არცა ზნეობათა და ყოფაქცევათა საქართველოს ერთასა, ჰსწერს მრავალსა ტყუილსა და გამოჩენილსა სიცრუესა, ხოლო მკითხველნი ჰგონებენ ყოველსა მას ჭეშმარიტად“¹.

ჩვენ აქ უადგილობის გამო ვერ შევიჩერდებით შეცდომებზე, რომლებიც დაშვებულია გრ. გორდევის წერილში, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ს. დოდაშვილის მიერ ქართული კულტურის გამყალბებლებისაგან დაცვამ ხელი შეუწყო ქართველთა შორის პატრიოტიზმისა და ეროვნული თვითმყოფობის ამაღლებას.

სისხლის სამართლის, საოჯახო-საქორწინო სამართლის, სისხლის სამართლის პროცესის და სხვათა შესახებ ს. დოდაშვილის შეხედულებებზე წარმოდგენას გვაძლევს მისი მოთხრობები, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ელენა“. მისი სიუჟეტი ასეთია: ახალგაზრდა ქალ-ვაჟს — ამირანსა და ელენას ერთმანეთი შეუყვარდებათ, მაგრამ ომანი — ქალის მამა წინააღმდეგია მათი ქორწინებისა, რადგან ამირანი დაბალი სოციალური წარმოშობისაა. ელენა მამის ოჯახიდან მიდის და ქალ-ვაჟი ეკლესიაში ჩუმად შეერთდებიან „კავშირითა ქორწინებისათა“. ომანმა, როცა გაიგო ქალიშვილის სახლიდან გაპარვის ამბავი, „გაგზავნა კაცი“ და ელენა „მოაქციეს მშობლის სახლად“. ამის შემდეგ ელენა მამის ნებართვით გადადის თავისი დედის მეგობარი ქალის ოჯახში, სადაც ჩუმად ამირანთან ერთად ზრდის ვაჟიშვილს; მამამისი როცა სიმართლეს გაიგებს, მოვარდება გაავებული. ელენას მოეჩვენება, რომ ამირანი უკვე მოკლეს, ცდილობს ფანჯრიდან გადახტეს, ჯერ შვილს აგდებს, თავად კი გულწასულს მოუსწრებს მამა.

შვილის მკვლელი ელენა სასამართლოს გადაწყვეტილებით სიკვდილით დასაჯეს.

მხატვრული ნაწარმოების ფორმით გადმოცემული ეს იურიდიული კაზუსი ყურადღებას იპყრობს მისი ავტორის ღრმა იურიდიული განათლებით, კერძოდ, ნაწარმოებში ავტორს გამოყენებული და დამუშავებული აქვს ქართული იურიდიული ტერმინები და ცნებები (გარდახდომა, ბრალეულებოფა, ჭეშმარიტების ცხადყოფა,

¹ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 213.

გამამართლებელი გარემოებანი კანონისა და საზოგადოების წინაშე, განჩინება, განჩინებულყოფა, ნებით გარდამხდომელი მდევობა ფორმალურ, პოზიტიურ სამართალსა და ჯანსაღი დოგმობრივ აზრს შორის და ა. შ.), რომელთაგან ბევრი ორიგინალურია. მოთხრობის მხატვრული დონის ანალიზი არაა ჩვენი საგანი, მაგრამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენამდე მოღწეული ს. დოდაშვილის მემკვიდრეობიდან მოთხრობაში — „ელენა“ ყველაზე სრულად ჩანს ავტორის შეხედულებანი სამართლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეალიზაციაზე, პოზიტიურ (ფორმალურ) სამართალსა და საზოგადოებრივ აზრს შორის არსებულ წინააღმდეგობაზე, დანაშაულისა და სასჯელის თანაბარზომიერებაზე, დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებებზე, მტკიცებულებებზე, საოჯახო-საქორწინო სამართალზე და სხვ.

ს. დოდაშვილის აზრით, კანონი, როგორც წესი, ფორმალურის თვალსაზრისით განუხრელად უნდა განხორციელდეს. შვილის მკვლელმა ელენამ აღიარა თავისი დანაშაული სასამართლოს წინაშე და თვითონ მოითხოვა დასჯა: „აჰა, ყრმა ესე არს შვილი ჩემი, მე ვარ მკვლელი მისი; მე ვარ, მსაჯულნო! აღასრულეთ თანამდებობა თქვენი: დამსაჯეთ მე ამისთვის... შურ აგეთ ღედასა“. მაგრამ, ს. დოდაშვილის აზრით, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რამაც აიძულა ელენა, ეს მოქმედება ჩაედინა, იგი უნდა გამართლდეს. სასამართლოსათვის ელენას ჩვენებების შეფასებისას, ს. დოდაშვილი შენიშნავს, რომ ელენა მსაჯულებს მოუთხორობს მხოლოდ „ბრალსა თავისსა თავისასა და ჰფარავს გარემოებათა, განმალვიძებელთა ქმნად გარდახდომილებისა, რომელნიცა განამართლებდნენ მას“. ეს გარემოებებია: პირველი, მას არ შეეძლო მოეკლა საყვარელი ქმრისაგან შეძენილი შვილი, რომელიც თავდავიწყებით უყვარდა ელენას; მეორე, შვილის ფანჯრიდან გადაგდების წინ ელენა იყო აფექტის მდგომარეობაში, რაც გამოიწვია მამის უეცარი მოსვლის მოლოდინმა, რომელსაც თან დაერთო შემადრწუნებელი ყვირილი და თოფის ხმა, ელენამ კი წარმოიდგინა, რომ განრისხებულმა მამამ მოკლა მისი ქმარი და მოკლავს თავის ქალიშვილს და შვილიშვილსაც. ამ მძიმე მდგომარეობაში ჩადენილი მოქმედება, ფორმალური სამართლით დანაშაულია, თუ მას დანაშაული ეწოდება, ამიტომ სასამართლო მოქმედებდა პოზიტიური სამართლის მიერ დადგენილი წესების მიხედვით. ს. დოდაშვილი წერს: „ამას შორის სათნობასა ზედა, ბრალეულსა ზედა, გარდახდომასა შინა, უკეთუ ესე იწოდების გარდახდომად, სამართალი იწარმოებდა თვისითა წესითა“.

სასამართლომ კანონის მხოლოდ სიტყვასიტყვითი გაგებით უფარდა სამართალი მოცემულ კონკრეტულ შემთხვევას, მოსამართლეებმა კანონის ასო-ანბანური განმარტების მიხედვით განსაზღვრეს ელენას მიერ ჩადენილი მოქმედების იურიდიულ კვალი. ელენას კაცია, თუმცა, შენიშნავს ს. დოდაშვილი, „მათ ძალედვით, რათა ეპოვათ საქმესა ამასა შინა გარემოებანი, რომელნიცა განამართლებდნენ ელენასა წინაშე კაცთა, გარნა არა ძალედვით განმართლება წინაშე სჯულისა“. სასამართლომ იხელმძღვანელა კანონის ფორმალური მოთხოვნებით და ელენას, ვითარცა „ნებით გარდამხდომელს“ (დანაშაულის განზრახვით ჩამდენს) სიკვდილით დასჯა შეუფარდა.

ს. დოდაშვილმა მხატვრულ ნაწარმოებში დასვა სახელმწიფოს არსებობის ყველა ეპოქის სამართლის ფილოსოფიის ურთულესი საკითხი, კერძოდ, კანონის მოთხოვნებსა და საზოგადოებრივ აზრს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეს სამართლის ნორმის შემფარდებელი მოსამართლე.

ს. დოდაშვილი ზემოაღნიშნულ კონკრეტულ სასამართლო საქმეზე შენიშნავს, რომ სასამართლოს მიერ სამართლის ნორმის ასო-ანბანურად შეფარდებისა და ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის გაუთვალისწინებლობის გამო, საზოგადოება უკმაყოფილო დარჩა: „ერი აყვედრიდა მსაჯულთა, რომელთაცა განჩინებულ-ჰყვეს სიკვდილი უბრალოდ მის, რომელიცა ღირსი იყო უმეტეს სხვათა მიღებად ბედნიერებისა; იგი ჰდრტვინვიდა შეუწყალებელსა სჯულსა ზედა რომლისა გამოცა ელენა მიეცა საუბედუროსა მსხვერპლსა წარწყმედისა, ნაცვლად დასჯისა ერთთა მხოლოდ ავაზაკთა და სულის მსრველთა, მსხვერპლისა, სული რომლისაცა თვით გარდახდომასა შინა დაშთა უბიწოდ და რომელიცა შეიქმნა ბრალეულად მხოლოდ განსჯის დაკარგვისასა; რომელმანცა თვით თავსა თვისსა დასდვა ბრალი და რომლისთვისაცა უნებლიეთი გარდასულა ეს იყო ათასჯერ უფრო შესაძრწუნებელ, ვიდრეა სიკვდილი, რომელიცა მოელოდა მას, ამაონი სარჩიელნი... უსარგებლონი გლოვანი... წამი სამსჯავრო მოახლოვდა: ერთს წამს თავი ელენასი მოჰშორდა შევნიერსა სხეულსა მისსა — მან მიიღო სასჯელი, ვითარცა ნებითგან გარდამხდომელმან, ვითარცა საზარელმა გარდამხდომელმან“.

ს. დოდაშვილის მსჯელობაში მოცემულია პასუხი მის მიერ სამართლის ფილოსოფიის ზემოთ დასმულ რთულ კითხვაზე, კერძოდ, იმაზე, თუ როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო, როცა არსებობს წინააღმდეგობა ფორმალური (პოზიტიური) სამართლის მო-

თხოვნებსა და ჯანსაღ საზოგადოებრივ აზრს შორის. ს. დოდაშვილის აზრით, კანონის სწორი შეფარდებისათვის მოსამართლენი მხოლოდ იქიდან უნდა გამოდიოდნენ, რომ სამართალი მსხვერპლს ხავს დასჯას „ერთთა მხოლოდ ავაზაკთა და სულის მსხვერპლთა“ და მთელი სისასტიკით უნდა სჯიდნენ „ნებით გარდამხდომელთ“ (განზრახ დანაშაულის ჩამდენ პირებს), რადგანაც იგი არის „საზარელი“ ბოროტმოქმედება. კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლეები, რომლებიც აღმოჩნდნენ კანონის ფორმალური მოთხოვნის ტყვეობაში, უნდა ყოფილიყვნენ ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრით „შეწყალებული სჯულის“ მხარეზე, მაგრამ, სამწუხაროდ, მსაჯულები იდგნენ „შეთუწყნარებელსა სჯულსა ზედა, რომლისა გამოცა ელენა მიეცა საუბედუროსა მსხვერპლსა წარწყმედისასა, ნაცვლად დასჯისა ერთთა მხოლოდ ავაზაკთა და სულის მსხვერპლთა“. სწორედ ამის გამო ს. დოდაშვილი ელენას უწოდებს „უბრალოდ ბრალეულს“. ს. დოდაშვილის ამ მოსაზრებას უფრო ნათლად გამოხატავს ელენა სიკვდილის წინ წარმოთქმულ სიტყვაში: „ნუ ჰსტირთ სიკვდილსა ჩემსა. სიცოცხლე იყო უფრო ღირსი მწუხარებისა, ბრალეული ქვეყანასა ზედა, წარვდგები უბრალოდ ცათა შინა, სადაცა ვჰპოებ განსვენებასა და მივიღებ წიაღთა შინა შემოქმედისა ჩემისათა მშვიდობასა. რომელიცა ვერ ვიხილე კაცთა შინა“.

ს. დოდაშვილის ამ ნაწარმოებში სხვა სამართლებრივ მოვლენათა შორის დიდი ადგილი ეთმობა საოჯახო-საქორწინო სამართალს, რომლის ნორმები მიზნად ისახავს საზოგადოებაში ადამიანთა ბედნიერ ცხოვრებას. ს. დოდაშვილის აზრით, საქორწინო ურთიერთობის მტკიცე საფუძველია ურთიერთპატივისცემა და სიყვარული, ამ ურთიერთობის სუბიექტთა სოციალური მდგომარეობის განურჩევლად. საქორწინო ურთიერთობის მონაწილეთა სოციალური წარმოშობის მიხედვით ქორწინების საკითხის მშობელთა მიერ გადაწყვეტას და ოჯახის მტკიცე საფუძვლის — სიყვარულის უფლებელყოფას ოჯახების ტრადედია მოსდევს. ნაწარმოების მთავარ გმირებს — ელენასა და ამირანს უყვართ ერთმანეთი, რაც მათი მომავალი ოჯახის ბედნიერების საფუძველი უნდა გახდეს, მაგრამ ელენას მამა ომანი ქორწინების წინააღმდეგია, მან „უარყო წინადადება ამირანისა, ვინაჲდგან ხარისხსა ღირსებისა თვისისასა განავრცელებდა ფრიად შორს და პრაცხდა უმაღლესად! ქალსაცა თვისსა აღუკრძალა, რათა არაოდეს იხილოს საყვარელი თვისი“.


ს. დოდაშვილის აზრით, ბედნიერება მიუღწეველია მაშინაც, როცა ირღვევა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული სა-

ოჯახო-საქორწინო სამართლის ნორმები. მართალია, ელენასა და ამირანს უყვართ ერთმანეთი, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ბედნიერებისათვის, მათი ტრაგედია განაპირობა საქორწინო კონტრაქტის მართლის ნორმების შეუსრულებლობამ, კერძოდ, ამირანის მტკიცებულებების კანონიერ ქორწინებამდე „პრაცხდა უკვე თავის მეუღლედ“. ელენა მამასთან შეუთანხმებლად ტოვებს ოჯახს და მხოლოდ ამის შემდეგ საიდუმლოდ იწერენ ჯვარს ეკლესიაში, სადაც ისინი დიდი ხნის წინათ ერთმანეთისათვის მიცემული ფიცის გამეორების შემდეგ „შეერთდნენ კავშირითა ქორწინებისათა“. ამ შეცდომას მამა და ქალიშვილი მხოლოდ მას შემდეგ მიხვდებიან, როცა სასამართლოს განაჩენი უკვე გამოტანილია. სიკვდილმისჯილი ელენა აღიარებს, რომ მისი უბედურების მიზეზი მამა-პაპათა მიერ დადგენილი საოჯახო-საქორწინო წესების დარღვევაა: „მომიტყვე, მამაო ჩემო... ცდომამან სიყვარულისა და სიყრმისაგან შემიყვანეს დაკარგვასა ამას შინა. უბედურო მშობელო ჩემო! მე ურჩ ვიქმენ შენი, ამას შინა მდგომარეობს უმთავრესი გარდახდომა ჩემი“.

ქალიშვილის მძიმე ხვედრმა გამოაფხიზლა მამამისი ომანიც, რომელიც კიცხავდა „გარდამეტებულსა სიფიცხესა თვისსა“, ქალიშვილის საქმის დაფარვისათვის „ფუჟად წარაგებდა ფულთა“, უკვე ნანობდა, რომ ხელი შეუშალა მათ ბედნიერი ოჯახის შექმნაში. ხალხიც ცდილობდა, რათა „ბოროტშემთხვეული ქალი გამოეყვანათ სასჯელის ადგილიდან და წინაშე უნუგეშოფსა მამისა მიეყვანათ, რომელიცა უკვე შენანებულყოფდა, გარნა ყოველნივე ამაოდ მეცადინებოდნენ“, რადგან სასამართლოს განაჩენი უკვე გამოტანილი ჰქონდა.

ს. დოდაშვილმა ღრმა კვალი დაამჩნია ქართულ პოლიტიკურ და სამართლებრივ აზრს, სრულყო და განავითარა იგი იურიდიული მეცნიერების მიღწევების საფუძველზე, მტკიცე საფუძველი შეუქმნა მე-19 საუკუნის ქართველ სამოციანელთა სამართლებრივ-პოლიტიკურ მსოფლმხედველობას. პოზიტიურ, სახელმწიფოს მიერ დადგენილ სამართალსა და ჯანსაღ საზოგადოებრივ აზრს შორის წინააღმდეგობის არსებობისა და მისი გადაჭრის აუცილებლობის შესახებ ს. დოდაშვილის მიერ დასმულ კითხვას კვლავ დაუბრუნდა ი. ჭავჭავაძე მოთხრობაში — „სარჩობელაზედ“ და იგი გადაჭრა ჰუმანიზმის მოთხოვნათა მიხედვით.

რეალისტი მოაზროვნის ს. დოდაშვილის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები, რომელიც განავითარეს ქართველმა სამოციანელებმა, აქტიურად ეხმაურება თანამედროვეობას. ს. დოდაშვილის მოთხოვნა რუსეთის სახელმწიფოში გაუქმებული ქარ-



თული სახელმწიფოებრიობის რესპუბლიკის ფორმით აღდგენის შესახებ, ახალ ვითარებაში, კერძოდ, 1905 წლის რევოლუციის გაკვეთილების მიხედვით გააფართოვა და დაასაბუთა იმ დროის შემდეგ, რომელიც XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში აქტიურად იბრძოდა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საქართველოს ფართო ავტონომიისათვის საკუთარი ეროვნული საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო დაწესებულებებით. ს. დოდაშვილის, ი. ჭავჭავაძის და სხვა პროგრესული მოაზროვნეების მიერ დამკვიდრებული ტრადიციების საფუძველზე მეფის თვითმპყრობელობის მიერ გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და განვითარების პროგრამისათვის ბრძოლაში მოგვიანებით დიდი წარმატებები მოიპოვა ქართველმა ხალხმა, რომელმაც შექმნა საკუთარი სუვერენული სახელმწიფო.

2. ილია ჭავჭავაძე

ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ-სამართლებრივი მოძღვრებები შემუშავებულია მეცნიერების იმდროინდელი განვითარების დონის მიხედვით, მაგრამ მის მსოფლმხედველობაში საგანგებოდაა გამოყოფილი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილების თავისებურებანი. კერძოდ, ილიას მტკიცებით, საქართველოში, ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, არ არსებობს კაპიტალიზმი, კლასები, კლასობრივი ბრძოლა. ქართველი ხალხის ერთიანობისა და საქართველოში კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის არარსებობის შესახებ ი. ჭავჭავაძის მოსაზრება მჭიდროდაა დაკავშირებული ეპოქის მთავარ საკითხთან, კერძოდ, ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენასთან, რაზედაც ქართველ ხალხს მართლაც ერთიანი შეხედულება ჰქონდა, კერძოდ, ყველა ქართველს ერთიანი და განუყოფელი აზრი ჰქონდა რუსეთთან საქართველოს შეერთებით დაკარგული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღორძინებაზე და ღრმად იყო დარწმუნებული, რომ შეხედულებათა ეს ერთიანობა სავსებით საკმარისია ერის მთლიანობის მტკიცებისათვის. ილია ჭავჭავაძე, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინამძღოლი, მეთაურობს ქართველ ხალხს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში და ყურადღებით სწავლობს ეროვნულ სახელმწიფოებრიობასთან დაკავშირებულ საკითხებს, პირველ ყოვლისა კი ერების დამოკიდებულებას სახელმწიფოსთან, რის საფუძველზეც ამუ-

შავებს ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური მოწყობის პროექტს.

ქართველი ერი და სახელმწიფო. სახელმწიფოს წარმოშობა რომელსაც წინ უსწრებდა საზოგადოების გაჩენა, სხვადასხვა მოსაზრებები გააერთიანა. ხალხთა შორის ურთიერთობას სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ პოლიტიკური ხასიათი მიეცა. ცალკეული ქვეყნების შიგნით კი სახელმწიფოს გაჩენის შემდეგ დაიწყო ხალხების ერებად კონსოლიდაცია. ერად ჩამოყალიბებული ხალხი, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა წოდებებისაგან შედგება, მაინც ერთიანია და ერების განვითარების საბოლოო შედეგი საზოგადოებაში წოდებათა შორის სრულ ჰარმონიაში პოეებს გამოხატულებას. ხალხების ერებად ჩამოყალიბება, ერისათვის დამახასიათებელი ნიშნების მომწიფება და სრულყოფა ხანგრძლივი პროცესია. ხალხების ერებად გაერთიანებას დიდად უშლიდა ხელს ფეოდალურ საზოგადოებაში არსებული ბატონყმური ურთიერთობა მისთვის დამახასიათებელი წოდებრივი პრივილეგიებითა და უთანასწორობით, ნატურალური მეურნეობითა და ეკონომიკური კარჩაკეტილობით, ქვეყნის ტერიტორიული დაქუცმაცებულობითა და პარტიკულარიზმით. ბატონყმობის გაუქმებამ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებასთან ერთად ხელი შეუწყო ხალხების ერებად ჩამოყალიბებას, ქართველი ხალხის კონსოლიდაციას. ი. ჭავჭავაძე ხალხებსა და ერებს შორის ხედავდა განსხვავებას, მაგრამ ბურჟუაზიული მეცნიერების ზეგავლენით იგი ფიქრობდა, რომ ქართველი ხალხი ერად ფეოდალიზმის დროსაც ჩამოყალიბებული იყო, მაგრამ იმ თავისებურებით, რომ ბატონყმობის ეპოქაში ერები დაქსაქსული და განცალკევებული სახით არსებობდნენ. საქართველოში 1864 წელს განხორციელებულმა საგლეხო რეფორმამ, მიუხედავად იმისა, რომ მას, როგორც ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, საერთოდ ფრთაშეკვეცილი ხასიათი ჰქონდა, დიდი როლი შეასრულა ქართველი ერის გაერთიანებაში. ი. ჭავჭავაძე, აფასებდა რა ბატონყმობის გაუქმებას საქართველოში, 1883 წელს წერდა: „რაც უნდა გულღრძო და ჭულელი კაცი იყოს, მაინც ვერ იტყვის, რომ ამ სამოც-ოთხმოცის წლის ცხოვრების შედეგი არ იყოს ქართველთ ერის გაერთიანება, ერთობის გრძნობის გაღვივება საქართველოს სხვადასხვა პროვინციის მცხოვრებთა შორის“¹.

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, საქართველოში, ისევე როგორც ყველგან, ერები მუდამ არ არსებობდა. ერი ისტორიული კატეგო-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 281.

რიაა. ხალხების ერებად ჩამოყალიბება ყველგან ერთნაირად ხდება, ერების ჩამოყალიბების პროცესზე მრავალი ფაქტორი დენს ზეგავლენას, ამ ფაქტორთა ზემოქმედების შედეგად, თანობით ყალიბდება ერის ძირითადი ნიშნები. ი. ჭავჭავაძის აზრით, ერი ესაა ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური წყობის ერთობისა და ერთიანი ბუნებით განსაზღვრული სულისა და ხორცის (ფსიქიკური წყობა, კულტურა და ა. შ.) ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული კავშირი.

ერის უპირველესი დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშანი, რომლის საფუძველზეც ადამიანთა ერთობა ყალიბდება განსაზღვრულ ერად, სალაპარაკო ენაა. ხალხების ერებად ჩამოყალიბება წარმოუდგენელია ერთიანი ენის არსებობის გარეშე, როცა ერთიანი ენა ქრება, ერიც, როგორც ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობა, ისპობა. ამდენად, „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული — ენაა“¹. ერი თავის ძლიერებას ენაში პოულობს, ენა აკავშირებს ერთმანეთთან ერის წარმომადგენლებს, ერი საკუთარი ენის ბაზაზე ქმნის თავის თვითმყოფად კულტურას, მეტიც, „ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას“². ამიტომაც ყოველი სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საკუთარი ენის სწავლებას ერად ჩამოყალიბებულ ქვეშევრდომებში. ეროვნულ ენაზე სახელმწიფოს სულიერი ცხოვრების წარმართვა ერების სრულყოფილი განვითარების საწინდარია. ერის ცნების შინაარსში ენის როლისა და დანიშნულების შესახებ ცნობილი რუსი და დასავლეთევროპელი მეცნიერების — უშინსკის, დისტერვეგის, პესტალოცის, კომენსკის, ვესელის, რიხტერის, ბრეალის და სხვათა მოძღვრების ცალკეული დებულებების დამოწმებით, ი. ჭავჭავაძე ასკვნის, რომ ადამიანთა აღზრდა ყოველთვის ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს: „აუცილებელი ღონე და საგანი საერო სკოლისა, ადგილობრივი, ერობრივი ელემენტი არის, ესე იგი, — ის ბუნება, ის ერი, ის ყოფა-ცხოვრება, რომელიც გარს არტყია მოზარდსა და რომელთ შორისაც ბავშვი ტრიალებს და სცხოვრობს სულითა და ხორცითა დაბადების დღიდანვე“³. ენა წარმოადგენს ერის კულტურის, მისი ისტორიის გასაღებს, ერის მთლიანობისა და მისი მომავლის საფუძველი ენაა.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 80.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 30.

³ იქვე, გვ. 279.

გარდა ენისა, რომელიც ახასიათებს ერს, როგორც დამოუკიდებლად არსებულ სოციალურ მოვლენას, ესაა „ისტორიის ერთობით“¹ განმტკიცებული ადამიანთა გვარტომობითი კავშირები. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ერი ესაა ისტორიულად დაკავშირებული, სულითა და ხორციით ურთიერთმონათესავე ადამიანთა ერთობა: „ერი როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა“² ერთობაა. ი. ჭავჭავაძე ერის ამ სპეციფიკურ ნიშანს შემდეგი ორი თავისებულებით განსაზღვრავს: პირველი, ერი, როგორც გვარტომობითი ანუ „ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა“ ერთობა, და, მეორე, ამ გვარტომობითი გაერთიანების ისტორიის ერთობა. მთელი ცხოვრება ი. ჭავჭავაძის წარმოდგენილი აქვს, როგორც ადამიანთა მიერ სულიერი და ხორციელი მისწრაფებების დაკმაყოფილება, ამიტომაც ადამიანთა არსებობა განისაზღვრება მათი სულიერი და ხორციელი ცხოვრებით. ერად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ „ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა კრებული“ ანუ, სხვანაირად, ერი წარმოადგენს იმ ადამიანთა კავშირს, რომლებიც ერთნაირ სულიერ და ხორციელ ცხოვრებას ეწევა. გარდა ამისა, ისტორიის ერთობაც ასევე ერის ცნების სპეციფიკური განმსაზღვრელი თავისებულებაა: „ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული — ერთ-სულობით, ერთგულობით, ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, — მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იღუმალი შემსჭვალება, იღუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იქექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თვისი ძლიერი ფრთა გაშალოს“³. ი. ჭავჭავაძე „ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა“ ისტორიულ ერთობას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგანაც „ერის პირქვე დამხოზა, გათახსირება, გაწყალება იქიდან დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისი წარსულისა, თავისის ყოფილი ცხოვრებისა“⁴. ერს ისტორია ასულდგმულებს, უისტორიო ერი განწირულია. არ შეიძლება მკვიდრად მოკიდებული ჰქონდეს ფეხი იმ ერს, რომელმაც თავისი ისტორია დაივიწყა. ასე-

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 9.
 2 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 97.
 3 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 9.
 4 იქვე, გვ. 200.

თი ერი უბედურია, რადგან მას „რა იყო — ის დავიწყებული აქვს და, მაშასადამე, რა არის — არც ის იცის...“ შეიღმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქილამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა“¹.

ისტორია ის დიდებული ტაძარია, სადაც ერის გამოჩენილი და დიდბუნებოვანი ადამიანები ქადაგებდნენ, ერი, რომელიც არ ივიწყებს თავის გამოჩენილ შეილთა ანდერძს, არასდროს დაიღუპება, სახელოვანი წინაპრები ერს აღაფრთოვანებს ჭირსა და ლხინში: „ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს და აგრეც არის, საცა ერი ერობს“².

ი. ჭავჭავაძის მოსაზრება ერის, როგორც ისტორიული ერთობით შედუღებულ ადამიანთა გვარტომობითი კავშირის, შესახებ ფაქტიურად უპირისპირდება ბურჟუაზიულ მეცნიერებაში ორგანიზებული სოციოლოგიის მიერ გავრცელებულ მოძღვრებას ერის სიბერის თაობაზე. ი. ჭავჭავაძე დიდი ხნის მოძველებულსა და „ბევრთაგან გამტყუნებულს“ უწოდებს ვ. დრეპერის თეორიას, რომლის მიხედვითაც ერი, როგორც სოციალური ფენომენი, გაიგივებულია ცოცხალ არსებასთან, ადამიანთან. ვ. დრეპერის თეორიის მიხედვით, ერი ადამიანის მსგავსად განიცდის ასაკობრივ ცვლილებებს, კერძოდ, ერის განვითარებაში ადამიანის მსგავსად შეინიშნება შემდეგი სტადიები: ბავშვობა, ყრმობა, ჭაბუკობა, ვაჟკაცობა და სიბერე, რომელსაც მოსდევს გარდუვალი სიკვდილი. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ერის სიბერისა და მასთან დაკავშირებული ერების გარდუვალი დაღუპვის თეორიას აშკარად ეწინააღმდეგება კაცობრიობის განვითარების ისტორია. მართალია, ისტორიულ ავბედობას ბევრი ერი უმსხვერპლია, მრავალი შემთხვევაა ცნობილი დედამიწის პირიდან ერების აღგვისა, მაგრამ იგი ერის სიბერის შედეგი კი არ არის, არამედ გამოუწვევია სხვადასხვა გარემოებებს (შინაურ საქმეთა მოუწყობლობა, გარედან სამხედრო თავდასხმა და ა. შ.). ამდენად, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, „დაბერება ერისა რომ მართალი იყოს, მაშ თავის დროზედ ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის ერნიც სიბერეს გადაჰყვებიან, დაიხოცებიან, ამოსწყდებიან“³.

მართალია, ი. ჭავჭავაძე უარყოფს ერის შესახებ ორგანიზული სო-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 201—202

² იქვე, გვ. 203.

³ იქვე, გვ. 19.

ციოლოგიის მოსაზრებებს, მაგრამ იგი სრულებითაც არ ნიშნავს იმის უგულებელყოფას, რომ არსებობენ ახალგაზრდა, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ერები და უკვე ჩამოყალიბებული ბოლოდ მომწიფებული ერები. მისი აზრით, ერის მთავარი საბოლოოდ ჩამოყალიბებისა და ასაკში შესვლის მაჩვენებელია მისი გონებითი თვითმყოფადობა: „როცა ერი ყოველს მოვლინებას და საქმეს, მის გარშემო მომხდარს, ყოველს ნახულს, გაგონილს და ყოფილს საზოგადო მნიშვნელობისას — გონებით დააკვირდება, ღირსსახსოვარს, ავსა და კარგს, — ხსოვნისათვის აღნუსხავს, გულში ჩაირჩენს და სასწორობედ სწონის ფასის დასადებლად, — მაშინ პირდაპირ და უტყუარად შეიძლება კაცმა სთქვას, რომ იგი ერი გონებითად ასაკში შედის, ჭკუა, გული და ცნობიერება დასძვრია მოქმედებისათვის და ფეხი შინიდან გარეთ გამოუდგამს კაცური ცხოვრებისათვის“¹. გონებით ასაკში შესვლა გამოხატულებას პოეზებს სხვადასხვა მოვლენებისადმი ერის დამოკიდებულებაში. ქვეყნისა და ხალხისათვის თავდადებული სახელოვანი ადამიანების საჯარო პატივისცემა და მათი დამსახურების საზეიმო აღიარება „ცხადი მაგალითია, რომ ერის გონების თვალი ახილებულია“². გონებით ასაკში შესულ ყველა ერს შესწევს უნარი, ღირსეულად დააფასოს გამოჩენილი ადამიანების ღვაწლი ქვეყნის ისტორიულ ცხოვრებაში, მაგალითად, იტალიაში — გარიბალდი, საფრანგეთში — ვოლტერი და ჰიუგო, გერმანიაში — შილერი და ა. შ.

ისტორიული ერთობა, როგორც ერის სპეციფიკური ნიშანი, მჭიდროდაა დაკავშირებული ერის ცნების განმსაზღვრელ ისეთ უმნიშვნელოვანეს ფენომენტთან, როგორცაა ე. წ. ისტორიული ცხოვრება. ი. ჰევჭავაძის მტკიცებით, ერის ცნების შინაარსს სპეციფიკურ თავისებურებას ანიჭებს და საერთოდ ერს აყალიბებს ისტორიული ცხოვრება. ი. ჰევჭავაძე, ეხება რა ქართველთა უძველეს წარმომავლობასა და მის მტკიცე ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ წყობილებას, წერს, რომ ერის მაცოცხლებელი ძალა და, მასთან დამე, მისი ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანია ისტორიული ცხოვრება: „ჩვენ ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით, ბევრი მაგარი და ბევრიც უვარგისი ქვა ჩაუდგია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ესეა, ამისი საბუთი თვალწინ გვაქვს. რა შეგვიწინააზვდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორიათას წელი-

¹ ი. ჰევჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 183.

² იქვე.

წადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის, რათ და როგორ შეგ-
ვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულ სასახლეში
სა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს წყვენიერად
ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა. ეს ერთის მხრით,
მეორეს მხრით — რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებ-
სა ან განათლებასა, ან გამდიდრებაში, თუ ამისთანა ქვეყნის პატ-
რონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი
დაფხენილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას“¹.

ერის ცნების ი. ჭავჭავაძისეულ განსაზღვრაში გამოსარკვევია:
თუ რას გულისხმობს იგი „ისტორიულ ცხოვრებაში“. XIX საუკუ-
ნის მეცნიურულ ლიტერატურაში ხშირად გვხვდება ტერმინი „ის-
ტორიული ცხოვრება“. ი. ჭავჭავაძესთან ერთად ტერმინ „ისტო-
რიულ ცხოვრებას“ იყენებენ ნი-იანი წლების სხვა ქართველი გან-
მანათლებლებიც. ს. მესხი 1875 წელს წერდა: „თუ შვილებს მა-
მებისა და წინაპრების ცხოვრება არ ეცოდინებათ, უამისოდ განა
ისტორიული პროგრესი, ხალხის წარმატება შეიძლება? როგორ
უნდა დაადგენ შვილები უკეთეს გზას, როგორ უნდა გააუმჯობე-
სოს ხალხმა თავისი ისტორიული ცხოვრება, თუ არ იცის: რა გზა-
ზე მდგარან იმის წინაპრები, შეცდომა ან ღირსება მოიპოვება
იმათს საზოგადო ცხოვრებაში, რომელი ისტორიული მოვლენა ყო-
ფილა იმათთვის სასარგებლო და რომელი მავნებელი?“² XIX სა-
უკუნის ქართველი განმანათლებლები „ისტორიული ცხოვრების“
ცნების შინაარსის განმსაზღვრელ მხარეებად მიიჩნევდნენ ქვეყნის
პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ა. შ. წყობილებას.
ს. მესხი, ეხებოდა რა ქართველი ხალხის სამეურნეო და ეკონომი-
კურ ცხოვრებას, აღნიშნავდა, რომ „ისტორიულ ცხოვრებას მო-
უნიჭებია ჩვენთვის მეურნეობა, მეურნეობიდან უნდა მოველოდეთ
ჩვენ ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესებასა და წარმატებას“³.

უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის ქართველი რევოლუცი-
ონერ-განმანათლებლების ნაშრომებში „ისტორიული ცხოვრების“
კატეგორიამ გამოხატულება პოვა რუსი რევოლუციონერ-დემოკ-
რატების ზეგავლენით. ჩერნიშევსკი, ბელინსკი და სხვები თავიანთ
კრიტიკულ წერილებში ხშირად მიუთითებენ „ისტორიულ ცხოვ-
რებაზე“, მშრომელი ხალხის „ბატონობაზე ისტორიულ ცხოვ-
რებაში“ და ა. შ. ამასთან, „ისტორიული ცხოვრების“ ცნებით

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 202.

² გაზ. „ღროება“, 1875, № 50.

³ გაზ. „ღროება“, № 207.

ისინი გამოხატავენ მოცემული საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრებას, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ა. შ. ცხოვრებას¹.

ი. ჭავჭავაძე ერის განსაზღვრისას იყენებს XIX ს. რევოლუციურ-დემოკრატიულ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებულ „ისტორიული ცხოვრების“ ცნებას და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუთითებს, რომ ერები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან „ისტორიული ცხოვრების ერთობით“, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მატერიალური და სულიერი, ე. ი. ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური ცხოვრების ერთიანობის მიხედვით.

ეკონომიკური ცხოვრება, როგორც ერის განმსაზღვრელი ნიშანი, გულისხმობს მიწათმოქმედების, ვაჭრობის, საფაბრიკო-საქარხნო მოსაქმეობის და ა. შ. ერთიანობას. ეკონომიკურ ცხოვრებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მიწათმოქმედებას, კერძოდ, მიწა და გუთანა, ი. ჭავჭავაძის აზრით, არის ერის ბურჯი, სიკეთე და სიმდიდრე: „რომელს ერსაც ეს ორი საგანი ხელთ შერჩენია, იმას თავი იძოდენად კიდევ შეუნახავს, რომ შეუძლიან თავმოწონებით სთქვას: მე ერი ვარ და მკვიდრი ბინა მაქვს სადღესოდაც და სამერმისოდაც. სხვა ყოველივე ფუჰია და წარმავალი, ვერც ერის ვინაობას დაედება საძირკველად, და ვერც ერთი ჯიშის, ერთის სისხლისა და ხორცის ადამიანთ თავს ერთად მოუყრის და ვერც ერად შეჰქმნის“². ერის არსებობას განაპირობებს მიწა. მაგრამ ისტორია ცხადყოფს, რომ იქ, სადაც მიწა „ყოველს მკვიდრს მცხოვრებსა შეძლებისამებრ მორიგებულ“ არა აქვს, ასეთი ერი ისპობა. რაც შეეხება ეკონომიკური ცხოვრების ისეთ დარგს, როგორიც ვაჭრობაა, ერის თვითმყოფადობისათვის მას არა აქვს დიდი მნიშვნელობა, ვაჭრობა ერის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების გადამწყვეტი მნიშვნელობის მომენტი არ არის: „ვაჭრობა არც ერის სიმდიდრის გაძლიერებაში არის თვითმოქმედი მონაწილე, მაშასადამე, იგი, როგორც საპოლიტიკო, ისეც საეკონომიო საქმეებში, მუდამ სხვის მაყურებელია, სხვის პირში მაცქერალი“³.

ამრიგად, ეკონომიკური წყობის ერთიანობა ერის განმსაზღვრელი ნიშანია. ეკონომიკური წყობა გულისხმობს ერის სამეურნეო

¹ იხ. «Очерки по истории философской и общественно-политической мысли народов СССР», в двух томах, т. II, М., 1956, стр. 63.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 174.

³ იქვე, გვ. 175.

საქმიანობის მრავალ დარგს, მაგრამ მათ შორის ერის თვითმყოფადობისათვის მთავარია მიწა: „ისტორია მარტო იმ ერს უკმაყოფილებს რომელსაც მიწაზედ ფეხი უდგას და ხელი გუთანს სუკნობს. ისტორია დაპირველი შემომქმედი ეროვნებისა და ერის სიმდიდრისა მარტო გუთანი და მიწა ყოფილა და იქნება კიდევ. რადგანაც ისტორიას და ჩვენთა მამა-პაპათა მხნეობას და თავგანწირვას ეს ორი ძვირფასი განძი ჩვენთვის შეურჩენია, რადგანაც საპოლიტიკო და საეკონომიო ყოფა-ცხოვრება ამ ორის საგნით სულდგმულობს“¹.

ეკონომიკური წყობა, რომლის უმთავრესი შემადგენელი ნაწილი მიწაა, ერის განმსაზღვრელი ნიშანია, მაგრამ მიწისაგან ი. ჭავჭავაძე ანსხვავებს ტერიტორიას, მის ერთიანობას, როგორც ერის ერთ-ერთ დამახასიათებელ მოვლენას. მიწა და გუთანი, ე. ი. მიწათმოქმედება თითოეული ერის „მეობის“ განმსაზღვრელია, მაგრამ ტერიტორია, ანუ როგორც მას ი. ჭავჭავაძე უწოდებს, მამული უფრო ფართო და ყოვლისმომცველი ცნებაა, რომელიც ერის არსებობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ერისათვის ძვირფასია ტერიტორია ანუ „მამული!.. ამ სიტყვის ყოვლად-მპყრობელი მნიშვნელობა ვრცელია და ფართო. აქ, საცა ხალხობა დარღვეული არ არის და განთვითეულობა — ეგ ჰქირთა-ჰქირი არა მეფობს, იქ მაგ სიტყვის აზრი ცხოვრების მიმნიჭებელი სულია, მთელის ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ თვითეულსა — მთელის ხალხისა და მთელს ხალხს თვითეულისა ჰქირი და ლხინი წარმოუდგება ხოლმე. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ დიდი და პატარა, ქალი და კაცი თავის ქვეყნის ნაღველითა ნაღვლობს, ლხინითა ლხინობს, დღეობითა და დიდებითა — დღესასწაულობს. აქ მაგ სიტყვაში ყოველია, და ყოველში ყველა არის“².

ერის ტერიტორიული ერთობა ნიშნავს ერთი ერის განსაზღვრულ ტერიტორიაზე, მამულში ცხოვრებას. მაგალითად, ქართველები ცხოვრობენ ტერიტორიაზე, მამულზე, რომელიც მდებარეობს „შავი ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე“. მამული ანუ ტერიტორია „მთელის ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია“, იგი აკავშირებს ერს ერთიან ორგანიზმად: „მარსელში მცხოვრებელი ფრანციელი, რასაკვირველია, ფრანციელსვე ეტყვის, მარსელელი ვარო, მაგრამ უცხო ქვეყნებს კი ეტყვის, ფრანციელი ვარო. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი შინაურობაში მარსელელია და გარემო-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 176.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 77.

უობაში—ფრანციელი. უცხოხათვის ერთი იმათგანია, საცა ყველა-
ნი ამისათვის ცხოვრობენ და ყველასათვის თითონა ცხოვრობს.
ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩემი ძალა — ჩემი ხალხის ძალააო, ^{საქმიანული}
კეთე — ჩემი ხალხის სიკეთეაო, რომ ჩემი სისხლი ყოველს ფრან-
ციელთან ერთად დღესო, ყოველის ფრანციელის ცხოვრების ძარ-
ღვი ჩემი ცხოვრების ძარღვიაო, და თუ გინდაო, ყოვლის ფრანცი-
ელის ავად და კარგად მყოფობას ჩემს მაჯაზე შეატყობო. ეგ იმას
ნიშნავს, რომ ჩემი წყენა უცხოხათგან — ჩემი ხალხის წყენააო, და
ჩემი ხალხის წყენა — ჩემი საკუთარი წყენააო“¹.

ერი ერთ განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა
ერთობისაგან წარმომდგარი მთლიანი ორგანიზმია სანამ ერი მთლი-
ანი და ერთიანია, იგი უძლეველია, როცა ერში იწყება „განთავითე-
ულებულობა“, იგი გარდუვალი დაღუპვის წინაშე დგას. იქ, სადაც
საზოგადოება ურთიერთდაპირისპირებულ წოდებებადაა დანაწევ-
რებული, სადაც გაბატონებულია ცალ-ცალკე წევა ცხოვრების
უღლისა, ცალ-ცალკე ხენა და მკა, ცალ-ცალკე თლა ლხინისა თა-
ვისაკენ და ჰირისა სხვისაკენ, ადამიანთა ასეთ ერთობას ერი არ
ჰქვია. მხოლოდ ის ერია უძლეველი, მხოლოდ იმ ერს გადაუტანია
გმირულად განსაცდელი, „რომელსაც თავის დროზედ შეუტყვია,
და მიუგნია, რომ ერთის რომელისამე წოდების წინ წაწევა არაფ-
რის მაქნისია, თუ დანარჩენი ერიც წინ არ წაწეულა, პირიქით,
ერთის წოდების წინ წაწევას დანარჩენის უკან დაწევა მოჰყო-
ლია. ვერც ერთი ცალკე წოდება ერისა ვერ დაიქადებს, რომ თუ
მე კარგადა ვარ, სხვანიც კარგად იქნებიანო... ყველამ ერთად და
თვითეულმა ცალკე უნდა იცოდნენ, რომ იგი განუყოფელი ნაწი-
ლია მთელი ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებ-
დეს მარტო მთელის ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე“². ერის
მთავარი საზრუნავია მამულის მთლიანობა, ე. ი. ყველა წოდების
ერთიანი ინტერესების საფუძველზე ერის გაერთიანება, კერძოდ,
წოდებები ერთმანეთს „გამოურჩევლად, გამოუკლებლად, მოზიარე
ექმნას ჰირსა და ლხინში და თავისი ქონებრივი და გონებრივი ღო-
ნე არ შეალიოს ამაო ცდას, რომ ცალკე ვიყო და ცალკე ვბედნი-
ერებდეო“³.

ი. ჰავჰავაძის აზრით, ზემოაღნიშნული თავისებურებანი საკმა-
რისი არაა ერის დასახასიათებლად. ერის ცნების ერთ-ერთ გან-

¹ ი. ჰავჰავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 75—76.

² ი. ჰავჰავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 313—314.

³ იქვე, გვ. 313.

მსაზღვრელ ნიშანს წარმოადგენს აგრეთვე ერთიანი ფსიქიკური წყობა: „ყოველს ერს, თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთათქმა, თავისი წადილები, თავისი სულთასწრება და თავისი ღირსება“¹. ერის ფსიქიკური წყობა მეტისმეტად ფაქიზი მოვლენაა და ამიტომ, განსხვავებით სხვა ნიშნებისაგან, ერის ფსიქიკური წყობაზე ხელის ხლება საშიშია: „ადამიანსა ცალკედ და ერს საერთოდ, რაც უნდა უკან დაწეული იყოს, ვიდრე პირში სული უდგას, ჭიგართან იმისთანა ძაფები აქვს სხვათა შორის, რომელთ ხელის ხლებაც მეტად საფრთხილოა და საშიშარი. შინაურია, თუ გარეული, უნდა ერიდოს მაგ ძაფების წარამარად ხელის ხლებას“².

ერების ჩამოყალიბება უძველეს დროში დაიწყო, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძის აზრით, ერების განვითარების ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო ბატონყმობის გაუქმებით. მართალია, საგლებო რეფორმას ფრთაშეკვეცილი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ბატონყმობის გაუქმებამ, რომელმაც შეარყია მეურნეობის ფეოდალური სისტემა, მოსპო ფეოდალური დაქუცმაცებულობა და ქვეყნის სხვადასხვა მხარეებს შორის სამეურნეო კონტაქტების დამყარებასთან ერთად ხელი შეუწყო ხალხთა შიგნით სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული კავშირების დამყარებას, ეროვნული გრძობების გამოღვიძებას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალი ეტაპის დაწყებას, ეროვნული სახელმწიფოების შექმნას. ადამიანთა ბუნებასთან შეუთავსებელი სოციალური და ეროვნული ჩაგვრის აღმოფხვრის მხრივ, საგლებო რეფორმამ შეარბილა სოციალური ჩაგვრა, ყმა გლეხი ადამიანად აღიარა და განსაზღვრა ნაბატონრებსა და ყოფილ ყმა გლეხებს შორის უფლებამოვალეობები, მაგრამ დიდი და ძლიერი ერების მიერ პატარა და სუსტი ერების ჩაგვრა ძალაში დატოვა, მეტიც, ეროვნული ჩაგვრა უფრო ორგანიზებული, უფრო საშიში გახდა, რამდენადაც ერების გამოღვიძებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გაძლიერებასთან ერთად დიდი და ძლიერი ერები სრულყოფენ სახელმწიფოს და მის ძალას იყენებენ ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ. ამდენად, ერი და ეროვნული საკითხი მკიდროდ დაუკავშირდა სახელმწიფოს. ი. ჭავჭავაძე ცდილობს გაარკვიოს ერებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთდამოკიდებულება, მრავალეროვნულ სახელმწიფოებში ერების პოლიტიკური ორგანიზაცია და ამასთან დაკავშირებით განსაზღვროს რუსეთის იმპერიაში ქართვე-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 97.


² ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 175.

ლი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის პრობლემაზე.
როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძის აზრით, ერი არის ისტორიის ერთობით განმტკიცებული ადამიანთა გვარჯიშის ერთობა. კავშირი, რომლისთვისაც დამახასიათებელია საკუთარი სალაპარაკო ენა და ისტორიული ცხოვრების (ტერიტორიული, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ფსიქიკური და ა. შ.) ერთიანობა. ერის სრულყოფილობა განვითარებული სახელმწიფოებრიობით განისაზღვრება. ერისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების თავისებურებათა მიხედვით ი. ჭავჭავაძე იკვლევს ქართველთა მრავალსაუკუნოვან ისტორიას, მის მდიდარ მატერიალურ და სულიერ ცხოვრებას, განსაზღვრავს ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოებრიობის შემდგომი განვითარების პერსპექტივებსა და ძირითად მიმართულებებს.

პირველ ყოვლისა, ი. ჭავჭავაძე ეხება ერის ისეთ უმთავრეს დამახასიათებელ ნიშანს, როგორც ენაა. 1883 წელს ი. ჭავჭავაძე წერდა, რომ საკმაოდ დიდი ხანი გავიდა ბატონყმობის გაუქმებიდან, მაგრამ ერის ისეთი შემაკავშირებელი ფენომენი, როგორც ქართული ენაა, ჯერ კიდევ იდევნება, მეტიც, საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგებში, როგორცაა მართლმსაჯულება, მღვდელთმსახურება, სახალხო განათლება და ა. შ., იგი ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ დამკვიდრდა: „ოცი წელიწადი გადის, რაც ქართულის ენის (უფლებას) იცავს ჩვენი უღონო აზრი და გონება, იცავს ძლიერად და თავგანწირულად და აქნობამდე არამც თუ სასამართლო უწყებაში (და საერთოდ საზოგადოებრივ საქმეებში), არამედ თვით პირველდაწყებით სკოლაში და, ასე გასინჯეთ, სასულიერო უწყებაშიაც კი ვერ დამკვიდრებულარიგინად“¹.

ი. ჭავჭავაძე ნაშრომში „აი ისტორია“ საგანგებოდ იკვლევს ქართულ ენას და მიუთითებს, რომ იგი ისევე უძველესია, როგორც ქართველი ხალხი, რომელიც განუყრელად ვითარდებოდა საუკუნეების განმავლობაში, ამიტომაც ქართველ ხალხს თავისი საკუთარი ენის გარეშე არსებობა არ შეუძლია. ი. ჯაბადარის ეროვნულ-ნიჰილისტურ სტატიას „წერილები საქართველოს შესახებ“, როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძემ უპასუხა ნაშრომით „აი ისტორია“, რომელშიც იმდროინდელი მეცნიერების განვითარების დონის (კლასროტი, შრადერი, ტეილორი, გატერიასი და ა. შ.) მიხედვით იგი

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 281.



იკვლევს ქართული ენის წარმოშობა-განვითარებას, იცავს მას ი. ჯაბადარის დამცირება-დაკნინებისაგან. ი. ჯაბადარი წინააღმდეგობას უწევს ქართულ ენას, ცდილობდა მის დამცირებას სხვა ენებთან შედარებით. კერძოდ, იგი მიუთითებდა, რომ ქართული ენა ფლექსიური ენაა და თანამედროვე ქართული ისე უმნიშვნელოდ განსხვავებულია ძველი ქართულისაგან, რომ შუა საუკუნეთა ქართული თხზულებების კითხვა და გაგება დღევანდელ ქართველს არ უჭირსო. აქედან ი. ჯაბადარი აკეთებდა დასკვნას, რომ ქართული ენა ნელი ტემპით ვითარდება და არქაულ ენებთან ახლოს დგას. ამასთან ერთად, ი. ჯაბადარი აღნიშნავდა, რომ ენა საერთოდ ერის ისტორიის კვლევის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა, მაგრამ განუვითარებელი ქართული ენა ქართველი ერის ისტორიის შესწავლის საშუალებას არ გვაძლევსო.

ი. ჭავჭავაძე იცავს ქართული ენის ისტორიას ი. ჯაბადარის თავდასხმებისაგან სხვა ენების მაგალითზე და მიუთითებს, რომ არ შეიძლება რომელიმე ენის განუვითარებლობის საბუთად გამოდგეს ის გარემოება, რომ უძველეს თხზულებებს თანამედროვენი ადვილად კითხულობენ და გებულობენ. ეს რომ ასე იყოს, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ „იტალიელნი დანტეს (+1321 წ.), ტორკვატო ტასსოს (+1595 წ.) დღეს ადვილად ჰკითხულობენ და ადვილად იგებენ წაკითხულსა და ეს გარემოება ამტკიცებს, რომ მას აქეთ იტალიური ენა ძალიან ცოტად წინ წასულა და განვითარებულა“¹.

აკრიტიკებს რა ი. ჯაბადარს, ი. ჭავჭავაძეს საეჭვოდ არ მიაჩნია ს. ბარათოვისა და სხვა ისტორიკოსთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართველებს ანბანი ქრისტიანობამდე გააჩნდათ, ყოველ შემთხვევაში ძვ. წ. III საუკუნეში მეფე ფარნავაზის დროს. გარდა ამისა, ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ი. ჯაბადარი კარგად იცნობს გამოჩენილი მეცნიერის უსლარის აზრს ქართული ენის შესახებ, კერძოდ, უსლარს მოსწონს ქართული ანბანი, რადგან იგი გამოირჩევა დახვეწილობითა და სრულყოფით, მაგრამ აქედან, — შენიშნავს ი. ჭავჭავაძე — ი. ჯაბადარი აკეთებს დასკვნას, რომელიც უსლარის აზრის საწინააღმდეგოდ ამცირებს ქართულ ენას, სახელდობრ, ი. ჯაბადარი წერს, რომ უსლარის მიერ მითითებულმა გარემოებამ განაპირობა ქართული ენის ნელი, დაყოვნებული განვითარება, მეტიც, სხვა ენების მსგავსად, ქართული ენა რომ სწრაფად განვითარებულიყო, მასში გამოვლინდებოდა მთელი რიგი ახალი თავისებურებანი, მაგალითად, რთული ხმოვნები. ი. ჭავჭავაძე მი-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 76.

უთითებს, რომ ქართულ ენას სრულებითაც არ სჭირდება ე. წ. „როთული ხმოვნები“, უსლარს კარგად შეუნიშნავს ჩვენი ენის სრულება, კერძოდ, როცა „ჩაჰკვირვებია ჩვენს ანბანს, დაუნახებოდა არ არის არც ერთი იმისთანა ასო, რომ რა ხმის ნიშანსაც კი არ გამოითქმებოდეს; არ არის ქართულში არც ერთი იმისთანა სიტყვა, რომ ზედმიწევნით, უმეტ-ნაკლებობით გამოსათქმელად შესაფერი ასო არა ჰქონდესო. ამიტომ მართლწერა ქართულისა ისე გადავიღებულა, ისე გამარტივებულა, რომ სხვა ეგეთი ანბან-სრული ენა ქვეყანაზედ არ მეგულებათ. სავსეობა და სისრულე ანბანისაც ამაშია და სხვა არაარაში... არაო, — გვეუბნება ჩვენი ავ-გუნებიანი ავტორი, — რატომ „როთული ხმოვანი“ ასოები არა გაქეთო. გაგონილა! თუ ენას არ ესაჭიროება, რად უნდა ტყუილ-უბრალოდ ის რაღაც „როთული ხმოვნები“...“ თუ ასეა, ეს რა თავ-ში საცემია ქართული ენისათვის, რომელსაც იმდენი და ისეთი ხმოვანი ასოები აქვს ანბანში, რამდენიც და როგორიც საჭიროა მისათვის“¹.

ანბანის მეტ-ნაკლებობას, ი. ჰავჰავაძის აზრით, არავითარი კავ-შირი არა აქვს ენის განვითარებასთან და ი. ჯაბადარის მითითება იმის შესახებ, რომ ქართულში ე. წ. როთული ხმოვნები რომ არ არსებობს, თითქოს ენის განუვითარებლობის მაუწყებელია, საბუ-თად არ გამოდგება. საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული ენა, როგორც სრულყოფილი და დახვეწილი, რა თქმა უნდა, ნელა იცვლება, სწრაფად იცვლება მხოლოდ „ჯერ არ-დადუღებული, არ-დასრულებული, არ-დამთავრებული ენა, რო-გორც ყველაფერი, რაც-კი ორგანებულ ზრდას ექვემდებარება“². აქედან გამომდინარე, მიუთითებს ი. ჰავჰავაძე, სრულიად უსა-ფუძვლოა ი. ჯაბადარის საყვედური იმის შესახებ, რომ ქარ-თული ენა რომ სწრაფად განვითარებულიყო, ახალსა და გან-საკუთრებულ თვისებებს შეიძენდაო. საქმე ისაა, რომ ქართული ენა საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და მან მიიღო ისე-თა სრულყოფილი ფორმა, რომელშიც მხოლოდ განვითარებული ენებისათვის დამახასიათებელი ფენომენალური თვისებები ვლინ-დება.

ი. ჰავჰავაძე აღნიშნავს, რომ ენა არა მარტო ერის განმსაზღვრე-ლი ნიშანია, არამედ იგი დამახასიათებელია სახელმწიფოსათვისაც:

¹ ი. ჰავჰავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 82.

² იქვე, გვ. 85.

„რაკი ერს თავისი სახელმწიფო აქვს, თავისი ენაც ექნება“¹. ი. ჭავჭავაძის ეს მოსაზრება მიმართულია ი. ჯაბადარის იმ მტკიცების წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც მე ქრისტეს მოქცევამდე ქართველებს საკუთარი ენაც კი არ ჰქონიათ სახელმწიფო საქმეების საწარმოებლად და სპარსულ ენას იყენებდნენ. ი. ჭავჭავაძე ილაშქრებს ი. ჯაბადარის ამ მტკიცების წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავს ქართველი ერისა და მისი სახელმწიფოებრიობის დამცირებას. ქართველებს, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, რვაასი-ცხრაასი წლის წინათ ფარნავაზის მეფობამდე, როცა სპარსელების ხსენებაც არ იყო, „თავიანთი სამეფონი, სამთავრონი, თუ სამამასახლისონი ჰქონიათ“² და ქართულ ენაზე წარმართავდნენ სახელმწიფო საქმეებს. ი. ჭავჭავაძე აგრეთვე ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ ქართული ენის დამცირებასთან ერთად, ი. ჯაბადარი აშკარად უმაღავს მკითხველებს მის მიერ რუსულ ენაზე პეტერბურგში გამოქვეყნებულ ნაშრომში იმ ფაქტს, რომ ჩვენამდე მოღწეულია მეხუთე საუკუნის ქართული ნაწერები, რომლებიც ისე მალალ დონეზეა შესრულებული, რომ დამწერლობა ქართველებს გაცილებით ადრე უნდა ჰქონოდათ, ამტკიცებს, თითქოს ჩვენამდე მხოლოდ ქართულ ენაზე შესრულებულმა მეცხრე საუკუნის ნაწერებმა მოაღწიესო. უძველესი ქართული კულტურის მიღწევებმა განაპირობა მეთორმეტე საუკუნეში ჰუმანისტური აზრის მძლავრი აღმავლობა, მაგრამ შემდეგში ჟამთა სიავის გამო ქართველი ერი დაიქსაქსა, „განთვითეულდა“, ერთიანი მამულის ნაცვლად პატარ-პატარა „მამულები“ შეიქმნა და ბოლოს მტერთაგან დაუძღურებულმა საქართველომ თავისი შემდგომი ბედი რუსეთის სახელმწიფოს მიანდო. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველ ხალხს მეცნიერებისა და ცოდნის შეძენის უფრო მეტი იმედი ჰქონდა, რადგან „საქართველო ახლა ცოტად თუ ბევრად დამშვიდდა, მაგრამ ამ დამშვიდებას არ მოჰყვა ის ნაყოფი სწავლისა და განათლებისა, რომელიც უნდა მოჰყოლოდა“³. ქართველი ხალხის ერთიანობის აღდგენა არ მოჰყოლია რუსეთთან საქართველოს შეერთებას, რადგან ენა დაგვიკოჭლდა და დაგვიმუნჯდა, მშობლიური ენის განვითარებისათვის კი საჭიროა, რომ მხოლოდ ამ ენაზე ლაპარაკობდეს ძირითადად ერი: „ენას პირში ტოკვა უნდა“⁴. მეფის მთავრობის მიერ ქართული ენის იგნორირ-

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 94.
 2 იქვე, გვ. 93—99.
 3 იქვე, გვ. 321.
 4 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 75.

რებამ ის გამოიწვია, რომ ახლა იმერელი, გურული, მეგრელი, ქართლელი, კახელი და სხვანი „კერძობით მიღებული, განწყობილი სახელებია... აბა დაიძახე: ქართველო-თქო, თუ შავის-მთიანეთის მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიბ-გადმოგდებულის ქართლელის მეტმა (ე. ი. გორის მახრამში მცხოვრებელმა) შემოგზედოს ვინმემ, და თუ დაგვირდა, იქნება კახელმაც თავისი სხილი კისერი შენკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვენ, თითქო ამათ არ ეძახიო, თითქო ისინი ქართველები არ არიანო“¹.

ზემოაღნიშნულის უმთავრეს მიზეზად ი. ჰავჭავაძე იმას ასახელებს, რომ ქართველ ხალხს არა აქვს შესაძლებლობა ადგილობრივი პირობებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად თვითონ განსაზღვროს სწავლა-განათლების ძირითადი მიმართულებანი და ახალგაზრდობის სასკოლო აღზრდას რუსეთის კანონმდებლობით წყვეტს. საქართველოში სწავლა-განათლება რომ ვერ დგას სასურველ დონეზე, ამის „მიზეზი ის არის, რომ დროთა ბრუნვამ სხვის მაყურებლად გაგვხადა, სხვაზედ იმედს შეგვაჩვია და ამაებმა სრულიად წარწყმიდეს ჩვენში ის თვითმოქმედების ძალ-ღონე, რომელიც უწინ იყო, და რომელიც, თუკი სადმე არის, ყველგან ხალხის ბედნიერების სათაურია და საფუძველიც“².


ი. ჰავჭავაძეს დანაშაულად მიაჩნია ერისათვის მშობლიური ენის სწავლებაზე უარისთქმა და მოჰყავს ცნობილი პედაგოგი-მეცნიერების — უმინსკის, პესტალოცის, დისტერვეგის, ვესელის და სხვათა შეხედულებანი იმის შესახებ, რომ დედაენაზე სწავლების გარეშე შეუძლებელია ახალგაზრდის გონების მომწიფება. თავის სტატიაში „ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო“, რომელიც გაზ. „დროებაში“ დაიბეჭდა 1881 წელს, ი. ჰავჭავაძე წერს: „ყველამ, დიდმა და პატარამ შეიტყოს და გაიგოს, რა ღონეა დედა-ენა სკოლისათვის საერთოდ და საეროსათვის საკუთრივ. ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკან-დაუხევლად ვთხოულობთ დედა-ენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში, — ეგ. მარტო დედა-ენის სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია“³.

ი. ჰავჭავაძეს დაუშვებლად მიაჩნია ადგილობრივი ენების დევნა რუსი მოხელეების მიერ, რომლებმაც კარგად იციან, რომ ენა

¹ ი. ჰავჭავაძე, თხზ., სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 75.

² ი. ჰავჭავაძე, თხზ., სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 322.

³ იქვე, გვ. 277—278.



ეროვნების არსებითი ნიშანია და რუსი მოხელეების ტლანქი ხელი სწორედ ენას მისწვდა. რუს მოხელეებს, რომლებიც ადგილობრივი ენების წინააღმდეგ იბრძვიან, მოჰყავთ გაცვეთილი დებულებები შესახებ, თითქოს სახელმწიფოს ერთიანობა შეუძლებელია იქ, სადაც ყველანი ერთსა და იმავე სახელმწიფო ენაზე არ ლაპარაკობენ. ი. ჭავჭავაძე გაბედულად ილაშქრებს ამ რეაქციული მოსაზრების წინააღმდეგ. ილია აღნიშნავს, რომ იყო დრო, როცა ამგვარ მოსაზრებას ავითარებდნენ სარწმუნოების, რჯულის შესახებ. კერძოდ, მიუთითებდნენ, რომ სახელმწიფოს ერთიანობის იდეას ეწინააღმდეგება რჯულის სხვადასხვაობა, ერთ სახელმწიფოში შეუძლებელია ღმერთს აღიდებდნენ სხვადასხვა წესით. ამ მოსაზრების უსაფუძვლობა ისტორიამ უკვე დაამტკიცა, დღეს უკვე გაბატონებულია ის აზრი, რომ სარწმუნოების სხვადასხვაობა სრულებითაც არ უშლის ხელს სახელმწიფოს ერთიანობას. მართალია, დღეს გაბატონებულია აზრი იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს ერთიანობა ენის ერთიანობასაც უნდა ნიშნავდეს, მაგრამ დადგება დრო, აღნიშნავს ი. ჭავჭავაძე, და ენის შესახებაც იმასვე იტყვიან, რასაც დღეს სარწმუნოებაზე ამბობენ: „მოვა დრო, როცა უმეცარნი და ძალადმაცხონე მოხელეებიც კი დაინახავენ, რომ ჩვენს შეუძლიან თავისი სკოლა, თავისი შინაური საქმეები თავისის დედა-ენის შემწეობით მოაწყოს და ავსტრიის იმპერიის ერთობა ამითი არამც თუ შეირყეს, უფრო გაძლიერდეს და განმტკიცდეს“¹. რუსეთის მოწინავე საზოგადოებაში, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, მეფის თვითმპყრობელობის მოხელეებისაგან დევნილი აზრი თანდათან გზას იკვლევს და გაბატონებული ხდება. ი. ჭავჭავაძე ამ მხრივ დადებითად აფასებს პროგრესულად მოაზროვნე ცნობილი რუსი იურისტის სპასოვიჩის სიტყვას, რომელიც მან 1881 წლის 2 თებერვალს წარმოთქვა იურიდიულ საზოგადოებაში. სპასოვიჩის სიტყვაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ყველგან სამართალწარმოება იმ ენაზე უნდა იყოს, რომელზეც ერი ლაპარაკობს, სახელმწიფო კი, როგორც ერთიანი პოლიტიკური დაწესებულება, მხოლოდ წესრიგს უნდა ამყარებდეს საზოგადოებაში, რათა სხვადასხვა ენებმა ერთმანეთს არ შეუშალონ ხელი. სახელმწიფო მოხელემ, რომელმაც არ იცის ადგილობრივი ენა, უნდა ისწავლოს იგი, ეს უფრო ადვილია, ვიდრე მთელმა ერმა ერთი მოხელის გულისათვის დაივიწყოს თავისი დედა-ენა და უცხო ენა ისწავლოს. მოხელეებმა იმ სახელმწიფოს უპირატესობა, რომელსაც ისინი ემსახურებიან,

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 81.

უნდა დაამტკიცონ თავიანთი კულტურითა და უკეთესი მმართველობით, ასეთ შემთხვევაში ამ მოხელეთა ხელისუფლებას და ამ სახელმწიფოს ენას, რომლის წარმომადგენლებიც ისინი არიან, ვერც ერთი ენა წინ ვერ აღუდგება, მაგალითად, რომელსაც თალმა და ნაპოლეონის კოდექსმა, როგორც უდიდესმა პროგრესულმა მოვლენებმა, ერებზე ისე განავრცო თავისი ზეგავლენა, რომ ამ ერებისათვის ენა არ ამოუგლეჯია პირიდან.

ი. ჭავჭავაძე აკრიტიკებს მეფის თვითმპყრობელობას, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობს ქართული ენის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან განდევნისათვის. იგი შენიშნავს, რომ მეფის მთავრობამ XIX საუკუნის 60-იან წლებში განახორციელა მთელი რიგი რეფორმა, მაგრამ მათ ქართველი ხალხის მიმე მდგომარეობა არ შეუმსუბუქებია. ქართველი ხალხი, მისი აზრი და გონება მტკიცედ იცავს მშობლიურ ენას და მოითხოვს მის ფართოდ გამოყენებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ ამოდ. ი. ჭავჭავაძე შენიშნავს: „ეს გარემოება მიგვაჩნია ჩვენ მიზეზად, რომ ასე შეფერხებით მიდის ჩვენის (ხალხის განათლება) და პირველდაწყებითი სკოლის საქმე. ამ გარემოების ბრალია, რომ ჩვენ ვეღარა მოგვიხერხებია-რა წერა-კითხვას მაინც ვავრცელებდეთ ხალხში“¹. განათლება კი ი. ჭავჭავაძეს, როგორც დიდ განმანათლებელ უტოპისტ-სოციალისტს, მიაჩნია საზოგადოებაში არსებული სოციალური უბედურებების აღმოფხვრის უმთავრეს იარაღად: „უმეცრებაა ჩვენი საშიშარი მტერი. უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან. განათლება, სწავლა, ცოდნა — აი ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას“². ქართული ენის დევნამ ჩამოაქვეითა ერის სწავლა-განათლება, შეუძლებელი ხდება წერა-კითხვის გავრცელება ხალხში, რომელიც ერის განათლებულ ნაწილს თანდათან შორდება, ამ უკანასკნელის არც იმედი აქვს და არც არაფერი ესმის. ამაში დამნაშავე ისევ ჩვენა ვართ. რადგან ჩვენ ვერ შევძელით ვერც სახალხო სკოლებისა და ვერც ტექნიკური და სახელოსნო სასწავლებლების გახსნა, სადაც ქართულ ენაზე იქნება სწავლა. რაც შეეხება სამღვდლოებას, მისი წარმომადგენლები სასულიერო სემინარიებში ძირითადად რუსულად სწავლობენ, ქართულს კი ისე „ასწავლიან, რომ არ-სწავლება სჯობიან“³. ქართული ენის შენარჩუნებისათვის ბრძოლა ეროვნუ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 281.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 340.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 109.

ლი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად თავდაპირველად სწავლა-განათლების საქმის ორგანიზაციით უნდა დაიწყოს, ი. ე. ო. ჭავჭავაძე 1877 წელს წერდა: „გვეყო, ბატონებო, ჩვენის განათლების მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება. ჩვენის გაჭირვებისა, გულის-ტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ. მძიმეა ეს უღელი, მაგრამ მით უფრო სახელოვანია მისი ერთგულად გამ-წევი. მძიმეა, მაგრამ უმაგისოდ ვერ შოებულა ამ ქვეყნიერობაზედ სიკეთე და ძალ-ღონე ხალხისა. სხვა გზა არ არის, ჩვენის ცხოვრების შარა-გზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვიგდოთ. ჯერ თუნდა აქილამ დავიწყოთ, რომ ჩვენს შვილებს სწავლისა, განათლებისა და ერთობ კაცად ქცევის გზა მივსცეთ იმოდენად ფართო, რამოდენადაც შესაძლო იქნება“¹. ი. ე. ო. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ სასკოლო დაწესებულებების ქსელი მეტის-მეტად მეჩხერია, სკოლები უმთავრესად დიდ ქალაქებშია ჩამო-ყალიბებული და ამის გამო მის კედლებში ძირითადად მდიდართა შვილები სწავლობენ. განათლების ფართოდ გავრცელებას დიდად აფერხებს მისი წოდებრივი ხასიათი, მთავრობამ, მართალია, აღი-არა, რომ განათლების საქმეში წოდებრივ განკერძოებულობას სა-სურველი შედეგი არ შეიძლება მოჰყვეს. მაგრამ ფართო მასების სწავლა-განათლების შესაძლებლობას მაინც მოკლებულია.

ი. ე. ო. ჭავჭავაძე 1893 წელს გაზ. „ივერიაში“ აქვეყნებს წერილს სა-თაურით: „სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებელი. წოდებ-რიობის წინააღმდეგ განათლების საქმეში“. ამ წერილში აღძრული საკითხი გაგრძელებაა იმისა, რაც მან იმავე გაზ. „ივერიაში“ 1879 წლის იანვარში გამოაქვეყნა. ესაა სწავლა-განათლების საქ-მეში წოდებრიობის საკითხი. ი. ე. ო. ჭავჭავაძე მკაცრად გმობს წოდებ-რიობას განათლების საქმეში, რითაც მეფის მთავრობა ხელმძღვა-ნელობდა. იგი, როგორც თავისი დროის განმანათლებელი, დაუშ-ვებლად მიიჩნევს სწავლა-განათლების ორგანიზაციის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად წოდებრიობის მიჩნევას, რადგანაც ასეთ შემ-თხვევაში მთავრობა განათლების მიღებას საზოგადოების პრივი-ლეგიური ნაწილის უფლებად აცხადებს. დიდი ხნის განმავლობა-ში, აღნიშნავს ი. ე. ო. ჭავჭავაძე, მთავრობა მხოლოდ საშუალო სასწავ-ლებლებზე ამყარებდა განათლების იმედებს, მაგრამ საშუალო სას-წავლებელი მისაწვდომია მხოლოდ საზოგადოების მდიდარი ნა-წილისათვის (თავადაზნაურობა და ქალაქის ვაჭრები). ასეთ ვითა-რებაში „მთავრობის მზრუნველობა განათლების შესახებ დღეს —

¹ ი. ე. ო. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 323.

აქამომდე მარტო წოდებათა (СОСЛОВНЫЙ) განათლების მზრუნველობას მოასწავებდა და სხვას არაფერს. სხვა დანარჩენი, ფრიად დიდძალი ხალხი კი, რომელიც ქვეყნის ქეშმარიტ ღონეს შეადგენს, ამ მზრუნველობიდან გამოკლებული იყო“¹. ამ უკანასკნელს იმის ოდში, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, ფართოდ გავრცელდა აზრი იმის შესახებ, რომ მთავრობის მხრივ მარტო ერთი წოდებისათვის განსაკუთრებული ზრუნვა დიდი შეცდომაა, რადგან „სწავლა და განათლება უფესვოა იქ, საცა უდიდესი ნაწილი ხალხისა კარდახშულია, მოკლებულია სწავლის სახსარსა“².

სწავლა-განათლების საქმეში წოდებრიობის მოსასპობად თვითონ ხალხის ინიციატივით, მისი „თვითმოქმედებით“ დაიწყო სახალხო სკოლების გახსნა, რასაც უნდა უზრუნველყო უცოდინარობის აღმოფხვრა ქართველ ხალხში. ამ საკითხს ი. ჭავჭავაძე ისევ უზრუნველბა რამდენიმე წლის შემდეგ იმასთან დაკავშირებით, რომ მეფის რუსეთის განათლების სამინისტრომ შეიმუშავა ახალი პროექტი, რომლითაც ქალთა გიმნაზიებში მიღების უფლება მხოლოდ უმაღლესი წოდების წარმომადგენლებს უნდა მინიჭებოდა. ი. ჭავჭავაძე აკრიტიკებს ამ პროექტს და მიუთითებს, მის „შემდგენელს დავიწყებია, რომ ასეთი განკერძოება წოდებათა, ასეთი განცალკევება ერთის ქვეყნის შვილთა, რომელთა ცხოვრება, ინტერესები, გრძნობა, აზრი და მისწრაფება ურიცხვის სიმით არის გადაბმული და გადახლართული დანაშთენთან, შეცდომაა. ეს შეცდომა დაჰგმო ძველ ერთა ისტორიამ და დაამტკიცა, რომ მხოლოდ ყველა წოდების კავშირი გაუძლებს განათლების და ხალხის დაწინაურების დამაბრკოლებელს მიზეზებს“³.

სწავლა-განათლების საქმეში წოდებრივი განკერძოებულობა ხელს უშლის ახალგაზრდობის ღირსეულ მოქალაქეებად აღზრდას. შეუძლებელია მოქალაქეების აღზრდა ეროვნული ღირსებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების გარეშე. ი. ჭავჭავაძე მთლიანად იზიარებს შეხედულებას იმის შესახებ, რომ მშობლიურ ენაზე აღზრდა ახალგაზრდას უღვიძებს კეთილშობილურ ეროვნულ გრძნობებს, თავისი ერის სიყვარულს: „ეროვნებაზედ დამყარებული ბავშვის აღზრდა ყოველთვის იპოვის პასუხს და შემწეობას მაგ ცოცხალს და ძლიერს სიყვარულში, რომელიც უფრო ძლიერად

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 20.

² იქვე, გვ. 21.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 376.

მოქმედებს, ვიდრე რწმენა, მარტო ჰკუთით მიღებული, ანუ ზნე, დას-
ჯის შიშით ჩანერგული“¹. სასწავლებლებში ახალგაზრდობის ბოზრ-
და ქართულ ენაზე ეროვნული ღირსების საქმეა, ამიტომ უნდა იქონიეს
გაზრდობის ღირსეულად აღზრდის ერთ-ერთ მთავარ „სახსრად და-
საგნად ცნობილია იმ ადგილის, ქვეყნის, ერის შესწავლა და ცოდ-
ნა, რომელთაც ბავშვი ეკუთვნის დაბადებით და ცხოვრებით“².
სკოლა არა მარტო მეცნიერებას უნდა ასწავლიდეს ახალგაზრდო-
ბას, არამედ ზნეობრივადაც წვრთნიდეს მას. სამწუხაროდ, სწო-
რედ იმის გამო, რომ სწავლა-განათლება წოდებრიობის ზეგავლე-
ნას განიცდის, სკოლები თავიანთ დანიშნულებას ვერ ასრულებენ:
„ეხლანდელი სკოლა-კი სულ სხვა საგანს მისდევს და ეს ზნე-ბა-
სიათის წვრთნა თავმინებებულია. ეხლანდელი სკოლა მარტო იმის
ცდაშია, რომ ბატარა ბავშვის თავში, რაც შესაძლოა, ბევრი ცოდნა
დასტიოს, ყმაწვილს ბევრი რამ ასწავლოს მარტო ცოდნისა და
სწავლისათვის და არა კაცის გაადამიანებისათვის. ამიტომაც არც
კაცად-ლა ვარგობენ ეხლანდელი ყმაწვილები და არც იმათი სწავ-
ლა-ცოდნიდამ გამოდის რამ“³.

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, სწავლა-განათლებაში წოდებრიობას,
რომელიც ახალგაზრდობის უმრავლესობას სკოლის გარეთ ტოვებს,
კიდევ უფრო ამტკიცებს ის გარემოება, რომ სასწავლებლებში მი-
საღებ მოსწავლეთა კონტინგენტი ერთობ მცირეა, მთავრობა არ
ზრუნავს სახალხო განათლებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ სწავ-
ლის მსურველი და მისაღებ გამოცდებზე კონკურსში მონაწილე,
მისაღებ კონტინგენტთან შედარებით, ძალიან ბევრია. ამ მოსაზრე-
ბის ნათელსაყოფად ი. ჭავჭავაძეს მოჰყავს 1883 წლის მონაცემები.
იგი წერს: „ვაკანსიები წელს ტფილისის სასწავლებლებში იყო
შემდეგი: კადეტის კორპუსში (ესეც კი დავკარგეთ ბედოვლათო-
ბით) იყო 25-მდე, მსურველნი კი 120. საოსტატო ინსტიტუტში
25, მსურველნი 75. მიღებულთ რიცხვში ქართველი მხოლოდ
ოთხია. მეორე გიმნაზიაში მიიღეს წელს 40, მსურველი კი იყო 150.
სათავად-აზნაურო სკოლაში 30, მსურველი კი ასზე მეტი. ქუთა-
ისში სააზნაურო სკოლაში იყო თურმე 60 ყმაწვილისა და მსურ-
ველნი კი 200-ზე მეტი. გიმნაზიაში და პროგიმნაზიაში მეოთხედიც
არ მიუღიათ წარმოდგენილის ბავშვებისა. სამოქალაქო სამკლასიან
სასწავლებლებში, რომელიც შარშან გაუხსნიათ, თხოვნა შესულა

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 279.

² იქვე, გვ. 278.

³ იქვე, გვ. 298.

სამასზე მეტი, მიუღიათ მხოლოდ ორმოცი. მეორე ორ-კლასიან სა-
შკოლაში სასწავლებელში თხოვნა შესულა 100, მიუღიათ 75.
მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მიღება, ახალგაზრდა მწიფე
ეროვნულ საწყისებზე აღზრდა, ქართველ ხალხთან სახელმწიფო
ხელისუფლების ორგანოების ურთიერთობა ქართული ენის მეშ-
ვეობით, ი. ჭავჭავაძის აზრით, სრულებითაც არ ნიშნავს სხვა
ხალხთა ენებისა და კულტურის უგულვებელყოფას. პირიქით, ი. ჭავ-
ჭავაძის აზრით, სწავლა-განათლება, მეცნიერების მიღწევების და-
უფლება შეუძლებელია უცხოური ენების ცოდნის გარეშე. მცოდ-
ნედ და განათლებულად მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს კაცი,
თუ იგი მშობლიურის გარდა, კარგად იცნობს და დაუფლებულია
უცხო ქვეყნების ენებსა და კულტურას. ამიტომაც, ი. ჭავჭავაძის
აზრით, სწავლა-განათლება და აღზრდა ეროვნულ ნიადაგზე სრულ-
ებითაც არ ნიშნავს მსოფლიო კულტურის მიღწევათა შესწავ-
ლაზე უარისთქმას: „რასაკვირველია, ზედმიწევნით უნდა გავიც-
ნოთ რუსული მწერლობა და აგრეთვე უნდა ვსცდილობდეთ, სხვა
უცხო მწერლობაც შევისწავლოთ. ჩვენთვის ეს იმდენად აშკარა
და ჭეშმარიტია, რომ მეტი ლაპარაკი საჭირო არ არის.... ხოლო
ჩვენი აზრი ის არის, რომ ყოველს სწავლასა და ცოდნას საძირკვ-
ლად საკუთარის მწერლობისა და ვითარების ცოდნა უნდა და-
ედოს... ახლად ფეხადგმულმა საზოგადოებამ საკუთარი ვითარება
უნდა შეისწავლოს... მაგალითად, თუ დიდმა და ბატარამ ქართული
ენა საკმარისად არ ვიცით, ცხადია, რომ ამ ენის შესწავლა ჩვენთ-
ვის აუცილებელი და უმთავრესი საგანია; თუ ეს ენა კარგად შე-
ვითვისეთ, მაშინ აშკარაა, უცხო ენასაცა და მწერლობასაც უკეთ
შევისწავლით“².

როცა უცხოურ ენებზე ლაპარაკობს ი. ჭავჭავაძე, პირველ რიგ-
ში მას მხედველობაში აქვს რუსული ენა, რომელიც სხვადასხვა
ერის გაერთიანების საფუძველზე შექმნილი ერთიანი რუსეთის
სახელმწიფო ენას წარმოადგენს. ი. ჭავჭავაძე მრავალგზის მიუთი-
თებდა, რომ რუსულმა მეცნიერებამ და რუსულმა სკოლამ გავცილო
ყველა ჩვენგანს განათლებისა და ცოდნის კარები. სკოლებში რუ-
სული ენის სწავლება არა მარტო მთავრობას, არამედ „ჩვენცა
გვსურს და ძალიანაც, განა მარტო იმისათვის, რომ იგი საჭიროა
ვითარცა სახელმწიფო ენა, არამედ იმისთვისაც, რომ მისი ლიტე-
რატურა ეხლა იმოდენად ძლიერია, რომ შეუძლიან გონება-გახს-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 284.

² ი. ჭავჭავაძე, თხ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 316.



ნილს კაცს სულის საზრდოება მისცეს. იგი ღონეა, არამც თუ როგორც მეტის ცოდნა, არამედ როგორც სახსარი საცხეთავედ ბრძოლისათვის, იგი ფარ-ხმალია დღეს ჩვენთვის ყველაზე უფრო ყველგან. რაკი შინიღამ გარეთ ფეხს გამოვდგამთ“¹.

საკუთარი ენის გარდა, ქართველი ერის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია ის, რომ იგი არის „ისტორიის ერთობით“ განმტკიცებული ადამიანთა გვარტომობითი კავშირი“, ანუ სხვანაირად, ერთნაირი ისტორიით შედუღებული „ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა კრებულნი“. ქართველი ერი, ისე როგორც ყველა ერი, თავისი საკუთარი ისტორიით სულდგმულობს. ერი როგორც „ერთს ისტორიულ უღელში ბმული“ იძენს ერთნაირ თვისებებს, რაც გამოხატულებას პოულობს ამა თუ იმ ერისათვის დამახასიათებელ ერთ-სულოვნებასა, ძლიერებასა, ერთგულებასა და სიმტკიცეში. ქართველი ერის ისტორიაში ხშირად ყოფილა შემთხვევები, როცა მოძალადე დამპყრობლებმა დაარღვიეს მისი ერთიანობა, მოშალეს ქვეყნის მთლიანობა, რის შედეგადაც მტრების მიერ მიტაცებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ერის ნაწილი მოკვლიჯეს ქართველი ერის ძირითად ბირთვს, ქრისტიანული სარწმუნოებაც კი წაართვეს, მაგრამ საერთოდ ერისათვის დამახასიათებელმა „იღუმალმა შემსჭვილებამ“, „დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ“ თავისი გაიტანა და ქართველი ერი ისევ აღადგინა, ისევ გახადა „ერთს ისტორიულ უღელში ბმული“.

ი. ჭავჭავაძის აზრით, ამის ნათელ მაგალითს გვაძლევს ე. წ. ოსმალის საქართველო ანუ სამცხე-საათაბაგო, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართველი ერის ისტორიაში. უძველეს დროში, როცა ბიზანტია, სპარსეთი და ოსმალეთი ერთმანეთს ეცილებოდნენ საქართველოს თაობაზე და მის დანაწილებაზე ოცნებობდნენ, ქართველი ერი მტკიცედ იდგა მტრების პირისპირ ეროვნული დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. ქართველ ერს აკავშირებდა ქრისტიანობაც, რომელიც პირველად სამხრეთ საქართველოში გაავრცელა ანდრია მოციქულმა. ქრისტიანობამ სძლია აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ კერბთაყვანისმცემლურ სარწმუნოებას და ქრისტიანული რწმენის განმტკიცებაში დიდი როლი შეასრულა წმინდა ნინომ. ქართველი ერის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების მრავალ ცდას შედეგი არ მოჰყოლია, თუმცა ქრისტიანული რწმენა იმ ძნელბედობის პერიოდში დიდ როლს ასრულებდა ერის მთლიანობის შენარჩუნების საქმეში.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 287.

მაგალითად, როცა არაბები საქართველოში შემოიჭრენ და ქაქუცა
დიანობის გავრცელებას ცდილობდნენ, ქართველები ქრისტიანულ
წიგნებს თარგმნიდნენ და წერდნენ, ქრისტიანობის განსაზღვრე-
ლად აშენებდნენ მონასტრებს და ა. შ. დაბოლოს დადგა წინააღი-
დრო, მეფე ბაგრატ მესამედან მოყოლებული დაიწყო ქართველი
ერის გაერთიანება ერთ სახელმწიფოდ და მისი შემდგომი გაძლი-
ერება. ამ სახელმწიფოში ცხოვრობდა და შრომობდა სხვადასხვა
სარწმუნოებისა და ეროვნების ხალხი, ქართული სახელმწიფოებ-
რიობა, რომელიც მთელი კავკასიელი მოსახლეობის მეთაურად და
მედროშედ გამოდიოდა, აერთიანებდა სხვადასხვა სარწმუნოების
ხალხს და წარმართავდა მის ბრძოლას უცხოელი დამპყრობლების
წინააღმდეგ. ტოლერანტიზმი წარმოადგენდა ამ ეპოქის ქართული
სახელმწიფოს პოლიტიკურ კურსს და საერთოდ, მიუთითებს ი. ჭავ-
ჭავაძე, „ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს
სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა ან დევნა...
სხვა ქვეყანაში საწრმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი — აქ
ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის-ყოფელს სავანესა და სინიდისის
თავისუფლებასა“¹.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ სამხრეთ საქართველოში მცხოვ-
რებნი, XVII საუკუნიდან მოყოლებული, თურქმა დამპყრობლებმა
თანდათან ჩამოაშორეს ქართველ ერს და გააძაპრებდნენ. ქართვე-
ლი ხალხი მუდამ რჯულშემწყყნარებულ პოლიტიკას ახორციელებ-
და მკვიდრი მუსულმანების მიმართ და დღეს, როცა ე. წ. ოსმალის
საქართველოს დედა-სამშობლოსადმი შემოერთების საკითხი დად-
გა, სამხრეთ საქართველოში მცხოვრები მუსულმანური ხალხი, რომ-
ლებიც თავიდანვე ქრისტიანები იყვნენ, ქართველი ერის განუყო-
ფელი ნაწილი გახდება: „ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ
დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინიდისს.
და დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პა-
ტიოსანს და ღმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალ-
ში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი“².

ისტორიული ავბედობით გამოწვეული სარწმუნოებრივი სხვა-
დასხვაობა ქართველი ერის გაერთიანებას ხელს ვერ შეუშლის,
რადგანაც საუკუნეების განმავლობაში მთელ ქართველ ერს ერთ-
ნაირი რწმენა, ერთნაირი ეკონომიკური, ფსიქიკური და ა. შ. წყობა
გააჩნდა და ერში ეს „იღუმალი შემსკვალეობა, იღუმალი მიმზიდვე-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 13.

² იქვე, გვ. 11—12.

ლობა იმოდენად სუფევს“, რომ თუნდაც „დროთა ბრუნვის ერთი
განეყოს, დაერღვიოს“, საკმარისია ერთი პატარა შემთხვევა, რომელიც
ერის დაძინებულმა ისტორიამ გამოიღვიძოს. ნიკოლოზი

ქართველი ერის ისტორია უძველესი დროიდან იწყება, იგი რაოდენიმე ათეულ საუკუნეს ითვლის. ერის ზოგადი ცნების დახასიათებისას, როგორც ზემოთ დავინახეთ, ი. ჭავჭავაძე აკრიტიკებს ი. ჯაბადარის მიერ ბურჟუაზიული მეცნიერებიდან ნასესხებ რეაქციულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ცალკეული ადამიანის მსგავსად ერებსაც გააჩნიათ თავიანთი ბავშვობა, ყრმობა, ჭაბუკობა, მოწიფულობა და სიბერე, რასაც ერის გარდუვალი სიკვდილი მოსდევს. ამ ბურჟუაზიულ-სოციოლოგიურ თეორიაზე დაყრდნობით ი. ჯაბადარი ავითარებდა დებულებას იმის შესახებ, რომ ქართული ენა დაბერდა და ძალ-ღონისაგან დაიცალა, რასაც მისი გარდუვალი სიკვდილი უნდა მოჰყვეს. ი. ჭავჭავაძემ, რომელიც ალაშფოთა ი. ჯაბადარის ამ დასკვნებმა ქართველი ერის მომავლის შესახებ, მსოფლიოში წარმოჩენილი ერების ისტორიის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ცხადყო როგორც დრეპერის სოციალურ-ორგანული თეორიის მცდარობა, ასევე დიდი ისტორიის მქონე ქართველი ერის სიცოცხლისუნარიანობა. ი. ჭავჭავაძე წერს: „რას გვიქვიან ერის სიბერე? აიღეთ ეხლანდელი ერნი ინგლისისა, საფრანგეთისა, გერმანიისა, ამერიკელ-ინდოელისა, აფრიკის ზანგისა, ამაშის ეთიოპელისა და გვითხარით, ამათში რომელი ვიგულისხმობთ ბებრად და რომელი ახალგაზრდად? მართალია, ამათში არიან ძველნი და ახალნი, რომ ერთს სიკვდილის მეტი არა დარჩენოდეს რა, როგორც ცალკე კაცს, სიბერეში ჩავარდნილს, და მეორე-კი ზრდაში იყოს, მინამ დაბერდებოდეს და სიბერეს თან გადაჰყვებოდეს. ეგ ძველ-ახლობა მარტო იმას მოასწავებს, რომ ერთი ადრე გამოსულა საისტორიო სარბიელზედ და მეორე გვიან“¹.

იბრძვის რა საზოგადოებაზე ბუნების კანონთა გავრცელების რეაქციული ბურჟუაზიული სოციოლოგიის წინააღმდეგ, ი. ჭავჭავაძე ასევე ცხადყოფს ი. ჯაბადარის მიერ ქართველი ერის ბუნების გამოსარკვევად დაყენებული საკითხის უაზრობას, კერძოდ, ილიას მეცნიერული კვლევისათვის შეუფერებლად მიაჩნია საკითხის დასმაც კი იმის შესახებ, რომ ქართველი ერი დაიცალა ძალ-ღონისაგან, თუ ჯერ კიდევ არ დაუწყია სრული ინტენსიური ცხოვრება და მომავლისათვის შეუნახავს იგი. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ი. ჯაბადარის მსჯელობა ქართველი ერის შესახებ ემყა-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 19.

რება შემდეგ მცდარ და მეცნიერებისათვის სრულიად მიუღებელ მოსაზრებას: „ჯერ ისა, რომ ერის ცხოვრებაში სიბერეს თავისი ადგილი აქვს; მეორე ისა, რომ „ინტენსიური ცხოვრება“ ერთკლასურად გამომცლებელია და, მაშასადამე დამაუძღურებელი: მესამე კლასურად რომელს ერსაც ინტენსიური ცხოვრება არა ჰქონია, ჰქვა უხმარია და ღონე შეუნახავს მერმისისათვის და, მაშასადამე, წინ უნდა იყოს იმ ერზედ, რომელიც მისცემია ინტენსიურ ცხოვრებას და ამობაში ღონისაგან იცლება“¹. გარდა იმისა, რომ ი. ჯაბადარის ეს მოსაზრებანი სლავიანოფილიზმს ენათესავება, გვაწავლის სრულ უგუნურობას, კერძოდ, ვერიდოთ ინტენსიურ ცხოვრებას, რაც დაგვიზოგავს ძალ-ღონეს შორეული მომავლისათვის. ი. ჯავჭავაძე ირონიულად შენიშნავს, რომ ახლა გასაგებია, ველური ხალხი რატომ უფროთხის ინტენსიურ ცხოვრებას და ი. ჯაბადარის ეს დებულება რომ გავრცელდეს ევროპაში, ალბათ „ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და ერთობ მთელი ევროპა თავს დაანებებს ინტენსიურ ცხოვრებას და ღონეს შეინახავს მერმისისათვის ჩვენებურადა, ქართველურადა“².

ქართველი ერის, ხალხის მრავალსაუკუნოვანი მატერიალური და სულიერი ცხოვრების ისტორიის ანალიზის საფუძველზე ი. ჯავჭავაძე ცხადყოფს ი. ჯაბადარის შეხედულებათა ანტიმეცნიერულობას იმის შესახებაც, რომ „ქართველებს თავიდან ბოლომდე თავისი არა ჰქონიათ-რა და სულ ყოველისფერი სპარსელების ნაწყალობებიაო“³. ი. ჯავჭავაძემ ქართული ენის ისტორიული განვითარების მეცნიერული გამოკვლევიო, რაზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, ცხადყო ი. ჯაბადარის მტკიცების უსაფუძველობა და მიუთითა, რომ როგორც თვითმყოფად ერს, ქართველებს უძველესი დროიდან ჰქონდათ საკუთარი სახელმწიფო და, მაშასადამე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქართული სახელმწიფოებრიობის განსახორციელებლად საკუთარი მშობლიური, ქართული ენა. ასევე უსაფუძველოდ მიაჩნია ი. ჯავჭავაძეს ი. ჯაბადარის მტკიცება იმის შესახებ, რომ უძველეს დროში, ათასზე მეტი წლის განმავლობაში საქართველოს ირანთან თითქოს საერთო ცხოვრება ჰქონდა, რამაც თავისი გამოხატულება პოვა, უპირველეს ყოვლისა, სარწმუნოების ერთობაში.

ი. ჯავჭავაძე აღნიშნავს, რომ, ი. ჯაბადარის აზრით უძველეს

¹ ი. ჯავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 23.

² იქვე, გვ. 25.

³ იქვე, გვ. 139.

დროში, კერძოდ, დაწყებული ძვ. წ. მეათე საუკუნიდან დამთავრებული მეორე საუკუნით, ქართველები ცეცხლმსახურები იყვნენ. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ქართველთა ისტორიიდან უნდა გამოვიყოს არაა გამორიცხული, მაგრამ არასწორია ის არგუმენტები, რომლებიც ი. ჯაბადარს მოჰყავს ამ დებულების დასამტკიცებლად. ი. ჯაბადარი ამტკიცებს, რომ ბაიერმა მცხეთის სამარხების გათხრებისას იპოვა აბსიდიანის ქვის ნატეხები, რაც თითქოს იმის მაჩვენებელია, რომ ამ ეპოქაში ქართველები ცეცხლმსახურები იყვნენ. გარდა ამისა, დღესაც ქართველები ცოდვად თვლიან ცეცხლის წამურტვლას.

ი. ჭავჭავაძე ემყარება სპენსერის გამოკვლევებს და მიუთითებს, რომ აბსიდიანის ქვით კლავდნენ საწირავს, მაგრამ ეს სრულებითაც არაა ცეცხლმსახურების ნიშანი. აბსიდიანისაგან გაკეთებულ დანას სხვა რჩულის წარმომადგენლებიც ხმარობდნენ თავიანთი სარწმუნოებრივი წესის აღსასრულებლად. რაც შეეხება ქართველთა მიერ ცეცხლის განსაკუთრებულ პატივისცემას, მიუთითებს ილია, იგი ეკუთვნის არა ცეცხლს, არამედ კერას, რომელსაც ქართველები უძველესი დროიდან დღემდე განსაკუთრებულ პატივს სცემენ. ასევე არასწორად მიაჩნია ი. ჭავჭავაძეს ი. ჯაბადარის მტკიცება, თითქოს ცეცხლმსახურება ქართველებმა სპარსეთიდან გადმოიღეს. ლებოკის სათანადო ნაშრომზე მითითებით, ი. ჭავჭავაძე უარყოფს ი. ჯაბადარის ამ დებულებასაც და აღნიშნავს, რომ ცეცხლმსახურება თავის დროზე ერთმანეთისაგან დაშორებულ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში იყო გავრცელებული, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ ეს სარწმუნოება შეიძლება რომელიმე ქვეყანაში დამოუკიდებლადაც დაფუძნებულიყო.

ქართველი ერის ცხოვრებაში სარწმუნოების როლის გარკვევა ი. ჭავჭავაძის პოლიტიკურ მოძღვრებაში იმ ძირითადი მიზნის დასაბუთებას ემსახურება, რომ უცხოელ დამპყრობთა მიერ მიტაცებული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძალით გამაჰმადიანებულ ქართველთა შემოერთება თავის დედა-სამშობლოსთან აუცილებელი ისტორიული პროცესია, რომლის შეჩერება შეუძლებელია იმ მოტივით, თითქოს მათ ქრისტიანებისაგან განსხვავებული სარწმუნოება აქვთ. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ დამპყრობთა მიერ საქართველოდან ძალით ჩამოშორებული ქართველები თავიდანვე იყვნენ ქრისტიანები, გარდა ამისა, ქართველები თავიანთი ბუნებით ტოლერანტები არიან. ყველაფერი ეს ავალებს ქართველ ხალხს, განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრან ისტორიის ავტორობით საქართველოსაგან მოწყვეტილ ე. წ. „ოსმალოს ქართვე-

ლებს“, რომლებიც თავიანთ დედა-სამშობლოს — საქართველოს
შერთდება.

ეროვნული
ინტელიტის

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბატონყმობის გაუქმებით მემდგომი განვითარების პერსპექტივები იქმნება ქვეყნის ეკონომიკური წყობილების წინსვლასა და განმტკიცებაში. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ერის ცნების შინაარსის განმსაზღვრელს წარმოადგენს ეკონომიკური წყობის ერთიანობა. უძველეს დროში ქართველ ერს ერთიანი ეკონომიკური წყობა გააჩნდა და სიტყვა „მამულის“ ცხოველყოფელი ძალა ერის ცხოვრებაში გადამწყვეტი იყო. ი. ჭავჭავაძის აზრით, იქ, სადაც ხალხობა დაურღვეველია და ერი განთავითულებული არ არის, სიტყვა „მამული“, „მთელი ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია“, ამიტომ მის შინაარსს მრავალი ასპექტი აქვს. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ცნება „მამული“, ი. ჭავჭავაძის აზრით, ერის ფენომენის ტერიტორიულ მთლიანობას გამოხატავს, მაგრამ, იგი გარდა ზემოაღნიშნულისა, ჩვენი ხალხის ერთიანი ეკონომიკურ წყობილებაზეც მიუთითებდა, როცა „ჩემი „მე“ და შენი „მე“ ჩვენის ერთიანის ხალხის ცხოვრების საყვეარში ერთად ბმულა“¹. ამ დროისათვის ქართველი ერის ეკონომიკური წყობილების თავისებურებას შეადგენდა ის, რომ მიწის ნაკვეთები („მამულ-დედული“) სამართლიანად იყო განწილებული, ეკონომიკური ცხოვრება მტკიცე და დაურღვეველი იყო. აქედან წარმომდგარმა სიკეთემ ჩვენამდეც მოაღწია, კერძოდ, „უმამულო და უბინაო კაცი ჩვენში თითქმის არსად არ მოიძევება“². ეს ეკონომიკური წყობა ემყარებოდა მიწის საკუთრების ორ ფორმას, კერძოდ, საზოგადო ანუ სამსოფლიო და საკომლო საკუთრებას. ქართველი ერის განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სამსოფლიო ანუ საზოგადო საკუთრებას მიწაზე, ამიტომ სამეფო ხელისუფლება ერის ძლიერების ამ წყაროს განსაკუთრებით უფრთხილდებოდა. საქმე ისაა, რომ თუ ქვეყანაში საკომლო საკუთრება გავრცელდებოდა და გაბატონდებოდა, მაშინ მიწისმფლობელობაში უთანასწორობას ფართოდ გაეხსნებოდა გზა, ხოლო თუ მიწაზე საზოგადო ანუ სამსოფლიო საკუთრება გაძლიერდებოდა, მაშინ საზოგადოებრივ ცხოვრებაში უთანასწორობა თანდათან შეიზღუდებოდა. მაგრამ დროთა ვითარებაში ძველ საქართველოში „ამ უკეთეს მხარეს ჩვენის ეკონომიკური წყობისა ყური აღარ ათხოვეს; გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლუელობამ, ჩამოვარდა

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 78.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 177.

უსწორ-მასწორობა მიწის მფლობელობაში, არამც თუ კონფლიქტის შორისაც, არამედ სოფელთა შორისაც“¹.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ თანამედროვე ეკონომიკური წყობისათვის დამახასიათებელია უთანასწორობა, რაც ძველ საქართველოში იშვიათობას წარმოადგენდა, ახლა კი — „განვითვითებულდით, და თვითულის ზურგმა ველარ ზიდა ის დიდი აზრი მამულისა, რომელიც ყველასათვის ადვილად საზიდაია“². მამულის ტერიტორიულმა დაქსაქსულობამ და განცალკევებამ ერის მთლიანობის ინტერესებს ზიანი მოუტანა, სახელმწიფო და საზოგადოება ძლიერია, როცა ერი ორგანულადაა ერთმანეთთან შეკავშირებული, როცა ერის შემადგენელი სხვადასხვა წოდებები ერთიანი ჯაჭვის ურთიერთდაკავშირებული რგოლებია. წოდებათა შორის უთანხმოებამ და განსხვავებამ დაღუპა და აღგავა დედამიწის პირიდან მრავალი ძლიერი და სახელოვანი ერი, ამიტომ ერის მთლიანობის ინტერესებისათვის არ უნდა ვიქადაგოთ წოდებათა შორის ბრძოლა: „წოდებათა შორის უთანხმოებასა და სიძულვილის წამოყენება, რასაკვირველია, ვერსად ვერ დააარსებს კეთილსა და სასურველს განწყობილებას, მაგრამ ერთი-ასად უფრო მომაკვდინებელ ცოდვად ჩაითვლება ამ გრძნობის ხელოვნურად გამოწვევა და აღძვრა ჩვენში“³. ყველა წოდების წარმომადგენელი. გლეხია იგი თუ თავადი, უნდა მიგვაჩნდეს ძმად და შვილად და ყველა საკითხის გადაჭრისას მხედველობაში უნდა გვექონდეს არა ერთი რომელიმე წოდება, არამედ მთელი ქართველობა. წოდებრივი პრივილეგიები დამღუპველია განსაკუთრებით ქართველი ერისათვის, რადგან ისტორიის ავბედობამ ის მაცოცხლებელი ნიშნები, რაც ერს ამაღლებს და ასულდგმულებს, დააკნინა: „ჩვენ ისეც დაქსაქსულთა, ერთმანეთთან გადამტერებულთა რალა წოდებრივის საგნების წამოსაყენებლად უნდა გვეცალოს“⁴.

ი. ჭავჭავაძის აზრით, ერის წიაღში არსებული დაპირსპირებულობის მიზეზი პირველ რიგში თავადაზნაურობაა, რომელიც ყველაფერში პირველობას ჩემულობს და პრივილეგიებისათვის იბრძვის. ერის მთლიანობის ინტერესთა შესაბამისად უნდა ვიბრძოლოთ წოდებრივი პრივილეგიების მოსასპობად, „თავადაზნაურობა-კი გამოსულა და იძახის, მეო და არა სხვაო. ბატონებო, თუ ყველანი

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 178.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 78.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 377.

⁴ იქვე.

ერთად არ ვიქნებით, თქვენი „მე“ თუნდა იყოს და თუნდა არა...
თვითელს ზურგი მაგარი სხვისით აქვს და უნდა ჰქონდეს კიდევ,
ამ კანონზეა აშენებული ყოველი ადამიანური საზოგადოება.
ვად-აზნაურთა საზოგადოება გლახთან ერთად სცხფერობს; თუ რა
თავადსა და აზნაურს ეკონომიური, ანუ სხვა რაიმე ანგარიში აქვს,
გლახთან აქვს; თუ რომ რისამე გაკეთება უნდა, გლახის ხელით
აკეთებს, თუ რისამე მოვლა უნდა, გლახის მეოხებით უვლის“¹.
მაგრამ წოდებათა შორის წინააღმდეგობების აღმოფხვრა და საზო-
გადოებაში ერთსულოვნების დამყარება ბრძოლითა და ძალდატა-
ნებით შეუძლებელია. საზოგადოების ერთი ნაწილის გაბატონებას
დანარჩენზე არ შეუძლია აღმოფხვრას სოციალური უსამართლო-
ბანი და წინააღმდეგობანი საზოგადოებაში. ერთადერთი გზა ერის
გამთლიანებისა და წოდებების ერთად შეკავშირებისა, ილიას აზრით,
მხოლოდ განათლებისა და ცოდნის გავრცელებაა. საზოგადოების
თითოეულმა წოდებამ უნდა შეიგნოს, რომ ძალმომრეობა და ბატო-
ნობა დამღუპველია, საზოგადოების ცალკეულ წოდებათა მტრობა
მათი უმეცრებიდან წამოდგება. დიდი განმანათლებელი ი. ჭავჭავაძე
წერს: „განა უმეცრებისაგან არ არის, რომ კაცი კაცს ისე ექ-
ცევა, როგორც მტერი მტერსა, თორემ გონება-გახსნილობა რომ
მოქმედებდეს ამ შემთხვევაში, ადამიანი მალე მიხვდებოდა, რომ
ურთიერთის სიკეთისათვის მოღვაწეობას კაცი უფრო ბევრს გა-
მორჩება, ვიდრე ერთმანეთის მტრობასა“².

ერისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების გარკვე-
ვის შემდეგ ი. ჭავჭავაძის განსაკუთრებული ინტერესის საგანი
ხდება სახელმწიფოსა და ერის ურთიერთობის საკითხები, განსა-
კუთრებით კი მრავალეროვნული სახელმწიფოების იურიდიული
ბუნება. საზოგადოების სოციალურ ბუნებას განსაზღვრავს ის ერი,
რომელსაც ემყარება ეს საზოგადოება. მაგალითად, ქართულ სა-
ზოგადოებაზე რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ის გა-
რემოება, რომ ამ საზოგადოების ბუნების განმსაზღვრელია ქართ-
ველი ერის პოლიტიკურ-ეკონომიკური და ფსიქიკური წყობა, ენა
და ა. შ. მაგრამ საზოგადოებაში შეიძლება არსებობდეს სხვა ერე-
ბიც, ასეთ შემთხვევაში ლაპარაკობენ მრავალეროვან საზოგადოება-
ზე. რამდენადაც საზოგადოება წინ უსწრებს სახელმწიფოს და ეს
უკანასკნელი საზოგადოების შემოქმედების შედეგია, ამდენად,

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 353.
² იქვე, გვ. 354.

გვხვდება არა მარტო ერთი ერის არსებობით განსაზღვრული სა-
ხელმწიფოები. არამედ მრავალეროვანი ქვეყნები.

ქვეყნული
სახელმწიფოები

ილიას განსაკუთრებულ ინტერესს შეადგენს მრავალეროვანი სახელმწიფოს სოციალურ-იურიდიული ბუნება და მასთან დაკავშირებული პრობლემები: სახელმწიფოს ერთიანობასთან მიმართებაში სხვადასხვა ერების არსებობა, სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ერები და ერთიანი სახელმწიფო, ერების ღირსების დაცვა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა და ა. შ.

როცა სახელმწიფოსა და ერს შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე ვლაპარაკობთ, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, უნდა აღინიშნოს, რომ კაცობრიობის ისტორია იცნობს ეროვნულ და მრავალეროვან სახელმწიფოებს. უკანასკნელ პერიოდამდე გაბატონებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო შეიძლება არსებობდეს ეროვნული, ერთ ერსა და აგრეთვე ერთ სარწმუნოებაზე დამყარებული. აღამიანებს სჯეროდათ, რომ სახელმწიფო უნდა გამოხატავდეს მხოლოდ ერთი ერის ინტერესებს და „თუ ერთმა გვარტომის ერმა მეორე არ ჰყლაპა, ერთობა, ერთიანობა სახელმწიფოსი შეუძლებელია“¹. ასევე, საზოგადოება დარწმუნებული იყო, რომ სახელმწიფოს ერთიანობა შეუძლებელია, თუ ქვეყანაში სხვადასხვა სარწმუნოების ერები ცხოვრობენ: „იყო დრო, როცა რწმენად ჰქონდათ მიღებული, რომ თუ ერთსა და იმავე სახელმწიფოში სხვადასხვა რჯულის მკვიდრნი არიან, ერთობა სახელმწიფოსი სიზმარია“². უკანასკნელ პერიოდში ზემოაღნიშნული მოსაზრებები გადაისინჯა. საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ცხადი გახდა, რომ ერებისა და სარწმუნოების სხვადასხვაობა საფრთხეს არ უქმნის სახელმწიფოს ერთიანობას. მრავალი მაგალითია ცნობილი, როცა ერთ სახელმწიფოში სხვადასხვა ერისა და სარწმუნოების არსებობა კი არ ასუსტებს და რღვევის საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს, არამედ, პირიქით, ამტკიცებს მის ერთიანობას.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, შვეიცარია და კიდევ მრავალი სხვა სახელმწიფო, როგორც რთული სახელმწიფოები, შექმნილია სხვადასხვა ერისა და სარწმუნოების მქონე ხალხთა გაერთიანების შედეგად და „ამ ქვეყნებში ეს სხვადასხვა გვარტომობის ერნი ისე სამართლიანად და მშვიდობიანად ერთმანეთში მოთავსებული არიან, რომ ერთობა სახელმწიფოსი

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 86.

² იქვე, გვ. 87.

არამცთუ ჰკარგავს რასმე, არამედ მტკიცედ და ფეხშაგრად
ჰსდგას“¹. ი. ჰავჰავაძის აზრით, ერთ სახელმწიფოში მრავალი ერთი
არსებობა ბევრ პრობლემას აყენებს სახელმწიფო ხელისუფლებას
წინაშე, მაგრამ მათი გადაჭრა შესაძლებელია, თუ აქცენს ყურადღებას
კეთებთ არა ეროვნულ ჩაგვრასა და უთანასწორობაზე, არამედ
ერთა თანასწორუფლებიანობის პრინციპზე. დიდი ბრძოლა და
მსხვერპლი გაიღო კაცობრიობამ, რათა დარწმუნებულიყო, რომ
„სხვადასხვაობა სარწმუნოებისა სრულიად არაფერს უშლის ერთო-
ბას და ძლიერებას სახელმწიფოისას“².

ესპანეთი, როგორც ძლიერი და ერთიანი სახელმწიფო, დაემბო
იმის გამო, რომ ერებისა და სარწმუნოების სხვადასხვაობა დაუპი-
რისპირდა სახელმწიფოს მთლიანობას, ამ მიზეზმა საფრანგეთიც
კინალამ იმსხვერპლა. მაგრამ რეფორმაციამ მთელ მსოფლიოს და-
ანახვა, რომ სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ხალხებს თავისუფლად
შეუძლიან იცხოვრონ ერთ ქვეყანაში ისე, რომ სახელმწიფოს ერ-
თიანობა არ დაირღვევა. მრავალეროვანი სახელმწიფოს ერთიანო-
ბაზე როცა ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს როგორც
სახელმწიფოს, ასევე ამ სახელმწიფოში შემავალი ერების ინტერე-
სები. იმის მიზეზი, რომ მრავალეროვანი სახელმწიფოები აღრე
ემზობოდნენ, ის იყო, რომ ამგვარი სახელმწიფოები იქმნებოდა ერე-
ბის დაპყრობისა და ჩაგვრისათვის: „ეროვნების საპირობანი და
სახელმწიფოსი ერთმანეთში გარჩეული არ იყო. ყოველისფერი სა-
ხელმწიფოს ანაცვალეს და ეროვნებას გზა შეუტრეს“³. ი. ჰავჰავა-
ძე ავსტრია-უნგრეთის მრავალეროვანი სახელმწიფოს არსებო-
ბის მაგალითზე ასკვნის, რომ „ერთსა და იმავე სახელმწიფოში შე-
საძლოა სხვადასხვა გვარტომობა მოთავსდეს ასე, რომ არც გვარ-
ტომობამ შეჰხუთოს სახელმწიფო ინტერესები და არც სახელმწი-
ფომ — ინტერესები გვარტომობისა“⁴.

ამრიგად, ი. ჰავჰავაძის აზრით, სახელმწიფოს ერთიანობის იდე-
ას არავითარ ზიანს არ აყენებს მრავალეროვანი სახელმწიფოების
არსებობა, პირიქით, მრავალეროვანი სახელმწიფოების არსებობის
გამოცდილება ცხადყოფს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების
პროგრესს აჩქარებს სხვადასხვა ერების სახელმწიფოებრივი გაერ-
თიანება და მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნა. მაგრამ ერთ სა-

¹ ი. ჰავჰავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 86—87.

² იქვე, გვ. 87.

³ ი. ჰავჰავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 142.

⁴ ი. ჰავჰავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 11.

ხელმწიფოში ერების ძალდატანებითი გაერთიანება და მრავალერო-
ვან სახელმწიფოში ეროვნული დისკრიმინაცია, ერთ ერზე მეტის
გაბატონებისათვის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ვერტიკალური
ეწინააღმდეგება საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების, საზო-
გადოებრივი პროგრესისა და ადამიანთა ბედნიერების უზრუნველ-
ყოფას. მრავალეროვანი სახელმწიფო იქმნება არა იმისათვის, რომ
ძლიერმა ერმა სუსტზე იბატონოს, ანდა ძლიერმა ერებმა ჩაყლაპონ
და მოსპონ პატარა ერები, არამედ მრავალეროვანი სახელმწიფოს
ძირითადი ამოცანაა ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებულმა ერებმა
უკეთ დაიკმაყოფილონ თავიანთი მატერიალური და სულიერი მო-
თხოვნები, ამიტომაც, შენიშნავს ი. ჭავჭავაძე, რთული, ფედერაცი-
ული სახელმწიფოების შექმნის იდეა იქიდან გამომდინარეობს, რომ
შეიძლება ერების გაერთიანება¹.

მრავალეროვან სახელმწიფოში ყველა ერს უნდა ჰქონდეს ეროვ-
ული განვითარების შესაძლებლობა და ყოველი ერი უნდა ცდი-
ლობდეს საკუთარი ძალების წარმართვას სხვა ერების წინსვლისათ-
ვის. მრავალეროვანი სახელმწიფო, რომელიც რომელიმე ერის და-
მოუკიდებლობის მოსპობას ისახავს მიზნად და თავის საქმიანობას
აქეთკენ წარმართავს, საკუთარი ბუნებით ეწინააღმდეგება სახელ-
მწიფოებრიობის იდეას: „მოსპობა რომელიმე ერის დამოუკიდებ-
ლობისა და თვითებისა და შერიცხვა მისი სხვა ერთა შინა, — ეგ
იმას ჰნიშნავს, რომ ძალად და განზრახ აიღოს მან თავის-თავზე
ხელი, დაივიწყოს თავისი უწინდელი ცხოვრება, თავისი მოგონე-
ბანი, თავისი დაცემული დიდება, თავისი ინტერესები, თავისი ზნე,
ენა, და სუყველა ეს მტრის გასახარებლად, მტრის სასარგებ-
ლოდ“². ერების დევნა, ერების ღირსების უპატივცემულობა, ერე-
ბის დაბეზლება და ლანძღვა, ერთა უთანასწორობა და ძლიერი ერე-
ბის პატარა ერებზე ბატონობა მრავალეროვან სახელმწიფოში და
საერთოდ, ყველგან და ყველა ვითარებაში დაგმობილი უნდა იყოს,
რადგანაც ერი ადამიანთა მაღალორგანიზებული ერთობაა, რომელ-
საც კეთილშობილური იდეალები ასულდგმულებს. ყველა ერს
აქვს თავისი ღირსება, თავისი კაცურ-კაცობა, დიდ-ბუნებოვნება
და მაღლი, რომლითაც განიზომება თითოეული ერი, და რაც ერის
საწყაოს შეადგენს. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ „ამაების შეგო-
ნება ერთი იმისთანა სიბრძნეა, რომელიც გონებაგახსნილს ადა-
მიანს არ ეპატიება, არ შეენდობა“³.

1 ი. ჭავჭავაძე, თხ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 279.
2 იქვე, გვ. 278—279.
3 ი. ჭავჭავაძე, თხ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 97.

მრავალეროვან სახელმწიფოში დასაგმობია ერთა დიხორიონა-
ცია, მაგრამ ი. ჭავჭავაძის აზრით, უფრო აღმაშფოთებელია, როცა
რომელიმე ერი ათვალწუნებულია ყველა სახელმწიფოს წინააღმდეგ
მას დევნიან და ავიწროებენ სხვადასხვა უსაფუძვლო ბრალდებე-
ბით. ი. ჭავჭავაძე დაუშვებლად მიიჩნევს უკანასკნელ პერიოდში
მთელ ევროპაში გავრცელებულ ანტისემიტოზმს, როგორც ებრა-
ელთა წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობას. მისი აზრით, არც ერთ
ერს არ გადახდომია თავს იმდენი ტანჯვა-წამება, რამდენიც განიცა-
და ებრაელმა ერმა, რომელსაც ბედმა ხელიდან გამოაცალა სამშობ-
ლო და განაბნია დედამიწის ზურგზე. თითქმის ყველა ქვეყანაში
ცხოვრობენ ამ ერის წარმომადგენლები, მაგრამ მათ ყველგან დევ-
ნიან: „არ მოიპოვება ისეთი ისტორიული უსამართლობა, რომელ-
საც ებრაელები არ დაეჩაგროს, სდევნიდნენ ებრაელებს ვითარცა
ერს, სდევნიდნენ — ვითარცა თავისებურისა და განსაკუთრებულის
რჯულის მალიარებელთ, სდევნიდნენ — ვითარცა უსამართლო ეკო-
ნომიურის წესწყობილების წარმომადგენელთ და სხვა ერთა ეკო-
ნომიურ მჩაგვრელებს“¹. ევროპის განათლებულ საზოგადოებაში
ანტისემიტური მოძრაობის მიზეზების კვლევისას ი. ჭავჭავაძე იმე-
ორებს ევროპის ცივილიზებულ ქვეყნებში გავრცელებულ მოსაზ-
რებას იმის შესახებ, რომ ამ მოძრაობას არც ეროვნული სიძულ-
ვილი და არც რელიგიური ფანატიზმი არ უდევს საფუძვლად,
არამედ ეკონომიკური ძლიერება ებრაელი კაპიტალისტებისა, რაც
სხვა ერების ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისათვის
საფრთხეს ქმნის. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ანტისემიტოზმის
მიმდევართა აზრით, „ებრაელთა ეკონომიურს გაძლიერებას თავის
დროზე თუ არ შეეებრძოლებით, კაპიტალი შეიქმნება ყველა სა-
ხელმწიფოებზე უფრო ძლიერი და საშიშიო. კაპიტალის ხელში მო-
იქცევა ბედი და უბედობა ერთა და მეფეთაო“². მართალია, ი. ჭავ-
ჭავაძე არ გვაძლევს ანტისემიტოზმის ამ არგუმენტაციის კრიტიკას,
მაგრამ იგი, როგორც ინტერნაციონალისტ-კუმანისტი, დაუშვებ-
ლად მიიჩნევს ებრაელთა დევნა-შევიწროებას ყველგან, სადაც
და რა მოტივითაც არ უნდა იჩენდეს იგი თავს.

ასევე, ბისმარკის სახელმწიფოებრივ საქმიანობაში გამოუსწო-
რებელ შეცდომად მიიჩნევს ი. ჭავჭავაძე პოლონელების განდევნას
პრუსიიდან, რაც, მისი აზრით, სავსებით სამართლიანად დაგმო
პრუსიის პარლამენტმა. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ ბისმარკის

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 248.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 250.

მიერ პრუსიიდან პოლონელების განდევნამ „შეაძრუნა მთელი განათლებული გერმანია“¹. ი. ჭავჭავაძე იწონებს პრუსიის კულტურულ მენტის პროგრესული დეპუტატების ვინდჰორსტის, უელსჩიჩის, რიკერტის და სხვათა გამოსვლებს, რომლებშიც ხაზგასმული იყო, რომ გერმანიის სახელმწიფო ბისმარკის წყალობით კი არ არსებობს, არამედ სახელმწიფო ბისმარკზე ძლიერია, რადგან მისი არსებობის წყარო ერია, რომ სახელმწიფოს საფუძველია სიმართლე და, რა თქმა უნდა, ეროვნება და კაცთმოყვარეობა, როგორც სოციალური ფენომენები, ამ სიმართლის გულისთვის ერთმანეთს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. ი. ჭავჭავაძე გმობს პატარა ერების სახელმწიფოებრივ დევნას და მიუთითებს, რომ ამის გამო „არამცთუ გერმანიამ, თითონ მთელმა ევროპამაც წუნი დასდო შინაურ პოლიტიკას „რკინის კანცლერისას“².

ერების შესახებ შემუშავებული მოძღვრების მიხედვით ი. ჭავჭავაძე სწავლობს მრავალეროვან სახელმწიფოებში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და მის მიზეზებს და განსაკუთრებით რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში გაერთიანებული ერების სამართლებრივ მდგომარეობას, ამასთან, განსაზღვრავს რუსეთის იმპერიაში ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის პრინციპებს.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ევროპაში მცხოვრებ ერთგან ბევრი პატარა და მცირერიცხოვანი ერი ძლიერ ერთა ჩაგვრას განიცდის, მიუხედავად იმისა, რომ პროგრესული კაცობრიობა ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ იბრძვის უძველესი დროიდან. ზოგიერთ მრავალეროვნულ სახელმწიფოში სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების ხალხებს შორის ურთიერთობა ასე თუ ისე მოგვარებულია (მაგალითად, ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფო), მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი ერი სახელმწიფოს შიგნით მთავრობებისა და ძლიერი ერების ჩაგვრა-შევიწროებას განიცდის, რაც პროგრესული საზოგადოებრიობის ყურადღების საგანს წარმოადგენს. ერთ-ერთი ასეთი სადავო და გადაუჭრელი პრობლემაა ირლანდიელთა სამართლებრივი მდგომარეობა ინგლისის სახელმწიფოში, კერძოდ, ირლანდიელთა გმირული ბრძოლა ინგლისელთა ბატონობიდან წარმომდგარი ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. ი. ჭავჭავაძე განსაკუთრებული ინტერესით თვალყურს ადევნებს და სწავლობს ევროპასა და აზიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 239.

² იქვე, გვ. 244.

ბრძოლის მიმდინარეობას, თავისებურებებსა და გამოცდილებას, რომ დასაბუთებული პასუხი ვასცეს რუსეთის მრავალეროვნულ სახელმწიფოში შემავალ ერთა სახელმწიფოებრივ მოწყობას. ქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პრობლემებს.

საზღვარგარეთის სახელმწიფოებში გაჩაღებული ეროვნული ბრძოლებიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილია ყურადღებით სწავლობს ირლანდიელი ხალხის ბრძოლას ინგლისის სახელმწიფოს ბატონობის წინააღმდეგ. ამ პრობლემას მან მრავალი ნაშრომი მიუძღვნა. 1886 წელს გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნდა მისი ისტორიულ-ეკონომიკური ნარკვევი „ირლანდია და ინგლისი“ და წერილების სერია „ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო“ (ამ პრობლემისადმი მიძღვნილი მეხუთე წერილი კი დაიბეჭდა 1889 წელს ისევ „ივერიაში“), აგრეთვე „ევროპა 1886 წელს“, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად დიდი ადგილი აქვს დათმობილი ირლანდია-ინგლისის ურთიერთობას.

ი. ჭავჭავაძე ირლანდია-ინგლისის ურთიერთობას და ირლანდიელი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის განიხილავს არა როგორც კერძო მოვლენას, რომელიც მხოლოდ ირლანდიელ ან ინგლისელ ხალხს ეხება, არამედ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი მას მიაჩნია XIX საუკუნის მეორე ნახევრის ევროპაში ეპოქის მოთხოვნით წამოყენებული იმ ორი დიდი საქმის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად, რომლებიც ღრმად არის ფესვგადგმული ერებისა და ცალკეული ადამიანების ეროვნულ და სოციალურ-ეკონომიკურ ჩაგვრაში. ერთა შორის ურთიერთდამოკიდებულების გამწვავება, რომელიც ეროვნულ ჩაგვრაში გამოიხატა, XIX საუკუნის მოვლენაა. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ფეოდალიზმის დამბობამ და ბურჟუაზიული ურთიერთობების გამარჯვებამ ერები და მათი ურთიერთდამოკიდებულებაც პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს პრობლემად წარმოაჩინა.

თავისი დროის აღმოჩენას წარმოადგენს ი. ჭავჭავაძის მითითება იმაზე, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა ერთა შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. მართლაც, კაპიტალიზმის განვითარებამ მნიშვნელოვანი ცვლილებანი გამოიწვია XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელთა შორის აღსანიშნავია ხალხების ერებად ჩამოყალიბება, ეროვნული სახელმწიფოების შექმნა და მრავალეროვან სახელმწიფოთა შიგნით ერთა ურთიერთდამოკიდებულება. ი. ჭავჭავაძე სწორად შე-

ნიშნავს, რომ კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების პროცესში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან პოლიტიკურ ცხოვრებაში წარმოჩენილმა „ეროვნებამ, ნაციონალიზმამ, გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიულმა მოძრაობამ“ ევროპაში გამოიწვია დაქსაქსული სახელმწიფოების ერთიან ეროვნულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბება. ეს პროცესი იტალიასა და გერმანიაში შედარებით ადვილად დასრულდა, რადგანაც „ამათში ან სულ არ ურევიათ სხვა ტომის ხალხნი, ან თუ ურევიათ — იმოდენად ცოტანი არიან, რომ გაერთიანების საქმეს წინ ვერ გადაეღობებოდნენ“¹. მაგრამ მტკივნეულია ეს პროცესი მრავალეროვნ ქვეყნებში, მაგალითად, ავსტრიაში, სადაც ცხოვრობენ სხვადასხვა ერები, კერძოდ, გერმანელები, უნგრელები და სლავები. ერთ სახელმწიფოში გაერთიანებისაკენ მიმართული ეროვნული მოძრაობა აქ დამთავრდა მრავალეროვნანი სახელმწიფოს შექმნით, ჩამოყალიბდა ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფო და „იქნება შორს არ არის ის დრო, როცა ავსტრო-ვენგრია, ესლა ორგვამოვანი, სამგვამოვნად გადაიქცეს და ავსტრო-ვენგრეთ-სლავიანთა სახელმწიფოდ შეიქმნას“².

ი. ჭავჭავაძე მთლიანად თანაუგრძნობს ირლანდიელ ხალხს, რომელიც გმირულ ბრძოლას აწარმოებდა ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ და გმობს ძლიერი და დიდი ერების მიერ პატარა ერების ჩაგვრის კოლონიურ პოლიტიკას. იგი ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის თაობაზე არსებული ოფიციალური და პუბლიცისტური მასალების ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნამდე მიდის, რომ საერთოდ კოლონიური ბატონობისაგან ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას მშვიდობიანი, პარლამენტური ხასიათი უნდა ჰქონდეს და მთლიანად უნდა გამოირიცხავდეს ძალადობასა და სისხლისღვრას. გარდა ამისა, ი. ჭავჭავაძე ირლანდიელი ხალხის ინგლისის ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ ირლანდიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ყველაზე გონივრულ და მისაღებ ფორმად თვლის ავტონომიას ანუ, როგორც იგი მიუთითებს, თვითმოქმედებას.

ირლანდია-ინგლისის ურთიერთობის თაობაზე ი. ჭავჭავაძის მიერ გაკეთებული დასკვნები ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იმითაც იპყრობს, რომ იგი წარმოადგენს მის მიერ შემუშავებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძღვრების ქვაკუთხედს და ამ

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 9—10.

² იქვე, გვ. 11.

დასკვნების მიხედვით წყვეტს რუსეთის იმპერიაში საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის პრობლემას.

ი. ჭავჭავაძის პოლიტიკურ მოძღვრებაში ცენტრალურ უკავია საქართველოს შეერთებას რუსეთის მრავალეროვნულ-მწიფოსთან, ამ ნიადაგზე წარმოშობილ ეროვნულ-განმათვისუფლებელ მოძრაობასა და რუსეთის იმპერიაში საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ყველაზე მიზანშეწონილი და სამართლიანი ფორმის ძიებას.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ საქართველო უძველესი ქვეყანაა, მისი ისტორია ათასობით წელს ითვლის. ამ ხნის განმავლობაში ქართველმა ხალხმა მრავალჯერ დაიცვა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა, გამირულად გაუმკლავდა ათასი ჯურის დამპყრობლებს და ჩვენს დრომდე შეძლო დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება, მაშინ, როცა კაცობრიობის ისტორია დღემდე იცნობს შემთხვევებს, როცა მრავალი ძლიერი სახელმწიფო და ხალხი აღვეილა მიწისაგან პირისა და მათი არსებობის შესახებ მხოლოდ მოგონებები შემოგვრჩენია. ი. ჭავჭავაძე სწავლობს იმ მთავარ მიზეზს, რაც უზრუნველყოფს ერებისა და სახელმწიფოების სიმტკიცეს და იმ ფაქტორებსაც, რომელთა მოქმედების შედეგად იწყება ერების პოლიტიკური დაკნინება და გაქრობა. კერძოდ, ი. ჭავჭავაძე დაინტერესებულია იმის გამოკვლევით, თუ რა მიზეზებმა გააძლებინა ქართველ ხალხს ისტორიის მძიმე ქარტეხილებში და რამ განსაზღვრა ქართული სახელმწიფოებრიობის კრიზისი, მისი დამოუკიდებლობის დაკარგვა, საქართველოს რუსეთთან შეერთება. საყურადღებოა, რომ ამ პრობლემას იგი წყვეტს მატერიალიზმის პოზიციებიდან, კერძოდ, მისი აზრით, ქართული სახელმწიფოებრიობის ძლიერებისა და დაუძღურების მიზეზი ქვეყნის ეკონომიკურ წყობილებასა და აქედან წამომდგარ საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში უნდა ვეძებოთ. ი. ჭავჭავაძის აზრით, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოს ეკონომიკური წყობილების თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ უძველესი დროიდან ქვეყნის ეკონომიკაში გაბატონებული იყო არა „საკომლო“, არამედ „სამსოფლო“ საკუთრება მიწაზე. სახელმწიფო და ხალხი უფროხილდებოდა და იცავდა მიწაზე „სამსოფლო“ საკუთრებას. სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის არსებობის უკანასკნელ პერიოდში, როცა ერთიანი ქართული სახელმწიფო ცალკეულ სამთავროებად დაიშალა, „ამ უკეთეს მხარეს ჩვენის ეკონომიური წყობისასა ყური აღარ ათხოვეს, გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლეულობამ, ჩამო-

ვარდა უსწორ-მასწორობა მიწის მფლობელობაში, არამც ^{ერქვეყნული} თუ კომლ-
თა შორისაც, არამედ სოფელთა შორისაც“¹.

საქართველოს ეკონომიკაში მომხდარმა ცვლილებებმა მძლიერად
მდიდარი ქვეყანა, რომელიც, მტრებთან საუკუნეობრივ ბრძოლებ-
ში გამოვლილი, მეზობელი მტაცებელი ქვეყნების, ირანისა და
თურქეთის პირისპირ აღმოჩნდა მარტოდმარტო: „დასუსტებული
საქართველო, რომელსაც მეფე ერეკლეს სიკვდილით „რკინის კა-
რი შეეხსნა“, უფრო კარ-ღია შეექმნა და ადვილი საცილობელი
გაუხდა გარს შემორტყმულ მტრებს. ცალკე სპარსეთი, ცალკე
ოსმალეთი, ხმალამოლებულნი თავს ადგნენ დამარცხებულს საქარ-
თველოს და მუქარას მუქარაზე უთვლიდნენ“². ამ სახელმწიფოებს
აშინებდათ რუსეთი, რომელმაც ჩრდილოეთიდან საქართველოს
საზღვრებამდე უკვე მოაღწია ამ დროისათვის და ამდენად საქარ-
თველო გახდა მთელი დასავლეთი და მცირე აზიის ფორპოსტი. ასეთ
ვითარებაში საქართველომ ორიენტაცია რუსეთისაკენ აიღო. ამან
კიდევ უფრო გაამძვინვარა მისდამი მტრულად განწყობილი მტა-
ცებელი ქვეყნები, რამაც გამოხატულება პოვა 1795 წელს ალა-მაჰ-
მად-ხანის ბარბაროსულ შემოსევაში. მწერლის აზრით, ქვეყნის
მძიმე საშინაო და საგარეო ვითარებამ საგონებელში ჩააგდო სა-
მეფო ხელსუფლება, ქვეყნის გადასარჩენად მას „ან ოსმალეთთან
უნდა დაეჭირა საქმე, ან სპარსეთთან და ან რუსეთთან, რომ რო-
გორმე გადაერჩინა საქართველო ამოდენ ერთად ზედმოსეულ უბე-
დურებისაგან“³. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ საქართველომ იმ
დროისათვის ყველაზე მისაღები და გონივრული ნაბიჯი გადადგა,
როცა სამხრეთის მტრული სახელმწიფოებისაგან თავდაცვისა და
ქვეყნის მძიმე საშინაო მდგომარეობისაგან თავის დაღწევის მიზნით,
ნაბიჯი გადადგა ერთმორწმუნე რუსეთისაკენ, რომლისგანაც სა-
ქართველოს მეფენი „ხელშეწყობას და ხელის გამართვას მოპლო-
დებიან“ ჯერ კიდევ მე-16 საუკუნიდან. მეფე ერეკლეს მიერ რუ-
სეთთან დასაახლოებლად დაწყებული დიდი საქმე, რამაც 1783
წლის ხელშეკრულებაში პოვა გამოხატულება, დააგვირგვინა მისმა
შთამომავალმა გიორგი მეთორმეტემ, რომელმაც გ. ჭავჭავაძის შუა-
მავლობით რუსეთთან მჭიდრო სახელმწიფოებრივ ურთიერთობას
ჩაუყარა საფუძველი, კერძოდ, 1799 წლის 26 ნოემბერს თბილისში
შემოვიდა რუსის ჯარი, რომელსაც ქართველი ხალხი ზარ-ზეიმით

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 178.

² იქვე, გვ. 207.

³ იქვე, გვ. 210.

შეხვდა: „სასოწარკვეთილმა მეფემ და ერმა ძლივს ნუგეშითა და იმედით გაიცოცხლა გული. მეფის კარიდამ დაწყებული უკანასკნელ ქობამდე სიხარულმა გაშალა თვისი სანატრელი ფრთაჲსი რულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია საქართველოს ბრწყინვალე დღე აღარ ენახა“¹.

ი. ჭავჭავაძის აზრით, საქართველოს რუსეთთან შეერთება პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა, რადგანაც იგი შეპირობებული იყო ჩვენი ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ისტორიული კანონზომიერებით. დიდხანს იბრძოდა საქართველო გარს შემოხვეული მტრების წინააღმდეგ ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, ღირსეულად ეჭირა თავი საერთაშორისო ურთიერთობაში, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთს, სპარსეთსა და თურქეთს შორის წინააღმდეგობანი უკიდურესად გამწვავდა, საქართველოს ბედიც გადაწყვეტილი იყო, ამ დიდ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში მას ყოველთვის ღირსეული ადგილი ეკავა და ანგარიშს უწევდნენ, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებელმა სახელმწიფომ „მეთურამეტე საუკუნის დასასრულს თვითმყოფობითი სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავისი ვალი და ვახში არ დასდებია... სასოება გაღვიძებული მეფე და ერი გულწრფელად მიენდო თვისს მომავალსა, დიდს რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშინით ფრთაშესხმული“².

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებით დაიწყო ახალი ეპოქა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, შეიქმნა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების სულ სხვა პერსპექტივები. საქართველოს რუსეთთან შეერთების უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ქართველი ხალხისათვის, პირველ ყოვლისა, ისაა, რომ მრავალრიცხოვანი მტრების გაუთავებელი თავდასხმებისაგან ქვეყანამ მოისვენა და თავისუფლად ამოისუნთქა. დიდი რუსეთის სახელმწიფოს შიშით მეზობელი დამპყრობელი სახელმწიფოების, კერძოდ, ირანისა და თურქეთის სამხედრო თავდასხმები შეწყდა, ქვეყნის შიგნითაც წესრიგმა და სიმშვიდემ დაისადგურა. ისტორიის ავბედითობით დაშლილი და დანაწევრებული საქართველოს სახელმწიფოებრიობა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი ფენომენი, გაქრა და მოისპო, მაგრამ რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში შეიქმნა ქართველი ხალხის მჭიდროდ შეკავშირების იმედი. რუსეთთან შეერთების „ღირსახ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 216.

² იქვე, გვ. 176.

სოვარი დღივად საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შირი მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი დაღალული ქვეყანა; დაწყნარდა ცხელი ლეებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჯღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გააქრა ცეცხლი, რომელიც სწვადა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება: მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემადრწუნებელ სახსოვრად-ლა დაგვრჩა, დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა“¹.

რუსეთთან შეერთებამ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ახალი, მანამდე უცნობი პერსპექტივები შექმნა, წინათ, რუსეთთან შეერთებამდე, როცა საქართველო მტერთაგან შევიწროებული და კარჩაკეტილი იყო, მეურნეობას ნატურალური ხასიათი ჰქონდა, ქართველი ხალხი მხოლოდ იმას ამზადებდა, რაც მას სჭირდებოდა. ქვეყნის მთელი ეკონომიკა საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა. ეკონომიკური ცხოვრებისათვის უცხო იყო სახალხო მეურნეობის პროდუქციის წარმოება და შექმნა ქვეყნის გარეთ გატანისათვის გასაყიდად: „მაშინ, როცა საქართველოს... გარს მტრები ეხვია, როცა სამეზობლოდ მდგომარე ხალხი სამტროდ იყო დამოკიდებული, როცა საქართველო მტერთაგან შინ ჩაკეტილი იყო, გასვლა-გამოსვლის გზები ან სრულიად შეკრული ჰქონდა, ან იმისთანა, რომ დიდის გაჭირვებით, ხარჯით და დროს დაკარგვით, საქართველო არამცთუ სხვა ქვეყნებს, თავისს საკუთარ ნაწილებსაც-კი თვალს და ხმას ძლივს მიაწვდიდა ხოლმე. — მაშინ, რასაკვირველია, ჩვენი მიწათმოქმედება უნდა ძალაუვნებურად მიქცეული საკუთარი ჰქონიყო. მაშინ ჩვენი ქვეყანა სააღებმიცემოდ ჰირნახულის გაჩენას ფიქრადაც ვერ გაიტარებდა, რადგანაც აღებ-მიცემობა თხოულობს მშვიდობიანს, იეფს და მსწრაფლ გზასა საქონლის გადასატან-გადმოსატანად“². რუსეთთან შეერთების შემდეგ ეკონომიკურ ცხოვრებაში მწვავე ხასიათი მიიღო ნატურალური მეურნეობის კრიზისმა იმის გამო, რომ „რაც უწინ შინვე ჩვენში კეთდებოდა, ის ეხლა სასყიდელი გაგვიხდა, და ცალკე მით, რომ სახელმწიფო ხარჯი ფულით მოსაშორებელი შეგვექნა“³.

¹ ი. ჰავციავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 216—217.

² ი. ჰავციავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 7, გვ. 62.

³ იქვე, გვ. 64.

ნატურალური მეურნეობის კრიზისმა აუცილებელი გახადა რუსეთის იმპერიაში საქართველოს ეკონომიკური განახლებისა და ალორძინების წინათ არარსებული შესაძლებლობების გონივრული გამოყენება. რადგანაც საქართველო რუსეთის სახელმწიფოს ნაწილია, მისი ეკონომიკური განვითარების გზა რუსეთის ეკონომიკის თავისებურებებით უნდა განისაზღვროს და რუსეთის საერთო ბაზრის მოთხოვნილებანი გათვალისწინებული იყოს საქართველოს ბუნებრივ პირობებთან ერთად მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებისას. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ „ამ ეკონომიურ გზაზე ჩვენი საქართველო რომ დადგეს, ჩვენმა მიწათმოქმედებამ რომ ეს ახალი გზა და მიმართულება ირჩიოს, რუსეთისათვის ის ამზადოს, რაც რუსეთს არა აქვს, და იქიდან ის ჰზიდოს, რაც რუსეთს ვერც-კი გაუსაღებია, — სახელმწიფო ინტერესის თვალთაც-კი მეტად სახეიროა თვით რუსეთისათვისაც, რომელიც თავისს ნამეტანის პურისათვის ბევრგან სხვაგან ეძებს ბაზარსა მაშინ, როდესაც ერთი ამისთანა ბაზარი, სხვათა შორის, საქართველოც შეიქმნება, და თვით საქართველოც მატებაში შევა, რადგანაც ამ გზით აქაურ მკვიდრთა ქონება გაძლიერდება“¹. ი. ჭავჭავაძე ადგენს რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში საქართველოს ეკონომიკური ალორძინების პროგრამას, რომლის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია: კლიმატური და ბუნებრივი პირობების შესაბამისად მეურნეობის ისეთი დარგების (მევენახეობა, მეციტრუსეობა, მეაბრეშუმეობა, მეხილეობა, სამედიცინო ბალახები, ეთერ-ზეთოვანი კულტურები და ა. შ.) განვითარება, რაც რუსეთსა და მეზობელ ქვეყნებში შეუძლებელია; ბუნებრივი და წიაღისეული სიმდიდრის (ხე-ტყე, შავი ქვა, ნავთობი) მოპოვება და გამოყენება; მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით სამომხმარებლო და საწარმოო საზოგადოებების შექმნა; გამოუყენებელი მიწების ათვისება და მელიორაციის განვითარება; ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებების ჩამოყალიბება; ვაჭრობისა და ალბ-მიცემობის განვითარება; ბაზრებისა და სამომოსვლო გზების მოწყობა და მშენებლობა და ა. შ.

უხედა რა ამ ეკონომიკური პროგრამის მოთხოვნათა განხორციელების სფეროს, ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ „ჩვენი ეკონომიური ძალ-ღონე ჯერ კიდევ სოფელია და სოფლური მეურნეობა. ჩვენებური ქალაქები ამ მხრით არავითარ შემწევობას არ აძლევენ ჩვენს ქვეყანასა, რადგანაც იგინი უფრო მკამელნი არიან, ვიდრე

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 7, გვ. 65—66.

მომცემნი რისამე... რადგანაც დღეს გამარჯვლი, მწარმოებელი და მომცემი ჩვენში მარტო სოფელია და მისი საეკონომიო მოქმედება ერთადერთი სახსარი ჩვენის ცხოვრებისა, თავის რჩენისა და მოკვებისა, ამიტომაც ჩვენი სრული ყურადღება მარტო სოფელს უნდა თავს დასტრიალებდეს, მარტო სოფელს უნდა ეკუთვნოდეს, თუ სამუდამოდ არა, ჯერ ხანად მაინცა¹. ი. ჭავჭავაძე თვლის, რომ ზემოაღნიშნული ეკონომიკური აღორძინების პროგრამის განხორციელებას სოფლის მეურნეობაში (მიწათმოქმედებაში) სოციალურ-თან და იურიდიულთან ერთად ეკონომიკური მიზნებიც აბრკოლებენ, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას ხელს უშლის საქმის უცოდინარობა და სამუშაოდ გადადებული სიმდიდრის უქონლობა: „ცოდნა და ქონება ერთად იგი თავნია (კაპიტალია), იგი ძირის-ფულია ერისა, რომელიც თუ არ მიეშველა მიწას, იგი მიწა, რაც გინდ ნაყოფიერი იყოს, წარმოადგენს ცხრა კლიტით დაკეტილს სალაროს სიმდიდრისას, უქმად დებულისას და ერი-სათვის დაკარგულისას“².

როცა ი. ჭავჭავაძე საქმის ცოდნა-უცოდინარობაზე ლაპარაკობს, მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ მიწათმოქმედებაში ინდივიდუალური მეურნეობანი, ცალ-ცალკე, თვითთულად გარჯა და მეცადინეობა წარმატებას ვერ მოგვიტანს, ამიტომ უნდა შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები და გაერთიანებანი. ილია აღნიშნავს: „იქ, საცა თითოეული უღონოა, ღონიერნი არიან ყველანი ერთად. ერთიანი ხელის გამოღება, ერთიანი გარჯა, მხნეობა, თვითულისაგან ერთად მოგროვილი ქონება, თუნდ ცოტ-ცოტაობით, იმოდენა წყაროს შექმნის შეძლებისას, რომ ჩვენ არც ცოდნის მოპოვებალა გაგვიჭირდება, არც იმგვარ სამოქმედო ქონებისა, რომელიც ცხრა-კლიტურ კარს მიწის სიმდიდრისას გაგვი-ლებს ჩვენდა წარსამატებლად და საკეთილდღეოდ“³.

ნატურალური მეურნეობის რღვევა და უფრო მაღალი, პროგრესული ეკონომიკური წყობილების ჩამოყალიბების პერსპექტივა ი. ჭავჭავაძის აზრით, რუსეთთან საქართველოს შეერთების შედეგს წარმოადგენს. მაგრამ ი. ჭავჭავაძეს კარგად ესმის, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია პროგრესული პოლიტიკური წყობილების დამყარების გარეშე, პოლიტიკა, პოლიტიკური წყობილება აქტიურ ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე,

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 7, გვ. 31—32.

² იქვე, გვ. 32—33.

³ იქვე, გვ. 33.

მისი განვითარების მიმართულეებზე. ამიტომაც ი. ჯავახიშვილი განსაკუთრებული ყურადღებით სწავლობს საქართველოს სახელმწიფოებრივ მდგომარეობას რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში და ცდილობს განსაზღვროს რუსეთის იმპერიის ფარგლებში საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციის ყველაზე მისაღები და გონივრული ფორმა.

ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ სიკეთესთან ერთად ქართველმა ხალხმა საქართველოს რუსეთთან შეერთების გამო გაიზიარა მეფის თვითმპყრობელობის ჩაგვრისა და ბატონობის ქვეშ მყოფი სხვა ერების მძიმე ბედი, კერძოდ, ქართველმა ხალხმა დაკარგა ეროვნული სახელმწიფოებრიობა და მასზე გავრცელდა რუსეთის მმართველობა, რომელიც ხალხთა სოციალური და კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკას ემყარებოდა. დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის დაკარგვა მრავალსაუკუნოვანი ერისა, რომელმაც უძველესი დროიდან მე-18 საუკუნემდე გმირულ ბრძოლებში გამოატარა თავისუფლების დიადი დროშა, არ შეიძლება შეფასდეს დადებით მოვლენად, მით უფრო, რომ ქართველებმა, თვითონ, საკუთარი სურვილით ჩააბარეს საქართველო ძლიერსა და ერთმორწმუნე რუსეთს. „აჩრდილში“, საქართველოს მფარველი, უმაღლესი არსება, რომელიც მუდამ საქართველოს კეთილდღეობაზე ფიქრობს, ჩივის ქვეყნის ბედზე:

„წარვლილთა დღეთა შენთა მახსოვს დიდებულება,
ვიცი, რომ იყავ ერთხელ შენცა მორკმულ-ძლიერი,
შენცა გფენია ქვეყნის მადლი — თავისუფლება,
ესლა აღვილა ყველა ესე, ვითარცა მტერი“.

და უსაყვედურებს ქართველთ, რომ ახლა ოდესღაც ძლიერი და თავისუფალი საქართველო „თქვენგან გამოიბლი,— უცხოს კალთის ქვეშ, ვითა ობოლი, შეფარებულა“. ი. ჯავახიშვილის აზრით, საქართველო რუსეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ისეა ჩათრეული, რომ ქართველი ხალხის ეროვნულ კულტურას, მის ენასა და, საერთოდ, სულიერ ცხოვრებას დიდი საფრთხე ელის. ი. ჯავახიშვილი შემდეგნაირად განსაზღვრავს საქართველოს სამართლებრივ მდგომარეობას რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში: „ჩვენი ქვეყანა სათრეველაა ერთს დიდ ურემზედ გამობმული. საითაც გაიწევს ურემი, იქით მიდის სათრეველაც“¹. ქართველთა სულიერი ცხოვ-

¹ ი. ჯავახიშვილი, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 268.

რების თავისებურებების უგულვებელყოფა რუსეთის სახელმწიფოს მიერ ამ უკანასკნელის მიმართ არა მარტო დიდ წინააღმდეგობას აწყდება, არამედ ხელს უშლის ქართველ ხალხს, თავისი წინააღმდეგობით უღივლილი შეიტანოს მრავალეროვანი რუსეთის სახელმწიფოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში: „ენა, ჩვეულება, წესიერება, ისტორია, ყველა ეს შეადგენს იმ განსაკუთრებულს ნიადაგს, რომლის მიუხედეველად შეუძლებელია ხალხის ცხოვრებაზედ ზემოქმედება, მისი წარმატება და მისის კეთილმდგომარეობისათვის სარგოიანი მოღვაწეობა“¹.

რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში საქართველოს სამარლებრივი მდგომარეობის განსახლვრა ზემოაღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით დიდი მოაზროვნის ინტერესის საგანს წარმოადგენს — ზემოქმედებითი მოღვაწეობის დაწყებიდანვე. ჯერ კიდევ 1861 წელს დაწერილ მოთხრობაში „მგზავრის წერილები“ ი. ჭავჭავაძე სვამს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს, კერძოდ, მოხევესთან საუბარში იგი ცდილობს შეაფასოს საქართველოს რუსეთთან შეერთების ცალკეული მხარეები. პატრიარქალურ ყოფას შეჩვეული მოხევე უკმაყოფილოა საქართველოში რუსული მმართველობის შემოღებით. იგი ამბობს: „ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟი ვაჟადის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა?! ერთ-ურთს დავეყუდნით, ერთ-ურთს ვიხვეწებდნით. ადრიდა?! ქვრივ-ობოლთ ვიფარევედით, შინ მიწრიელს, გარეთ მავნეს დავულაგმნიდით, ხთისა და ბატონის იასაულს მის ყუდროს არ მივეკრძნდით, ერთ-ურთს ლალ მტერთან ჩავეფარვიდნით და ესრეთ იყვის ბრალეა კაცისა, ერთ-ურთობა. აწინა ერობა დაიშალოს, მეძავ-მრუშობაი ჩამოვარდნის, მტრობა-მპარვაი განშირდნის. აწინა ქვრივ-ობოლ ვინ განიკითხოს, ატირდომილ ვინ გააცინოს, დაცემულ ვინ ალაღვინოს? აწინა არა არნ კაცნი და თუ არნ — პირად და გულად ჯულურ არნ. ერი დავარდნილ, გალახულ არნ, ვრდომილ-კრთომილ. წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესთ-წყობაი. ადრიდა ჩვენობა იყვის. წარხდა, მოიხრნა ქვეყანაი, რაია აწინა ჩვენი დარჩენა? ჭამად-სმად სასყიდვალ, ტყეი სასყიდვალ, გზაი სასყიდვალ, ლოცვა-კურთხევაი სასყიდვალ, სამართალ სასყიდვალ, რაიდ დარჩების ბეჩავი მახევე?“² მოხევის ამ საყვედურებს ი. ჭავჭავაძე უპირისპირებს რუსეთთან სა-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 268.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 2, გვ. 28.

ქართველოს შეერთებიდან წარმომდგარ ყველაზე დადებითსა და
გარიშგასაწევ მოვლენას, კერძოდ, რუსეთის სახელმწიფოში ^{საქართველოში}
თველოს მიერ ნაპოვნ მშვიდობას. მოხვევ არ უარყოფს, ^{საქართველოში}
ქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგად ქართველები მუდმივ
მშვიდობაში ცხოვრობენ, მაგრამ განაგრძობს: „რაის ვაქნევ ცარილ
მშვიდობას ცარილ სტვამაქით, რაი არნ მშვიდობა? უხმარ სატე-
ვარს ქანგი დაედვის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყინი, ჭია-ჭუაი, ჭვემ-
ძრომი გამრავლდის. უდეგარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი იცის.
რაი არნ მშვიდაბა ცოცხვალ კაცთათვის? რაი არნ მტერობა, თუ
ერი ერობს? ცარიელ მშვიდობა მიწაჩიც გვეყოფის“¹.

პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნებული ი. ჭავჭავაძის
მიერ მოხვევსთან საუბარში დასმული პრობლემა დიდი ქართველი
მოაზროვნისა და განმანათლებლის მთელი შემოქმედების უმთავ-
რესი მოტივია და ამ პრობლემის სამართლიან და გონივრულ გადა-
წყვეტას დაუღალავად ემსახურებოდა იგი სიტყვითა და საქმით
თავისი ცხოვრების ეკლიან გზაზე: „მიგიხვდი, ჩემო მოხვევე, რა
ნესტარითა ხარ ნახვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ —
სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც
უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გა-
ითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულ-
ში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო
მიწა-წყალო, მომეც ამის პასუხი!..“².

ი. ჭავჭავაძე სათავეში ჩაუდგა ქართველი ხალხის ეროვნულ-
განმათავისუფლებელ მოძრაობას მოხვევის მიერ გულისტკივილით
დასმული პრობლემის გადასაწყვეტად და დიდი რულუნებითა და
მონდომებით დაიწყო რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს
ეროვნული მოწყობის ახალი, ყველაზე მისაღები ფორმების ძიები-
სათვის შემოქმედებითი მუშაობა³.

ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ რუსეთის სახელმწიფოს თავისებუ-
რება ისაა, რომ მასში სხვადასხვა ტომის, ენისა და რჯულის ერები
ცხოვრობენ, რომლებიც გაფანტული კი არ არიან რუს მოსახლე-
ობაში, არამედ თავიანთ მამაპაპეულ მიწა-წყალზე არიან დასახლე-
ბული კომპაქტურად, ამიტომ „ერის უდიდესს საპოლიტიკო საგანს
რუსეთისას შეადგენს ჭერ ის, რომ სხვადასხვა ტომის ერნი როგორ

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. სრ. კრებული, ტ. 2, გვ. 28—29.

² იქვე, გვ. 30.

³ გ. ჯიბლაძე, ილია ჭავჭავაძე, გვ. 275; ი. სურგულაძე, ქართული სა-
ზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 21—23 და ა. შ.



უნდა მოეწყონ შინაობაში სათითოდ, და მერე როგორ უნდა მო-
 თავსდენ სახელმწიფოსთან“¹. რუსეთის უზარმაზარი სხვადასხვა
 სხვადასხვა ადგილებში მცხოვრებთა მთავარი გულისტკივილია
 დურავი და საჩივარი ისაა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ასპა-
 რეზე მხოლოდ სახელმწიფოს ინტერესებია წარმოდგენილი, ხო-
 ლო ამ სახელმწიფოში მცხოვრები ერების საკუთარი გასაჭირი კი
 მთლიანად მივიწყებულია. რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფო-
 ში არ არის განსაზღვრული ამ ერთა პოლიტიკური ორგანიზაციის
 სამართლებრივი საფუძვლები: „რუსეთს არა ჰქონდა და არც დღე-
 ის-აქამომდე აქვს გამორკვეული და დადგენილი დედააზრი მას-
 ხედ, — თუ სად თავდება უფლება ეროვნებისა და სად იწყება სა-
 ხელმწიფოსი“². ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ
 დასახულ ამოცანებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა
 დარგში ახორციელებენ თანამდებობის პირები, მოხელეები, მაგ-
 რამ რუსეთის სახელმწიფოს მიერ ცალკეულ ერთა სამართლებრი-
 ვი მდგომარეობის განუსაზღვრელობის გამო უვიც ჩინოვნიკებს
 ეგონათ, რომ „ეროვნების დევნა და ჩაგვრა თავი და ბოლოა სა-
 ხელმწიფოდ მოქმედის კაცისა, საჭიროა სახელმწიფოს წარმატე-
 ბისათვის და თვითონ უმაღლესი მთავრობაც ამისი მსურველი და
 მცდელია. ამ მხრით არავის ისეთი ვნება არ მოუტანია რუსეთისათ-
 ვის, როგორც თავის ქეიფხედ მოარული მოხელეებისა: ორგულო-
 ბას შერებოდნენ და ერთგულებად კი მიაჩნდათ და იმათი კადნი-
 ერება იქამდის მიდიოდა, რომ მთავრობას მუნათსაცა სდებდნენ.
 მათი მოქმედების შედეგი ის იყო, რომ რუსეთის სახელი შეაძუ-
 ლეს მათ, ვის საერთო სიყვარულზედაც უნდა აგებულიყო სახელ-
 მწიფოს ძალღონე, კეთილდღეობა და წარმატება“³. ი. ჭავჭავაძე
 მიუთითებს, რომ რუსეთის სახელმწიფო მოხელეების მიერ ერების
 დევნა-შევიწროებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში
 აქვს ადგილი. რუსი მოხელეების უგუნურებიდან წარმოდგება ის
 აზრი, თითქოს სახელმწიფოს ერთიანობა არ შეიძლება უზრუნველ-
 ყოფილ იქნეს, თუ ყველა ქვეშევრდომი ერთ ენაზე, კერძოდ, სა-
 ხელმწიფო ენაზე არ ლაპარაკობს.

ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ პატარა ხალ-
 ხების ეროვნული ინტერესების დაუცველობამ, მთავრობის მოხე-
 ლეთა უცოდინარობიდან წარმომდგარმა ერების დევნა-შევიწრო-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 79.

² იქვე, გვ. 80.

³ იქვე.

ეხმ და უბატოცემულობამ არა მარტო პოლიტიკურ ცხოვრებაში არამედ ადამიანთა სულიერი ცხოვრების სხვა დარგებშიც გაიდგა ფეხი. ამ მხრივ მეტად მძიმე მდგომარეობაშია ქართველნი „ჩვენისთანა დაბრეკებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერის, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე. ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვექლავს და მიწასთან გვასწორებს. ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გააჩანავონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდამ აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ. თითქო არც ოდესღაც ვყოფილვართ, არც დღეს ვართ... სულით დაბალნი, ჭკუაგონებით ჩლუნგნი, ზნეობადაცემულნი, ფლიდნი. პირისგამტეხნი, მხდალნი — ლაჩარნი — აი ჩვენის სულიერ და ხორციელ ავლა-დიდების სურათი! აი რანი ვყოფილვართ, რანი ვართ დღეს იმათის სიტყვით, ვისაც ასე თვისდა სასარგებლოდ მიუჩნევია ჩვენის სახელის გატეხა, ჩვენი მიწასთან გასწორება“¹.

რუსეთის სახელმწიფოს მმართველი წრეებისა და მათი წაყრუებით წაქეზებულ ვიგინდარათა მიერ ერების დევნა-შევიწროებამ, ი. ჭავჭავაძის აზრით, უარყოფითი შედეგი გამოიღო. პატარა ერების ჩაგვრამ შეაძულა რუსეთის სახელმწიფო ამ ერებს და მათი ეროვნული გამოფხიზლების შედეგად დაიწყო რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის მიზანს წარმოადგენს ეროვნული ჩაგვრისა და პრივილეგიების მოსპობა და რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში მცხოვრები ერების პოლიტიკური ორგანიზაციის სამართლებრივი საფუძვლების დადგენა.

ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისა და ეროვნული თავისუფლებისათვის, ი. ჭავჭავაძის აზრით, უძველესი დროიდან იღებს სათავეს. ისტორიულ ავბედობობას უნდა მიეწეროს ის, რომ საქართველო ორი დიდი აგრესორი სახელმწიფოს — ბიზანტიისა და სპარსეთის ბრძოლის ცეცხლში აღმოჩნდა და მისი ტერიტორიული ნაწილები ხან ბიზანტიისა და ხანაც სპარსეთის ბატონობას განიცდიდა, შემდეგ არაბების ბატონობა დაიწყო. მე-17 საუკუნიდან თურქეთმა წამოიწყო სამხრეთ საქართველოს მიწების მიტაცება, ამავე პერიოდიდან განსაკუთრებით აქტიური ხდება სპარსეთი, რომელმაც რუსეთთან შეერთებამდე ბევრჯერ დაარბია საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი. მეზობელი აგრესორი სახელმწიფოების ბატონობას საქართველოში მუდმივი ხასიათი არ ჰქონია,

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 95.



ქართველ ხალხს ყოველთვის ჰყოფნიდა ძალები ეროვნული და-
 მოუკიდებლობის დაცვისა და სახელმწიფოებრივი თვითმმართველობის
 აღდგენისათვის. მაგრამ სულ სხვაგვარ შეფასებას სწამებდა ისეთი
 პოლიტიკური მოვლენა, როგორც საქართველოს რუსეთთან
 შეერთება. ამ შემთხვევაში ლაპარაკია რუსეთის მრავალეროვან
 სახელმწიფოში საქართველოს არა დროებით არსებობაზე, არამედ
 იმაზე, რომ ქართველმა ხალხმა ნებაყოფლობით თავისი შემდგომი
 ბედი რუსეთს დაუკავშირა, რითაც საქართველომ მოისვენა მტრე-
 ბისაგან და მშვიდობა მოიპოვა, მაგრამ ეს მშვიდობა მაშინ მოგვი-
 ტანს სარგებლობას, თუ იგი ხელს შეუწყობს ქართველი ერის
 სულიერ და მატერიალურ აყვავებას. მაგრამ რუსეთის იმპერიაში
 სახელმწიფოსა და ერების განვითარების ინტერესები ხშირად
 ერთმანეთს ეწინააღმდეგება რაც ჩაგრული ხალხების ეროვნულ
 განმათავისუფლებელ ბრძოლას იწვევს. ქართველი ერი, რომელ-
 მაც თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა რუსეთთან დაკავშირებამდე
 ღირსეულად დაიცვა, უძველესი დროიდან დაწყებულმა მძიმე
 ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლებმა მოქანცა და თავის-
 თავის იმედი დააკარგინა. რუსეთთან შეერთების შემდეგ კი „თავი
 თითქოს მოსვენებას მისცა: გაუყუჩდა, და თითქმის ხმა-ამოუღებ-
 ლივ დაემორჩილა ახლად მოვლენილს ბედსა და გარემოებას“¹.

მაგრამ მეფის თვითმპყრობელობის ეროვნულმა ჩაგვრამ ადრე
 გამოაღვიძა ქართველი ხალხი, რომელმაც დაიწყო ეროვნულ-განმა-
 თავისუფლებელი ბრძოლა რუსეთის იმპერიაში ფაქტობრივად ჩამო-
 ყალიბებული საქართველოს სამართლებრივი მდგომარეობის შე-
 საცვლელად. ი. ჭავჭავაძის აზრით, რუსეთთან შეერთებიდან და-
 წყებული მთელი XIX საუკუნის მანძილზე, მეფის თვითმპყრობე-
 ლობის წინააღმდეგ მიმართულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელ-
 მა მოძრაობამ ორი ეტაპი განვლო: პირველი, თავადაზნაურულ-
 პროგრესული და, მეორე, რევოლუციურ-დემოკრატიული, განმა-
 ნათლებლური². ეროვნული მოძრაობის მონაწილენი ორივე ეტაპზე
 ერთ საერთო მიზანს ისახავდნენ, კერძოდ, ისინი იბრძოდნენ სა-
 ქართველოში ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.
 მაგრამ მათ შორის პრინციპულ განსხვავებას ჰქონდა ადგილი
 ეროვნული სახელმწიფოებრიობის ბრძოლის მეთოდებისა და ეროვნულ
 სახელმწიფოს ფორმის გავებაში.

განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველი ეტაპი, რომელსაც

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 203.

² იქვე, გვ. 203—205.

სათავეში ედგა თავადაზნაურულ-პროგრესისტთა ჯგუფი, დაიწყო საქართველოს რუსეთთან შეერთებიდან, მაგრამ რაც შეეხება მის დასასრულსა და მეორე ეტაპის დასაწყისს, მის შესახებ ვერაფერი ვიცით. მის ნაშრომებში გვხვდება უმნიშვნელო განსხვავება. 1883 წლის აგვისტოში ი. ჭავჭავაძე აქვეყნებს „შინაურ მიმოხილვას“, რომელშიც მიუთითებს, რომ განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველი ეტაპი ესაა პერიოდი რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს გაერთიანებიდან XIX საუკუნის 40-იანი და 50-იანი წლების ჩათვლით¹. 1892 წელს დაწერილ ნაშრომში „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ ი. ჭავჭავაძე საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების სხვაგვარ ქრონოლოგიურ თარიღს გვაძლევს. მისი აზრით, რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ ქართველი ხალხის ეროვნული მოძრაობის პირველი ეტაპი გრძელდება „მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიანი წლების თითქმის მეორე ნახევრამდე“². ამის შემდეგ იწყება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ხანი, მეორე ეტაპი³, როცა ქართველთა სულიერ ცხოვრებაში „ის უპასუხოდ დარჩენილი საკითხი: „ვინა ვართ და რანი ვართ“ — ხელახლად უნდა გამოსულიყო მოედანზე“⁴. 1894 წელს ი. ჭავჭავაძე აქვეყნებს ნაშრომს „მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ორბელიანისა“, რომელშიც იგი მიუთითებს, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთებით დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის პირველი ეტაპისათვის დამახასიათებელი „ილაჯ-გაწყვეტილის, ღონე-მიხდილის ერის ხმა-ამოუღებლობა ემჩნევა მარტო ამ საუკუნის პირველი მეოთხედის წლებს“⁵, რის შემდეგ იწყება მეორე ეტაპი.

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების საზღვრების ქრონოლოგიური განსხვავება, რომელიც ი. ჭავჭავაძის ზემოაღნიშნულ ნაშრომებში შეიმჩნევა, მაშინვე ქრება, როცა იგი გვაძლევს თითოეული ეტაპის დახასიათებას. ი. ჭავჭავაძის აზრით, რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ დროინდელი მოძრაობის პირველი ეტაპი არსებითად არის XVIII საუკუნის ვაი-ვაგლახის და XIX საუკუნის პირველი წლების წევრ-გლეჯისაგან ქართველი ერის მოსვენების; ახლად მოვლენილი სეე-ბედისა და ვითარებისადმი ხმამოუღებელივ დამორჩილების პე-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 275.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 205.

³ იქვე, გვ. 206.

⁴ იქვე, გვ. 205.

⁵ იქვე, გვ. 237.



რიოდი. XIX საუკუნის პირველ მეოთხედში, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველ ეტაპს განეკუთვნება, როგორც ცალკეული ინდივიდი, ასევე მთელი საზოგადოებრივი ბრუნვა დასახმულსავეთ გარინდებული იყო და საქვეყნოდ არც ხალისი, არცა ღონე არ გამოუჩენია — არც უკან მიხედვისათვის, არც წინ დანახვისათვის“¹. ამ ვითარებამ შეაფერხა ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრების განვითარება, მაგრამ წარსულის დიდი ბრძოლებით დაღლისაგან ერის მოსვენების ამ პერიოდში იგი სრულ უმოქმედობას კი არ იჩენდა, არამედ გარდასულ დღეთა ნათელი შუქი და „წინა-დღიდან გამოყოლილნი და გულში ჩარჩენილნი ანდერძნი კიდევ ასულდგმულბდნენ“ საზოგადოების მოწინავე ფენების წარმომადგენლებს, რომლებმაც „ერთად თავი მოიყარეს და იფეთქეს ამ ანდერძების სახელითა, მაგრამ დაპმარცხდნენ“². როგორც ჩანს, ავტორს აქ მხედველობაში აქვს 1832 წლის შეთქმულება საქართველოში რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ, რომლის მონაწილეებსაც მეფის თვითმპყრობელობა სასტიკად გაუსწორდა.

ი. ჭავჭავაძე, მართალია, საგანგებოდ არ ჩერდება 1832 წლის შეთქმულების პოლიტიკურ პროგრამაზე და შეთქმულების დამარცხების ცალკეულ მიზეზებზე, მაგრამ იგი შეთქმულთა მიმართ პოლიტიკურ სიმპათიებს არ მალავს, რადგან ისინი წარსულის დიადი ანდერძის მიმდევარნი იყვნენ³. მიუხედავად ამისა, ი. ჭავჭავაძის აზრით, 1832 წლის შეთქმულთა დამარცხების მთავარ მიზეზს ის წარმოადგენდა, რომ მისი მონაწილეები არ იცნობდნენ საზოგადოების განვითარების საერთო, ზოგად კანონზომიერებას. შეთქმულები, ი. ჭავჭავაძის აზრით, ხალხის ფართო მასებისაგან განცალკევებით, ფარულად მოქმედებდნენ, მათი გამოსვლა „კარჩაკეტილი იყო, ხმა-ამოუღებელი, დაქსაქსული, აქა-იქ ცალ-ცალკე ბუტბავდა“⁴. მეტიც, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, წარსული დროის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტრადიციებისა და იდეალების შესაბამისობაში არ იყო მაშინდელი „აწმყოს გამომწვევი აზრი და მიმართულება“⁵. 1832 წლის შეთქმულების დამარცხებამ თავზარი დასცა ქართველ ხალხს: „გარნა რაკი წარსულის მომხრენი დამარცხდნენ,

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 237.

² იქვე, გვ. 203.

³ ა. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 51.

⁴ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 237.

⁵ იქვე, გვ. 203.

შთლად დაუთმეს ცხოვრების მოედანი გამარჯვებულთა. მისწრაფა ამ ანდერძთა რიხიანი ხმა და მაშინდელმა მოღვაწეებმა ზურგი შეუქციეს წარსულ ანდერძთა ღალატებს. დამარცხებულნი მთელნი გაეცალნენ ცხოვრების სარბიელიდამ, დაიქსაქსენ, თუცა უმცირესი ლისტკივილი მათი თესლად დარჩა ცხოვრების ხნულში... ამ თესლზე გასწყდა ჯაჭვი ცხოვრების ზედ-მიყოლებისა, აწმყოსა და წარსულს შუა ჩატყდა ხიდი“¹. შეთქმულთა დამარცხების გამო „ბუნებური ორკეცი დენა ცხოვრებისა შედგა“, კერძოდ, „მოაზრე“ და „მოსაქმე“ ცხოვრება (სულიერი და მატერიალური ცხოვრება) შეფერხდა, დავივიწყეთ „საგანი ცხოვრებისა“, ანუ შევწყვიტეთ ფიქრი იმათზე, „ვინა ვართ და რანი ვართ“.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ XIX საუკუნის ოცდაათიანი წლების თითქმის მეორე ნახევრამდე „უსაქმობამ და უსაგნობამ ცხოვრებისაგან გახიზნა მაშინდელი კაცები და შეუხიზნა ახალ ვითარებას“². ერის განათლებული ადამიანების ერთმა ნაწილმა რუსეთის სახელმწიფოს სამხედრო სამსახურს მიაშურა, მეორე ნაწილი კი მომავლის მოლოდინში საკუთარ ოჯახებში ჩაიკეტა. ი. ჭავჭავაძე წერს, რომ ასეთ ვითარებაში „ქართველი ორმოციანისა და ორმოცდაათიანის“ წლებისა დარჩა უსაგნოდ, ვარჯიშობას მოკლებული, მარტო, სულით ობოლი, სასოებაშიხდილი“³. მაგრამ საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების განვითარების ინტერესები ერის უქმად ყოფნას ეწინააღმდეგებოდა, რაც დრო გადიოდა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობიდან წარმომდგარი წინააღმდეგობანი გადაჭრას მოითხოვდა. მართალია, სახელმწიფოებრივად საქართველო რუსეთთან იყო გაერთიანებული და „ჩვენობა და უცხოობა ერთმანეთს იშვნივედნენ, მაგრამ გულში-კი ერთმანეთთან ვერა ჰრიგდებოდნენ“⁴. ამის გამო „უპასუხოდ დარჩენილი საკითხი, „ვინა ვართ და რანი ვართ“ — ხელახლად უნდა გამოსულიყო მოედანზე“⁵. და მართლაც, ასე მოხდა, დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მეორე ეტაპი, რომელიც მთელი სისრულით წარმოიხნდა XIX საუკუნის სამოციან წლებში, როცა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ „თერგდალეულები“.

ილია აღნიშნავს, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპისაგან განსხვავებით, ის, რითაც დაიწყო

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 203—204.

² იქვე, გვ. 205.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 276—277.

⁴ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 205.

⁵ იქვე.

ახალი ეტაპი, ეს „იყო მწერლობა, რომელიც ჰზრდის და ინახავს ენას, და რომელმაც ხელახლად ხმა ამოიღო ამ საუკუნის ოცდაათიან წლებში. ამით დაიწყო, ჩვენის ფიქრით, მეორე ხანა ჩვენი წინააღმდეგობისა. ჩვენმა აზრთა სვლამ, მიმართულებამ, საქმიანობამ აქ შეაფარა თავი, და ამიტომაც მათის გამოწვევის, ზრდის და მატების ამბავი აქ უნდა ვეძიოთ. აქ გამოჩნდება — გუშინ რას ვსდევდით ახალნიცა და ძველნიცა, აქ დაინახავთ — რას ითხოვდა ქამთა სიარულში წინა-დღე და რა პასუხს აძლევდა“¹. „თერგდალეულები“ აღმოჩნდნენ 1832 წლის შეთქმულთა ღირსეული მემკვიდრენი: „სამოციან წლებში გამოსულთ მწერალთა დაიწყეს გახსენება წარსულისა და ჩაუდგეს ქვა-კუთხედი იმ ხიდს, რომელიც ჩასტყდა წარსულსა და აწმყოს შუა, და რომლის ხელახლად გადაბას სცილობს დღევანდელი დღე“². 1883 წელს დაწერილ სტატიაში „შინაური მიმოხილვა“ ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ დღეს ერების სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ სხვაგვარი შეხედულებები ვრცელდება ევროპასა და რუსეთში. გამოჩენილი სწავლულები საჯაროდ აღნიშნავენ, რომ ისტორიული ერების მოსპობა შეუძლებელია, ძლიერთა მიერ პატარა ერების ჩაგვრისა და დამცირების შემდეგ უკანასკნელები მაინც აღდგებიან და თავისუფლებას მოიპოვებენ, მაგრამ დამპყრობთა და მჩაგვრელთა მიმართ ზიზღი და სიძულვილი კი თაობიდან თაობას გადაეცემა. ასეთ ვითარებაში ქართველთა შორისაც „განმტკიცებულთა და აღგზნებულთა“ ეროვნული გრძნობა და თავისუფლების სურვილი... დღეს ცხადად და უტყუარად შესამჩნეველია ნიშნები ერის გამოფხიზლებისა, ძველის საუკეთესო ნაანდერძების აღდგენისა... დღეს ბევრსაც ერთიანად გვწამს ჩვენც ჩვენის ქვეყნის მომავალი“³.

ამრიგად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპის უმთავრეს ამოცანად ქართულმა მწერლობამ კვლავ დასახარუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხებისათვის თავისუფლების მიანიჭება. ი. ჭავჭავაძე 1860 წელს ჯერ კიდევ სტუდენტობისას რუსეთში დაწერილ ლექსში „ქართველის დედა“, რომელიც ქართველი ხალხის მომავალ ცხოვრებას ეძღვნება, ეხება რა რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ კავკასიის ხალხების ეროვნულ-განმა-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 206.

² იქვე, გვ. 231.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 278—279.

თავისუფლებელი მოძრაობის გამოცოცხლებას, აღნიშნავს: „ხალხი აზვირთდა, ხალხი აღდგა, ხალხი მოქმედობს, კასპიის ზღვიდან ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს, — და ეგ ფიქრია შვედეთში კასის თავისუფლება!..“¹ კავკასიის ხალხი, „მტერზედ იტყვიან“² აღმოქმედა; მხოლოდ თავისუფლებაზე ოცნებობს და მისთვის იბრძვის, რადგან თავისუფლება არის ამქვეყნად სამართლიანობისა და მშვიდობის საფუძველი:

„თავისუფლებაზე, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი, შენ ხარ ჩაგრულის, წვალბულის წმინდა საფარი, შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა, შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა. მტარვალთა თქმითა ოდიოვე შენ ხარ აკრძალული, ხე ცნობადისა, ედემს რგული, შენი ხე იყო“³.

ი. ჭავჭავაძის აზრით, უკვე დაიწყო კავკასიელი ხალხის განთავისუფლების ეპოქა, მაგრამ თავისუფლების მოპოვება მხოლოდ მთელი ხალხის შეიარაღებული ბრძოლით შეიძლება.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეები განვითარებულია ი. ჭავჭავაძის „აჩრდილში“, რომელიც, მართალია „ქართვლის დედაზე“ უფრო ადრე დაიწერა, მაგრამ არ შეიძლება აქ ჩამოყალიბებული შეხედულების გენეზისზე მსჯელობისას მხედველობაში არ იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ მისი საბოლოო რედაქცია 1872 წელს განეკუთვნება. ამ ნაწარმოებში ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ საქართველო „ქვეყნის მადლი — თავისუფლება, ეხლა აღგვილა ყველა ესე, ვითარცა მტერი... და ძესა შენსა დღეს არც კი სწამს შენი აღდგენა... მას დაჰკარგვია ტანჯვით შორის შენდამი რწმენა და დაუგდისხარ, ვით ტაძარი გაუქმებული“⁴. ასეთ ვითარებაში მყოფ საქართველოში „ღვთის ნაპერწკალი ზოგჯერა ჰკრთების... აგერ ორ-სამს კაცს რაღაც უგრძენიათ, ერთის საქმისთვის გაუღვიძნიათ, თუმც ერთისათვის თითქო იღწვიან“⁵, მაგრამ „თვით ამხობენ მას, რისი აღდგენაც ჰსურთ, თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან“⁶.

ი. ჭავჭავაძის აზრით, ცხოვრების ზვირთნი „სხვა-და-სხვა ტო-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. I, გვ. 151.

² იქვე, გვ. 151—152.

³ იქვე, გვ. 125.

⁴ იქვე, გვ. 137—138.

⁵ იქვე, გვ. 137—138.

ტად ვადმოსულან, ვადავდებულან“, მაგრამ თავისუფლება მხოლოდ მაშინ შეიძლება მოიპოვო, როს ტომნი ცად მიღწევიან მისი კავკასისა ერთის აზრისა, ერთის ფიქრით განდიდდებოდნენ. მისი მისი ეხება მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „თავისუფლების მშოვნელი ამ ქვეყნად მარტო თოფია“, ილია ავითარებს მოსაზრებას, რომ ქართველმა ხალხმა დიდი ბრძოლები გადაიხადა თავისუფლების შენარჩუნებისა და მოპოვებისათვის და შეჰვედრებს ღმერთს, რომ ქართველებს აკმაროს თავისუფლებისათვის დაღვრილი სისხლი:

„ძლიერო ღმერთო! შენთვის ჰბრძოდნენ ქართველისა ძენი,
დასამამითვე არ იციან — რა არს მშვიდობა,
იკმარე საღმრთოდ მათ პატიენი და სისხლის ძღვენი,
თუ რამ შეგცოდეს, — შეისყიდეს ტანჯვით შენდობა“¹.

„აჩრდილში“ ი. ჭავჭავაძე ამუშავებს ქართველი ხალხის განთავისუფლების მეცნიერულ საწყისებზე დამყარებულ მოძღვრებას. იგი მიუთითებს, რომ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების აღდგენა შეუძლებელია, თუ ქართველი ხალხი არ შეიცნობს საზოგადოების განვითარების ზოგად კანონზომიერებას და მას არ დაუქვემდებარებს თავისი პოლიტიკური მოთხოვნების განხორციელებას. საქართველოს მფარველი „აჩრდილში“ შთააგონებს ქართველ ერს, რომ გაუქმებული ტაძრის აღდგენა და წინაპართა ანდერძის შესრულება არ მოხდება მანამ, „ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას და მცნების ნათლით ზეაღზიდულ, ამალღებული ჭკვით არ განსჭვრეტავს საზოგადო ცხოვრების დენას“².

განსხვავებით 1832 წლის შეთქმულთაგან, რომელთა სოციალური ბაზა შეზღუდული, ხოლო პოლიტიკური პროგრამა არაერთიანი იყო, ი. ჭავჭავაძის მეთაურობით „თერგდალეულები“ ცდილობენ ჭკვით განჭვრიტონ საზოგადო ცხოვრების დენა და მეცნიერულ საწყისებზე დააფუძნონ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, „საზოგადო ცხოვრების დონის“ შესაბამისად განსაზღვრონ ბრძოლის ფორმები და ამოცანები.

ი. ჭავჭავაძე ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მთავარ მიზნად მიიჩნევდა ქართველი ერის თვითმყოფლობის შენარჩუნებას, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გაუქმებული ქართუ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული ტ. 1, გვ. 149.

² იქვე, გვ. 136.

ლი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას, ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკურ მოწყობას ისეთნაირად, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“. მაგრამ მეფის თვითმპყრობელობის რეაქციული რეჟიმის პირობებში ამ მიზნისათვის ბრძოლა მუშაობის მეშვეობით განსაზღვრავდა ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა, რომელიც ერთნაირი არ იყო მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ი. ჭავჭავაძე ქვეყნის კონკრეტულ-ისტორიული სიტუაციის მიხედვით წარმართავდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს: „მე შორს, ფილოსოფიის მორევში არ შევდივარ... მე მოკლედ ვსჯი და მოკლედ ვსჭრი: აზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეიტყო, შეიმეცნო: ჯამი რას ითხოვს, ტირილსა თუ სიცილსა, განყრას თუ შეკრებას, დუმილსა თუ მეტყველებას, სიყვარულსა თუ სიძულვილს, ბრძოლას თუ მშვიდობას“¹.

როგორც ზემოთ დავინახეთ, რუსეთში ბატონყმობის გაუქმების ეპოქაში ი. ჭავჭავაძე შეიარაღებული აჯანყების გზით ქართველი ხალხის განთავისუფლებასა და დამოუკიდებელ საქართველოზე ოცნებობს, მაგრამ მოგვიანებით, რუსეთში შედარებით სტაბილური მდგომარეობის შექმნისა და აგრეთვე 1832 წლის შეთქმულების დამარცხების მიზეზების ყურადღებით შესწავლის საფუძველზე, ი. ჭავჭავაძე უკვე რწმუნდება, რომ რუსეთ-საქართველოს არსებული ურთიერთობის პირობებში შეუძლებელია ამ გზით საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევა. ამიტომ იგი ეძებს გაუქმებული ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის უფრო რეალურ საშუალებებს და 1832 წლის შეთქმულების პროგრესული ნაწილის, კერძოდ, ს. დოდაშვილის, გ. ერისთავის და სხვათა მოსაზრებების ზეგავლენით, მიდის იმ დასკვნამდე, რომ რადგან კონკრეტულ სიტუაციაში ფუჭი ოცნებაა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს არსებობა, ამ ეტაპზე მთავარია გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, თუნდაც ეს მოხდეს რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში, გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს იდეა ი. ჭავჭავაძემ მთლიანად მიიღო ს. დოდაშვილისაგან, რომელიც, როგორც ცნობილია, მოითხოვდა რუსეთის მონარქიული სახელმწიფოს ფარგლებში რესპუბლიკური საქართველოს შექმნას². ამაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს გაზეთ „დროების“

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 234.

² მ. გოცაძე, სოლომონ დოდაშვილი, თბილისი, 1955; თ. კუკავა, სოლომონ დოდაშვილის მსოფლმხედველობა, თბილისი, 1955 და ა. შ.

10 წლისთვის საიუბილეო დღესასწაულზე ს. მესხისა და ი. ჭავჭავაძის გამოსვლები. ს. მესხს განუცხადებია, რომ ვაზეთ „დროების“ ზეიმზე შეკრებილნი თანაგრძობას უცხადებენ იმ მარტო რომლის ქვეშ დღეს ყველანი გაერთიანებული ვართ და „მარტო ერთს ვაზეთს, ან რომელსამე მიმართულებას ან თაობას კი არ წარმოადგენს. ამ დროშაზე არ აწერია არც ბატონი, არც გლეხი, არც ახალი და არც ძველი თაობა“¹. იქვე დამსწრე ი. ჭავჭავაძეს უთქვამს: „ყველას სამართალი ითხოვს, რომ ყველას თავისი მიეწყოს, თუმცა იმ დროშაზედ, რომელზედაც უფ. მესხმა მოახსენა, ეხლანდელთა „დროების“ მოღვაწეთა თვისი მიმართება ზედ წააწერეს, მაგრამ თვით დროშა კი მემკვიდრეობით გვაქვს გადმოცემული განსვენებულის დოდავეისაგან, გიორგი ერისთავიდან. საუკუნოდ იყოს ხსენება მათი ჩვენში“².

ამრიგად, საქართველოს სრული დამოუკიდებლობა ყველა ქართველის და, რა თქმა უნდა, ი. ჭავჭავაძის უმაღლეს მიზანს შეადგენდა, მაგრამ როგორც 1832 წლის შეთქმულებამ ცხადყო, ამ მიზნის განხორციელება უტოპიური აღმოჩნდა, და, როგორც რეალისტი მოაზროვნე, კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში ეძებს ქართული სახელმწიფოებრიობის, ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური მოწყობის პრაქტიკულად განსახორციელებელ საშუალებას. ი. ჭავჭავაძე მთლიანად დებულობს ს. დოდაშვილის მოსაზრებას — რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში რესპუბლიკური საქართველოს შექმნის იდეას. მაგრამ მას აზუსტებს და სრულყოფს მეცნიერებების განვითარების თანადროული დონის შესაბამისად. დაწყებული „მგზავრის წერილების“ დაწერიდან, დამთავრებული სახელმწიფოს საბჭოში მოღვაწეობით, იგი თავდაპირველად დიდი სიფრთხილით და „ენის კვნეტით“ მოითხოვს მთელ საქართველოში თვითმმართველობების შემოღებას, ხოლო შემდეგ, 1905 წლის რევოლუციით გამოწვეული რუსეთის თვითმპყრობელობის კრიზისის ეპოქაში, გაბედულად იმბრძვის საქართველოს ავტონომიისათვის, რაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, უკიდურეს რევოლუციურ მოთხოვნად მიჩნდათ თვით ი. ჭავჭავაძის თანამებრძოლებსაც კი.

რუსეთის სახელმწიფოში ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციის პროექტი და ბრძოლა მისი განხორციელებისათვის. რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში მეფის თვითმპყრობელობის პოლიტიკური რეჟიმი და რუსული კანონების მიხედვით საზოგადოებრივი ურთიერთობების იძულებითი მოწესრიგება

¹ ვაზ. „დროება“, 1876, 7 მარტი, № 24.

² იქვე.

ქართველი ხალხის წინააღმდეგობას იწვევდა. მეფის თვითმპყრობელობის მხრივ ეროვნულ და სოციალურ ჩაგვრას როგორც საგლეხო რეფორმამდე, ასევე რეფორმის შემდეგ ქართველთა აჯანყებებით პასუხობდა. გლეხთა აჯანყებებს ადგილი ჰქონდათ ხეთში (1812—1813 წწ.), გურიაში (1841 წ.), სამეგრელოში (1857 წ.), სიღნაღის მაზრაში (1878 წ.) და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის პროგრესული მოაზროვნეები (ჩერნიშევსკი, ბელინსკი, გრიბოედოვი და სხვები) მხარს უჭერდნენ ქართველი ხალხის ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკისა და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ა. გრიბოედოვი კავკასიის განცალკევებული კორპუსის მეთაურს გენერალ პასკევიჩს ქართველ ხალხთან ურთიერთობის პრინციპების შესახებ სწერდა: „აქაურ ხალხს ნუ ახვევთ თავზე მის ზნე-ჩვეულებების შეუფერებელს უცხო კანონებს, რომელნიც არც არავის ესმის და არც არავინ ღებულობს. ხალხს დაუყენეთ მისი საკუთარი ამორჩეული მოსამართლეები, რომელთაც ისინი ენდობა. თუ შეიძლება, ნუ შეეხებით მის შინაურ გამგეობას; მის მმართველობაში და სამართალში მხოლოდ მთავრობის მხრით არჩეული დეპუტატები დაესწრონ ხოლმე, სხვაფრივ ძალას ნურაფერში დაატანთ“¹.

ი. ჰავჭავაძე მიუთითებს, რომ რუსეთის მოწინავე მოაზროვნეები გრაძოვსკი, სპასოვიჩი, არსენიევი და სხვები რუსეთის სახელმწიფოში ადგილობრივი მმართველობის ყველაზე მისაღებ ფორმად აღიარებენ თვითმმართველობებს, ამიტომ, ბუნებრივია, იგი საზოგადოებრივ ცხოვრებაზე სისტემატური დაკვირვებისა და რუსეთის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების განხორციელების თავისებურებათა შესწავლის საფუძველზე გულმოდგინედ ამუშავებს მოძღვრებას საქართველოს ჯერ თვითმმართველობითი და შემდეგ კი ავტონომიური მოწყობის შესახებ. მაგრამ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ თვითმმართველობა და ავტონომია, როგორც ხალხებისა და ერების სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა, იურიდიული პრობლემაა, კერძოდ, ამ პრობლემაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის ისეთი საკვანძო დებულებების, ცნებებისა და კატეგორიების ცოდნის გარეშე. როგორცია სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი, სახელმწიფო წყობილების ფორმები, პოლიტიკური რეჟიმი ანუ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელების მეთოდები და ხერხები, სახელმწიფო

¹ შურნ. „კვალი“, 1895, № 2, გვ. 2.

მმართველობის ფორმები და ა. შ. სახელმწიფოსა და სამართლის/ზოგადი თეორიის ზემოაღნიშნულ პრობლემებს ი. ჭავჭავაძე შესანიშნავად იცნობდა და ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მისი მოძღვრება ავტონომიის (თვითმოქმედების) შესახებ მეცნიერულ საფუძვლებს ემყარება და რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმად მის მიერ ავტონომიის მოთხოვნა ღრმად დასაბუთებულად მოჩანს.

ი. ჭავჭავაძის ნაშრომებიდან ცხადად ჩანს, რომ იგი შესანიშნავად ერკვევა არა მარტო სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის, არამედ იმდროინდელ მსოფლიოში არსებული ქვეყნების სახელმწიფოებრივი წყობილებისა და მმართველობის ფორმებში, ამ სახელმწიფოთა საქმიანობის ძირითად მიმართულებებში. იმის ნათელსაყოფად, თუ რა ღრმა თეორიულ საფუძვლებს ემყარება ი. ჭავჭავაძის მოძღვრება ავტონომიის (თვითმოქმედების) შესახებ, პირველ ყოვლისა, უნდა შევეხოთ მის მოსაზრებებს სახელმწიფო წყობილებისა და სახელმწიფო მმართველობის ფორმების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ხელისუფლების საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელების ხერხებისა და მეთოდების შესახებ.

როცა ვმსჯელობთ ი. ჭავჭავაძის შეხედულებებზე სახელმწიფო წყობილებისა და მმართველობის ფორმების, სახელმწიფო ხელისუფლების საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელების მეთოდებისა და ხერხების, ასევე სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ იგი საკმაოდ კარგად იცნობს იმ სპეციალურ იურიდიულ დისციპლინებს, რომლებიც სწავლობენ ზემოაღნიშნულ პრობლემებს, კერძოდ, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიასა და სახელმწიფო სამართალს. მაგრამ გულუბრყვილობა იქნება ი. ჭავჭავაძის მოსაზრებათა თეორიული დონე ამ პრობლემებზე შეფასდეს მეცნიერების განვითარების თანამედროვე მდგომარეობის მიხედვით. რაც შეეხება XIX საუკუნის რუსულ და ევროპულ იურიდიულ მეცნიერებას, უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ თავისი შეხედულებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ფორმებზე, სახელმწიფოებრივი ხელისუფლების საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელების ხერხებზე, მეთოდებსა და ა. შ. ი. ჭავჭავაძეს აგებული აქვს თავისი ეპოქის მიღწევათა მიხედვით. მაგალითად, ი. ჭავჭავაძე გადმოსცემს რა თავის მოსაზრებებს სახელმწიფოს ფორმის შესახებ, კერძოდ, ერების პოლიტიკურ გაერთიანებას რთული, ფედერაციული სახელმწიფოს ფარგლებში, მიუთითებს, რომ იგი ემყარება რუსეთის მოწინავე იურიდიულ მეცნი-

ერებას: „ჩვენ აღარას ვიტყვით სხვა რუსეთის მსწავლულთა და მეცნიერთა აზრსა და შეხედულებაზე ამ საგნისავე შესახებ, ვინაჲთა დავესახელებთ ა. გრადოვსკის, ამ მკვევრმეტყველ მოსკოვურ ეროვნულის პრინციპისას, პიპინს და სხვათა მრავალთა რუსეთის პუბლიცისტებს და ლიბერალურ გაზეთებს“¹. უნდა აღინიშნოს, რომ ა. გრადოვსკი იყო XIX საუკუნის გამოჩენილი სწავლული იურისტი. პროფ. ა. გრადოვსკის ეკუთვნის მრავალტომიანი გამოკვლევა „რუსული სახელმწიფოს სამართლის საწყისები“. ასევე ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მოაზროვნე იყო ი. ჭავჭავაძის მიერ ზემოთ მოხსენებული პიპინი.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როცა რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში ფართო ხასიათი მიიღო მეფის თვითმპყრობელობის რეჟიმის წინააღმდეგ ხალხის მასების სოციალურ-პოლიტიკურმა და ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ, რუსულ იურიდიულ მეცნიერებაში დაიწყო ინტენსიური მუშაობა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელების პრობლემებზე. XIX საუკუნის 60—70-იან წლებში ფართო საკანონმდებლო საქმიანობის საფუძველზე შემუშავებულმა რეფორმებმა (საფინანსო, საპოლიციო აპარატის რეორგანიზაციის, სასამართლო, ადგილობრივი თვითმმართველობის, საქალაქო, სამხედრო და ა. შ.), როგორც ბურჟუაზიული ურთიერთობების შესაბამისმა სამართლებრივმა მოვლენებმა, ხელი შეუწყო ბურჟუაზიის მსოფლმხედველობის, კერძოდ, იურიდიული მეცნიერების განვითარებას.

ი. ჭავჭავაძის პოლიტიკურ-სამართლებრივი იდეალი დაკავშირებულია რეფორმებთან, რომლებიც მიზნად ისახავს რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოებრივ ურთიერთობაში იმ დროისათვის უაღრესად რევოლუციური ღონისძიებების განხორციელებას. ამიტომაც იგი ყურადღებით იკვლევს სახელმწიფოს თეორიის ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, როგორცაა სახელმწიფოებრიობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელება. საყურადღებოა, რომ ი. ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოს ფორმისა და რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში სხვადასხვა ერების, კერძოდ, ქართველი ხალხის პოლიტიკური მოწყობის შესახებ თვითმმართველობისა და ფართო ავტონომიის პრინციპებზე, მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებთან (ფუნქციებთან) და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოებ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 279.



რიობის განხორციელების ხერხებსა თუ მეთოდებთან. კერძოდ, სახელმწიფოს ფორმების და განსაკუთრებით ავტონომიური ერთეულების ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია იმ მიერ შემუშავებული მოსაზრებანი სახელმწიფოს ფუნქციებისა და იმ სპეციფიკური ხერხებისა თუ მეთოდების ერთობლიობის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოებრიობის წარმატებით განხორციელებას.

ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ სახელმწიფო და სამართალი ხალხის კეთილდღეობას და ბედნიერებას უნდა ემსახურებოდეს, ამიტომაც, მისი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს ფორმის საკითხს.

ი. ჭავჭავაძე, ემყარება რა XIX საუკუნის იურიდიული მეცნიერების მიღწევებს¹, სახელმწიფოს ფორმას განსაზღვრავს შემდეგი სამი ფენომენის მიხედვით: პირველი, უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის ბუნება და მისი დამოკიდებულება მოსახლეობასთან; მეორე, სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების დამოკიდებულება ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ანუ სახელმწიფოს ნაწილების ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმაზე; მესამე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელების მეთოდებისა და ხერხების ერთობლიობა, რაც განაპირობებს იმ პოლიტიკურ რეჟიმს, რომელიც მოცემული ფორმის სახელმწიფოში ბატონობს.

პირველი ნიშნის, კერძოდ, სახელმწიფო მმართველობის ფორმის მიხედვით ი. ჭავჭავაძე ერთმანეთისაგან განასხვავებს მონარქიას (აბსოლუტურსა და კონსტიტუციურს) და რესპუბლიკას. თავის ნაშრომში „ცხოვრება და კანონი“ ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ მთავრობის მიერ განხორციელებული მმართველობის ყველა ფორმის პირობებში შეიძლება საზოგადოების მოწყობა თვითმმართველობის პრინციპის მიხედვით: „ცხადია, რომ როგორც უნდა იყოს უმაღლესი მთავრობა — თვითმპყრობელობითი, მონარქიულ წარმომადგენლობითი, თუ რესპუბლიკის სახისა, — ერთშიაც, მეორეშიაც და მესამეშიაც თვითმმართველობა მშვიდობიანად მოეწყობა“².

¹ იხ. Н. М. Коркунов, Русское государственное право, т. I, СПб, 1893; его же, Русское государственное право, т. II, СПб, 1897; А. Градовский, Начала русского государственного права, т. I, СПб, 1875; его же, Начала русского государственного права, т. II, СПб, 1878; его же, Начала русского государственного права, т. III, СПб, 1883 и др.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 42.

მმართველობის თვითმპყრობელური ფორმა, რევოლუციონერული რუსული იურიდიული მეცნიერების მიხედვით, განისაზღვრება შემდეგი ნიშნებით: მონარქის ხელისუფლების შინაგანი ფუნქციონირება, შეუზღუდველობა და უზენაესობა; ხელმწიფის სუვერენობა საერთაშორისო ურთიერთობაში¹. თვითმპყრობელობა იგივე მონარქიაა, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან იგი იმით განსხვავდება, რომ მმართველობის ეს ფორმა გამორიცხავს მონარქის ხელისუფლების შინაგან დაყოფას და საერთაშორისო ურთიერთობაში ხელმწიფის ძალაუფლების სუვერენობას ემყარება. ამ განსაზღვრიდან, რომელიც რევოლუციონერულ იურისტ-მეცნიერებს ეკუთვნით, არ ჩანს რუსეთის თვითმპყრობელური სახელმწიფოს ნაკლოვანებანი, კერძოდ, რუსეთის თვითმპყრობელი მეფის ხელისუფლების შეუთავსებლობა სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების მქონე ხალხების საკუთარ ინტერესებთან. ი. ჭავჭავაძე კარგად ხედავს რუსეთის თვითმპყრობელური ფორმის სახელმწიფოს ამ ნაკლოვანებას და წერს: „რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, საცა სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი სცხოვრობენ, და მერე ისე — რომ თავიანთ მამა-პაპეულ მიწებზედ არიან შეგჯუფებულნი და არა შიგა-და-შიგ გაფანტულნი. ამიტომაც, ერთს უდიდეს საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, რომ სხვა ტომის ერნი, როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითაოდ, და მერე — როგორ უნდა მოთავსდენ სახელმწიფოსთან... რუსეთს არა ჰქონდა და არც დღეის-აქამომდე აქვს გამოკვლეული და დადგენილი დედა-აზრი მასზედ, თუ სად თავდება უფლება ეროვნებისა და სად იწყება სახელმწიფოსი“².

რაც შეეხება სახელმწიფო მმართველობის მეორე ფორმას, კერძოდ, მონარქიულ-წარმომადგენლობით სახელმწიფოს, ი. ჭავჭავაძეს იგი წარმოდგენილი აქვს, როგორც პარლამენტური, ანუ კონსტიტუციური მონარქია. ეხება რა თვითმმართველობას, ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ სახელმწიფო მმართველობის ეს ფორმა „დიდი ხანია მოქმედებს ინგლისშიაც, რაცა მონარქიული წარმომადგენლობითის სახის მთავრობაა“³. ი. ჭავჭავაძე იწონებს ინგლისის მონარქიულ-პარლამენტურ სახელმწიფოს, რადგან მოქალაქეთა უფლება-მოვალეობები და თავისუფლებები შეუძლებელია აქ დადგენილ იქნეს საზოგადოების თანხმობის გარეშე. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ინგლისის პარლამენტში ორი პარტიაა, მთავრობა

¹ Н. М. Коркунов, Русское государственное право, т. I, СПб, 1893, стр. 161.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 141—142.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 42.

კი იქმნება პარლამენტის არჩევნებში გამარჯვებული პარტიისა და მგარამ ინგლისის პარლამენტურ-მონარქიული სახელმწიფოს დიდ პოლიტიკურ მიღწევას წარმოადგენს ის, რომ „რომელმაც ინგლისში უნდა ეჭიროს სამინისტრო, ვიგები იქნებიან თუ ტორები, ინგლისში ისეთი შეურყეველი ჩვეულებაა, რომ თუ სამინისტროს კანონი და პროექტი არ მოუწონა პარლამენტმა და არ დაუმტკიცა, უნდა გადადგეს და სამინისტრო მეორე დასს დაუთმოს“¹. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ი. ჭავჭავაძე მონარქიულ-პარლამენტური სახელმწიფოს იდეალიზაციამდე არ მიდის. მან კარგად იცის, რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში პარლამენტი არ არის ერთგვაროვანი, რომ სწორედ ინგლისის პარლამენტი არ ანიჭებდა თავისუფლებას ირლანდიელ ხალხს, რომელმაც ინგლისის ბატონობას თავის ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლით უპასუხა. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ინგლისის პარლამენტის ოპოზიციური ნაწილი, კერძოდ, კონსერვატორები ამტკიცებენ, რომ „საცა ძალაა, იქ სამართალს ხმა და ხელი არა აქვსო. რადგანაც ირლანდია ჩვენ იარად აგვრჩენია, მის მოსარჩენად თავს რაზედ ვიტყვიებთო? ავილოთ და როგორც ხორცმეტი ამოვჭრათ და გადავაგდოთო. ხომ ინგლისს ერთ ლუკმადაც არ ეყოფათ“². კონსერვატორთა ამ ზრახვას ი. ჭავჭავაძე უწოდებს ბარბაროსულსა და რეაქციულს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძის აზრით, სახელმწიფოებრივი მმართველობის მესამე ფორმაა რესპუბლიკა. ეხება რა თვითმმართველობას, ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ეს უკანასკნელი მოქმედებს „ჩრდილო-ამერიკაშიაც, საცა რესპუბლიკაა“³. ი. ჭავჭავაძე რესპუბლიკურ აშშ-ს სხვადასხვა სახელმწიფოებრივი მმართველობის მქონე ქვეყნებზე მალლა აყენებს. რესპუბლიკური წყობილება გამოიხატავს მილიტარიზმსა და ბიუროკრატიზმს. სახელმწიფოს მთელი საქმიანობა, რომელშიც ხალხის ფართო მასები მონაწილეობენ, მიმართულია საზოგადოების საკეთილდღეოდ. საფრანგეთის ყოველი მოქალაქე სამხედრო ხარჯების დასაფარავად ყოველწლიურად იხდის 24,5 ფრანკს, ინგლისისა — 21 ფრანკს, გერმანიისა კი — 12,5 ფრანკს. რაც შეეხება აშშ-ის მოქალაქეებს, თითოეული მათგანი სამხედრო ხარჯების დასაფარავად ყოველწლიურად მხოლოდ 4,5 ფრანკს იხდის. სწორედ ამიტომ „ერის სიმდიდრე და კეთილდღეობა ამერიკის შტატებისა იმდენად სჯობ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 197.
² იქვე, გვ. 200.
³ ი. ჭავჭავაძე, თხ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 42.

ნის ევროპისას, რომ ვაჭრობასა და მრეწველობაში შტატები ყოველისფრით წარმატებულნი არიან ევროპაზე და თანდათანობით იმორჩილებენ ევროპას... რაც დრო მიდის, ევროპაში უფრო უფრო ძლიერდება ერთა შორის უნდობლობა და მძულველობა მხრით ამერიკა სრულიად სხვა სურათს წარმოგვიდგენს. ამერიკის სახელმწიფოს აზრად აქვს სახელმწიფოთა ძმური კავშირი დაადგინონ, რისთვისაც ქალაქ ნიუ-იორკში კონგრესი შეიკრიბება. ამ კონგრესზე ლაპარაკი ექნებათ იმის შესახებ, თუ რა პირობებითა და საშუალებით უნდა შეერთდნენ ამერიკის სახელმწიფოები ისე, რომ არც ერთი სახელმწიფო ამერიკის არ დაიჩაგროს“¹.

რესპუბლიკა არსებითად იმით განსხვავდება მონარქიისაგან, რომ იგი ასე თუ ისე გამოხატავს ხალხის ფართო მასების ინტერესებს. რესპუბლიკა, როგორც მშრომელთა ფართო მასების ინტერესების გამომხატველი დაწესებულება, საზოგადოების მოწინავე მოაზროვნეების შემოქმედებითი ძიების შედეგია და მათი „ფიქრით, პირველი და უაღრესი საგანი რესპუბლიკის მმართველობისა უნდა ყოფილიყო კეთილდღეობა ერისა, უნდა მშრომელისათვის საშრომი გაეჩინა და ამით მუშაკაცისათვის სახსარი მიეცა — ჯეროვანი გასამრჯელო მიეღო, რომ ადამიანურად ეცხოვრა; თითონ რესპუბლიკას უნდა გაეჩინა ფაბრიკები და ქარხნები ან სხვა რაიმე საქმე, რომ მოჭარბებულ რიცხვს მუშაკაცისას სამუშაო ჰქონოდა, კარგად მოეწყო იქ მუშაკაცის ბედი, რომ სხვებისათვის მაგალითი ყოფილიყო; უნდა სამუშაო დღე შეემოკლებინა და გაეჩინა რაზედ ნაკლებ არ უნდა მისცემოდა ფასი მუშაობისა, მოხუცი, დაშავებული, საპყარნი, ქვრივ-ობოლნი შეევერდომა, და მუშაკაცის მოზარდის თაობისათვის კარი გაეხსნა სწავლისა, გონების გახსნისა და რაიმე ხელობის ცოდნისა“².

მონარქიისაგან რესპუბლიკის არსებითი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ მისი სოციალური ბაზა ფართოა, კერძოდ, რესპუბლიკური წყობილების დროს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოებრიობის განხორციელებაში მონაწილეობენ ხალხის ფართო მასები. რესპუბლიკაში საზოგადოების ფართო მონაწილეობა სახელმწიფო საქმიანობაში უზრუნველყოფილია მთელი რიგი ისეთი დაწესებულებების არსებობით, რომლებიც უცხოა მონარქიული სახელმწიფოებისათვის, კერძოდ, რესპუბლიკაში საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას საზოგადოების

¹ ი. ქავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 56.

² იქვე, გვ. 224.



შედარებით ფართო ნაწილი ახორციელებს: პარლამენტი, როგორც საკანონმდებლო დაწესებულება, მინისტრთა საბჭო და საქართველოს რეზერვები, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების დასახმარებლები და სასამართლოები, როგორც მართლმსაჯულების ხელისუფლება, ხალხის მიერ ირჩევა.

ი. ჭავჭავაძის აზრით, მართალია, რესპუბლიკა, როგორც ახალი ეპოქის სახელმწიფოთა ფორმა, ფეოდალური სახელმწიფოს უმთავრეს ფორმასთან, კერძოდ, მონარქიასთან შედარებით უფრო სრულად გამოხატავს მშრომელი ხალხის ინტერესებს, მაგრამ კაპიტალისტურ საზოგადოებაში რესპუბლიკა, როგორც სახელმწიფოს ფორმა, მომეტებულად მხოლოდ ბურჟუაზიის ინტერესებს იცავს. რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო ორგანო ბურჟუაზიის ბატონობის იარაღია: „რესპუბლიკის დაარსების დღიდან დღევანდლამდე არც ერთი არჩევანი პარლამენტის დეპუტატებისა ისე არ გათავებულა, რომ უფროს-ერთობა ბურჟუაზიას არ დარჩენოდა პარლამენტსა და სენატში. რადგანაც პარლამენტის უფროს-ერთობის დაგვარად შესდგება ხოლმე ჩვეულებისამებრ სამინისტრო. — ადვილად მისახვედრია, რად მოხდება ხოლმე ისე, რომ მმართველობას საფრანგეთისას ყოველთვის ბურჟუაზიას მომხრეობა ეტყობა და ეკონომიური ცვლილება მუშაკაცთა სასარგებლოდ ბრკოლდება“¹.

ბურჟუაზიულ სახელმწიფოში ხელისუფლება ეკუთვნის არა მთელ საზოგადოებას, არამედ მხოლოდ ბურჟუაზიას, მაგრამ, ერთი მხრივ, ხალხსა და, მეორე მხრივ, საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს შორის ურთიერთობა იმაში გამოიხატება, რომ როცა ხალხი უკმაყოფილოა ხელისუფლებით, ბურჟუაზია ცვლის ამ ხელისუფლების სათავეში მყოფ პირებს ახალი მოხელეებით, მაგრამ ამით, რა თქმა უნდა, სახელმწიფო აპარატი არ იცვლება: „პარლამენტი, უფროს-ერთად ბურჟუაზიისაგან შემდგარი, ჰშველის ხოლმე თავისს მომხრე სამინისტროს, მაგრამ როცა ჰხედავს, რომ საჭიროება ერისა ხმამაღლა ჰლაღადებს, და ამ ღაღადებას შიში მოსდევს, — მაშინ იძულებულ ჰნდის სამინისტრო გადასდგეს და სხვა კაცებს დაუთმოს მმართველობა ჭვეყნისა. რასაკვირველია, ისევ უფრო ბურჟუაზიის მომხრენი არიან ხოლმე ამ შემთხვევაშიც, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ცვლა კაცების ცოტა ხნობით მაინც დააამებს ხოლმე ტკივილს ერისას იმ იმედით, რომ იქნება ახალ კაცებმა ახალი რამ მოგვიტანონო. ამ ცდასა და ლოდინში ცოტა თუ ბევრი დრო გადის, და ბოლოს, როცა ერი ჰხედავს, რომ

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 225.

ამთგანაც არა გამოდნა-რა, ისევ ხელახლა პლადადებს, ამ თაობის მოპყევა ხოლმე ისევ ის ცვლა მინისტრებისა, ისევ ის იმედების გამტყუნება, ისევ ის ლაღადი, რომ საფრანგეთში არც ეჭვით უნდა ნისტრო დიდ ხანს ვერა სძლებს, რადგანაც ცვლა მინისტრების მოასწავებს ცვლას სამმართველო სისტემისას¹.

ზემოაღნიშნული დამახასიათებელია არა მარტო საფრანგეთის ბურჟუაზიული რესპუბლიკისათვის, არამედ, საერთოდ, ყველა ბურჟუაზიული სახელმწიფოსათვის. სხვა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან შედარებით აშშ თავისი რესპუბლიკური წყობილებით უღრესად დემოკრატიულია, მაგრამ კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი მისთვის უცხო არ არის. ბურჟუაზია ქვეყნის ბატონ-პატრონია, იგი ყველგან ბატონობს. კაპიტალისტური ქვეყნების პარლამენტები, მათი შემადგენლობის მოჩვენებითი დაპირისპირების მიუხედავად, ყველგან მიზნად ისახავს ხალხების (ერების) დამორჩილებას სახელმწიფოს პოლიტიკისადმი. სახელმწიფოს მესვეურებსა და ერთა უფლებების დამცველთა შორის პარლამენტებში აზრთა სხვადასხვაობაა: „გამგებელნი სახელმწიფო ბედისანი იძახიან, რომ ერი პოლიტიკისათვის არის ქვეყანაზედ გაჩენილი და ამიტომაც თქვენ სუო; სახელმწიფოს გულშემატკივარნი ერის მოყვარენი — კი პასუხად ეუბნებიან: უკაცრავად, პოლიტიკაა ერისთვის გაჩენილი და არა ერი პოლიტიკისათვისო“². ი. ჭავჭავაძე, მართალია, არ გვაძლევს ამ სადავოსაკითხზე თავის დასაბუთებულ მოსაზრებებს, მაგრამ, მისი მტყიცებით, ბურჟუაზიულ პარლამენტებში საკითხის ამგვარი დაყენება არ არის სასარგებლო არც სახელმწიფოს პოლიტიკის და არც ერების სასიცოცხლო ინტერესებისათვის. იგი შენიშნავს: „ყველაფერი ეს რომ გაფხიკოთ, გასცხრილოთ, ძირს დარჩება ორი ერთმანეთის მოპირისპირე მოძღვრება, ორივე ერთნაირად უჯათი და ერთნაირად სამართლიანი-კი არა“³.

ი. ჭავჭავაძე იცნობს აგრეთვე სახელმწიფოებრიობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელების ისეთ ფორმასაც, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს სახელმწიფო წყობილების თავისებურებებზე. სახელმწიფო წყობილების ფორმებზე მსჯელობისას იგი ემყარება იმდროინდელი იურიდიული მეცნიერების მიღწევებს, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო წყობილების ფორმა შეიძლება ძი-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 225.

² იქვე, გვ. 51.

³ იქვე.

რითადად იყოს ორგვარი: პირველი, რთული სახელმწიფო, რომელიც სახელმწიფოთა გაერთიანებას გულისხმობს და მეორე, მარტივი, რომელიც გამოირჩევა მოცემულ ქვეყანაში დამოუკიდებელი პოლიტიკური ნიშნების მქონე ერთეულების არსებობას¹. ამრიგად, როცა სახელმწიფო წყობილების ფორმაზე ვმსჯელობთ, მხედველობაში გვაქვს ან რთულ სახელმწიფოს ნაწილებს შორის ურთიერთობის, ანდა მარტივ სახელმწიფოში ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის დამოკიდებულების თავისებურებანი². მაგრამ ილია არ კმაყოფილდება რევოლუციამდელი იურიდიული მეცნიერების მიერ შემუშავებული მოძღვრებით სახელმწიფო წყობილების ფორმების (მარტივი და რთული სახელმწიფოები) შესახებ და ცდილობს განავითაროს იგი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო წყობილების ტრადიციული მოძღვრება ი. ჭავჭავაძემ სრულყო თავისი დროის ამოცანების შესაბამისად და მასში შეიტანა სრულიად ახალი მომენტი, კერძოდ, სახელმწიფო წყობილების ფორმა დაუკავშირა მრავალეროვან სახელმწიფოში მცხოვრებ ერთა პოლიტიკური გაერთიანებისა და მოწყობის ამოცანებს, რომელიც რუსეთის იმპერიისათვის უაღრესად მტკივნეული იყო. ი. ჭავჭავაძე, ეხება რა მრავალეროვან სახელმწიფოში ერების პოლიტიკურ მოწყობას, წერს: „რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, სადაც სხვადასხვა ტომის, და ენის ერნი სცხოვრობენ, და მეორე ის, — რომ თავიანთ მამა-პაპეულ მიწებზედ არიან შეჩვეულნი და არა შიგადაშიგ გაფანტულნი. ამიტომაც ერის უდიდეს საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, რომ სხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითაოდ, და მეორე — როგორ უნდა მოთავსდენ სახელმწიფოსთან“³.

ი. ჭავჭავაძეს მტკიცედ სწამს, რომ „რუსეთის ერთი უდიდესი საგანი“ შეიძლება წარმატებით გადაიჭრას, კერძოდ, შეუძლებელია მრავალეროვან სახელმწიფოში მოსპობა რომელიმე ერისა და გათქვიფა სხვა ერებში. მოსპობა რომელიმე ერის „დამოუკიდებლობისა და თვითებისა და შერიცხვა მისი სხვა ერთა შინა“, ყოველგვარ ადამიანურ შესაძლებლობას აღემატება. მისი აზრით,

¹ Н. М. Коркунов, Русское государственное право, т. I, СПб, стр. 48 — 169.

² ვ. მეტრეველი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, გვ. 44; ვ. გაგოიძე, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, გვ. 316; ი. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 45.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 141.

რთული სახელმწიფოების არსებობა შესაძლებლობას იძლევა ერების პოლიტიკური მოწყობისა და გაერთიანებისათვის. კერძოდ, რუსეთში იმპერიაში შემავალი ერები შეიძლება „მოეწყონ შინაობაში თაოდ“, თუ ისინი პოლიტიკურ ერთეულებად ჩამოყალიბდება. სახელმწიფო წყობილების ფორმის მიხედვით ცნობილი ე. წ. რთული ანუ ფედერაციული სახელმწიფოები სავსებით შესაძლებელია გამოყენებული იყოს ერების პოლიტიკური მოწყობისათვის, მეტიც, ამგვარი ფორმის სახელმწიფოები იმისათვის არსებობს, რომ მასში ერები მოეწყონ პოლიტიკურად: „თუ შეუძლებელია გაერთიანება ერთა, რაღა აზრი უნდა ჰქონდეს სახელმწიფოთა გაერთიანებას“¹.

უნდა აღინიშნოს, რომ, საერთოდ, ი. ჭავჭავაძე უპირატესობას ანიჭებს მარტივ სახელმწიფოს, რაც შეეხება რთულ სახელმწიფოებს, მრავალეროვანი ქვეყნების გარდა, მისი შექმნა ვერ უზრუნველყოფს ხალხთა სრული კეთილდღეობის მიღწევას და ამას გარდა, რთული სახელმწიფოების ჩამოყალიბება დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული. ემყარება რა XIX საუკუნის მოწინავე რუსულ მეცნიერებაში გამოთქმულ მოსაზრებებს, ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს: „საზოგადოდ ინკორპორაცია ქვეყნისა, რომელსაც ჰქონია თავის ისტორიული ეროვნება, ყოველთვის დიდ სიძნელეს წარმოადგენს და ხშირად უფრო მეტი ვნება მოაქვს, ვიდრე სარგებლობა“². რთული სახელმწიფო მრავალეროვან ქვეყანაში დასაშვებია, თუ იგი ერთა პოლიტიკურ გაერთიანებას ემსახურება და მიზნად დაისახავს ერების „დამოუკიდებლობისა და თვითების“ უზრუნველყოფას, მოსპობს „შერიცხვას მისსა სხვა ერთა შინა“.

ი. ჭავჭავაძე ეხება ევროპის რთულ სახელმწიფოებს, სადაც სხვადასხვა გვარტომის ხალხია გაერთიანებული, და განსაკუთრებით ვრცლად ჩერდება ავსტრია-უნგრეთის რთულ სახელმწიფოზე. იგი მიუთითებს, რომ „ავსტრია-უნგრეთში უფრო სამი გვარტომობის ერია მომწყვდეული, ვენგერები ანუ მაღიარები, ნემენცები და სლავიანები“³. ავსტრია-უნგრეთი, ი. ჭავჭავაძის აზრით, იძულებული გახდა „გაორთავებულყო“, რადგანაც „ერთის მხრით ძველი ტრადიციების ჰაბსბურგის გვარეულობია, რომელიც დღეს ჰხელმწიფობს ავსტრო-ვენგრიაში, ნემენცობას არ ავიწყებს ავსტ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 279.

² იქვე, გვ. 278.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 85.



რიას, და უამისოდაც ავსტრიის ნემენცობა ასე თუ ისე ძლიერად ზემოქმედობს საქმეთა მიმდინარეობაზედ, და მეორეს მხრით მაღალიარობა ძლიერი აღმოჩნდა თავისის ეროვნებურის ძალისაგან. ბითა“¹. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ, ორად გაყოფილ ავსტრია-უნგრეთს (ტრანსლეიტანიასა და ცისლეიტანიას) ცალ-ცალკე თავისი სამინისტრო და პარლამენტი აქვს, მაგრამ „ერთობა ამ ორთა ნაწილთა შორის განხორციელებულია ჯერ იმითი, რომ ერთი ხელმწიფე ჰყავთ, და მეორე იმითი, რომ ჯარი და სახელმწიფო ფინანსები საერთოა და საერთო სახელმწიფო საქმეებში ერთად იღწვიან“². ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს: უკანასკნელ პერიოდამდე კაცობრიობა დარწმუნებული იყო, რომ თუ ერთმა ერმა მეორე არ ჩაყლაპა, მოსპო და დაიმორჩილა, ისე სახელმწიფოს ერთიანობა თითქოს შეუძლებელია, მაგრამ ახალი ისტორია მრავალ მაგალითს იცნობს, რომ სხვადასხვა ერი შეიძლება ერთ სახელმწიფოში ისე მოეწყოს, არც ერს და არც სახელმწიფოს ევნოს რაიმე. ამის მაგალითად იგი ასახელებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, შვეიცარიას, ხოლო ავსტრია-უნგრეთის შესახებ აღნიშნავს, რომ მას „ბედმა არგუნა და შინაურ საქმედ გაუხადა ერთი რთული, მძიმე და მეტად შესანიშნავი საქმე. ეგ საქმე სხვადასხვა გვარტომობის ერის მოთავსებაა ერთსა და იმავე სახელმწიფოში ისე, რომ არც გვარტომობას ევნოს რაიმე და არც სახელმწიფოს ერთიანობასა“³.

რუსეთის სახელმწიფოში საერობო თვითმმართველობის ჩამოყალიბებისათვის გაჩაღებული კამპანიის ვითარებაში იურიდიული აზრი განსაკუთრებული ინტერესით ამუშავებს სახელმწიფო ორგანოების აგების ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის პრინციპებს⁴. ი. ჭავჭავაძე, რომელიც ფართო თვითმმართველობის შემოღებას მოითხოვს, მიუთითებს, რომ „ყოველი სახელმწიფო, რიგიან წესზედ ცოტად თუ ბევრად დამდგარი, ნაწილ-ნაწილად არის დაყოფილი, რომ მოვლა და პატრონობა ადვილი იყოს. მაგალითებრ, რუსის იმპერია დაყოფილია გუბერნიებად, გუბერნიები მაზრებად, მაზრები სოფლის საზოგადოებად“⁵. ი. ჭავჭავაძის აზრით, სახელმწიფოს ცენტრალიზაცია, მისი მართვის ცენტრალიზებული სისტემა „იმ-გვარს მოწყობილობას ნიშნავს, როცა უფლება და გამგეობა საზოგადოებრივი, ანუ სახელმწიფოებრივი... ყოვლისფერი

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 85.

² იქვე, გვ. 86.

³ იქვე.

⁴ იხ. А. Градовский, Начала русского государственного права, СПб, 1883, стр. 3—19 и др.

⁵ ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 33.

ერთის წერტილიდამ (ცენტრიდამ) გამოდის და ერთსავე წერტილს (ცენტრს) მიერთდება. ასე რომ ყოველს კუნჭულს, ყოველს კუთხეს რომელსამე ერთიანის სახელმწიფოსას — ერთის წერტილიდამ ეძლევა ყოველივე წესი და რიგი ცხოვრებისა, ერთმანეთს სხედს და ერთმანეთში განწყობისა. ადგილობრივის ტკივილის წამლისათვისაც კი იმ ერთს წერტილს უნდა მიჰმართოს ხოლმე კაცმა და იქიდან მოელოდეს შველასა¹. დეცენტრალისტური მმართველობის სისტემა გამორიცხავს ამგვარ წესს, დეცენტრალიზებულ სახელმწიფოებში (საფრანგეთი, ინგლისი, აშშ და ა. შ.) ცენტრალურმა მმართველობამ „კარგა ძალი უფლება და გამგეობის ნება დაუთმო თვითეულს ადგილობრივს ნაწილს“² ზემოაღნიშნული ქვეყნებისას.

ი. ჰავჰავაძის მტკიცებით, მმართველობის ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული სისტემა ერთნაირადაა დამახასიათებელი როგორც ანტიდემოკრატიული, ასევე დემოკრატიული სახელმწიფოებისათვის. ცენტრალიზაციის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ხელისუფლების თავმოყრა ერთ ადგილას, ცენტრში, ხოლო იმ გარემოებას, თუ ვის ხელში იქნება ეს ხელისუფლებები თავმოყრილი, ერთი თუ მრავალი პირის ხელში, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ი. ჰავჰავაძე წერს, რომ სახელმწიფოს ცენტრალიზებული სისტემა იმგვარ „მოწყობილობას ნიშნავს, როცა უფლება და გამგეობა საზოგადოებრივი, ანუ სახელმწიფოებრივი, ერთის კაცის ხელშია, ან ბევრთა ხელში — მაგრამ ერთს ადგილას კი. მაგალითებრ, სპარსეთში უფლება და გამგეობა ერთის კაცის ხელშია, სახელდობრ — შაჰის ხელში. იქ ითქმის, რომ ცენტრალიზაციური სისტემაა. საფრანგეთში ეგ უფლება და გამგეობა თუმცა ბევრის ხელშია, მაგალითებრ — პარლამენტის ხელში, მაგრამ ერთს ადგილას კი, სახელდობრ, პარიზში. აქაც ითქმის, რომ ცენტრალიზაციური სისტემაა“³. მაგრამ ცენტრალიზებული სახელმწიფოები მმართველობის ფორმის მიხედვით ორგვარია — დემოკრატიული და ანტიდემოკრატიული, ცენტრალიზებულ-ბიუროკრატიული: „ქვეყნიერობაზედ მმართველობას ორგვარი წყობა და აგებულება ჰქონია და აქვს. თუ სადმე რაიმე ცვლილება არის, მაინც არ შეიძლება, რომ მმართველობა ან ერთისაკენ არ იყოს მიდრეკილი, ან მეორისაკენ“⁴. ანტიდემოკრატიული, ცენტ-

¹ ი. ჰავჰავაძე, თხზ., სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 316—317.

² იქვე, გვ. 317.

³ იქვე, გვ. 316.

⁴ ი. ჰავჰავაძე, თხზ., სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 35.



რალიზებულ-ბიუროკრატიული სახელმწიფო მმართველობა ი. ჰავ-
 ჰავაძეს შემდეგნაირად აქვს განსაზღვრული: „ერთგვარი მმართველი
 ლობა იგია, როცა სახელმწიფო საჭიროების საქმესაც მტკიცებით
 რობა განაგებს და საზოგადოებისასაც, ყველგან და ყოველს ნა-
 წილში. ამ შემთხვევაში მთავრობა ყოველგვარის საქმის დამწყები
 და მოთავეა. ყოველგვარის საქმის მწარმოებელია, — ყოველის
 მზრუნველი და გამგეა, ასე რომ ყოველივე მისგან წარმოსდგება
 და ყოველივე მასვე ერთვის. ამგვარად გამგეობისათვის მას თავი-
 სი საკუთარნი მოხელე-კაცი ჰყვანან, რომელთაც თვით ირჩევს,
 თვით ნიშნავს, თვით გადააყენებს და რომელნიც მხოლოდ მის წი-
 ნაშე არიან პასუხისმგებელნი. ამგვარს მმართველობას ცენტრალი-
 ზაციას ეძახიან“¹.

რაც შეეხება დემოკრატიულ მმართველობას, მას ი. ჰავაძე
 ასე ახასიათებს: „მეორე-გვარი მმართველობა იგია, რაცა მთავრო-
 ბას ხელთ უპყრია მართო მთელის სახელმწიფოს საჭიროების საქ-
 მენი და ყოველივე სხვა კი საზოგადოებას გაუსაკუთრებია, მერე
 ასე, რომ ყოველს ნაწილს თავისი ადგილობრივი საქმენი აქვს ხელ-
 შეუვალად მინდობილნი. ეს საზოგადოებრივი საჭიროების საქმენი,
 ადგილობრივად განაწილებულნი, განიგებიან უსათუოდ ადგილობ-
 რივთა მოხელეთა შემწეობით, რომელთაც ირჩევს თვით ადგილობ-
 რივთა მცხოვრებთა საზოგადოება და რომელნიც ამავე საზოგადო-
 ების წინაშე პასუხისმგებელნი არიან. ამგვარს გამგეობას თვითმმარ-
 თველობას უწოდებენ, რადგანაც ამ შემთხვევაში თვითეული ნა-
 წილი ერთისა და იგივე სახელმწიფოსა თავის საკუთარს საქმეს
 თვით ჰპატრონობს, თვით უვლის და თვით ჰმართავს. ერთის სი-
 ტყვიით, ამგვარის მმართველობის დედა-აზრი, იგია, რომ ადგილობ-
 რივნი საქმენი თვით ადგილობრივთა მცხოვრებთაგან განიგებო-
 დეს“².

ამრიგად, ი. ჰავაძის აზრით, სახელმწიფოს დემოკრატიული
 და ანტიდემოკრატიული მმართველობის ფორმებს მრავალი ნიშანი
 განასხვავებს ერთმანეთისაგან, მაგრამ ამ განმასხვავებელ ნიშნებს
 შორის მთავარია შემდეგი: პირველი, სახელმწიფოებრივი და სა-
 ზოგადოებრივი ხელისუფლებების განხორციელება; მეორე, თვითმ-
 მართველობის არსებობა. სხვაგან ი. ჰავაძე სახელმწიფო მმარ-
 თველობის დემოკრატიული და ანტიდემოკრატიული ფორმების
 ერთმანეთისაგან განსასხვავებლად ასახელებს ქვეყნის შიგნით

¹ ი. ჰავაძე, თხ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 35—36.

² იქვე, გვ. 36.

ქვეშევრდომთა და აგრეთვე სახელმწიფო ორგანოებს შორის უფ-
ლებამოვალეობათა გარკვეულობას. იგი მიუთითებს, რომ
აღამიანთა კეთილდღეობას ვერაფერი უზრუნველყოფს ^{საქართველოში}
გორც უფლება-მოვალეობათა განსაზღვრულობა: „კაცს ^{საქართველოში}
ნად ვერა შველის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე
მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა
შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის
ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა. კაცთა კმაყოფილები-
სათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის, ეს უკანასკნელი უფრო
აუცილებლად საჭიროა, ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერობაზედ“¹.

უფლება-მოვალეობის გარკვეულობის მიხედვით ი. ჭავჭავაძე
ერთმანეთს უდარებს დემოკრატიულ შოტლანდიასა და ანტიდემოკ-
რატიულ, დესპოტურ სპარსეთს. იგი მიუთითებს, რომ შოტლან-
დიელს ცხოვრება უხდება მძიმე პირობებში, ბუნების თავისებურე-
ბანი აიძულებს მას ლუკმა-პური მოიპოვოს დღედაღამ შრომით და
სისტემატურად ებრძოლოს ბუნებას, მაგრამ „იგი უფრო ბედნი-
ერია და კმაყოფილი, ვიდრე სპარსელი, რომლისთვისაც ბედს შე-
მოუფარგლავს უკეთესი ქვეყანა კაცთა საცხოვრებლად და საზრ-
დოობისათვის. ერთი არის თავმომწონე, გამბედავი, თავისუფალი,
მედგარი და გულდაგული კაცი, მეორე არის გულჩათუთქული,
ილაჯგაწყვეტილი, ფრთხალი და გათელილი. ერთი — იმედით აღ-
სავსე სულ წინ იყურება და ყოველი მისი ფეხის წინ წადგმა ძლე-
ვამოსილებაა ხვალისათვის, მეორე — სასოწარკვეთილია, შიშით
სულ უკან იყურება და გუშინდელს, მშვიდობით გატარებულს დღეს
ნატრულობს და არა სწამს ხვალე. ერთი სულით და ხორციით ყო-
ველდღე წარმატებაშია, თუმცა ღარიბი ბუნება ახვევია, მეორე —
სულითაც და ხორციითაც დაღვეაშია, თუმცა მის გარე ბუნება უხ-
ვია და მცდარი. რა არის ამის მიზეზი? ის არის, რომ ბედნიერმა
შოტლანდიელმა იცის „ჩემი აქ თავდებაო და სხვისა აქ იწყებაო“,
უბედურს სპარსელს კი არც თავისი გაეგება და არც სხვისა“².

ი. ჭავჭავაძე მრავალეროვან ქვეყანაში ცენტრალიზებული
სახელმწიფოს წინააღმდეგია, რადგან ამგვარი სახელმწიფოს არსე-
ბობა გამორიცხავს ადგილობრივ თვითმომქმედებასა და ინიციატი-
ვას, რაც ხალხებისა და ერების კეთილდღეობის დამყარებას უშ-
ლის ხელს. აკრიტიკებს რა სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაციის
მომხრეებს, ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ ცენტრალიზაციის უარყო-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 7.

² იქვე, გვ. 7—8.

ფა გაგებული უნდა იყოს, როგორც ადგილობრივი ვითარებისა და საქიროების გაუთვალისწინებლად ხელისუფლების განხორციელება ცენტრიდან. მრავალეროვან სახელმწიფოში ხელისუფლების ამგვარ განხორციელებას დიდი ზიანი შეუძლია მოუტანოს საზოგადოებას. მაგალითად, აღნიშნავს ი. ჭავჭავაძე, „განათლების საქმე ისეთი საქმეა, რომ ადგილობრივ ინტერესს შეადგენს. მაშასადამე, ყოველმა კუთხემ საქართველოსამ ეს საკუთარი ინტერესები თვითონ თავის საკუთარს ძალით და მხნეობით უნდა განაგოს, ესე იგი — სრული უფლება და გამგეობის ნება უნდა ჰქონდეს, რომ როგორც უჯობდეს, ისე მოუაროს, უპატრონოს!... რომ თვითმოქმედებამ ერისამ ყოველს კუთხეში ფეხი აიდგას განათლების გავრცელებისათვის, და ეგ თვითმოქმედება იქმნას იმ ხნულად, საიდანაც უნდა აღმოცენდეს სწავლა-განათლება და სადაც ძირი უნდა გაიკეთოს ყოველმა საზოგადოებამ“².

ილია წინააღმდეგია ცენტრალიზებულ-დიქტატორული სახელმწიფოსი, რომელიც სპობს ყოველგვარი თვითმმართველობის საფუძველს და ადგილობრივი საქმეების გამგებლობას მხოლოდ ცენტრს უმორჩილებს. დიქტატორული სახელმწიფოების მიზანია სახელმწიფოს ერთმმართველობისათვის ქვეყანაში ყველაფრის დამორჩილება და დათრგუნვა. აკრიტიკებს რა კრომველის დიქტატურას ინგლისში, ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ თვითმმართველობისათვის მებრძოლ ირლანდიას და მის ხალხს დიდი უბედურება მოუტანა დიქტატორმა კრომველმა, რომელმაც „1648 წელს ასეთი თავზარი დასცა ირლანდიელებს, დაიმორჩილა და ასე უმოწყალოდ მოექცა, რომ დასაბამი მძულვარებისა ინგლისის მიმართ. ფესვი დაუძინებლის მტრობისა, თითქმის კრომველის უღმრთო მოქმედებამ დანერგა... 1800 წელს ირლანდია ინგლისმა სრულად დაიმორჩილა და თავისთან შემოიერთა. პარლამენტიც გააუქმა და ყველა ნიშნწყალი თვითმმართველობისა“³.

ი. ჭავჭავაძის პოლიტიკური იდეალი პარლამენტური რესპუბლიკაა ადგილობრივი თვითმმართველობით. ინგლისის, საფრანგეთის და ევროპის დანარჩენი პარლამენტური რესპუბლიკები, მათ შორის გერმანიის (პრუსიის) პარლამენტიც კი, მიუხედავად მისი შეზღუდულობისა, ი. ჭავჭავაძეს მიაჩნია ისეთ პოლიტიკურ დაწესებულებად, სადაც ხალხის წარმომადგენელთა გონივრული სჯა-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 318.

² იქვე, გვ. 325.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 24—25.

ბაასის გზით შეიძლება ყველა სადავო საკითხის გადაწყვეტა. სტა-
ტიაში „პოლიაკების განდევნა პრუსიიდან“ ი. ჭავჭავაძე აღწერს
ვანებას გამოთქვამს გერმანიის პარლამენტის პოლიტიკური
ბის გამო. ეხება რა კამათს პარლამენტში გერმანიიდან პოლონელ-
თა განდევნის შესახებ, ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს: „მეორე დღეს ისევ
ამ საგანზედ იყო უფრო გაცხარებული, უფრო სუსხიანი სჯა და
ბაასი. ასეთი სიტყვები წარმოითქვა თურმე, რომ ევროპის ყურს
დიდი ხანია არა ჰსმენია... დღევანდელი პარლამენტი გერმანიისა,
როგორც ზემოხსენებულიდამ სჩანს, დიდად საყურადღებო იქნება
მთელის ქვეყნიერობისათვის. ამისთანა გაფიცებული, ფხიანი და
რიხიანი პარლამენტი გერმანიის დიდი ხანია არ უნახავს“¹.

წინააღმდეგ ცენტრალიზებული სახელმწიფოსი, რომელიც,
ი. ჭავჭავაძის აზრით, ხალხის კეთილდღეობასა და ბედნიერებას ვერ
უზრუნველყოფს, მხოლოდ დეცენტრალიზებულ სახელმწიფოს შე-
უძლია მოაწესრიგოს ყველაზე სრულყოფილად ურთიერთობები
ადამიანებს, ერებსა და ხალხებს შორის. ამგვარ დეცენტრალიზე-
ბულ სახელმწიფო მმართველობას ი. ჭავჭავაძე თვითმმართველობას
უწოდებს. თავის ფილოსოფიურ-პოლიტიკურ ტრაქტატში „ცხოვ-
რება და კანონი“, ი. ჭავჭავაძეს ტერმინი „თვითმმართველობა“ გან-
მარტებული აქვს, როგორც „самоуправление, децентрали-
зация“².

ამრიგად, სახელმწიფო წყობილებისა და მმართველობის შესა-
ხებ ი. ჭავჭავაძის შეხედულებები ექვემდებარება მის პოლიტიკურ
იდეალს, კერძოდ, მრავალეროვან სახელმწიფოებში მცხოვრები
ერების მატერიალური და სულიერი ცხოვრების უზრუნველყოფას,
რაც, მისი მტკიცებით, ყველაზე უკეთ შეიძლება განხორციელდეს
ერებისათვის ფართო ავტონომიის (თვითმმართველობის, თვით-
მოქმედების) მინიჭების გზით. ამ მიზნით ევროპული და, კერძოდ,
მოწინავე რუსული იურიდიული მეცნიერების იმდროინდელი გან-
ვითარების დონეზე ი. ჭავჭავაძე ამუშავებს მოძღვრებას თვითმ-
მართველობის შესახებ. როგორც ირკვევა, ამ მოძღვრების სხვა-
დასხვა ნაწილები მის მიერ დამუშავებულია არა ერთბაშად, არა-
მედ თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობის სხვადასხვა
ეტაპზე. ყველაფერი ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ი. ჭავჭავაძე ქართ-
ველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირი-
თად მიზანს ყოველთვის ავტონომიას უკავშირებდა და ფიქრობდა,

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 241.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 36.

რომ ქართველი ერის პოლიტიკური მოწყობა რუსეთის მთავრობის
ეროვან სახელმწიფოში სავსებით შესაძლებელია ავტონომიის ფორ-
მით. ეროვნული
ავტონომიის

ავტონომიის (თვითმმართველობის) შესახებ ი. ჯავახიშვილის მიერ
ძღვრებიდან, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს მისი თეორია
ქვეყანაში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ხელისუფლე-
ბის ურთიერთდამოკიდებულებაზე.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსულ და ევროპულ იური-
დიულ მეცნიერებაში საერთოდ თვითმმართველობის ორი ძირითა-
დი თეორია იყო გავრცელებული: პირველი, საზოგადოებრივი თე-
ორია და, მეორე, სახელმწიფოებრივი თეორია¹. საზოგადოებრივი
თეორიის თანახმად, თვითმმართველობის არსი იმაში მდგომარე-
ობს, რომ ადგილობრივ საზოგადოებას მინიჭებული ჰქონდეს უფ-
ლება, თვითონ განაგოს საკუთარი საზოგადოებრივი ინტერესები,
ხოლო მთავრობის ორგანოებს გააჩნდეს მხოლოდ სახელმწიფო
საქმეების გამგებლობა. როგორც ვხედავთ, საზოგადოებრივი თე-
ორია გამოდის ადგილობრივი საზოგადოების სახელმწიფოსადმი
დაპირისპირებიდან და ავითარებს იმ თვალსაზრისს, რომ საზოგა-
დოება და სახელმწიფო საკუთარი ინტერესების განხორციელები-
სათვის უნდა ზრუნავდეს.

საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების დაპირის-
პირებიდან, რომელსაც ემყარება საზოგადოებრივი თეორია, გა-
მომდინარეობს ფართო თვითმმართველობის შემოღების მოთხოვნ-
ა, კერძოდ, რადგანაც თვითმმართველობის ორგანოები განაგებენ
არა სახელმწიფოებრივ, არამედ საზოგადოებრივ საქმეებს, ცხადია,
სახელმწიფოს არ ესაქმება, თუ როგორ ხორციელდება საზოგადო-
ებრივი საქმეები. მაგრამ საზოგადოებრივი თეორიის ფუძემდებლები
(ჯირკე, შეფლე და ა. შ.) მიუთითებენ, რომ, რადგან ყოველგვარი
კავშირი და მათ შორის თვითმმართველობაც სახელმწიფოში არსე-
ობს, ამდენად, თვითმმართველობას დაქვემდებარებული საქმე-
ები არ შეიძლება თავისი ხასიათითა და ბუნებით ერთნაირი იყოს.
ამის გამო საზოგადოებრივი თეორიის მომხრეები იძულებული არიან
განასხვავონ თვითმმართველობის კომპეტენციას დაქვემდებარებუ-
ლი ორი კატეგორიის საქმე: თვითმმართველობის საკუთარი საქ-

¹ А. Градовский, Системы местного управления на западе Европы и в России. Сборник государственных знаний, т. V и VI; его же, Начала русского государственного права, т. III. Органы местного управления, СПб 1883; Н. М. Коркунов, Русское государственное право, т. II, СПб, 1897.

მეები და სახელმწიფოს მიერ თვითმმართველობისათვის დადგენილი მული საქმეები.

თვითმმართველობის სახელმწიფოებრივი თეორია, ურჩევნეული ფუძემდებლები არიან დ. შტეინი, რ. გნესტი და ა. შ., თვითმმართველობის შესახებ საზოგადოებრივი თეორიის საწინააღმდეგო მოსაზრებას ავითარებენ. ამ თეორიის მომხრეთა მტკიცებით, თვითმმართველობას უნდა დაეკისროს ადგილებზე სახელმწიფო მმართველობის ამოცანების განხორციელება, ადგილობრივი საზოგადოების სამსახურის ორგანიზაცია სახელმწიფო ინტერესებისა და მიზნების შესაბამისად. თვითმმართველობის სახელმწიფოებრივი თეორიის მიხედვით, ავტონომია (თვითმმართველობა) ნიშნავს არა ადგილობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთდაპირისპირებას, არამედ ადგილობრივი საზოგადოების საქმიანობის დაქვემდებარებას სახელმწიფოს ინტერესებისადმი, სახელმწიფოსადმი ადგილობრივი საზოგადოების სამსახურს. წინააღმდეგ საზოგადოებრივი თეორიისა, რომლის თანახმად თვითმმართველობა ნიშნავს ადგილობრივი საზოგადოების მიერ საკუთარი ინტერესების დამოუკიდებლად განხორციელებასა და დაცვას, სახელმწიფოებრივი თეორიის მიხედვით თვითმმართველობას დაეკისრებული აქვს სახელმწიფო ინტერესების განხორციელება.

თვითმმართველობის შესახებ ზემოაღნიშნული თეორიებიდან საზოგადოებრივ თეორიაზე გამარჯვება სახელმწიფოებრივმა თეორიამ მოიპოვა და დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში თვითმმართველობების ჩამოყალიბებას საფუძვლად მხოლოდ სახელმწიფოებრივი თეორია გააჩნდა. მაგრამ თვითმმართველობის სახელმწიფოებრივი თეორიის განხორციელება ყველგან დიდ სიძნელებს ქმნიდა. საქმე ისაა, რომ, ამ თეორიის მიხედვით, თუ თვითმმართველობები იმ სახელმწიფოს ინტერესებსა და ამოცანებს ახორციელებენ, რომელშიც ისინი არიან ორგანიზებული, მაშინ რა საფუძვლით უნდა მოხდეს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ამოცანების ურთიერთგამიჯვნა, ანუ, სხვანაირად, სახელმწიფოებრივი მმართველობის ზოგიერთი საქმე რა საფუძვლით უნდა იქნეს შერჩეული თვითმმართველობისადმი დასაქვემდებარებლად. XIX ს. მეორე ნახევრის რუსულ და ევროპულ იურიდიულ მეცნიერებაში ჩამოყალიბებული აზრის მიხედვით, თვითმმართველობას უნდა გადაეცეს განსახორციელებლად მხოლოდ ადგილობრივი მმართველობის საქმეები ¹.

¹ Н. М. Коркунов, Русское государственное право, СПб, 1897; стр. 352 — 353.



იურიდიულ მეცნიერებაში თვითმმართველობის შესახებ გერ-
 ცელებული თეორიების შედარება ი. ჭავჭავაძის მიერ შემუშავებული
 თვითმმართველობის მოძღვრებასთან ცხადყოფს, რომ მისი
 ნიშნავად იცნობს ადგილობრივი თვითმმართველობის ზოგად პრობ-
 ლემებს და მათ გადაწყვეტას უკავშირებს ქართველი ხალხის ეროვნულ-
 განმათავისუფლებელი მოძრაობის საბოლოო შედეგებს, კერძოდ,
 რუსეთის იმპერიაში ქართველი ერის სახელმწიფოებრივ მოწყობას.

თვითმმართველობის (ავტონომიის) მოძღვრება იურიდიული მეცნიერების განვითარების იმდროინდელი დონის მიხედვით დამუშავებულია ი. ჭავჭავაძის მიერ ფილოსოფიურ-პოლიტიკურ ტრაქტატში „ცხოვრება და კანონი“. ი. ჭავჭავაძე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების, აგრეთვე ქართველი ერის თავისებურებათა გათვალისწინებით საგულდაგულოდ ადგენს და განსაზღვრავს თვითმმართველობის ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორცაა: თვითმმართველობის ადგილი სახელმწიფო მმართველობაში; თვითმმართველობის მიზანი; თვითმმართველობის დადგენის სიძნელენი და მისი დაძლევის გზები; თვითმმართველობა და სახელმწიფო წყობილების სხვადასხვა ფორმები; თვითმმართველობის ძირითადი კუთვნილებანი; თვითმმართველობის საფუძვლები; თვითმმართველობა და სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელება; სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაცია და თვითმმართველობა; საზოგადოებრივი სოლიდარიზმი და თვითმმართველობა; თვითმმართველობა რუსეთის იმპერიაში და მისი კრიტიკა და ა. შ.

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, სახელმწიფო მმართველობის მიზანია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეების წარმართვა ხალხის ინტერესების შესაბამისად, მაგრამ ცნობილია სახელმწიფოს ისეთი ფორმა, როდესაც მთავრობასა და საზოგადოებას შორის ქვეყნის საერთო მართვის დარგები განაწილებულია, კერძოდ, მთავრობა განაგებს „მარტო მთელის სახელმწიფოს საქიროების“ საქმეებს, დანარჩენს კი თვითონ საზოგადოება განაგებს და მას „თვისნი ადგილობრივი საქმენი აქვს ხელშეუვალად მინდობილნი“. საზოგადოების მიერ ეს „საქმენი, ადგილობრივად განაწილებულნი, განიგებიან უსათუოდ ადგილობრივთა მოხელეთა შემწეობით, რომელთაც ირჩევს თვით ადგილობრივთა, მცხოვრებთა საზოგადოება და რომელნიც ამავე საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელნი არიან. ამგვარს გამგეობას უწოდებენ თვითმმართველობას, რადგანაც ამ შემთხვევაში თვითეული ნაწილი ერთისა და იგივე სახელმწიფო-

ისა თავის საკუთარს საქმეს თვით კპატრონობს, თვით უფლის და
თვით კმართავს. ერთის სიტყვით, ამგვარის მმართველობის დედა
აზრი იგია, რომ ადგილობრივი საქმენი თვით ადგილობრივი
მცხოვრებთაგან განიგებოდეს¹. ი. ჭავჭავაძის მიერ თვითმმართველობის
ზემოაღნიშნული განსაზღვრება მნიშვნელოვნად განსხ-
ვავდება იმ განმარტებისაგან, რომელსაც ავრცელებდნენ რუსეთში
თვითმმართველობის მომხრე იურისტი მეცნიერები. მაგალითად,
პროფ. ნ. კორკუნოვი, რომელიც თვითმმართველობის დამცველი
იყო, წერდა, რომ ყველა თანამედროვე სახელმწიფოს ადგილობრივ
მმართველობაში სახელმწიფოებრივ (ადმინისტრაციულ) მმართვე-
ლობასთან ერთად, ვხვდებით აგრეთვე თვითმმართველობას, კერ-
ძოდ, „ეგრეთ წოდებულ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგა-
ნოებს, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში გამოირჩევიან დიდი
თვითმყოფობით, დიდი დამოუკიდებლობით თავისი პირადი შე-
მადგენლობისა, რომელიც ყალიბდება არა მთავრობის მიერ და-
ნიშნული მოხელეებით, არამედ თვით ადგილობრივი საზოგადოების
წარმომადგენლებით“². სახელმწიფო სამართლის ცნობილი პრო-
ფესორის ა. გრადოვსკის აზრით, თვითმმართველობა და დეცენტ-
რალიზაცია არ არის იდენტური ტერმინები³, და გარდა ამისა, მას
თვითმმართველობაც თავისებურად აქვს წარმოდგენილი. კერძოდ,
ე. გრადოვსკის აზრით, თვითმმართველობა არის ისეთი „სისტემა,
რომლის დროსაც სხვადასხვა ადმინისტრაციული მოვალეობების
განხორციელება ეკისრება ადგილობრივ მცხოვრებს, როგორც
ასეთს, ე. ი. მათი კავშირის დაუდგენლად მოსამსახურე პერსონ-
ალთან და მათ დაუქვემდებარებლად სახელმწიფო სამსახურის
ჩვეულებრივ პირობებთან“⁴.

განსხვავებით XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსული იური-
დიული მეცნიერებისაგან, რომელიც მეფის თვითმპყრობელობის
ცენტრალიზებული სახელმწიფოს დაცვასა და განმტკიცებას ემსა-
ხურებოდა, ი. ჭავჭავაძის მოძღვრება თვითმმართველობის შესახებ
ორიგინალურია და მისი შინაარსი მთლიანად განისაზღვრება ქართ-
ველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამო-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 36.

² Н. М. Коркунов, Русское государственное право, т. II, СПб, 1897, стр. 347.

³ А. Градовский, Начала русского государственного права, т. III, СПб, 1883, стр. 8.

⁴ იქვე, გვ. 11.

ცანებით. პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს თვითმმართველობის დამოკიდებულება ცენტრალიზაციასთან. როგორც ზემოთ დაინახეთ, რუსეთის იურიდიულ მეცნიერებას თვითმმართველობის დეცენტრალიზაცია არ მიაჩნდა იდენტურ მოვლენებად, თვითმმართველობაში სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაციის ბევრ ელემენტს ხედავდა. ეს გასაგებიცაა, რადგან XIX საუკუნის რუსული იურიდიული მეცნიერების წარმომადგენლები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ თვითმპყრობელობის ცენტრალიზებული სახელმწიფო აპარატის განმტკიცებით, ამავე დროს თვითმმართველობის შემოღებასაც ქადაგებდნენ, რადგან ეს უკანასკნელი მეტად პოპულარული გახდა დასავლეთ ევროპის მრავალეროვან ქვეყნებში და თვითმმართველობასა და დეცენტრალიზაციას არ აიგივეებენ. ცდილობენ დაასაბუთონ ცენტრალიზებულ სახელმწიფოში თვითმმართველობის შემოღების შესაძლებლობა. ი. ჭავჭავაძე კი, პირიქით, გამოდის ცენტრალიზაციის წინააღმდეგ, რადგან იგი ხელს უშლის მრავალეროვან სახელმწიფოში ერების პოლიტიკურ მოწყობას, რაც მხოლოდ დეცენტრალიზაციის პირობებშია შესაძლებელი, და თვითმმართველობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ესმის, როგორც „самоуправление, децентрализация“.

გარდა ამისა, განსხვავებით XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსული იურიდიული მეცნიერების წარმომადგენლებისაგან, რომლებიც, როგორც ზემოთ მოყვანილი ციტატებიდან ჩანს, გამორიცხავდნენ თვითმმართველობის მოხელეთა ანგარიშვალდებულებას მათი ამრჩევი საზოგადოების წინაშე, ი. ჭავჭავაძე გადაჭრით მოითხოვს ადგილობრივი საზოგადოების მიერ არსებული მოხელეების პასუხისმგებლობას ამ საზოგადოების წინაშე. რუსული იურიდიული მეცნიერების წარმომადგენელთა მიერ თვითმმართველობის მოქმედებიდან ი. ჭავჭავაძის მიერ ამ მოთხოვნის გამოტოვება უბრალო გაუგებრობით არ შეიძლება აიხსნას. საქმე ისაა, რომ მეფის თვითმპყრობელობა დაინტერესებული იყო თვითმმართველობის მოხელეების არა ადგილობრივი საზოგადოების, არამედ მეფის ცენტრალიზებული ხელისუფლების წინაშე პასუხისმგებლობით. ი. ჭავჭავაძე კარგად ხედავს მეფის თვითმპყრობელობის უარყოფით დამოკიდებულებას თვითმმართველობისადმი, რადგან იგი გულისხმობს სახელმწიფოს ფუნქციების განსახორციელებლად: „თვითმმართველობას ქვეყანაზედ ბევრი მტერი ჰყავს; ბევრს უფრთხობს ტყუილუბრალოდ ძილსა და მოსვენებასა. ამბობენ, რომ საშიშარიო — საზოგადოებას ეგ უფლება მიენიჭოს: აურზაურს მიჰყვე-

ბა, თავს გაიზვიადებს და მორჩილებიდან გამოვაო“¹. მიუხედავად ამისა, თვითმმართველობის აუცილებლობა თანდათანობით ცხადდება ყველასათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მართველობას მრავალეროვან სახელმწიფოში. ყველა განსაკუთრებული, სპეციფიკური თავისებურებანი და თავისებები გააჩნია, ამიტომაც ერთი ერის სახელმწიფოებრივი ცხოვრება არ შეიძლება ზუსტად სხვა ერის მსგავსი იყოს მრავალეროვან სახელმწიფოში. ამიტომაც იმ სახელმწიფოში, რომელშიც მრავალი ერია გაერთიანებული, ადგილობრივი პოლიტიკური წყობილება მხოლოდ თვითმმართველობაზე უნდა იყოს დამყარებული. ენება რა ქართველი ერის ცხოვრების თავისებურებებს, ილია მიუთითებს, რომ „ჩვენს ქვეყანას თავისი გრძელი ისტორია აქვს. ამ ისტორიამ შექმნა ჩვენის ქვეყნის საკუთარნი წესნი კაცთა ერთმანეთში მოთავსებისათვის მოქალაქურად თუ ეკონომიურად. ეს წესნი ისე გამჭდაბრია ჩვენის ქვეყნის ძვალსა და რბილში, რომ ჩვენის ქვეყნისავე სიტყვით, რჯულთ უმტიციესნი არიან. ამა განსაკუთრებულთა რჯულთა შემოქმედება ისე ძლიერია ერის ცხოვრებაში, რომ უყურადღებოდ დაგდება მათი მაშინ, როცა ჰფიქრობ ქვეყნის წარმატებას და განკარგებას. შეცდომაზედ მეტია. მაშინ ფიქრიც და თვითმოქმედებაც უქმია, რადგან უნიადაგოა და ფეხ მოუცილებელი: მაშინ ყოველი ჯაფა და გარჯა ტყუილად დაკარგული, ტყუილად გაფანტული ღონეა. როგორც ჰაერში დაკიდებული ხე არ იხეირებს, არარა ფიქრი, არარა მეცადინეობა, არარა ცვლილება, თუ ფესვის მოსაკიდებლად იგი დვრიტა, იგი დედა არა აქვს, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ“².

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ რუსეთის იმპერიის კანონებში არ არის და არც შეიძლება გათვალისწინებული იყოს სხვადასხვა ერების თავისებურებანი, ამიტომ ერის ცხოვრების სპეციფიკურობიდან წარმომდგარი ურთიერთობის სახელმწიფოებრივი მოწესრიგებისას უნდა „მივმართოთ ჩვეულებას და იგი დაგვანახებს ხსნის გზასა... სად როგორი ჩვეულებაა, სად რა სახის და რა ზომის ღალაა, — ეგ ადვილად საცნობია, იმიტომ, რომ ეს ადგილობრივ დიდმა და პატარამ შეუცდომელად იცის. გამოიძიონ ეს, ცნობაში მოიყვანონ ჩვეულებით დადგენილი ღალის რაოდენობა და სახე, და ყოველ ამის კვლად გადაკვეთონ აწინდელი წილადობილი ღა-

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 37.
2 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 295.

ლა თავ-თავისი ადგილის მიხედვითა. არც გლეხი იწყენს ამასა და არც ნაბატონარი, იმიტომ, რომ მათს გარშემო მწარმოებულ ქვეყნულუღბაზედ იქნება ყოველივე ეს დამყარებული და ამით იქნება იქნება დი დაიწვის და არც შამფური“¹.

თვითმმართველობა, საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეული საკითხების ადგილზევე გადაწყვეტა, ი. ჰავჭავაძის აზრით, გამარტივებს საქმის წარმოებას, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აღმოიფხვრება ბიუროკრატიზმი. აკრიტიკებს რა 1861 წლის საგლეხო რეფორმას, კერძოდ ბატონყმობისაგან განთავისუფლებული გლეხების მიერ მიწების გამოსასყიდ გადასახადს, ი. ჰავჭავაძე მოითხოვს, რომ „აწინდელი წილადობილი გლეხის გარდასახადი ყოველგან მალე გადიკვეთოს და განისაზღვროს ადგილობრივის ჩვეულების მიხედვითა... რომ ერთობ უსაბუთოდ რთული და დაუბოლოებელი წარმოება მამულის დახსნის თაობაზედ გამარტივდეს და სწრაფად აღსრულებაში მოდიოდეს“².

ილიას მტკიცებით, როცა ადგილობრივ საქმეებს თვითონ ადგილობრივი მცხოვრებლები განაგებენ, ქვეყნის კეთილდღეობა უზრუნველყოფილია, თვითმმართველობა ხალხს აფხიზლებს და ქვეაგონებას უხსნის, ავითარებს მათ ინიციატივას, ამგვარი მმართველობა შეიძლება სასარგებლო იყოს ყველგან და ყველა ხალხის ბედნიერი ცხოვრებისათვის.

1887 წელს ი. ჰავჭავაძე აქვეყნებს ნაშრომს „თვითმოქმედებისათვის“, ხოლო 1888 წელს — „კვალად თვითმოქმედების შესახებ“. ი. ჰავჭავაძეს თვითმმართველობა ესმის, როგორც თვითმოქმედება, თავის თავის მართვა და თაოსნობა, თვითმოქმედებითი ძალა: „თვითმოქმედება ყოვლად მხსნელი და ძლევამოსილი ძალია ყოველსფერში და ნამეტნავად მაშინ, როცა კაცს, თუ საზოგადოებას, თავის-თავის შველა უნდა“³. ზემოაღნიშნულ ნაშრომებში ი. ჰავჭავაძე მიუთითებს, რომ თვითმოქმედება (თვითმმართველობა) წოდებათა ჰარმონიის საფუძველია, რადგან ყველა წოდება ერთნაირადაა დაინტერესებული ადგილობრივი საზოგადოებრივი საქმეების მართვით. თვითმოქმედების გარეშე როგორც ცალკე ადამიანი, ასევე თითოეული წოდება „მართლად გადაეჩვევა თავის-თავის პატრონობას და მოვლას“⁴, რაც მათ გადაგვარებას გამოიწვევს. ი. ჰავჭავაძის აზრით, „წუთისოფელის სუფრა წვეულების

¹ ი. ჰავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 23.

² ი. ჰავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 32.

³ ი. ჰავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 333.

⁴ ი. ჰავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 7, გვ. 215.

სუფრა არ არის: ამ სუფრაზედ ყველამ თავის საკუთარი კერძი თვითონ უნდა მოიტანოს და დაიდვას, თვითონ უნდა მოშთესოს, მოჰხნას, მოიმკოს, მოზილოს და გამოაცხოს თავისი უკუყრუული პური“¹. ბიზლირთეკე

ი. ჭავჭავაძე, ემყარება რა თვითმმართველობის შესახებ მეცნიერებაში გავრცელებულ მოძღვრებას², მიუთითებს, რომ თვითმმართველობა ყველაზე მეტად უზრუნველყოფს საზოგადოების საერთო ინტერესების დაცვასა და განხორციელებას და ამასთან მან შეიძლება წარმატებით შეასრულოს თავისი ამოცანები ყველა ქვეყანაში, კერძოდ, „ინგლისშიაც, საცა დიდკაცობაა ყოველის წყობის საფუძველი, ამერიკაშიაც, საცა განუსაზღვრელი თანასწორობაა მიღებული სახელმწიფოს ქვაკუთხედადა. ერთნაირის სიკეთით და მადლით მოქმედებს და თავსდება იქაც, საცა იმისთანა პატარა ქვეყანაა, როგორც შვეიცარია (739 ოთხკუთხა მილია) და იქაცა, საცა იმისთანა უზარმაზარი უდაბნო მინდვრებია, როგორც ჩრდილო-ამერიკაში. იქაც კეთილადგანწყობილი და შეთვისებულია, საცა იმისთანა სახელოვანი განათლებაა, როგორც ლონდონში და იქაც, საცა მისთანა გაუნათლებელი ხალხია, როგორც კანადაში, ავსტრალიაში და სხვა ინგლისის კოლონიებში“³.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ არც სახელმწიფოს სხვადასხვა ფორმა უშლის ხელს თვითმმართველობის დამყარებას: „როგორც უნდა იყოს უმაღლესი მთავრობა — თვითმპყრობელობითი, მონარქიული წარმომადგენლობითი, თუ რესპუბლიკის სახისა, — ერთშიაც, მეორეშიაც და მესამეშიაც თვითმმართველობა მშვიდობიანად მოეწყობა, საზოგადო წყობილებას არამცთუ ხელს შეუშლის, არამედ ხელს მოუმართავს, რადგანაც თვით ადგილობრივის საზოგადოების მოჭირნახულეა და ამასთანავე უმაღლესის მთავრობის უკეთესი თვალი და ხელია, ყოველ კუთხემდე მიწვდენილი“⁴. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ თვითმმართველობა ფართოდ დაინერგა რუსეთში, სადაც ჯერ სოფლის გლეხთა საზოგადოებას მიენიჭა თვითმმართველობის უფლება, ხოლო შემდეგ — მაზრასა და გუ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 316.

² გ. ჯიბლაძე, ილია ჭავჭავაძე, გვ. 710; ი. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 46—48; ვ. მეტრეველი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, გვ. 59—61; ვ. ჟვანია, სამართლიანობისა და სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების პრობლემები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, გვ. 158.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 37.

⁴ იქვე, გვ. 42.

არიან“, მაგრამ მათი კომპეტენციის გამიჯვნისას თუ დაშვებულ
იქნება შეცდომა და თვითმმართველობის ორგანოებს უფრო ფი-
თო უფლებამოსილება მიენიჭება, ვიდრე ცენტრალურ მისი
იგი საზოგადოებისათვის ნაკლებად საზიანოა: „თვითმმართველ-
ბის საქებრად ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ აქ გადამეტებულსა, თუ
არ სარგებლობა, ისეთი ვნება მაინც არ მოსდევს, როგორც მას,
როცა სახელმწიფოს მთავრობას გადამეტებულის ზომით დაუჭერია
ცხოვრებაში ადგილი“¹.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას
(მთავრობას) და თვითმმართველობას შორის არ არის ისეთი დაპი-
რისპირება და წინააღმდეგობა, რომელიც არ შეიძლება გადაილა-
ხოს. მათი თანაარსებობა აუცილებელია, თუნდაც სახელმწიფო
გვარტომობით ერთი და იმავე ხალხისაგან შედგებოდეს. სახელ-
მწიფოს ყოველ მხარეს თავისი საკუთარი გაჭირვება, საკუთარი
საზრუნავი აქვს, მთავრობის დანიშნულება კი ისაა, რომ ყოველი
მხარის „ქვეშევრდომს მისი სატივიარი გაუგოს, მისი წამალი დას-
დოს, ყოველს სიკეთისა და კეთილდღეობის გზა გაუხსნას“². უმაღ-
ლეს მთავრობას ამ მიზნების გასახორციელებლად უნდა ჰყავდეს
ან საკუთარი მოხელენი სახელმწიფოს ყველა კუთხეში, ანდა „ეგ
მოხელეობა თვით ადგილობრივ მცხოვრებთა უნდა ჩააბაროს,
მიანდოს“³. საკითხის ამგვარად გადაწყვეტისას, მიუთითებს ი. ჭავ-
ჭავაძე, შეიძლება გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან უმაღლესი მთავრო-
ბისა და თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენცია. მისი აზ-
რით, „უმაღლესი მთავრობა რა სახისაც არ უნდა იყოს, საყოველ-
თაო საქმეთა მზრუნველი და მოღვაწეა, ესე იგი იმა საქმეთა, რო-
მელნიც არამც თუ ყოველს ნაწილს, არამედ ყოველს ქვეშევრდომს
ერთნაირად და ერთგვარად შეეხება და რომელნიც საერთო; სა-
ყოველთაო კეთილდღეობისათვის ცნობილია“⁴. სახელმწიფო საქ-
მიანობის ამ სფეროს განეკუთვნება ზოგადი კანონების მიღება
(საყოველთაო კანონმდებლობის წარმოება), საფინანსო და სამხედ-
რო ფუნქციების განხორციელება. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ
„ესე ყოველი ხელშეუვალი კუთვნილებაა უმაღლესის მთავრობი-
სა, და თვითმმართველობას, როგორც კერძო სამმართველოს, ამ
საქმებში ხმა არა აქვს: იგი ემორჩილება ყოველს მას, რაც უმაღ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 38.

² იქვე, გვ. 40.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 40—41.

ლესის მთავრობისაგან განგებულია, დაწყობილი და განწყობილი“¹.

რაც შეეხება თვითმმართველობას, იგი, ერთი მხრივ, უმაღლესი მთავრობის საქმეებს განაგებს, ხოლო მეორე მხრივ, უმაღლესი მთავრობის აღმასრულებელი ორგანოა, იგი უმთავრესად განაგებს და მზრუნველობს ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესებსა და საქმეებს, კერძოდ, ასრულებს რა თავის ფუნქციებს, იგი „ყოველივე საერთო სახელმწიფო ხარჯის და სამსახურის ადგილობრივთა მცხოვრებთა შორის განმანაწილებელია, ადგილობრივის საზოგადოების რიგისა და წესის დამწყობია, მისის ზნეობის, პატივის, ქონების, განათლების და ერთობ კეთილდღეობის მზრუნველია“². ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, მართალია, ყველა ზემოაღნიშნულ საქმეს თვითმმართველობა განაგებს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად, მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების ამ სფეროში თვითმმართველობის მიერ განხორციელებული ღონისძიებანი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს „საერთო სახელმწიფო კანონსა და განკარგულებას“³.

თვითმმართველობის შესახებ მის მიერ შემუშავებულ მოძღვრებაში ი. ჭავჭავაძე დიდ ყურადღებას აქცევს ორ უმთავრეს სამართლებრივ ინსტიტუტს: პირველი, თვითმმართველობის უმთავრეს კუთვნილებებს და, მეორე, თვითმმართველობის უმთავრეს საფუძვლებს. თვითმმართველობის უმთავრესი კუთვნილებანი განსაზღვრავს თვითმმართველობის ორგანოების ძირითად უფლებამოსილებას, ადგილობრივ საზოგადოებრივ საქმეებს, რომელთა გამგებლობა შეადგენს თვითმმართველობითი ორგანოების კომპეტენციას. ი. ჭავჭავაძის აზრით, „უმთავრესნი კუთვნილებანი თვითმმართველობისანი არიან: 1. ადგილობრივთა საქმეთა ადგილობრივის განსამართლების უფლება. ამაზედ არის დამყარებული მცხოვრებთა პატივის, ღირსების და ქონების ნამდვილი მფარველობა და ხელშეუხებლობა; 2. უმაღლესის მთავრობისაგან განწყობილების ხარჯისა, ბეგარისა და სამსახურისა ადგილობრივთა მცხოვრებთა შორის განაწილება. ეს უკეთესი ღონისძიებაა, რომ ყოველმა სამართლიანად და უმეტ-ნაკლებოდ გადაუხადოს სახელმწიფოს თვისი შესახვედრი მოვალეობა; 3. ადგილობრივის საჭიროებისათვის გარდასახადის დადგენა, გაწერა და აქედამ შემოსავლის ფულის თავისუფლად გამგეობა; 4. სხვადასხვა წესისა და რიგის დადგენის უფ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 41.

² იქვე.

³ იქვე.

ლება ადგილობრივის საზოგადოების კანონად, მაგრამ ისე ცოცხალი იგი წესი და რიგი საყოველთაო კანონს არ ეწინააღმდეგებოდა; 5. ადგილობრივის საზოგადოების პირველდაწყებითი სკოლის მოწყობა და თავისუფალი გამგეობა; 6. ადგილობრივის საზოგადოებისათვის მზრუნველობა და ღონისძიების მოხმარება; 7. ადგილობრივის საზოგადოებისათვის თადარიგის დაჭერა და ღონისძიებათა მოპოება; 8. ადგილობრივის გზებისა, ხიდებისა კეთება, მოვლა და თავისუფალი გამგეობა; 9. უმაღლესის მთავრობის წინაშე შუამდგომლობა ყოველს მასზედ, რაც ადგილობრივის საზოგადოების საჭიროებას და მოთხოვნილებას შეადგენს¹.

უნდა აღინიშნოს, რომ ი. ჭავჭავაძის მოძღვრებაში თვითმმართველობითი ორგანოების კომპეტენცია შედარებით ვრცლად და სრულადაა წარმოდგენილი და ამ პრობლემის გარშემო იმ დროს გავრცელებულ შეხედულებებთან შედარებით იგი უფრო პროგრესული მოჩანს. მაგალითად, თვითმმართველობის იმდროინდელი თეორეტიკოსები, რუსი და ევროპელი მეცნიერები პროფ. ა. გრადოვსკი, პროფ. ნ. კორკუნოვი, გნეისტი და ა. შ. თვითმმართველობის კომპეტენციას მეტისმეტად შეზღუდულად წარმოგვიდგენენ, კერძოდ, ისინი თვითმმართველობითი ორგანოების საქმიანობის სფეროს უქვემდებარებენ არა პოლიტიკურ, არამედ უმთავრესად სამეურნეო საქმეებს. მაგალითად, ა. გრადოვსკი წერს: „ადგილობრივი სარგებლობისა და საჭიროების განსახლვრისათვის ამოსავალ წერტილად შეიძლება მიჩნეული იქნეს ინტერესთა წრე, რომელიც ასე ვთქვათ, უშუალოდ გამომდინარეობს გარკვეულ: ცოტად თუ ბევრად შემოფარგლულ მიწის სივრცეზე ხალხის მასების ურთიერთობის ფაქტიდან. ამ ინტერესებს წარმოადგენს, პირველ ყოვლისა, სამეურნეო სარგებლობანი და საჭიროებანი“². თვითმმართველობის კომპეტენციის თაობაზე ი. ჭავჭავაძის მოძღვრებასთან შედარებით, ასევე შეზღუდულ წარმოდგენას ავითარებს გნეისტი, რომელიც კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე, იკვლევს ინგლისში თვითმმართველობის სამართლებრივ მდგომარეობას³.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, განსხვავებით თვითმმართველობის შესახებ რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში გავრცელებული შეხე-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 42—43.

² А. Градовский, Начала русского государственного права, т. III, СПб, 1883, стр. 27.

³ იქვე, გვ. 28—30.

დულებებისაგან, ი. ჭავჭავაძის მოძღვრება თვითმმართველობითი ორგანოების სისტემის შესახებ, შეიცავს ახალ მომენტებს, რომელიც მისი საერთო მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობს. ისაა, რომ ი. ჭავჭავაძე თვითმმართველობასა და მისი ორგანოების საქმიანობაში ხედავს საზოგადოებრივი სოლიდარიზმისა და კლასთა შორის ჰარმონიის მიღწევის შესაძლებლობას. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ადგილობრივი საზოგადოების შიგნით ისეთი წინააღმდეგობანი, რომელთაც შეუძლიათ მისი გათიშვა და ურთიერთდაპირისპირება, თვითმმართველობების არსებობისას გამორიცხულია, რადგან ყველა წოდების (გლეხი, თავადი, აზნაური, მღვდელი და ა. შ.) „მიწისმფლობელობას... კერძობითის საკუთრების მნიშვნელობა აქვს... ამ მხრით განაწილება სოფლად მცხოვრებთა და დარღვევა სოფლის ერთობისა, უსაბუთოა, უმიზეზოა“¹.

თვითმმართველობას დაქვემდებარებული ყველა საქმე, კერძოდ, სოფლის მშვიდობიანი და წესიერი ცხოვრება, სარჩო-საბადებლის, ქონების, საკუთრების გაფრთხილება და დაცვა ქურდების და ავაზაკებისაგან, მინდვრების და ვენახების მოვლა-პატრონობა, კარგი გზების, ხიდების, რუების არსებობა და გამგეობა, რიგიანი და იაფი სამართალი ადგილზე წვრილმანი საქმეების გადასაწყვეტად, საერთო მზრუნველობა სკოლებისა და გაჭირვებულებისა, ხელის გამართვა და შველა თანამოქმეთათვის, სახელმწიფო სამსახურის, ხარჯისა და ბეგრის თანასწორი განაწილება, უმაღლეს მთავრობასთან საერთო საჭიროების თაობაზე შუამდგომლობა, ერთი სიტყვით, ყველა სასოფლო საქმის კეთილად დაწყობა და სამართლის გამგეობა — „ეს იმისთანა საგნები არიან თვითმმართველობისა, რომელნიც ერთნაირად შეეხებიან სოფელში მცხოვრებთ თავად-აზნაურთა და გლეხთა, ერთნაირად სანატრელია და საზრუნველი ყველასათვის, ვინც-კი სოფლის საზოგადოებაში სცხოვრობს. ყოველს ამაში საშუალო, სამტრო რა არის? აბა, რა არის აქ იმისთანა, რომ ერთმა წოდებამ სულ თავისკენ მიიზიდოს და მეორე ცარიელზედ დასვას?“².

თვითმმართველობა, როგორც საზოგადოებაში კლასობრივი ზავისა და ერის გამთლიანების ორგანო, აგებული უნდა იყოს ფართო დემოკრატიის საფუძველზე, რაც, ი. ჭავჭავაძის აზრით, ნიშნავს შემდეგს: „1. ხმა და არჩევის უფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებსა, რაკი სრულწლო-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 51.

² იქვე, გვ. 51—52.

ვანია; მაშასადამე ყოველს მოვალეობაშიაც ყოველს მცხოვრებს წილი უნდა ედვას; 2. ადგილობრივის სამმართველოს ხელუქმეულები უნდა იყვნენ ყოველნი, ვინც კი სამმართველოს წრეში სცხოვრობდა; აქ, როგორც პირველს შემთხვევაში, წოდებათა შორის განყოფილება და ხარისხების გადება მავნებელია და თვითმმართველობის ბუნების წინააღმდეგია; 3. ადგილობრივი მოსამართლენი, აგრეთვე მოხელენიცა, უნდა ამოირჩიონ ადგილობრივთა მცხოვრებთა; 4. ყოველივე ადგილობრივის თანამდებობის მექონი კაცი პასუხისმგებელი უნდა იყოს წინაშე საზოგადო სამართლისა და სამსჯავროსა და არა თვისთა უფროსთა წინაშე¹.

თვითმმართველობის ზემოაღნიშნული მოძღვრების მიხედვით, ი. ჭავჭავაძე კრიტიკულად სწავლობს მეფის თვითმპყრობელობის მიერ XIX საუკუნის 60-იანი წლების რეფორმების საფუძველზე ჩამოყალიბებულ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს და მის საქმიანობას. ცნობილია, რომ მეფის თვითმპყრობელობის მიერ 60-იან წლებში მიღებულმა რეფორმებმა რუსეთის შიდა გუბერნიებთან შედარებით, განაპირა მხარეებში დიდად დაიგვიანა და ამავე დროს განხორციელდა მეტისმეტად შეზღუდული სახით. მხოლოდ 1864 წლის 13 ოქტომბერს დამტკიცდა „წესები სოფლის საზოგადოებების, მათი საზოგადოებრივი მმართველობისა და სახელმწიფო და საზოგადოებრივი ბეგარის შესახებ თბილისის გუბერნიაში“, რომლის საფუძველზე შემუშავდა დებულება სასოფლო საზოგადოებათა მოწყობის შესახებ. 1865 წლის 11 აპრილს ეს დებულება დაამტკიცა მეფისნაცვალმა და, როგორც იქნა მთელ საქართველოში ჩამოყალიბდა სოფლის საზოგადოებრივი მმართველობანი².

ასევე გვიან და შეკვეცილი სახით განხორციელდა საქართველოში სამეფო ხელისუფლების მიერ 1864 წლის 20 ნოემბერს დამტკიცებული სასამართლო რეფორმა. 1868 წლის 1 იანვრიდან ჩამოყალიბებას იწყებს საქართველოში ყველა წოდებისათვის საერთო სასამართლო დაწესებულებანი, მაზრებში დაწესდა მომრიგებელი მოსამართლენი, გუბერნიებში კი—საოლქო სასამართლოები³.

რაც შეეხება საქალაქო რეფორმას, რომლითაც ქალაქებს თვითმმართველობა ენიჭებოდა, იგი რუსეთის სამეფო ხელისუფლებამ

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 44.

² საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბილისი, 1970, გვ. 304.

Г. М. Туманов, Организация земства в Закавказье, Тифлис, 1918.

³ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბილისი, 1970, გვ. 314.

Г. М. Туманов, Разбой и реформа суда на Кавказе, СПб, 1903.

საბოლოოდ დაამტკიცა 1870 წლის 16 ივნისს. ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში, მეფისნაცვალს ამ საქალაქო რეფორმის განხორციელების უფლებამოსილება მიეცა მხოლოდ 30 ოქტომბერს. ბრძანებით მეფისნაცვალს უფლება მიენიჭა საქალაქო რეფორმა განხორციელებინა ადგილობრივი ვითარების შესაბამისად საკუთარი შეხედულებისამებრ¹. საქალაქო თვითმმართველობები ჩამოყალიბდა თანდათანობით, ჯერ თბილისში, შემდეგ ქუთაისში, გორში, ახალციხეში, ფოთსა და ბათუმში, ხოლო დანარჩენი ქალაქები, აგრეთვე ყველა დაბა ისევ საპოლიციო მმართველობაში დარჩა².

საერთო რეფორმების განხორციელების შედეგად ჩამოყალიბებული თვითმმართველობების პოლიტიკურ სისტემას პროგრესულ რუს იურისტ-მეცნიერებთან ერთად დადებით მოვლენად თვლიდნენ ამ პერიოდის მოწინავე ქართველი მოაზროვნეები და მათ შორის ი. ჭავჭავაძეც, მაგრამ ისინი ერთხმად აღნიშნავდნენ იმ ნაკლოვანებებსაც, რომელიც დამახასიათებელი იყო საერთოდ რუსეთში ჩამოყალიბებული თვითმმართველობითი დაწესებულებებისათვის. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ჩამოყალიბებული თვითმმართველობითი დაწესებულებების ი. ჭავჭავაძისეული კრიტიკა სხვებისაგან გამოირჩევა დასაბუთებით, პოლიტიკური სიმჭაფრით, თვითმმართველობის შესახებ დასავლეთ ევროპისა და რუსეთის მეცნიერულ ლიტერატურაში შემუშავებული მოძღვრების ღრმა ცოდნით და, რაც მთავარია, იგი დაკავშირებულია ფართო დემოკრატიული გარდაქმნების მოთხოვნებთან. ი. ჭავჭავაძე წერს: „ჩვენის სასოფლო მმართველობის წესდებულებას ვინც თვალს გადაავლებს, დაინახავს, რომ იგი, ცოტად თუ ბევრად, თვითმმართველობის საფუძველზედ არის ამოყვანილი. ამის შემდეგ, რასაკვირველია, საბუთი აქვს ადამიანს იკითხოს: თუ თვითმმართველობა ევ არის, მაშ, ყოველის მხრით და ყოველგან რად ისმის სამდღურავი სოფლის თვითმმართველობაზედ? რატომ მაგ თვითმმართველობამ არ ააყვავა სოფელი, თვით გლახობა ეგრე ერთხმად რად უჩივისო? ჩვენ ვეცდებით ამ საბუთიანს სიტყვას შესაფერი პასუხი მივცეთ“³.

უპირველეს ყოვლისა, ი. ჭავჭავაძე კრიტიკულად მიმოიხილავს შიდა რუსეთისა და განაპირა მხარეების, განსაკუთრებით საქარ-

¹ საქათველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. V. თბილისი, 1970, გვ. 323.

² იქვე, გვ. 328.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 44.

თველოს სასოფლო თვითმმართველობის წესდებებს და იმ უმთავრეს მიზეზებს, რაც განაპირობებს თვითმმართველობის დაწესებულებების ნაკლოვანებებს. ი. ჭავჭავაძის მიზეზებისაგან დამოუკიდებლად, თვითმმართველობების ნაკლოვანებათა განმსაზღვრელია შემდეგი ორი ძირითადი მიზეზი: პირველი წარმოდგება თვითმმართველობის წესდებისაგან და იგი ერთნაირადაა დამახასიათებელი როგორც შიდა რუსეთის, ასევე განაპირა მხარეების თვითმმართველობითი დაწესებულებებისათვის: „პირველი და უდიდესი ნაკლი ამ წესდებისა ის არის, რომ თვითმმართველობის არსებითი საფუძველნი არ არიან მისგან აღიარებულნი და, რაკი თვითმმართველობას ეგ ნაკლი თან შეჰყვება, აქ თვითმმართველობას ნურავინ დაემდურება, იმიტომ რომ აქ თვითმმართველობა არ გახლავთ და არაფერს შუაშია“¹. რაც შეეხება მეორე მიზეზს, იგი იმაში მდგომარეობს, რომ, განსხვავებით შიდა რუსეთის წესდებისაგან, რომელშიც გათვალისწინებულია იქაური სოფლების ვითარება, იქაური საოჯახო, ეკონომიკური და საზოგადოებრივი წყობილების თავისებურებანი, განაპირა მხარეებში, კერძოდ საქართველოში, არსებული თვითმმართველობითი ორგანოების წესდებები მთლიანად გადმოღებულია შიდა რუსეთის სოფლებში ჩამოყალიბებული თვითმმართველობის წესდებისაგან: „მეორე, უდიდესი მიზეზი ჩვენებურის მმართველობის უვარგისობისა ის გახლავთ, რომ იგი არ არის აღმოცენებული და დამყარებული ჩვენის სოფლის შინაურს მოწყობილობაზედ, მის ეკონომიურს, ოჯახობრივს და საზოგადოებრივს ვითარებაზედ“².

თვითმმართველობითი დაწესებულებების პირველი ჯგუფის ნაკლოვანებები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძის აზრით, წარმოდგება იქიდან, რომ რუსეთში ყველგან მოქმედი საერო ნორმატიული აქტების მიერ არ არის აღიარებული „თვითმმართველობის არსებითი საფუძველნი“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძის აზრით, თვითმმართველობის უმთავრესი საფუძველებია: 1. საარჩევნო უფლება და ხმის უფლება უნდა გააჩნდეს ყველა სრულწლოვან ადგილობრივ მცხოვრებს; 2. თვითმმართველობითი ორგანოების ხელისუფლება ერთნაირად უნდა გავრცელდეს ყველა წოდებაზე, რომლებიც მოცემული თვითმმართველობის ორგანოებისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ ანუ, სხვანაირად, მოსახლეობის წოდებრივი განცალკევება

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 46.

² იქვე, გვ. 47.

და ბარიერები თვითმმართველობის ბუნებას ეწინააღმდეგება; 3. თვითმმართველობის თანამდებობის პირნი (მოსამართლეები ხელენი) არჩეული უნდა იქნენ ადგილობრივი მცხოვრებლები შიერ; 4. ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა თანამდებობის პირი პასუხს აგებს არა საკუთარი უფროსების, არამედ „საზოგადო სამართლისა და სამსჯავროს“ წინაშე.

ი. ჰავჭავაძის მტკიცებით, თვითმმართველობის ეს საფუძვლები საქართველოში ჩამოყალიბებულ სასოფლო თვითმმართველობითი ორგანოების სისტემას ან არ უდევს საფუძვლად, ანდა ისეა შელახული და შერყეული, რომ თვითმმართველობის ბუნებას დიდ ზიანს აყენებს. თვითმმართველობის პირველ საფუძველს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჰავჭავაძის აზრით, წარმოადგენს ის, რომ საარჩევნო უფლება და საარჩევნო ხმა უნდა გააჩნდეს ყველა სრულწლოვან და ადგილობრივ მცხოვრებებს, მაგრამ სინამდვილეში თვითმმართველობით ორგანოებს სოფლის ყველა მცხოვრები კი არ ირჩევს, არამედ მხოლოდ გლეხები, ისიც მხოლოდ ის გლეხები, რომლებიც მოხსენიებულნი არიან ცალკე კომლად კამერალიის აღწერაში, ხოლო თავად-აზნაურები, ვაჰარ-მოქალაქენი, სამღვდელოება, სოფელში ბინადრად მცხოვრებნი და ისეთი გლეხებიც, რომლებიც კამერალიის აღწერის შემდეგ ცალკე კომლად გავიდნენ, მოკლებულნი არიან ზემოაღნიშნულ უფლებას. ამასთან, მიუთითებს ი. ჰავჭავაძე, ამ კატეგორიის სოფლის მცხოვრებთ თვითმმართველობაში არავითარი უფლება არა აქვთ, მაგრამ სასოფლო მოვალეობის ტვირთი სხვების მსგავსად აწევთ. ი. ჰავჭავაძე, აკრიტიკებს რა სასოფლო თვითმმართველობის დებულებასა და ფაქტიურად არსებულ თვითმმართველობებს, მოითხოვს სასოფლო თვითმმართველობების დემოკრატიზაციას. იგი წერს: „ჩვენი აზრი ის არის, რომ თვითმმართველობისათვის ყველა წოდების კაცი ერთგვარად უნდა იყოს მიჩნეული. თვითმმართველობა ერთი იმ ძალთაგანია, რომელიც აბია წარმატების უღელში და ეწევა სხვებთან ერთად. მაშასადამე, გამოკლება ვისიმე თვითმმართველობიდან — დაუძღურებაა ღონისა, წარმატებისათვის მიმართულისა. წარმატებისათვის, კეთილდღეობისათვის საჭიროა, რომ ყოველნი ძალნი ერობისანი ერთად, ერთგვარად იყვნენ მიდრეკილნი და მიწვეულნი. თვით წარმატებაც, განვითარებაც მაშინ არის ჭეშმარიტი და ნაყოფიერი, როცა ყველანი ერთგვარად და ერთ სახით სწვდებიან საერთო სიკეთეს, ერთგვარად და ერთ სახით გაჭირვების უღელს ეწევიან და თანასწორად ანაწილებენ უფლებას და მოვალეობას. საცა ეს არ არის, მაშინ ერთის

ამაღლება, ერთის კეთილდღეობა, — მეორის დამდაბლებად. მეორის გაღარიბებაზედ არის ხოლმე ხშირად დამოკიდებული უსწორ-მასწორობა ერთმანეთ-შორის, სხვათა შორის, დაყოფის შედეგია; ვისაც კეთილი უნდა, ამ უჯრებს კი არ უნდა წაუმატოს; რაც არის, ისიც უნდა დაშალოს, დაარღვიოს და ქარს მისცეს“¹.

ამრიგად, თვითმმართველობას, როგორც დემოკრატიულ პოლიტიკურ დაწესებულებას, დიდი სიკეთე მოაქვს საზოგადოებისათვის, იგი მოსახლეობის „უჯრა-უჯრად“ დაყოფას და „უსწორ-მასწორობას“ სპობს საზოგადოების საკეთილდღეოდ. ამ მხრივ, ი. ჭავჭავაძის აზრით, სანიმუშოა ინგლისი, რომელიც „პირველი სახეა თვითმმართველობისა და რომელსაც უარყოფილი აქვს სოფლის მცხოვრებთა შორის განთვითეულება, როგორც მომაკვდინებელი სენი თვითმმართველობისა“². რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, კერძოდ, რუსეთსა და გერმანიას, ამ ქვეყნებში თვითმმართველობათა ორგანოების სისტემას საფუძვლად უდევს საზოგადოების „უჯრა-უჯრად“ დაყოფა. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ „რუსეთში... სოფელი უჯრა-უჯრად დაჰყვეს, ერთს წყობას მიანიჭეს შეება და აჰკიდეს ტვირთი თვითმმართველობისა და მეორე გამოაკლეს ერთსაც და მეორესაც“³. შეიძლება, შენიშნავს ი. ჭავჭავაძე, რუსეთში ამას თავისი გასამართლებელი მიზეზიც მოეძებნოს, რადგანაც რუსეთში სოფლის საზოგადოება სულ სხვა საფუძველს ემყარება. საქმე ისაა, რომ რუსეთში გლეხობა კომლექსური მფლობელობით, მემკვიდრეობით კი არ ფლობს მიწის ნაკვეთებს, არამედ იქ მიწები საერთოა და არავის ეკუთვნის სამუდამოდ, როგორც საქართველოში. სწორედ ამის გამო იქ სოფლებში ორგვარი მიწისმფლობელობა გვხვდება, გლეხთა საერთო მფლობელობის მიწები და თავად-აზნაურთა განსაკუთრებული მფლობელობის მიწები. რადგან სოფლის თვითმმართველობა ამ ორს, „ვითომ ურთიერთის წინააღმდეგს მოპირდაპირე მფლობელობას და მათგან მომდინარეს მოთხოვნილებას ვერ მოითავსებდა“⁴, ამის გამო კანონმდებელმა საჭიროდ დაინახა სასოფლო თვითმმართველობაში გლეხობისა და თავად-აზნაურობის განთვითეულება. სოფელში მცხოვრებთა ურთიერთდაპირისპირება, მათ შორის ერთობის და-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 48.

² იქვე, გვ. 49.

³ იქვე, გვ. 48—49.

⁴ იქვე, გვ. 49.

რღვევა შედეგია გერმანიისადმი მიბაძვისა. გერმანია, სადაც მთელი საზოგადოება დაყოფილია სამს უჯრად (Gutsherrn წითელმფლობელები, Bürgern — მოქალაქენი, Bauern — გლეხები), თვითმმართველობის მხრივ ყველა სხვა სახელმწიფოებს უკან ჩამორჩა და... ამგვარებში დღესაც ამ აზრებით სულდგმულობს და მოქმედობს, როგორც ნეტარსენებულ ბატონყმობის დროს¹.

განსხვავებით რუსეთისაგან, სადაც მიწისმფლობელობის სხვადასხვა ფორმა ბატონობს, საქართველოში ყველგან მიწისმფლობელობას ისეთივე კერძობითი საკუთრების მნიშვნელობა აქვს, როგორც თავადაზნაურისას, მღვდლობას, თუ სხვისას². ამიტომაც სოფლის მცხოვრებთა დიფერენციაცია, სოფლის ერთობის დარღვევა ყოველად გაუმართლებელია, თვითმმართველობისადმი დაქვემდებარებული საქმეებით სოფელში მცხოვრები ყველა წოდების წარმომადგენელი ერთნაირადაა დაინტერესებული.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს: თვითმმართველობას საქართველოში დიდი გასაქანი იმიტომ აქვს, რომ ჩვენში მტრული წოდებები არ არის, თავადაზნაურობა და გლეხობა ჩვენში არც აზრით, გრძობით, ზნეობით და ჩვეულებით არ დაშორებია ერთმანეთს, თვითმმართველობითი ორგანოების საქმიანობიდან ზოგიერთი წოდების ჩამოშორება და მათი მხოლოდ გლეხთა დაწესებულებებად გამოცხადება ფაქტიურად „ტვირთს უმიძიმებს გლეხსა მით, რომ მართო გლეხილა იზღის საზოგადოების სამსახურს, ეწევა ბეგარას, აკეთებს გზებს, ჰყარაულობს, იცავს საზოგადო მშვიდობიანობას, იცავს ყველას საკუთრებას მტაცებლობისა თუ წანახელისაგან და ამ სიკეთეში ძალაუზნებურად წილხდომილნი არიან ყველანი, ვინც კი სოფლის წრეში სცხოვრობს, ხოლო ხარჯში, უღლის წვევაში კი — არა“³. აკრიტიკებს რა სოფლის თვითმმართველობის წესდების 23-ე, 36-ე და 39-ე მუხლებს, ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ სოფელში მცხოვრები ყველა წოდება, გარდა გლეხობისა, თვითმმართველობითი დაწესებულებების საქმიანობას ჩამოშორებულია, რითაც წესდება „უარ-ჰყო პირადი თანასწორობა კანონის წინაშე, თანასწორობა, რომელიც სულია და გული ყოველის წყობისა და ნამეტნავად თვითმმართველობისა. უამისოდ თვითმმართველობა უქმი სიტყვაა, უნაყოფო ხეა“⁴.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 49.

² იქვე, გვ. 51.

³ იქვე, გვ. 58.

⁴ იქვე, გვ. 59.

წოდებრივი განკერძობულობა, რაც საფუძვლად უდევს თვით-
მმართველობის წესდებას, არააობად აქცევს თვითმმართველობით
დაწესებულებებს და მათ მოხელეებს. მაგალითად, შეჩვენებული
ი. ჭავჭავაძე, ამ წესდების 24-ე მუხლი აკისრებს სოფლის მფლობელს
ლეს მოხელეს — მამასახლისს, დაიცვას მშვიდობა და წესრიგი
მისდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, მაგრამ რადგანაც
თვითმმართველობები მხოლოდ გლეხთა დაწესებულებებია, „თუ
ამგვარებში დამნაშავეა გლეხკაცი, მამასახლისს გზა აქვს გახსნილი
მშვიდობიანობის და წესის აღდგენისათვის. მაგრამ დანაშაულობა
განა გლეხკაცის აუცილებელი თვისებაა? სხვა, არა-გლეხი, სოფ-
ლის წრეში მცხოვრები, არ არის მითამ საშიშარი წესისა და რი-
გისათვის, აღამიანის მშვიდობიანობისათვის, მის ქონების ხელ-
უხლებლობისათვის?! რა უნდა ჰქმნას მაშინ მამასახლისმა, როცა
ამგვარებში დამნაშავედ გამოდის არა-გლეხი? წესდების 23 მუხ-
ლის ძალით, გულზედ ხელი უნდა დაიკრიფოს და სეირს უყუ-
როს“¹.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ სოფლის ერთ-ერთი უმთავრესი
ორგანოც, კერძოდ, სოფლის სასამართლოც, იმის გამო, რომ თვით-
მმართველობითი დაწესებულებების საქმიანობისაგან ჩამოშორებუ-
ლია, გლეხების გარდა, ყველა დანარჩენი წოდება, გლეხების ინ-
ტერესებს ეწინააღმდეგება. თვითმმართველობის წესდების თანა-
ხმად, თუ გლეხკაცმა დაუშავა ვინმეს (თავადი, აზნაური, მღვდელ-
ი, ვაჭარი და ა. შ.) რამე, ამ საქმეს იქვე სოფლის სასამართლო
გაარჩევს და გლეხს შეუფარდებს იძულებით ღონისძიებას. მაგ-
რამ თუ მოხდა პირიქით, კერძოდ, გლეხს ავნეს რამე, მაშინ, წეს-
დების თანახმად, გლეხი იძულებულია მიმართოს მომრიგებელ მო-
სამართლეს, რომელიც სოფლის სასამართლოსაგან შორსაა. რის-
თვისაც რამდენიმე დღე გლეხს წასვლა-წამოსვლაში სჭირდება,
ამას თან ერთვის ის ხარჯები, რაც დაკავშირებულია საქმის გა-
რჩევასთან და გლეხმა უნდა გადაიხადოს. ეს იმდენად მძიმეა გლე-
ხებისათვის, რომ ისინი იძულებული არიან უარი თქვან
თავიანთ კანონიერ მოთხოვნებზე და მოთმინებით აიტანონ სხვა
წოდების წარმომადგენლების ჩაგვრა. გმობს რა თვითმმართველო-
ბითი დაწესებულებების ამ ნაკლოვანებებს, ი. ჭავჭავაძე მიუთი-
თებს, რომ „რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ მმართვე-
ლობას, რომელიც დიდისაგან გაჭირვებულს არ ესარჩლება, არას
შველის, და რომელიც დიდისათვის კი თავს გამოიდებს ხოლმე,

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 59.

როცა პატარისაგან გაუჭირდება რამ! რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ მმართველობას, რომელიც ხმას არ იღებს უღონობით, როცა გლეხს უპატიურად ხდის არა-გლეხი, და არა-გლეხს უპატიურება მიადგება გლეხისაგან — მაშინ კი მშვიდობა და ღონეს იჩენს? ¹.

ი. ჭავჭავაძის აზრით, თვითმმართველობის წესდების მიხედვით, თვითმმართველობის ყველა თანამდებობის პირი, მაგალითად, მამასახლისი, მოსამართლე, ნაცვალი და ა.შ., თუ თანამდებობას ბოროტად გამოიყენებს და ზიანს მიაყენებს სოფლის საზოგადოებას ან ცალკეულ გლეხს, ამ უკანასკნელთ უფლება არა აქვთ ზემოაღნიშნულ მოხელეებს პასუხი აგებინონ სასამართლოს წინაშე. თვითმმართველობის წესდების 72-ე და 73-ე მუხლების მიხედვით, დანაშაულის ჩამდენი და ბოროტმოქმედი მოხელეების მიმართ გლეხებმა საჩივრით უნდა მიმართონ მაზრის უფროსსა და გუბერნატორს, მაგრამ „სოფლის მოხელე და მაზრის უფროსი ერთმანეთს ხელსა ჰბანენ, ერთმანეთს გადაებმიან ხოლმე უსურვაზივითა“ და მათი ავკაცობა დაუსჯელი რჩება.

აქამებს რა სოფლის თვითმმართველობების წესდების ნაკლოვანებებს და ამ წესდების მიხედვით შექმნილი თვითმმართველობითი დაწესებულებების საქმიანობას საქართველოში, ი. ჭავჭავაძე ასკვნის: „ჩვენის სოფლის თვითმმართველობას ოთხიღამ სამი უმთავრესი საფუძველი აკლია: 1. ხმა და არჩევანის უფლება უნდა მინიჭებული ჰქონდეს ყოველს ადგილობრივ მცხოვრებს, — და არა აქვს; 2. ადგილობრივ სამმართველოს ყოველ სფეროში ყველანი უნდა ექვემდებარებოდნენ, ვინც კი მის წრეშია, და არ ექვემდებარებიან; 3. ყოველივე მოხელე პასუხისმგებელი უნდა იყოს ყოველის წინაშე, ვისაც რასმე დაუშავენ, და უნდა იღვენებოდეს საზოგადო სამართლით, და არ იღვენება. მეოთხე საფუძველიც, თუ დაურღვეველი არ არის მთლად, შერყეული კი ძალიან არის, სახელდობრ მით — რომ ადგილობრივ მოხელეთა და მოსამართლეთა ყველა, სოფელში მცხოვრები ბინადარი, არ ირჩევს და ირჩევს მხოლოდ გლეხი, ცალკე კომლად კამერალიის აღწერაში ხსენებული“ ².

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ არა მარტო თვითმმართველობის საფუძვლებია შელახული იმ წესდების მიერ, რომლის მიხედვითაც მოეწყო საქართველოში თვითმმართველობითი დაწესებულებ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 60.

² იქვე, გვ. 63—64.

ბები, არამედ ეს წესდება სრულებით არ ითვალისწინებს იმ თავისებურებებს, რომლებიც ახასიათებს „ჩვენს ცხოვრებასა და ექსპლუატორთონ საქმის მოთხოვნისა“¹. პირველ ყოვლისა, მთავარია ისე, რომ ი. ჭავჭავაძე, სოფლის საზოგადოებები შედგენილია ისე, რომ მთლიანად გამოირიცხულია პატარ-პატარა სოფლების ინტერესები, მაშინ როდესაც საქართველოში წვრილ-წვრილი სოფლები ბევრია. წესდების მეორე მუხლის თანახმად, სოფლის საზოგადოება უნდა შედგეს ერთ სოფელში მცხოვრები გლეხებისაგან. რაც შეეხება წვრილ სოფლებს, ამავე წესდების მე-3 მუხლის ძალით არა ხალხმა, არამედ გუბერნატორის წარდგენით მთავარმართებელმა იგი ან არ უნდა მიაწეროს მახლობელი სოფლის საზოგადოებას, ანდა მათი გაერთიანების მიზნით ცალკე საზოგადოება უნდა შექმნას. მაგრამ წესდებაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რით უნდა იხელმძღვანელოს გუბერნატორმა მთავარმართებლისადმი ამგვარი წარდგინების გაკეთებისას. სოფლების ერთმანეთთან სისხლოვე არ შეიძლება ჩაითვალოს მათი ერთ სასოფლო საზოგადოებად გაერთიანების პირობად, რადგანაც „ზოგჯერ ამ წვრილ სოფლებს ისეთი მტრობა და დავა აქვთ მამულეზუნდ, ან ერთმანეთს შორის, ან დიდ სოფლებთან, მათი შეერთება ცეცხლისა და წყალის შეერთება იქნება ერთმანეთის დასაშრეტად... რამდენი პატარა სოფელია დიდ სოფელზედ მიწერილი და მისგან ჩაგრული, რადგანაც პატარა სოფლის ხმა სოფლობაში ხმაა მლაღადებელი უღაბნოში და სხვა არაფერი. რას გააწყობს ბევრთან ცოტა?“².

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ წვრილი სოფლები მძიმე მდგომარეობაშია, მთავრობამ მათ დამოუკიდებელი თვითმმართველობითი დაწესებულების შექმნის უფლება რომ მისცეს, სულ ერთია, ისინი ამას მაინც ვერ განახორციელებენ, რადგანაც ამ პატარა სოფლებს არ შეუძლია შეინახოს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელენი, რომელთა რაოდენობა, წესდების მიხედვით, უნდა იყოს არანაკლებ ოთხი კაცისა.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს აგრეთვე სოფლის თვითმმართველობის დაწესებულებათა წესდების სხვა ნაკლოვანებასაც, კერძოდ, სოფლის სამმართველოს (სოფლობა, მამასახლისი, სასამართლო) ფუნქციებს ეს წესდება ვერ განსაზღვრავს და „ვერც საქმის მიხედვით, ვერც ჩვენის ცხოვრების შესაფერისად, ვერ უზნავს თვითელს მათგანს მათდა შესაბამს მოვალეობასა“³. სოფლის სამმარ-

¹ ი. ჭავჭავაძე, ოხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 65.

² იქვე, გვ. 66.

³ იქვე, გვ. 67.

თველოს ორგანიზაციის უდიდესი ნაკლოვანებაა ის, რომ მისი შექმნის წესები გადმოღებულია რუსეთში არსებული სფეროების მართველობის ჩამოყალიბების წესებიდან და ადგილობრივ რეალობაში მათი მიზანმიმართული იგნორირებულია. წესდების მე-11 მუხლის თანახმად, გლეხთა გაყრა სოფლობაზე ანუ სოფლის ყრილობაზე უნდა მოხდეს. ეს წესი რუსეთში გამართლებულია, რადგან მიწის სახასო მფლობელობა ბატონობს და მიწისმფლობელობაში ყოველი პირადი და საოჯახო ცვლილება მთელ საზოგადოებას შეეხება. საქართველოში კი ოდიტგანვე მიწის კომლექსი, კერძობითი საკუთრება არსებობს, ამიტომ გლეხთა გაყრა სოფლობაში კი არა, სოფლის სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს.

დიდი პოეტის აზრით, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით არც მამასახლისისა და სოფლის სასამართლოს ფუნქციები განსაზღვრული. კერძოდ, წესდებით მათ დაკისრებული აქვთ დანაშაულებრივი გლეხებისათვის სასჯელის შეფარდება, მაგრამ, შენიშნავს ი. ჭავჭავაძე, წესდებს დავიწყებულია განესაზღვრა, რა დანაშაულს განიხილავს მამასახლისი და რას — სასამართლო. ცხადია, კანონის ამ ხარვეზს არ შეიძლება არ მოჰყვეს მამასახლისის და სხვა თანამდებობის პირთა თვითნებობა, მეტიც, გასამართლებისა და სასჯელის შეფარდების ფუნქცია შეიძლება მხოლოდ სასამართლომ მიისაკუთროს. ი. ჭავჭავაძე მოითხოვს, რომ წესდებებში „საპირთა სახელდობრ ჩამოითვალოს თვითეული დანაშაულობა, მამასახლისის საკუთონი ცალკე და სასამართლოსი ცალკე; და უფრო უკეთესი იქნება, რომ მამასახლისს ჩამოაცალონ უფლება სასჯელისა, რადგანაც ეს სასამართლოს საქმეა და არა ხელთუფლობისა“¹. ამვე დროს, წესდებით ათ თუმნამდე ღირებულებების საქმეს სოფლის სასამართლო საბოლოოდ წყვეტს, მაგრამ ჩვენი გლეხობა დარბობა და ხშირად ისე ხდება, რომ ათი თუმნის ღირებულების ზიანი, მიყენებული გლეხისათვის ვინმეს მიერ, იმდენად გამაჩანაგებელია, რომ შეიძლება ამან სულ ერთიანად მოუშალოს საცხოვრებელი გლეხს, მას კი, რომელსაც ამდენი ვნება მიაყენეს, უფლება არა აქვს სოფლის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს ზემდგომ სასამართლო ორგანოში, კერძოდ, მომრიგებელ მოსამართლესთან.

ეხება რა სოფლის თვითმმართველობის ამ ნაკლოვანებებს, ი. ჭავჭავაძე მოითხოვს, რომ, პირველი, თუ გვინდა ხალხის კეთილდღეობის მიღწევა, არსებითად უნდა გადაისინჯოს თვით-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 68.

მმართველობითი დაწესებულებების შესახებ არსებული მთელი კანონმდებლობა და, მეორე, თვითმმართველობების ჩამოყალიბება მხოლოდ სოფელში საქმეს ვერ უშველის, საჭიროა თვითმმართველობითი დაწესებულებების სისტემის შექმნა მთელს საქართველოში მაზრებსა და გუბერნიებში, ისე როგორც რუსეთშია; მაგრამ საქართველოში თვითმმართველობების მოწყობა უნდა მოხდეს სხვა წესის მიხედვით, სახელდობრ, საქართველოში თვითმმართველობითი დაწესებულებების წესდებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ადგილობრივი პირობები. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ სოფლის თვითმმართველობის ყველა ზემოჩამოთვლილი ნაკლოვანებანი აუცილებელს ხდის, რომ „ხელახლად გადაისინჯოს ყოველივე კანონმდებლობა ამ საგანზედ, თუ სოფლის კეთილგანწყობა ვისთვისნე სასურველია, და ვისთვისაც არ უნდა იყოს სასურველი! ეს კია, რომ მარტო სოფელი, როგორც ნაბოლვარი რგოლი რთულის ჯაჭვისა, ვერ ასაზრდოებს თვითმმართველობას, თუ მარტო სოფელში დაიწყება და სოფელშივე ჩაწყდება. სოფელს მაზრა უნდა მოჰყვეს, მაზრას — გუბერნია, როგორც ეხლა რუსეთშია, ხოლო სხვა წესით და სხვა რიგად უნდა მოეწყოს ჩვენში ეს საქმე“¹.

ამრიგად, XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ი. ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებული მოძღვრება თვითმმართველობის შესახებ შეიცავს მოთხოვნებს რუსეთის მრავალეროვან იმპერიაში ქართველი ერის სახელმწიფოებრივი მოწყობის თაობაზე თვითმმართველობის პრინციპების მიხედვით. თვითმმართველობითი დაწესებულებების შექმნა, რომელიც დამყარებული იქნებოდა მთელი ერის, კერძოდ, საქართველოში არსებული ყველა წოდების თვითმოქმედებაზე, ი. ჭავჭავაძეს მიაჩნდა ნაწილობრივ რუსეთის სახელმწიფოში ქართველი ერის პოლიტიკური ორგანიზაციის იმდროისათვის რეალურ და სავსებით განსახორციელებელ მოთხოვნად. რუსეთის ინკვიზიციური ცენზურის პირობებში „ენის კვნეტი“ შემუშავებული ეს პროგრამა გამომდინარეობდა ი. ჭავჭავაძის მიერ ადრე წამოყენებული პოლიტიკური მოთხოვნიდან — „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნეს“, რომლის რეალიზაციის შესაძლებლობა XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში რუსეთის თვითმპყრობელობის პირობებში მხოლოდ თვითმმართველობითი დაწესებულებების სისტემის დამკვიდრებით შეიძლებოდა. ი. ჭავჭავაძეს კარგად ესმოდა, რომ თვითმმართველობების შემოღება თავისი პოლიტიკური იდეალის — „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნეს“,

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 69—70.

განხორციელების მინიმალურ შესაძლებლობას წარმოადგენდა, მაგრამ იგი, როგორც რეალისტი-მოაზროვნე, სხვა გზას ვერ ხედავდა რუსეთის იმპერიაში ქართველი ერის მოსაწყობად. იძლევა არ აღინიშნოს, რომ ი. ჭავჭავაძის მოძღვრება თვითმმართველობების შესახებ სრული სახით ჩამოყალიბდა XIX საუკუნეში მეფის თვითმპყრობელობის მიერ განხორციელებული საერო რეფორმების კრიტიკის საფუძველზე. ი. ჭავჭავაძე გმობს ამ რეფორმების ანტიდემოკრატიულ ხასიათს განაპირა მხარეებში, კერძოდ, საქართველოში ამ რეფორმების უკიდურესად შეზღუდულობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ოფიციალურ ნორმატიულ აქტებში ადგილობრივი პირობებისა და თავისებურებების გაუთვალისწინებლობას და მოითხოვს თვითმმართველობითი დაწესებულებების შექმნას ფართო დემოკრატიულ საფუძველებზე არა მარტო სოფლებში, არამედ მაზრებსა და გუბერნიებში.

მართალია, ი. ჭავჭავაძის შეხედულებები რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში ქართველი ერის პოლიტიკური მოწყობის შესახებ შეზღუდული და ზომიერი ხასიათისაა, ეს შეხედულებები ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ სცილდება რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ XIX საუკუნის 60-იანი წლების რეფორმების კრიტიკას, მაგრამ თვითმმართველობის შესახებ ი. ჭავჭავაძის მოძღვრებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, რადგანაც ეს მოძღვრება, ჯერ ერთი, მიზნად ისახავდა XIX საუკუნის 60-იანი წლების რეფორმების დემოკრატიული საფუძველების გაფართოებასა და გაღრმავებას და, მეორე, თვითმმართველობების შესახებ შეხედულებათა სისტემა იყო უცილებელი შემადგენელი ნაწილი და საფუძველი რუსეთის იმპერიაში ქართველი ერის პოლიტიკური მოწყობის უფრო დასრულებული და რევოლუციური მოძღვრების ავტონომიაზე, რომელიც ი. ჭავჭავაძემ მოგვიანებით შეიმუშავა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძე რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში ქართველი ხალხის პოლიტიკური ორგანიზაციის პრობლემის გადაწყვეტის საფუძველად ყოველთვის აცხადებდა ლოზუნგს „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნეს“, რომელიც მან წამოაყენა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე, მაგრამ ამ პოლიტიკური მოთხოვნის განხორციელების ფორმას იგი უკავშირებდა მრავალი ფაქტორის მოქმედებას: ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და ა. შ. მდგომარეობას და როგორც რეალისტი

პოლიტიკოსი და მოაზროვნე, მის შესაბამისად წყვეტდა რუსეთის იმპერიაში ერების სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმებს XIX საუკუნის 60-იანი წლების რეფორმების ეპოქაში ი. ჭავჭავაძის თვითმმართველობაზე ამყარებს იმედებს და ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილების გამო, დიდი სიფრთხილით მოითხოვს ამ რეფორმების გაღრმავებასა და განვითარებას ფართო დემოკრატიული გარდაქმნების ვხით, მაგრამ ამ დროისათვის ი. ჭავჭავაძე ქართველი ერისათვის ავტონომიის მინიჭების მოთხოვნამდე არ მისულა.

დაიწყო XX საუკუნე, რომელიც მთელ რუსეთში და საქართველოშიც აღინიშნა რევოლუციური აღმავლობით, რაც დამთავრდა 1905 წლის რევოლუციით. ი. ჭავჭავაძე მიესალმა ამ რევოლუციას, რომელშიც მან დაინახა თავისი პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებების მიხედვით საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის საშუალება. 1905 წლის რევოლუციამ განაპირობა აგრეთვე საზოგადოების შესახებ ი. ჭავჭავაძის მოძღვრებათა შემდგომი განვითარება დემოკრატიისა და ჰუმანიზმის მიმართულებით. მან გაშალა ფართო შემოქმედებითი ბრძოლა თავისი პოლიტიკური იდეალების გასახორციელებლად, კერძოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზმისა და ჰუმანიზმის პრინციპების მიხედვით გარდასაქმნელად არა ერთი კლასის, არამედ მთელი ხალხის, საზოგადოების ყველა წოდების საკეთილდღეოდ. ამიტომ, ბუნებრივია, 1905 წლის რევოლუციის მამოძრავებელ ძალად მას მიაჩნდა მთელი ხალხი და რევოლუცია წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც მთელი ხალხის ბედნიერების დამყარების იარაღი, მთელი საზოგადოების პროგრესული განვითარების საშუალება. ამ მიზნით იგი თვითონაც აქტიურად ჩაება რევოლუციაში, მაგრამ 1905 წლის რევოლუციის ამოცანებზე მისმა არასწორმა წარმოდგენამ განსაზღვრა ამ რევოლუციაში ი. ჭავჭავაძის მონაწილეობის ფორმა, კერძოდ, იგი 1905 წლის რევოლუციაში მისი პოლიტიკური მოთხოვნების განხორციელებას მთელი ერის საბედნიეროდ ლეგალურ ბრძოლას უკავშირებდა და დარწმუნებული იყო, რომ რევოლუცია მაშინ გაიმარჯვებდა, როცა მთელი საზოგადოება მისი კლასობრივი შემადგენლობისაგან დამოუკიდებლად ერთად აღდგებოდა მტარვალთა წინააღმდეგ. სხვანაირად ი. ჭავჭავაძეს რევოლუცია, როგორც საზოგადოებრივი პროგრესის იარაღი, წარმოუდგენლად მიაჩნდა, რადგანაც ერთს რომ წაართვა და მეორეს მისცე, იგი ვერ აღმოფხვრის სოციალურ უსამართლობას. 1905 წლის რევოლუციაში ბრძოლის ლეგალურ საშუალებებზე უმთავ-

რესი იმედების დამყარებამ განსაზღვრა აგრეთვე ავტონომიის შესახებ ი. ჭავჭავაძის მოძღვრების შინაარსი.

სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ ი. ჭავჭავაძის შრომებში ბათა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია შემდეგ კითხვებს: პირველი, ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულება 1905 წლის რევოლუციისადმი და, მეორე, თვითმმართველობების შესახებ შეხედულებათა განვითარება 1905 წლის რევოლუციის ეპოქაში ავტონომიის მოძღვრებად.

ი. ჭავჭავაძის აზრით, მხოლოდ რევოლუციის გზით შეიძლება საზოგადოებრივი პროგრესი, ამიტომაც იგი მიესალმება ყოველგვარ რევოლუციას და, რასაკვირველია, 1905 წლის რევოლუციასაც, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის დემოკრატიზაცია, მტარვალთა მოსპობა, მშრომელი ხალხის ბედნიერება¹. ამ ამოცანების განხორციელებით დაინტერესებულია საზოგადოების დიდი უმრავლესობა, ამიტომაც რევოლუცია, როგორც საზოგადოებრივი გარდაქმნის საშუალება, ი. ჭავჭავაძის წარმოდგენილი აქვს როგორც სახალხო საქმე, მთელი საზოგადოების საქმე, როგორც უკეთესი მომავლისათვის ერის ერთობლივი ბრძოლა. ი. ჭავჭავაძე, ემყარება რა ერის მთლიანობისა და ერთიანობის თეორიას, მიუთითებს, რომ განცალკევებულობა და ურთიერთდაპირისპირებულობა ხელს უშლის საზოგადოებრივ პროგრესსა და ადამიანთა კეთილდღეობას.

ერისა და ხალხის მთლიანობისა და ერთიანობის თეორიას ი. ჭავჭავაძე ასაბუთებს ადამიანის ბუნების თავისებურებებით. იგი აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრესი პრობლემა, რომელიც უნდა გადაიჭრას რევოლუციისა და, საერთოდ, უკეთესი მომავლისათვის ადამიანთა ყოველდღიური ბრძოლის გზით, კეთილისა და ბოროტის, ცოდვისა და მადლის სოციალური ფენომენებია. ისინი მხოლოდ ადამიანთა ცხოვრებისათვის არის დამახასიათებელი და უტყვი ბუნებისათვის სრულიად უცხოა. მაგრამ, რადგანაც ადამიანი თავისი შინაგანი ბუნებით ყველა ეპოქაში და ყველგან მხოლოდ ადამიანია, ცხადია, რაც ერთი ადამიანისათვის ცოდვა და მადლია, ბოროტი და კეთილია, მეორისთვისაც იგივე ცოდვა და მადლი, იგივე ბოროტი და კეთილი უნდა იყოს: „ადამიანის გარეთ ცოდვა და მადლი არ არის და რადგანაც ადამიანი

¹ ა. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 394; ვ. გავრიძე, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, გვ. 352 და ა. შ.

ყველგან ადამიანია, მაშასადამე, რაც ერთგან და ერთისათვის ცოდვა და ბოროტი, მეორესათვისაც ცოდვა და ბოროტი უნდა იყოს ყველგან, ყოველთვის და ყველა შემთხვევაში“¹. საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია კი ცხადყოფს, რომ უმთავრესი პრობლემა წარმოადგენს მისი განვითარების კანონზომიერებას, რომლის შეცნობის გარეშე შეუძლებელია ცხოვრების არსში გარკვევა. ი. ჭავჭავაძე იკვლევს ამ პრობლემის გადაჭრის გზას, მიმოიხილავს ცნობილ მოაზროვნეთა შეხედულებებს ამ საკითხზე და მიუთითებს, რომ ცხოვრების უმთავრესი აზრია საზოგადოებრივი ერთსულოვნება. ის, რაც ერთისათვის ბოროტი და კეთილია, მეორისთვისაც ბოროტი და კეთილი უნდა იყოს, თუ გვინდა აღმოვიფხვრას სოციალური უბედურება. საზოგადოებრივი ერთსულოვნების გარეშე ბედნიერება და კეთილდღეობა არ არსებობს. ადამიანები ყოველთვის უნდა იბრძოდნენ საზოგადოებრივი ერთსულოვნებისათვის, რომელიც ცხოვრების აზრს შეადგენს, მაგრამ ცხოვრების ამ მთავარი დანიშნულების მისაღწევად საჭიროა დროის მოთხოვნების გათვალისწინება და მის შესაბამისად მოქმედება. ცხოვრება ბრძოლაა, მაგრამ ეს ბრძოლა მიზნად ისახავს ადამიანთა უკეთეს მომავალს, რომ „ადამიანი ბედნიერი იყოს, სიამოვნებას, ღნენას და სიხარულს არ იყოს მოკლებული“². ადამიანისა და ერის დიდბუნებოვნება ვლინდება ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლასა და სიკეთის ქმნაში და „მადლი არის კრებული იმა კეთილთა, რომელიც შეადგენს ზნეობურს განძს, როგორც თვითოეულ ადამიანობას, ისეც მთელის ერისას და ეგ განძია იგი კლდე, რომელზედაც შენდება ციხე-სიმაგრე ერის ცხოვრებისა, ერის აწმყო-სი, ერის მერმისისა“³.

ი. ჭავჭავაძე მიესალმება ადამიანთა სიკეთისა და ბედნიერებისათვის ბრძოლას ყველგან, სადაც არ უნდა იყოს იგი, იტალიასა და საფრანგეთში, ირლანდიასა და პოლონეთში და ა. შ. მაგალითად, როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძემ ჯუზეპე გარიბალდის განმათავისუფლებელ ბრძოლას საგანგებოდ მიუძღვნა ლექსი. ასევე პარიზის კომუნართა გამირობისადმი მიძღვნილი ი. ჭავჭავაძის ლექსი „1871 წელი, 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)“, რომელშიც ავტორი მიესალმება თავისუფლებისა და ადამიანთა კეთილდღეობისათვის მებრძოლ პარიზელ კომუნარებს, თავისუფლებისმოყ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 328.

² იქვე, გვ. 341.

³ იქვე, გვ. 342.

ვარე ფრანგ ერს, რომელმაც „კვლავ დაიდგა დიდ წამების მანქანის მშენებელი“¹.

ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის² ი. ჭავჭავაძე მოესწრო 1905 წლის რევოლუციას, რომელმაც გაამრავალფეროვნა და გაამდიდრა მისი პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებანი და რომელიც მან დაუკავშირა მისი პოლიტიკური იდეალების განხორციელებას. ი. ჭავჭავაძე მთელი სისრულით გრძნობს იმ განახლებას, რომელიც 1905 წლის რევოლუციამ უნდა მოუტანოს ხალხს და აღნიშნავს იმ პოლიტიკურ აქტივობას, რაც 1905 წლის რევოლუციამ გამოიწვია საზოგადოების მოწინავე ნაწილში. იგი წერს: „დღევანდელი დღე ისეთი ცეცხლმოსაკიდებელი რამ არის, რომ ძნელია კაცმა თავი დაიჭიროს და მისს ამბებს გვერდი აუაროს?... დღეს ისეთი დროა, რომ თვითეული ჩვენი უნდა განკითხულ იყოს და პასუხისმგებელი ჩვენი ქვეყნის წინაშე თავისის სიტყვისა და საქმისაებრ და არა იმისებრ, რასაც სხვანი ან დაუდევრობით, ან წინდაუხედაობით თავზე მოახვევენ“³.

სახალხო რევოლუცია მაშინ არის გამართლებული, როცა იგი მთელი საზოგადოების ინტერესებს ემსახურება და ხელს უწყობს საზოგადოებრივ პროგრესს, კერძოდ, ემსახურება მთელი ერის დარაზმვასა და შეკავშირებას საერთო კეთილდღეობისათვის ბრძოლაში. ამიტომაც, ი. ჭავჭავაძის აზრით, 1905 წლის რევოლუცია სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს. იგი წერს: „დღევანდელ მოძრაობას თავი იქით უნდა უბრუნოს კაცმა, საითკენაც ჯერ არს, და არა იქით, რომ ერთმანეთს მივესიოთ და ციხესიმაგრე ჩვენი ჩვენივე შიგნიდან გავტეხოთ“⁴. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, შეუძლებელია 1905 წლის რევოლუციის მიზანი საკუთრების გადანაწილებაში დავინახოთ. კერძო საკუთრება სამართლიანად თუ უსამართლოდ, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ჯერ კიდევ დიდხანს იქნება პატივში, დიდხანს იქნება საზოგადოების არსებობის საფუძველი და, რა თქმა უნდა, კერძო საკუთრების თაობაზე საზოგადოების წევრთა ერთმანეთზე მისევა და ბრძოლა იაფად არავის დაუჯდება.

აფასებს რა 1905 წლის რევოლუციის მოვლენებს, ი. ჭავჭავაძე წერს: „აქედამ ის არ გამოდის, რომ კაცმა დიდის მწუხარებით არ შეხედოს იმისთანა ამბავს, როცა კაცს სხვა საბუთი არ

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 1, გვ. 77.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 281.

³ იქვე, გვ. 266.

⁴ იქვე, გვ. 280.

მიუძღვის იმის გარდა, რომ მე ცოტა მაქვს და შენ ბევრი და ამიტომ შენ უნდა წავერთვას და მე მომერთვასო. აბა უიღბურესი უღელის ლატაკიდან უდიდეს სიმდიდრემდე რამდენი საფეხურია, რამდენი ცეცხლია კიბეა, რამდენი ერთმანეთზე მეტია, და მოდით და გაარჩიეთ, რომელმა რომელი უნდა სწეწოს და ჰგლიჯოს მთელ ამ დიდს მანძილზე“¹.

ი. ჭავჭავაძეს არამართლზომიერ მოვლენად და რევოლუციის ექსცესად მიიჩნია გლეხთა მიერ შემამულეთა მიწების დატაცება. თუ გლეხკაცობა არ იშლის სხვისი საკუთრების მიტაცებას, იგი იმიტომ კი არ არის შესაწყნარებელი, რომ კანონიერად იქცევა, არამედ ეს მხოლოდ იმით უნდა აიხსნას, რომ რევოლუცია მოედო მთელ საქართველოს და მან ყველაფერი შთანთქა, ამ მოვლენების თავიდან ასაცილებლად საჭიროა რევოლუციაზე ზემოქმედება და მისი წარმართვა იქითკენ, საითაც ჯერ არს. გლეხთა მიერ კერძო საკუთრების ხელყოფა დაუშვებელია. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ გლეხების მიერ შემამულეთა მიწების დატაცება, შეძლებულთა ქონების ძარცვა-გლეჯა და ა. შ. სახელს უტეხს 1905 წლის რევოლუციას, დადგება დრო და ყველაფერი ეს გადატაცებულ გლეხობას გადახდება: „მოვა დრო და ყველა ეს საზღაურად გაუხდება უამისოდაც მიწასთან გასწორებულს და წყალწაღებულ გლეხკაცობას. იმას აღარ ვიტყვით, რომ ამისთანა ცუდკაცობა და ავკაცობა ყოველს სასურველს მოძრაობას სახელს უტეხს და ამიტომაც ზოგს კაცს ორ წყალ შუა აჩერებსო“².

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ი. ჭავჭავაძე დაუშვებლად მიიჩნევს რევოლუციაში მონაწილე გლეხებისადმი მთავრობის მიერ რეპრესიების გამოყენებას. რევოლუციაში მონაწილე გლეხობისადმი დამოკიდებულებაში მთავრობა უნდა ხელმძღვანელობდეს, ჯერ ერთი, კაცთმოყვარეობით და სულგრძელობით, მეორე, იმის შეგნებით, რომ რევოლუციის შემდეგ ისევ ამ გლეხობასთან ერთად უნდა ვიცხოვროთ. ი. ჭავჭავაძე წერს: „თუ მართო კაცთმოყვარეობა და სულგრძელობა არა, პირდაპირი ანგარიში თხოულობს, რომ კაცმა ჯარი არ მიიწვიოს აწ გულზემოსულ გლეხკაცობის დასაწყნარებლად, რადგანაც ხვალე, ასე იქნება თუ ისე, ამ გლეხობასთან მოგვიხდება სულიერი და ზორციელი ცხოვრება“³. ხელ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 280.

² იქვე, გვ. 289.

³ იქვე, გვ. 289—290.



მძღვანელობს რა ამ პრინციპით, ი. ჭავჭავაძე თავის მოთხოვნას
 საკურამოში სწერს: „მოსე!...თუ ვინიცობაა მანდ სატრანსპორტის
 ჯარი მოვიდა, შენ თვითონ ჩადი და ვინც უფროსია, მისთვის უნდა
 სთხოვე, ხალხი არ დააწიოკონ... თუ მაინცა და მაინც თავისი არ
 ღაიშალონ, მაშინვე ფაიტონი გამომიგზავნე, მე თვითონ ამოვალ
 და მე თვითონ ვთხოვ უფროსს, მან არა იმოქმედონ რა და ხალხი
 ტყუილ-უბრალოდ არ გააფუჭონ“¹.

ი. ჭავჭავაძე 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ფხიზლად
 ადევნებს თვალ-ყურს მოვლენებს და ყოველთვის მშრომელი ხალ-
 ხის მხარესაა, იცავს მის ინტერესებს და იბრძვის მთავრობის ყვე-
 ლა იმ რეპრესიული ღონისძიების წინააღმდეგ, რომელიც მიზნად
 ისახავს რევოლუციურად განწყობილი ხალხის გამოსვლების და-
 თრგუნვას. ამ მხრივ საყურადღებოა ნასაკირალის ცნობილი რევო-
 ლუციური გამოსვლისადმი ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულება. ცნო-
 ბილია, რომ 1905 წლის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უკავია
 რევოლუციურად განწყობილი გურული გლეხების ბრძოლას მე-
 ფის თვითმპყრობელობის რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ, რა-
 მაც გამოხატულება პოვა ნასაკირალთან მთავრობის ჯარებთან
 მშრომელთა შეტაკებაში. ამ ბრძოლაში რევოლუციონერთა და-
 მარცხების შემდეგ მეფის მთავრობამ გადაწყვიტა დასავლეთ სა-
 ქართველოში დამსჯელი რაზმების გაგზავნა ალიხანოვ-ავარსკის მე-
 თაურობით. მთავრობის ამ ბარბაროსული გადაწყვეტილების წინა-
 აღმდეგ აღდგა მოწინავე ქართველი საზოგადოება, რომლის წარ-
 მომადგენლები, ი. ზურაბიშვილის მოგონების თანახმად, შეკრე-
 ბილან თათბირზე, რომ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმის მიერ
 გასაყლელად განწირული მშრომელებისათვის ეშველათ რაიმე. ამ
 თათბირს დასწრები ი. ჭავჭავაძეც, რომელსაც აღშფოთება გამო-
 უთქვამს მთავრობის მიერ მიღებული ზემოაღნიშნული გადაწყვე-
 ტილების გამო. ი. ზურაბიშვილი თავის მოგონებებში წერს: „ილია
 წინადადებას იძლეოდა მეფისნაცვალს დელეგაცია მიეუგზავნოთ,
 დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნა გადათქვასო, თანაც უნდა გან-
 ვუცხადოთ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ყველანი იქ წა-
 ვალთ და ჩვენ ძმებთან ერთად „КОСТЬМИ ЛЯЖЕМ“ (სიტყვა ილიამ
 რუსულად წარმოთქვა). როდესაც ვიღაცამ შენიშნა, რომ დარწმუ-
 ნებული უნდა ვიყოთ, რომ არავინ ჩვენგანი არ წავა და „КОСТЬМИ
 НЕ ЛЯЖЕТ“-ო, ილიამ უპასუხა: „მაშინ სირცხვილი ჩვენ“, და რამ-
 დენადაც მაგონდება, დაუმატა კიდევ ერთ-ერთი შემდეგი ფრაზა:

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 9, 1928 წ., გვ. 403.

„ამ სირცხვილს ხალხი არ გვაპატიებს“, ან „თორემ ხალხი თვითონ წავაო“¹.

ი. ჭავჭავაძეზე ი. ზურაბიშვილის ეს მოგონება დოკუმენტურად დაადასტურა ა. იოვიძემ, რომელმაც „საისტორიო მოამბეში“ გამოაქვეყნა საბუთი იმაზე, თუ როგორ გაილაშქრა ი. ჭავჭავაძემ მეფის ხელისუფლების ღონისძიების წინააღმდეგ. ამ დოკუმენტში შემონახულია ი. ჭავჭავაძის სიტყვის ტექსტი, საიდანაც ჩანს, რომ ი. ჭავჭავაძეს ამ თათბირზე განუცხადებია შემდეგი: „საქართველოს ერთი საუკეთესო ნაწილის — გურიის განადგურება მთავრობას გადაუწყვეტია. ჩვენ არ შეგვიძლია ამას დავემორჩილოთ. წავიდეთ ახლავე ვორონცოვთან, ჯერ ვთხოვოთ უკან დააბრუნოს დამსჯელი რაზმი, თუ არ დააბრუნებს და მაინც გაგზავნის გურიის მოსასპობად, მაშინ ჩვენ ყველანი წავიდეთ გურიაში და მათთან ერთად დავიხოვოთ“². ი. ჭავჭავაძე გაბედულად იბრძვის შავრაზმელების მიერ რევოლუციონერთა შეიარაღებული დათრგუნვის წინააღმდეგ. თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში გამართულ თათბირზე, სადაც იხილებოდა რევოლუციონერთა წინააღმდეგ შავრაზმელთა სამხედრო ჯგუფის შექმნის საკითხი, ი. ჭავჭავაძე თავს ესხმის მშრომელი ხალხის წინააღმდეგ შეიარაღებულ შავრაზმელებს: „რად გინდათ, ეგ იარაღი რომ აგისხამთ! ვისთვის ამზადებთ თოფებს? გლეხებისათვის? არ გაბედოთ! ახალეთ თავში ეგ იარაღი მათ, ვინც დავირიგათ“³.

ამრიგად, 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ი. ჭავჭავაძე მშრომელი ხალხის დამცველად გამოდის, იგი გაბედულად იბრძვის იმ რეპრესიული ღონისძიებების წინააღმდეგ, რომელსაც მიმართავდა მეფის თვითმპყრობელობა რევოლუციურად განწყობილი ხალხის ფართო მასების წინააღმდეგ.

1905 წლის რევოლუციამ ფრთა შეასხა აგრეთვე ი. ჭავჭავაძის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. 1905 წლის რევოლუციას იგი უკავშირებდა რუსეთში ქართველი ერის პოლიტიკურ მოწყობას, ამ რევოლუციამ ი. ჭავჭავაძე გაააქტიურა⁴. 1905 წლის რევოლუციის დიდ შთამაგონებელ ძალას უნდა მიეწეროს ი. ჭავჭავაძის მიერ თვითმმართველობის შესახებ მოძღვრების შემდგომი განვითარება, კერ-

¹ ი. ზურაბიშვილი, მოგონება ილია ჭავჭავაძეზე (ი. ჭავჭავაძის საიუბილეო კრებული, 1939, გვ. 323—324).

² საისტორიო მოამბე, 1967, გვ. 435.

³ ლიტერატურული საქართველო, 1936, № 7.

⁴ გ. ჯიბლაძე, ილია ჭავჭავაძე, გვ. 103.

ძოდ, თვითმმართველობის განვითარება ავტონომიის შესახებ მოძღვრებამდე, რასაც შედეგად მოჰყვა მტკიცე პოლიტიკური მოქმედება თხოვნა რუსეთის იმპერიაში ქართველი ერის ავტონომიის შესახებ ციპზე მოწყობის შესახებ.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობის ამ ახალ პოლიტიკურ მოთხოვნაზე ამომწურავ ცნობას გვაწვდის თვით ილიას მიერ რუსულ ენაზე შედგენილი ორი დოკუმენტი, კერძოდ, პირველი „პროექტი საქართველოს კონსტიტუტურ-დემოკრატიული პარტიის შექმნის შესახებ“, და, მეორე, „ქართველ პროგრესისტთა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა“. ი. ჭავჭავაძის მიერ შედგენილ ამ დოკუმენტებში, რომლებიც ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პროფ. კ. კველიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში¹, მოცემულია ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების მეცნიერულად დასაბუთებული პირველი ნათელი პროგრამა.

„პროგრამისა“ და „პროექტის“ ტექსტების ფრაგმენტები გამოაქვეყნა პ. რატიანმა რუსულ ენაზე. 1985 წელს უფროსად „ცისკრის“ მეთორმეტე ნომერში პირველად გამოვაქვეყნეთ „პროგრამისა“ და „პროექტის“ სრული ტექსტები და მათი ქართული თარგმანი გამოკვლევითურთ. მან გამოხმაურება პოვა მეცნიერულ ლიტერატურაში, კერძოდ, დაიბეჭდა შ. ბადრიძის, გ. მამულიას, ლ. ალექსიძის და სხვათა ნაშრომები, მაგრამ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტები მეცნიერულ ლიტერატურაში სათანადოდ არ არის შესწავლილი, კერძოდ, ჯერ ერთი, არაა დადგენილი ამ დოკუმენტების შექმნასთან დაკავშირებული ისტორიული ფაქტები, რომლებსაც შეუძლია ბევრი რამ საგულისხმო და მნიშვნელოვანი გვითხრას ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობაზე 1905 წლის რევოლუციის პერიოდში და, მეორე, რაც მთავარია, ამ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული პოლიტიკური, სამართლებრივი, ფილოსოფიური და ა. შ. მოძღვრებები, რომელთაც უდავოდ დიდი და საყურადღებო ადგილი უკავია ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის განსაზღვრაში, ჯერჯერობით სრულად არ არის გამოკვლეული.

როცა ი. ჭავჭავაძის ზემოაღნიშნულ მასალებს ვსწავლობთ, პირველი კითხვა, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, ესაა მათი შედგენის დრო და მიზეზები, რამაც აიძულა ი. ჭავჭა-

¹ ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, საქმე №№ 1015, 1016.

ვადე თავის გარშემო შემოეკრიბა თანამზრახველები და მათთან ერთად შეემუშავებინა ეს დოკუმენტები. როგორც ზემოთ აღვნიშნულნით, 1905 წლის რევოლუცია ი. ჭავჭავაძემ დაუკავშირა პოლიტიკური იდეალების განხორციელებას. ცნობილია, რომ 1905 წლის რევოლუციით დაშინებულმა მეფის მთავრობამ 17 ოქტომბერს გამოსცა მანიფესტი „სახელმწიფო წესრიგის სრულყოფის შესახებ“, რომლითაც ხალხს სიტყვით შეჰპირდა სამოქალაქო თავისუფლებებს (სიტყვის, კრებების თავისუფლების, საზოგადოებებისა და კავშირების შექმნის, პიროვნების ხელშეუხებლობის და ა. შ.) და რუსეთის პარლამენტს, კერძოდ, საკანონმდებლო ფუნქციების მქონე სახელმწიფო სათათბიროს. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მანიფესტი, მიუხედავად მისი ფორმალურობისა, ნიშნავდა საგულისხმო გამარჯვებას რევოლუციურად განწყობილი მუშებისა და გლეხებისა, რომლებმაც მეფეს ძალით გამოგლიჯეს ხელიდან ეს უფლებები. 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტმა კიდევ უფრო გაააქტიურა რუსეთში არსებული პარტიები, რომლებმაც მანიფესტის გამოქვეყნებისთანავე დაიწყეს თავიანთი დამოკიდებულების გარკვევა პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისადმი, რის შესახებაც მეფის მთავრობამ 1905 წლის დეკემბრში გამოსცა საარჩევნო კანონი. პირველი სახელმწიფო სათათბირო არჩეულ იქნა 1906 წლის დასაწყისში. მასში უმრავლესობა კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიამ მიიღო. 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით წაქეზებული რუსეთის ხალხები იწყებენ პოლიტიკურ გამოფხიზლებას და ცდილობენ გააერთიანონ თავიანთი ძალები.

ასეთ სიტუაციაში ი. ჭავჭავაძე იბრძვის ქართველი ხალხის ინტერესების გამომხატველი პარტიის შექმნისათვის და ამ მიზნით ადგენს ამ პარტიის ჩამოყალიბების პროექტსა და პროგრამას. ი. ჭავჭავაძის მიერ შედგენილ ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში მათი შედგენის თარიღი, მართალია, მოხსენიებული არ არის, მაგრამ ეჭვს არ იწვევს, რომ „პროგრამაც“ და „პროექტიც“ შედგენილი უნდა იყოს 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემის შემდეგ. ამის შესახებ „პროექტში“ რამდენიმე ადგილზეა ლაპარაკი, პირველი, „პროექტის“ დასაწყისშივე და, მეორე, „პროექტის“ დასკვნაში. „პროექტი“ იწყება სიტყვებით: „17 ოქტომბრის მანიფესტით თუმცა-და გამოცხადებულია რუსეთის იმპერიის მოქალაქეთა ზოგიერთი უფლებები“¹. გარდა ამისა, დასაწყისშივე

¹ ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, საქმე № 1016, ფ. 1.



ნათქვამია, რომ „როგორც რუსულ, ასევე ქართულ დამოუკიდებელ ბეჭდვით ორგანოებში, უკვე მითითებულია, რომ 17 ოქტომბრის შემდეგაც ბევრი რამ რჩება განუსაზღვრელი, ატანსულობის უთქმელი“¹. დასკვნით ნაწილში კი მითითებულია, რომ „განვიხილეთ რა მდგომარეობაა შექმნილი საერთოდ განმათავისუფლებელი მოძრაობითა და კერძოდ, 17 ოქტომბრის მანიფესტით...“². საყურადღებოა ისიც, რომ როგორც „პროექტში“, ასევე „პროგრამაში“ აღწერილი მოვლენები, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება მსჯელობა, ეხება 1905 წლის 17 ოქტომბრის შემდეგ პერიოდს. მაგრამ ზემოაღნიშნული დოკუმენტები ი. ჭავჭავაძის მიერ შედგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 1906 წლის 27 აპრილისა. ეს დასკვნა გამომდინარეობს თვითონ „პროექტიდან“, რომელშიც ნათქვამია, რომ 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით გამოცხადებული თავისუფლებების ცხოვრებაში განხორციელების გადაწყვეტა მიკუთვნებული აქვს „პირველ წარმომადგენლობით დაწესებულებას, იქნება იგი დამფუძნებელი კრება თუ სახელმწიფო სათათბირო... მაგრამ წარმომადგენლობითი კრების მოწვევა ამა თუ იმ სახით არც თუ ისე ახლო მომავალშია გათვალისწინებული“³. ის წარმომადგენლობითი კრება, რომელზეც აქაა ლაპარაკი, არის პირველი სახელმწიფო სათათბირო, რომელიც, როგორც ცნობილია, მოწვეულ იქნა 1906 წლის 27 აპრილს.

ამრიგად, დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ „პროექტი საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის შექმნის შესახებ“ და „პროგრესისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა“ ი. ჭავჭავაძის მიერ შედგენილი უნდა იყოს არაუადრეს 1905 წლის 17 ოქტომბრისა და არაუგვიანეს 1906 წლის 27 აპრილისა.

როცა ამ დოკუმენტების შინაარსს ვეცნობით, ყურადღებას აპყრობს ის გარემოება, რომ „პროექტის“ სრული სახელწოდებაა „პროექტი საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის შექმნის შესახებ“, ხოლო „პროგრამას“ ეწოდება „პროგრესისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა“. როგორც ჩანს, „პროექტში“ ლაპარაკია კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიაზე, „პროგრამაში“ კი — პროგრესისტთა ეროვნულ-

1 ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, საქმე № 1016, ფ. 1.
 2 იქვე.
 3 ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, საქმე № 1016, ფ. 2.

დემოკრატიულ პარტიაზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად შედგენილია „პროგრამა“, ხოლო „პროექტი საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის შექმნის შესახებ“ შემდგომში მოგვიანებით, ყოველ შემთხვევაში „პროგრამის“ შემდეგ. საქმე ისაა, რომ „პროგრამის“ მსგავსად, „პროექტშიც“ თავიდანვე ლაპარაკი იყო „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაზე“, მაგრამ შემდეგში თვით ი. ჭავჭავაძის მიერ სიტყვა „ეროვნული“ გადაკეთებულია „კონსტიტუციურად“¹. თუ რით ხელმძღვანელობდა ი. ჭავჭავაძე, როცა პარტიის სახელწოდებას ცვლიდა, ჭერჭერობით ამაზე სრული და ნათელი პასუხი თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ერთ გარემოებას ვადაწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ზემოთ დაყენებული საკითხის გასაგებად. ამ ეპოქაში მთელს რუსეთში ძალიან დიდი გავლენით სარგებლობდა რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია, რომელიც პირველ სახელმწიფო სათათბიროში უმრავლესობას შეადგენდა, გარდა ამისა, რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის პროგრამაში განაპირა ხალხების ეროვნულ თავისუფლებაზეც იყო ლაპარაკი, კერძოდ, რკდ პარტიის პროგრამის 24-ე მუხლში ნათქვამი იყო, რომ რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხებს უნდა მიეცეს ავტონომია გარკვეული საკანონმდებლო ხელისუფლებით: «После установления прав гражданской свободы и правильного представительства с конституционными правами для всего Российского Государства должен быть открыт правомерный путь в порядке общегосударственного законодательства для установления местной автономии и областных представительных собраний, обладающих правом участия в осуществлении законодательной власти по известным предметам, соответственно потребности населения»².

ამიტომ ვასაკვირი არ არის, რომ ი. ჭავჭავაძემ პარტია, რომლის ჩამოყალიბებაც მას განზრახული ჰქონდა, დააკავშირა ისეთ გავლენიან და ძლიერ პარტიასთან, რომლის პროგრამის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას შეადგენდა ის, რის განხორციელებისთვისაც ქმნიდა ი. ჭავჭავაძე ახალ ქართულ პარტიას. რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიასთან ამგვარი კავშირის აუცილებლობის შესახებ გარკვევითაა ნათქვამი „პროექტში“, რომელიც პირდაპირ მოითხოვს: „რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიასთან შეერთება და მისი პროგრამის არსებითი და ძირითადი

¹ ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, საქმე № 1016, ფ. 3.

² Законодательные проекты и предложения партии народной свободы, 1905 — 1907 гг., СПб, 1907, стр. XIV.

პუნქტების საფუძველზე შედგენა საკუთარი პროგრამისა, რომელშიც შევა ქართველი ხალხის განსაკუთრებული მოთხოვნები გამოწვეული ცვლილებანი და დამატებანი“¹. „პროექტების მიზნობრივ თვალსაზრისით ქართველი ხალხის განსაკუთრებულ მოთხოვნებს უზრუნველყენს წარმოდგენას გვაძლევს დამატება, რომელიც „პროგრამაში“ გვიან არის შეტანილი. ამ მოთხოვნებიდან ჯერჯერობით საგანგებოდ აღვნიშნავთ რუსეთის იმპერიაში ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებას ავტონომიის ფორმით, რომელიც ი. ჭავჭავაძის უმთავრეს პოლიტიკურ იდეალს წარმოადგენდა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ პროგრესისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შეერთება რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიასთან მიზნად ისახავდა, რუსეთის ამ მრავალრიცხოვანი და ძლიერი პარტიის პროგრამაში ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაწყვეტას, კერძოდ, საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგად გაუქმებული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას.

ამრიგად, სახელწოდების „პროგრესისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ შეცვლა „საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიად“ და მისი გამოცხადება რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის შემადგენელ ნაწილად, ჩვენი აზრით, მიზნად ისახავდა რუსეთის იმპერიაში ავტონომიის ფორმით ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში ისეთი გავლენიანი მოკავშირის შეძენას, როგორც იყო რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია.

აქვე უყურადღებოდ არ შეიძლება დავტოვოთ ი. ჭავჭავაძის მოსაზრებები პარტიაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძე წინათ არ ეკუთვნოდა არც ერთ პარტიას, რომელიც რომელიმე ერთი კლასის ინტერესების გამომხატველი იქნებოდა. პირიქით, იგი გამოდიოდა ყოველგვარი პარტიული და კლასობრივი განკერძოებულობის წინააღმდეგ საქართველოში და ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ქართველ ხალხს თავისი ეროვნული ინტერესების წარმატებით განხორციელება მხოლოდ მაშინ შეეძლებოდა, როცა მთელი ერი ერთსულოვნად შეუდგებოდა საქართველოს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას.

საყურადღებოა, რომ, როცა ი. ჭავჭავაძე ახალ ქართულ პარტიას ქმნიდა, მას არ უღალატია ერის მთლიანობის პრინციპები-

¹ ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, საქმე № 106, ფ. 3.

სათვის, რაზეც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მისი მოსაზრებანი საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის შემადგენლობის შესახებ.

იგი „პროგრამაშიც“ და „პროექტშიც“ აღნიშნავს მის მოსაზრებებს. რომელიც უნდა შეიქმნას, არ უნდა იყოს ერთი რომელიმე კლასის ინტერესების დამცველი და გამომხატველი; იგი უნდა გამოხატავდეს მთელი ქართველი ხალხის მისწრაფებებს და ამიტომაც მასში შეიძლება გაერთიანდეს წოდების, სქესისა და სარწმუნოების მიუხედავად ყველა, ვინც კი თანაგრძნობას გამოუცხადებს პარტიის პროგრამას. „პროექტი“ ადგენს „მოწვეული იქნას კავშირის მისამზრობად ყველა, წოდების, სქესისა და სარწმუნოების განსხვავების მიუხედავად, ვინც უთანაგრძნობს გამოქვეყნებულ პარტიას“¹.

სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, როგორ წარიმართა საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის შექმნის საქმე, იგი სპეციალური გამოკვლევის საგანია. ყველაფერი ის, რაც ჩვენ დღეს ვიცით ამ პარტიაზე, რომლის შექმნაც განზრახული ყოფილა, ისაა, რომ ი. ჭავჭავაძეს ჰყოლია თანამზრახველები, რომლებიც ქართველი ხალხის სხვადასხვა წოდებას განეკუთვნებოდნენ. „პროექტში“ ნათქვამია: „ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, შეკრებილნი ცალკე პირთა სახით, რომლებიც ეკუთვნიან ქართველი ხალხის სხვადასხვა წოდებებს...“². აქედან ნათელია, რომ საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია მთელი ქართველი ხალხის საკრებულო უნდა ყოფილიყო, რაც მთლიანად შეესაბამება ი. ჭავჭავაძის განმანათლებლურ მოძღვრებას ქართველი ერის მთლიანობისა და „უჯრა-უჯრად“ მისი დაყოფის მიუღებლობის შესახებ. მაგრამ „პროექტს“ ვინ აწერდა ხელს, იგი მისი ტექსტიდან არა ჩანს, თუმცა „პროექტის“ დასაწყისში კი ნათქვამია, რომ თითქოს მას ხელს აწერენ მისი დამაარსებლები.

ამრიგად, საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის შექმნასთან დაკავშირებული ბევრი ისტორიული ფაქტი უცნობია და იგი მოითხოვს შემდგომ კვლევას. სამაგიეროდ, ჩვენს ხელთ არსებულ მასალებს „პროექტისა“ და „პროგრამის“ სახით უდიდესი მნიშვნელობა აქვს ი. ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი მოძღვრების სრულად წარმოდგენისათვის. მხოლოდ ამ დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე შეიძლება პასუხი

¹ ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, საქმე № 1016, ფ. 4.

² ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, საქმე № 1016, ფ. 3.

გავცეთ იმას, თუ როგორ, რა გზითა და ფორმით ფიქრობდა ი. ჭავჭავაძე მის მიერ დაყენებული კითხვის — „ჩვენი უაღრესესი გვეყუნდეს“ — გადაჭრას თავისი მოღვაწეობის დასასრულს, ცოცხლის უკანასკნელ წლებში. გარდა ამისა, ამ მასალებში ნათლად ჩანს ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულება 1905—1907 წწ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციასთან, რომელიც, მისი აზრით, მიმართული იყო რუსეთში ჩამოყალიბებული ბიუროკრატიულ-ცენტრალისტური რეჟიმის წინააღმდეგ.

„პროექტი“ და „პროგრამა“, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მეფის თვითმპყრობელობის ცენტრალურ-ბიუროკრატიული სახელმწიფოს წინააღმდეგ ი. ჭავჭავაძის რევოლუციური ბრძოლის თავისებურებებზე, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს იმითაც, რომ იგი საზოგადოების საკეთილდღეოდ გადუღებელი ღონისძიების განხორციელების აუცილებლობას ასაბუთებს ბუნებითი სამართლის მოძღვრების პროგრესული დებულებებით. ბუნებითი სამართლის მოძღვრებაზე, რომელიც საფუძვლად უდევს ი. ჭავჭავაძის სამართლებრივ შეხედულებებს, ქვემოთ უფრო ვრცლად შევეხებით, ახლა კი მხოლოდ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ ბუნებითი სამართლის მოძღვრება მიმართული იყო ფეოდალიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელი სამეფო ადმინისტრაციის თვითნებობის, ძალადობისა და საერთოდ აბსოლუტიზმის რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ. XVII—XVIII სს. ბუნებითი სამართლის მოძღვრების წარმომადგენლები მიუთითებდნენ, რომ ადამიანებს გააჩნიათ მთელი რიგი უფლებები (სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების, თავდაცვის და ა. შ.), რომლებიც მინიჭებული აქვთ ბუნების მიერ და მათი ხელყოფა არ შეუძლია სახელმწიფო ხელისუფლებას. მეტიც, სახელმწიფოს მიერ დადგენილი პოზიტიური სამართალი უნდა შეესაბამებოდეს ბუნებით სამართალს და გამოხატავდეს მის მოთხოვნებს. აქედან ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომადგენლები აკეთებდნენ რევოლუციურ დასკვნას: სახელმწიფო, რომელიც არღვევს ადამიანთა ბუნებით უფლებებს, როგორც გონების შეუსაბამო, უნდა დაიმსხვრას.

საყურადღებოა, რომ მეფის მთავრობის რეაქციული, ბიუროკრატიულ-ცენტრალისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას ი. ჭავჭავაძე ასაბუთებს ბუნებითი სამართლის მოძღვრებით. იგი მიუთითებს, რომ მთავრობა აჭიანურებს 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით შეპირებული თავისუფლებების ცხოვრებაში განხორციელებას, ბიუროკრატიულ-ცენტრალისტური

რეჟიმის პირობებში ადამიანი იტანჯება, მაგრამ ამ მდგომარეობაში შეუძლებელია ხალხის დატოვება და მას აქვს ყველა ცოცხალი არსებისათვის დამახასიათებელი ბუნებითი სამართლიანი მოთხოვნები. ადამიანებისათვის ბუნებრივი უფლებები არ არის თლით მინიჭებული ამ უფლების შესაბამისად, „პროექტში“ განცხადებულია ქართველი ხალხის ყველა წოდებისაგან შემდგარი ახალი პარტიის შექმნა, რომლის ძირითად ამოცანას შეადგენს საბოლოოდ განხორციელება და გატარება როგორც იმ საწყისებისა და გარდაქმნებისა, რომელსაც ისახავს ამ პარტიის პროგრამა, ასევე იმ თავისუფლებისა, რომლებიც შეადგენს ჩვენი ცხოვრების დიდი ისტორიული მომენტის ამოცანას¹. ამ მოთხოვნების საგულდაგულო ანალიზი ცხადყოფს, რომ ის თავისუფლებები, რომლებიც ცხოვრების დიდი ისტორიული მომენტის საგანს შეადგენს, არის 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით გათვალისწინებული მთავრობის დაპირებები ხალხისადმი, ხოლო ის საწყისები და გარდაქმნები, რომელთაც ისახავს ახალი პარტიის პროგრამა, ესაა ა. ჭავჭავაძის მეთაურობით დიდი ხნის წინათ დაწყებული ეროვნულ-დემოკრატიული ბრძოლის სოციალური, კულტურული, სარწმუნოებრივი და პოლიტიკური მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრავს ავტონომიის უფლებით რუსეთის იმპერიაში ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივ მოწყობას, ესაა საბოლოო პასუხი ა. ჭავჭავაძის მიერ ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში დასმულ კითხვაზე — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“.

„პროექტი“ და „პროგრამა“ განსაზღვრავს საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის ყველა მხარეს და ამავე დროს გვაძლევს რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს პოლიტიკური მოწყობის

¹ «Ввиду не только постоянного колебания правительства то в ту, то в другую сторону, но и всяческого уклонения его под разными предлогами от священной своей обязанности идти навстречу справедливым требованиям лучшей и передовой части русского общества о немедленном созыве народного представительства, нам грузинам, как и всем гражданам Империи, невозможно уже оставаться в настоящем своем положении. Мы обязаны позаботиться о дальнейшей нашей судьбе; этого требует естественное, всем живым существам присущее чувство самосохранения».

(ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, საქმე № 1016, ფ. 2).

² «...Направить все свои усилия к окончательному осуществлению и введению в жизнь грузинского народа как тех начал и преобразований, которые намечены в программе Союза, так и тех волниостей, которые составляют предмет переживаемого нами великого исторического момента».

(ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, საქმე № 1016, ფ. 4).

ნათელ და დიად საბრძოლო გეგმას. პირველ ყოვლისა, ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ მეფის რუსეთის ბიუროკრატიულ-ცენტრალისტური რეჟიმი ყოველთვის უცხო და შეუთავსებელი, ცხოველური ხალხისათვის. ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის გაუქმებამ და რუსული მმართველობის დამყარებამ საქართველოში ჩამოაქვეითა ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრება. რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივი წყობილების შეუთავსებლობამ ქართველი ხალხის ცხოვრების პირობებთან ყველაზე ნათლად თავი იჩინა 1905 წლის რევოლუციის პერიოდში. ასე წლის განმავლობაში რუსეთის იმპერიის ცენტრალისტურ-ბიუროკრატიულმა რეჟიმმა მძიმე დაღი დაასვა ქართველი ხალხის ცხოვრებას: „ასწლიანმა ბიუროკრატიულ-ცენტრალისტურმა რეჟიმმა, რაც სრულიად უცხოა ქართველთა ეროვნული წყობისა და სულისკვეთებისათვის (როგორც წარსულში, ასევე ამჟამად) ქართველი ხალხი მიიყვანა თავისი ცხოვრების განვითარების, ინტელექტუალური და ეკონომიკური ძალების სრულ მოდუნებამდე“¹.

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, სახელმწიფოს ძირითადი ამოცანაა ქვეყანაში მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფა. მაგრამ რუსეთის ბიუროკრატიულ-ცენტრალისტური სახელმწიფოს ძირითადი ქართველი ხალხის შეზღუდვამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უმთავრეს დარგებში გამოიწვია მოსახლეობის უკმაყოფილება და 1905 წლის გამოსვლებში მისი აქტიური მონაწილეობა. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ ქართველი „ხალხის ღნის დევნამ, წინასწარგანზრახულმა იძულებითმა გარუსების სისტემამ (ეკლესიების, სკოლებისა და სასამართლოების გადაქცევა პოლიტიკის დამხმარე იარაღად, სახელმწიფო სამსახურში ქართველთა შესვლის უფლებათა ერთიანად შეზღუდვა და პრაქტიკულად ჩამორთმევა, მოსახლეობის ეკონომიკური და სულიერი ინტერესების უგულებელყოფა), ჩვენი მდიდარი მხარე მიიყვანა საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვისაც არც თუ სასურველ არამშვიდობიან კეთილდღეობამდე, არამედ პირიქით, გამოიწვია ყველას, საზოგადოებისა და ხალხის უკმაყოფილება ვნებათა ერთობლივი გაღიზიანებითა და ხალხის მასების უფრო და უფრო მღელვარებით“².

შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია ავტონომიის ფორმით ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი

¹ ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, საქმე № 1016, ფ. 2.

² იქვე.

მოწყობა რუსეთის იმპერიაში. ი. ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებული სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნების პროგრამა გულისხმობს რეფორმებს, რომლებიც უნდა განახორციელოს რუსეთის მთავრობამ ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების გადარსებლად, მაგრამ რეფორმების შინაარსი და ხასიათი განსაზღვრულია პროგრესისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ თავის პროგრამაში „ერთის მხრივ, დიდი გამანთავისუფლებელი მოძრაობის ამა თუ იმ მოულოდნელ მოთხოვნათა საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ხოლო მეორე მხრივ, იმ ღონისძიებათა მითითების, პროპაგანდისა და განხორციელებისათვის, რასაც შეუძლია ჩვენს ქვეყანაში წესრიგის, მშვიდობისა და სიწყნარის დამყარება“¹.

ამ ამოცანების განხორციელება არ არის გათვალისწინებული სრულად 1905 წლის 17 ოქტომბრის მეფის მთავრობის მანიფესტით, თუმცა იგი ასე თუ ისე მიზნად ისახავს განსაზღვრულ დემოკრატიულ რეფორმას, მაგრამ მაინც ვერ აკმაყოფილებს რუსეთის მოწინავე საზოგადოების მისწრაფებებსა და სურვილებს. ამ კულმენტაციის მანიფესტით აღიარებული დემოკრატიული თავისუფლებები, რომლებიც არაფრით არაა გარანტირებული, არაინიცის, როდის განმტკიცდება კანონის ფორმით, მაგრამ 1905 წლის რევოლუციით დაყენებული საკითხები ხალხის უშიშროების უზრუნველსაყოფად დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს, მთავრობას კი მტკიცე და გარკვეული პოზიცია არ გააჩნია, იგი მერყეობს და ყოველმხრივ ცდილობს თავი აარიდოს თავის წმიდათა წმიდა მოვალეობას, კერძოდ, რუსეთის საზოგადოების საუკეთესო და მოწინავე ნაწილის სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

პროგრესისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა შეიცავს მხოლოდ იმ მოთხოვნებს, რომელთა განხორციელებით დაინტერესებული იყო ქართველი ხალხი. ამ მოთხოვნებიდან პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკური გარდაქმნის პროექტი, რომლის საერთო საფუძველია საქართველოს რუსეთთან ნებაყოფლობითი შეერთების შედეგად ისტორიულად ჩამოყალიბებული რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების ერთიანობა. პროგრესისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული (კონსტიტუციურ-დემოკრატიული) პარტიის პროგრამა მიზნად

¹ ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, საქმე № 10:6, ფ. 1.



ესახავს არა საქართველოს რუსეთისაგან ჩამოშორებას, არამედ პოლიტიკურ გარდაქმნებს „საქართველოსათვის, რუსეთის სახელმწიფოს ამ განუყოფელი ნაწილისათვის, რომელმაც თვეებს განუყოფელი ნებაყოფლობით დაუკავშირა მის ბედს“¹. ამ გარდაქმნებს წინ უნდა უძღოდეს გაუქმება კავკასიის მხარის მმართველობისათვის მეფის მთავრობის მიერ შემოღებული ყველა განსაკუთრებული კანონის, ბრძანებებისა და განკარგულებისა, რაც მიზნად ისახავს საერთოდ საქართველოს მცხოვრებთა და, კერძოდ, ქართველი მოსახლეობის კანონიერი და ადამიანური უფლებების შეზღუდვას.

„პროგრამაში“ მოცემულია რუსეთის იმპერიაში შემავალი ქართველი ხალხის პოლიტიკური ორგანიზაციის გეგმა, რომლის ნთავარი მოთხოვნაა საქართველოში რუსეთთან შეერთების შემდეგ გაუქმებული ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. ი. ჭავჭავაძის აზრით, რუსული მმართველობის ნაცვლად საქართველო რუსეთში უნდა გაერთიანდეს ავტონომიის ფორმით. „პროგრამაში“ ნათქვამია, რომ „საქართველოს ავტონომია მოიცავს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებს, ბათუმის ოლქს, სოხუმისა და ზაქათლის ოკრუგებს“². ავტონომიურ საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ერობების პოლიტიკური ფორმა, საერობო მმართველობის ყველა ორგანოს სამუშაო-სახელმწიფო ენა ქართული უნდა იყოს: „ჩამოყალიბდეს ერობა და შეცვლილ იქნეს საქალაქო დებულება სრულიად წოდებრივ თვითმმართველობაზე დაყრდნობით. შემოღებულ იქნეს საერობო და საქალაქო მმართველობის ყველა ორგანოში ქართული ენა“³.

ი. ჭავჭავაძის აზრით, საერობო დაწესებულებების, როგორც სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, ორგანიზაცია მოითხოვს საქართველოს ტერიტორიაზე მეფის რუსეთის მიერ ჩამოყალიბებული ადმინისტრაციული დანაყოფების მიხედვით შექმნილი რუსული მმართველობის შეცვლას და ერთიანი ცენტრალიზებული ქართული ერობის ჩამოყალიბებას. საერობო ხელისუფლების ორგანოების სისტემა შემდეგნაირად უნდა აიგოს: ცენტრალური ერობა, საგუბერნიო ერობა და სამაზრო ერობა: „გაერთიანდეს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმის ოლქი, სოხუმისა და ზაქათლის ოკრუგები ერთ ცენტრალიზებულ ქართულ ერობად, მოხდეს მათი დაყოფა საგუბერნიო და სამაზრო საერობო

¹ ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, საქმე № 1016, ფ. 3.

² იქვე.

³ იქვე.

ერთუღლად. ცენტრალური ქართული ერობა დაარსდეს ქ. თბილისში¹.

ამრიგად, საქართველოში რუსული მმართველობითი ნაცვლად აღმასრულებელ ხელისუფლებას განახორციელებენ ცენტრალური და ადგილობრივი (საკუბერნიო და სამაზრო) საერობო დაწესებულებები. მაგრამ, ი. ჭავჭავაძის აზრით, რუსეთის იმპერიაში ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის ორგანიზაცია მართო აღმასრულებელი ხელისუფლების ერობების ფორმით ორგანიზაციას კი არ უნდა ნიშნავდეს, არამედ ეროვნულ საწყისებზე აგებული აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა ფუნქციონირებდეს ადგილობრივი საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დადგენილი კანონების მიხედვით, ანუ, სხვაგვარად, აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა ახორციელებდეს და თავის საქმიანობას წარმართავდეს ეროვნული საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დადგენილი კანონებით. ი. ჭავჭავაძის მოთხოვნით, აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა განხორციელდეს საერობო დაწესებულებების მიერ, ხოლო საკანონმდებლო ხელისუფლება — ხალხის მიერ დემოკრატიული წესით არჩეული წარმომადგენლობითი კრების მიერ. მეფის რუსეთის თვითმპყრობელობამ უნდა ცნოს „მმართველობის უფლება საქართველოს მთელი მოსახლეობის თანასწორი, ეროვნებებისა და სარწმუნოების განურჩევლად საყოველთაო ხმის მიცემის მიხედვით არჩეული ადგილობრივი წარმომადგენლობითი კრების მიერ დადგენილი კანონებით“².

საქართველოს ავტონომიური სახელმწიფო ხელისუფლება გულისხმობს აგრეთვე დამოუკიდებელი სასამართლო დაწესებულებების ერთიან სისტემას. ი. ჭავჭავაძეს სასამართლოს დამოუკიდებლობა თავისებურად აქვს გაგებული, მისი მტკიცებით, დამოუკიდებელი სასამართლო ნიშნავს იმას, რომ სასამართლო არ უნდა იყოს სახელმწიფოს პოლიტიკის დამხმარე იარაღი. ი. ჭავჭავაძის მიერ „დამოუკიდებელი სასამართლოს“ ამგვარი გაგების შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს „პროგრამის“ პრეამბულა, რომელშიც ნათქვამია, რომ მეფის თვითმპყრობელობა ახორციელებს ქართველი ხალხის იძულებითი გარუსების პოლიტიკას და ამ მიზნის მიღწევისათვის იყენებს მის მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა სისტემაში სასამართლოს, რომელიც დამოუკიდებლობას მოკლე-

¹ ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, საქმე № 1016, ფ. 3.

² იქვე.

ბულია და გადაქცეულია ქართველი ხალხის იძულებითი გარუსების პოლიტიკის იარაღად.

ეროვნული
საგარეო
საზღვრო
საქმეთა
მინისტრო

ი. ჭავჭავაძის აზრით, არსებული სასამართლოების დამოუკიდებელი სასამართლოები, უნდა შეიქმნას პოლიტიკისაგან დამოუკიდებელი სასამართლოები, რაც ნიშნავს იმას, რომ სასამართლო ხელისუფლება უნდა განხორციელდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებისა და არჩევითი მომრიგებელი მოსამართლეების მიერ, მაგრამ სასამართლოებში საქმეების განხილვა, სასამართლო პროცესი, უნდა წარმოებდეს ქართულ ენაზე: „შეიქმნას დამოუკიდებელი სასამართლო, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და არჩევით მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი, სასამართლო სჯა-პაექრობა იყოს ქართულ ენაზე“. უნდა აღინიშნოს, რომ ი. ჭავჭავაძის მტკიცება ე.წ. დამოუკიდებელი სასამართლოების არსებობის შესახებ განუხორციელებელია საერთოდ, რადგან ყველა სასამართლო ხელმძღვანელობს სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლის ნორმებით, რომლებშიც თავის აუცილებელ გამოხატულებას პოულობს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე განსახორციელებლად შემუშავებული განსაზღვრული პოლიტიკა.

საქართველოს ავტონომიური პოლიტიკური ორგანიზაცია ეროვნული აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებით სრულებითაც არ ნიშნავს რუსეთისაგან ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივ ჩამოშორებას. საქართველო ისევ რჩება რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად და საქართველოს ავტონომიური ხელისუფლება შეზღუდულია საერთო-იმპერიული უწყების ფარგლებით. „პროგრამაში“ ნათქვამია, რომ „ავტონომიური წარმომადგენლობის კომპეტენცია არ ვრცელდება არც არმიანზე, არც ფლოტზე, არც სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაზე, არც საერთო-იმპერიულ საფინანსო პოლიტიკაზე“¹.

მთელი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება ხორციელდება მმართველობის ცალკეულ დარგებში დასაქმებული თანამდებობის პირების მიერ, მაგრამ, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, საქართველოს ავტონომიად გამოცხადებამ უნდა მოსპოს თანამდებობების დაკავების საქმეში ეროვნული განსხვავებანი, კერძოდ, ყველა მოქალაქეს და მათ შორის ქართველსაც, უნდა მიენიჭოს რუსების თანაბრად თანამდებობების დაკავების უფლება და ამ ძხრივ ეროვნულ დისკრიმინაციას ადგილი მომავალში აღარ უნდა ჰქონდეს.

¹ ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, საქმე № 1016, ფ. 4.

ი. ჭავჭავაძე მოითხოვს, რომ „გაუქმდეს ყველა ის დაბრუნებული, რომელიც ზღუდავს ქართველთა სახელმწიფო სამსახურში მიღების უფლებას და მოხდეს მათი გათანაბრება რუსული წარმოშობის პირებთან სამსახურებრივ უფლებათა და უპირატესობათა მხრივ“¹

ი. ჭავჭავაძე სახელმწიფო დაწესებულებებისა და თანამდებობის პირების თვითნებობისა და უსამართლო მოქმედების აღმოფხვრას მიიჩნევს სახელმწიფო აპარატის ხალხის ინტერესების შესაბამისად მუშაობის საწინდრად და მათი კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის აღმოფხვრის მიზნით მოითხოვს ქვეყანაში ყველა დაწესებულებისა და თანამდებობის პირის სასამართლო პასუხისმგებლობის დაწესებას. „პროგრამის“ მეოთხე მუხლი ადგენს: „დადგინდეს ყველა დაწესებულებისა და თანამდებობის პირის, როგორც უმაღლესის, ისე უმაღლესის, პასუხისმგებლობა სასამართლოს წინაშე საერთო სამართალწარმოების წესის მიხედვით“².

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „პროგრამა“ არ ითვალისწინებს ავტონომიური საქართველოსათვის საკუთარი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნის უფლების მინიჭებას, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე უნდა განლაგდეს საერთო-საიმპერიო შეიარაღებული ძალები, მაგრამ, ი. ჭავჭავაძის აზრით, აუცილებელია აღდგეს წინათ მოქმედი წესი და ადგილობრივ ახალწვეულებს მიენიჭოთ უფლება, სამხედრო ბეგარა მოიხადონ საქართველოს ფარგლებში განლაგებულ საჯარო ნაწილებში. ეს მოთხოვნა უნდა გავრცელდეს, როგორც წესი, ქართველი წარმოშობის პირებზე, მათი „სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ინტერესთა შესაბამისად“³.

ცნობილია, რომ 1905 წლის რევოლუციაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა სოციალური ჯგუფები, რომელთა ბევრი სახელოვანი წარმომადგენელი მეფის თვითმპყრობელობის მიერ განხორციელებული სასტიკი რეპრესიების მსხვერპლი გახდა, ბევრი კი დაპატიმრებულ იქნა პოლიტიკური ბრალდებებით. მეფის თვითმპყრობელობის ეს რეპრესიები გავრცელდა საქართველოზეც, რომლის ტერიტორიაზე მცხოვრები ერების წარმომადგენლები სხვადასხვა პერიოდში გაბედულ პოლიტიკურ ბრძოლას აწარმოებდნენ მეფის რუსეთის რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ ხალხთა ბედნიერებისა და კეთილდღეობის მისაღწევად. თავისუფლების

¹ ი. ჭავჭავაძის პირადი სააარქივო ფონდი, საქმე № 1016, ფ. 3.

² იქვე, ფ. 3.

³ იქვე.

მოტრფიალეთათვის განსაკუთრებით მძიმე იყო საქართველოში 1905 წლის პერიოდში გლეხთა რევოლუციური მოძრაობა, რომლის ბევრი მონაწილე საქართველოდან გაასახლეს. ექვთიმე მთხოველი მოითხოვს მათზე ამნისტიის გავრცელებას: „მიეცეს ამნისტია ყველა პოლიტიკურ პატიმარს, რომელიც სასამართლო და ადმინისტრაციული წესით გასახლებულია მხარის ფარგლებიდან, აგრეთვე ყველა პირს, რომელიც საქართველოში მონაწილეობდა გლეხთა მოძრაობაში“¹.

„პროგრამაში“ განვითარებულია ი. ჭავჭავაძის მიერ წარსულ წლებში ჩამოყალიბებული მოსახრებები ადამიანის უფლებებისა და მისი განხორციელების პოლიტიკური გარანტიების შესახებ. განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს 1905 წლის რევოლუციის ეპოქაში, როცა მეფის თვითმპყრობელობა თვითნებურად უსწორდება სამართლიან ბრძოლაში ჩაბმულ მილიონობით ადამიანს. ი. ჭავჭავაძის მიერ შემუშავებული რეფორმები პოლიტიკური ცხოვრების დარგში. იგი მიუთითებს, რომ მეფის თვითმპყრობელობის პოლიტიკა მიმართულია მთელი რუსეთის მშრომელი ხალხის და „კერძოდ, ქართველი მოსახლეობის კანონიერი და ადამიანური უფლებების შეზღუდვისაკენ“². არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ მშრომელთა მასობრივი გამოსვლების მიუხედავად, მეფის მთავრობამ რეაქციული ღონისძიებების ნაცვლად უნდა მოახდინოს ქვეყნის დემოკრატიზაცია და ანგარიში გაუწიოს ხალხს, რომელიც 17 ოქტომბრის მანიფესტით შეპირებული რეფორმების მოლოდინშია. ი. ჭავჭავაძის მოთხოვნით, მშრომელი ხალხის უშიშროების დასაცავად და სახელმწიფოს მხრივ თვითნებობისა და ძალადობის აღმოსაფხვრელად ახლავე უნდა „უზრუნველყოფილ იქნეს პიროვნებისა და საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობა“³. ამასთან ერთად, მოქალაქეთა პოლიტიკური აქტივობის ზრდისა და სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში მათი ფართოდ ჩაბმის მიზნით, უნდა „დაკანონდეს სინდისის, სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, ორგანიზაციების, კავშირებისა და გაფიცვების თავისუფლება და უზრუნველყოფილ იქნეს იგი“.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ი. ჭავჭავაძეს ბატონყმობა და ფეოდალური ურთიერთობების არსებობა საზოგადოების პროგრესის შემაფერხებელ ძალად მიაჩნდა. რუსეთში ბატონყმობის გა-

¹ ი. ჭავჭავაძის პირადი სარაქივო ფონდი, საქმე № 1016, ფ. 3.

² იქვე, ფ. 2.

³ იქვე.

უქმებას ი. ჭავჭავაძე დიდმნიშვნელოვან მოვლენად თვლიდა. თუ-
ცა მისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ საგლეხო რეფორმის შე-
ზღუდული ხასიათი ჰქონდა, მას არ აღმოუფხვრია სოციალური
უთანასწორობა და რეფორმის განხორციელების შემდეგ უფლებები
გახდა, რომ მშრომელი ხალხი ისევ მძიმე სოციალურ და ეკონო-
მიკურ პირობებში აღმოჩნდა. 1905 წლის რევოლუციას ი. ჭავჭა-
ვაძე უკავშირებდა ბატონყმური ურთიერთობის ნაშთებიდან წარ-
მომდგარი სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობისა და
ჩაგვრის საბოლოო მოსპობას. ი. ჭავჭავაძე გაბედულად მოითხოვს:
„მოხდეს საქართველოში ბატონყმური ურთიერთობის ნაშთების
საბოლოო ლიკვიდაცია, გლეხებისა და მედაბურთა სხვა წოდებებ-
თან უფლებების გათანაბრება და დადგინდეს კანონის წინაშე ყვე-
ლას თანასწორობა. აღიარებულ იქნეს მამაკაცებისა და ქალების
ქონებრივი, სამოქალაქო და პოლიტიკური თანასწორუფლები-
ანობა“¹.

ბატონყმური ურთიერთობის ნაშთების საბოლოო ლიკვიდაცია
ეკონომიკურ ცხოვრებაში ი. ჭავჭავაძეს დაკავშირებული აქვს რე-
კოლუციური ღონისძიებების განხორციელებასთან, კერძოდ, მიწე-
ბი უნდა გადაეცეს იმათ, ვინც მას ამუშავებს. ბატონყმობის გა-
უქმების შემდეგ სანადელო მიწებს, რომლებიც მემამულეებს ეკუთ-
ვნოდათ, დროებითვალდებული გლეხები ამუშავებდნენ, მაგრამ ამ
კატეგორიის მიწების მესაკუთრენი ისევ მემამულეები იყვნენ.
ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, აუცილებელია „დაუმკვიდრდეს დრო-
ებით-ვალდებულ გლეხებს სანადელო მიწები მათ მიერ მემამუ-
ლეთათვის გასამრჯელოს მიცემის გარეშე“². ქვეყნის ეკონომი-
კური ცხოვრების გამოცოცხლების მიზნით, დაუმუშავებელი სა-
ხელმწიფო მიწების ხარჯზე უნდა გაფართოვდეს მიწისმფლობე-
ლობის ფარგლები, კერძოდ, ყველა თანრიგის მიწისმფლობელს
უფლება მიეცეს მიიღოს მიწის ნაკვეთები დასამუშავებლად თავი-
სუფალი სახელმწიფო მიწების მარაგიდან. ი. ჭავჭავაძეს განსა-
კუთრებული მნიშვნელობის ღონისძიებად მიაჩნია საქართველოს
ტერიტორიაზე ქართველთა თავისუფალი დასახლება და ქართველ-
თა ამ აუცილებელი უფლების განსახორციელებლად ყველა ხე-
ლოვნურად შექმნილი შეზღუდვისა და დაბრკოლების აღმოფხვრა,
აგრეთვე ამიერკავკასიაში მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებ-

¹ ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, საქმე № 1016, ფ. 2.

² იქვე, ფ. 3.

ლობის დამაბრკოლებელი ყველა განსაკუთრებული განკარგულების გაუქმება.

ბატონყმური ურთიერთობის ნაშთების ლიკვიდაციის პროგრამის რომელიც შემუშავებული აქვს ი. ჭავჭავაძის, გულისხმობს აგრეთვე ქვეყანაში საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარებას, მუშათა პოლიტიკური და მატერიალური ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას: „გაუმჯობესდეს საფაბრიკო, საქარხნო და სამრეწველო მუშების ყოფა-ცხოვრება სახელმწიფო დაზღვევის შემოღების, გაფიცვების ორგანიზაციის, კრებების თავისუფლების დადგენის, რესააითიანი სამუშაო დღის შემოღების, ხელფასის მინიმუმის დაწესების, მეწარმეთა მოგებაში მონაწილეობის და ა. შ. გზით“¹.

ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად „პროგრამა“ შეიცავს მნიშვნელოვან ღონისძიებებს ქართველი ხალხის (როგორც საერო, ისე სასულიერო) ცხოვრების გარდასაქმნელად. ი. ჭავჭავაძის მოთხოვნით, სკოლები, ისევე როგორც ეკლესიები, რუსეთის მთავრობის ცენტრალისტურ-ბიუროკრატიული სახელმწიფო პოლიტიკის იარაღი არ უნდა იყოს, კერძოდ, ივერიის ეკლესიას უნდა დაუბრუნდეს წართმეული ავტოკეფალია, ზოლო სახალხო სკოლებში საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი განათლების საფუძველზე ყველა საგნის სწავლება მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა წარმოებდეს, სასწავლო დაწესებულებების, მათ შორის საქართველოს ფარგლებში უნივერსიტეტის გახსნის საქმეში ფართო უფლება უნდა მიენიჭოს სახელმწიფოს პოლიტიკისაგან დამოუკიდებელ კერძო ინიციატივას: „ჩატარდეს სახალხო განათლების სახელმწიფო რეფორმა. დაწესდეს საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი განათლება, უმაღლეს, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ყველა საგნის სწავლება უნდა იყოს ქართულ ენაზე — სახელმწიფო ენის, როგორც სავალდებულო საგნის სწავლებასთან ერთად. საქართველოს ფარგლებში გაიხსნას უნივერსიტეტი და უმაღლესი სპეციალური სასწავლებლები. სკოლების და საერთოდ სასწავლო დაწესებულების გახსნის საქმეში კერძო ინიციატივას მიენიჭოს ფართო უფლება“².

ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების ასამაღლებლად დიდი მნიშვნელობის ფაქტად უნდა ჩაითვალოს ქართული ეკლესიისათვის დაკარგული ავტოკეფალიის დაბრუნებისა და სასულიერო ხელისუფლების დემოკრატიზაციის მოთხოვნა. „პროგრამაში“ ნა-

¹ ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, საქმე № 1015, ფ. 3.

² იქვე.

თქვამია: „ივერიის ეკლესიას უნდა დაუბრუნდეს ავტოკეფალიის უფლება და აღდგეს მცხეთა-ივერიის საკათალიკოსო მის წინა დელ ფარგლებში (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბორჯომის ოლქი, აფხაზეთისა და სამურზაყანოს შავი ზღვისპირეთის გუბერნიის და ზაქათლის ოკრუგი) კათალიკოსის მეთაურობით“¹. ი. ჭავჭავაძე მოითხოვს, რომ სამღვდელოებისა და სასულიერო უწყების ყველა დაწესებულების შენახვის ხარჯისაგან მოსახლეობის განთავისუფლების მიზნით ივერიის ეკლესიას უნდა დაუბრუნდეს ყველა საეკლესიო მამული, რომელიც ავტოკეფალიის დაკარგვასთან ერთად სახელმწიფო მმართველობაში გადავიდა.

„პროგრამაში“ დასახულია აგრეთვე ზემოაღნიშნულ გარდაქმნათა განხორციელების გზები, კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგების გარდაქმნა „პროგრამით“ გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით შეუძლებელია რუსეთში ამჟამად არსებული ბიუროკრატიული რეჟიმის პირობებში და იგი უნდა მოხდეს მხოლოდ დემოკრატიულ საწყისებზე მოწვეულ დამფუძნებელ კრებაზე, სადაც რუსეთის იმპერიაში შემავალი ყველა ეროვნების, და მათ შორის ქართველების, წარმომადგენლები გადაწყვეტენ რუსეთის სახელმწიფოს მოწყობის საკითხებს. „პროგრამა“ აღგენს: „ჩვენ სავსებით ვუერთდებით მთელი რუსეთის მიწა-წყლის ძლიერ ხმას საყოველთაო, ფარული, ყველასათვის თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საწყისებზე დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივი მოწვევის შესახებ, სადაც ყველა ეროვნების, მათ შორის ქართველების თავისუფლად არჩეული წარმომადგენლები შეუდგებიან თანასწორობის, თავისუფლებისა და სამართლის საწყისებზე რუსეთის სახელმწიფოს მოწყობის შესახებ საკითხთა გადაწყვეტას და დაამყარებენ ჩვენს მიერ მოთხოვნილი ქართველი ხალხის სულიერი და ეკონომიკური ძალების თავისუფლად განვითარების ბუნებით ნორმალურ პირობებს“².

„პროგრამა“ ყურადღებას იპყრობს იმითაც, რომ მასში განსაზღვრულია მოკავშირეთა სახით რუსეთის პოლიტიკური ძალები, რომელთა საპროგრამო მოთხოვნები პასუხობენ ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოწყობას რუსეთის იმპერიაში. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან ძალად „პროგრამაში“ მითითებულია რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია, რომლის პროგრა-

¹ ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, საქმე № 1016, ფ. 3.

² იქვე.

მის 24-ე პუნქტი ითვალისწინებდა რუსეთის განაპირა ხალხების ეროვნულ-პოლიტიკურ მოწყობას ავტონომიის ფორმით. რუსეთის კონსტიტუციის პროგრამის 24-ე მუხლის შესაბამისად, „პროგრამაში“ მითითებულია საქართველოს ავტონომიის დეტალები და ამ მხრივ ჩამოყალიბებულია საკუთარი განმარტებები. „პროგრამაში“ ნათქვამია: „საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია, მთლიანად იზიარებს რა რკპ პროგრამას, თავის ამ განმარტებებში ხაზს უსვამს მხოლოდ მის ზოგიერთ პუნქტს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი ხალხის ინტერესებისათვის“¹.

„პროგრამით“ გათვალისწინებული გარდაქმნების ორგანიზაციული საკითხები უფრო ვრცლადაა წარმოდგენილი დოკუმენტში, რომელსაც ეწოდება „პროექტი ქართული კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის შექმნისა“², რომელიც „პროგრამის“ შემდეგაა შედგენილი. ესაა პერიოდი, როცა 1905 წლის რევოლუცია დაღმავლობას განიცდის და ძლიერდება რეაქცია, რაც 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით აღთქმული შეპირებების განხორციელების საქმეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის. „პროექტში“ გამოთქმულია აზრი, რომ მეფის მთავრობა თავს არიდებს დამფუძნებელი კრების მოწვევას და ამდენად „ამა თუ იმ სახის წარმომადგენლობითი კრების მოწვევა არ არის მალე მოსალოდნელი, და მოახლოვებულმა რეაქციამ შეიძლება კიდევ უფრო იქით გადასწიოს მისი მოწვევის დრო, ცხოვრება კი არ იცდის და თითქმის ყოველყამიერ წარმოქმნის ამა თუ იმ მოთხოვნას, სვამს ამა თუ იმ საკითხს, რომელთა დაუყოვნებლივი დაკმაყოფილებისა და გადაწყვეტის გარეშე უკვე წარმოუდგენელი გახდა ჩვენი სამშობლოს მოსახლეობის წყნარი და მშვიდობიანი ცხოვრება“³. ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების გასახორციელებლად „პროექტი“ მოითხოვს ქართული კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის შექმნას და მის შეერთებას რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიასთან, რომლის „პროგრამის“ არსებითი და ძირითადი პუნქტების საფუძველზე შედგეს საკუთარი პროგრამა, რომელშიც შეტანილ უნდა იქნეს ქართველი ხალხის განსაკუთრებული მოთხოვნებით გამოწვეული ცვლილებანი და დამატებანი“⁴.

პარტიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად გამოცხადებულია ხალ-

¹ ი. ჯავახიშვილის პირადი საარქივო ფონდი, საქმე № 1016, ფ. 2.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ იქვე.

ხთა ბედნიერებისათვის მებრძოლი დაქსაქსული ძალების გავრთი-
ანება, ერთსულოვნებისა და ერთიანობის ძალით მთელი ძალ-ღო-
ნის წარმართვა „პროგრამით გათვალისწინებული საწყისეზრეპტის
გარდაქმნების, ასევე იმ თავისუფლებების საბოლოოდ განსაზღვრე-
ციელებლად და შემოსაღებად, რაც ჩვენს მიერ გადასატანი დი-
ადი ისტორიული მომენტის საგანია“¹.

„პროექტი“ და „პროგრამა“, რომლებიც ახლა უკვე გამოქვეყ-
ნებულია, მანამდეც არ წარმოადგენდა საიდუმლო დოკუმენტებს,
რადგანაც, როგორც დასტურდება, ი. ჭავჭავაძე თავის ბრძოლას
მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მთლიანად ამ დოკუმენ-
ტებში ჩამოყალიბებული მოსაზრებების მიხედვით წარმართავდა.
ამ მხრივ საინტერესოა ი. ჭავჭავაძის საჯარო გამოსვლა თავად-აზ-
ნაურთა კერძო თათბირზე 1906 წლის 6 მარტს, რომელშიც იგი
გაბედულად მოითხოვს საქართველოს ავტონომიას საკუთარი სა-
კანონმდებლო ორგანოთი, პარლამენტით. ამ თათბირზე ი. ჭავჭა-
ვაძის მიერ წარმოთქმული სიტყვის მოკლე ჩანაწერი დაბეჭდა გაზ.
„ივერიამ“. აქ დიდი მოაზროვნე პირველ ყოვლისა, ეხება მეფის
თვითმპყრობელობის ცენტრალური ხელისუფლების საზოგადოებ-
რივ ცხოვრებაში განხორციელებისას ადგილობრივი მოსახლეობის
ინტერესთა უგულვებელყოფას და მისგან წარმომდგარ ნაკლოვანე-
ბებს. იგი აღნიშნავს, რომ მთავრობის წინააღმდეგ გლახთა გამო-
სვლების მიზეზი ის არის, რომ ქართველ გლეხებს ჩამოართვეს მი-
წები და მასზე სხვა ტომის ხალხი დაასახლეს. გამოდის, რომ ქარ-
თველი გლეხისათვის „მიწა არ არის, ხოლო ნემეცისთვის, ფრან-
გისთვის, რუსისთვის და სომხისთვის ბევრია... ჩვენს გლეხს ად-
გილი არა აქვს, რომ თონე ჩააგდოს, იმის გვერდით კი გაშენდა
გოლიცინი, სვეჩინი, ვარანცოვი და სხვა მრავალი სოფელი“².

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ მთავრობას უნდა გავაგებინოთ
გლახთა გამოსვლების მიზეზი და ავუხსნათ, რომ „თუ არ ამ გზით,
გლახთა მობრძობას ვერც ძალა, ვერც მემამულეების მხრივ
ყოველნაირი დათმობა, ვერაფერი ვერ შეაჩერებს“³. სახელმწი-
ფოში წესრიგის დამყარება და მოსახლეობის მოთხოვნილებათა
დაკმაყოფილება, ი. ჭავჭავაძის აზრით, შეუძლებელია საქართვე-
ლოსათვის ავტონომიის მინიჭების გარეშე. ი. ჭავჭავაძის ეს მოსაზ-
რება გაზ. „ივერიამ“ შემდეგი სახით გააცნო მკითხველებს: „ბა-

¹ ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, საქმე № 1016, ფ. 2.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 263.

³ იქვე, გვ. 264.

ტონებო, — სთქვა ბოლოს ი. ჭავჭავაძემ, — ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლიან თამამად მოვიტხოვოთ უბრალო, ბუნებრივი რამე, ეჭვიანობის თველის მიწა ქართველისთვის იყოს, ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლიან მოვიტხოვოთ, რომ კანონები, რომელიც ახლა პეტერბურგში იწერება, აქვე ადგილობრივ იწერებოდეს, რადგან, რაც რუსისთვის სასარგებლოა, ის შეიძლება ქართველისათვის მანვე იყოს¹. იმავე წლის 9 მარტს ი. ჭავჭავაძე წერილით მიმართავს გაზ. „ივერიის“ რედაქტორს და აცნობებს, რომ თავად-აზნაურთა კერძო თათბირზე მის მიერ წარმოთქმული სიტყვის ბევრი ადგილი დამახინჯებულადაა გამოქვეყნებული, კერძოდ, გაზეთი იუწყება, თითქოს, „მეთქვას: „ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლიან მოვიტხოვოთ, რომ კანონები, რომელიც ეხლა პეტერბურგში იწერება (რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნისათვის), აქვე ადგილობრივ იწერებოდეს“. სინამდვილეში, მიუთითებს გაზ. „ივერიის“ რედაქტორს ი. ჭავჭავაძე, „სასურველია, რასაკვირველია, რომ ჩვენის ქვეყნისათვის კანონები აქვე, ჩვენში, იწერებოდეს, მაგრამ მარტო ამით არა გვეშველება-რა. მე ვთქვი და კიდევ ყველგან ვიტყვი: „ჩვენი ქვეყნისათვის კანონები აქვე უნდა იწერებოდეს ჩვენის ქვეყნის მიერ არ ჩეულ წარმომადგენელთა კრებულისაგან“. აი ეს ხაზგასმული სიტყვები დაუმატეთ და ჩემი აზრი საესებით გამოთქმული იქნება“².

როგორც ვხედავთ, გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნებულ სიტყვასთან შედარებით ი. ჭავჭავაძის ჩასწორება გამოირჩევა რევოლუციურ-რადიკალური მოთხოვნებით. როცა ი. ჭავჭავაძის გაზ. „ივერიის“ რედაქტორისათვის გაგზავნილ ამ წერილის პოლიტიკურ შინაარსს ვაფასებთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არის 1905 წლის რევოლუციური აღმავლობის პერიოდი, როცა მთავრობა სასტიკად უსწორდებოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლთ. ი. ჭავჭავაძეს კარგად ესმის 1905 წლის რევოლუციით ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა, მაგრამ ამ სიტუაციაშიც იგი არ წყვეტს საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლას, პირიქით, ცდილობს დაარწმუნოს მთავრობა, რომ გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას, თვითმმართველობის შემოღების გარდა, „ვერაფერი ვერ შეაჩერებს“. ი. ჭავჭავაძე გაზ. „ივერიის“ რედაქტორს სწერს: „გთხოვთ, ბატონო რედაქტორო, ჩემი ეს წერილი დაბეჭდოთ და ნება მიბოძეთ გავიბედოთ და ერთი სარჩიელი მოგახსენ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 264.

² იქვე, გვ. 265.

ნოთ. დღეს ისეთი დღეა, რომ თვითეულს სიტყვას დიდის საფრთხილით უნდა მოვექცეთ, და ვიდრე სხვისა თქმულს ბეჭდვით სავარაუდოდ განვიმეორებდეთ, ავწონ-დავწონოთ, რა თქმულა და რა არაა. ვინაა ვინაა თქმულა. დღეს ისეთი დროა, რომ თვითეული ჩვენსაგან უნდა განკითხულ იყოს და პასუხისმგებელი ჩვენი ქვეყნის წინაშე თავისი სიტყვისა და საქმისაებრ და არა იმისებრ, რასაც სხვანი ან დაუდევრობით, ან წინდაუხედაობით თავზე მოახვევენ¹. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ვაზ. „ივერიამ“ შეარბილა თავად-აზნაურთა კრებაზე ი. ჭავჭავაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა, ხოლო ი. ჭავჭავაძემ საგანგებო წერილით მოსთხოვა ვახეთის რედაქტორს თავისი სიტყვის უცვლელად დაბეჭდვა საქართველოსათვის ავტონომიის მინიჭებისა და საკუთარი პარლამენტის შექმნის შესახებ, ადვილი მისახვედრია, რომ ი. ჭავჭავაძე 1905 წლის რევოლუციისადმი შიშს კი არ გრძნობდა, არამედ იბრძოდა იმისათვის, რომ ეს რევოლუციას გამოეყენებინა თავისი პოლიტიკური იდეალის განსახორციელებლად.

ი. ჭავჭავაძის ბრძოლამ ავტონომიისათვის უფრო ფართო მასშტაბი მიიღო სახელმწიფო საბჭოში, სადაც იგი დაუკავშირდა რუსეთისა და განაპირა მხარეების პროგრესულ ძალებს, რომლებთანაც ერთობლივად იბრძვის რუსეთის ბიუროკრატიულ-ცენტრალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ. ი. ჭავჭავაძე დარწმუნებული იყო, რომ მეფის თვითმპყრობელობის მიერ ნაწყალობევი დაწესებულებები ხალხის მოტყუებას ისახავს მიზნად და მათ არ შეუძლიათ გადაჭრან მშრომელი ხალხის ინტერესები, და ამიტომაც იგი უარსაც კი აცხადებდა სახელმწიფო საბჭოს წევრობაზე, მაგრამ მასში ყოველთვის იმარჯვებდა რეალისტი მოაზროვნე და თავისი ხალხის ბედნიერებისათვის საბრძოლველად საბოლოოდ სახელმწიფო საბჭოც მოსინჯა. სახელმწიფო საბჭო, რომლის შექმნის შესახებ მოსაზრება წამოაყენა ცნობილმა მოღვაწემ სპერენსკიმ, ჩამოყალიბდა 1810 წელს და იარსება 1917 წლამდე. სახელმწიფო საბჭოს სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრა მეფის მიერ გამოცემული მანიფესტით, რომლითაც იგი იყო კანონპროექტების განმხილველი ორგანო. მის მიერ განხილულ და მოწონებულ კანონებს იურიდიული ძალა მხოლოდ იმპერატორის მიერ დამტკიცების შემდეგ ენიჭებოდა.

რევოლუციით დაშინებული მეფის თვითმპყრობელობა 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით ხალხს შეჰპირდა სინდისის,

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 265—266.

სიტყვის, კრებების, კავშირებად გაერთიანების უფლებების მინიჭებას, საკანონმდებლო სათათბიროს შექმნას და ა. შ. 1906 წლის გაზაფხულზე მოწვეულ იქნა პირველი სახელმწიფო საბჭო, რომელიც როგორც საკანონმდებლო ორგანო, რომლის შექმნის შემდეგაც რუსეთის იმპერიის ძირითადი კანონების მეოთხე მუხლით დადგენილი დებულება იმის შესახებ, რომ უმაღლესი თვითმპყრობელური ხელისუფლება მხოლოდ იმპერატორს ეკუთვნის, ძალაში დარჩა. პირველი სახელმწიფო სათათბიროს მოწვევამდე, 1906 წლის 23 აპრილს მიღებული სრულიად რუსეთის იმპერიის ძირითადი კანონით, რომლითაც მოხდა სახელმწიფო საბჭოს რეორგანიზაცია და მისი გადაქცევა მეორე, ზედა პალატად, სახელმწიფო სათათბირო აღიარებული იყო საკანონმდებლო ორგანოდ, კერძოდ, მის პირველ, ქვედა პალატად. რა თქმა უნდა, ხელისუფლების ამგვარი რეორგანიზაცია ასე თუ ისე ნიშნავდა მეფის ხელისუფლების შეზღუდვას, ძირითადი კანონის მეშვიდე მუხლში ნათქვამი იყო, რომ მეფე საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს სახელმწიფო საბჭოსთან და სახელმწიფო სათათბიროსთან ერთად, მაგრამ ეს შეზღუდვა ერთობ უმნიშვნელო იყო და ფორმალურ ხასიათს ატარებდა. სახელმწიფო სათათბიროს შექმნა და სახელმწიფო საბჭოს რეორგანიზაცია სრულებითაც არ ნიშნავდა რუსეთში პარლამენტარიზმის დამყარებას, ყველა ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა რუსეთის იმპერიაში მმართველობის აბსოლუტური ფორმის შენიღბვას დემოკრატიული დაწესებულებებით.

სახელმწიფო სათათბიროს შესახებ არსებული ნორმატიული აქტები ამ ახლად შექმნილი საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციას შემდეგნაირად განსაზღვრავდა: ახალი კანონების პროექტთა მიღება და აგრეთვე ძველ მოქმედ კანონებში ცვლილება-დამატებების შეტანა; სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის, აგრეთვე საპინისტროებისა და უწყებების ხარჯთაღრიცხვის განხილვა; ბიუჯეტის შესრულებაზე სახელმწიფო კონტროლის ანგარიშის განხილვა; სახელმწიფო ქონების გასხვისების, ხაზინის ხარჯზე რკინიგზების გაყვანის, სააქციო კომპანიების შექმნის და მეფის მითითებით სახელმწიფო სათათბიროში დასმული საქმეების განხილვა და ა. შ. მაგრამ პრაქტიკულად სახელმწიფო სათათბირო შემოადინებულ უფლებამოსილებას სხვადასხვა მიზეზების გამო მთელი სისრულით ვერ ახორციელებდა.


სახელმწიფო სათათბიროს შექმნასთან დაკავშირებით რეორგანიზებულ იქნა სახელმწიფო საბჭო, რომლის შესახებაც დებულება გამოქვეყნდა 1906 წლის 20 თებერვალს. რეორგანიზაციის შემდეგ

სახელმწიფო საბჭო ვახდა სახელმწიფო სათათბიროსადმი დაპირისპირებული მეორე პალატა, თუმცა ზემოაღნიშნული ფაქტობრივად სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს უფლებებიან დაწესებულებებზე აღიარებდა, მაგრამ ფაქტიურად იგი ახორციელებდა კონტროლს სახელმწიფო სათათბიროზე, რათა ამ უკანასკნელს არ მიეღო ცარიზმისათვის არასასურველი კანონპროექტები. არსებული წესების მიხედვით, სახელმწიფო საბჭოს წევრთა ნაწილს თვითონ მეფე ნიშნავდა, დანარჩენებს კი ირჩევდნენ. სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ გააჩნდათ მუშებს, გლეხებს და ა. შ. 1906—1909 წწ. სახელმწიფო საბჭოს წევრებად მეფის მიერ დანიშნული იყო 124 წევრი, მაგრამ ყოველწლიურად ამ დანიშნული წევრებიდან სახელმწიფო საბჭოს სხდომებზე დამსწრე წევრთა სიაში შეტანილი იყო მხოლოდ 94—95 კაცი. სახელმწიფო საბჭოს დანარჩენ 98 წევრს ირჩევდნენ შემდეგი წესის მიხედვით: 74 ადგილი განკუთვნილი იყო მსხვილ მემამულე-თავადაზნაურთათვის, 6 ადგილი ეკუთვნოდა სინოდს სასულიერო წოდებისათვის, 6 ადგილი უნივერსიტეტებსა და მეცნიერებათა აკადემიას, 12 ადგილი კი ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენლებს¹. თავდაპირველად ხდებოდა არჩევა ამომრჩევლებისა, რომლებიც იკრიბებოდნენ პეტერბურგში და ირჩევდნენ სახელმწიფო საბჭოს წევრებს.

1906 წლის მარტში პეტერბურგში გაიმართა რუსეთის თავდაზნაურობის საიმპერიო ყრილობა, რომელსაც უნდა აერჩია სახელმწიფო საბჭოს წევრები. ი. ჭავჭავაძე ამ ყრილობაზე მონაწილეობდა, როგორც ქართველი თავადაზნაურობის დელეგატი, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნებში. თავდაზნაურთა საიმპერიო ყრილობამ ი. ჭავჭავაძე აირჩია სახელმწიფო საბჭოს წევრად. ჩვეულებრივ, სახელმწიფო საბჭოს წევრები იმ წოდებათა და ორგანიზაციათა ინტერესებს იცავდნენ, რომლებმაც ისინი აირჩიეს, მაგრამ ი. ჭავჭავაძე სხვანაირად ფიქრობდა. 1905—1907 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში, როცა მშრომელი ხალხი იბრძოდა თვითმპყრობელობის საძულველი რეჟიმის წინააღმდეგ, იგი გამოდის წოდებრივი განკერძოებულობის წინააღმდეგ და სახელმწიფო საბჭოში მოღვაწეობას უკავშირებს მთელი ქართველი ხალხის ინტერესების დაცვასა და განხორციელებას.

ი. ჭავჭავაძემ თავისი პოლიტიკური იდეალის განხორციელები-

¹ История государства и права СССР, М., 1972, стр. 601.



სათვის ბრძოლას მოახმარა სახელმწიფო საბჭოში თავისი ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი მოღვაწეობა, მიუხედავად იმისა, რომ მას კარგად ესმოდა — მეფის ერთგული სახელმწიფო ამოცანების გადაჭრის შესაძლებლობას არ იძლეოდა. თვით პოეტი სახელმწიფო საბჭოში თავისი საქმიანობის ხასიათსა და მიმართულებას შემდეგნაირად განსაზღვრავდა: „სახელმწიფო საბჭოში მე ამომირჩია თავადაზნაურობამ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო თავადაზნაურთა საჭიროებებზე ვილაპარაკებ. თუ ამას ჰტყობენ ზოგნი ჩემნი ამომრჩეველნი აქაური რუსთა აზნაურნი — ეს დიდი შეცდომაა. სახელმწიფო საბჭოში თუ თავადაზნაურთა სახელით შევდივარ — ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დაფარავ და ვიტყვი: საბჭოში მთელ საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები. საერთო კითხვებსაც შევწირავ ჩემს ღონეს“¹. თავისი დაპირება ი. ჭავჭავაძემ პირნათლად შეასრულა, იგი სახელმწიფო საბჭოში მიემხრო არა თავადაზნაურ-მემამულეთა ინტერესების დამცველ ჯგუფს, არამედ რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის მემარცხენეთა ჯგუფს და სახელმწიფო საბჭოში განსახილველად დასმული ყველა საკითხის გადაწყვეტისას ხელმძღვანელობდა არა თავად-აზნაურთა კლასის ინტერესებით, არამედ საერთოდ მთელი მშრომელი ხალხის, კერძოდ, ქართველი ხალხის საერთო ინტერესების მიხედვით. ი. ჭავჭავაძის ამგვარმა პოზიციამ სახელმწიფო საბჭოში რეაქციულად განწყობილი თავადაზნაურობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. თავადაზნაურობის რეაქციული ნაწილის წარმომადგენლები სახელმწიფო საბჭოში — კრუჰსკი და მარკოვი სინანულით აღნიშნავდნენ, რომ ი. ჭავჭავაძემ ვერ გაამართლა ამომრჩეველთა იმედები და თავადაზნაურობა, რომელმაც იგი აირჩია სახელმწიფო საბჭოში, შეგვარცხვინაო. ისინი საყვედურობდნენ: „ჩვენ ავირჩიეთ ი. ჭავჭავაძე. იმან მთელი თავადაზნაურობა შეგვარცხვინა, ის სახელმწიფო საბჭოს მემარცხენეთ მიეკედლა. ჩვენ შევცდით და ვნანობთ. ეხლა თუ საიმედო კანდიდატს დავვისახელებთ, ისეთს, როგორც გენერლები ორბელიანი და მუხრანსკია, თუნდ წერა-კითხვა არ იცოდნენ, დიდი სიამოვნებით ავირჩევთ“².

უმთავრესი საკითხი, რომელსაც ი. ჭავჭავაძე უკავშირებდა სახელმწიფო საბჭოში თავის მოღვაწეობას. ეს იყო საქართველოს

¹ მ. ბოლქვაძე, ახლო წარსულიდან. ი. ჭავჭავაძე რუსეთში (1906—1907 წწ.), ტურნ. „განათლება“, 1908, № 3—4, გვ. 108.

² ტურნ. „განათლება“, 1908, № 3—4, გვ. 108—109.

ახლებური პოლიტიკური ორგანიზაცია. თუ რამდენად რეგულაციურად მოხანდა ი. ჭავჭავაძის ეს მოთხოვნა იმ დროს, წარმოდგენას გვაძლევს ის, რომ საქართველოს ახლებური პოლიტიკური ორგანიზაციის მოთხოვნა ზოგიერთებს მეტისმეტად ამინებდა. კ. გედევანიშვილის გადმოცემით, სახელმწიფო საბჭოში წევრად არჩევამდე ი. ჭავჭავაძეს ქართველი დელეგატებისათვის განუცხადებია, რომ მას სურს „საბჭოში შეიტანოს მოთხოვნილება, რომ საქართველოს მიეცეს სრული ავტონომია, მაგრამ ნიკო ნიკოლაძე ამის წინააღმდეგი იყო, ამბობდა, რომ მე ბევრს საბჭოს წევრს ველაპარაკე და ვიცნობ კარგათ, რაც არიანო და არავინ არ დაგიჭერს იქ მხარსაო, და მაგ გამოსვლით საქართველოს მარტო ზიანს მიაყენებო, ეგ მეტის მეტი გაბედული მოთხოვნააო, როგორ უნდა გაუბედოთ რუს ხელმწიფესაო“¹. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შიშისათვის საკმარის საფუძველიც არსებობდა. ჯერ კიდევ იმ პერიოდში ი. ჭავჭავაძემ შეიმუშავა რუსეთის იმპერიაში საქართველოს პოლიტიკური მოწყობის გეგმა თვითმმართველობითი სისტემის საფუძველზე, მეფის თვითმპყრობელობამ მასზე პოლიციის საიდუმლო ზედამხედველობა დააწესა.

საქართველოს ავტონომიისათვის სახელმწიფო საბჭოში ი. ჭავჭავაძის ბრძოლაზე სრულ წარმოდგენას გვაძლევს საქართველოდან იმ პერიოდში პეტერბურგს წარგზავნილი ყურნალისტი მ. ბოლქვაძე, რომელმაც 1908 წელს ყურნალ „განათლებაში“ გამოაქვეყნა წერილი „მოგონებანი ახლო წარსულიდან“². უნდა აღინიშნოს, რომ მ. ბოლქვაძის ზემოაღნიშნული წერილი ფრიალ საყურადღებო მასალაა ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო საბჭოში მოღვაწეობის შესახებ და ამავე დროს უაღრესად სარწმუნოც, რადგან, ჯერ ერთი, როგორც ყურნალისტი, მ. ბოლქვაძე უშუალო მომსწრეა ი. ჭავჭავაძის ენერგიული ბრძოლისა სახელმწიფო საბჭოში და გარდა ამისა, იგი გამოქვეყნებულია ი. ჭავჭავაძის ტრაგიკულად დაღუპვიდან ერთი წლის შემდეგ, როცა ამ წერილში აღნიშნული ფაქტები ჯერ კიდევ დავიწყებული არ ჰქონდათ. თითქმის ყველა პირი, რომელიც მასში მოხსენიებულია, იმ დროს ცოცხალი იყო, მაგრამ მათგან არავის უარუყვია მ. ბოლქვაძის მიერ გადმოცემული ფაქტების სისწორე.

ეხება რა სახელმწიფო საბჭოში ი. ჭავჭავაძის ბრძოლას ავტო-

¹ კ. შარაძე, არქეოგრაფიული ეტიუდები. ანატასია გედევანიშვილის „მოგონება ილიაზედ“ (ყურნ. „ცისკარი“, № 7, 1981, გვ. 122).

² ყურნ. „განათლება“, 1908, № 3—4.



ნომისათვის, მ. ბოლქვაძე წერს: „იმ ხანებში პოლონეთის დემოკრატიები სათათბიროს უმრავლესობის დახმარებით თავიანთ ინტერესებს ნომის პროექტს ამზადებდნენ. ჩვენი ქვეყნის ბუკარესტის შესახებაც ითქვა ორიოდ სიტყვა... ეს დიდი საკითხი ილიას გონებას არ ასვენებდა. გულდასმით ათვალეირებდა თან ჩამოტანილ მასალას“¹.

ი. ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო. სახელმწიფო საბჭოსაგან დამოუკიდებლად არსებობდა სახელმწიფო სათათბირო, რომლის სხდომებსაც ი. ჭავჭავაძე დიდი ინტერესით ესწრებოდა და მუდამ მოწინავე, პროგრესული ძალების მხარეზე იყო, რომელთა მიმართ სიმპათიებს ვერ მალავდა. ყურნალისტი მ. ბოლქვაძე იგონებს: „სათათბიროში ერთ ისტორიულ კრებაზე ნაბოკოვმა მთავრობის წინააღმდეგ სასტიკი სიტყვა წარმოთქვა, იმ მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც მაშინ მოუფერებლად ეუბნებოდნენ: „როდისღა მოგვმორდებათ!“ ყველა მინისტრი დარბაზში ბრძანდებოდნენ და ისმენდნენ მსუსხავ მსჯავრს. მე ყურნალისტების ლოყაში ვიჯექი. სახელმწიფო საბჭოს ლოყა ჩვენ გვერდით იყო. აქ იყო ილიაც. ნაბოკოვის სიტყვის შემდეგ წამოდგა, ჩამოუარა ჩვენს ლოყას და ნელის ფეხის ნაბიჯით გასწია კულუარებისაკენ. მაშინდელი მისი სახის გამომეტყველება არასდროს არ დამეიწყებდა. აქ იხატებოდა უსაზღვრო კმაყოფილება, სიამოვნება, ნეტარება, მტრის დამარცხებაზე აშენებული. ილიას სული და გული ღელავდა, მთელს სახეს აღმური მოდებოდა, ზღვა — თვალნი ბრწყინავდნენ. მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა... ნეტავ რა გუნებაზე არიან მინისტრები? ძლიერი მათრახია, ურყევ საფუძველზე აშენებული. ღირსშესანიშნავი აქ ის არის, რომ ნაბოკოვი მინისტრის შვილია. იცის მინისტრების სუსტი მხარე... ამბობდა ენერგია აღძრული და აღელვებული ილია“².

ი. ჭავჭავაძეს სახელმწიფო სათათბირო და განსაკუთრებით პირველი სახელმწიფო სათათბირო, რომელიც გამოირჩეოდა პროგრესულობით, მიაჩნდა არა მხოლოდ რუსი ხალხის, არამედ რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ყველა ხალხის ინტერესების დამცველად და გამომხატველად. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს პირველ სახელმწიფო სათათბიროში ი. რამიშვილის გამოსვლის შეფასება ი. ჭავჭავაძის მიერ: „ქართულად სულ სხვა შთაბეჭდილებას ახდენს რამიშვილის სიტყვა. ასეთ გამოთქმას არ არიან მიჩვეულნი რუსები.

¹ ყურნ. „განათლება“, 1908, № 3—4, გვ. 112.
² იქვე, გვ. 115—116.

ჩემმა ამხანაგებმა პირველ ხუთი წუთის განმავლობაში ვერა ვერა
რა. ეს კიდე არაფერია: რამიშვილი შეეჩვევა საპარლამენტო ორა-
ტორობას, მსმენელი — ისიდორეს თავისებურ კილო-
სიტყვა აზრიანი იყო, მაგრამ დალოცვილმა რა დაიყენა
«великий русский народ». თითქმის მთელი სათათბირო რუსების ინ-
ტერესებზე ლაპარაკობს, რაღა მაგის თავ-გამოდება ესაჭიროება
რუსის ხალხს? მე არ მეგონა—თუ ერთი სიტყვით არ მოიგონებდა
ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს. დაიყენა «великий русский на-
род...» არა მგონი ბოლომდის გასტანოს ასეთმა ძახილმა².

პირველ სათათბიროში შეიქმნა ავტონომისტ-ფედერალისტთა
კავშირი, რომელშიც შედიოდნენ უკრაინის, პოლონეთის, ბალტი-
ისპირეთის მხარის და მაკმადიანთა, ოსმალთა, ებრაელთა, სომეხთა
და სხვათა წარმომადგენლები, კერძოდ, სათათბიროს წევრი-დებუ-
ტატები. საქართველოდან ამ კავშირში შედიოდა პირველი სათათ-
ბიროს დებუტატი ი. ბარათაშვილი. ამ კავშირის თავმჯდომარე იყო
პირველი სახელმწიფო სათათბიროს წევრი, მოსკოველი ვეჭილი
ლენიციკი. კავშირის დანიშნულებას შეადგენდა სახელმწიფო სა-
თათბიროში შეტანილ ახალ კანონ-პროექტთა განხილვა და დებუ-
ტატთა საერთო კრებაზე ან სპეციალურ კომისიებში თავიანთი
მოთხოვნებისა და მოსაზრებების წარდგენა. მიუხედავად იმისა,
რომ ი. ჭავჭავაძე სახელმწიფო სათათბიროს წევრი არ იყო, „ავ-
ტონომისტ-ფედერალისტთა კავშირმა ერთხმად გადაწყვიტა მო-
ეხატეა ილია ჭავჭავაძე, როგორც სრულ უფლებიანი წევრი.
ზოგნი ეჭვობდნენ, — ილია ამ კავშირში არ მიიღებს მონაწილე-
ობას, მოერიდება ავრე ფარდა ახდილს პირდაპირს მუშაობასაო,
მაგრამ ასეთი აზრი არ გამართლდა. ილიამ დიდი სიამოვნებით
მიიღო კავშირის წინადადება. კავშირის კრებები უფრო ხშირად
სალამობით ხდებოდა. ეს ილიას არ აშინებდა და კრებებს ეს-
წრებოდა².

ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირის მუშაობას ი. ჭავჭავაძე
არადაამაკმაყოფილებლად აფასებდა, არც მისი თავმჯდომარის —
ლენიციკის პოზიცია მოსწონდა. საქმე ისაა, რომ ავტონომისტ-
ფედერალისტთა კავშირის წევრები საერთოდ არ იცნობდნენ რუ-
სეთის განაპირა მხარეების მდგომარეობას, მათ მიერ შემუშავე-
ბული მოსაზრებანი იმდენად ჩამორჩებოდა დროის მოთხოვნებს,
რომ მათ არ შეეძლოთ პასუხი გაეცათ რუსეთის განაპირა მხარე-

¹ ქურნ „განათლება“, 1908, № 3—4, გვ. 118.

² იქვე, გვ. 122.

ებში გაჩაღებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ დასმული კითხვებისათვის. მ. ბოლქვაძის გადმოცემით, ი. ჭავჭავაძე ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირის სექციის ერთ-ერთ უკმაყოფილო იყო და ამბობდა: „ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირის სათათბიროში დიდი მნიშვნელობა ექნება, მაგრამ ჯერ ჯერ-ჯერობით თვით ორგანიზაცია და მუშაობის სისტემა მეტად სუსტობს. არა მგონი რომ ავრე გასტანოს. აბა, კარგად დააკვირდით, — კავშირის უზურპატორი — მეფე დეპუტატი ლენინცკია. უმრავლესობა მის სიტყვას და წინადადებას წმიდათა წმიდათ იღებს და ეთანხმება. ეს აიხსნება მხოლოდ შეუგნებლობით. წევრთა უმეტესი ნაწილის აზრი ამა თუ იმ კითხვაზე არ არის საამდროვო. მე საქართველოში სოციალ-დემოკრატები რეტროგრადს მეძახიან, ესენი-კი — ჩემი მოხსენებანი რო წავუკითხო, — მგონი, რევოლუციონერს დამიძახებენ“¹.

ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირის სხდომებზე ი. ჭავჭავაძის მიერ წარმოთქმული მოსაზრებანი და შეხედულებანი, მართლაც, გამოირჩეოდა რევოლუციურობით. ამის გამო ი. ჭავჭავაძეს ამ კავშირში სოციალისტადაც კი აღიარებდნენ. მ. ბოლქვაძე იგონებს, რომ ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირის სხდომაზე აგრარულ საკითხს იხილავდნენ, კომისიაში, რომელსაც უნდა მოეშაადებინა მოსაზრებანი ამ საკითხზე, ქართველები — ი. ჭავჭავაძე და ი. ბარათშვილიც აირჩიეს, რამაც დეპუტატი თოფჩიბაშევი გააფიცხა და მოითხოვა თავისი წარმომადგენლის კომისიაში არჩევა, ქართველებს თუ ირჩევთ, ჩვენც უნდა ავკირჩიოთ, ქართველები მიწის სოციალიზაციისათვის იბრძვიან, ისინი სოციალისტები არიან, ჩვენ კი სხვა პირობებში ვართ და სხვა მოთხოვნილებები გვაქვსო. თოფჩიბაშევის ამ განცხადების შემდეგ ი. ჭავჭავაძეს უთქვამს: „არ გითხარ, რევოლუციონერს დამიძახებენ მეტი?! ჯერ კინტიც არ დამიძრავს და თოფჩიბაშევი სოციალისტს მეძახის!.. ნეტავ რის შეშინდა“². ასეთ ვითარებაში ი. ჭავჭავაძეს ზედმეტად მიაჩნდა ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირში ყოფნა, მაგრამ თხოვნის შემდეგ კავშირში დარჩა, რადგან სათათბიროში დეპუტატები მოელოდნენ ავტონომიის საკითხის განხილვას, კერძოდ, ქართველების მოთხოვნით ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირის თავმჯდომარემ ლენინცკიმ სათათბიროს კომისიაში განსახილველად შეიტანა საკითხი საქართველოსათვის ავტონომიის მინიჭების

¹ ეურნ. „განათლება“, 1908, № 3—4, გვ. 123.

² იქვე, გვ. 124.

შესახებ. ამ გარემოებამ ი. ჭავჭავაძეს ახალი საზრუნავი გაუჩინა. საქმე ისაა, რომ სახელმწიფო სათათბიროს ქართველი სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი) დეპუტატები საერთოდ საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგი იყვნენ, რაც ი. ჭავჭავაძეს სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოში დაისმებოდა საქართველოს ავტონომიის საკითხი და ამ საკითხზე ქართველთა შორის, კერძოდ, ერთი მხრივ, ი. ჭავჭავაძესა და მის მომხრეებს, ხოლო, მეორე მხრივ, ქართველ სოციალ-დემოკრატებს შორის აზრთა სხვადასხვაობას ექნებოდა ადგილი, რა თქმა უნდა, საქართველოს ავტონომიის საკითხიც მოიხსნებოდა დღის წესრიგიდან. მ. ბოლქვაძე წერს: „ჩამოვიდნენ ჩვენი დეპუტატებიც, რომელთა შორის მხოლოდ ბარათაშვილი იყო არა სოციალ-დემოკრატი. ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელთა ასეთმა ჩგუფმა პეტერბურგის ქართველი ინტელიგენცია და მასთან ერთად ილია დააფიქრა. მიზეზი საყურადღებო იყო. ქართველთა მინდობილობით ლენინციმ ჩვენების ჩამოსვლამდის პარლამენტის კომისიაში შეიტანა განცხადება საქართველოს ავტონომიის შესახებ, „ჩვენი სოციალ-დემოკრატები წინააღმდეგი იქნებიან და ხომ შევრცხვით. განცხადება მაინც არ იყოს კომისიაშიო“, — აი რა ფიქრი ტრიალებდა ქართველთა შორის. „რამე უნდა ვიღონოთო“, ამბობდა ილია და სხვანი. რა უნდა ექნათ? ამ დროს და წინედაც ს.-დ. ყურნალ-გაზეთებში ილიასთან საქმის დაჭერას, პურის მჭამელს და მოლაპარაკესაც ჯვარს აცვამდნენ“¹.

პეტერბურგში მცხოვრები ქართველები ცდილობდნენ ი. ჭავჭავაძისა და მისი მომხრეების შეხვედრის ორგანიზაციას ქართველ სოციალ-დემოკრატებთან. ეს შეხვედრა შედგა ცნობილი ქართველი კაპიტალისტისა და საზოგადო მოღვაწის დ. სარაჯიშვილის მიერ მოწყობილ ბანკეტზე „ევროპის სასტუმროს“ ცალკე დიდ დარბაზში. ი. ჭავჭავაძე, პროფ. ა. ცაგარელი და სხვები საქართველოს ავტონომიის მოითხოვდნენ და ცდილობდნენ მიეღწიათ სოციალ-დემოკრატი დეპუტატების მხარდაჭერისათვის. პროფ. ა. ცაგარელი არწმუნებდა ი. რამიშვილს, რომ აუცილებელია სათათბიროში საქართველოს ავტონომიისათვის მხარდაჭერა, მაგრამ, როგორც მ. ბოლქვაძე გადმოგვცემს, ი. რამიშვილი უარზე იდგა და ამტკიცებდა: „ჩვენ ეხლა ამ კითხვაზე სათათბიროში ლაპარაკი მეტად მიგვაჩნია, ჯერ სხვა საერთო კითხვებია გასარჩევნი“².

¹ ყურნ. „განათლება“, 1908, № 3—4, გვ. 125.

² იქვე, გვ. 127.

მ. ბოლქვაძის გადმოცემით, ი. ჭავჭავაძე თავს ძლიერ იკავებდა, არ მოსწონდა ი. რამიშვილის დამოკიდებულება საქართველოს ავტონომიის მიმართ. მოლაპარაკება გვიან ღამემდებურად მართალია, ამ მოლაპარაკებას ბოლომდე სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ ის, რაც მიღწეულ იქნა, ილიას სოციალ-დემოკრატიებისაგან მოსალოდნელზე უკეთესად მაინც მიიჩნდა. ი. ჭავჭავაძე შემდეგნაირად აფასებდა ამ შეთანხმებას: „ჩვენ ვიცოდით, რომ ისინი საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგნი არიან. ეს ყველამ ვიცოდით, მაგრამ ის, რაც გუშინ გამოირკვა — ახალია. ამათთან, ბელადებთან, ისიდორესთან და ნოესთან შესაძლოა მოლაპარაკება, — სხვებთან კი ჩვენში... ფანატიკოსები არიან დალოცვილნი... ნაციონალური გრძნობა ძლიერ ღრმად არის ჩანერგული, შესისხლხორცებული და თუ გაიძახიან „არაო“ — ეს თავის მოტყუილებაა. კარგად ჩაიხედონ გულში... ეპ, შორს წავედი. ისევ გუშინდელ დღეს დაეუბრუნდეთ. „ჩვენ საქართველოს ავტონომიას არც დავიცავთ და არც წინააღმდეგ ვიტყვი არაფერს“. ეს დაპირებაც კარგია, მაღლი ღმერთს: მე არც ამას მოველოდი... ჯერ ესევ ციკმაროთ. ეს დაპირებანი შეასრულონ. დამოკიდებულებას ნუ გავამწვავებთ, არა უშავს რა...“¹.

მაგრამ ი. ჭავჭავაძის პროგრამას სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოში საქართველოსათვის ავტონომიის მისანიჭებლად განხორციელება არ ეწერა. პირველი სახელმწიფო სათათბირო მეფის თვითმპყრობელობამ დახურა, მისი პროგრესულად მოაზროვნე დეპუტატების დიდი ნაწილი, მათ შორის ქართველი დეპუტატებიც, დააპატიმრა, რამაც ი. ჭავჭავაძის გულისტკივილი გამოიწვია. ამ ამბებით დამწუხრებულ ი. ჭავჭავაძეს უთქვამს: „ეს ახალი და დიდი უბედურებაა ჩვენთვის... ჰორიზონტი შავად იღრუბლება და ახლო მომავალი არას მპირდება. ჩემნი დღენი კარგს არას მოესწრება...“².

მართლაც, მეორე სახელმწიფო სათათბიროში, რომელიც, პირველი სახელმწიფო სათათბიროსაგან განსხვავებით, უკიდურესად რეაქციული იყო, განაპირა მხარეებისათვის, კერძოდ საქართველოსათვის, ავტონომიის მინიჭების საკითხის დასმაზე არავინ ფიქრობდა, რუსეთის იმპერიაში ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ი. ჭავჭავაძის მიერ შემუშავებულმა პოლიტიკურმა პროგრამამ მარცხი განიცადა. სახელმწიფო საბჭოში პო-

¹ ტურნ. „განათლება“, 1908, № 3—4, გვ. 129.

² იქვე, გვ. 121.

ლიტიკურმა მოღვაწეობამ ი. ჭავჭავაძეს ნათლად დაანახა მეფის თვითმპყრობელობის რეაქციული ბუნება და იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მთავრობას რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში განაპირა ხალხების ეროვნულ-პოლიტიკური მოწყობის თაობაზე სიტყვის გაგონებაც კი არ სურდა. იქნებ ამითაც აიხსნას ის ამბავი, რომ 1905—1907 წწ. რევოლუციის პერიოდში ი. ჭავჭავაძე სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოში ქართველ სოციალ-დემოკრატებთან ეძებს კავშირს. უნდა ვიფიქროთ, რომ ი. ჭავჭავაძეს 1905—1907 წწ. რევოლუციის ეპოქაში ქართველი სოციალ-დემოკრატები მიიჩნდა ყველაზე გავლენიან და მნიშვნელოვან ძალად, რომელთანაც კავშირში იგი ოცნებობდა საქართველოსათვის ავტონომიის მინიჭებისათვის ერთობლივ ბრძოლაზე. ი. ჭავჭავაძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატების „ბელადებთან, ისიდორესთან და ნოესთან შესაძლოა მოლაპარაკება, შეიძლება ორს სხვადასხვა უკიდურესს პარტიას ვეკუთვნოდეთ, მაგრამ ჩვენ ერთად ლაპარაკი უნდა შეგვეძლოს“¹, ცხადყოფს მის დაახლოებას სოციალ-დემოკრატისთან მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საქართველოს კეთილდღეობისათვის ბრძოლაში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ი. ჭავჭავაძეს ზემოაღნიშნული შეხედულება გამოთქმული აქვს 1906 წელს, ნ. ჟორდანიასთან ცხარე პოლემიკიდან ექვსი წლის შემდეგ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძე 1900 წელს ზედიზედ აქვეყნებს ნ. ჟორდანიას წინააღმდეგ მიმართულ პოლემიკურ წერილებს: „უმეცრობის ფართი-ფურთი“, „ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი“, „ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცარისა“, „ისევ და ისევ ბ-ნ ნოე ჟორდანიას უმეცრობანი და მისი წაჩეგ-უკუჩეგობანი“². 1906 წელს კი, რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში, ი. ჭავჭავაძე დასამშვებად მიიჩნევს ქართველ სოციალ-დემოკრატებთან თანამშრომლობას და დარწმუნებულია, რომ ეს თანამშრომლობა „ცოტაოდენ სარგებლობას უთუოდ მოიტანს“³.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე გაუქმებული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში ეძებს მოკავშირეებს, თანახმაა გამოიყენოს ყველა ფორმა, ოღონდაც მიღწეულ იქნეს მთავარი მიზანი, კერძოდ, საქართველოში დამყარდეს დემოკრატიული

¹ ჟურნალი „განათლება“, 1908, № 3—4, გვ. 129.

² იხ. ი. ჭავჭავაძე. თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 241—295.

³ ჟურნ. „განათლება“, 1908, № 3—4, გვ. 129.

რესპუბლიკა ეროვნული საკანონმდებლო, აღმასრულებელი და
სასამართლო ხელისუფლებით, საკუთარი ისტორიული ტერიტორი-
ებით და სახელმწიფო (ქართული) ენით. ქართველი ხელისუფლები
ნულ-პოლიტიკური მოწყობის პროგრამა, რომლის ავტორი ილია
ჭავჭავაძეა, განხორციელდა მოგვიანებით, კერძოდ, რუსეთის
თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ, როცა საქართველოში
დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა დამყარდა.

სოლომონ დოდაშვილის და ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ-
პოლიტიკურმა და სამართლებრივმა მოძღვრებებმა მთელი ეპოქა
შექმნეს, მათ სულიერ მემკვიდრეობაზე აღიზარდნენ შემდეგი
თაობები, მეცნიერულ დონემდე ამაღლდა ქართული საზოგადო-
ებრივი აზრი.

ამავე დროს, მეფისდროინდელი და შემდეგი ეპოქის ქართული
საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამართლებრივი აზრის წარმო-
მადგენლები აქტიურად მოღვაწეობენ სახელმწიფოს და სამართლის
შესახებ ბურჟუაზიული მოძღვრებების საქართველოში ფართოდ
გასავრცელებლად.

თ ა ვ ი IV

**საქართველოში გავრცელებული წინაბურჟუაზიული და
ბურჟუაზიული მოძღვრებები სახელმწიფოსა და
სამართლის შესახებ**

როდესაც საქართველოში სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ გავრცელებულ წინაბურჟუაზიულ და ბურჟუაზიულ მოძღვრებებზე ვლაპარაკობთ, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ბუნებითი სამართლის მოძღვრება, რომელსაც XVII—XVIII საუკუნეებში მრავალი სხვა მოძღვრება შეუერთდა და დასავლეთ ევროპაში ბუნებითი სამართლის სკოლად ჩამოყალიბდა, საქართველოში ჯერ კიდევ სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის დროიდან რყო ცნობილი ბუნებითი სამართალმოძღვრება. რაც შეეხება კოლხეთის აკადემიის სწავლულებს, ისინი არა მარტო იცნობენ ბუნებითი სამართლის მოძღვრებას, არამედ წარმატებით იყენებენ მას ეროვნული ინტერესების დასაცავად. მაგრამ ყველაზე სრულად ბუნებითი სამართლის მოძღვრება განვითარდა XII საუკუნეში ქართული რენესანსის იდეოლოგების მეცნიერულ მემკვიდრეობაში. როგორც ი. ჯავახიშვილი წერს, დავით აღმაშენებლის ეპოქაში უკვე ბუნებითი სამართლის მოძღვრებას ქართული სინამდვილის მიხედვით ამუშავებენ და ახალ პოლიტიკურ უღერადობას აძლევენ, კერძოდ, მას წარმატებით იყენებენ თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხების დასარაზმავად და მათზე ქართული სახელმწიფოებრიობის გასავრცელებლად. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ბუნებითი სამართალი, ამ ეპოქის დასავლეთ ევროპის ძეგლების მსგავსად, მოიხსენიება მართალი სამართლის სახელწოდებით, ამასთან, მართალი სამართლის მოძღვრებაში რუსთაველს შეაქვს ზოგიერთი ახალი მომენტი.

ბუნებითი სამართლის მოძღვრება კიდევ უფრო განვითარდა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ და იგი დაუკავშირდა ქართველი ხალხის ბრძოლას ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. 1812 წელს ი. ჭილაშვილმა გამოსცა რუსეთში

ფართოდ გახმაურებული ნაშრომი „ბუნებითი სამართლის ნარკვევი“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილია ჭავჭავაძემ ბუნებითი სამართლის მოძღვრება დაუღო საფუძვლად ქართველთა ბუნებისმეტყველებრივ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პროგრამას.

ბუნებითი სამართლის შესახებ საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ა. ვაჩიშვილს მის მიერ 1926 წ. გამოქვეყნებულ სამართლის ზოგადი თეორიის სახელმძღვანელოში. აქვე იგი მსჯელობს სამართლის სხვა ბურჟუაზიულ თეორიებზე, ხოლო კელზენის ნორმატივისტულ თეორიას მან საგანგებო გამოკლევა მიუძღვნა. საქართველოში ინტერესით შეხვდნენ სამართლის რეალისტურ სკოლას. 1908 წელს იასონ ბაქრაძემ სამართლის რეალისტური თეორიის ფუძემდებლის რ. იერინგის ნაშრომი ქართულად თარგმნა და გამოაქვეყნა სათაურით „ბრძოლა უფლები-სათვის“¹.

ფართო გავრცელება პოვა საქართველოში ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში შემუშავებულმა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების მოძღვრებამ. ი. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ თამარ მეფის წინააღმდეგ ფინანსთა მინისტრის ყუთლუ-არსლანის მიერ წამოყენებული პოლიტიკური პროგრამის ძირითადი მოთხოვნა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების შესახებ განიცდის ზეგავლენას ანტიკური ეპოქის პოლიტიკური იდეოლოგიისა, რომელიც გავრცელებული იყო XII საუკუნის საქართველოში. სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების მოძღვრებას შეიცავს აგრეთვე ა. ამილახვრის შრომა „ბრძენი აღმოსავლეთისა“ და XIX საუკუნის ქართველი ინტელიგენციის შრომები. დ. ბატონიშვილმა ქართულად თარგმნა მონტესკიეს „კანონთა სული“. რომელიც ცნობილია შემდეგი სათაურით — „გულისხმისყოფისათვის ჰსჯულთასა“.

საქართველოში გავრცელებული წინაბურჟუაზიული და ბურჟუაზიული მოძღვრებების ჯეროვანი გაგებისათვის აუცილებელია გავეცნოთ ბუნებითი სამართლის სკოლას, სამართლის ისტორიულ სკოლას, სამართლის რეალისტურ სკოლას, სამართლის ნორმატივისტულ სკოლას და სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების მოძღვრებას.

¹ თ. ნინიძე, ცოცხალი ხატი ღირსებისა, „მაცნე“, № 3, 1987.



ბუნებითი სამართლის მოძღვრება წარმოადგენდა ბუნებრივ რევოლუციურ იარაღს ფეოდალური სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამიტომ ძალიან ხშირად მეცნიერულ ლიტერატურაში მას მთლიანად ბურჟუაზიული მსოფლმხედველობისა და იურიდიული მეცნიერების ჩამოყალიბებას უკავშირებენ. სინამდვილეში ბუნებითი სამართლის მოძღვრება თავისი შინაარსით უძველესია და იგი წარმოიშვა პირველყოფილი გვაროვნული წყობილების რღვევისა და სახელმწიფოსა და სამართლის გაჩენისთანავე. შუა საუკუნეებში ბუნებითი სამართლის მოძღვრება განავითარეს და გამოიყენეს სხვადასხვა სოციალურმა ძალებმა თავიანთი პოლიტიკური მიზნების დასასაბუთებლად. ამავე ეპოქაში, როცა დაიწყო ფეოდალური ურთიერთობების რღვევა კაპიტალიზმის ჩასახვასთან ერთად, ბუნებითი სამართლის მოძღვრება საფუძვლიანად გადაამუშავეს და სრულყოფის ადრინდელი ბურჟუაზიული რევოლუციების იდეოლოგებმა, აგრეთვე XVIII საუკუნის ფრანგმა განმანათლებლებმა. სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოებს შორის იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში ბურჟუაზიულმა მეცნიერებმა საერთაშორისო ასპარეზზე კლასობრივი ბრძოლის თავისებურებათა შესაბამისად ახლებურად გადაამუშავეს იგი და წარმოგვიდგინეს ე. წ. „აღორძინებული ბუნებითი“ სამართლის სახით. ამავე დროს, ბუნებითი სამართლის მოძღვრებიდან ბევრი რამ ისესხეს იმპერიალიზმის ეპოქაში ჩამოყალიბებულმა სამართლის სხვადასხვა სკოლის, კერძოდ, იურიდიული პოზიტივიზმის ფუძემდებლებმა. ამრიგად, ბუნებითი სამართლის მოძღვრებამ, რომელიც სახელმწიფოსა და სამართლის ჩამოყალიბებისთანავე შეიქმნა, მნიშვნელოვანი ცვლილებანი განიცადა კაცობრიობის ისტორიაში არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების მიხედვით და განვლო განვითარების შემდეგი ეტაპები: პირველი, ბუნებითი სამართლის მოძღვრების წარმოშობა (პირველყოფილი გვაროვნული წყობილების რღვევისა და მონათმფლობელობის პერიოდი); მეორე, ბუნებითი სამართლის მოძღვრების აყვავება (შუა საუკუნეებში ქრისტიანობის პოლიტიკური დოქტრინის შემუშავებისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი ბრძოლის პერიოდი); მესამე, ბუნებითი სამართლის მოძღვრების კრიზისი (კაპიტალიზმის გამარჯვებისა და რევოლუციური დემოკრატიზმიდან პოლიტიკური რეაქციისაკენ ბურჟუაზიის მობრუნების პერიოდი); მეოთხე, „აღორძინებული“

ბუნებითი სამართალი (მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დროინდელი პერიოდი).

პირველყოფილი გვაროვნული წყობილების რღვევის ხელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისთანავე გაჩნდა პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებები მონათმფლობელურ საზოგადოებაში, თავდაპირველად ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში, შემდეგ კი ანტიკურ სამყაროში. მართალია, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ მოძღვრება არსებითად თეოლოგიური ხასიათისაა და სახელმწიფოს მეთაური — დესპოტი ღმერთის მოადგილედ ითვლება დედამიწაზე, მაგრამ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ ჩამოყალიბებულ შეხედულებებში უკვე გვხვდება ბუნებითი სამართლის შესახებ მოსაზრებები. ძველი ჩინეთის ცნობილი მოაზროვნე ლაო ძი (ძვ. წ. VI—V სს.) ერთმანეთისაგან უკვე ასხვავებს ბუნებით და ადამიანურ დაოს (ბუნებით და ადამიანურ სამართალს). ლაო ძის მტკიცებით, სახელმწიფოს მართვა მხოლოდ ბუნებითი დაოს მიხედვით უნდა წარმოებდეს, რადგან უიმისოდ შეუძლებელია საზოგადოებაში სიმშვიდისა და ჰარმონიის დამყარება. საზოგადოებას შეუძლია არსებობა ბუნებითი დაოს ბატონობისას ყოველგვარი ბრძანებების გარეშე: „დაო მუდმივია და მას არა აქვს სახელი. მართალია, იგი მცირე არსებაა, მაგრამ სამყაროში მისი დამორჩილება არავის შეუძლია. თუ კეთილშობილები და ხელმწიფენი შეძლებენ მის დაცვას, მაშინ ყველა არსება თავისთავად გახდება მშვიდი, მაშინ ზეცა და დედამიწა შეერთდება ჰარმონიულად. დამყარდება ბედნიერება და კეთილდღეობა, ხოლო ხალხი ბრძანებების გარეშე დამშვიდდება“¹. ბუნებითი დაო განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა გახდა სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ. უსახელმწიფო საზოგადოებაში, ლაო ძის აზრით, ყველაფერი ბუნებითი დაოს მიხედვით ხდებოდა. სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ, საზოგადოებაში გაჩენილი სიმდიდრე ადამიანთა უმრავლესობის შეგნებაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს, რაც იმაში გამოიხატება, რომ სიმდიდრემ შექმნა საზოგადოების შართვის საფრთხე ბუნებითი დაოს შეუსაბამოდ. სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ ბუნებითი დაოს გვერდით გაჩნდა ადამიანური დაო, რომელიც ავიწროებს და ზღუდავს ბუნებითი დაოს მოქმედების ფარგლებს. ლაო ძის მოძღვრებაში ბუნებითი დაო ნიშნავს ბუნების სამართალს, ადამიანური დაო კი — პოზიტიურ სა-

¹ Дао-дэ-Дзин, XXXII.

მართალს¹. ამასთან, სახელმწიფოს არსებობის პირობებში ბუნებითი დაო და ადამიანური დაო შინაარსით განსხვავდება ერთმანეთისაგან, უფრო ზუსტად, ადამიანური დაო ეწინააღმდეგება ბუნებითი დაოს მოთხოვნებს: „ბუნებითი დაო... ართმევს, ვისაც ზედმეტი აქვს და აძლევს იმას, ვისაც იგი ესაჭიროება. ბუნებითი დაო ართმევს მდიდრებს და ღარიბებს აძლევს იმას, რაც მათ წაართვეს, ადამიანური დაო კი — პირიქით: ართმევს ღარიბებს და აძლევს მდიდრებს იმას, რაც წართმეულია“². ლაო ძის მტკიცებით, სახელმწიფოს მართვისას, ვისაც სურს საზოგადოებაში სიმშვიდისა და ჰარმონიის უზრუნველყოფა, უნდა იხელმძღვანელოს ბუნებითი დაოს მოთხოვნების მიხედვით.

ბუნებითი სამართლის მოძღვრება ძველ ჩინეთში განავითარეს კანონმცოდნეთა (ფაცის) სკოლის წარმომადგენლებმა. ყველაზე სრულად კანონმცოდნეთა შეხედულებანი ბუნებითი სამართლის შესახებ მოცემულია ამ სკოლის ყველაზე დიდი წარმომადგენლის ხან ფეის (ძვ. წ. 280—230 წწ.) ნაშრომებში. ხან ფეის აზრით, არსებობს ორი სახის კანონი: ბუნებითი და ადამიანური. ამ კანონებს შორის უძველესია ბუნებითი კანონი. იგი მოქმედებდა სახელმწიფოს გაჩენამდე და მოქმედებს სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგაც. ბუნებითი კანონები მიზნად ისახავენ ბუნებასა და საზოგადოებაში საყოველთაო სიმშვიდისა და წესრიგის დამყარებას. ადამიანური კანონი გაჩნდა მოგვიანებით, სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ, როცა ადამიანები დაეუფლენ ცოდნას და დაიწყო მოვლენათა ბუნებრივი განვითარების პროცესში ჩარევა. ადამიანური კანონები იგივე სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონებია და გამოხატავენ ადამიანთა ინტერესებს. მაგრამ რადგანაც საზოგადოების უმაღლეს მიზანს წარმოადგენს ადამიანთა შორის წესრიგისა და სიმშვიდის დამყარება, სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონები უნდა შეესაბამებოდეს ბუნებით კანონებს, რომლებიც ყველაზე უკეთ უზრუნველყოფენ ბუნებასა და საზოგადოებაში წესრიგის დამყარებას. სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონები ბუნებით კანონებს არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ, კერძოდ, პოზიტიური სამართალი თვითნებურად კი არ უნდა ერეოდეს მოვლენათა ბუნებრივი განვითარების პროცესში, არამედ ბუნებისა და საზო-

¹ ვ. აბაშმაძე. ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, ტ. I, თბილისი, 1975, გვ. 209.

² Дао-дэ-Дзин, IX XVII.

გადოების მოვლენებზე მისი ზემოქმედება უნდა გამომდინარეობდეს ბუნებითი კანონების მოთხოვნებიდან¹.

ამრიგად, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ჩამოყალიბებული ბუნებითი სამართლის მოძღვრება მიზნად ისახავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სიმშვიდისა და წესრიგის დამყარებას და ამ მიზნით სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართალი მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს ადამიანურ ანუ სახელმწიფოს მიერ დადგენილ სამართალს.

ბუნებითი სამართლის მოძღვრება ფართოდ იყო გავრცელებული კლასიკურ მონათმფლობელურ ქვეყნებში, კერძოდ, ანტიკურ სამყაროში (ძველი საბერძნეთისა და ძველი რომის სახელმწიფოები).

ბუნებითი სამართლის ფილოსოფიურ-ეთიკური საფუძვლები შემუშავდა ძველ საბერძნეთში. ძველ ბერძენ მოაზროვნეებს ბუნებითი სამართალი წარმოდგენილი ჰქონდათ რამდენიმე თვალსაზრისით: პირველი, ბუნებითი სამართალი, როგორც ადამიანური (პოზიტიური) სამართლის საფუძველი; მეორე, ბუნებითი სამართალი, როგორც ეთიკური სინამდვილის კრიტიკული ნორმა; მესამე, ბუნებითი სამართალი, როგორც გონების ბატონობით განსაზღვრული მთელი კოსმოსის წესრიგი². ეს უკანასკნელი მოსაზრება ბუნებითი სამართლის შესახებ ყველაზე ნათლად ჩამოყალიბებულია ჰერაკლიტეს, დემოკრიტესა და პროტაგორას მიერ. მათი აზრით, ბუნებით კანონებს ემყარება მთელი კოსმოსი, ამ კანონებს შეაქვთ მათ ურთიერთდამოკიდებულებაში წესრიგი და იგი კოსმოსურ მოვლენებს ქმნის. მაგრამ საზოგადოებაში ბუნებით კანონებზე დამყარებული ადამიანთა ურთიერთობა წააგავს ყველას ომს ყველას წინააღმდეგ. ბუნებით მდგომარეობაში შეუძლებელია ადამიანთა ერთობლივი ცხოვრება, ამ მძიმე მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ისინი ქმნიან სამოქალაქო საზოგადოებას, რომელიც ადამიანთა ბუნებით მდგომარეობაზე მაღლა დგას. ამავე დროს პროტაგორა ადამიანურ (პოზიტიურ) კანონებს უპირისპირებს ბუნებითს და მიუთითებს, რომ ბუნებითი კანონები სამყაროში ერთნაირად მოქმედებს. რაც შეეხება პოზიტიურ სამართალს, მას საზოგადოებაში პირობითი ხასიათი აქვს, კერძოდ, ყველა ქვეყანაში სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართალი ერთნაირი არაა და

¹ ვ. აბაშმაძე, ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, ტ. I, 83-223.

² Staatslexikon, Bd. V, Freitirg, 1960, S. 931.

პოზიტიური სამართლის ეს სხვადასხვაობა მის პირობითობაზე გვეხატება.

ძველი ბერძენი მოაზროვნეები სოკრატე და პლატონი ნენ აეხსნათ ბუნებითი სამართლის საეალდებულო ხასიათი და მისი მატერიალური წყარო, რაც ბუნებით სამართალს უნივერსალურ ხასიათს ანიჭებს. მათ მიუთითეს, რომ ბუნებითი სამართლის განმსაზღვრელ შინაარსს წარმოადგენს ღმერთების ნება და, ამდენად, ისინი ღვთაებრივ სამართალს აიგივებდნენ ბუნებით სამართალთან. ბუნებითი ანუ ღვთაებრივი სამართალი უნივერსალურია თავისი ხასიათით, იგი ყველგან და ყოველთვის ერთნაირად მოქმედებს და მისი შესრულება სრულებით არაა დაკავშირებული იძულებითი ღონისძიებების გამოყენებასთან. ბუნებითი სამართლის ნორმების რეალიზაცია არ მოითხოვს ასეთ იძულებას, იგი ღმერთების ნებით განსაზღვრული ადამიანთა ბუნების შესაბამისია და ლოგიკური აუცილებლობით ხდება მისი ასრულება, მაგრამ თუ ვინმე დაარღვევს ამ შესაბამისობას, იგი სასჯელს ვერ გაქცევა. პლატონისა და სოკრატეს მტკიცებით, ბუნებით სამართალს, როგორც უნივერსალურ ფენომენს, გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს პოზიტიური, ადამიანური სამართლისათვის. სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართალი ანუ პოზიტიური (ადამიანური) სამართალი უნდა შეესაბამებოდეს ღმერთის ნებით განსაზღვრულ ბუნებით სამართალს.

ბუნებითი სამართლის მოძღვრება მთლიანად მიიღო არისტოტელემ და შეეცადა ამ მოძღვრებაში მთელი რიგი ახალი მომენტების შეტანას. პირველ ყოვლისა, არისტოტელე ბუნებით სამართალს აცხადებს უმნიშვნელოვანეს კრიტიკულ ნორმად ეთიკური სინამდვილის შესაფარდებლად. არისტოტელეს მტკიცებით, პოზიტიურ და ბუნებით სამართალს შორის არსებული წინააღმდეგობის შემთხვევაში უნდა შესრულდეს მხოლოდ ბუნებითი სამართლის მოთხოვნები, რადგან სამართლიანია მხოლოდ ის, რაც ჭეშმარიტი და ზნეობრივია და არა ის, რაც რომელიმე პირს ეჩვენება სამართლიანად: „მაღალი ზნეობრივი თვისებების მქონე ადამიანები დაწერილი კანონების ნაცვლად დაუწერელი კანონებით ხელმძღვანელობენ“¹. ბუნებითი ანუ დაუწერელი (αγραφοι νομοι) სამართალი ყველასათვის ადგენს საყოველთაოდ, ყველა ხალხის მიერ ერთხელ აღიარებულ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რაა სამართლიანი და რაა უსამართლო.

¹ Риторика Аристотеля, стр. 70.

ბუნებითი სამართალი მუდმივია, იგი არ იცვლება, მას ყველ
გან ერთნაირი ძალა აქვს, ცეცხლი ისევე წვავს საბერძნეთში, რო-
გორც სპარსეთში. ბუნებითი სამართალი წარმოადგენს ^{კრძალვას} კრძალვას
სინამდვილის შესაფასებელ ერთადერთ კრიტიკულ ნორმას და ამ-
დენად იგი აღგენს ზნეობაზე დამყარებულ ყველაზე უმაღლეს სა-
მართლიანობას. ამის ნათესაყოფად არისტოტელეს მოჰყავს ანტი-
გონეს პასუხი მეფე კრეონტისადმი სოფოკლეს „ანტიგონედან“. ^{კრძალვას}
თებეს მეფე კრეონტი ბრძანებს, რომ მოღალატედ მიჩნეული პო-
ლენიკეს გვამი მიწას არ მიაბარონ და ყვავ-ყორანთა საჯიჯგნად და-
ავდონ. მეფის ამ ბრძანებას არღვევს დაღუპული ოიდიპოს მეფის
ასული ანტიგონე, რომელიც საიდუმლოდ მარხავს თავის ძმას პო-
ლენიკეს. მეფე კრეონტის წინაშე ანტიგონე თავს იმართლებს
იმით, რომ გარდაცვლილთა აუცილებელი დამარხვის წესი დაღ-
გენილია ბუნებითი სამართლის მიერ და მისი შეუსრულებლობა
უზნეობაა: „მაგრამ, მეფეო, ეს ბრძანება არც ზევსს მაღალს და
არც ქვესკნელის დიდ ღმერთებთან მცხოვრებ სამართალს არ მო-
უკია მოკვდავთათვის ქმედობის წესად. არც ის ვიცოდი დღემდე,
თითქოს ბრძანება შენი იყო იმდენად ძალოვანი, რომ მოკვდავს
ყოველს მიეცემოდა მით უფლება, ხელეყო ღმერთთა ადათ-წესები,
მყარნი, თუმცა დაუწერელნი. არა, ისინი არ შექმნილან არც
დღეს, არც გუშინ, არამედ ჟამთა წიაღიდან მომდინარეობენ. ვერც
მე შევძელი დამერღვია ეს ადათ-წესი, მოკვდავთა შიშით და
უკვდავთა განსარისხებლად“. ადამიანურ, პოზიტიურ სამართალსა
და ბუნებით სამართალს შორის განსხვავებაზეა აგებული სოფის-
ტების პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებები. ჰიპიას
მტკიცებით, „დაუწერელი კანონი“ მუდმივი და უცვლელია, ბუნე-
ბითი სამართლის ძალით ყველანი თანამოქალაქენი და ნათესავენი
ვართ, რადგან მისი ნორმები ყველგან ერთნაირად მოქმედებენ.
ალკიდაში უფრო შორს მიდის, ბუნებითი სამართლის ძალით ყვე-
ლანი თავისუფალ მოქალაქეებად ვართ დაბადებული და მონობა
ბუნებითი სამართლის საწინააღმდეგო მოვლენაა.


ამრიგად, ბუნებითი სამართლის მოძღვრებას რევოლუციური
მხარეები გააჩნდა ჩამოყალიბებისთანავე, რაც გამოიხატა იმაში,
რომ ამ მოძღვრების მიხედვით მკვეთრად დაუპირისპირდა ერთმა-
ნეთს ბუნებითი და პოზიტიური სამართალი და სახელმწიფოს მიერ
დადგენილი სამართლით განმტკიცებული მონობა, რომელიც მთე-
ლი ანტიკური სამყაროს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკო-
ნომიკური წყობილების საფუძველს წარმოადგენდა. ბუნებითი სა-
მართლის საწინააღმდეგო სოციალურ მოვლენად გამოცხადდა.

ძველი საბერძნეთის მეცნიერული მემკვიდრეობის ზეგავლენით ზუნებითი სამართლის მოძღვრება გავრცელდა ძველ რომში. ყველაზე სრულად რომის მონათმფლობელური საზოგადოებრივი ციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილების რეზუმეებს ბუნებითი სამართლის მოძღვრება მიუხადაგეს ციცერონმა, რომაელმა სტოელებმა და რომაელმა იურისტებმა.

რესპუბლიკის პერიოდიდან დაწყებული რომი გადაიქცა იმპერიად. იგი გადაჭიმული იყო უზარმაზარ ტერიტორიაზე მოტლანდიიდან ჩრდილოეთ აფრიკამდე და ესპანეთიდან შავი ზღვისპირეთამდე. რომის სახელმწიფო აერთიანებდა ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა ხალხებს, რომლებიც დამპყრობელთა წინააღმდეგ მტრულად იყვნენ განწყობილი. მონათმფლობელური რომის სახელმწიფოს იდეოლოგიები ბუნებითი სამართლის მოძღვრებას იყენებდნენ დაპყრობილი ხალხების დასამორჩილებლად და მათზე რომის სახელმწიფოს ბატონობის გასამტკიცებლად. რომაელ იურისტსა და პოლიტიკოსს ციცერონს რომის მონათმფლობელური წყობილების შესანარჩუნებლად თავის ნაშრომებში „სახელმწიფოს შესახებ“ და „კანონების შესახებ“ ღვთაებრივი სამართლიდან, რომელსაც, მისი აზრით, კანონებს შორის იერარქიულად ყველაზე მაღალი მდგომარეობა უკავია, გამოჰყავს ბუნებითი სამართალი. ციცერონი ამტკიცებს, რომ ბუნებითი სამართლის მოქმედების სფერო დაწერილ სამართალთან შედარებით ფართოა, იგი ვრცელდება არა ერთ რომელიმე ხალხზე, არამედ ყველა ხალხზე ერთნაირად, ამიტომაც ბუნებითი სამართალი ციცერონის ნაშრომებში ხშირად ხალხთა სამართალად (*ius gentium*) არის წარმოდგენილი *omni autem in re consentio omnium gentium lex naturale putanda est*).¹

რომაელი სტოელები (მარკუს ავრელიუსი, სენეკა, ეპიქტეტე) და რომაელი იურისტები (ულპიანე, პავლე და ა. შ.) ერთმანეთისაგან ასხვავებენ კოსმოსის მუდმივ კანონს, ადამიანებისათვის ბუნებით სამართალს და ადამიანურ სამართალს ცალკეული სახელმწიფოებისათვის. ბუნებითი სამართალი ემყარება საყოველთაო გონიერ ბუნებას და არის *recto ratio*, იგი ადამიანური სამართლის კრიტიკულ საზომს წარმოადგენს. ბუნებითი სამართალი არის იგივე ღვთაებრივი სამართალი და მას შესწევს ძალა, მოაწესრიგოს ყველაფერი, კერძოდ, ის, რაც სამართლიანია და ის, რაც უსამართლოა. ულპიანე ავითარებს ამ მოსაზრებას და ამტკიცებს,

¹ M. Tutti Ciceronis Tuscitanarum disputationes, I, 13.



რომ ბუნებითი სამართალი ბუნებამ მისცა ყველა ცოცხალ არსებას, რადგან იგი ეკუთვნის არა მარტო ადამიანთა მოცულობას, არამედ იგი საერთოა ყველა ცოცხალი არსებისათვის: „*Ius naturale est, quod natura omnia animalia eocrit : nam ius istud non hu mani generis proprium, sed omnium animalium, quae in terra quae in mari nascuntus, avium quoque commune est.*”¹

რაც შეეხება *ius gentium*-ს, ულბიანეს აზრით, ისიც ბუნებითი სამართალია, მაგრამ იგი აწესრიგებს ურთიერთობებს არა ყველა ცოცხალ არსებას შორის, როგორც *ius naturale*, არამედ მისი მოქმედების სფერო შეზღუდულია, იგი არეგულირებს მხოლოდ სხვადასხვა ხალხებს შორის ურთიერთობებს. რომელი სტოეელი ეპიქტეტე ულბიანეს მოსაზრების გასავეითარებლად ამტკიცებს, რომ სწორედ *ius gentium*-ის ძალით ყველა ადამიანი მსოფლიოს მოქალაქეა და, მაშასადამე, მონები, როგორც ღმერთის შვილები, თავისუფალ მოქალაქეთა თანასწორნი არიან.

როგორც ჩანს, ბუნებითი სამართლის მოძღვრება, რომელსაც ძველი ბერძენი მოაზროვნეების ნაშრომებში შედარებით აბსტრაქტული ხასიათი ჰქონია, რომის სახელმწიფოში, კლასობრივი წინააღმდეგობების გამწვავების შედეგად, თანდათანობით ძლიერ პოლიტიკურ ძვრადობას იძენს და იგი გამოიყენება რომის მონათმფლობელური წყობილების შენარჩუნებისა და განმტკიცების იარაღად. მაგრამ ბუნებითი სამართლის როლი მარტო ამით არ ამოიწურება; ქრისტიანული რწმენის ფუძემდებლები სოფისტების, სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, ციცერონის, რომელი სტოელებისა და რომელი იურისტების მოძღვრებას ბუნებითი სამართლის შესახებ შუა საუკუნეებში ფართოდ იყენებენ ქრისტიანობის პოლიტიკური დოქტრინების შესამუშავებლად, აგრეთვე ქრისტიანობის რელიგიური დოგმატების ჭეშმარიტების დასასაბუთებლად. ბუნებითი სამართლის მოძღვრებას ამავე პერიოდში ემყარება აგრეთვე ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი ბრძოლა ფეოდალიზმის პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილების წინააღმდეგ.

განვითარების მეორე ეტაპზე, რომელიც მოიცავს ქრისტიანობის პოლიტიკური დოქტრინის შემუშავებისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი ბრძოლის პერიოდს, ბუნებითი სამართლის მოძღვრება აყვავებას განიცდის, განსაკუთრებით ეს ითქმის ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიის ბრძოლის პირველი ეტაპის დასასრულზე და მეორე ეტაპზე (XVII

¹ D. 1. 1. 3.

საუკუნის ბუნებითი სამართლის სკოლის იდეოლოგია და XVIII საუკუნის ფრანგული განმანათლებლობა).

ქრისტიანული პოლიტიკური იდეოლოგიის ჩასახვის ბუნებითი სამართალი, რომელიც მონათმფლობელურ ებაში მეტად პოპულარულ მოძღვრებას წარმოადგენდა, კონკრეტისაგან განიცდის, კერძოდ, პატრისტიკის წარმომადგენლები ბუნებით სამართალს აცხადებენ ზებუნებრივი შემოქმედი ღმერთის კანონმდებლობის პერსონალური გონების გამოვლენად, განსხვავებით მონათმფლობელური ეპოქისაგან, სადაც ბუნებითი სამართლის საფუძვლად და წყაროდ აღიარებული იყო არა პერსონალური, არამედ აბსტრაქტული მსოფლიო გონება. ბუნებით სამართალს ეკლესიის მამები უმაღლესი, ღმერთის ნებით განსაზღვრული მუდმივი სამართლის ერთ-ერთ სახედ მიიჩნევენ და ამ მოსაზრების დასასაბუთებლად ფართოდ იყენებენ ანტიკური ეპოქის მოძღვრებებს ბუნებით სამართალზე. განსაკუთრებით ეს ეხება ქრისტიანობის პოლიტიკური დოქტრინის ფუძემდებელზე აგრელიუს ავგუსტინეზე, რომლის აზრით, ღმერთის მუდმივი კანონი, შემოქმედის მიერ დამყარებული წესრიგი არის ღმერთისავე სიბრძნის გამოვლენა ამ სიბრძნეზე დამყარებული კანონებით, კერძოდ, მუდმივი ღვთაებრივი კანონებით ხდება მთელი სამყაროს მართვა. ბუნებითი კანონი მუდმივი კანონის შემადგენელი ნაწილია და ამასთან წარმოადგენს ადამიანებისათვის ზნებრივ-ბრძანებით ნორმას (Sollens norm). ბუნებითი კანონი ვლინდება ადამიანების თავისუფალ გონებრივ ბუნებაში და აღბეჭდილია მის სულში, სამართლიანი ისაა, რაც *ordo naturalis* შეესაბამება, უსაბრთლობა კი ის, რაც მას ეწინააღმდეგება. არა კანონმდებლის ნება, არამედ ბუნებასთან შესაბამისობა ან წინააღმდეგობა ხდის ქმედობებს კარგს ან ცუდს. როცა პოზიტიური სამართალი *lex naturalis*, ე. ი. ბუნებით სამართალს არ შეესაბამება, იგი არ არის საერთოდ „სამართალი“ და შეიძლება არ დაუფკავშიროთ სინდისს. აგრელიუს ავგუსტინემ პლატონის იდეების მოძღვრება ციკერონის *lex aeterna* ქრისტიანულ-ღვთაებრივ სწავლებას დაუკავშირა. ღმერთის იდეებითა და შეხედულებებით იქმნება ნივთები და მათ შესაბამება მუდმივ კანონს დაქვემდებარებული მსოფლიო წესრიგი. *lex aeterna inis ratio divina vel voluntas Dei, ordinem naturalem conservari iubens, perturbari vetans*,¹ რომლის პროექტით ღმერთი მთელ სამყაროში ამყარებს წესრიგს

¹ Contra Eautum, XXII, 27.

და მის მოვლენებს მართავს, ეს შეხედულებანი და იდეები ადამიანთა გონებაში ასახული არის *lex naturalis* სახით, ანუ სხვაობა ნაირად, *lex naturalis* წარმოადგენს ადამიანთა გონებრივ-სულიან ხატულ ზემოაღნიშნულ პროექტს.

ავრელიუს ავგუსტინეს და პატრისტიკის ქრისტიანული პოლიტიკური იდეოლოგიის სხვა წარმომადგენლების — ორიგენეს (185—254), ბაზილესოს (349—379), გრიგოლ ნოსელის (335—394), ტერტულიანეს (160—240), იოანე ქრისოსტომუსის (347—497) და სხვების მოძღვრებანი ბუნებითი და მუდმივი სამართლის შესახებ განავითარეს შუა საუკუნეების სქოლასტიკის ცნობილმა წარმომადგენლებმა — რუფინუსმა, როლანდ კრემონელმა, ანსელმ ლიონელმა, თომა აქვინელმა და ა. შ. კათოლიკური ეკლესიის პოლიტიკური იდეოლოგია, რომელშიც თვალსაჩინო ადგილი უკავია ბუნებითი სამართლის მოძღვრებას, ყველაზე სრულად შეიმუშავა თომა აქვინელმა (1224—1274). თომა აქვინელი ბუნებითი სამართლის პრობლემების დამუშავებისას განიცდის როგორც ანტიკური ეპოქის, ასევე წინამორბედ და თავისი დროის სქოლასტიკოსთა ზეგავლენას, მაგრამ ბუნებითი სამართლის მოძღვრებაში მან შეიტანა საკუთარი შემოქმედებითი სინთეზი, რომელმაც კლასიკური ფორმა მისცა მას კათოლიციზმის პოლიტიკურ იდეოლოგიაში. თომა აქვინელი ბუნებითი სამართალს განსაზღვრავს როგორც თეოლოგიური, ასევე ფილოსოფიური თვალსაზრისით. მე-13 საუკუნის ერთ-ერთ ტრაქტატში, რომელიც ავრელიუს ავგუსტინეს ზეგავლენითაა შექმნილი, თ. აქვინელი ბუნებითი სამართალს განსაზღვრავს თეოლოგიური თვალსაზრისით, კერძოდ, მისი მტკიცებით, ბუნებითი სამართალი არის მუდმივი კანონის შემადგენელი ნაწილი¹. მაგრამ ბუნებითი სამართალი თომა აქვინელს წარმოდგენილი აქვს ფილოსოფიური გაგებითაც. თ. აქვინელის აზრით, ბუნებითი სამართალი განეკუთვნება ფილოსოფიის სფეროს, კერძოდ, ბუნებით ადათ-წესებს. თ. აქვინელისათვის ბუნებითი სამართალი და ბუნებითი კანონი იდენტური ცნებებია. თ. აქვინელი ზოგჯერ სამართალზე ლაპარაკობს სუბიექტური აზრით, როგორც ადამიანთა შინაგანი მორალური ვალდებულების შესახებ. მაგრამ უმეტესად თ. აქვინელს, დეკრეტისტების მსგავსად, სამართალი გაგებული აქვს ობიექტური აზრით, როგორც *ius* და *iustum*. თომა აქვინელი ერთნაირ მნიშვნელობას ანიჭებს და აიგივებს ერთმანეთთან ობიექტურ ბუნებით სამართალსა და სუბიექტურ

¹ Summa theologiae I, II, q. 91, 12; q. 94.

ბუნებით კანონს. თომა აქვინელს ბუნებითი სამართალი გავგებულნი აქვს ისე, როგორც იგი ესმოდა ულპიანეს, რომელიც ამბობდა:

„quod natura omnia animalia docuit“.

შარქინსული

თომა აქვინელის მოძღვრებაში ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს ბუნებითი სამართლის უცვლელიობა და მუდმივობა. ზოგიერთი ძველი ბერძენი მოაზროვნე მიუთითებდა ბუნებითი სამართლის ცვალებადობაზე. შუა საუკუნეებში გრაციანემ მიუთითა ბუნებითი სამართლის უცვლელიობაზე: „nec variatur tempore, sed immutabilitur permanent“. თომა აქვინელი ცდილობს ორივე მოსაზრება შეარიგოს და ბუნებითი სამართლის შესახებ სხვადასხვა დროს წამოყენებული ორივე თეზისი გააერთიანოს. მთელ სამართალს იგი ორად ყოფს: პირველი, ღვთაებრივი და, მეორე, ადამიანური. ღვთაებრივი სამართალი განეკუთვნება ღვთაებრივ სათნოებას, მეორე კი — ბუნებით სათნოებას. თითოეული ზემოაღნიშნული სამართალი, თავის მხრივ, იყოფა ბუნებით და დადებით სამართლად. ამრიგად, არსებობს ოთხი სახის სამართალი: *lex aeterna* ანუ მუდმივი სამართალი; *lex naturalis* ანუ ბუნებითი სამართალი; *lex humana* ანუ ადამიანური სამართალი; *lex divina* ანუ ღვთაებრივი სამართალი¹. ამგვარი კლასიფიკაციის შედეგად აიხსნება ბუნებითი სამართლის შესახებ ზემოაღნიშნული წინააღმდეგობა. საქმე ისაა, რომ როგორც ღვთაებრივი, ასევე ადამიანური სამართალი გულისხმობს ბუნებითი და დადებითი სამართლის ერთობლიობას. სწორედ ამიტომ ღვთაებრივი სამართლის ბუნებითი სამართლის ნაწილი უცვლელია, ხოლო ადამიანური სამართლის ბუნებითი სამართლის ნაწილი — ცვალებადი. მაგრამ ბუნებით სამართალს დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ პოზიტიურ სამართალში, კერძოდ, იგი იცავს პოზიტიურ სამართალს კანონმდებლის თვითნებური გადაწყვეტილებებისაგან. სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართალი ფაქტობრივად არის რაციონალური ბრძანება, ანუ, როგორც თომა აქვინელი მიუთითებს, *ordinatio rationis*, რომელიც საერთო სიკეთიდან გამომდინარეობს. აქედან ცხადია, რომ უსამართლოა ყველა კანონი, რომელიც კანონმდებლის ანდა განსაზღვრული მოქალაქის პერსონალურ ინტერესებს გამოხატავს და საერთო სიკეთეს არ ემსახურება.

სქოლასტიკაზე დამყარებულ კათოლიციზმის პოლიტიკურ მოძღვრებაში, რომელიც თ. აქვინელმა შექმნა, ბუნებითი სამართალი ღმერთის ნებით განსაზღვრული ღვთაებრივი სამართლისადმია და-

¹ Summa theologiae, I, II, g. 90—95.

ქვემდებარებული იმ მიზნით, რომ ბუნებითი სამართლის სწავლე-
ბაც გამოყენებულ იქნეს ქრისტიანული რელიგიური დოგმატიკის
ქეშმარიტების დასასაბუთებლად. ამ თვალსაზრისით ბუნების
მართალს თომა აქვინელის შემდეგ ეხებოდნენ აგრეთვე როგორც
გვიანდელი პერიოდის ესპანელი სქოლასტიკოსები — დომინგო დე
სოტო (1491—1560), ბარტლომე დე მედინა (1527—1580), სუარე-
სი (1548—1617) და ა. შ., ასევე ნეოსქოლასტიკოსებიც (ტაპარე-
ლი, პრობსტი, სიმარი და სხვ.).

ქრისტიანული პოლიტიკური იდეოლოგია ბუნებითი სამარ-
თლის გაგების მხრივ, რა თქმა უნდა, არ არის ერთიანი, ისევე
როგორც ქრისტიანული რწმენის სხვადასხვა მიმართულებები გან-
სხვავდება ერთმანეთისაგან ქრისტიანულ-რელიგიური დოგმატიკის
გაგებაში. მართალია, თომა აქვინელის სქოლასტიკურმა რომაულ-
კათოლიკურმა მოძღვრებებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა მთელი
შუა საუკუნეების სულიერ ცხოვრებაზე, მაგრამ ბუნებითი სამარ-
თლის შესახებ თ. აქვინელის შეხედულებებისაგან მნიშვნელოვნად
განსხვავდება რეფორმატორულ-ევანგელისტური მოძრაობის ლი-
დერის — მ. ლუთერისა და მისი მომხრეების სწავლება ბუნებითი
სამართლის შესახებ. თუმცა, როგორც პ. შტოიბინგი მიუთითებს,
ზემოაღნიშნული ისე არ უნდა გავიგოთ, რომ მათ შორის ადგილი
აქვს არსებით წინააღმდეგობებს და ამ წინააღმდეგობების შერი-
გება შეუძლებელია¹. ბუნებითი სამართლის შესახებ მ. ლუთერის
მოსაზრებათა განსხვავება რომაულ-კათოლიკური ეკლესიის შეხე-
დულებებისაგან განისაზღვრება იმ რეფორმების ფარგლებით, რო-
მელიც რეფორმატორული მოძრაობის ლიდერებმა წამოაყენეს
რომის პაპის წინააღმდეგ. ამიტომ ბუნებითი სამართლის ევანგე-
ლისტურ გაგებაზე ამჯერად აღარ შეეჩერდებით. მაგრამ არ შეიძ-
ლება საგანგებოდ არ აღვნიშნოთ, რომ შუა საუკუნეებში ბუნე-
ბითი სამართლის მრავალი ერთმანეთისაგან განსხვავებული გაგება
გამოხატავს სხვადასხვა ურთიერთდაპირისპირებულ სოციალურ-
პოლიტიკურ და რელიგიურ ძალებს შორის ბრძოლას, რომელმაც
უმადლეს წერტილს მიაღწია XVII საუკუნეში, ადრინდელი ბურ-
ჟუაზიული რევოლუციების ეპოქაში დასავლეთ ევროპის ქვეყ-
ნებში.

XVI—XVII სს. ინგლისში, ჰოლანდიასა და საფრანგეთში კა-
პიტალისტური ურთიერთობანი განვითარების მაღალ დონეს აღ-
წევს. ამ ქვეყნების ეკონომიკურად ძლიერი სამრეწველო და სა-

¹ C. Steubing, *Naturrecht und natürliche Theologie Protestantismus*
(Studien zur systematischen Theologie II), Go Yingt, 1932 S. 97.

ვაჭრო ბურჟუაზია მისწრაფვის პოლიტიკური უფლებებისათვის და აქტიურად იბრძვის ფეოდალური სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ყალიბდება და მტკიცდება ბურჟუაზიული პოლიტიკური იდეოლოგია, რომლის ყველაზე რევოლუციური მადგენელ ნაწილს შეადგენს ბუნებითი სამართლის მოძღვრება. ადრინდელი ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქაში ბუნებითი სამართლის მოძღვრება განიცდის აყვავებას და ბურჟუაზიის იდეოლოგები მას კლასიკური ფორმით აყალიბებენ როგორც ფეოდალური ურთიერთობების წინააღმდეგ ბრძოლაში მძლავრ იდეურ იარაღს. ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ყველა ეტაპზე ბურჟუაზიის პოლიტიკური და ეკონომიკური მოთხოვნები ძირითადად დასაბუთებულია ბუნებითი სამართლის მოძღვრებით. ბურჟუაზიის პოლიტიკური იდეოლოგიის წარმომადგენლები თავიანთი კლასის რევოლუციური მოთხოვნების განხორციელებას უკავშირებენ ბუნებითი სამართლის მიხედვით საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გარდაქმნებს, ძველ, ფეოდალურ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს. სახელმწიფოსა და სამართალს ბურჟუაზიის იდეოლოგები, რომლებმაც ბუნებითი სამართალს მთლიანად ჩამოაცილეს რელიგიური სამოსელი, აცხადებენ ადამიანის გონებისა და ნივთების ბუნების შეუსაბამოდ.

XVII საუკუნის ადრინდელი ბურჟუაზიული რევოლუციების ცნობილმა იდეოლოგებმა ჰუგო გროციუსმა (1583—1645), ბარუხ სპინოზამ (1632—1677) ჰოლანდიაში, თომას ჰობსმა (1588—1679), ჯონ მილტონმა (1608—1679), ჯონ ლილბორნმა (1613—1657), ჯონ ლოკმა (1632—1704) ინგლისში, სამუელ პუფენდორფმა (1632—1694), ქრისტიან ვოლფმა (1679—1754), ჰოტფრიდ-ვილჰელმ ლაიბნიცმა (1646—1716), ქრისტიან თომაზიუსმა (1655—1728) გერმანიაში — ბუნებითი სამართლის მოძღვრების გადამუშავების საფუძველზე შექმნეს ბურჟუაზიის იდეოლოგიური საფუძვლები, რომლებიც სრულყვეს და კლასიკური ფორმით ჩამოაყალიბეს XVIII საუკუნის ფრანგმა განმანათლებლებმა ვოლტერმა (1694—1778), მონტესკიემ (1689—1755), რუსომ (1712—1778), ჰოლბახმა (1723—1789), ჰელვეციუსმა (1715—1771), დიდრომ (1713—1784) და ა. შ.

XVII—XVIII საუკუნეების ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომადგენლებმა ბუნებითი სამართლის მოძღვრება გადამამუშავეს ბურჟუაზიის პოლიტიკური მოთხოვნების რევოლუციური გზით განხორციელების მიზნით, გაამდიდრეს წინანდელ ეპოქებში შემუშავებული ბუნებითი სამართლის მოძღვრების ონტოლოგიური

პრობლემატიკა. ფეოდალური სახელმწიფოებრიობის დამყარებისა და ახალი, ბურჟუაზიული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილების დასამყარებლად ბურჟუაზიის იდეოლოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილებამაც შეამზადეს ანტიფეოდალური რევოლუცია, რომელიც ფორმით ჩამოაყალიბეს ამ იდეოლოგიის თეორიული საფუძველი — ბუნებითი სამართლის მოძღვრება და, ამ ეპოქის კლასობრივი ბრძოლის თავისებურებათა შესაბამისად, მასში შეიტანეს რიგი ახალი ელემენტები, რომელთაც არ იცნობდა არც ანტიკური და არც შუა საუკუნეების ეპოქა. ამ ახალი ელემენტებიდან, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია საზოგადოებრივი მოვლენების და მათ შორის სახელმწიფოსა და სამართლის ბუნებით-სამართლებრივი დოქტრინის ფარგლებში კვლევის სრულიად ახალი მეთოდოლოგიური საფუძვლები.

XVII—XVIII სს. ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომადგენლები საზოგადოებრივი მოვლენების კვლევაში უარყოფენ თეოლოგიურ წარმოდგენებს და ცდილობენ სახელმწიფოსა და სამართლის თეორიული კვლევა რელიგიისაგან თავისუფალ მეცნიერულ ცოდნაზე დააფუძნონ. ქ. თომაზიუსი ენერგიულად იბრძვის შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული შეხედულების წინააღმდეგ, რომლის თანახმად, მეფის ხელისუფლებას ღვთაებრივი წარმოშობა აქვს, და აკრიტიკებს პავლე მოციქულის მტკიცებას იმის შესახებ, თითქოს არ არსებობს ისეთი ხელისუფლება, რომელიც წარმოშობილი არაა ღმერთისაგან. ასევე ვოლტერი და ჰოლბახი აშკარად გამოდიან ადამიანთა შეგნებაზე კათოლიკური ეკლესიის ბატონობის წინააღმდეგ და სახელმწიფოსა და სამართლის საკითხების ასახსნელად ეძებენ რელიგიისაგან თავისუფალ ბუნებრივ მიზეზებს. საზოგადოებრივი მოვლენების ღვთაებრივი წარმოშობის წინააღმდეგ მწყობრი და თანმიმდევრული მოძღვრება შეიმუშავა მონტესკიემ, რომელმაც დაასაბუთა, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული სოციალური მოვლენების, მათ შორის, სახელმწიფოსა და სამართლის ბუნებას განაპირობებს არა ღმერთის ნება, არამედ გეოგრაფიული გარემო (კლიმატური პირობები, ნიადაგისა და ქვეყნის ტერიტორიული თავისებურებანი, მოსახლეობის სიმჭიდროვე და ა. შ.), ეკონომიკური მდგომარეობა, რელიგიური და პოლიტიკური დაწესებულებები. მართალია, საზოგადოებრივი მოვლენების შესწავლისას ამ ფაქტორებზე მითითება გვხვდება ანტიკურ სამყაროში (არისტოტელე) და თვით აღრინდელ შუა საუკუნეებშიც (მაკიაველი, ბოდენი), მაგრამ მონტესკიეს მოძღვრებაში იგი სრულიად ახალი პოლიტიკური ელემენტების

მქონეა. საქმე ისაა, რომ ეს მითითება მიზნად ისახავს ღვთაებრივ წარმოშობაზე დამყარებული ფეოდალური დაწესებულებების ადამიანის გონებასთან შეუთავსებლობისა და ბურჟუაზიის უფლებების კური მოთხოვნებისათვის ბრძოლის აუცილებლობის დასაბუთებას. თავისი რევოლუციური მახვილით იგი მიმართულია ფეოდალური სახელმწიფოებრიობის დამხობისა და ბურჟუაზიული სახელმწიფოსა და სამართლის ჩამოყალიბება-განმტკიცებისაკენ.

ბურჟუაზიის იდეოლოგებმა, რომლებმაც კლასიკური ფორმით ჩამოაყალიბეს ბუნებითი სამართლის მოძღვრება, თავისებურად გაიზარეს ამ მოძღვრების ერთ-ერთი ძირითადი დებულება ე.წ. ადამიანთა ბუნებითი მდგომარეობის შესახებ და იგი დაუკავშირეს სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის იმგვარ ინტერპრეტაციას, რომელიც მთლიანად შეესაბამებოდა ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებს.

ბუნებითი სამართლის მოძღვრების ანტიკური და შუა საუკუნეების ქრისტიანულ-რელიგიური ვარიანტები ემყარება იმ წარმოდგენას, რომ ადამიანთა ე.წ. ბუნებითი მდგომარეობა იყო კაცობრიობის არსებობის ის უძველესი ფორმა, რომელიც არ იცნობდა არც სახელმწიფოსა და არც სამართალს. XVII—XVIII საუკუნეების ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომადგენლებიც გამოდიან იქიდან, რომ ადამიანები თავდაპირველად იმყოფებოდნენ ე.წ. ბუნებით მდგომარეობაში და ისინი არ იცნობდნენ სახელმწიფოსა და სამართალს, მაგრამ, განსხვავებით წინანდელი ეპოქების მოძღვრებებისაგან, მათ ახლებურად აქვთ გაგებული როგორც ადამიანთა ბუნებითი მდგომარეობა, ასევე ბუნებითი მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა. XVII—XVIII საუკუნეების ბუნებითი სამართლის მოძღვრების წარმომადგენელთა უმრავლესობა იმ თვალსაზრისზე დგას, რომ ადამიანთა ბუნებითი მდგომარეობა იყო ყველაზე მძიმე პერიოდი კაცობრიობისათვის. მართალია, ბუნებით მდგომარეობაში სახელმწიფო და სამართალი არ არსებობდა და ადამიანებს მხოლოდ ბუნებითი უფლებები ჰქონდათ, მაგრამ იმის გამო, რომ ადამიანი ბუნებით ეგოისტი, შურიანი და გაუტანელია, ხოლო ბუნებითი სამართლის მიხედვით ყველას ყველაფერი თანაბრად ეკუთვნის, ბუნებით მდგომარეობაში ადამიანთა შორის მუდმივი მტრობა და შუღლი არსებობდა. თ. ჰობსის მტკიცებით, ბუნებითი მდგომარეობა ეს იყო სრული ქაოსი, ყველას ომი ყველას წინააღმდეგ (*bellum omnium contra omnes*): „ადამიანთა ბუნებრივ მდგომარეობაში, სანამ ისინი საზოგადოებად გაერთიანდებოდნენ,

იყო ომი... ყველას ომი ყველას წინააღმდეგ“¹. დაახლოებით ამვე მოსაზრებას გამოთქვამს ადამიანთა ბუნებითი მდგომარეობის შესახებ ჯ. ლოკი მეცნიერებაში არსებობს დაეა იმის შესახებ ჯ. ლოკს ადამიანთა ბუნებითი მდგომარეობა ისტორიულად ნამდვილ მოვლენად მიაჩნდა, თუ სახელმწიფოსა და სამართლის ფორმებისა და არსის განსხვავებული გაგების მხოლოდ ლოგიკურ პრინციპად. ცხადია, რომ ჯ. ლოკი ბუნებით მდგომარეობას მიიჩნევს ადამიანთა ისეთ გაერთიანებად, რომელშიც შეუძლებელია ადამიანთა ბუნებითი უფლებების სრული განხორციელება. ჯ. ლოკი წერს, რომ ბუნებით მდგომარეობაში ადამიანები ფლობენ საკუთარ თავსა და ქონებას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მაგრამ ამ საერთო თანასწორობის პირობებში ყველა საკუთარ თავს ერთნაირად თვლის „მეფეებად“².

სრულიად სხვა მოსაზრება წამოაყენა ადამიანთა ბუნებითი მდგომარეობის შესახებ რუსომ. მისი მტკიცებით, ადამიანთა ბუნებითი მდგომარეობა არა მარტო კაცობრიობის განვითარების ისტორიულად არსებული ეტაპია, არამედ იგი წარმოადგენს ე.წ. „ოქროს საუკუნეს“, რომელშიც ყველა პირობაა შექმნილი ადამიანთა ჰარმონიული განვითარებისათვის. ბუნებით მდგომარეობაში ადამიანები თავისუფალნი არიან ყოველგვარი ჩაგვრისა და პოლიტიკური დაწესებულებების ზემოქმედებისაგან. ადამიანები ბუნებით მდგომარეობაში „იყვნენ თავისუფალნი, ჯანმრთელნი, კეთილნი და ბედნიერნი, რამდენადაც მათ შეეძლოთ ყოფილიყვნენ ასეთები თავიანთი ბუნებით ერთმანეთთან კავშირში, ეს კი არ არღვევდა მათ დამოუკიდებლობას, რათა სიხარულით დამტკბარიყვნენ“³.

ბუნებით მდგომარეობაში მოქმედებს ბუნებითი სამართალი, რომლის ძალითაც ადამიანები თავისუფალნი და თანასწორნი არიან. ჰ. გროციუსის აზრით, ბუნებითი სამართალი არსებობს ღმერთის ნებისაგან დამოუკიდებლად, იგი ისე მტკიცე და ურღვევია, რომ მისი ბრძანებების შეცვლა ღმერთსაც არ შეუძლია. ჰ. გროციუსის მტკიცებით, ბუნებითი სამართალი ღვთაებრივი კანონის სახესხვაობა კი არ არის, როგორც წინანდელი ეპოქების ბუნებითი სამართლის მოძღვრების მომხრეებს ეგონათ, არამედ იგი ემყარება

¹ Т. Г о б с. Избранные произведения в двух томах, т. I, М., 1964, стр. 307.

² Д. Локк. Избранные философские произведения, т. II, стр. 72.

³ Ж.-Ж. Руссо. Трактаты, М., 1969, стр. 78.

ქანსალ გონებას. ჯონ ლოკის აზრით, ბუნებითი სამართალი ქცევას
ის წესებია, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანთა მოქმედებების
ცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე და მისი შინაარსი უცვლელია
პირობებულა არა იმდენად ღმერთის, არამედ გონებისა და ბუნ-
ბის კანონებით.

ადამიანთა ბუნებითი მდგომარეობის ზემოაღნიშნული სხვადა-
სხვაგვარი ვაგების მიუხედავად, ბუნებითი სამართლის ბურჟუაზი-
ული მოძღვრების ფუძემდებლები ერთხმად აღიარებენ, რომ მისი
შეცვლა ადამიანთა გაერთიანების ახალი ფორმით აუცილებელი
გახდა კაცობრიობის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე. მათი
მტკიცებით, ადამიანთა გაერთიანების ეს ახალი ფორმა იყო სა-
ხელმწიფო, რომელიც წარმოიშვა საზოგადოებრივი ხელშეკრულე-
ბის საფუძველზე.

თ. ჰობსის აზრით, ბუნებით მდგომარეობაში, სადაც არსებობს
ყველას ომი ყველას წინააღმდეგ, ადამიანთა ბუნებითი უფლებები
არაა დაცული, ამიტომ ბუნებითი სამართალი, რომელიც გონების
გამოხატულებაა, მოითხოვს ადამიანთა შორის დამყარდეს მშვი-
დობა და ბოლო მოეღოს ყველას ომს ყველას წინააღმდეგ. გრო-
ციუსის აზრით, ბუნებითი სამართლის მოთხოვნები, რომელიც თვით
ადამიანის ბუნებითაა განსაზღვრული, შემდეგში მდგომარეობს:
ანაზღაურდეს მიყენებული ზარალი, დაცულ იქნეს ხელყოფისაგან
სხვისი სიკეთე და ა. შ. აკრიტიკებს რა ფეოდალურ წყობილებას,
ჯ. ლოკი მიუთითებს, რომ ადამიანთა ბუნებით უფლებებს განე-
კუთვნება თავისუფლება, თანასწორობა, საკუთრება, მაგრამ ბუნე-
ბით მდგომარეობაში ადამიანებისათვის თანდაყოლილი ეს უფლე-
ბები დაუცველია. ჟან-ჟაკ რუსო კი, მართალია, ადამიანთა ბუნე-
ბით მდგომარეობას „ოქროს საუკუნედ“ მიიჩნევს, მაგრამ ადამი-
ანთა ცხოვრება მუდმივ პროგრესს განიცდის, რის შედეგადაც
თავს იჩენს კერძო საკუთრება, ჩნდებიან მდიდრები და ღარიბები,
რომელთა შორის მუდმივ მტრობასა და შუღლს აქვს ადგილი.

ბუნებითი სამართლის ბურჟუაზიული მოძღვრების თანახმად,
ბუნებითი მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით, ადამიანები
ერთმანეთს შორის დებენ ხელშეკრულებას სახელმწიფოს შესაქ-
მნელად, რის შედეგადაც ისინი თავიანთი ბუნებითი უფლებების
ნაწილს დასაცავად და გასაზოციელებლად გადასცემენ სახელ-
მწიფოს. აქედან ბურჟუაზიის იდეოლოგები აკეთებენ დასკვნას,
რომ სახელმწიფო ღმერთის მიერ კი არაა შექმნილი, როგორც ამას
ფეოდალური იდეოლოგიის მესვეურები ამტკიცებდნენ, არამედ
იგი საზოგადოებრივი ხელშეკრულების შედეგია და მის მიზანს



წარმოადგენს არა ადამიანებზე ბატონობა, არამედ ადამიანთა თანდაყოლილი ბუნებითი უფლებების დაცვა ყოველგვარი ხელშეშლების საგან. სახელმწიფო უნდა გამოხატავდეს ხალხის ნებას, ხელმწიფო, რომელშიც დარღვეულია საზოგადოებრივი ხელშეკრულების პირობები, დამხობილ უნდა იქნეს. ფაქტიურად ბუნებითი სამართლის მოძღვრება სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ წარმოადგენდა მოწოდებას ფეოდალური სახელმწიფოს დამხობისაკენ. ყველაზე ნათლად ეს მოწოდება გაისმის ჟან-ჟაკ რუსოს ნაშრომში „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“, რომელშიც იგი ფეოდალიზმის იდეოლოგიის ბოსიუეს მოსაზრების — „ყველა ადამიანი იბადება ჭკვეწიერდომად“ — საწინააღმდეგოდ ავითარებს ბურჟუაზიის პოლიტიკური ინტერესების შესაბამის რევოლუციურ მოსაზრებას: „ადამიანი იბადება თავისუფლებისათვის, მაგრამ იგი ყველგან ბორკილებშია“¹.

ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომადგენლები, აკრიტიკებენ რა ფეოდალურ სახელმწიფოს, რომელიც ფეხქვეშ თელავს ადამიანთა ბუნებით უფლებებს, ცდილობენ განამტკიცონ რწმენა, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფო და სამართალი, რომლის პროექტები მოცემულია მათ ნაშრომებში, უნდა გახდეს ის პოლიტიკური და სამართლებრივი დაწესებულებები, რომელშიც ადამიანები დემორჩილებიან სახელმწიფოს, მაგრამ მაინც თავისუფალი იქნებიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბურჟუაზიის იდეოლოგები ამუშავებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავისუფლების უზრუნველყოფის პრობლემას. ყველაზე ნათლად და სრულად ეს პრობლემა დამუშავებულია ნაშრომებში: „ტრაქტატი სახელმწიფოებრივი მმართველობის შესახებ“ (ლოკი), „კანონთა სულის შესახებ“ (მონტესკიე) და „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“ (რუსო).

ლოკი და მონტესკიე ბუნებითი სამართლის მოძღვრებიდან აკეთებენ დასკვნას კონსტიტუციური მონარქიის სასარგებლოდ. რაც შეეხება რუსოს რადიკალიზმს, იგი გამოიხატება რესპუბლიკის მოთხოვნაში, მაგრამ ყველა შემთხვევაში მათი პოლიტიკური მოთხოვნები მიმართული იყო სამეფო აბსოლუტიზმის წინააღმდეგ.

ლოკის აზრით, სახელმწიფოში ადამიანთა ბუნებითი თავისუფლების უზრუნველსაყოფად ერთიანი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება დანაწილებული უნდა იყოს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და საკავშირო (ფედერაციულ) ხელისუფლებებად. თითო-

¹ Ж.-Ж. Руссо, Об общественном договоре, или Принципы политического права (Ж.-Ж. Руссо. Трактаты, М., 1969, стр. 152).

ეულ ხელისუფლებას უნდა ახორციელებდეს განსაკუთრებული ორგანო. საკანონმდებლო ხელისუფლებას, რომელიც უნდა ეჭვექნულა დეს კანონებს, უნდა განაგებდეს პარლამენტი. აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც ახორციელებს კანონებს, უნდა ეკუთვნოდეს მთავრობას. საკავშირო ხელისუფლების რეალიზაციისთვისაც უნდა შეიქმნას სათანადო ორგანო. ლოკი დასაშვებად მიიჩნევს, მონარქიულ სახელმწიფოში მეფე ახორციელებდეს აღმასრულებელ და საკავშირო ხელისუფლებებს, მაგრამ საკანონმდებლო ორგანო, რომელიც ხელისუფლებებს შორის უმაღლესია, უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ პარლამენტს, სადაც ბურჟუაზია იყო გაბატონებული.

ლოკის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორია, რომელიც 1688 წლის გადატრიალების შედეგად თავადაზნაურობასა და ბურჟუაზიას შორის დამყარებული კომპრომისის გამართლებას ისახავდა მიზნად, ბურჟუაზიის ინტერესების შესაბამისად გამოიყენა მონტესკიემ თავის ნაშრომში „კანონთა სულის შესახებ“.

მონტესკიეს მტკიცებით, ბუნების მიერ ადამიანებისათვის მიანიჭებული თავისუფლება შეუძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების გარეშე. იგი ერთმანეთისაგან ანსხვავებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს. სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება ყველაზე უკეთ შეიძლება კონსტიტუციური მონარქიის ქვეყნებში. აღმასრულებელი ხელისუფლება განსახორციელებლად უნდა გადაეცეს მეფეს, საკანონმდებლო — პარლამენტს, სასამართლო ხელისუფლება კი — ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს.

ბუნებითი სამართლის მოძღვრებაში სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების თეორია აშკარად ბურჟუაზიის პოლიტიკური მოთხოვნების განხორციელებას ემსახურებოდა და მიმართული იყო ფეოდალური სახელმწიფოებრიობის, კერძოდ, სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. საქმე ის არის, რომ ფეოდალურ სახელმწიფოებში ხელისუფლება იყო მონისტური, ერთიანი და იგი მთლიანად მეფეს ეკუთვნოდა. მეფე ითვლებოდა ერთდროულად კანონმდებლად, კანონების აღმასრულებლად და მოსამართლედ. ბურჟუაზიის იდეოლოგიების მიერ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნა კი ნიშნავდა მეფის ხელისუფლების შეზღუდვას, მონისტური სამეფო ხელისუფლების დანაწილებას სამ დამოუკიდებელ ხელისუფლებად, კერძოდ, საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებად, რომელთაგან მთავარზე — საკანონ-

მდებლო ხელისუფლებაზე, პრეტენზიას ბურჟუაზია აცხადებდა. მეფე, რომელსაც აღმასრულებელი ხელისუფლება რჩებოდა, ბურჟუაზიის ნების შემსრულებლის როლში გამოდიოდა, რასაც მას უნდა აღესრულებინა პარლამენტში გაბატონებული ბურჟუაზიის მიერ მიღებული კანონები¹.

ამრიგად, ბუნებითი სამართლის ტრადიციულ მოძღვრებაში ბურჟუაზიის იდეოლოგებმა, რომლებმაც შეიმუშავეს ფეოდალური სახელმწიფოებრიობის ბურჟუაზიული სახელმწიფო და სამართლით შეცვლის პროექტი, შეიტანეს მანამდე უცნობი მომენტი, კერძოდ, სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილება, როგორც ადამიანებისათვის თანდაყოლილი ბუნებითი თავისუფლებისა და უფლებების საზოგადოებაში დაცვისა და უზრუნველყოფის საშუალება. ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი ბრძოლის ამ ეტაპზე სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებით გამდიდრებული ბუნებითი სამართლის მოძღვრება გამოხატავდა ბურჟუაზიის იმ ნაწილის ინტერესებს, რომელსაც აკმაყოფილებდა სამეფო ხელისუფლების კონსტიტუციით შეზღუდვა. ლოკი და მონტესკიე, რომლებმაც სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება შეიტანეს ბუნებითი სამართლის მოძღვრებაში, კონსტიტუციური მონარქიის იდეოლოგები იყვნენ და მოითხოვდნენ ფეოდალური მონისტური სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებას, რის შედეგადაც საკანონმდებლო ხელისუფლება პარლამენტის საშუალებით ბურჟუაზიას უნდა განეხორციელებინა, აღმასრულებელი ხელისუფლება კი — მეფეს.

მაგრამ კონსტიტუციური მონარქია სრულიად არ აკმაყოფილებდა რადიკალურად განწყობილ ბურჟუაზიას, რომელიც ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მოითხოვდა მონარქიის ლიკვიდაციას და რესპუბლიკური წყობილების დამყარებას. რადიკალურად განწყობილი ბურჟუაზიის პოლიტიკური მოთხოვნები ბუნებითი სამართლის მოძღვრების შუქზე დაამუშავა დემოკრატიის დიდმა მებაირახტრემ ჟან-ჟაკ რუსომ, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ბუნებითი სამართლის მოძღვრების განვითარება მანამდე უცნობი ელემენტებით.

ჟან-ჟაკ რუსოს რადიკალიზმი იმაში გამოიხატა, რომ იგი ფეოდალური სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ბრძოლაში ლოკთან და მონტესკიესთან შედარებით უფრო მეტ თანმიმდევრულობას იჩენს

¹ В. В. Абашмадзе. Учение о разделении государственной власти и его критика, Тбилиси, 1972, стр. 34—46.

და ბუნებითი თავისუფლებისა და უფლებების უზრუნველსაყოფად სრულიად არასაკმარისად მიიჩნევს კონსტიტუციურ მონარქიას, მისი პოლიტიკური იდეალია უშუალო დემოკრატიული რეპუბლიკური რესპუბლიკა. რუსოს ამ პოლიტიკური მოთხოვნისათვის სრულიად ზედმეტია სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება, ამიტომაც იგი ამკარად გამოდის მის წინააღმდეგ. აკრიტიკებს რა სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მომხრეებს, რუსო წერს, რომ ისინი ამ ხელისუფლებებს ხან ერთმანეთში ურევვენ, ხან კი აშორებენ ერთმანეთს. „ისინი სუვერენისაგან ქმნიან რაღაცნაირ ფანტასტიკურ არსებას, რომელიც აგებულია სხვადასხვა ადგილებიდან აღებული ნაწილებისაგან. ეს იმას ჰგავს, ადამიანი შეადგინონ რამდენიმე სხეულისაგან, რომელთაგან ერთს ექნება მხოლოდ თვალი, მეორეს — ხელი, მესამეს — ფეხი და სხვა არაფერი“¹.

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებას რუსო უპირისპირებს სახალხო სუვერენიტეტის იდეას. მისი აზრით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადამიანთა ბუნებითი უფლებები და თავისუფლებები დაცული იქნება ხელყოფისაგან, თუ შეიქმნება ისეთი სახელმწიფო წყობილება, რომელიც გამოხატავს ხალხის საერთო ნებას. სახალხო სუვერენიტეტი განუსხვისებელი და დაუნაწილებელია, აქედან კი ნათელია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება კარგავს ყოველგვარ აზრს. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსო არ უარყოფს სახელმწიფოში, სადაც სუვერენიტეტი ხალხს ეკუთვნის, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების არსებობას. მისი მტკიცებით, სახალხო სუვერენიტეტის სახელმწიფოში ყველაზე უმაღლესია კანონი და სუვერენიტეტი ვლინდება კანონის გამოცემაში: „სუვერენს არა აქვს სხვა ხელისუფლება, გარდა საკანონმდებლო ხელისუფლებისა“². რაც შეეხება აღმასრულებელ ხელისუფლებას, იგი არ შეიძლება ეკუთვნოდეს მთელ ხალხს, აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მთავრობა, რომელიც სუვერენი კი არ არის, არამედ სუვერენის (მთელი ხალხის) ნების ამსრულებელია.

ამრიგად, რუსო არ ილაშქრებს ბუნებითი სამართლის მოძღვრებაში ლოკისა და მონტესკიეს მიერ შეტანილი სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების წინააღმდეგ, მაგრამ იგი არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ საკანონმდებლო, აღმასრულებელი

¹ Жан-Жак Руссо. Трактаты, стр. 169.

² იქვე, გვ. 218.



და სასამართლო ხელისუფლებები დანაწილდეს საზოგადოებაში არსებულ კლასებზე და გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან. მისამართულ სახელმწიფო ხელისუფლების ამგვარი დანაწილება არ შეესაბამება საზოგადოებრივ ხელისუფლებას, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს შექმნისა და არსებობის საფუძველს. სახელმწიფოს არსებობაში გამობატული საზოგადოებრივი ხელშეკრულება, რომლის მთავარი პირობაა ადამიანთა ბუნებითი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა ხელყოფისაგან, გულისხმობს არა ხელისუფლებების დანაწილებას, არამედ უმაღლეს სუვერენად ხალხის აღიარებას, სახელმწიფოში სახალხო სუვერენიტეტის ბატონობას, რაც იმას ნიშნავს, რომ უმაღლესი ანუ საკანონმდებლო ხელისუფლების ერთადერთი გამგებელი იქნება ხალხი, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებას განახორციელებს ხალხის მიერ არჩეული მთავრობა, რომელიც მხოლოდ უმაღლესი სუვერენის — ხალხის მსახური იქნება.

ამრიგად, რუსომ შეასწორა ბუნებითი სამართლის მოძღვრებაში ლოკისა და მონტესკიეს მიერ შეტანილი სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორია, იგი მთლიანად დაუქვემდებარა მის მიერ ბუნებითი სამართლის მოძღვრებაში წარმოჩენილ მანამდე უცნობ სახალხო სუვერენიტეტის იდეას. ლოკის, მონტესკიესა და რუსოს მიერ შემუშავებულმა სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებისა და სახალხო სუვერენიტეტის იდეებმა რევოლუციური ელერადობა მიანიჭეს ბუნებითი სამართლის მოძღვრებას, რომელმაც პროგრესული როლი შეასრულა დრომოქმული ფეოდალიზმის დამხობასა და ბურჟუაზიული რევოლუციების გამარჯვებაში.

ფეოდალიზმის რღვევისა და ბურჟუაზიული რევოლუციების აღმავლობის პერიოდში ბუნებითი სამართლის მოძღვრება მარტო ბურჟუაზიული იდეოლოგიის საფუძველს როდი წარმოადგენდა; ბურჟუაზიული სახელმწიფოსა და სამართლის ჩამოყალიბება და იურიდიული გაფორმება მოხდა ბუნებითი სამართლის მოძღვრების აქტიური ზეგავლენით. სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებისა და სახალხო სუვერენიტეტის იდეები გახდა ბურჟუაზიული სახელმწიფო წყობილების უმაღლესი პრინციპები. 1793 წლის 3 სექტემბრის საფრანგეთის კონსტიტუცია აღგენდა: „სუვერენიტეტი არსებითად ემყარება ერს. არავითარი კორპორაცია, არც ერთი ინდივიდი არ შეიძლება განაგებდეს ხელისუფლებას, რომელიც აშკარად არ გამომდინარეობს ამ წყაროდან“¹. საფრანგეთის

¹ Конституции и законодательные акты буржуазных государств XVII—XIX вв. М., 1957, стр. 250.


ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში, 1789 წლის 26 აგვისტოს გამოქვეყნებულ ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება გამოცხადდა. მოქალაქეთა პოლიტიკური თავისუფლების გარანტიების საფუძვლად¹. ბუნებითი სამართლის მოძღვრების ძირითადი შემადგენელი ელემენტები, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება და სახალხო სუვერენიტეტი ასევე წარმოადგენენ სხვა ბურჟუაზიული ქვეყნების სახელმწიფოებრივი წყობილების უმაღლეს კონსტიტუციურ პრინციპებს, რომლებიც არასდროს განხორციელებულა ამ ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საზოგადოებაში გაბატონებული კლასი, ბურჟუაზია, არავის უნაწილებს ხელისუფლებას.

მაგრამ ბუნებითი სამართლის მოძღვრებამ მარცხი განიცადა არა მარტო პოლიტიკურ ცხოვრებაში, თეორიის სფეროში მისი კრიზისი დაიწყო უოზეფ დე-მესტრისა და დე ბონალდის თეოკრატიული სკოლის, კონტის პოზიტივიზმისა და სამართლის ისტორიული სკოლის წარმოშობით. განსაკუთრებით ეს ითქმის სამართლის ისტორიულ სკოლაზე, რომლის ფუძემდებლებმა (ჰუგო, სავინი, პუხტა) ცხადყვეს ბუნებითი სამართლის მოძღვრების არათანმიმდევრულობა და დაამტკიცეს, რომ იგი მეცნიერულ დამაჯერებლობას მოკლებულია. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებითი სამართლის მოძღვრების ძირითადი დებულებების ანტიმეცნიერულობა ნათელყო სამართლის ისტორიულმა სკოლამ და ბურჟუაზიულ ქვეყნებში პოლიტიკური ცხოვრების პრაქტიკულმა გამოცდილებამ, უკანასკნელ პერიოდში, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ბუნებითი სამართლის მოძღვრების იდეებმა დაიწყო გამოცოცხლება². უნდა ითქვას, რომ „აღორძინებული“ ბუნებითი სამართლის დებულებები ამჟამად აქტიურ ზეგავლენას ახდენს იურიდიულ პრაქტიკაზე³.

¹ Конституции и законодательные акты французской республики. М., 1958, стр. 44.

² იხ. Heinrich Meier. Über das Naturrecht, Berlin, 1948; Grigorio de Vecchio. Lehrbuch der Rechtsphilosophie, Basel, 1951; Ernst Hippel, Einführung in die Rechtstheorie, Münster, 1955; Erik Wolf. Das Problem des Naturrechts, Karlsruhe, 1955; Erich Fechner, Rechtsphilosophie, Tübingen, 1956 და ა. შ.

³ Wolfgang Friedman, Über gesetzliche Rechtsgrundsätze und die Lösung von Rechtsproblemen (Archiv für Rechts- und Sozialphilosophie, 1955); P. Schneider, Naturrechtliche Strömungen in deutscher Rechtsprechung (Archiv für Rechts- und Sozialphilosophie, 1956) და ა. შ.



ბურჯუაზიის ბატონობის განმტკიცების შემდეგ დაწყებული ბუნებითი სამართლის კრიზისის შედეგად, გაბატონებული პოზიტივიზმის საწინააღმდეგოდ, რომელმაც უარყო სამართლის ფასეულობათა მხარე, კვლავ აღორძინდა ბუნებითი სამართალი, მაგრამ არა მისი შინაარსის განმსაზღვრელი სახალხო სუვერენიტეტითა და სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებით, რომელიც ამჟამად ბურჯუაზიისათვის აღარაა საინტერესო, როგორც ადამიანის ბუნებითი უფლებების დაცვის საშუალება, არამედ მისი სოციალური ღირებულებებით. ბუნებითი სამართლის აღორძინებით თანამედროვე ბურჯუაზიულმა მეცნიერებამ დაიწყო მობრუნება სინამდვილიდან ფასეულობისაკენ, არსობიდან ჭეშარიობისაკენ. იურიდიულ მეცნიერებაში „აღორძინებული“ ბუნებითი სამართალი წარმოადგენს რეაქციას აპარტიდებრივ პოზიტივიზმზე, რომელიც ბურჯუაზიის ბატონობის განმტკიცებისა და XVII—XVIII სს. პროგრესული ბუნებითი სამართლის სკოლის დებულებების კრიზისის პერიოდში ფართოდ ვაერცელდა სამართლის თეორიაში. იგი იმაში გამოიხატა, რომ, წინააღმდეგ იურიდიული პოზიტივიზმისა, „აღორძინებული“ ბუნებითი სამართლის ფუძემდებლებმა ადამიანთა ქცევის აუცილებელ მასშტაბად გამოაცხადეს ფასეულობათა სისტემა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოშობილი „აღორძინებული“ ბუნებითი სამართლის მოძღვრება წარმოადგენს სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოებს შორის იდეოლოგიური ბრძოლის პოპულარულ იარაღს, რამდენადაც იგი სამართალში ფასეულობებს ხედავს და სამართლებრივ მოვლენებს ფასეულობათა სისტემის მიხედვით სწავლობს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბურჯუაზიული რევოლუციების ეპოქაში XVII—XVIII სს. ბუნებითი სამართლის სკოლის ფუძემდებლებმა და ფრანგმა განმანათლებლებმა კლასიკურად დაამუშავეს ბუნებითი სამართლის მოძღვრება და მასში შეიტანეს მანამდე უცნობი მოთხოვნები სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების, სახალხო სუვერენიტეტის და სხვათა შესახებ, ფეოდალური თვითნებობისა და ძალადობისაგან ადამიანთა თანდაყოლილი ბუნებითი უფლებების დაცვისა და ადამიანის გონების შეუსაბამო ფეოდალური სახელმწიფოებრიობის დამხობის მიზნით. დამახასიათებელია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოშობილი „აღორძინებული“ ბუნებითი სამართალი მიმართულია იურიდიული პოზიტივიზმის წინააღმდეგ და იგი მიზნად ისახავს სამართალში სოციალური ფასეულობების დადგენას. ამის შესაბამისად, „აღორ-

ძინებული“ ბუნებითი სამართლის ფუძემდებლები ცდილობენ შექმნან პრობლემების გადაწყვეტას: პირველი, არსებობს თუ არა უმაღლესი, მუდმივმოქმედი ნორმები, რომელთაც უნდა ემყარებოდეს პოზიტიური სამართალი, რათა იგი იყოს მართალი. პოზიტიური სამართალი არ შეიძლება იყოს მართალი სამართალი, თუ იგი ემყარება მდიდართა ნების გამოხატველ ხელისუფლებასა და სხვა ამგვარ შემთხვევით და ცვალებად გარემოებებს; მეორე, თუკი არსებობს აბსოლუტური, მუდმივმოქმედი უმაღლესი სამართლებრივი პრინციპები, მაშინ რაა მისი საფუძველი: გონება, ფასეულობათა ობიექტური წესრიგი თუ ღმერთის სიბრძნე; მესამე, რა გზით შეიძლება ადამიანებმა შეიცნონ ბუნებითი სამართალი, ხომ არ კარნახობს მათ ამ პრინციპებს ღმერთი, ადამიანური სინდისი, ან ხომ არ არსებობს ბუნებითი სამართლის შეცნობის სხვა საშუალებები; მეოთხე, თუ არსებობს მუდმივი, უცვლელი ბუნებითი სამართალი, მაშინ როგორ ავსხნათ პოზიტიური სამართლის სისტემების ნაირ-ნაირობა კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე; მეხუთე, ბუნებითი სამართლის უმაღლესი და მუდმივი პრინციპების გარდა სხვა რა ფაქტორები, განსაკუთრებით „რეალური“ ფაქტორები განსაზღვრავენ პოზიტიური სამართალწესრიგის ჩამოყალიბებას; მეექვსე, რას წარმოადგენენ თავისთავად ბუნებითი სამართლის უმაღლესი პრინციპები, კერძოდ, აქვთ მათ ფორმალური თუ მატერიალური ხასიათი: მეშვიდე, როგორ მოქმედებენ უმაღლესი ბუნებითსამართლებრივი პრინციპები იმ შემთხვევაში, თუ მოქმედი სამართალი არ შეესაბამება მათ ანუ, სხვანაირად, ეს პრინციპები კანონმდებლისათვის დირექტივაა, თუ მათ თავისთავად აქვთ სავალდებულო ძალა და მოსამართლეთა მიერ ამ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს *contra legem*¹.

„აღორძინებული“ ბუნებითი სამართლის მოძღვრების მომხრეები ერთხმად აღიარებენ, რომ კაცობრიობის განვითარების ისტორიაში მუდამ არსებობს განსაკუთრებული ფასეულობის მქონე მუდმივად მოქმედი და უცვლელი ნორმები. ადამიანები თავიანთ ურთიერთობებში ხელმძღვანელობენ სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლით (პოზიტიური სამართლით), მაგრამ თუ გვსურს, რომ პოზიტიური სამართალი იყოს მართალი სამართალი, მისი

¹ E. Fechner, Rechtsphilosophie. Tübingen, 1956, S. 183—184

В. А. Туманов, Буржуазная правовая идеология, М., 1971, стр. 211,
В. А. Туманов, Буржуазная правовая идеология, М. 1971, стр. 330.

დადგენისას კანონმდებელმა უნდა იხელმძღვანელოს სოციალური ფასეულობის მქონე მუდმივი და უცვლელი ბუნებითი სამართლის ნორმებით. ბუნებითი სამართლის მოძღვრების მიხედვით, ბუნებრივად ბობს სამართლიანობის მუდმივი და უცვლელი იდეა, მისგან განუყოფელია სამართლებრივი იდეა, რომელსაც ემყარება ბუნებითი სამართლის უმაღლესი პრინციპები. ბუნებითი სამართლის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სამართლიანობის ეს მუდმივი და უცვლელი პრინციპები ხან გაგებულნი იყვნენ, როგორც ღვთაებრივი სამართლიანობა, ხან ბუნების უნივერსალური კანონი, ხან ადამიანთა გონება, ხან საზოგადოებრივი ხელშეკრულება. ამრიგად, ბუნებითი სამართლის მოძღვრებაში სამართლიანობის უმაღლესი და მუდმივი პრინციპი სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ბუნებითი სამართლის მოძღვრების კრიზისი განაპირობა მისი მომხრეების მიერ „მართალი სამართლის“ ობიექტური ნიშნების დადგენის წარუმატებელმა ცდამ, რამაც ხელი შეუწყო და განაპირობა იურიდიული პოზიტივიზმის გავრცელებას. იურიდიული პოზიტივიზმის წარმომადგენლებმა უიმედოდ მიიჩნიეს რა „მართალი სამართლის“ დადგენის შესაძლებლობა, მთლიანად უარყვეს სამართლებრივ მოვლენებში შეფასებითი მომენტი და დაიწყეს კვლევა სულ სხვა ასპექტით; კერძოდ, მათი მტკიცებით, უფრო პერსპექტიულია არა სამართლის ჯერ-არსობის, არამედ სამართლის არსობის გამოკვლევა. მაგრამ ამით სრულებით არ მოხსნილა ბუნებითი სამართლის მოძღვრების მიერ შემუშავებული სამართლიანობის იდეის სხვადასხვა შინაარსით გამდიდრების შესაძლებლობა, რომელიც იურიდიული პოზიტივიზმის კრიზისის პერიოდში გამოიყენეს „აღორძინებული“ ბუნებითი სამართლის ფუძემდებლებმა.

„აღორძინებული“ ბუნებითი სამართლის მოძღვრების მესვეურებმა, განსხვავებით კლასიკური და ტრადიციული ბუნებითი სამართლის მოძღვრებისაგან, რომელიც მუდმივი სამართლიანობის უმაღლეს პრინციპებად სხვადასხვა დროს აღიარებდა ღმერთს, ბუნების კანონებს, ადამიანთა გონებას, საზოგადოებრივ ხელშეკრულებას და ა. შ., უმაღლეს ბუნებით კანონად გამოაცხადეს ცხოვრებისეული მოვლენების ისეთი წესი, რომლის შესრულებასაც ადამიანებს ავალდებულებს ან თვით ადამიანის ბუნება, ან ნივთების ბუნება. ამრიგად, „აღორძინებული“ ბუნებითი სამართლის წარმოდგენით, პოზიტიური სამართალი რომ მართალი სამართალი იყოს, მისი დადგენისას კანონმდებელმა უნდა იხელმძღვანელოს ისეთი უმაღლესი ბუნებითი კანონით, რომელიც გამომდი-

ნარეობს ადამიანთა ბუნებიდან (Natur des Menschen) და ნივთების ბუნებიდან (Natur der Sachen) ¹.

„აღორძინებული“ ბუნებითი სამართლის მოძღვრებებს წარმოადგენენ ი. მესნერი, ა. აუერი, ა. ფერდროსი, ფ. ვერდროსი, სხვები მიუთითებენ, რომ ადამიანთა ბუნება განსაზღვრავს მათ შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობების ხასიათსა და წესებს, ადამიანები საზოგადოებრივ ცხოვრებაში იძულებული არიან მოიქცნენ ისე, როგორც იქცევიან ადამიანური ბუნების გამო. ამიტომ ბუნებითი სამართლის უმაღლესი, უცვლელი და მუდმივმოქმედი პრინციპები შეიძლება დადგინდეს ადამიანთა მიზნებისა და საერთო ცხოვრების შესწავლის საფუძველზე. ადამიანების „ბუნებითი“ ცხოვრება განპირობებულია მათი ძირითადი მიდრეკილებებითა და მოთხოვნილებებით. ადამიანის გარეშე არ არსებობს არავითარი ბუნებითი სამართლის პრინციპები. იმის მსგავსად, როგორც გამოქვეყნებულ წიგნს შეუძლია შეგვატყობინოს კუთვნილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ადამიანი, რომელსაც შეუძლია მისი წაკითხვა, ასევე ბუნებითი სამართალი შეიძლება გახდეს ქმედითი, თუკი იგი შეცნობილი იქნება ადამიანთა სულის მიერ ².

რაც შეეხება „აღორძინებული“ ბუნებითი სამართლის მოსაზრებას „ნივთების ბუნების“ შესახებ, იგი ემყარება ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში სოფისტებისა და სტოელების მიერ შემუშავებულ მოძღვრებას იმის თაობაზე, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოვლენათა განვითარება არსებითად განპირობებულია ნივთების ბუნებით, იმ თავისებურებებით, რომლებიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ნივთისათვის. „აღორძინებული“ ბუნებითი სამართლის მოძღვრების წარმომადგენლები, რომლებიც ბუნებითი სამართლის უმაღლეს ფასეულობას „ნივთების ბუნებაში“ ხედავენ, მიუთითებენ, რომ პოზიტიური სამართალი სავალდებულოა იმისათვის, ვინც მას იყენებს, რადგანაც იგი ემთხვევა „ნივთების ბუნებას“ ანუ, სხვაგვარად, თუ პოზიტიური სამართალი არ ემთხვევა „ნივთების ბუნებას“, იგი შეიძლება არ გამოვიყენოთ და სასამართლომ საქმე

¹ D. Messner, *Naturrecht ist Existenzialordnung* (Archiv für Rechts- und Sozialphilosophie, 1957, S. 195); N. Bobio, über der Begriff der „Natur de Sache“, ARSP, 1953, №3, S. 15) და ს. შ.

² Messner, *Naturrecht ist Existenzialordnung* (Archiv für Rechts- und Sozialphilosophie, 1957, S. 195); A. Auer, *Der Mensch hat Recht*, 1956, S. 8); A. Verdross, *Die Einführung der materiellen Rechtsphilosophie* (Zeitschrift für Schweizerisches Recht, 1957, S. 211); F. Heidte, *Vom Wesen des Naturrechts* (Archiv für Rechts- und Sozialphilosophie, 1957, S. 222).



შეიძლება გადაწყვიტოს *contra legem*. სამართლის წყაროების იერარქიაში „ნივთების ბუნება“ იმყოფება პოზიტიური სამართლის ფარგლებს გარეთ და იგი წინ უსწრებს კანონებსა და სხვა ნორმატიული აქტების ნორმებს¹.

ამრიგად, თანამედროვე ბუნებითი სამართლის მოძღვრება, ანუ ე. წ. „აღორძინებული“ ბუნებითი სამართალი ემყარება ორ უმაღლეს ფასეულობას: „აღამიანის ბუნებას“ (*Natur des Menschen*) და „ნივთების ბუნებას“ (*Natur der Sachen*), რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ პოზიტიური სამართლის რეალიზაციის პროცესში².

ბუნებითი სამართლის მოძღვრება ამოდის იქიდან, რომ არსებობს ორგვარი სამართალი — პირველი, ბუნებითი ანუ უმაღლეს სამართლიანობაზე დამყარებული აპრიორული სამართალი და, მეორე, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დადგენილი სამართალი. ბუნებითი სამართლის მოძღვრების მომხრეები მიუთითებენ, რომ ამ სამართლის ნორმების რეალიზაციისათვის სრულებით არაა საჭირო იძულებითი ღონისძიება, ბუნებითი სამართალი არსებობს, როგორც სამართლიანობის უმაღლესი პრინციპების ერთობლიობა და მის არსებობას, ისევე როგორც ლოგიკის კანონების არსებობას, არ სჭირდება დამტკიცება. ამრიგად, ბუნებითი სამართლის მოძღვრების მიხედვით, არსებობს ორგვარი მართლწესრიგი — იდეალური და რეალური. იდეალურ მართლწესრიგს ქმნის ბუნებითი სამართალი, რეალურს კი — პოზიტიური სამართალი. ბუნებითი სამართლის ნორმების იდეალურობა იმაში ვლინდება, რომ ისინი განსაკუთრებული ფასეულობების მიხედვით წყვეტენ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს საერთოდ სამართალი. რაც შეეხება პოზიტიურ სამართალს, მას სრულებითაც არ აინტერესებს, როგორი უნდა იყოს სამართალი, მისთვის მთავარია მოქმედი სამართალი, იგი მთლიანად გამოირიცხავს სოციალურ ფასეულობებს, როგორც მართალი სამართლის მასშტაბს. აქედან ცხადია, რომ იურიდიული პოზიტივიზმი საერთოდ უარყოფს ბუნებითი სამართლის არსებობას და თვლის, რომ პოზიტიური სამართლის რეალიზაციის პროცესში ბუნებით სამართალს საერთოდ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, სამართალი მხოლოდ ისაა, რაც დადგენილია სახელმწიფოს მიერ. სამართლებრივი ცხოვრებისათ-

¹ H. Welzel. *Naturrecht und materielle Gerechtigkeit*, 1951, S. 21
 В. А. Туманов, *Буржуазная правовая идеология*, М., 1971, стр. 170.

² *Juristen Zeitung*, 1954, № 5.


ვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ პოზიტიურ სამართალს. რაც შეეხება ბუნებით სამართალს, მისი იდეალური საწყისები, კერძოდ, ადამიანის ბუნებიდან და აგრეთვე ნივთების ბუნებიდან მომდინარე უმაღლესი სამართლიანობა და სიმართლე ფული ცნებებია, რომელთა ნამდვილი შინაარსის დადგენა ვერ შეძლო ბუნებითი სამართლის მოძღვრებამ მისი არსებობის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

თანამედროვე ბურჟუაზიული მეცნიერება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ წინააღმდეგობების დაძლევას, რომელიც ბუნებითი და პოზიტიური სამართლის ურთიერთდამოკიდებულებაში ვლინდება¹. თანამედროვე ბუნებითი სამართლის მოძღვრების წარმომადგენლები ი. კუნცი, ფ. ჰეიდტე და სხვები მიუთითებენ, რომ, მართალია, პოზიტიური სამართალი უნდა შეესაბამებოდეს „აღორძინებულ“ ბუნებითი სამართლის მოძღვრების მიერ წამოყენებულ „ადამიანის ბუნებას“ ან „ნივთების ბუნებას“, მაგრამ არც პოზიტიური სამართლისათვის დამახასიათებელი სოციოლოგიური საფუძვლისა და ტექნიკურ-იურიდიული ფორმის უარყოფა შეიძლება. ამდენად, მათი აზრით, თანამედროვე იურიდიული მეცნიერების მთავარი ამოცანაა ბუნებითი და პოზიტიური სამართლის სინთეზირება, რომლის საფუძველი უნდა გახდეს მორალი და პოლიტიკური მიზანი ანუ, სხვათაშორის, ნამდვილი, მართალი სამართალი სავალდებულოა არა მარტო მორალური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც. მოქმედი სამართლის მორალურ საწყისს წარმოადგენს ბუნებითი სამართალი, ხოლო პოლიტიკურს — პოზიტიური სამართალი. თუ მოქმედი სამართალი არ ემყარება ამ საწყისებს, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს მართალ სამართლად².

ბუნებითი სამართლის მოძღვრება იურიდიულ მეცნიერებაში უძველესია, მაგრამ ამავე დროს იგი გვხვდება კლასობრივი საზოგადოების განვითარების თითქმის ყველა ეტაპზე. ბუნებითი სამართლის მოძღვრებაში წარმოჩენილი ე. წ. მუდმივი სამართლიანობის ნამდვილი შინაარსი, რომელიც მუდმივ ცვალებადობას განიცდის, შეიძლება გაგებულ იყოს მხოლოდ კლასობრივი საზოგადოების წინაშე კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მდგარი ამოცანების გათვალისწინებით. უდავოა, რომ ბუნებითი სამართლის

¹ I. Messener, Das Naturrecht im positiven Recht österreichische Zeitschrift für öffentliches Recht Juristenzeitung, 1954, S. 717.

² J. Kunz, Pluralismus der Naturrechte und Völkerrecht (österreichische Zeitschrift für öffentliches Recht, 1954, S. 19); F. Heidte, vom Wesen des Naturrechts (Archiv für Rechts- und Sozialphilosophie, 1957, S. 220—227).



მოძღვრებამ უდიდესი როლი შეასრულა ფეოდალური საზოგადოების რღვევისა და ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქაში. ხედავად იმისა, რომ ამ მოძღვრების ზოგადი თეორიული ფიური საფუძვლები მეცნიერულ დამაჯერებლობას მოკლებულია. ბუნებითი სამართლის ანტიმეცნიერულობაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მისი სამი შეზღუდულობა; ანტიისტორიზმი, მექანიციზმი და მეტაფიზიკურობა.

ბუნებითი სამართლის მოძღვრების ანტიისტორიულობა იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოსა და სამართალს იგი მიიჩნევს მუდმივ და უცვლელ სოციალურ მოვლენებად, რომელთა შინაარსი სრულებით არაა დამოკიდებული მოცემული საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ წყობილებაზე, სახელმწიფოსა და სამართლის არსებობა განპირობებულია ადამიანის ბუნებითი უფლებების დაცვის აუცილებლობით. საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე, როცა ადამიანებს აღარ შეუძლიათ ინდივიდუალური ძალებით დაიცვან და განახორციელონ კუთვნილი ბუნებითი უფლებები, იქმნება სახელმწიფო და სამართალი, როგორც სხვადასხვა ძალების მექანიკური გაერთიანება. ბუნებითი სამართლის მოძღვრების მექანიკური ხასიათი ნათლად ჩანს ამ მოძღვრების წარმომადგენელთა მიერ სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის დახასიათებისას. სახელმწიფო და სამართალი საზოგადოებრივი ხელშეკრულების შედეგია. ადამიანებმა როცა ვეღარ შეძლეს ბუნებითი უფლებების დაცვა, ბუნებითი მდგომარეობიდან თავის დაღწევის, ყველას წინააღმდეგ ყველას ომის მოსაზრებისა და საზოგადოებაში წესრიგის დამყარების მიზნით, შექმნეს სახელმწიფო და სამართალი ხელშეკრულების გზით. ცალკეულ ინდივიდთა ერთ მთელად გაერთიანების გზით შეიქმნა სახელმწიფო.

ბუნებითი სამართლის მოძღვრების წარმომადგენლები გამოდიან მეტაფიზიკური წარმოდგენიდან ე. წ. „იზოლირებული ადამიანის“ შესახებ. საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მოვლენებთან კავშირის გარეშე არსებული „იზოლირებული ადამიანის“ ბუნებისათვის დამახასიათებელი თვისებები (შიში, ეგოიზმი, პატივმოყვარეობა, ერთად ცხოვრებისაკენ მიდრეკილება და ა. შ.) წარმოდგენს ბუნებით მდგომარეობაში ადამიანთა შორის მტრობისა და შუღლის საფუძველს და გონების კარნახით, ხელშეკრულების გზით იქმნება სახელმწიფო და სამართალი, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებაში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფას.

ბუნებითი სამართლის მოძღვრების კრიტიკა მაშინვე დაიწყო

ბურჟუაზიულ იურიდიულ მეცნიერებაში, როგორც კი XIX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთში მოხდა ბურბონების რესტავრაცია და ქვეყანაში ფეოდალური რეაქცია გამეფდა. ეზეკიელ მესტრი და დე-ბონალდი აქტიურად გამოდიან XVII ს. ბუნებითი სამართლის სკოლისა და XVIII ს. ფრანგი განმანათლებლების წინააღმდეგ ფეოდალური რეაქციის ინტერესებისა და რელიგიური მისტიციზმის დასაცავად. მაგრამ ყველაზე მძლავრი ლახვარი ბუნებითი სამართლის მოძღვრებას (რითაც დაიწყო ბუნებითი სამართლის სკოლის კრიზისი) ჩასცა სამართლის ისტორიულმა სკოლამ, რომელმაც ნათლად გამოაშკარავა მისი სუსტი მხარეები და ცხადყო ბუნებითი სამართლის ანტიმეცნიერულობა.

2. სამართლის ისტორიული სკოლა

საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ, რევოლუციის წინა პერიოდში და შემდეგ ფართოდ გავრცელებულმა ანტიფეოდალურმა, თავისი დროისათვის რევოლუციურ-პროგრესულმა იდეებმა ფართო გავრცელება პოვა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ბურჟუაზიულ-რევოლუციურმა შეხედულებებმა შეაღწია გერმანიაშიც, რომელიც ამ ეპოქაში საზოგადოებრივ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების მიხედვით ყველაზე ჩამორჩენილ სახელმწიფოს წარმოადგენდა ევროპაში. დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, კაპიტალიზმი გერმანიაში ნელი ტემპით ვითარდებოდა. გერმანიის შშიშარა ბურჟუაზიას არათუ ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ძალა შესწევდა, მის იდეოლოგებს საფრანგეთის ბურჟუაზიული იდეებიც აფრთხობდათ და ცდილობდნენ ფეოდალურ წყობილებასთან შეგუების პირობებში თავისი კლასის არსებობის გამართლებას. XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში გერმანიაში ფეოდალური წყობილება კვლავ მტკიცედ გამოიყურებოდა. ქვეყნის მთელი ეკონომიკა არსებითად ფეოდალურ ურთიერთობებზე იყო დამყარებული, თავადაზნაურობა თავისი წოდებრივი პრივილეგიებით ძლიერ სოციალურ ძალას წარმოადგენდა, ქვეყანაში ბატონყმური ურთიერთობა ბატონობდა. ასეთ პირობებში საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის იდეები გერმანიისათვის უცხო აღმოჩნდა და დაიწყო ფეოდალურ-არისტოკრატიული რეაქცია XVII საუკუნის ბუნებითი სამართლის სკოლისა და XVIII საუკუნის ფრანგი განმანათლებლების პროგრესული მოძღვრებების წინააღმდეგ, გაჩნდა მრავალი რეაქციული

მოძღვრება, რომელთაგან ბუნებითი სამართლის სკოლას აშკარად დაუპირისპირდა სამართლის ისტორიული სკოლა.

სამართლის ისტორიული სკოლის ფუძემდებლები იყვნენ გიოტინგენის უნივერსიტეტის პროფესორი გ. ჰუგო (1764—1844), ფ. კ. სავინი (1779—1861) და გ. ფ. ჰუხტა (1798—1846). მათ ნაშრომებში „სახელმძღვანელო ბუნებითი სამართლისა, როგორც პოზიტიური სამართლის ფილოსოფიისა, განსაკუთრებით კერძო სამართლისა“ (გ. ჰუგო)¹, „მფლობელობის სამართალი“, „კანონმდებლობისა და სამართალმცოდნეობისაკენ ჩვენი დროის მოწოდების შესახებ“, „თანამედროვე რომის სამართლის სისტემა“ (კ. სავინი)², „ადათობრივი სამართალი“, „ინსტიტუციები“ (გ. ჰუხტა)³ ჩამოყალიბებულია სამართლის ისტორიული სკოლის სრული მოძღვრება, რომლის საფუძვლები შეამზადა გიოტინგენის იურისტთა სკოლამ, რომლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელმა გ. ჰუგომ სისტემატური სახე მისცა სამართლის ისტორიული სკოლის მოძღვრებას.

გ. ჰუგო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სამართლის ისტორიულ შესწავლას, რითაც აშკარად უპირისპირდება ბუნებითი სამართლის მოძღვრებას, რომლის თანახმადაც, სამართალი ადამიანის უცვლელი ბუნებიდან გამომდინარეობს და, ამდენად, სამართლის ისტორიული განვითარების შესწავლა არაფერს ჰმატებს ჩვენს ცოდნას სამართლის შესახებ. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს სამართლის ისტორიული განვითარების თავისებურებათა შესწავლის მოთხოვნა გ. ჰუგოს მოძღვრებაში ემსახურება აწმყოს შეცვლასა და მის რევოლუციურ გარდაქმნას, როგორც საზოგადოების ისტორიული განვითარების კანონზომიერ შედეგს, მაგრამ სინამდვილეში მისი პოზიტიური ფილოსოფია, როგორც ქვემოთ დავინახავთ, კონსერვატიულ მიზნებს ემსახურება.

გ. ჰუგომ თავისი მოღვაწეობის ადრინდელ საფეხურზე, ბუნებითი სამართლის კრიტიკისა და სამართლის ისტორიული განვითარების მოთხოვნათა დასასაბუთებლად, დააარსა განსაკუთრებული ჟურნალი „Civilistische Magazin“, რომელშიც იგი აღნიშნავს,

¹ G. Hugo, Lehrbuch des Naturrechts, als einer Philosophie des positiven Rechts, besonders des Privatrechts, IV Auflage, 2819.

² F. C. von Savigny, Das Recht des Gesetzes: Eine civilistische Abhandlung: 1818; von Beruf unserer Zeit für Gesetzgebung und Rechtswissenschaft, 1814; System des heutigen römischen Rechts, Bd. I, 1840.

³ G. F. Puchta. Gewohnheitsrecht, I, 1923; Gewohnheitsrecht, II, 1831 Institutionen, 1. Auflage, 1841.

რომ აუცილებელია გერმანიაში მოქმედი რომის სამართლის თანმიმდევრული განვითარების შესწავლა მისი უშუალო პრაქტიკული მიზნების გარეშე. იგი მიუთითებს, რომ სამართლის ისტორიული განვითარების ბუნებრივ გზას წარმოადგენს არა საპროცესული ნორმების ზევიდან დადგენა, არამედ მათი თავისთავად ჩამოყალიბება. ეს მოსაზრება უფრო ვრცლად აქვს გ. ჰუგოს დასაბუთებული თავის გვიანდელ ნაშრომში, რომელიც მიძღვნილია ბუნებითი და პოზიტიური სამართლის ურთიერთობისადმი. იგი მიუთითებს, რომ სამართალი არასდროს შეიძლება მხოლოდ კანონებზე იყოს დამყარებული და იგი კანონებმა განსაზღვროს. კანონმდებლის მიერ დადგენილი ნორმებისაგან იგი ასხვავებს ხალხის მიერ ნებაყოფლობით მიღებულ და აღიარებულ ადათობრივ სამართალს, რომელიც ავსებს და სრულყოფს სახელმწიფოს მიერ გამოქვეყნებულ კანონებს¹. კანონები არ არის იურიდიული ჭეშმარიტების ერთადერთი წყარო (Die Gesetze sind nicht die einzige Quelle der juristischen Wahrheit).

მართალია, სისხლის სამართალში კანონმდებლის მიერ დადგენილი ნორმები გვხვდება, მაგრამ სამართლის ისეთ დარგში, როგორც სამოქალაქო სამართალია, დაწყებული რომის სამართლიდან იუსტინიანეს კოდიფიკაციამდე, შეინიშნება უამრავი ნორმა, რომელიც კანონმდებლის გარეშეა შექმნილი. სამართლის წარმოშობა და განვითარება კანონმდებლის საქმიანობისაგან დამოუკიდებელ კანონზომიერებას ექვემდებარება. თითოეული ხალხის პოზიტიური სამართალი ენასთან ერთად ვითარდება და, ენისა და ჩვევების მსგავსად, იგი ყალიბდება თავისთავად, ვინმეს ბრძანებისა და აგრეთვე ადამიანების ხელშეკრულების გარეშე.

გ. ჰუგოს აზრით, საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგება ხდება უმთავრესად იმ ქცევის წესებით, რომლებიც ადამიანთა ურთიერთობების პროცესში ჩამოყალიბდა. რაც შეეხება კანონმდებლის მიერ დადგენილ კანონებს, მათ უპირატესობა არა აქვთ კანონმდებლის გარეშე ადამიანთა უშუალო ურთიერთობების პროცესში ჩამოყალიბებულ ნორმებთან შედარებით. ამის ნათელსაყოფად გ. ჰუგო მიუთითებს, რომ გიოტინგენში მთავრობამ ბევრ ქუჩას სახელი შეუცვალა, მაგრამ მოსახლეობა ამ ქუჩებს ახალი სახელწოდებით არასდროს იხსენიებს. ამრიგად, დაასკვნის გ. ჰუგო, ქმედითაა ადამიანთა უშუალო ურთიერთობების პროცესში ჩამოყალიბებული ნორმები, კანონები კი შეუსრულებელი რჩება.

¹ G. Hugo, Lehrbuch des Naturrechts, als einer Philosophie des positiven Rechts, besonders des Privatrechts, § 130.

საერთოდ, ერთმანეთისაგან უნდა განსხვავდეს ის, რაც კანონითა დადგენილი, და ის, რაც სინამდვილეში სრულდება. ყოველდღიურ ცხოვრებაში მოქმედი სამართალი შეიძლება კიდევაც განსხვავდეს ბოდეს კანონმდებლის მიერ დადგენილი ნორმებისაგან. ვინმემ უარყოს ეს მოსაზრება და მიუთითოს, რომ მთელი სამართალი მხოლოდ კანონებისაგან შედგება, ადათები კანონების მიერ მათი ფარულად აღიარების შედეგია. მაგრამ გ. ჰუგო ამტკიცებს, რომ ამ წარმოდგენას ეწინააღმდეგება კაცობრიობის განვითარების გამოცდილება და თვით პოზიტიური სამართლის მიზანი. ყოველი სამართლის მიზანია მის მიერ დადგენილი ქცევის წესების განსაზღვრულობა და ნამდვილობა. მაგრამ, აღნიშნავს გ. ჰუგო, რას შეუძლია ქცევის ნორმებს მიანიჭოს ჭეშმარიტი განსაზღვრულობა და ნამდვილობა, კანონმა, რომელიც მხოლოდ ქალაღმდებია და მოსახლეობის უმრავლესობა მას არასდროს კითხულობს, თუ ყოველდღიურმა ცხოვრებამ, რომელსაც ყველა კარგად იცნობს. კანონმდებელს შეუძლია გამოსცეს კანონი და ამ აზრით იგი ხალხის წარმომადგენელია, მაგრამ სრულებითაც არაა საჭირო ყველაფერი კანონმდებელმა აკეთოს, უმრავლესობა ნორმებისა, სახელდობრ, მთელი კერძო სამართალი შეიძლება თვით ხალხმა შექმნას¹.

როგორც ჩანს, გ. ჰუგოს მოძღვრებაში მთლიანად უარყოფილია პოზიტიურ სამართალზე მალა მდგომი ბუნებითი სამართალი და გაუბრალოებულია კანონმდებლის როლი, რომელიც, ბუნებითი სამართლის მოძღვრების მიხედვით, იმაში მდგომარეობს, რომ მის მიერ დადგენილი პოზიტიური სამართალი მაქსიმალურად დაუახლოვოს ბუნებით სამართალს, კერძოდ, პოზიტიური სიმართალი ააგოს აპრიორულად არსებული ბუნებითი სამართლის უმაღლეს ფასეულობით პრინციპებზე. გ. ჰუგოსათვის პოზიტიური სამართლის ნამდვილობა იმაში როდი გამოიხატება, თუ რამდენადაა მასში ასახული ბუნებითი სამართლის მოთხოვნები, მიაი აზრით, ნამდვილ სამართალს წარმოადგენს კანონმდებლობისაგან დამოუკიდებლად, ადამიანთა ურთიერთობის პროცესში ჩამოყალიბებული ქცევის წესები, ანუ სხვაგვარად, სამართლის ძალა აქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში ფაქტიურად მოქმედ ქცევის წესებს. გ. ჰუგოს ზემოაღნიშნული მტკიცება მიზნად ისახავს დაუწერელი ფეოდალური სამართლის დაცვას, გერმანიაში არსებული ფეოდალური ურთიერთობების სიციცხლისუნარიანობის დამტკიცებას.

არა მარტო სამართლის წარმოშობის, არამედ ბუნებითი სამართლის მოძღვრების სხვა დებულებების წინააღმდეგაც იბრძვის

¹ G. Hugo, Lehrbuch des Naturrechts, S. 188.

გ. ჰუგო. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მისი მოსაზრებები სამართლის არსის შესახებ. გ. ჰუგოს მტკიცებით, სამართლის არსის განმსაზღვრელი სრულებითაც არ არის სამართალი იდეა, როგორც ამას ბუნებითი სამართლის სკოლა ამტკიცებდა. სამართლიდან შეფასებითი მომენტის გამორიცხვის შემდეგ გ. ჰუგოს ისღა დარჩენია, რომ სამართლის არსებობა დაუკავშიროს ყოველდღიური საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებს, და მართლაც, მისი მტკიცებით, სამართალი კანონმდებლის ნებით განსაზღვრული კი არ არის, არამედ იგი ადამიანთა შორის ურთიერთობების პროცესში ჩამოყალიბებული ქცევის წესებია და მისი არსი საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებაში უნდა ვეძებოთ. გ. ჰუგოს აზრით, სამართლის ნორმაში დასაფასებელია არა მისი შინაარსი, არამედ განსაზღვრულობა, რის გამოც ადამიანებმა იციან, რაა ნებადართული და რა—აკრძალული. სამართლის ნორმები ყოველთვის კარგია იმ სახით, როგორც ისინი არსებობენ, კანონები ცუდია თუ კარგი— შეიძლება გავიგოთ იმის მიხედვით, თუ როგორ სრულდება ისინი საზოგადოებაში¹. მხოლოდ ის, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხორციელდება და დამკვიდრებულია, შეიძლება მივიჩნიოთ სინამდვილედ და გონივრულად, ამიტომაც მისი შეცვლა უაზრობაა. გ. ჰუგო საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყოველგვარი ცვლილების წინააღმდეგია და განსაკუთრებულ მოკრძალებას იჩენს როგორც ისტორიული წარსულია, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში მტკიცედ დამკვიდრებული წესებისადმი, რის წინააღმდეგაც აშკარად გამოდიოდნენ სამართლის ბუნებითი სკოლის წარმომადგენლები. ბუნებითი სამართლის სკოლის ბურჟუაზიულ-რევოლუციური დებულებანი საზოგადოებრივი ხელშეკრულების, სახალხო სუვერენიტეტის, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების, სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვისა და სხვათა შესახებ, როგორც არსებულის შეცვლის იარაღი, გ. ჰუგოს თანაგრძნობას ვერ იმსახურებს და იგი ამ დებულების წინააღმდეგ აშკარად გამოდის. ამასთან, კანონების შექმნაში გ. ჰუგო უარყოფს უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების, როგორც კანონმდებლის, როლს, მაგრამ ფაქტიურად ჩამოყალიბებული ურთიერთობების დაცვაში იგი გადაწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს უმაღლეს სახელმწიფო ხელისუფლებას, რომლის მიმართ არავის შეიძლება ჰქონდეს იურიდიული პრეტენზია. ისტორიულად ჩამოყალიბებულ ურთიერთობებზე დამყარებული საერთო სიკეთიდან გამომდინარე

¹ G. Hugo, Lehrbuch des Naturrechts, S. 2.

ინტერესების დაცვის მიზნით, უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება აქტიურად უნდა ერეოდეს ხალხის ზნე-ჩვეულებებით განმტკიცებულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გ. ჰუგო¹ ამტკიცებს, რომ ყველაფერს, რაც ახლის შემოღებას ისახავს მიზნად, ნაკლებ-ვანებანი და არასრულყოფილება ახასიათებს, ხოლო არსებულს, დამკვიდრებულს ის უპირატესობა აქვს, რომ მასთან უკვე შეგუებული ვართ¹.

ამრიგად, გ. ჰუგო სიახლესთან და გარდაქმნებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს ისტორიულად ჩამოყალიბებულ დაწესებულებებს. ამ მიზნით, იბრძვის ბუნებითი სამართლის მოძღვრების წინააღმდეგ, მაგრამ სამართლის განვითარებაში მის მიერ წარმოჩენილი ისტორიზმი ფაქტიურად საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის იდეებზე არისტოკრატიული რეაქციის გამარჯვებას, გერმანიაში ჩამოყალიბებული სამთავროების აბსოლუტიზმის განმტკიცებასა და ბატონყმური წყობილების დაცვას ისახავდა მიზნად.

სამართლის ისტორიული სკოლის მოძღვრება განავითარა ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორმა ფრიდრიხ-კარლ ფონ სავინმა, რომელიც აქტიურად ჩაება XIX საუკუნის პირველ მეოთხედში გერმანიაში დაწყებულ იურიდიულ დისკუსიაში გერმანიის ერთიანი კანონმდებლობის შემოღებისა და ამ კანონმდებლობის ფილოსოფიური საფუძვლების შესახებ. კანტის მოწაფე ტიბო ჯერ კიდევ 1796 წელს, როცა ის-ის იყო ისახებოდა სამართლის ისტორიული სკოლის მოძღვრება, გამოვიდა გიოტინგენის იურისტთა სკოლის წინააღმდეგ იურისპრუდენციაში ფილოსოფიური მეთოდის გამოყენების დასაცავად². ტიბო მიუთითებს, რომ უმაღლესი იურიდიული ცნებების დადგენა შეუძლებელია ფილოსოფიის გარეშე და დაუშვებელია გიოტინგენის იურისტთა სკოლის ცდა—სამართალი ახსნან სამართლით და ისტორია კი—ისტორიით, კერძოდ, უმაღლესი იურიდიული ცნებების შემუშავება დადებითი სამართლის საშუალებით. ტიბოს ამ ნაწარმოებს გამოეხმაურნენ გიოტინგენის იურისტთა სკოლის წარმომადგენლები, რომლებმაც მიუთითეს, რომ დადებითი სამართლის ზოგადი საფუძვლები დადგენილი უნდა იყოს დადებითი სამართლიდან. რაც შეეხება ფილოსოფიას, პოზიტიური სამართლის საფუძვლების შესამუშავებლად მისი მნიშვნელობა შეზღუდულია, კერძოდ, ამ შემთხვევაში

¹ G. Hugo, Lehrbuch des Naturrechts, S. 92.

² *Dissertatio de genuina juris personarum et rerum indole, veroque huius divisiōnis pretio*, Kilontze 1796.

შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისტორიული ფილოსოფია, რომელიც ყოველთვის გულისხმობს კანონმდებლობასა და მის განახლებას.

თავისი მოსაზრებების ფართოდ დასასაბუთებლად ტიბომ უახლესა ახალი ნაშრომით „ფილოსოფიის ზეგავლენა პოზიტიური კანონის ახსნა-განმარტებაზე“¹. ამ ნაშრომში ტიბო სამართალს განიხილავს, როგორც მუდმივი, უცვლელი გონების გამოხატულებას და მთელ კამათს გიოტინგენის იურისტთა სკოლის წინააღმდეგ წარმართავს ბუნებითი სამართლის მოძღვრების ასპექტში. მისი მტკიცებით, ადამიანის ბუნება ყოველთვის გულისხმობს მასში პრაქტიკული გონების არსებობას, რაც თავის გამოხატულებას პოულობს მათ წარმოდგენებში სამართლიანობისა და უსამართლობის შესახებ. მათი სისტემატიზებით იქმნება ბუნებითი სამართალი, რომელიც წარმოადგენს ყოველი ცალკეული შემთხვევის მართლზომიერების მასშტაბს. ტიბო შენიშნავს, რომ თუ პოზიტიური კანონმდებლობა წარმოადგენს არა თვითნებობას და გონების საწინააღმდეგო მოვლენას, არამედ ჩვეულებრივ ჯანსაღ აზრს, მაშინ როგორ შეიძლება პოზიტიური კანონმდებლობის საფუძვლები, მისი წყარო აიხსნას მხოლოდ ისტორიით. ტიბოს აზრით, რომის სამართალი ადამიანის გონების შემოქმედების შედეგია, იმ კანონების ახსნისას, რომლებიც შეადგენენ გონების პროდუქტს, ისტორია არაფერს გვეუბნება, რადგანაც ამ კანონების შინაარსი და მათი არსებობა არაა განპირობებული ისტორიული გარემოებებით. ისტორიით რომ შეიძლებოდეს კანონების ახსნა, მაშინ სრულიად გაუგებარი იქნებოდა, თუ რატომ მოქმედებდა მთელ შუასაუკუნეებში რომის სამართალი. მხოლოდ ფილოსოფია გვაძლევს პასუხს ამ კითხვაზე, ისევე როგორც მხოლოდ ბუნებითი სამართლის ფილოსოფიით და არა ისტორიით შეიძლება აიხსნას ხელშეკრულებების დაუარღვევლობისა და სიმტკიცის მოთხოვნები². 1797 წელს გამოცემულ „იურიდიულ ენციკლოპედიაში“ ტიბო მიუთითებს, რომ თითოეული პოზიტიური სამართლის მნიშვნელობა მხოლოდ მის გონიერებაში გამოიხატება, კანონმდებელს, პირველ ყოვლისა, მოეთხოვება ის, რომ მის მიერ დადგენილი კანონ-

¹ იხ. კრებულში „Versuche über ein zelne Theile der Theorie des Rechts“ I Bd. 1798, S. 140.

² A. F. Thibaut, Über den Einfluss der Philosophie auf die Auslegung der positiven Gesetze (Versuche über einzelne Theile der Theorie des Rechts Bd. I, 1798, S. 155).

ნები გონების შესაბამისი იყოს, ანუ, სხვანაირად, პოზიტიური სამართალი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ბუნებით სამართალს.

პოზიტიური და ბუნებითი სამართლის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი სამართლის ისტორიული სკოლის წინააღმდეგმწვავედ დააყენა ტიბომ 1814 წელს გამოცემულ ნაშრომში „გერმანიისათვის საერთო-საყოველთაო სამართლის აუცილებლობის შესახებ“², რომელიც არსებითად მიზნად ისახავდა იმის დასაბუთებას, რომ გერმანიისათვის საჭიროა ერთიანი სამოქალაქო სამართლის კოდექსის შემუშავება და გამოცემა. ტიბოს აზრით, სამოქალაქო სამართლის კოდექსი კანონმდებელმა უნდა შეიმუშაოს ადგილობრივი ადამ-წესებისა და აკრეფე რომის სამართლისაგან დამოუკიდებლად, რადგან თანამედროვე გერმანიისათვის ადგილობრივი ძველი ადამ-წესები და რომის სამოქალაქო სამართალი მის წყაროდ აღარ გამოდგება. ახალი სამოქალაქო სამართალი უნდა იყოს მარტივი, ნათელი და თითოეული გერმანელისათვის ადვილად გასაგები. ერთიანი სამოქალაქო სამართლის შემუშავებამ ხელი უნდა შეუწყოს გერმანიის სახელმწიფოს შიგნით ერთიანი სამოქალაქო-სამართლებრივი წესრიგის ჩამოყალიბებას, რადგან ერთიანი კანონები იწვევენ საერთო ადამ-წესების შემუშავებას³.

ტიბო კარგად გრძნობს, რომ ადგილობრივი ადამ-წესებისა და რომის სამართლის ნორმების მოქმედების შეზღუდვა-გაუქმების საფუძველზე გერმანიის ერთიანი სამოქალაქო სამართლის კოდექსის შექმნა სამთავროთა აბსოლუტიზმის ბატონობის პირობებში დიდ წინააღმდეგობასთან იქნება დაკავშირებული, და ცდილობს თავისი მოსაზრებების ვრცლად დასაბუთებას. იგი აღნიშნავს, რომ პონტესკიედან დაწყებული, ძალიან ხშირად გვესმის ხმები, რომ სამართალი და მისი შინაარსი განპირობებულია სხვადასხვა გარემოებებით (კლიმატური პირობები, ნიადაგის თავისებურებანი, ეროვნული ხასიათი და ა. შ.). თუ ამ მოსაზრებას ვავიზიარებთ, მაშინ ბოლოს და ბოლოს ყოველივე არსებული შეიძლება სამართლიანი აღმოჩნდეს და, მაშასადამე, ყოველგვარი უაზრობა სადღაც შეიძლება გამართლებული იქნეს. ასეთ ვითარებაში მთლიანად უნდა უარვეყოთ მოვლენების ბუნებითი შედეგები, ანუ ის, რაც უნდა მიჩნეულ იქნეს სამართლად გონების მოთხოვნათა შესაბამისად. სამართალი უნდა ცდილობდეს ადამიანების გაერთიანებას

¹ A. F. Thibaut, Juristisches Encyclopedie, 1797, S. 9.

² A. F. Thibaut, Ueber die Notwendigkeit eines allgemeinen bürgerlichen Rechts für Deutschland. Heidelberg, 1840.

³ იქვე, გვ. 26.

და არა ქვეყანაში არსებული განსხვავებული ადათ-ჩვეულებისა და წესების განმტკიცებას. ყველაზე მეტად ეს უნდა ითქვას სამოქალაქო სამართალზე. თუ ზოგჯერ განსაკუთრებული მოთხოვნები მოითხოვენ განსაკუთრებულ კანონებს, სამოქალაქო სამართალი უნდა ემყარებოდეს ვინაობის მოთხოვნებს და მისთვის სრულებით არაა საჭირო შეგუებული იყოს ადგილობრივ გარემოებებს. შეიძლება სამოქალაქო სამართლის ამ ერთიანობიდან ზოგიერთი დაბრკოლება შეიქმნას, მაგრამ ეს დაბრკოლება არაფერს ნიშნავს იმ სარგებლობასთან შედარებით, რომელიც შეიძლება მოგვიტანოს ერთიანმა სამოქალაქო კანონმდებლობამ. ამას ნათელყოფს სამოქალაქო სამართლის ცალკეული ნაწილები (საკუთრების სამართალი, მემკვიდრეობითი სამართალი, ვალდებულებითი სამართალი და ა. შ.), რომლებიც ჩამოყალიბებულია იურიდიული შინაარსის მათემატიკური ფორმულების მსგავსად და მათზე ადგილობრივ პირობებს არ შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა. ამბობენ, რომ, განაგრძობს ტიბო, პატივი უნდა ვცეთ არსებულს და ვერიდოთ ყოველგვარ ცვლილებას იმ უბრალო მოსაზრების გამო, რომ ადამიანები შეჩვეული არიან არსებულს და მისი შეცვლა ადამიანთა ძალ-ღონეს აღემატება. ტიბოს აზრით, ეს შეხედულება არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს, რადგან ადამიანებისათვის დამლუპველია მოუფიქრებელი და უაზრო გარდაქმნები, სიძველისადმი ნამდვილი პატივისცემა მხოლოდ ერთიანი კანონმდებლობით შეიძლება, ერთიანი კანონმდებლობა ერთნაირად დაიცავს სიძველის იმ ელემენტებს ადგილობრივი ადათ-წესების სახით, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ ეროვნული ძალების განმტკიცებისათვის¹.

ტიბოს გამოსვლამ გიოტინგენის იურისტთა სკოლის მიერ ჩამოყალიბებული სამართლის ისტორიული მოძღვრების წინააღმდეგ გამოიწვია ამ მოძღვრების მომხრეთა აქტივიზაცია. სამართლის ისტორიული სკოლის მოძღვრებამ შემდგომი განვითარება და სრულყოფა პოვა საეინისა და პუხტას ნაშრომებში.

საეინი აშკარად გამოვიდა ტიბოს მიერ წამოყენებული გერმანიის ერთიანი სამოქალაქო კანონმდებლობის მოთხოვნის წინააღმდეგ და სამართლის ისტორიული სკოლის შეხედულებების დასასაბუთებლად სრულიად ახლებურად დააყენა სამართლის ისტორიული ფილოსოფიის აქტუალური საკითხები. აზრის სიღრმითა და დასაბუთების დამაჯერებლობით მისმა მოსაზრებებმა მაშინვე მიიპყრო

¹ იქვე, გვ. 41—47.



ყურადღება და დასრულებული სახე მისცა სამართლის ისტორიული სკოლის მოძღვრებას.

სავინის მტკიცებით, საზოგადოების განვითარების ექვემდებარება გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება. ამ კანონზომიერებაში არსი იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველაფერი განიცდის ცვლილებას და, ამდენად, საზოგადოებრივი მოვლენები მუდმივ მოძრაობაში იმყოფებიან. ეს მოძრაობა საზოგადოებრივი მოვლენების ორგანული ბუნებიდან გამომდინარეობს და გამოირიცხავს ყოველგვარ სუბიექტურ ნებას. აქედან სავინი აკეთებს დასკვნას, რომ საზოგადოებრივი მოვლენების ისტორიული განვითარების კანონზომიერებაში პიროვნებებს და მათ ნებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ისტორიულ განვითარებაში ყველაფერი ემყარება ეროვნულ შეგნებას, რომელიც საზოგადოების ყველა წევრის საერთო რწმენას ეფუძნება. აქედან გამომდინარე, სავინი აკეთებს დასკვნას სამართლის განვითარების თავისებურებათა შესახებ. სავინის აზრით, სამართალიც, ისევე როგორც ყველა სოციალური მოვლენა, ვითარდება უპიროვნო ხალხის სულის შესაბამისად და მასზე ზეგავლენას ვერ ახდენს ვერც ცალკეულ ადამიანთა ნება და ვერც ისტორიული შემთხვევითობანი. ცალკეულ ადამიანთა სუბიექტურ ნებას არ შეუძლია შეცვალოს სამართლის ორგანული განვითარების ისტორიული მიმდინარეობა.

მართალია, სავინის ეს მოსაზრება არსებითად მიმართულია ბუნებითი სამართლის მოძღვრების წინააღმდეგ, მაგრამ სავინის მიერ საკითხის ამგვარი დაყენების შედეგად მიღებული დასკვნები შინაარსით ემსგავსება ბუნებითი სამართლის დასკვნებს. საქმე ისაა, რომ, სავინის აზრით, სამართლის შინაარსზე, მის განვითარებაზე არაფერს შეუძლია მოახდინოს ზეგავლენა. ბუნებითი სამართლის მოძღვრების მიხედვით, არსებობს სამართლიანობის უმაღლეს პრინციპებზე დამყარებული აპრიორულად არსებული ბუნებითი სამართალი, რომლის შინაარსის შეცვლა არაფერს ძალუძს, მისი ნორმები ერთნაირად ვრცელდება ყველგან იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ, როგორც არისტოტელე ამბობდა: ცეცხლი ისევე წვავს საბერძნეთში, როგორც სპარსეთში. მიუხედავად ამ მსგავსებისა, ბუნებითი სამართლის მოძღვრებასა და სავინის მიერ შემუშავებულ სამართლის ისტორიულ შეხედულებებს შორის არსებით განსხვავებას აქვს ადგილი. საქმე ისაა, რომ სამართლის ისტორიული სკოლის მოძღვრება მთლიანად მიმართულია ბუნებითი სამართლის წინააღმდეგ, ხოლო ამ მოძღვრებების

ზემოაღნიშნული ნაწილი, რომლითაც ისინი ემსგავსებოდნენ ერთმანეთს, მოჩვენებითია. ბუნებითი სამართლის მოძღვრება მოქმედ პოზიტიურ სამართალს მიიჩნევს აპრიორულად არსებულს. ბუნებითი სამართლის გამოხატულებად, ამიტომაც პოზიტიური სამართლის დადგენისას კანონმდებლის როლი შეზღუდულია. კანონმდებელს არ შეუძლია დაადგინოს ის, რაც ეწინააღმდეგება ბუნებით სამართალს. ამრიგად, ბუნებითი სამართლის მოძღვრებით პოზიტიურ სამართალს თავისი განვითარების განსაზღვრული კანონზომიერება აქვს. ამ კანონზომიერებას განაპირობებს ბუნებითი სამართალი. რაც შეეხება სამართლის ისტორიული სკოლის მოძღვრებას, რომლის მიხედვითაც სამართლის განვითარებას გააჩნია საკუთარი კანონზომიერება (რომ სამართლის განვითარება კანონმდებლის ნებაზე არაა დამოკიდებული), ამ სკოლის დასკვნები გაკეთებულია ბუნებითი სამართლის მოძღვრებისაგან განსხვავებული თეორიული წინამძღვრის მიხედვით; კერძოდ, სამართლის ისტორიული სკოლის თანახმად, სამართლის განვითარებას განსაზღვრავს არა აპრიორულად არსებული ბუნებითი სამართალი, არამედ ეროვნულ შეგნებაზე დამყარებული ხალხის სული, რაც წარმოადგენს სავინის მიერ შემუშავებული სამართლის ორგანული განვითარების თეორიის საფუძველს.

სავინის აზრით, სამართალს, ენისა და ზნე-ჩვეულებების მსგავსად, განსაზღვრული ხასიათი აქვს, რომელსაც განაპირობებს ხალხის სული, მისი რწმენა. საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული ყველა მოვლენა, მათ შორის სამართალი, ზნე-ჩვეულებანი და ა. შ., მართალია, გვეჩვენება ერთმანეთისაგან განცალკევებულ მოვლენებად, მაგრამ სინამდვილეში ისინი ხალხის სულის საფუძველზე ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. სამართალი იქმნება არა კანონმდებლის ნებით, არამედ შეუმჩნეველად მოქმედი შინაგანი ძალებით, როგორც ადათობრივი სამართალი. ამის მაგალითს წარმოადგენს რომის სამართალი. მთელი რომის სამართალი, შენიშნავს სავინი, ორგანულად ვითარდებოდა, როგორც ადათობრივი სამართალი, რაც შეეხება გერმანიას და საერთოდ თანამედროვე ქვეყნებს, მათი სამართლისათვის არაა დამახასიათებელი განუწყვეტელი ეროვნული განვითარება, ისინი ძალიან ადრე მოექცნენ რომის სამართლის ზეგავლენაში. გარდა ამისა, გერმანელების ხშირმა კონტაქტებმა და შეჯახებებმა სხვა ტომებთან, რაც უცხო იყო რომის იმპერიისათვის, არსებითად შეცვალა ამ ადათწესების თავდაპირველი ჩამოყალიბების ხასიათი. როცა დაიწყო ფეოდალური სისტემის ჩამოყალიბება, წინანდელი ერისაგან ალა-


რაფერი იყო დარჩენილი. ამან ხელი შეუწყო გერმანიაში რომის
სამართლის გავრცელებას¹.

სავინის მიერ შემუშავებული სამართლის განვითარების
განული თეორია არსებითად უგულვებელყოფს კანონმდებლის
როლს სამართლის დადგენაში. კანონმდებელი, ამ თეორიის მი-
ხედვით, ხალხის სულის განვითარების უბრალო მეთვალყურე და
მოწმეა. სავინის მტკიცებით, მოვლენათა განვითარებაში კანონმდებ-
ლის ჩარევა საშიშია, რადგან ამან შეიძლება მოვლენები აცდი-
ნოს ბუნებრივი, ორგანული განვითარების გზას. ყოველ შემთხვე-
ვაში, კანონმდებლის როლი შეიძლება განისაზღვროს ადათობრივი
სამართლისათვის გარკვეულობის მიცემაში, კონტროლერების გა-
დაწყვეტაში და ძველი ადათების ახსნა-განმარტებაში².

ამასთან, სავინი ამტკიცებს, რომ კანონმდებლის სუბიექტური
ნებით შემუშავებულ სამართალს არავითარი ზეგავლენა არ შეუძ-
ლია მოახდინოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, იგი უაზრობად
აცხადებს მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს კანონმდებლის მიერ
დადგენილ სამართალს შეეძლოს ცხოვრების გაუმჯობესება. საზო-
გადოებრივ ცხოვრებაში უკეთესი მომავალი შეიძლება მიღწეულ
იქნეს არა კანონებით, არამედ მისი „ხალხის სულის“ შესაბამისად
განვითარების გზით, კანონმდებლობა აქ გადაწყვეტ როლს ვერ
შეასრულებს, მას მხოლოდ შეუძლია ხელი შეუწყოს „ხალხის
სულის“ შესაბამისად საზოგადოების განვითარებას. საზოგადოებრი-
ვი ცხოვრების განვითარებაში კანონმდებლის როლზე სავინი
საგანგებოდ ჩერდება თავის ნაშრომში „თანამედროვე რომის სა-
მართლის სისტემა“. წინანდელი ნაშრომებისაგან განსხვავებით, ამ
ნაშრომში სავინს რამდენადმე ფართოდ აქვს წარმოდგენილი კა-
ნონმდებლობის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კერძოდ, იგი
გარკვეულ შემთხვევებში უკვე საჭიროდ მიიჩნევს საზოგადოებრი-
ვი ურთიერთობების მოწესრიგებას კანონმდებლობის გზით. მისი
მტკიცებით, საზოგადოების ისტორიაში ზშირად თავს იჩენს ისეთი
სიტუაცია, რომელიც არ ქმნის „ხალხის სულის“ მიხედვით სამარ-
თლის წარმოქმნის შესაძლებლობას. ასეთი სიტუაციების არსებობა
დაკავშირებულია საზოგადოებაში ინდივიდუალისტური საწყისების
განვითარებასთან, რასაც შედეგად მოსდევს რომელიმე წოდების
გაბატონება და ხალხისაგან ინდივიდუალიზება. ასეთ ვითარებაში

¹ F. C. von Savigny, Vom Beruf unserer Zeit für Gesetzgebung und
Rechtswissenschaft, 1814, S. 32—39.

² იქვე, გვ. 16—19.



სამართალშემოქმედება, რომელიც წინათ მთელი საზოგადოების საერთო შეგნებისა და რწმენის მიხედვით წარმოებდა, ახლა უკვე ბელი ხდება, რის შედეგადაც სამართალწარმოშობი საქმიანობა მთლიანად ეკისრება კანონმდებელს¹. მიუხედავად ამ მტკიცებისა, რომელსაც იგი სამართლის განვითარების კანონზომიერებად არ თვლის, სავინი საბოლოო ჯამში არ ღალატობს სამართლის ისტორიული სკოლის ზოგად კონცეფციას და მიუთითებს, რომ, როგორც წესი, სამართლის შექმნაში გადაწყვეტ როლს ასრულებს „ხალხის სული“. რაც შეეხება კანონმდებელს, მისი როლი სამართალშემოქმედებაში მეტისმეტად შეზღუდულია. სავინის აზრით, ისტორიულად არსებულ ყოველ სამართალს ეროვნული ხასიათი აქვს. მათ, ვინც აღიარებს, რომ სამართალი არის რაღაც ზოგადსაკაცობრიო სულის გამოვლენა, დაუსაბუთებლად ეჩვენებათ მტკიცება იმის შესახებ, რომ სამართალი იქმნება ხალხის სულის შესაბამისად. მაგრამ, ერთი შეხედვით, ეს ორი ურთიერთდაპირისპირებული მსჯელობა სრულებითაც არ გამოირიცხავს ერთმანეთს. საქმე ისაა, რომ ზოგადსაკაცობრიო სული ინდივიდუალურ გამოხატულებას პოულობს ცალკეულ ხალხში. სამართალი არ არსებობს აბსტრაქტულად, იგი გამოიხატება ადამიანთა კონკრეტულ საქმიანობაში².

ამრიგად, სავინის აზრით, სამართალს, მართალია, ყოველთვის გააჩნია რაღაც ზოგადი საწყისები, რაც საერთოა ისტორიულად არსებული ყოველი სამართლისათვის, მაგრამ კონკრეტულად ეს ზოგადი საწყისები თავს იჩენს ცალკეულ ხალხში და, ამდენად, ყოველ სამართალს ეროვნული ხასიათი აქვს. სავინის მტკიცებით, სამართლის ეროვნული ხასიათი წარმოადგენს პოზიტიური სამართლის არსს. ყველა ქცევის წესი, რომელიც ხალხის სულს შეესაბამება, სამართალია მისი პოზიტივაციისაგან დამოუკიდებლად, ანუ, სხვანაირად, ხალხის სულის შესაბამის ქცევის წესებს, რომლებიც შესისხლხორცებულია თვითმყოფად ეროვნულ ხასიათთან, არ სჭირდება საკანონმდებლო გზით დადგენა. ყველა ეს ქცევის წესი თავისთავად წარმოადგენს პოზიტიურ სამართალს. იგი წერს: ხალხის სულის შესაბამისად ჩამოყალიბებულ იურიდიულ წესებს, რომელთა ქვეშაობაში ხალხი დარწმუნებულია, თავისთავად გააჩნია სავალდებულო ძალა. ყველგან, სადაც კი ისმის საკითხი იურიდიული ურთიერთობის შესახებ, მისი შესაბამისი წესი მა-

¹ F. C. von Savigny des heutigen römischen Rechts, Bd. I, S. 17—43.

² იქვე, გვ. 20—21.

შინვე აღმოჩნდება, როგორც უკვე არსებული და ამ წესებს, აღარაერთი გამოგონება არ სჭირდება. აქედან გამომდინარე, წესები დია სამართლის თვისება, რის გამოც მოცემული სამართლის, რაც უნდა იყოს, საძებარი აღარაა. სწორედ ამ თვისების გამო ამ სამართალს პოზიტიურ სამართალს ვუწოდებთ¹. ასეთ შემთხვევაში კანონმდებელი მხოლოდ ხალხის სულია, ადათ-წესები კი — მისი შეცნობის გარეგანი ფორმა. იურიდიული ნორმის საწყისი ხალხის სულშია, ამიტომ მისი ყოფიერებად გადაქცევისათვის კანონმდებლის არავითარი ფორმალური აქტი არაა საჭირო². მმართველთა ამოცანაა, აღიარონ სამართალი, რომელიც მათგან დამოუკიდებლად არსებობს. ხალხში მოქმედი სამართალი არის ერთადერთი გონიერი სამართალი. მმართველი, რომელიც ამ სამართლის ნაცვლად ადგენს თავისი ნების შესაბამის სამართალს, მოვლენებისა და საგნების ბუნებრივი განვითარების წინააღმდეგ გამოდის.

სამართლის ისტორიული სკოლის მოძღვრების უმთავრესი დებულებები დაიცვა და განავითარა სავინის შემკვიდრემ ბერლინის უნივერსიტეტიდან გ. პუხტამ, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ადათობრივი სამართალი. გ. პუხტას აზრით, ადათობრივი სამართალი სამართლის თვითყოფადი განვითარების სამაგალითო ნიმუშია. იურიდიული ნორმების წყაროს წარმოადგენს ის სულიერი კავშირი, რაც თავიდანვე ახასიათებს ხალხს, როგორც ერთიანსა და მთლიან ფენომენს.

სამართალი თანდათანობით ვითარდება ხალხის სულში მოცემული პოტენციური შესაძლებლობების მიხედვით და ხალხის გარეშე არ არსებობს, მეტიც, სამართალი თანდაყოლილია ხალხისათვის. ამასთან, გ. პუხტა აღნიშნავს, რომ, როგორც წესი, სამართალი ყოველთვის ხალხის სულის შესაბამისია, მაგრამ სამართლის განვითარების პროცესში გვხვდება ისტორიული ანომალიებიც. მაგალითად, რომის სამართლის რეცეპცია ხალხის სულისაგან დამოუკიდებელი მოვლენაა, რომელიც მეცნიერების განვითარებამ გამოიწვია. გარდა ამისა, ყველა ხალხს საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ჰყავს განსაკუთრებული პირები, რომელთაც, თავიანთი სულიერი სრულყოფის წყალობით, გააჩნიათ სამართლის შეცნობის უნარი. იურიდიულ მეცნიერებას დაუფლებული ზემოაღნიშნული პირები ხალხის სულის ბუნებრივი წარ-

¹ F. C. Von Savigny, System des heutigen römischen Rechts, Bd. S, 177.

² იქვე, გვ. 35—37.

მომადგენლები არიან. მეცნიერება, რომელმაც განსაზღვრა რომის სამართლის რეცეპცია, მოწოდებულია განავითაროს ის, რეცეპციის ხის სულშია ჩანასახის ფორმით. ცალკეული მეცნიერებები მეტაფიზიკურად და უნარი გააჩნიათ, თავიანთი საქმიანობით წარმოდგენას გვაძლევენ პოტენციურად არსებული ხალხის სულის შინაარსის შეცნობაში პირადი საწყისების მნიშვნელობაზე¹.

სამართლის ისტორიული განვითარების პროცესში გ. პუხტას შეაქვს მთელი რიგი ახალი მომენტები. ფ. სავინი ამტკიცებდა, რომ ისტორია გამორიცხავს თავისუფლების ცნებას, სამართალი წარმოადგენს ხალხის სულის ორგანული განვითარების ისტორიულ შედეგს. გ. პუხტას აზრით კი, ისტორიაში მოქმედებს თავისუფლება, მართალია არა განუსაზღვრელი, და მისი არსებობა უნდა აიხსნას უმაღლესი აუცილებლობით. ადამიანს მინიჭებული აქვს თავისუფლება იმისათვის, რომ შეძლოს ღმერთის ნების შესრულება თავისუფალი გადაწყვეტილებების საშუალებით. ამ კანონზომიერებას უქვემდებარებს გ. პუხტა სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობას. მისი მტკიცებით, სახელმწიფოსა და სამართლის თავდაპირველ საფუძველს წარმოადგენს ღვთაებრივი ნება, რომელიც ხორციელდება ადამიანებისათვის დამახასიათებელი თავისუფლებით, კერძოდ, ხალხის თავისუფალი ნებისა და ხალხის სულის საფუძველზე².

გ. პუხტა ავითარებს აგრეთვე ფ. სავინის შეხედულებებს სამართალზე, როგორც ეროვნული ხასიათის გამომხატველ ფენომენზე. სავინის მტკიცებით, სამართლის ეროვნული ხასიათი არ გამორიცხავს ზოგადი საწყისების არსებობას, რომელიც ვლინდება დადებითი სამართლის სხვადასხვა სისტემაში. გ. პუხტა მიუთითებს: სადავოს რა უნდა წარმოადგენდეს, რომ სხვადასხვა ხალხების სამართალი, რომელიც ძირითადად მოცემული ხალხის სულითაა განსაზღვრული, ამავე დროს გულისხმობს ზოგად საწყისებს, რომელთა გარეშე შეუძლებელია ამ ხალხის სამართლის შინაარსის ახსნა. მაგალითად, მიუთითებს გ. პუხტა, *ius gentium*-ის წყაროს წარმოადგენს პარტიკულარული ხალხის სულისაგან განსხვავებული, ყველა ხალხისათვის დამახასიათებელი ბუნებითი გონება³. თითოეული ხალხისათვის დამახასიათებელია ინდივიდუ-

¹ G. F. Puchta, *Gewohnheitsrecht*, Bd. I, S. 160—165.

² იქვე, გვ. 160—165.

³ G. F. Puchta, *Institutionen*, Kapitel II, S. 11, § 15.

აღობა, რითაც განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან. მაგრამ ამ ინდივიდუალურ თავისებურებებთან ერთად მათ გააჩნიათ, როგორც საწყისებიც, რომლებიც მოწმობენ უმაღლეს მთლიანობასთან ერთად მსგავსებას. პირველყოფილ ეპოქაში ეს ზოგადი საწყისები ჩანასახის ფორმითაა, აქ უმეტესად ინდივიდუალური საწყისები ბატონობს. მაგრამ საზოგადოების თანდათანობითი განვითარების პროცესში ცალკეული ხალხებისათვის დამახასიათებელი ზოგადი საწყისები უფრო და უფრო იჩენს თავს და დგება ე. წ. ხალხის ქვეშეობითი განვითარების ეპოქა, როცა მათთვის დამახასიათებელი ინდივიდუალურ და ზოგად საწყისებს შორის მყარდება წონასწორობა¹. ამ კანონზომიერებას ექვემდებარება სახელმწიფოსა და სამართლის განვითარებაც.

თითოეული ხალხის სამართალი განისაზღვრება ამ ხალხისათვის დამახასიათებელი ზოგადი საწყისებით. საზოგადოების განვითარების ისტორიაში დგება პერიოდი, როცა ხალხი თანდათანობით სძლევს ნაციონალური შეგნების საზღვრებს და მის ცხოვრებაში გაბატონებული ხდება ყველა ხალხისათვის დამახასიათებელი საერთო შეხედულებები და ზოგადი საწყისები. თითოეულ ხალხში ეს პროცესი სხვადასხვაგვარ ფორმას ღებულობს. რომაელებში იგი გამოხატულებას პოულობს *ius civile*-სა და *ius gentium*-ს შორის ურთიერთდაპირისპირებაში, გერმანელ ხალხში კი — რომის სამართლის რეცეპციაში. *Ius gentium*-ი არ იყო ერთი რომელიმე ხალხის სამართალი, იგი შეიქმნა რომაელი და მეზობელი ხალხებისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნების საფუძველზე, მას ეროვნული ხასიათი არ ჰქონია². მაგრამ სხვადასხვა ხალხისათვის დამახასიათებელი ეს ზოგადი საწყისები გამოხატულებას პოულებს სხვადასხვა ხალხის სამართლებრივ დაკავშირებაში. მას შემდეგ, რაც რომელიმე ერის სამართალი დაამთავრებს თავის განვითარებას, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება იგი გადაიღოს სხვა ხალხმა, როგორც საკუთარი სამართლის შემდგომი განვითარების საფუძველი. ასე მოხდა რომის სამართლის ისტორიაში. რომის სამართალი მხოლოდ მას შემდეგ გახდა სხვა ხალხების სამართლის განვითარებისა და სრულყოფის საფუძველი, როცა მან საბოლოო სრულყოფა განიცადა. სამართლის განვითარების პროცესი მთელი კაცობრიობის ისტორიას მოიცავს. თითოეული ხალხი იმ უზარმა-

¹ G. F. Puchta, Institutionen, Kapitel II, § 83.

² იქვე, § 19, § 84.

ზარი ჯაჭვის შემადგენელი ნაწილებია, რომელიც აერთებს კაცობრიობის წარსულსა და მომავალს¹.

ფ. სავინის მეცნიერულ შემკვიდრობას ემყარება გ. პუხტას მოსაზრებები დადებითი სამართლის შესახებ. როგორც ცნობილია, ასევე გ. პუხტაც პოზიტიური სამართლის წარმოშობის პირველწყაროდ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ხალხის სულს აღიარებენ. გ. პუხტას ეს მოსაზრებები ჩამოყალიბებულია ნაშრომში, რომელიც მან მიუძღვნა ადათობრივ სამართალს. გ. პუხტა ამტკიცებს, რომ ადათობრივი სამართლის ძალა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ იგი ემყარება განსაზღვრული მოქმედების ჩვეულებად გადაქცევას და მათ განმეორებას ხანგრძლივი დროის განმავლობაში, არამედ ადათობრივი სამართალი ემყარება საერთო-სახალხო რწმენას. განსაზღვრული ქცევების ხანგრძლივი დროის განმავლობაში განმეორება სრულებითაც არ აქცევს მათ ნორმებად, ქცევების განმეორება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ მათი არსებობა და გამძლეობა ხალხის სულითაა განმტკიცებული².

ხალხის სულზე დამყარებული სახალხო რწმენა, როგორც სამართალშემქმნელი ძალა, სახელმწიფოებრივ საწყისებზე მალა დგას, ამიტომ სახელმწიფოს არ შეუძლია შექმნას სამართალი. ხალხის სული ქმნის არა მარტო სამართალს, არამედ სახელმწიფოსაც. ამდენად, სახალხო რწმენა, ხალხის სული იურიდიული მნიშვნელობის მოვლენაა, მაგრამ, პუხტას მტკიცებით, სამართლის ნამდვილ მნიშვნელობაზე მხოლოდ ხალხის რწმენა, ხალხის სული ვერ გვაძლევს სრულ წარმოდგენას. რეალურ ყოფიერებაში მხოლოდ ის სამართალი ვლინდება, რომლის ბრძანებებს ესადაგება საზოგადოებრივი ურთიერთობები. სამართლის საზოგადოებრივ ურთიერთობებთან მისადაგება, რაც სამართალს რეალურ ყოფიერებად აქცევს, დაკავშირებულია სახელმწიფოსთან, ურომლისოდაც სამართალი საერთოდ უაზრობაა³.

ამრიგად, სახელმწიფო გ. პუხტას წარმოდგენილი აქვს როგორც ხალხის სულის დასრულებული გამოხატულება, ამიტომაც იგი იცავს სამართალს, რომლის შინაარსი იმავე ხალხის სულითაა განსაზღვრული. გ. პუხტას მიერ საკითხის ამგვარი დაყენების დროს, გაუგებარი რჩება, რას უნდა მიენიჭოს უპირატესობა სა-

¹ G. F. Puchta, Institutionen, Kapitel II, § 9.

² G. F. Puchta, Gewohnheitsrecht II, S. 151.

³ იქვე.

მართლის ჩამოყალიბებაში — სახელმწიფოს თუ ხალხის სულს, ამ წინააღმდეგობის გადასაჭრელად იგი ავითარებს მოსაზრებას, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს: უნდა ვივარაუდოთ, რომ კანონმდებელი, მართლაც, გამოხატავს ხალხის სულს, რომლის ზეგავლენას იგი მუდამ განიცდის. კანონმდებელი ცდილობს, რომ მის მიერ დადგენილი კანონი თუ სრულ შესაბამისობაში არ იქნება ხალხის სულთან, ყოველ შემთხვევაში, არ ეწინააღმდეგებოდეს ამ უკანასკნელს. ამრიგად, ყველაფერ იმას, რაც მიღებული წესით დგინდება კანონით, სამართლის ძალა აქვს და მოქმედებს საერთო ნების სახით არა როგორც თავისი შინაარსის, არამედ თავისი გამოხატვის ფორმის შედეგად¹. აქედან ცხადია, რომ კანონმდებლის მიერ დადგენილი სამართლის ნორმები იურიდიულ მნიშვნელობას იძენენ ხალხის სულთან მათი შესაბამისობის შემოწმების გარეშე იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი გამოხატულია კანონებისათვის დადგენილი ფორმით.

სამართლის ისტორიული სკოლის მოძღვრება ყოველივე არსებულს ხალხის სულის გამოვლინებად და გონიერად მიიჩნევდა და ამდენად ამართლებდა გერმანიაში შემორჩენილ ბატონყმურ სამართალსა და სამთავროთა აბსოლუტიზმს. მაგრამ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის ისტორიულ სკოლას, რომელმაც მძლავრი ლახვარი ჩასცა ბუნებითი სამართლის მოძღვრებას და მისი კრიზისი გამოიწვია, აშკარად დაუპირისპირდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში წარმოშობილი სამართლის რეალისტური სკოლა. მართალია, სამართლის რეალისტური სკოლა არსებითად ჩამოყალიბდა სამართლის ისტორიული სკოლის მოძღვრების ცალკეულ დებულებათა კრიტიკის შედეგად, მაგრამ მან არანაკლები როლი შეასრულა ბუნებითი სამართლის მოძღვრებისათვის დამახასიათებელი ანტიისტორიზმისა და მექანიციზმის დაძლევაში.

3. სამართლის რეალისტური სკოლა

სამართლის რეალისტური სკოლის ფუძემდებლად აღიარებულია გერმანელი მეცნიერი რ. იერიინგი (1818—1892), რომელმაც თავისი წინამორბედების (ე. ჰანსი, ა. მიულენბრუნი, გ. კირულფი, რ. შმიდი და ა. შ.) მიერ სამართლის ისტორიული სკოლის კრიტიკა ბო-

¹ G. F. Puchta, Institutionen, Kapitel II, § 14; Gewahnlchtsrecht, Bd I, S. 145—161.

ლომდე მიიყვანა და შექმნა სამართლის ისტორიული და ბუნებითი სამართლის სკოლებისაგან განსხვავებული მოძღვრება სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ. რ. იერინგი სამართლის ისტორიული სკოლის ტრადიციებზე აღიზარდა და თავისი მეცნიერული მოღვაწეობის დასაწყისში სხვებთან ერთად ამ მოძღვრების მიერ წამოყენებულ დებულებებს მტკიცედ იცავდა. მაგრამ მე-19 საუკუნის 50-იან წლებში არსებითი ცვლილებები ხდება გერმანიის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ნაპოლეონის დამარცხებიდან დაწყებული, გერმანიის პოლიტიკური ცხოვრება გამოცოცხლდა, დაიწყო დაქსაქსული სამთავროების გაერთიანებისათვის ბრძოლა. კაპიტალიზმის განვითარება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, რამაც გამოხატულება პოვა გერმანიის 1848 წლის ბურჟუაზიულ რევოლუციაში. რევოლუციის დამარცხების მიუხედავად, კაპიტალიზმის განვითარების ინტერესები მოითხოვდა ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას და სამართლის უნიფიკაციას. მე-19 საუკუნიდან აქტიურად დაწყებული ბრძოლა სამთავროთა აბსოლუტიზმის ლიკვიდაციისა და ერთიანი გერმანული სახელმწიფოს შექმნისათვის წარმატებით დამთავრდა გერმანიის იმპერიის შექმნით, რამაც არსებითი ცვლილებები გამოიწვია ქვეყნის მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაში.

ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისა და სამართლის უნიფიკაციისათვის ბრძოლის ინტერესები მოითხოვდა სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ შემუშავებული მოძღვრებების კრიტიკულ გადამშუავებას და მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების შესაბამისად ახალი მოძღვრებების შექმნას. გერმანიის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის, პირველ ყოვლისა, საჭირო იყო ბუნებითი სამართლის სკოლისა და სამართლის ისტორიული სკოლის მიერ შემუშავებული შეხედულებების დაძლევა. ბუნებითი სამართლის მოძღვრების საფუძვლიანი კრიტიკა ჯერ კიდევ სამართლის ისტორიულმა სკოლამ დაიწყო. ამ კრიტიკის პროცესში ცხადი გახდა ბუნებითი სამართლის მოძღვრების ანტიისტორიზმი და მექანიციზმი. მაგრამ თვით სამართლის ისტორიული სკოლის მიერ შემუშავებული მოძღვრებაც არანაკლებ საშიში აღმოჩნდა ამ დროის გერმანული სინამდვილისათვის. სამართლის ისტორიული სკოლა ფეოდალური ჩამორჩენილობისა და ქვეყნის პოლიტიკური დეცენტრალიზაციის, ფეოდალური ურთიერთობებისა და ბატონყმური სამართლის დაცვას ემსახურებოდა და, ამდენად, ამ სკოლის მიერ შემუშავებული შეხედულებანი

ხელისშემშლელი აღმოჩნდა გერმანიის წინაშე მდგარი ამოცანების განხორციელებისათვის. საჭირო იყო ბუნებითი სამართლის მოძღვრებისა და სამართლის ისტორიული სკოლის საფუძველზე შემუშავებული დოგმატიკური იურისპრუდენციის დამატებითი ამოცანა განხორციელა რ. იერიנגის მიერ შემუშავებულმა სამართლის რეალისტურმა სკოლამ, რომელმაც სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემების კვლევისას ბუნებითი სამართლის მოძღვრების აბსტრაქტული, მარადიული სამართლიანობის უმაღლესი პრინციპებისა და სამართლის ისტორიული სკოლის მიერ წამოყენებული „ხალხის სულის“ ნაცვლად სამართლისა და სახელმწიფოს არსის ასახსნელად განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რეალურად არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ინტერესებს, რომლის განხორციელებასაც უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფო და სამართალი.

რ. იერიנגის მიერ ბუნებითი სამართლისა და სამართლის ისტორიული სკოლების კრიტიკა, აგრეთვე ამ კრიტიკის საფუძველზე მის მიერ ჩამოყალიბებული სამართლის რეალისტური სკოლის საფუძველები გადმოცემულია ნაშრომებში „მიზანი სამართალში“, „ბრძოლა სამართლისათვის“, „რომის სამართლის განვითარების ისტორია“ და „რომის სამართლის სული“¹.

რ. იერინგი ენერგიულად გამოდის სამართლის ისტორიული სკოლის წინააღმდეგ და მიუთითებს, რომ მისი მოძღვრება არის უკიდურესად მცდარი და იგი წარმოადგენს ადამიანთა გონების საბედისწერო დაბნეულობის შედეგს. ადამიანები საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად მოქმედებენ განსაზღვრული მიზნის მიხედვით, მაგრამ სამართლის ისტორიული სკოლა მათ უნერგავს მცდარ აზრს იმის შესახებ, თითქოს ყველაფერი თავისთავად ხდება, რომ საჭიროა გულხელდაკრეფილი ველოდოთ იმ შედეგს, რასაც იწვევს ყოველივე არსებულის პირველწყარო — ხალხის სული². საყურადღებოა, რომ ზემოაღნიშნული დაიწერა 1872 წელს, როცა გერმანიაში დაიწყო უდიდესი ძვრები სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. რ. იერინგი აქტიურად იბრძვის სამართლის ისტორიული სკოლის უმთავრესი დებულების, კერძოდ, ხალხის სულის შესაბამისად სამართლის ორგანული განვითარების

¹ R. von Ihering, Zweck im Recht, Bd. I, II; Kampf ums Recht, 1872; Entwicklungsgeschichte des römischen Rechts, 1894; Geist des römischen Rechts. Bd. I, II. არსებობს ამ ნაშრომების რუსული თარგმანი: Р. Иеринг, Цель в праве, т. I, СПб, 1881; т. II, СПб, 1885; Борьба за право, М., 1874.

² R. von Ihering, Kampf ums Recht, 1872, S. 10.

რების წინააღმდეგ. მას აშკარად მიუღებლად მიაჩნია საეკონომიკური-საზრება სამართლის თანდათანობითი და პარმონიული განვითარების შესახებ და აქედან გაკეთებული მისი დასკვნა იმისაა, რომ სამართალი რომ საჭიროა წარსულთან მუდმივი და განუყრელი კავშირით მედი სამართლის არსის გასაგებად. რ. იერიנגის მტკიცებით, სამართალი სრულიად არ ვითარდება ისე უმტკივნეულოდ და თავისთავად. როგორც ეს სამართლის ისტორიულ სკოლას აქვს წარმოდგენილი, პირიქით, სამართლის განვითარება დაკავშირებულია ინდივიდთა აქტიურ მოქმედებასა და პირად მონდომებასთან. იგი ურთიერთდაპირისპირებულ ინტერესთა და ვნებათა ბრძოლის თავისებურებებით განისაზღვრება, ანუ, სხვანაირად, სამართლის განვითარება და განახლება ხდება საკუთარი წარსულის უარყოფით. მცდარია ასევე საეკონომიკური მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამართლის განვითარებისათვის დამახასიათებელია განუწყვეტლობა და წარსულზე დამოკიდებულება; პირიქით, შენიშნავს რ. იერინგი, სამართალი მუდამ განიცდის ცვლილებებს: ძველი სამართალი მუდამ იცვლება ახალი სამართლით, ამიტომ საჭიროა კი არაა ქედის მოხრა არსებულისადმი, არამედ ძველისა და არსებულის კრიტიკისა და ბრძოლის გზით აუცილებელია სამართლის სრულყოფა და მისი უკეთესი ფორმების ძიება. აქედან ცხადია, რომ რ. იერინგმა სამართლის განვითარებას, მის პროგრესს, რომელსაც არც ფ. სავენი უარყოფდა, ახალი ახსნა მოუძებნა. კერძოდ, იურიდიული ნორმების ქმედითობა და ძალა მისი წარმოშობით როდი განისაზღვრება, რომლის თავისებურებასაც ფ. სავენი „ხალხის სულში“ ხედავს; სამართლის ეფექტურობას განაპირობებს ის, თუ რამდენად შესაბამეა მისი შინაარსი თანამედროვეობის მოთხოვნებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რ. იერინგი ახალგაზრდობაში სამართლის ისტორიული სკოლის ზეგავლენას განიცდიდა და იმ თვალსაზრისზე იდგა, რომ სამართლის შექმნაში კანონმდებლის როლი სრულიად უმნიშვნელოა; მისი წარმოშობა კანონმდებლის ნებაზე არაა დამოკიდებული, სამართლის გაჩენასა და მის განვითარებას განაპირობებს ხალხის სულის თავისებურებანი, მაგრამ ძალიან ადრე იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ სამართლის ისტორიული სკოლის მოძღვრება ვერ გვაძლევს მოქმედი სამართლებრივი ნორმების ქვეყნობის არსის ახსნას, რომ სამართლის ისტორიულ სკოლაზე დამყარებული იურისპრუდენცია სამართლებრივი მოვლენების კვლევისას მხოლოდ დოგმატიკური მეთოდებისა და ხერხების გამოყენებით კმაყოფილდება. იგი ნორმათა სისტემას სწავლობს ცხოვრებისაგან მოწყვეტით. რ. იერინგი ამტკიცებს, რომ

კონკრეტული სამართლებრივი მოვლენები შეიძლება მხოლოდ მაშინ იყოს გავებული სწორად, თუ გავითვალისწინებთ იმ მიზნებს, რომელთა მიღწევისთვისაც არის დადგენილი სამართლის მიზნის დადგენა შეუძლებელია საზოგადოებრივ ცხოვრებასთან მისი კავშირის გათვალისწინების გარეშე. შეუძლებელია სამართლის სისტემაში ავხსნათ მისი რომელიმე ნორმის არსებობა საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან დამოუკიდებლად. სამართლის ძალა, რომელიც იწვევს მის განვითარებას, შეუძინებლად მოქმედებს, მაგრამ მთელი სამართლებრივი მექანიზმის რთული სისტემა ნათელი ხდება საზოგადოებრივ ცხოვრებასთან მისი დაკავშირების შედეგად¹. კანონმდებელი არის სწორედ ის შემოქმედი, რომელიც ქმნის საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამისად სამართლის ნორმებს.

რომის სამართლის შესწავლის შედეგად რ. იერიჩი აკეთებს დასკვნას, რომ ყველაფერი, რაც რომის სამართალთანაა დაკავშირებული, კანონმდებლის შეგნებული შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია. ყველაფერი ის, რაც ჩვენ გვეჩვენება სამართლად, არსებობს არა როგორც ხალხის სულით განსაზღვრული სამართლებრივი რწმენა და მუდმივი სამართლიანობა, არამედ ადამიანთა შეგნებული საქმიანობის შედეგი, რომლის ხასიათი და ბუნება ემყარება განსაზღვრულ მატერიალურ საფუძველს. ამ უკანასკნელითაა განსაზღვრული არსებული სამართლის მიზანშეწონილობა და აუცილებლობა². რ. იერიჩი ამ თვალსაზრისის ნათელსაყოფად დიდი ინტერესით იკვლევს სამართლის წარმოშობის ადრინდელ საფეხურებს, კერძოდ, კაცობრიობის განვითარების იმ ეტაპს, როცა ნადირობა წესრიგდებოდა სამართლის განსაკუთრებული ნორმებით, რომლის მიხედვითაც დაცვის საშუალებას წარმოადგენდა თვითდახმარება, და მიუთითებს, რომ ყველაფერი ეს ძალიან შორსაა ფ. სავინისა და გ. პუხტას მოსაზრებებიდან სამართლის უმტკივნეულო და მშვიდობიანი განვითარების შესახებ³. საზოგადოების განვითარების ადრეული საფეხურიდან დაწყებული, სამართლის ჩამოყალიბება და განვითარება პირად ენერგიაზე, კერძოდ, კანონმდებლის მონდომებაზე დამოკიდებული.

სამართლის ისტორიული სკოლის წინააღმდეგ რ. იერიჩის ბრძოლა განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ღებულობს მე-19 საუკუნე-

¹ R. von Ihering, Kampf ums Recht, S. 6.

² R. von Ihering, Ge.st des römischen Rechts, Bd. I, S. 93—97.

³ იქვე, 23. 235.

ნის 60-იანი წლებიდან, როცა გამოქვეყნდა მისი „რომის მართლის სულის“ მესამე ტომი და „ბრძოლა სამართლისათვის“.

სამართლის ისტორიული სკოლის მთავარ შეცდომად ვი ვიხსენებდი გი თვლის იმას, რომ მისი წარმომადგენლები მთლიანად ბელუოფდენენ ადამიანთა შემოქმედებით ძალებს და ამტკიცებდნენ, რომ ზედმეტია ისტორიის მოვლენების განვითარებაში ჩარევა, ფაქტიურად ჩამოყალიბებული წესები გამძლე და ყოვლისმომკველნი არიან. არც სამართალი წარმოადგენს გამონაკლისს. სამართლის ნორმები ვითარდება შეუქმნველად და უმტკივნეულოდ, ისევე როგორც სალაპარაკო ენა, ყოველგვარი ბრძოლისა და ადამიანთა მონდომების გარეშე. რ. იერინგის აზრით, სამართლის ისტორიული სკოლის ზემოაღნიშნული მოსაზრება ეწინააღმდეგება ისტორიულ სინამდვილეს. საქმე ისაა, მიუთითებს რ. იერინგი, რომ „სამართლის წარმოდგენა შეიცავს ორ ურთიერთდაპირისპირებულ ცნებას: ბრძოლას და მშვიდობას; სამართლისათვის მშვიდობა მიზანია, ბრძოლა კი — საშუალება, სამართალში ორივე აუცილებლობით ავსებს ერთმანეთს და განუყოფლადაა გაერთიანებული“¹. სამართლის განვითარება, როგორც ბრძოლა სამართლიანობისათვის, რ. იერინგს გადმოცემული აქვს ნაშრომში „ბრძოლა სამართლისათვის“, ხოლო სამართლის მიზანი, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მშვიდობის უზრუნველყოფა, შესწავლილია მის ნაშრომში „მიზანი სამართალში“².

ბრძოლა სამართლისათვის რ. იერინგს წარმოდგენილი აქვს, როგორც მშვიდობის მიღწევისა და უსამართლობის აღმოფხვრის საშუალება. ყოველგვარი სამართალი საზოგადოებას მოპოვებული აქვს ბრძოლით, სამართალი ლოგიკური ცნება კი არა, მხოლოდ ძალის ცნებაა, რომლის შინაარსს განსაზღვრავს სამართლიანობის ძლიერება: „ყოველი სამართალი სამყაროში ბრძოლითაა მოპოვებული... თითოეული სამართალი, იგი იქნება ხალხის სამართალი თუ ცალკეული პირის სამართალი, მიზნად ისახავს თვითდაცვას. სამართალი ლოგიკური ცნება კი არა, ძალის ცნებაა. ამიტომაც სამართლიანობას გამოხატავენ ერთ ხელში სასწორით, რომლითაც იწონება სამართალი, მეორეში კი მახვილით, რომელიც იცავს მას. მახვილი სასწორის გარეშე აშკარა ძალადობა იქნებოდა, სასწორი

¹ Р. Иеринг, Борьба за право, М., 1974, с. 11.

² R. von Ihering, Kampf ums Recht, 1872; Zweck im Recht, Bd. I, 1880, Zweck im Recht, Bd. II, 1884. არსებობს რ. იერინგის ამ ნაშრომების რუსული თარგმანი: Р. Иеринг, Борьба за право, М., 1874; მისივე, Р. Иеринг, Цель в праве, СПб., 1881.

მახვილის გარეშე კი — სამართლის უსუსურება. ორივე ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და სრულყოფილი სამართლებრივი მხოლოდ იქ ბატონობს, სადაც სამართლიანობის ძალა უპრობლემოდ წარმართული, შეეფარდება იმ სიზუსტეს, რომელიც სასწორითაა უზრუნველყოფილი“¹.

თუ გადავხედავთ მთელ სამართლებრივ ცხოვრებას, მიუთითებს რ. იერიנגი, დავინახავთ, რომ იგი წარმოადგენს მთელი ერისა და ხალხის მუდმივი ბრძოლის შედეგს როგორც ეკონომიკურ, ისე გონებრივ სფეროებში, თითოეული ინდივიდი, რომელიც იძულებულია დაიცვას თავისი სამართალი, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ამ ბრძოლაში, თავისი წვლილი შეაქვს ამქვეყნად სამართლებრივი იდეის განხორციელებაში. რ. იერინგი შენიშნავს, რომ ეს მოთხოვნა არ ვრცელდება ყველა თაობის ინდივიდებზე. საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე უბრძოლველად მიმდინარეობს სამართლებრივი ცხოვრება. თუ ამ ეპოქის ადამიანებს ვეტყვი, რომ სამართალი არის ბრძოლა, რა თქმა უნდა, ისინი ვერ გაგვიგებენ, რადგანაც მათ სამართალი წარმოდგენილი აქვთ, როგორც მშვიდობისა და წესრიგის მდგომარეობა. და მართლაც, საკუთარი გამოცდილებით ისინი ისევე მართალნი არიან, როგორც მართალი იქნება მდიდარი მემკვიდრე, რომელსაც უშრომლად წილად ჰვდა სხვისი შრომის შედეგი და ამით სადავო გახდება დებულება იმის შესახებ, რომ საკუთრება შრომის შედეგია. მაგრამ, შენიშნავს რ. იერინგი, როცა ვამბობთ, რომ სამართალი ხალხის ბრძოლის შედეგია, მხედველობაში გვაქვს, რომ საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე ხალხი ბრძოლით ქმნის სამართალს, რომელიც შემდეგი თაობის ადამიანების ზედრი ხდება ისევე, როგორც იბღიან მემკვიდრეს სხვისი დაუღალავი ბრძოლითა და შრომით შექმნილი სიმდიდრე: „მშვიდობის ხანგრძლივი პერიოდი, მისი მუდმივად არსებობის შესაძლებლობათა რწმენა მანამდე ზეიმობს, სანამ ქვეყნის პირველი გასროლა არ გაუფანტავს ტკბილ ძილს და ერთი თაობის ადგილზე, რომელიც უშფოთველად ტკებოდა მშვიდობით, არ მოვა მეორე, რომელმაც მძიმე ბრძოლის პირობებში ხელმეორედ უნდა მოიპოვოს იგი“².

რ. იერინგს კარგად ესმის, რომ სამართალი თავისთავად არ ხორციელდება, ისევე როგორც იგი არ იქმნება თავისთავად, უმტკივნეულოდ, როგორც ამას სამართლის ისტორიული სკოლის

¹ R. von Ihering, Kampf ums Recht, S. 15.

² იქვე, გვ. 13.

წარმომადგენლები ამტკიცებდნენ. მისი მტკიცებით, სამართლი იქმნება ბრძოლით, მაგრამ სამართალს ახორციელებს სახელმწიფო, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებაში სამართლებრივი წესრიგის დაცვას. სახელმწიფოს მიერ სამართლებრივი წესრიგის დაცვა არაფერია, თუ არა განუწყვეტელი ბრძოლა იმ უკანონობის წინააღმდეგ, რომელიც სამართალს დარღვევით ემუქრება. ამრიგად, არა მარტო სამართალი იქმნება ბრძოლით, არამედ სამართლის რეალიზაცია საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმოებს ბრძოლით. სახელმწიფოს ბრძოლა სამართლის რეალიზაციისათვის, კერძოდ, სახელმწიფოს ბრძოლა უკანონობისაგან სამართლის დასაცავად, ნიშნავს, ჯერ ერთი, საზოგადოების განსაზღვრული თაობის მიერ ბრძოლით მოპოვებული სამართლის დაცვას და მის განუხრელ განხორციელებას, მეორე, არსებული სამართლის ყოველდღიურ განახლებას, რითაც ხორციელდება სამართლის თანდათანობითი განვითარება.

იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს რ. იერინგი, რომელიც აღიარებს სამართლის თანდათანობით განახლებას და მის შინაგან, ორგანულ განვითარებას, იმეორებს სამართლის ისტორიული სკოლის ანალოგიურ დებულებას, მაგრამ სინამდვილეში რ. იერინგს სამართლის ორგანული განვითარების ცნება სხვა შინაარსით აქვს გამოხატული. რ. იერინგი მიუთითებს, რომ სამართლის ისტორიულ სკოლას სამართლის ორგანული განვითარება დამყარებული აქვს იმ ფაქტორებზე, რომლებიც სამართლის შექმნაში უმნიშვნელო როლს ასრულებენ. სამართლის ისტორიული სკოლის აზრით, რომის სამართლის დებულებები, რომ მარწმუნებელს შეეძლო ვალგადაუხდელი მევალე მონად გაეყიდა, ანდა ნივთის მფლობელს შეეძლო მოეთხოვა თავისი ნივთი ყველასაგან, ვისაც ეს ნივთი აღმოაჩნდებოდა, ჩამოყალიბდა ძველ რომში სამართლის ნორმებად ისევე, როგორც ჩამოყალიბდა ლათინურში დადგენილი ნორმა, რომლის მიხედვითაც cum აწარმოებს მოქმედებით ბრუნვას.

რ. იერინგი წერს: „თავის დროზე სამართლის წარმოშობის შესახებ მე თვითონ ამ შეხედულებით დავამთავრე უნივერსიტეტი და დიდხანს მის ზეგავლენას ვანვიციდიდი. მაგრამ შეიძლება ამ შეხედულებას ჰქონდეს ჰემარიტების პრეტენზია?“¹ და ამ კითხვას იგი უარყოფითად პასუხობს. მართალია, სამართალს, აღნიშნავს რ. იერინგი, ისევე როგორც ენას, ახასიათებს შინაგანი, ორგანული განვითარება, მაგრამ ამ გზით წარმოიშობა მხოლოდ

¹ Р. Иеринг, Борьба за право, М., 1874, с. 15.



ისეთი სამართლებრივი ნორმები, რომლებსაც მეცნიერება ქმნის ადრეებიდან და მოქმედი სამართლის საფუძველზე ანალოგიურად გზით გაკეთებული დასკვნებიდან, მაგრამ სამართლის უმთავრესი შემოაღნიშნული ფაქტორების მოქმედება შეზღუდულია, მათ შეუძლიათ სამართლის განვითარება წარმართონ მხოლოდ არსებული გზით, დაეხმარონ მოქმედ სამართალს სრულყოფაში, მაგრამ მათ არ ძალუძთ გაარღვიონ კანონი, რომელიც ხელს უშლის იმას, რომ ახალი მიმართულება მისცეს მოზღვავებულ ნიაღვარს. იგი შეუძლია გააკეთოს მხოლოდ კანონმა, ე. ი. სახელმწიფო ხელისუფლების წინასწარ განზრახულმა და ამ მიზნით წარმართულმა მოქმედებამ და, მაშასადამე, ეს შემთხვევა კი არაა, არამედ ღრმა, სამართლის არსში ფესვგადგმული აუცილებლობა, რომლის ძალითაც კანონის მოქმედებამდეა დაყვანილი ყველა რეფორმა, რომლებიც ეხება სასამართლო წარმოებას, ასევე მატერიალურ სამართალს¹.

ამრიგად, სამართლის ისტორიული სკოლის წარმომადგენლების აზრით, სამართლის შინაგანი, ორგანული განვითარება ნიშნავს სამართლის ნორმების წარმოშობას გარედან ჩარევის გარეშე, შეუმჩნეველად, უმტკივნეულოდ მათ ჩამოყალიბებას, ისე როგორც ყალიბდება სალაპარაკო ენის ნორმები. რ. იერინგის აზრით კი, სამართლის შინაგან, ორგანულ განვითარებას განსაზღვრავს სახელმწიფოს წინასწარგანზრახული, გარკვეული მიზნის მისაღწევად წარმართული საქმიანობა ანუ, სხვაგვარად, სამართალი არსებითად იქმნება სახელმწიფოს საკანონმდებლო საქმიანობით.

სახელმწიფოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობა, რ. იერინგის აზრით, რომელიც წინასწარ დასახული მიზნის მიღწევისკენაა მიმართული, მუდმივი ბრძოლაა, რომლის პროცესში იქმნება სამართალი. სამართალი არის ახლის ძიება, კაცობრიობის ისტორიაში მომხდარი ყველა გარდაქმნა (მონობის მოსპობა, ბატონყმური ურთიერთობების გაუქმება, საკუთრების, რწმენის და ა. შ. თავისუფლებანი), როგორც საზოგადოების უდიდესი მონაბოვარნი, არ შეიძლება არ აისახოს სამართალში; კერძოდ, ყველა ისტორიული მოვლენა სამართალში ბრძოლით პოულობს გამოხატულებას. სამართალი დიდი სოციალური ტკივილების შედეგია, მაგრამ ამავე დროს მხოლოდ იგი უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მტკიცე მშვიდობას. რ. იერინგი წერს: „შეიძლება დანამდვილებით ვამტკიცოთ: თავისი სამართლისადმი ხალხის სიყ-

¹ Р. Иеринг, Борьба за право, с. 15.

ვარულისა და ერთგულების ხარისხი, რომლითაც იგი იცავს მას. განისაზღვრება მხოლოდ იმ მონდომებითა და ბრძოლით, რომლითაც მან მოიპოვა ეს სამართალი. არა უბრალო ჩვეულებული ხალხის მიერ გაღებული მსხვერპლი ქმნის მჭიდრო კავშირს სამართალსა და ხალხს შორის“¹.

სამართლისათვის ბრძოლა, რომლის პროცესში ყალიბდება სამართალი, არ განისაზღვრება მხოლოდ სახელმწიფოს საკანონმდებლო საქმიანობით, სამართლისათვის ბრძოლა ნიშნავს იმ მიზნის მიღწევას, რომელსაც სახელმწიფო ისახავს. რ. იერინგის მტკიცებით, სამართლის ისტორიული სკოლის მიერ წამოყენებული სამართლის ორგანული (შინაგანი) განვითარების თეორია, როგორც ხალხის სულის უშუალო გამოხატულება, სრულებით ვერ გვაძლევს წარმოდგენას სამართლის შინაარსზე. ექვს არ იწვევს, რომ სამართალი ყალიბდება კონკრეტული ეპოქის საჭირობოტოტო სოციალური პრობლემებით განპირობებულ ბრძოლაში ანუ, სხვა-ნაირად, სამართლის წარმოშობის ერთადერთ უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს ადამიანთა მიერ შეცნობილი მიზნები, რომელთა მიღწევას ისინი ისახევენ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამრიგად, სამართლის შესახებ სავინის, პუხტასა და ჰუგოს მიერ წამოყენებული ორგანული თეორიის ნაცვლად რ. იერინგმა თავის ნაშრომში „მიზანი სამართალში“, რომელიც ორ ტომად გამოქვეყნდა, წამოაყენა ტელეოლოგიური თეორია².

სამართლის რეალისტური თეორიის ფუძემდებლის — რ. იერინგის მიერ შემუშავებული ტელეოლოგიური მოძღვრების მიხედვით, „სამყაროში თავისთავად არაფერი ხდება (causa sui), პირიქით, ყველაფერი, რაც ხდება, ე. ი. გრძნობად სამყაროში ყოველგვარი ცვლილება წარმოადგენს სხვა, წინამავალი ცვლილებების შედეგს. ამ ლოგიკურად აუცილებელ და ცდით დამტკიცებულ ფაქტს ჩვენ, როგორც ცნობილია, მიზნობრიობის კანონს ვუწოდებთ“³. რ. იერინგის აზრით, მიზეზობრიობის კანონი ზემოქმედებას ახდენს ნებაზეც, რომელიც თავისთავად, რაიმე საფუძვლის გარეშე არ ვლინდება ურთიერთობებში. ნებას, ისევე როგორც ბუნებას, ესაჭიროება საფუძველი, მაგრამ „ბუნებაში ამ საფუძველს აქვს მექანიკური ხასიათი: მიზეზი (causa efficiens); ნებისათვის კი ამ საფუძველს აქვს ფსიქოლოგიური ხასიათი: მიზანი

¹ Р. Иеринг, Борьба за право, с. 20.

² Р. Иеринг, Цель в праве, т. I, СПб, 1881; его же, Цель в праве, т. II, СПб, 1884.

³ Р. Иеринг, Цель в праве, т. I, с. 1.

(causa finalis). ქვა მიწაზე ეცემა არა იმიტომ, რომ იგი უნდა ჩამოვარდეს, არამედ იმიტომ, რომ იგი უნდა ჩამოვარდეს, ე. ი. იმიტომ, რომ მას მოცემულ შემთხვევაში არა აქვს სურვილი წერტილი; ადამიანი კი, რომელიც მოქმედებს, ამ მოქმედებას ასრულებს არა იმისათვის, არამედ იმიტომ, რომ, — იმიტომ, რომ მოქმედებით ამა თუ იმ შედეგს მიიღწიოს. აი, სწორედ, „იმიტომ, რომ“ ისევე აუცილებელია ნებისათვის, როგორც ქვისათვის „იმიტომ, რომ“; იმდენად შეუძლებელია ქვის მოძრაობა მიზეზის გარეშე, რამდენადაც მცირე შესაძლებლობა არსებობს მიზნის გარეშე ნების მოძრაობისათვის. პირველ შემთხვევაში ლაპარაკია მექანიკურ, მეორე შემთხვევაში კი მიზეზობრიობის ფსიქოლოგიურ კანონებზე¹. რ. იერინგი მიზეზობრიობის ფსიქოლოგიურ კანონს უწოდებს მიზნობრივ კანონს, ხოლო მიზეზობრიობის მექანიკურ კანონს — მიზეზობრივ კანონს. მიზეზობრიობის კანონი, მიუთითებს რ. იერინგი, შეიძლება გამოიხატოს ფორმულით: არ არსებობს შედეგი მიზეზის გარეშე, მიზნობრივი კანონი კი მიუთითებს: არ არსებობს ნდობა ანუ, რაც იგივეა, მოქმედება მიზნის გარეშე. მიზეზობრიობის კანონის მოქმედებისას, საგანი პასიურ მდგომარეობაში რჩება. რაც შეეხება მიზნობრივ კანონს, მისი შემოქმედება ცოცხალ არსებებზე იწვევს ამ უკანასკნელთა მოქმედებას. მიზეზი განეკუთვნება წარსულის სფეროს, მიზანი კი — მომავალს. რა დამოკიდებულებაშიც უნდა იყოს მიზანი მოქმედებასთან, სულ ერთია, მოქმედება უმიზნოდ წარმოადგენს უაზრობას. წინასწარგანუზრახველი და არაცნობიერი მოქმედებებიც უმიზნოდ არ ხდება, მაგალითად, ჩვევების შემოქმედებით გამოწვეული მოქმედებანი, რომლის პირველდაწყებითი მიზანი ამ მოქმედებების შესრულების შემდეგ ხდება ცხადი. ამრიგად, მოქმედება მიზნის გარეშე ისეთივე უაზრობაა, როგორც შედეგი მიზეზის გარეშე.

მიზანი წარმართავს არა მარტო ადამიანთა, არამედ ცხოველთა ნებასაც, მაგრამ მათ შორის განსხვავება ისაა, რომ „ცხოველს შეუძლია იმოქმედოს მხოლოდ საკუთარი თავის სასარგებლოდ, ადამიანი კი მოქმედებს სხვების სასარგებლოდაც“². უამისოდ, შენიშნავს რ. იერინგი, მთელი ჩვენი ყოფიერება მოკლებული იქნებოდა ყველაზე დიადსა და კეთილშობილურს: სათნოებას, სიყვარულს, მეგობრობას და ა. შ. ასეთ შემთხვევაში ადამიანი

¹ Р. Иеринг, Цель в праве, т. I, с. 2.

² იქვე, გვ. 24.

საკუთარ მიზანს უკავშირებს სხვის ინტერესებსაც, ამ კანონობიერებაზეა დამყარებული ადამიანთა მთელი ცხოვრება, რომელიც ვლინდება ისეთ საზოგადოებრივ გაერთიანებებში, როგორც ხელმწიფო, საზოგადოება და ა. შ. ადამიანთა ყველა გაერთიანებაში არ პოულობს გამოხატულებას მიზანი, თუმცა ყველა გაერთიანების წევრს აქვს საკუთარი ინტერესი. აქედან გამომდინარე, რ. იერიנגი ახდენს მიზნის კლასიფიკაციას. მისი წარმოდგენით, არსებობს არაორგანიზებული და ორგანიზებული მიზანი. ორგანიზებულია მიზანი, რომლის განხორციელებისათვის არსებობს განსაკუთრებული აპარატი, რაც დაფუძნებულია მიზნის მიხედვით გაერთიანებულ წევრთა მტკიცე კავშირზე. არაორგანიზებულია ისეთი მიზანი, რომელიც განხორციელებისათვის არ საჭიროებს ასეთ აპარატს და დამოკიდებულია ცალკეულ თავისუფალ პირთა ინტერესებსა და გადაწყვეტილებებზე. არაორგანიზებული მიზნის მქონე გაერთიანებათა მაგალითად შეიძლება დავასახელოთ პოლიტიკური პარტიები, ხოლო ორგანიზებული მიზნის მქონე გაერთიანებები საზოგადოებრივ ცხოვრებაში მრავალია, რომელთაგან იერარქიულად ყველაზე მაღალია სახელმწიფო, რადგან მის მიერ დასახული ორგანიზებული მიზნის მისაღწევად სახელმწიფო იყენებს ისეთ ძლიერ იარაღს, როგორცაა სამართალი. სახელმწიფო და სამართალი განუყოფელია: „სამართალი სახელმწიფოს გარეშე მცდარ გზაზე იმყოფება. სამართალი, რისკენაც იგი მიისწრაფვის, მხოლოდ სახელმწიფოში პოულობს ძალით უმაღლეს ბატონობას“¹. მაგრამ ადამიანის მოქმედება წარმოუდგენელია ინტერესის გარეშე. ამ ინტერესს განსაზღვრავს: პირველი, საკუთარი ეგოისტური მიზანი და, მეორე, სხვისი, კერძოდ, საზოგადოების მიზანი. სამართალი წარმართავს ადამიანთა საქმიანობას და ემსახურება ინდივიდთა, როგორც საკუთარ, ასევე სხვა ინდივიდთა (საზოგადოების), ინტერესებს. საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ სოციალურ მექანიზმს ქმნის ამ მიზნების ერთობლიობა. საზოგადოების განვითარებას საფუძვლად უდევს ამ მიზნების რეალიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს საყოველთაო მშვიდობას. ამდენად, ინდივიდთა ზემოაღნიშნული მიზნების განხორციელების შედეგად საზოგადოებაში იქმნება სტაბილური მდგომარეობა, რაც გამოიხატება შემდეგში: „თითოეული ცალკე პირი არსებობს მშვიდობისათვის და მშვიდობა — ცალკეული პირისათვის“².

¹ Р. Иеринг, Цель в праве, т. I, с. 228.

² იქვე, 83-73.



რ. იერინგი შენიშნავს, რომ, რა თქმა უნდა, თავის ეკონისტურ ანუ საკუთარ ინტერესებს ადამიანი ახორციელებს ძალად და უბრალო მიზეზის გამო, რომ მხოლოდ ამ შეიძლება საკუთარი ინტერესებისა და სარგებლობის მიღწევა, მაგრამ საზოგადოების სასარგებლო ინტერესებისა და მიზნების განსახორციელებლად ადამიანთა მოქმედება განპირობებულია განსაკუთრებული სამართალზე მოქმედებითი ძალით, რომელსაც წახალისება და იძულება ეწოდება. ამდენად, „სახელმწიფო არის საზოგადოება, სამეფო, იძულებითი ძალით რეგულირებული და დისციპლინირებული“¹. ამასთან, რ. იერინგი გვაძლევს თვით სამართლის განსაზღვრას: „იძულების დისციპლინა არის სამართალი, — ძირითად ქცევის წესთა ერთობლიობა, რომლითაც საზოგადოება და სახელმწიფო... ახორციელებს თავის საქმიანობას“². რ. იერინგს კარგად აქვს შეგნებული, რომ ეს განსაზღვრა სრულყოფილად ვერ ამოუწურავს სახელმწიფოს არსს, მაგრამ იგი, იბრძვის რა სამართლის ისტორიული სკოლის წინააღმდეგ, რომელიც მთლიანად უგულებელყოფდა სახელმწიფოს როლს სამართლის შექმნაში, განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოგვიდგენს სახელმწიფოს როგორც ერთადერთ სამართალშემოქმედ ძალას საზოგადოებაში. სახელმწიფოს, მიუთითებს რ. იერინგი, მრავალი მიზანი აქვს, მაგრამ ყველაზე მაღლა დგას სამართლის შექმნის მიზანი. სახელმწიფოს „რამდენი მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი მიზანიც არ უნდა ჰქონდეს... არის ერთი მიზანი, რომელიც ყველა მიზანზე მაღლა დგას, რომელიც მისთვის მუდამ დამახასიათებელია, სახელდობრ, სამართლებრივი მიზანი — სამართლის განვითარება და უზრუნველყოფა... სამართალზე ზრუნვა და მფარველობა, ე. ი. სოციალური იძულებითი ხელისუფლების მართვა შეადგენს სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს სასიცოცხლო ფუნქციას“³. სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოება, რომელსაც გააჩნია იძულების უნარი, ანუ, სხვანაირად, იმისათვის, რომ საზოგადოებას ჰქონდეს იძულების უნარი, იგი სახელმწიფოს ფორმასღებულობს და, ამრიგად, სახელმწიფო, როგორც ამოქმედებული საზოგადოება, წარმოადგენს სოციალური იძულების ორგანიზაციას.

¹ Р. Иеринг, Цель в праве, т. I, с. 228.

² იქვე, გვ. 229.

³ იქვე.

ამრიგად, რ. იერინგის აზრით, სახელმწიფოს უპირველესი ამოცანაა სოციალური იძულებითი ხელისუფლების ორგანიზაცია, მაგრამ ამ უკანასკნელს ორი მხარე გააჩნია: პირველი, ხელისუფლების გარეგნული მექანიზმის დადგენა და, მეორე, მისი გამოყენების დისციპლინა. ხელისუფლების გარეგნული მექანიზმის დადგენას ემსახურება სახელმწიფო ხელისუფლება, რაც შეეხება სახელმწიფო ხელისუფლების გამოყენების დისციპლინას, იგი დგინდება და ხორციელდება სამართლით. მათი უერთმანეთოდ წარმოდგენა შეუძლებელია: „სახელმწიფო ხელისუფლებას ესაჭიროება სამართალი, ხოლო ამ უკანასკნელისათვის აუცილებელია სახელმწიფო ხელისუფლება“¹.


სახელმწიფო ხელისუფლება უმაღლესი და შეუზღუდველია საზოგადოებაში, იგი არის სოციალური იძულების ორგანიზაციის გამოხატულების გარეგანი ფორმა. რაც შეეხება სამართალს, იგი წარმოდგენას გვაძლევს საზოგადოებაში სოციალური იძულების ორგანიზაციის შინაგან ფორმაზე. რ. იერინგის აზრით, „სამართალი არის სახელმწიფოში მოქმედი იძულებითი ნორმების ერთობლიობა... იგი შეიცავს ორ მომენტს: ნორმებს და მათ განხორციელებას იძულებით“². აქედან გამომდინარე, რ. იერინგი ავითარებს მოსაზრებას, რომელიც არსებითად მიმართულია სამართლის ისტორიული სკოლის წინააღმდეგ, კერძოდ, მისი აზრით, მხოლოდ სახელმწიფო ქმნის სამართალს: „მხოლოდ საზოგადოების მიერ დადგენილი ისეთი ნორმები იმსახურებენ სამართლის ნორმების სახელწოდებას, რომელთაც შედეგად მოსდევს იძულება, ანდა რამდენადაც, ზემოაღნიშნულის თანახმად, მხოლოდ სახელმწიფოს ეკუთვნის იძულების მონოპოლია, მათ შედეგად მოსდევს სახელმწიფო იძულება. ამით, implicite ნათქვამია, რომ სამართლებრივი ნორმები ეწოდება მხოლოდ ისეთ ნორმებს, რომლებიც განპირობებულია სახელმწიფოს მხრივ ამგვარი შედეგებით, ანდა სახელმწიფო არის სამართლის ერთადერთი წყარო“³.

რ. იერინგი მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნულს სრულებით არ ეწინააღმდეგება ის, რომ ზოგიერთი ვაერთიანება (ეკლესია, სხვადასხვა კავშირები და ა. შ.) ადგენს სამართლის ნორმებს, რადგანაც ამ უკანასკნელთა სამართალშემოქმედებითი საქმიანობის

¹ Р. Иеринг. Цель в праве, т. I, гл. 231.

² იქვე, გვ. 238.

³ იქვე.



იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს მათთვის სახელმწიფოს ვერ/ მინიჭებული საამისო უფლებები. მხოლოდ სახელმწიფოს კერძო/ ტენციას შეადგენს სამართლის დადგენა, რადგანაც უფლებები ნორმების დადგენით, სახელმწიფო ხელისუფლება, ძალა იქცევა სამართლად ანუ, სხვაგვარად, სამართლის შექმნა ხდება ძალის, ხელისუფლების თვითშეზღუდვის გზით. მაგრამ ამ რთული პროცესის გაგება მოითხოვს პასუხს შემდეგ კითხვებზე: რით ხელმძღვანელობს სახელმწიფო ხელისუფლება, როცა ადგენს სამართალს — სამართლის ნორმის დადგენით ზღუდავს თავის თავს და იგი ხელს უშლის სახელმწიფო ხელისუფლების ძლიერებას, თუ, პირიქით, უფრო მეტად აძლიერებს მას?

რ. იერიנגის აზრით, ხელისუფლება და ძალა თუ თავის თავს არ შეზღუდავს ნორმებით, სამართლამდე ვერ ამაღლდება. საქმე ისაა, რომ ხელისუფლება, ძალა სხვათა მოქმედებას ხელმძღვანელობს დადებითი ან უარყოფითი ბრძანებებით, რომელიც წარმოადგენს ხელისუფლების, ძალის სავალდებულო მითითებებს მოქმედების ან უმოქმედობის შესახებ. ძალა შეიძლება განხორციელდეს მისი სამგვარი ბრძანებით: პირველი, ინდივიდუალური ბრძანება; მეორე, აბსტრაქტული ბრძანება; მესამე, ერთმხრივი და ორმხრივი სავალდებულო ძალის ბრძანებები. რ. იერინგი მიუთითებს, რომ „ასეთი დაყოფა ამოწურავს როგორც ზოგადი ბრძანებების, ასევე სახელმწიფო ხელისუფლების ბრძანებების ყველა შესაძლებელ სახეს; იგი წარმოადგენს ლოგიკურ საფეხურს, რომლითაც სახელმწიფო ხელისუფლების ბრძანება ამაღლდება სამართლამდე“¹. უნდა შევნიშნოთ, რომ რ. იერინგი ისეა გატაცებული სამართლის ისტორიული სკოლის კრიტიკით, კერძოდ, იმის დამტკიცებით, რომ სამართალს მხოლოდ სახელმწიფო ქმნის, რომ როგორც მისი ზემოაღნიშნული მოსაზრებიდან ჩანს, სახელმწიფოსა და სამართალს ერთდროულად და ერთი და იმავე ფაქტორებით წარმოშობილ სოციალურ მოვლენებად კი არ თვლის, არამედ, მისი მტკიცებით, სახელმწიფო, როგორც ძალა, ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ამ ძალამ სამართლის დადგენით თავისი თავი შეიზღუდა საზოგადოებრივი პროგრესით გამოწვეული მიზეზების გამო. ხელისუფლება, ძალა, როცა სამართალი არ არსებობდა, ინდივიდუალური ბრძანებების მიხედვით ახორციელებდა ცალკეულ პირთა მოქმედებაზე კონტროლს. ხელისუფლების ინდივიდუალური ბრძანებები განეკუთვნება ყოველ ცალკეულ შემთხვევას, რომლის

¹ Р. Иеринг, Цель в праве, т. I, с. 242.

შემდეგ იგი ძალას კარგავს. მაგრამ „ინდივიდუალური ბრძანებები“ აღძრული ინტერესები ჩვენი ჭეშმარიტი მიზნისადმი იმაში მდგომარეობს, რომ ეს ბრძანებები წარმოადგენენ პირველ საფეხურს, რომელსაც მივყავართ ნორმისაკენ. ისტორიას მოუნახავს ამ საფეხურის წინანდელი არსებობის კვალი; მაგრამ ყველა, ვინც ჩემთან ერთად არ ირწმუნებს საზოგადოების პირველყოფილ სამართლებრივ მდგომარეობას და ცალკეული პირის უპირატესი ხელისუფლებიდან გამომდინარე შეეცდება მივიდეს სამართლის შესახებ ცნებამდე, აუცილებლად უნდა აღიაროს ინდივიდუალური ბრძანება ხელისუფლების გამოვლენის თავდაპირველ ფორმად¹.

საზოგადოების განვითარების შედეგად ხელისუფლების, ძალის განხორციელებაში ინდივიდუალური ბრძანებები ადვილს უთმობს აბსტრაქტულ ბრძანებებს, სამართალს. მისი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ „ინდივიდუალური ბრძანება ხელისუფლებას წარმოგიდგენს განუწყვეტელი საქმიანობის მდგომარეობაში; აბსტრაქტული კანონი, ნორმა ხელისუფლებას წარმოგიდგენს სიმშვიდის მდგომარეობაში, ერთი ნორმა ხელისუფლებისათვის ცვლის ათას ინდივიდუალურ ბრძანებას და ბრძანებების პრაქტიკული გამოყენებისათვის ზრუნვა როგორც ერთ, ასევე მეორე შემთხვევაში ერთნაირ აუცილებლობას წარმოადგენს... საკუთარი ინტერესი უკარნახებს ხელისუფლებას, ნაკლებად სრულყოფილი ფორმა შეცვალოს აბსტრაქტული ბრძანების ფორმით, ე. ი. სამართლის ფორმით, ეგოიზმი აიძულებს ხელისუფლებას, დაადგეს სამართლის გზას. ამრიგად, პროგრესი განაპირობებს ნორმის, კანონისა და სამართლის შესახებ ცნებების წარმოშობას“².

მართალია, სახელმწიფო ადგენს სამართლის ნორმებს, მაგრამ რ. იერიინგი ირკვევს საკითხს იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულებაშია სამართლის დამდგენი სახელმწიფო ხელისუფლება მის მიერ შექმნილი ნორმის მიმართ, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ვალდებულია თუ არა სახელმწიფო ხელისუფლება, დაემორჩილოს მის მიერ დადგენილ სამართლის ნორმის ბრძანებებს. რ. იერიინგა მტკიცებით, არსებობს ორი სახის სამართლის ნორმა, კერძოდ, ერთმხრივ-მავალდებულებელი და ორმხრივ-მავალდებულებელი, რომელთაც საკუთარი გამოყენების სფერო აქვთ.

¹ Р. Иеринг, Цель в праве, т. I, с. 248.

² იქვე, გვ. 249—250.



ერთმხრივ-მაგალდებულელებელი სამართლებრივი ნორმების მიმართ
 დების სფერო შეზღუდულია, მისი ბრძანებები ვრცელდება მხოლოდ
 ლოდ ქვეშევრდომებზე. რაც შეეხება სახელმწიფო ხელისუფლებას
 რომელიც ამ ნორმებს ადგენს, მასზე იგი არ ვრცელდება, სახელ-
 მწიფო ამ შემთხვევაში დგას სამართალზე მაღლა. ამის მაგალითად
 რ. იერინგი ასახელებს დესპოტურ სახელმწიფოს. რაც შეეხება ორ-
 მხრივ-მაგალდებულელებელ სამართლის ნორმებს, ისინი ერთნაირად
 ვრცელდება ყველა სამართლის სუბიექტზე, მათ შორის სამართ-
 ლის დამდგენ სახელმწიფო ხელისუფლებაც. ასეთ საზოგადო-
 ებაში ადგილი არ ექნება თვითნებობასა და ძალადობას, იბატონებს
 ე.წ. სამართლებრივი სახელმწიფო. მაგრამ როგორ ხდება, რომ
 სამართლის შემქმნელი სახელმწიფო ხელისუფლება თვითონ
 ემორჩილება მის მიერ შექმნილ სამართლის ნორმებს, მაშინ როცა
 სახელმწიფო ხელისუფლება უმაღლესია საზოგადოებაში ანდა,
 სხვანაირად რომ ვთქვათ, სასარგებლოა თუ არა სახელმწიფოს ამ-
 გვარი თვითშეზღუდვა?

ამ საკითხზე პასუხის ვასაცემად რ. იერინგს მეცნიერულ მსჯე-
 ლობაში შემოაქვს შემდეგი სამი მცნება: მოტივი, გარანტია და
 სახელმწიფო ხელისუფლების თვითშეზღუდვის საზღვრები კანონით.
 რ. იერინგის მტკიცებით, მოტივს, რომელიც აიძულებს სახელ-
 მწიფოს თავისი საქმიანობა დაუკავშიროს კანონს, წარმოადგენს
 საკუთარი ინტერესი. სახელმწიფო ქმნის სამართალს „იმიტომ, რომ
 იგი იმ რწმენამდე მიდის, რომ ამას მოითხოვს მისი საკუთარი გო-
 ნიერად აღქმული ინტერესი. მებაღე ზრუნავს მის მიერ დარგულ
 მცენარეზე, ხელისუფლებაც ზრუნავს სამართალზე. ამას ისინი
 აკეთებენ არა მცენარის ან სამართლის გულისათვის, არამედ საკუ-
 თარი ინტერესებისათვის. მათ შეგნებული აქვთ, რომ ნაყოფის
 მიღების თაობაზე იმედის ასრულებამდე საჭიროა მზრუნველობა,
 ყურადღებიანი მოპყრობა და ნაყოფი ანაზღაურებს მათ შრომა-
 გარჯას. მხოლოდ იქ, სადაც სახელმწიფო ხელისუფლება თვითონაც
 ემორჩილება მის მიერ დადგენილ წესრიგს, ეს უკანასკნელი დებუ-
 ლობს საბოლოო სამართლებრივ სიმტკიცეს. მხოლოდ სამართლის
 ბატონობისას ყვავის ეროვნული კეთილდღეობა, ვაჭრობა და
 ხელოსნობა, სრულად ვითარდება ხალხისათვის დამახასიათებელი
 ინტელექტუალური და ზნეობრივი ძალები“¹.

რ. იერინგის აზრით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამართლის
 რეალიზაციის გარანტიას წარმოადგენს მართლშეგნება და იუსტი-

¹ Р. Иеринг, Цель в праве, т. I, с. 274.

ცია. მართლშეგნება არსებობს სამართლის წარმოშობამდე და იგი სრულ განვითარებას აღწევს სამართლის დადგენის შემდეგ. სამართლის წარმოშობამდე მართლშეგნება გამოიხატება თემურ ცნობებში, სადმი პირთა მისწრაფებაში, კერძოდ, იმის რწმენაში, რომ შემდეგ დობა და უშიშროება საზოგადოებაში შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სამართლის საშუალებით. სამართლის დადგენის შემდეგ მართლშეგნება გამოიხატება იმ წარმოდგენებსა და გრძობებში, რომლებიც განამტკიცებს მოქმედი სამართლის განუხრელი განხორციელების აზრს.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამართლის რეალიზაციის სხვა საშუალებას წარმოადგენს იუსტიცია, რომელიც რ. იერიנגს ფართოდ აქვს გაგებული. მისი აზრით, იუსტიცია, როგორც სამართლის განხორციელების გარანტია, გულისხმობს შემდეგი ოთხი ელემენტის ერთობლიობას: მატერიალური სამართალი, მოსამართლე, მხარეები, სასამართლო პროცესი.

გარდა ზემოაღნიშნული გარემოებებისა (მოტივი, გარანტია), მის მიერ დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად — სასარგებლოა თუ არა სახელმწიფოსათვის მის მიერვე დადგენილი სამართლის ნორმებისადმი მორჩილებისაგან წარმომდგარი თვითშეზღუდვა, რ. იერინგი იკვლევს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ კანონით თვითშეზღუდვის თავისებურებებს. მისი მტკიცებით, სასარგებლოა თუ არა სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მისივე დადგენილი კანონით თვითშეზღუდვა, შეიძლება შეფასდეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა გაირკვევა საკითხი იმის შესახებ, თუ რა ზომამდე შეიძლება სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვა კანონით.

რ. იერინგი მიუთითებს, რომ სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლის ნორმით თვით სახელმწიფო ხელისუფლების თვითშეზღუდვას შეფარდებითი ხასიათი აქვს და იგი არ შეიძლება გაგებული იყოს ყველა შემთხვევისათვის, როგორც აბსოლუტურად აუცილებელი მოვლენა. ეს რომ ასე იყოს, შენიშნავს რ. იერინგი, მაშინ სახელმწიფო ხელისუფლება ყველა შემთხვევაში უნდა ყოფილიყო მხოლოდ კანონის მორჩილი, მას წართმეული ექნებოდა ბრძანებებისა და აკრძალვების უფლება, სახელმწიფოს მიერ დადგენილ კანონს მიეცემოდა ბუნების კანონის მნიშვნელობა, ე. ი. სახელმწიფოში, ისევე როგორც ბუნებაში, ყოველსმომცველი მამოძრავებელი ძალა იქნებოდა მხოლოდ კანონი და სახელმწიფო დაემსგავსებოდა საათის მექანიზმს. ასეთი სახელმწიფო იქნებოდა სრულყოფილი სამართლებრივი სახელმწიფო, მაგრამ მას არ ექნებოდა ერთი მთავარი თვისება, კერძოდ, სიცოცხლისუნარი-

ნობა. სწორედ ამიტომ ასეთი სახელმწიფო ერთ თვესაც ვერ იარსებებდა. კანონის განუყოფელი ბატონობა ნიშნავს, საზოგადოებას წაართვა თავისი ხელების თავისუფალი გამოყენების საშუალება. ნონით არ შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფო ხელისუფლება ისე, რომ ამ უკანასკნელს აღარ გააჩნდეს თვითმოქმედების საშუალება: „მცდარია რწმენა, თითქოს სამართლის უზრუნველყოფილობისა და პოლიტიკური თავისუფლების ინტერესები მოითხოვენ სახელმწიფო ხელისუფლების კანონით რაც შეიძლება სრულად შეზღუდვას. ამგვარი რწმენის საფუძველს წარმოადგენს უცნაური წარმოდგენა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ხელისუფლება არის ბოროტება, რომელთანაც მუდმივი ბრძოლაა საჭირო. სინამდვილეში კი სახელმწიფო ხელისუფლება არის სიკეთე“¹. რა თქმა უნდა, შენიშნავს რ. იერინგი, კანონის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების აბსოლუტური შეზღუდვა უაზრობაა, რადგან სამართალი არსებობს არა სამართლისათვის, არამედ საზოგადოებისათვის. სახელმწიფო ხელისუფლების აბსოლუტური შეზღუდვა კანონით საფრთხეს უქმნის კანონმდებლობის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას.

სახელმწიფო ადგენს სამართალს, რომლის მოთხოვნები სავალდებულოა ყველასათვის, მათ შორის მისი შემქმნელი სახელმწიფოსთვისაც, ე. ი. სახელმწიფო ხელისუფლება სამართლის დადგენით ზღუდავს თავის თავს, მაგრამ ეს შეზღუდვა, ისევე როგორც სახელმწიფოს ინტერესით განსაზღვრული სამართალშემოქმედებითი საქმიანობა და მისი რეალიზაციის გარანტიები (მართლშეგნება და იუსტიცია), წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის საფუძველს. სამართლის არსებობის ყველა ზემოაღნიშნული მომენტი (სახელმწიფოს ინდივიდუალური ბრძანებების აბსტრაქტული ნორმებით, ხოლო ერთმხრივი ნორმების ორმხრივით შეცვლა და სამართლის რეალიზაციის მექანიზმის, ე. ი. მართლშეგნებისა და იუსტიციის ჩამოყალიბება), რ. იერინგის მტკიცებით, წარმოადგენს სამართლის ფორმას, რომელიც, სამართლის ისტორიული სკოლის მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ, თავისთავად, სტიქიურად კი არ ყალიბდება, არამედ სახელმწიფოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობის შედეგია. სამართლის არსებობის ყველა ზემოაღნიშნული მომენტი წარმოდგება სახელმწიფოებრივი იძულებისა და სახელმწიფოს სამართალშემოქმედებითი გზით დადგენილი სამართლის ნორმებისაგან, მაგრამ „იძულებაც და ნორმაც წმინდა ფორმალური მომენტებია, რომლებიც არ შეიცავენ არა-

¹ Р. Иеринг, Цель в праве, т. I, с. 307.

ვითარ მითითებას სამართლის შინაარსზე. ამ მომენტებისაგან ჩვენ მხოლოდ იმას ვგებულობთ, რომ საზოგადოება თითქმის მის ამა თუ იმ წევრს, მაგრამ ისინი არ გვიხსნიან იმას, რატომ და რისთვისაა იგი საჭირო. იგი სამართლის უბრალო ფორმისაა. ლიც ჩვენ მიერ წარმოდგენილი სახით მეორდება ყველა კულტურულ ხალხში და შეუძლია მრავალფეროვანი შინაარსი გააჩნდეს¹. როცა სამართლის შინაარსზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ რ. იერინგს იგი გაიგივებული აქვს სამართლის მიზანთან: „საკითხი სამართლის შინაარსის შესახებ დაყვანილ უნდა იქნეს სამართლის მიზნის შესახებ საკითხამდე“², რამდენადაც „შინაარსი განისაზღვრება მხოლოდ მიზნით“³.

სამართლის ფორმისაგან განსხვავებით, მხოლოდ სამართლის შინაარსს შეუძლია პასუხის გაცემა ყველაზე არსებითზე, კერძოდ, რა მიზანს ისახავს სახელმწიფო სამართლის ნორმის დადგენით: „მხოლოდ შინაარსიდან შეიძლება გავიგოთ, სახელდობრ, რას ემსახურება სამართალი საზოგადოებაში“⁴.

რ. იერინგის შეხედულებით, სამართლის შინაარსს განსაზღვრავს საზოგადოების სასიცოცხლო პირობები, მაგრამ ეს უკანასკნელი შეფარდებითი ცნებაა. ცხოვრების ცნების შინაარსად თუ მივიჩნევთ უბრალო ფიზიკურ ყოფიერებას, მაშინ იგი გაგებული უნდა იყოს, როგორც ცხოვრების აუცილებელი მოთხოვნილებების, კერძოდ, საჭმელ-სასმელით, ტანსაცმლით, საცხოვრებელი ბინით და ა. შ. დაკმაყოფილება. ცხოვრების აუცილებელი პირობების ცნება ამ შემთხვევაშიც შეფარდებითია, რადგან ამ ცნების შინაარსი განისაზღვრება ინდივიდუალური მოთხოვნილებებით. ერთს უფრო მეტი მოთხოვნილება აქვს, მეორეს — ნაკლები, მესამეს ზოგიერთ ამ პირობათაგანზე საერთოდ აღარა აქვს მოთხოვნილება და ა. შ. ამიტომ უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ „ცხოვრება არ ნიშნავს უბრალო ფიზიკურ არსებობას. ყველაზე გაჭირვებული, ყველაზე მდაბიო ადამიანი მოითხოვს ცხოვრებისაგან... კეთილდღეობას, კეთილ ცხოვრებას და არა უბრალო ყოფიერებას, და რასაც არ უნდა გულისხმობდეს იგი ამით, — ერთისათვის ცხოვრება ამ აზრით იქ იწყება, სადაც მეორისათვის იგი მთავრდება, — მასში ჩამოყალიბებული აზრი, ცხოვრების სუბიექ-

¹ Р. Иеринг, Цель в праве, т. I, с. 316.

² იქვე, გვ. 321.

³ იქვე, გვ. 315.

⁴ იქვე, გვ. 316.

ტური სურათი წარმოადგენს მისთვის მასშტაბს, რომლითაც ზოგავს თავისი ცხოვრების ღირსებათა ფასს... ვარაუდობს, რომელიც თავს სუბიექტურად უერთდება ცხოვრება ამ აზრით, შევსადავს ცხოვრების პირობებს. მაშასადამე, ამ უკანასკნელში მე ვგულისხმობ არა მარტო ფიზიკური არსებობის პირობებს, არამედ ყველა იმ სიკეთესა და ნეტარებას, რომლებიც, სუბიექტის აზრით, ცხოვრებას ანიჭებენ თავის ნამდვილ ღირებულებას¹.

სამართალი განსაზღვრავს ადამიანთა მოქმედებებს, რომლებიც სრულდება საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების შესაბამისად. რ. იერიჩვის აზრით, სამართლის დანიშნულებაა მოქალაქეებს მიანიჭოს საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებისაგან წარმომდგარი ნეტარება.

რ. იერიჩვს საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ სამართალს, წარმოდგენილი აქვს, როგორც ყველა ეპოქისათვის ერთნაირი და უცვლელი; კერძოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები, მისი აზრით, ყოველთვის ერთნაირად უნდა ემსახურებოდეს არა ერთ რომელიმე კლასს, არამედ მთელ მოსახლეობას: „გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ყოველთვის როდი ემსახურება მთელ მოსახლეობას, არაიშვიათად — ერთ ყველაზე ძლიერ წოდებას; მაშასადამე, კანონმდებლობა სამართალს მთელი საზოგადოების ინტერესების შესაბამისად კი არ ქმნის, არამედ პრივილეგირებული წოდების სასარგებლოდ. ეტყობა, საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების თვალსაზრისი იმ შემთხვევაში, როცა მის ადგილზე დგას ცალკეული წოდების ინტერესი, კარიკატურად იქცევა“².

სამართალი, როგორც ერთიანი მიზნობრივი შენობის არსებობა, განპირობებულია საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებით, მაგრამ ამავე დროს მონაწილეობს საზოგადოებრივი ცხოვრების უზრუნველყოფაში. საერთოდ, შენიშნავს რ. იერიჩვი, საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები განიცდის სამგვარ შემოქმედებას: გარეშე სამართლებრივს, შერეულ სამართლებრივსა და წმინდა სამართლებრივს. არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრი ისეთი დარგი, სადაც ყველაფერი სამართლის შემოქმედების გარეშე ხდება, მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრესი პირობების არსებობა წარმოუდგენელია სამართლის გარეშე. საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთი პირობა, კერძოდ, თვითდაცვა, ადამიანთა

¹ Р. Иеринг, Цель в праве, т. I, с. 322.

² იქვე, გვ. 327.

მოდგმის განგრძობა, შრომა და გაცვლა-გამოცვლა (ვაჭრობა) ისეთი ურთიერთობებია, რომლებიც განიცდიან შერეულ სამართლებრივ ზემოქმედებას.

რაც შეეხება წმინდა სამართლებრივი ცხოვრების მათი უზრუნველყოფისათვის საზოგადოება იძულებულია გამოიყენოს მხოლოდ სამართალი. შერეულსამართლებრივი და წმინდასამართლებრივი ზემოქმედების საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებს შორის განსხვავება იმაშია, რომ მათზე წმინდა სამართლებრივ ზემოქმედებას ბრძანების ფორმა აქვს და სახელმწიფოს განკარგულებების შესრულებას უზრუნველყოფს იძულება: „მე განვსაზღვრავ სამართალს, როგორც საზოგადოების ცხოვრების უზრუნველყოფას იძულების ფორმით“¹. ყველაფერი, რაც სამართალთანაა დაკავშირებული, ცხოვრებაში არსებობს მიზნისათვის, მხოლოდ სამართალში ვლინდება ყველაზე ნათლად მიზანი, რომლის შეუცნობლად შეუძლებელია წარმოდგენა გვექონდეს ამა თუ იმ სამართალზე, მის ცალკეულ დებულებებზე. სამართლის მიზნობრივი შინაარსი ვლინდება მის სუბიექტთა მოქმედებებში. სამართლის მიზნობრივი ცენტრები ანუ სუბიექტები, რ. ივრინგის მტკიცებით, შემდეგია: საზოგადოება, ინდივიდი, სახელმწიფო, ეკლესია და გაერთიანებები (კავშირები). სამართლის მიზნობრივი სუბიექტები უზრუნველყოფენ საზოგადოებაში საერთო სიკეთეს (res publicae), სამართლის უმაღლესი მიზნის, კერძოდ, მატერიალური სამართლიანობის მიღწევას. საერთოდ, სამართლიანობის პრაქტიკული მიზანია თანასწორობის დადგენა, მაგრამ ფორმალური თანასწორობისაგან განსხვავებით, რომელიც მიზნად ისახავს „კანონის გამოყენების თანაბარზომიერებას ცალკეული შემთხვევისადმი“², მატერიალური სამართლიანობა ემსახურება შინაგანი თანასწორობის დადგენას, ანუ, სხვაგვარად, დამსახურებისა და დაჯილდოების, სასჯელისა და ბრალის გაწონასწორებას.

ზემოაღნიშნული ხუთი მიზნობრივ-სამართლებრივი სუბიექტის (საზოგადოება, სახელმწიფო, ინდივიდი, ეკლესია, გაერთიანებები) ურთიერთდამოკიდებულებაში წარმოგვიდგება მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება, მეტიც, „ესაა სამართლის მიზნობრივი სქემა, რომელიც სასარგებლოა ყველა დროისათვის“³. ეკლესია და გაერთიანებები, როგორც სამართლის მიზნობრივი სუბიექტები, თავი-

¹ P. Иеринг, Цель в праве, т. I, с. 321.

² იქვე, გვ. 265.

³ იქვე, გვ. 237.

ანთი ხასიათით არ განსხვავდებიან ისეთი დაწესებულებებისა, როგორცაა საზოგადოება და სახელმწიფო, რადგან ისინი განა-
ხორციელებენ ადამიანთა განსაზღვრულ კავშირებს, საქმიანობას
საქმიანობა ერთმანეთის მსგავს სამართლებრივ რეგულირებას
ექვემდებარება. ამიტომაც რ. იერინგი საგანგებოდ იკვლევს ინ-
დივიდს, საზოგადოებასა და სახელმწიფოს, როგორც მიზნობრივ
სამართლებრივ სუბიექტებს.

რ. იერინგი მიუთითებს, რომ სახელმწიფო საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების უზრუნველსაყოფად ადგენს სამართალს, რითაც ზეგავლენას ახდენს ცალკეულ ინდივიდებზე და აგრეთვე საზოგადოებაზე. სამართლის ზემოქმედება მათ საქმიანობასა და ურთიერთდამოკიდებულებაზე მიზნად ისახავს ინდივიდისა და საზოგადოების ინტერესთა სოლიდარიზმს, ჰარმონიას. ინტერესთა ამ სოლიდარიზმს ინდივიდსა და საზოგადოებას შორის ჯერ კიდევ რომის სახელმწიფო უზრუნველყოფდა მის მიერ დადგენილი სამართლით: „სოლიდარობამ ანუ, უფრო სწორად, ინდივიდისა და საზოგადოების ინტერესთა იგივეობამ, არ შეიძლება იმაზე ნათელი გამოხატულება ჰოვოს, ვიდრე იგი მოცემული იყო რომის სამართლის პროცესში“¹. რ. იერინგი კარგად ხედავს, რომ საკითხის ამგვარი გადაწყვეტისას აუცილებელია გაიცეს პასუხი შემდეგ კითხვაზე: თუ სამართალი უზრუნველყოფს საზოგადოებაში საზოგადოებისა და ინდივიდთა ინტერესების სოლიდარიზმს, მაშინ რაღა საჭიროა სამართლის ნორმის რეალიზაციის პროცესში სამართლებრივი იძულების გამოყენება? ამის მიზეზს რ. იერინგი ორ გარემოებას უკავშირებს. პირველი, ინდივიდთა არასაკმარისი გონიერება და მიხვედრილობა („ყველას არა აქვს იმის საკმარისი მიხვედრა, რომ საერთო ინტერესი ამასთან ერთად მისი საკუთარი ინტერესიცაა“) ² და მეორე, ბოროტი ანუ სუსტი ნებისყოფა („ამის მეორე მიზეზს წარმოადგენს ბოროტი ან სუსტი ნებისყოფა, რის გამოც საერთო ინტერესი საკუთარი ინტერესის მსხვერპლი ხდება“) ³.

ამრიგად, რ. იერინგის აზრით, სამართალს სახელმწიფო ადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების უზრუნველსაყოფად. კერ-

¹ Р. Иеринг, Цель в праве, т. I, с. 407.

² იქვე, გვ. 408.

³ იქვე, გვ. 409.

ძოდ, სამართალი წარმოადგენს იმ ძალას, რომელიც სახელმწიფო-
ებრივი ძალდატანების გამოყენებით უზრუნველყოფს საზოგადო-
ებისა და ინდივიდთა საერთო თუ კერძო ინტერესების სრულყოფილ
რიზმს. თუ რამდენად ეფექტურად ასრულებს სამართალი თავის
გადობრივი სოლიდარიზმის ფუნქციას, იგი მთლიანად სახელ-
მწიფოს სამართალშემოქმედებით საქმიანობაზე დამოკიდებული
რ. იერინგის სამართლებრივ შეხედულებათა მთელი სისტემა არ-
სებითად უპირისპირდება სამართლის ისტორიულ სკოლას, რომე-
ლიც საერთოდ უგულვებლყოფდა სახელმწიფოს როლს სამართალ-
შემოქმედებაში. ტელეოლოგიურ მოძღვრებაში რ. იერინგის მიერ
შემოტანილია მიზნის იდეამ ახლებურად დააყენა სამართლის ის-
ტორიულ განვითარებაში ადამიანთა შეგნებისა და ნების მონაწი-
ლეობის საკითხი და სამართალშემოქმედება, როგორც სახელმწი-
ფოს ნებითი საქმიანობა, მკვეთრად განასხვავა ბუნების მოვლენე-
ბის ორგანული განვითარების კანონზომიერებისაგან. რ. იერინგმა
მის მიერ შექმნილი მიზნის მოძღვრებით დაასაბუთა, რომ ბუნების
მოვლენებისაგან განსხვავებით, სამართალი, როგორც სოციალური
მოვლენა, იქმნება გარკვეული მიზნით განსაზღვრული ინტერესე-
ბის კიდელში; სამართალი იქმნება არა ბუნების მიერ შემთხვე-
ვით, არამედ გონიერი მიზნის მიხედვით სახელმწიფოს სამართალ-
შემოქმედებითი საქმიანობის პროცესში.

მაგრამ სამართლის მხოლოდ სახელმწიფოს სამართალშემოქმე-
დებითი საქმიანობის შედეგად აღიარება რ. იერინგისაგან მოითხოვ-
და ადათობრივი სამართლის არსებობაზე გარკვეული პასუხის გა-
ცემას. რ. იერინგის აზრით, ადათობრივი სამართალი წარმოადგენს
სამართლის თავდაპირველ მდგომარეობას, მისი ზეგავლენა და
როლი თანდათან მცირდება სახელმწიფოს სამართალშემოქმედე-
ბითი საქმიანობის საფუძველზე, რომლის ნარჩენები დღემდე არსე-
ბობს. ადათობრივი სამართალი გამოირჩევა ერთიანობით და პარ-
მონიით, რომელიც მას მოჩვენებით წარმოგვიდგენს სრულყოფილი
სახით. ადათობრივი სამართალი მუდმივ კავშირშია საზოგადოების
სუბიექტურ სამართალთან და ცხოვრების პირობებთან, რომლებ-
თანაც იგი განიცდის ცვლილებებს. მიუხედავად ამ ცვლილებებისა,
ადათობრივი სამართალი მაინც ერთიანია. საქმე ისაა, რომ საზო-
გადობრივ ცხოვრებაზე ადათობრივი სამართლის შემოქმედებისას
ნორმების შერჩევა და გადაწყვეტილების მიღება ხდება არა მისი
ცალკეული ნაწილებისაგან, რომლებიც შეიძლება წინააღმდეგობ-
რივი აღმოჩნდეს, არამედ მთელი ადათობრივი სამართლის სისტე-
მისაგან. მაგრამ სწორედ ეს ერთიანობაა მისი არასრულყოფილების

ნიშანი, რადგან სამართლის პროგრესი ამ ბუნებრივი თანხმობისა და ერთიანობის დაძლევაში მდგომარეობს. პირველყოფილი სამართლის ამ მოჩვენებითი ერთიანობითაა გამოწვეული უმჯობესესი ზღვრელობა და არასრულყოფილება, რომელთა დაძლევა შესაძლებელია სახელმწიფოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობით, კერძოდ, პოზიტიური კანონმდებლობით. ამ შემთხვევაში, მართალია, სამართალი კარგავს დინამიურობას, მაგრამ, სამაგიეროდ, იძენს უფრო მნიშვნელოვან თვისებას, კერძოდ, განსაზღვრულობასა და სიმტკიცეს. სწორედ ამიტომ ადრეიდან კანონზე გადასვლა უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯია სამართლებრივ ცხოვრებაში¹.

სამართლის ისტორიული სკოლის მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ, იერიინგი ვადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფოს საკანონმდებლო საქმიანობას, მაგრამ ამასთან ერთად მისთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რით ხელმძღვანელობს სახელმწიფო, როგორც კანონმდებელი სამართლის ნორმების დადგენისას. ბრძოლა სამართალში წარმოებს მიზნის მისაღწევად, მაგრამ თვით სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლის ნორმები რა საფუძველს ეყარება? ეს კითხვა არ არსებობს სამართლის ისტორიული სკოლისათვის, რადგან სამართალი იქმნება თანდათანობით, ყოველგვარი ბრძოლის გარეშე, უმტკივნეულოდ, ფაქტიურად ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებთან ერთად ორგანული განვითარების გზით. რ. იერიინგი კი სამართლის ისტორიული სკოლის მოძღვრების კრიტიკის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, რომ სახელმწიფოს საკანონმდებლო საქმიანობის პროცესში შექმნილი სამართლის ნორმები ყოველთვის შეიცავენ სამართლის იდეას. რ. იერიინგი ენერგიულად ებრძვის სამართლის ისტორიულ სკოლას, საკუთარ სამართლებრივ შეხედულებებს რეალისტურ საფუძველებზე აგებს, მაგრამ მოქმედი სამართლის ნორმების სამართლის იდეასთან დაკავშირებით იგი უახლოვდება ბუნებითი სამართლის მოძღვრებას, რომელსაც თავის დროზე განმანდგურებელი დარტყმა მიიყენა სამართლის ისტორიულმა სკოლამ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სამართლის ისტორიული სკოლის წინააღმდეგ ბრძოლაში რ. იერიინგი მის მიერ შემუშავებულ სამართლის რეალისტური მოძღვრების ჩამოყალიბებისას სარგებლობს ბუნებითი სამართლის სკოლის უმნიშვნელოვანესი ცნებით, კერძოდ, „სამართლის იდეით“, რომელიც, ამ სკოლის წარმოდგენით, პო-

¹ R. von Ihering, Geist des römischen Rechts, Bd. I, S. 25.

ზიტიური სამართლის პირველწყარო და საფუძველია. რ. იერიנגი სამართლის იდეას შემდეგნაირად განსაზღვრავს: „ამ სიტყვებით ჩვენს წინაშე წარმოდგება მთელი იურისპრუდენციის უფროდნული და უძნელესი პრობლემა, რადგან მასში იმალება მეცნიერების მართალთან, ამქვეყნად მის ამოცანებთან, ზნეობრივ სამყაროში მის მდგომარეობასთან დამოკიდებულების აზრი და მთელი მისი წინამორბედი ისტორიის კრიტიკაც“¹. კონკრეტული ისტორიული მოვლენების განხილვისას იგი მასში ავლენს სამართლის იდეისა და საზოგადოებაში ადამიანის დანიშნულების საწინააღმდეგო მხარეებს, ამავე დროს მიუთითებს იმ უმაღლეს საწყისებზე, რომელიც ყოველთვის უნდა ბატონობდეს სამართალში.

რ. იერიנגი სამართლის იდეის გაგებაში არ არის თანმიმდევრული. თავის ადრინდელ ნაშრომში, რომელიც რომის სამართლისადმი მიძღვნილი, სამართლის უმაღლეს იდეად იგი მიიჩნევს სახელმწიფოსა და საზოგადოებისაგან ინდივიდის თვითგამოყოფას, საზოგადოებისა და ინდივიდის ინტერესთა გაწონასწორებას, სახელმწიფო ხელისუფლებასა და ინდივიდუალურ თავისუფლებას შორის თანაფარდობის უზრუნველყოფას. სახელმწიფოში ინდივიდის სამართლებრივ თავისუფლებას, როგორც სამართლის უმაღლესი იდეის გამოხატულებას, გააჩნია არა მატერიალური, არამედ ზნეობრივი საფუძვლები, რომელსაც უნდა ემყარებოდეს მოქმედი სამართალი². რ. იერინგის მიერ მოგვიანებით შექმნილ ნაშრომში „მიზანი სამართალში“ სამართლის იდეისა და ამოცანების შესახებ განსხვავებული მოსაზრებები გვხვდება. რ. იერინგი ამ ნაშრომში სამართლის უმაღლეს იდეად აცხადებს არა ინდივიდუალურ თვითგამოყოფას, არამედ საერთო სიკეთეს, კერძოდ, საზოგადოების ცხოვრების პირობების უზრუნველყოფას. რ. იერინგი სამართლის უმაღლეს ფუნქციად მიიჩნევს ინდივიდთათვის საზოგადოების საერთო ცხოვრების პირობების შექმნას, რაშიც იგი ხედავს სამართლის სოციალურ ღირებულებას და მისი არსებობის ზნეობრივ გამართლებას. სამართალი შეიცავს ზნეობაზე დაფუძნებულ სამართლის იდეას, რომელიც საერთო სიკეთეს ემსახურება³.

როგორც ჩანს, რ. იერინგი სამართლის ისტორიული სკოლის კრიტიკისას იყენებს ბუნებითი სამართლის მოსაზრებებსაც, რომლის წინააღმდეგაც თავის დროზე გაილაშქრეს სამართლის ისტო-

¹ R. von Ihering, Geist des römischen Rechts, Bd. II, S. 23.

² იქვე, გვ. 30.

³ R. von Ihering, Zweck im Recht, I, S. 623.



რიული სკოლის წარმომადგენლებმა პუგომ, სავინმა და პუბლიკამ.
 ბუნებრივი სამართლის სკოლის ონტოლოგიური პრობლემატიკის
 ქვაკუთხედს წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ დადგენილი
 ზიტიური სამართლისაგან დამოუკიდებლად, ე.წ. ბუნებითი სამარ-
 თლით დადგენილი „უმაღლესი სამართლიანობის“ არსებობა, რომე-
 ლიც მოქმედი პოზიტიური სამართლის შინაარსის შეფასების ერ-
 თადერთი კრიტერიუმია. რ. იერინგი ბუნებითი სამართლის ამ
 მოსაზრებას ემყარება, როცა თავის ნაშრომში „მიზანი სამართალ-
 ში“ იკვლევს თვითნებობისა და სამართლიანობის ცნებებს სახელ-
 მწიფოს მიერ დადგენილი კანონების დასახასიათებლად. იგი მი-
 უთითებს, რომ ჩვენ დადებით სამართალს ვიყენებთ როგორც მას-
 შტაბს, როცა ვლაპარაკობთ მოსამართლეთა მიერ მიღებული გა-
 დაწყვეტილებებისა და მთავრობის აქტების თვითნებობაზე, მაგრამ
 თვითნებური კანონების შეფასების კრიტერიუმს ზნეობა წარმო-
 ადგენს. საქმე ისაა, რომ კანონმდებელი მორალურადაა ვალდე-
 ბული, კუთვნილი უფლებამოსილება გამოიყენოს საზოგადო-
 ების ინტერესების შესაბამისად; კერძოდ, სამართლის დადგენისას
 კანონმდებელი უნდა ხელმძღვანელობდეს განსაზღვრული მოთხოვ-
 ნებითა და ნორმებით, რომელთაც იგი პატივს უნდა სცემდეს.
 კანონმდებლის თვითნებობის გამოხატულებაა ყველა კანონი, წინა-
 აღმდეგობრივი სამართლის ზოგადი პრინციპებისა, რომლებიც ზნე-
 ობის სფეროს განეკუთვნება¹. ამრიგად, რ. იერინგი იმის გასარ-
 კვევად, თუ რამდენადაა მოქმედ სამართალში გამოხატული სამარ-
 თლის იდეა, ემყარება ზნეობრივ კრიტერიუმს.

რ. იერინგის აზრით, ზნეობის სფეროში არსებული სამართლის
 იდეა მოქმედი სამართლის უმაღლესი პრინციპია. ბუნებითი სა-
 მართლის მოძღვრების ფუძემდებელთა მსგავსად, რ. იერინგი აცხა-
 დებს, რომ სამართლის ამ უმაღლესი იდეის მიხედვით სდება
 მოქმედი პოზიტიური სამართლის შეფასება. როცა პოზიტიური
 სამართალი არ შეესაბამება სამართლის ამ უმაღლეს იდეას, მაშინ
 ურთიერთობები უნდა მოწესრიგდეს ამ უმაღლესი იდეის მიხედ-
 ვით *contra legem*. ამის მაგალითად რ. იერინგი ასახელებს შე-
 წყალების უფლებას. იგი მიუთითებს, რომ შეწყალების უფლება
 „ფორმალურის მხრივ... წარმოადგენს სამართლებრივ წეს-
 რიგში შეჭრას. დამნაშავე თავისუფლდება სასჯელისაგან, რომლი-
 თაც მას კანონი ემუქრებოდა, მატერიალურის მხრივ კი მას
 შეიძლება ვუწოდოთ ცალკეულ შემთხვევაში სამართლიანო-

¹ Р. Иеринг, Цель в праве, т. I, с. 261—262.

ბის აღდგენა, კანონის ზოგადი ფორმულის შესწორება, ვა-
მოწვეული მისი არასრულყოფილებით“¹. პოზიტიური საქართველოს
არასრულყოფილება უნდა აღმოიფხვრას სამართლის იდეის² კვლევით
ვით და არასდროს არ უნდა აღმოვჩნდეთ იურიდიული დოგმა-
ტიზმის ტყვეობაში.

ადვილი შესაძლებელია, შენიშნავს რ. იერიנגი, რომ საზოგა-
დოებრივი ურთიერთობების განვითარების შედეგად ჩნდება ახალ-
ახალი სამართალდარღვევები, რომლებიც არ არის გათვალისწინე-
ბული პოზიტიური სამართლით. როგორ მოვიქცეთ ასეთ შემთხვე-
ვებში, ვალდებულია თუ არა სასამართლო, რეაგირება მოახდინოს
საზოგადოებრივად საშიში ხასიათის სამართალდარღვევებზე, რომ-
ლებიც არ არის გათვალისწინებული მოქმედი პოზიტიური კანონ-
მდებლობით, თუ უნდა აღიაროს თავისი უძლურება იმის გამო,
რომ დაწერილი კანონი არ ითვალისწინებს ამ სამართალდარღვე-
ვისათვის სასჯელის შეფარდებას? იურისტთა ერთი ჯგუფი, რო-
მელიც ხელმძღვანელობს დებულებით *nulla poena sine lege*,
დაწერილ კანონს ანიჭებს უპირატესობას და მოითხოვს ამგვარი
სამართალდარღვევების დაუსჯელობას, მაგრამ პირადად მე, აღნიშ-
ნავს რ. იერინგი, იმას ვემხრობი, ვინც, ზემოაღნიშნული დე-
ბულების მიუხედავად, მოითხოვს ამგვარი სამართალდარღვევების
დასჯას, მიუხედავად იმისა, რომ იგი გათვალისწინებული არაა
პოზიტიური სამართლით. საქმე ისაა, რომ პოზიტიურ სამართალზე
მალა მდგომი სამართლის იდეა საზოგადოების სასიკეთოდ მო-
ითხოვს ყოველგვარი საზოგადოებრივად საშიში მოქმედების დას-
ჯას. რაც შეეხება დებულებას *nulla poena sine lege*, მას „სი-
ნამდვილეში აქვს მხოლოდ თვითნებობის საწინააღმდეგო გარან-
ტიის პირობითი მნიშვნელობა... მაგრამ სამართლის უმაღლესი მი-
ზანი მდგომარეობს არა ფორმალური თვითნებობის გამორიცხვის
შესაძლებლობაში, არამედ მატერიალური სამართლიანობის გან-
ხორციელებაში და რამდენადაც ეს დებულება ეწინააღმდეგება ამ-
გვარ განხორციელებას, მას სათანადო საფუძველი აღარ აქვს“².

სამართლის ისტორიული სკოლის წინააღმდეგ ბრძოლაში ბუ-
ნებითი სამართლის მოძღვრებიდან აშკარად ნასესხებ სამართლის
იდეას, როგორც პოზიტიური სამართლისაგან დამოუკიდებლად
არსებულ ფენომენს, რომელსაც უნდა ემყარებოდეს პოზიტიური
სამართალი, რ. იერინგი გადაწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს. იური-

¹ Р. Иеринг. Цель в праве, т. I, с. 311.

² იქვე, გვ. 311—312.



დიული დოგმატიზმის ტყვეობაში მყოფი სამართლის ისტორიული სკოლისათვის პოზიტიური სამართალი ყველაფერია. ეჭვსა და სამართლის ზეგავლენით რ. იერიწგი პოზიტიურ სამართალს გორც სახელმწიფოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობის შედეგად არსებულ მოვლენას, მხოლოდ იმდენად ცნობს, რამდენადაც იგი შეესაბამება პოზიტიური სამართლისაგან დამოუკიდებლად არსებულ სამართლის იდეას. რ. იერიწგი მიუთითებს, რომ მართლმსაჯულება თვალეზახვეული თემიდაა, რომელიც მხოლოდ კანონს ექვემდებარება და მისთვის კანონის გარეშე არაფერი არსებობს, მაგრამ „შეუძლებელია მართლმსაჯულებას თვალეზახვეული ავუხვიოთ, რომ მან ვერ შეძლოს გამოხედვა ამ თვალსახვევიდან. არაა დაწესებულება, რომლითაც შეიძლებოდეს უზნეოს ხელი შეუშალოს — იყოს უზნეო“¹. სამართლის ისტორიული სკოლის საწინააღმდეგოდ, რ. იერიწგისათვის ის კი არ არის მთავარი, თუ თავისთავად რას წარმოადგენს პოზიტიური სამართალი, არამედ მისთვის მთავარია სახელმწიფომ თავისი სამართალშემოქმედებითი საქმიანობის შედეგად დაადგინოს სამართლის იდეის შესაბამისი პოზიტიური სამართალი. თავისთავად, ორგანული განვითარების გზით შეუძლებელია სამართლის იდეის გამოხატველი პოზიტიური სამართლის არსებობა, მხოლოდ სახელმწიფოს შეგნებული სამართალშემოქმედებითი საქმიანობით შეიძლება სამართლის იდეაზე დამყარებული პოზიტიური სამართლის ნორმების დადგენა.

წინააღმდეგ სამართლის ისტორიული სკოლისა, რომლისთვისაც გონიერული და ჭეშმარიტი იყო მხოლოდ ხალხის სულის საფუძველზე არსებული პოზიტიური სამართალი, რ. იერიწგი აცხადებს, რომ „ჩემთვის მნიშვნელოვანია არა ის, რაც არსებობს, არამედ ის, რაც უნდა იყოს, რასაც მოითხოვს სამართლის მიზანი და სამართლიანობის იდეა“².

სამართლის რეალისტური თეორიის ფუძემდებელმა რ. იერიწგმა, რომელმაც იურიდიულ მეცნიერებაში ბევრი ახალი ცნება და დებულება შემოიტანა (სამართალი და საზოგადოების ცხოვრების პირობები, სამართლის მიზანი, ბრძოლა სამართლისათვის, ინტერესი და ნება, სახელმწიფოსა და ინდივიდის სოლიდარიზმი და ა. შ.), ნათლად ცხადყო სამართლის ისტორიული სკოლის ანტიმეცნიერულობა, მაგრამ მის მიერ შემუშავებული მოსაზრებების დიდი ნაწილი არანაკლებ კრიტიკას იმსახურებს.

¹ Р. Иеринг, Цель в праве, т. I, с. 296.

² იქვე, გვ. 313.

ეჭვს არ იწვევს, რომ რ. იერინგის მოსაზრება სამართლის გან-
ვითარების კანონზომიერებათა შესახებ, რომელიც მიმართული
იყო სამართლის ისტორიული სკოლის წინააღმდეგ, არამარტო
ახალს, არამედ მეცნიერული თვალსაზრისით უდავოდ საყურადღე-
ბოს წარმოადგენდა. რ. იერინგმა სწორად მიუთითა, რომ სამარ-
თალი არ შეიძლება უმტკივნეულოდ და თანდათანობით ვითარდებ-
ოდეს; სამართლის განვითარება ხდება ბრძოლით, ინტერესთა
შეჯახებისა და ძველის უარყოფის შედეგად, რომ კაცობრიობის
ისტორიული გზა მიმოფენილია ძველი დაწესებულებების ნამ-
სხვრევებით და ზოგჯერ იგი სისხლითაცაა მორწყული. მაგრამ
რ. იერინგს სრულებით არ ესმის ამ ბრძოლის ბუნება და მიზანი,
მისი მამოძრავებელი ძალები. ბრძოლა სამართლისათვის მას წარ-
მოდგენილი აქვს, როგორც ძველსა და ახალს შორის არსებული
წინააღმდეგობების გამოვლენა, ამ ბრძოლიდან იგი მთლიანად გა-
მორიცხავს საზოგადოებაში არსებულ კლასობრივ ბრძოლას, რო-
გორც სამართლის განვითარების მამოძრავებელ და განმსაზღვრელ
ძალას. რ. იერინგს ბრძოლა წარმოდგენილი აქვს, როგორც არსე-
ბული საზოგადოების შეურიგებელი დამოკიდებულება ძველთან,
მაგრამ საზოგადოება მას ყოველთვის გაგებული აქვს, როგორც
ინდივიდთა ინტერესების სოლიდარიზმი. ამასთან, რ. იერინგს ერთ-
მანეთთან გაიგივებული აქვს სახელმწიფო და საზოგადოება. მისი
მტკიცება, რომ სახელმწიფო არის საზოგადოება, რომელიც იყე-
ნებს იძულებას სამართლის ნორმების რეალიზაციისას, ფაქტიურად
იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოებრივი იძულება მთელი საზოგა-
დოების ნებას წარმოადგენს, მაშინ როდესაც ცნობილია, რომ
კლასობრივ საზოგადოებაში საზოგადოების ნება არ არის ერთი-
ანი, იგი გაორებულია, ამასთან ერთად, სამართლებრივი ნორმების
რეალიზაციის მიზნით, სახელმწიფო ახორციელებს არა მთელი სა-
ზოგადოების, არამედ მხოლოდ გაბატონებული კლასის ნებას.

რ. იერინგის დამსახურებას წარმოადგენს სამართლის დაკავში-
რება საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებთან, რითაც მან სა-
მართლის ისტორიული სკოლის მოძღვრებას საფუძველი გამოაცა-
ლა და შეეცადა სამართლის წარმოშობისა და არსებობის რეალური
საწყისების დადგენას. მაგრამ რ. იერინგს საზოგადოებრივი ცხოვ-
რების პირობები კი არ მიაჩნია სამართლის წარმოშობისა და მისი
შინაარსის განმსაზღვრელ ფაქტორად, არამედ, მისი წარმოდგე-
ნით, სამართალი არის ის ძალა, რომელიც უზრუნველყოფს საზო-
გადოების ცხოვრების პირობების არსებობას, ანუ, სხვანაირად
რომ ვთქვათ, რ. იერინგის მტკიცებით, სამართალი ის ძალაა, რო-



მელიც ინდივიდის არსებობას უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებითა და ინდივიდუალური თავისუფლების სამართლის უმაღლესი ამოცანაა, ერთი მხრივ, ცალკეულ და საზოგადოებრივ ჯგუფებს, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფო ხელისუფლებას შორის წონასწორობის დამყარება, მაგრამ სამართლებრივი თავისუფლება განისაზღვრება საზოგადოების არა მატერიალური მდგომარეობით, არამედ ზნეობრივი მოწოდებითა და სრულყოფით. რ. იერინგის ეს მოსაზრება ფაქტიურად მის მიერ შემუშავებულ სამართლის რეალისტურ თეორიაში საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების ცნებას უკარგავს ნამდვილ მეცნიერულ ღირებულებას და სამართლის წარმოშობისა და არსებობის კვლევისას მატერიალურთან შედარებით ზნეობრივისათვის უპირატესობის მინიჭებას ბუნებით სამართალთან მივყავართ. ხწორედ სამართლის წარმოშობაში საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების როლის გაუბრალოებამ მიიყვანა რ. იერინგი ბუნებითი სამართლის მოძღვრების უმთავრესი კონცეფციის აღიარებამდე, რ. იერინგისათვის პოზიტიური სამართლის დადგენილებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, იგი მთელ სამართლებრივ ცხოვრებას უმაღლეს სამართლის იდეას უქვემდებარებს და ამ უკანასკნელის მიხედვით აფასებს ყოველგვარ სამართლებრივს. რ. იერინგის განცხადება იმის შესახებ, რომ ჩემთვის იმას კი არა აქვს მნიშვნელობა, რაც არსებობს, არამედ იმას, რაც უნდა იყოს, არსებითად სამართლის მატერიალური საფუძვლების წინააღმდეგაა მიმართული.

სამართლის მატერიალური საფუძვლების უგულებელყოფაზეა დამყარებული რ. იერინგის სამართლის რეალისტურ თეორიაში მიზნისა და ინტერესის ფენომენები. მართალია, რ. იერინგის შეხედულების მიხედვით, სამართალში განსაზღვრული მიზანი და ინტერესია გამოხატული, რომელთა რეალიზაცია უზრუნველყოფს საზოგადოების ცხოვრების პირობებს, მაგრამ სამართლის მიზანი და ინტერესი ამ უკანასკნელით კი არაა განსაზღვრული, არამედ ისინი აბსტრაქტულად არსებულ სამართლის იდეას შეესაბამება. სამართლისა და საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების ურთიერთდამოკიდებულების ამგვარმა გაგებამ რ. იერინგი მიიყვანა თვით სამართლის არასწორ განსაზღვრამდე; მისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამართალი არის საზოგადოების ცხოვრების პირობების უზრუნველყოფა იძულების ფორმით, რა თქმა უნდა, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, თუნდაც იმიტომ, რომ სამართლის რეალიზაციის ერთადერთ ფორმას იძულება არ წარმოადგენს.

მიუხედავად რ. იერინგის მიერ შემუშავებული სამართლის

რეალისტური თეორიის შეზღუდულობისა, მან დიდი როლი შეასრულა სამართლის ისტორიული სკოლის რეაქციული შეხედულებების დასაძლევად და სამართლის ისტორიული სკოლის მიერ შემოღებული ფილი ბუნებითი სამართლის მოძღვრების პროგრესული მოსაზრებების აღსადგენად. როცა ბუნებითი სამართლის მოძღვრების პროგრესულ მხარეებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს სამართლის სოციალური ღირებულებების შეფასებითი კრიტერიუმები, რამაც ბუნებითი სამართლის შემდეგ გამოხატულება პოვა ნორმატივიზმში, რომელიც სამართლის რეალისტური სკოლის შემდეგ წარმოიჩინა, როგორც იურიდიული პოზიტივიზმისა და ნეოკანტიანელობის მთლიანობა.

4. სამართლის ნორმატივისტული სკოლა

3. კელზენის მიერ შემუშავებული სამართლის ნორმატივისტული თეორია ჩამოყალიბებულია მის ნაშრომში „სახელმწიფო-სამართლებრივი მეცნიერების ძირითადი პრობლემები განვითარებული სამართლის პრინციპების შესახებ მოძღვრების თვალსაზრისით“, რომელიც 1911 წელს გამოქვეყნდა. მოგვიანებით სამართლის ნორმატივისტული თეორია 3. კელზენმა სრულყო ამ ნაშრომის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში და აგრეთვე ახალ ნაშრომში „სოციოლოგიური და იურიდიული სახელმწიფოს ცნება. სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთობის კრიტიკული გამოკვლევა“¹.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში არსებული ზემოაღნიშნული მოძღვრებებისაგან განსხვავებით, 3. კელზენის ნორმატივისტული თეორიის უმთავრეს დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ სამართლებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ყველა მოვლენა (ობიექტური სამართალი, სუბიექტური სამართალი, სამართლის სავალდებულობა, სამართლის წარმოშობა, სამართლის შეფარდება, სამართლის სისტემა და ა. შ.) მას მხოლოდ იურიდიული ნორმიდან გამოყავს და ცდილობს ნორმის ცნების განვითარების გზით შექმნას სამართლებრივი მოვლენების

¹ იხ. H. Kelsen, Hauptprobleme der Staatsrechtslehre entwickelt aus der Lehre vom Rechtssatz, Tübingen, 1911; H. Kelsen, Der soziologische und der juristische Untersuchung des Verhältnisses von Staat und Recht, Tübingen, 1928.

თანმიმდევრული, ლოგიკურად დასრულებული სისტემა. ^{3.} კელზენის მიერ შემუშავებული ნორმატივისტული თეორიის მიხედვით, თეორიულ-პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები ააგან დამოუკიდებლად და ამ კვლევის საფუძველს წარმოადგენს მხოლოდ ნორმა. ამიტომაც მის მიერ შემუშავებულ შეხედულებათა სისტემურ მთლიანობას, რომელიც სამართლებრივ მოვლენებს სწავლობს სხვადასხვა ხასიათის ფაქტორების ზეგავლენისაგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამართლის ნორმის საფუძველზე, ^{3.} კელზენი „სამართლის წმინდა თეორიას“ უწოდებს. ^{3.} კელზენი სამართლის მეცნიერებაში ემყარება ელიმინაციის პრინციპს და სამართლებრივი მოვლენების ახსნისას ყველაფერს, რაც ნორმის გარეშე მდებარეობს, მეტაიურიდიულ ფაქტორს უწოდებს. იგი განსაკუთრებული სიმწვავეთ ეხმობს თავს სამართლის ბუნებით მოძღვრებას, როგორც ბუნებითი სამართლის მეტაფიზიკას, რომლითაც „შეიძლება დამტკიცდეს ყველაფერი და არაფერი“¹. მისი კრიტიკა განსაკუთრებით მიმართულია ბუნებითი სამართლის მოძღვრების მიერ შემუშავებული ე.წ. მარადიული სამართლიანობიდან წარმომდგარი სამართლის სოციალური შეფასების წინააღმდეგ. ^{3.} კელზენისათვის სამართალი არის ნორმა, კერძოდ, სამართალში უნდა დაეინახოთ მხოლოდ ის, რასაც იგი წარმოადგენს, ე. ი. ნორმა, და სრულიად დაუშვებელია სამართლის ბუნებისა და არსის ახსნა იმის შეფასებით — სამართლიანია იგი თუ უსამართლო. რადგანაც ეს უკანასკნელი არ შედის სამართლის სფეროში, იგი მეტაიურიდიული საკითხია.

^{3.} კელზენის აზრით, სამართლის არსის ახსნა მეტაიურიდიული ფაქტორების მიხედვით, სამართლის მეცნიერებას ხდის იურიდიული პოლიტიკის მეცნიერებად. იგი მეტაიურიდიულ ფაქტორებად თვლის სამართლის არსის დადგენისას სოციოლოგიური, რეალისტური და სხვა თეორიების მიერ შემუშავებულ გარემოებებს (სოციალური, პოლიტიკური, იდეოლოგიური, მატერიალური ფაქტორები, აგრეთვე მორალი, მიზანი, ინტერესი, მოტივი). ყველა ეს თეორია სამართალს სწავლობს ერთი განსაზღვრული ასპექტით, მაგრამ მხედველობის გარეშე ტოვებს საკითხს იმის შესახებ, თუ რაა მთავარი და მუდმივი სამართალში. სამართლის არსის ახსნისას სრულებით არაა საჭირო იმის კვლევა, რამ წარმოშვა და რისთვის გაჩნდა იგი, ისევე, როგორც რომელიმე ნივთთან ურთიერთობისას სრულებით არ გვაინტერესებს, რას წარმოადგენს ან ვინ

¹ H. Kelsen, *Reine Rechtslehre*, Wien, 1960, S. 430.

შექმნა იგი და რატომ ვიყენებთ მას. ჩვენ ყოველთვის უნდა გავ
მოვიდეთ ამა თუ იმ მოვლენის არსებობის ფაქტიდან და ყოველ-
გვარი მეტაიურიდიული ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად უნდა
ალოდ ავხსნათ იგი. ჰ. კელზენის მტკიცებით, სამართალი მხოლოდ
ნორმა და სამართლის არსის კვლევისას სრულებით ზედმეტია ნორ-
მის იქით წასვლა. სამართლის ნორმაში ჰ. კელზენი ხედავს ერთ-
მანეთთან ნორმატიულად დაკავშირებულ ვალდებულების სუბი-
ექტსა და ვალდებულების ობიექტს. სუბიექტისა და ობიექტის
ნორმატიული დამოკიდებულება გამოხატულებას პოულობს ვალ-
დებულებაში, რომელშიც „აშკარადება ნორმის განსაკუთრებული
ბუნება; იგი ანიჭებს ნორმას იმ ფორმალურ ხასიათს, რომლის
მიხედვით სამართლის მეცნიერება გამოყოფილია სხვა დისციპლი-
ნებიდან და იკავებს დამოუკიდებელ მდგომარეობას. შინაარსი
ნორმისა მატერიალური ხასიათისაა, რადგან ამ შინაარსს შეადგე-
ნენ ის ფაქტიური დამოკიდებულებანი, რომლებიც შესწავლილი
უნდა იყოს კაუზალობის თვალსაზრისით; ამ ფაქტიურ დამოკიდე-
ბულებებს იკვლევენ სხვა დისციპლინები: ფსიქოლოგია, სოციო-
ლოგია, ისტორია და სხვ., მაგრამ ამ დისციპლინების შედეგების
გამოყენება სამართლის მეცნიერებაში ეწინააღმდეგება სამართლის
მეცნიერების თავისებურ ბუნებას. სამართლის მეცნიერება იკვლევს
მხოლოდ ფორმას და ამის გამო იგი სარგებლობს მხოლოდ ნორ-
მატიული მეთოდით“¹.

„წმინდა სამართლის“ მოძღვრება ჰ. კელზენმა დააბუსტა მო-
გვიანებით და მისი ეს მოსაზრება გადმოცემულია წიგნში „ვენის
სამართლის თეორიული სკოლა“ (ტ. 1), რომელიც 1968 წელს გა-
მოქვეყნდა. ჰ. კელზენი აღნიშნავს, რომ „წმინდა სამართლის“
მოძღვრება, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი მეტაიურიდი-
ული შენარჩევებისაგან, ამ მოსაზრების კრიტიკოსებმა შეცდომით
გაიგეს, როგორც ე. წ. „მართალი სამართალი“, მაგრამ სინამდვი-
ლეში წმინდა სამართლის მოძღვრება არაა დაინტერესებული
იმით, თუ რაა მართალი და ჭეშმარიტი სამართალი, მას აინტერე-
სებს პოზიტიური სამართალი და იგი წარმოადგენს მეცნიერებას
მხოლოდ პოზიტიური სამართლის შესახებ².

¹ ალ. ვაჩეიშვილი, Kelsen-ის მოძღვრება სამართალსა და სახელმწი-
ფოზე, ტფილისი, 1928, გვ. 48. საკიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ალ. ვაჩეი-
შვილის ამ ნაშრომმა დიდი დახმარება გაიწია ჰ. კელზენის მიერ გერმანულ
ენაზე გამოცემული ნაშრომების გაგებასა და ქართულად თარგმნაში (ვ. ა.).

² H. Kelsen, Rechtsphilosophie in der Krise, Berlin, 1976, S. 149.

3. კელზენი მის მიერ შემუშავებული მეთოდის მიხედვით იკვლევს სამართალს ყოველგვარი მეტაფიზიკური შენარევებისაგან დამოუკიდებლად. 3. კელზენის ნორმატიული მეთოდის მიხედვით სამ ძირითად საწყისს: პირველი, შერაცხვა (Zurechnung, Imputation) და მისი დაპირისპირება მიზეზობრიობის პრინციპთან; მეორე, ჯერ-არსობა (Sollen) და მისი დაპირისპირება არსობასთან (Sein); მესამე, სამართლებრივი ნორმა, როგორც ჯერ-არსობაზე (Sollen) ჰიპოთეტური მსჯელობა და მისი დაპირისპირება სხვადასხვა თეორიებთან (იმპერატივის, აღიარების და ა. შ. თეორიები).

3. კელზენის აზრით, იურიდიულ მეცნიერებაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მიზეზობრივ კავშირს¹, ბრალის შერაცხვა (Zurechnung, Imputation) მიზეზობრიობასთან სრულებით არაა დაკავშირებული. ამიტომაც 3. კელზენი უარყოფს სამართალში „იმ მეთოდების გამოყენებას, რომლებიც ბუნებისმეტყველებას ეკუთვნის; ასეთია კაუზალური მეთოდი, რომელიც იკვლევს მოვლენებსა და მათ დამოკიდებულებას მიზეზისა და შედეგის თვალსაზრისით; Kelsen კაუზალურ მეთოდს უთანასწორობს ტელეოლოგიურ მეთოდს, რადგანაც უკანასკნელიც იკვლევს ფაქტების დამოკიდებულებას; ორივე მეთოდი არსებითად ემსახურება ერთსა და იმავე მიზანს; ორივე შეისწავლის ფაქტიურ სინამდვილეს; ამ მოსაზრებით Kelsen უწოდებს მათ ექსპლიკატიურ, ე. ი. ამხსნელ მეთოდებს. ექსპლიკატიური მეთოდი ყოველთვის შეისწავლის, ხსნის ფაქტიურ დამოკიდებულებას; სამართლის დარგში იგი არ გამოდგება, ვინაიდან სამართალი არ წარმოადგენს ფაქტიურ დამოკიდებულებათა სფეროს; სამართალი წმინდა ვალდებულებების ქვეყანაა და, რასაკვირველია, მას უნდა ექნეს თავისი საკუთარი მეთოდი. ამ სამართლის განსაკუთრებულ მეთოდს Kelsen უწოდებს ნორმატიულს და უპირისპირებს მას ექსპლიკატიურ მეთოდებს. ექსპლიკატიური მეთოდი ყოველთვის შეისწავლის, ხსნის ფაქტიურ დამოკიდებულებებს; სამართლის დარგში იგი არ გამოდგება, ვინაიდან სამართალი არ წარმოადგენს ფაქტიურ დამოკიდებულებათა სფეროს; სამართალი წმინდა ვალდებულებების ქვეყანაა და, რასაკვირველია, მას უნდა ექნეს თავისი საკუთარი მეთოდი. ამ სამართლის განსაკუთრებულ მეთოდს Kelsen უწოდებს ნორმატიულს და უპირისპირებს მას ექსპლიკატიურ მეთოდს. ექსპლიკატიური მეთოდის საგანია ფაქტიური პრაქტიკების შესწავლა და მიზეზობრივი კავშირის გამოკვლევა; ამ

¹ В. А. Туманов, Буржуазная правовая идеология, М., 1971, с. 221.

მეთოდით სარგებლობენ, მაგალითად, სოციოლოგები და ფსიქოლოგები, როდესაც ისინი იკვლევენ კოლექტიური ან ინდივიდუალური ფსიქიკის მოვლენებს; იურისტს კი არასოდეს შეუძლია იხელმძღვანელოს ექსპლიკატიური მეთოდით, იურისტის მიზანს უკმაყოფირო ახსნა არ შეადგენს; მისი მიზანი ფორმალური ხასიათისაა და ამიტომაც მეთოდიც, რომლითაც იგი სარგებლობს, უნდა იყოს ფორმალური, ე. ი. ნორმატიული¹.

3. კელზენის აზრით, ნორმა შეიცავს ვალდებულებას და, ამდენად, არსებობენ ვალდებულების ობიექტი და ვალდებულების სუბიექტი, როგორც ნორმის ელემენტები, მაგრამ მათ შორის შეუძლებელია კაუზალური ან ტელეოლოგიური კავშირი. ამას ნათლად ცხადყოფს ბრალის შერაცხვა, რომლის საფუძველს წარმოადგენს ნორმით გათვალისწინებული დამოკიდებულება სუბიექტსა და ფაქტიურ გარემოებას შორის. სამართლის ნორმებზე წარმოშობილი შერაცხვა ცხადყოფს, რომ ნორმის ობიექტსა და ნორმის სუბიექტს შორის უდიდესი მანძილია². კელზენი მიუთითებს, რომ სისხლის სამართალში ვალდებულების სუბიექტს წარმოადგენს ის, ვისაც სისხლისსამართლებრივი ნორმის დარღვევისათვის სასჯელი ემუქრება, ანდა, სხვანაირად, სასჯელი უნდა შეეფარდოს იმას, ვისაც დანაშაულისათვის შეერაცხვის ბრალი. მაგრამ ნორმით დადგენილი ვალდებულების სუბიექტისათვის ბრალის შერაცხვა არავითარ მიზეზობრიობასთან არაა დაკავშირებული. მაგალითად, მიუთითებს 3. კელზენი, ძველი რომის სამართლის ნორმების მიხედვით, ფულადი ჯარიმა უნდა გადაეხადა მესაკუთრეს, რომლის სახლის სახურავიდან ჩამოვარდნილი საგანი მოკლავდა სახლთან გამვლელს. 3. კელზენი მიუთითებს, რომ სახლის პატრონსა და სახლთან გამვლელის სიკვდილს შორის არავითარი მიზეზობრივი კავშირი არ არსებობს, მაგრამ სამართალი სახლის პატრონს მაინც ბრალშერაცხულად თვლის³. შერაცხვის საფუძველი დანაშაულებრივი უმოქმედობისას ნორმის სუბიექტსა და დამდგარ შედეგს შორის სრულებითაც არაა მიზეზობრივი კავშირი; სამართლის სუ-

¹ ალ. ვაჩეიშვილი, Kelsen-ის მოძღვრება სამართალზე და სახელმწიფოზე, გვ. 3. შემდეგში 3. კელზენის დებულებები მოტანილია ალ. ვაჩეიშვილის ზემოაღნიშნული წიგნიდან, სქოლიოში კი მითითებულია გერმანული ტექსტის შესაბამისი ადგილი გვერდის დასახელებით (ვ. ა.).

² H. Kelsen, Hauptprobleme der Staatsrechtslehre entwickelt aus der Lehre vom Rechtssatze, Tübingen, 1911, S. 73.

³ იქვე.

ბიექტი თავისი მოქმედებისათვის ბრალად შერაცხული შეიძლება გახდეს მხოლოდ პოზიტიური სამართლის მიხედვით¹.

სამართლის ნორმა არ შეიცავს იმპერატივს, იგი ატყვევებს ნებისყოფის მფლობელს. თუ სამართლის ნორმას იმპერატივად ჩაუთვლით, მაშინ შინ შეუძლებელი გახდება შერაცხვის (Zurechnung) ცნების დასაბუთება. საქმე ისაა, მიუთითებს პ. კელზენი, რომ შერაცხვა, როგორც ზემოთ დავინახეთ, არ ემყარება მიზეზობრიობას, იგი გულისხმობს ნებისყოფის თავისუფლებას. შერაცხვაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, თუ ნებისყოფა გაგებულა, როგორც თავისუფალი ფენომენი. პ. კელზენი ერთმანეთისაგან ანსხვავებს ნებისყოფას ფსიქოლოგიური და იურიდიული მნიშვნელობით, ფსიქოლოგიური გაგებით ნებისყოფა შინაგანი აქტია და იგი, ისევე როგორც სხვა მოვლენები, ექვემდებარება მიზეზობრიობას, მაგრამ ნებისყოფა იურიდიული მნიშვნელობით არის მხოლოდ კონსტრუქცია ანუ ნორმატიული ცნება. შერაცხვას (Zurechnung) ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა ნებისყოფა გაგებულა, როგორც თავისუფალი, მაგრამ ნებისყოფა თავისუფალია მაშინ, როცა მას გავიგებთ კონსტრუქციულად, ე. ი. ნორმატიული მნიშვნელობით, სხვა შემთხვევაში კი, მაგალითად, ფსიქოლოგიური მნიშვნელობით, ნებისყოფა მიზეზობრიობას დაქვემდებარებული მოვლენაა.

პ. კელზენის აზრით, ნებისყოფა არა ფსიქოლოგიური, არამედ მხოლოდ იურიდიული მნიშვნელობით შეიძლება გახდეს შერაცხვის საფუძველი. პირი იმიტომ კი არ უნდა იქნეს მიჩნეული დამნაშავედ, რომ მას სურდა ან იგი ითვალისწინებდა რაიმე შედეგს, არამედ სამართლის ნორმის თანახმად იგი ვალდებული იყო არ შეესრულებინა განსაზღვრული მოქმედება. ქმედობის ბრალად შერაცხვის საფუძველი ფსიქოლოგიურად გაგებულ ნებისყოფა კი არაა, არამედ დანაშაულობა არსებობს იმიტომ და იმდენად, რამდენადაც არსებობს სასჯელი².

პ. კელზენი როცა მსჯელობს ბრალად შერაცხვის (Zurechnung) საფუძველებზე, ერთმანეთისაგან ანსხვავებს ფსიქოლოგიური განწყობის მქონე ადამიანს და პიროვნებას, როგორც ეთიკურ-იურიდიულ მთლიანობას და აქედან გამოყავს იურიდიული ნებისყოფის ცნება. ფსიქოლოგიური გაგებით, ადამიანისათვის დამახასიათებელია „სურვილი“, „წარმოდგენა“ და ა. შ., მაგრამ ნებისყოფის ცნება ეთიკურ-იურიდიული გაგებით სხვა მოვლენებზე მიგვანიშნებს.

¹ იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

² იქვე, გვ. 142.

ნებს. თუ ფსიქოლოგიური გაგებით ნებისყოფა აზროვნებასა და გრძნობებთან ერთად გულისხმობს ადამიანის სულიერი ცხოვრების ერთ-ერთ განსაზღვრულ სახეს, ეთიკურ-იურიდიული გაგებით ნებისყოფა და იმპუტაცია კორელატური მოვლენებია, სექციონალურად ყველა დარგში იმპუტაცია ნებისყოფაზეა დამოკიდებული.

ამ მოვლენების კორელატურობა იმაში მდგომარეობს, რომ ეთიკურ-იურიდიული მნიშვნელობით გაგებული ნებისყოფის საფუძველზე გარეგანი ფაქტები სამართლის ნორმის მოთხოვნათა მიხედვით უკავშირდება სუბიექტებს, რაც მთლიანობაში არის იმპუტაცია, რომელიც მიზეზობრივი კავშირისაგან დამოუკიდებლად შემოადინებულ ელემენტთა შორის ქმნის სიტუაციას იმისათვის, რომ სუბიექტს დაეკისროს იურიდიული პასუხისმგებლობა იმის მიუხედავად, შედეგი გამოწვეულია თავისი მოქმედებით თუ უმოქმედობით, რადგან იმპუტაცია ხდება გარედან. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ, პირველ ყოვლისა, იმპუტაცია ეხება პირის გარეგან ქცევას. მაგრამ ამით არ ამოიწურება იმპუტაციის მოქმედების სფერო. იურიდიული პასუხისმგებლობა როდი ვრცელდება ცალკე აღებულ მოქმედებაზე ან უმოქმედობაზე, იგი იმპუტაციისათვის მხოლოდ გამოსასვლელი პუნქტია. მაგრამ იმპუტაციის საბოლოო პუნქტი გულისხმობს მთელ პიროვნებას, არა როგორც ზოოლოგიურ-ფსიქოლოგიურ, არამედ ეთიკურ-იურიდიულ მთლიანობას და ამდენად შერაცხვის ეს საბოლოო პუნქტი, რომელიც ადამიანის შინაგან სფეროს განეკუთვნება, წარმოადგენს იმას, რასაც ეთიკა და იურისპრუდენცია ნებისყოფას უწოდებს¹. უდავოდ, კელზენს აქ იმის თქმა უნდა, რომ იმპუტაციის სისტემაში ნებისყოფა წარმოადგენს არა ფსიქოლოგიურ მოვლენას, არამედ მხოლოდ ნორმატიულ კონსტრუქციას.

ამრიგად, იმპუტაცია (Zurechnung), როგორც პ. კელზენის ნორმატივისტული მეთოდის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, მიზნად ისახავს მეტაიურიდიული მოვლენებისაგან დამოუკიდებლად სამართლის შესწავლას. მისი მტკიცებით, იმპუტაცია მიზეზობრიობისაგან მთლიანად განცალკევებულია და ამ უკანასკნელს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იურიდიული პასუხისმგებლობის დადგენისათვის. სამართლის ნორმა მიუთითებს იმაზე, თუ როგორ უნდა განვითარდეს მოვლენები; კერძოდ, ამა და ამ პირობების არსებობისას უნდა დადგეს ესა და ეს შედეგი ანუ სანქცია. კობულა

¹ იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 144.

² იქვე, გვ. 145.

„უნდა იყოს“ საშუალებით მოვლენათა გაერთიანების ამ ფორმულას ჰ. კელზენი უწოდებს იმპუტაციას, რომელსაც მიზეზობრიობისაგან იგი შემდეგნაირად ანსხვავებს: „დანაშაული სასჯელის მიხედვით უნდა იყოს, სანქცია არაა ნებადაღურთველი მოქმედების შედეგი... პასუხისმგებლობა ყოველთვის ნორმის შედეგია“¹. ცხადია, ჰ. კელზენის აზრით, სამართლის ნორმებში გათვალისწინებული იმპუტაცია ჯერ-არსობაში პოულობს გამოხატულებას. მთელი სამართლებრივი აზრი ჯერ-არსობასთან ერთად ნორმებში გადმოცემულია შემდეგი ლოგიკური მსჯელობის სახით: თუ არსებობს ა, უნდა იყოს ბ. მაგრამ ჰ. კელზენის ნორმატივისტული მეთოდოლოგია ნორმაში მოცემულ ჯერ-არსობას, ე. ი. ნორმის ნაწილს „უნდა იყოს“ (Sollen), მკვეთრად უპირისპირებს არსობას (Sein). ეს მომენტი ჰ. კელზენის მოძღვრებაში მისი ნორმატიული მეთოდის მეორე ძირითად საწყისს წარმოადგენს.

ჰ. კელზენის მტკიცებით, არსებობს ბუნების კანონი (Naturgesetz) და ნორმა (Norm). ჩვეულებრივ, მათ ერთმანეთს უპირისპირებენ, რადგან ნორმები ადგენენ მხოლოდ ვალდებულებებს. ნორმები ეწოდება ზნეობრივ, იურიდიულ, ლოგიკურ, გრამატიკულ და ესთეტიკურ კანონებს. ბუნების კანონების ელემენტები ერთმანეთთან მიზეზობრივ კავშირშია, რომელიც უტყობა იურიდიული ნორმებისათვის. ბუნების კანონები გამოხატავენ რეალობას, კერძოდ, იმას, რაც არის, მაგრამ სულ სხვა კანონზომიერებაზეა დამყარებული იურიდიული ნორმები. იურიდიული ნორმების ელემენტებს შორის კავშირი მხოლოდ იმას გამოხატავს, რაც უნდა იყოს. ამრიგად, სამართლის ნორმები განეკუთვნება Sollen-ის სფეროს, ბუნების კანონები კი Sein-ის სფეროს².

არსობასა (Sein) და ჯერ-არსობას (Sollen) შორის ურთიერთდამოკიდებულება მუდამ ერთნაირი არაა. ერთ შემთხვევაში ისინი შეიძლება ერთმანეთს უპირისპირდებოდეს, მეორეში კი შესაძლებელია არსობიდან ჯერ-არსობის გამოყვანა და პირიქით. ჰ. კელზენის აზრით, არსობა და ჯერ-არსობა ერთმანეთთან მკვეთრად დაპირისპირებული. როცა ერთსა და იმავე საგანზე ვაპრობობთ, რომ „ეს არის“ (Sein), მაგრამ ამავე დროს აღვნიშნავთ, რომ „ეს უნდა იყოს“ (Sollen). რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მსჯელობა „არის“ (Sein) და „უნდა იყოს“ (Sollen) ერთმანეთს გამორიცხავენ და ისი-

¹ H. Kelsen. *Théorie pure du droit*. 1953, p. 19. (ციტირებულია: В. А. Туманов, *Буржуазная правовая идеология*, М., 1971, с. 220).

² იქვე, გვ. 6.

ნი ურთიერთდაპირისპირებულ ცნებებს წარმოადგენენ, კერძოდ, Sein-დან Sollen-ის გამოყვანა და პირიქით შეუძლებელია. მაგრამ, მიუთითებს ჰ. კელზენი, არსობასა (Sein) და ჯერ-არსობას (Sollen) შორის შეიმჩნევა სხვა ურთიერთდამოკიდებულებაც, რომლის ვისებურებებში გარკვევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფორმალურ-ლოგიკური და მატერიალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისების გათვალისწინებას. მატერიალურ-ფსიქოლოგიურის მხრივ სავსებით შესაძლებელია Sein-დან Sollen-ის წარმოშობა, კერძოდ, ამგვარ შემთხვევებში Sein-ის შინაარსი ემთხვევა Sollen-ის შინაარსს. მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას ფორმალურ-ლოგიკური თვალსაზრისით Sein-ისა და Sollen-ის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრისას. საქმე ისაა, მიუთითებს ჰ. კელზენი, რომ მატერიალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გამოკვლეული Sein-ისა და Sollen-ის ურთიერთდამოკიდებულება, როცა ამ ფენომენტა შინაარსი ერთი და იგივეა, როგორც გ. ელინეკი აღნიშნავდა, წარმოდგენას ვეაძლევს ე. წ. ფაქტების ნორმატიულ ძალაზე, როცა ცალკე აღებულ ინდივიდს სავალდებულოდ მიაჩნია რომელიმე ქცევის წესი, რადგან ეს უკანასკნელი აღიარებულია უმრავლესობის მიერ. ამ შემთხვევაში Sein-ისა და Sollen-ის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრისას გამოყენებულია არა ფორმალურ-ლოგიკური, არამედ მატერიალურ-ფსიქოლოგიური მეთოდი, რომელიც იკვლევს ფაქტიურ პროცესს მისთვის დამახასიათებელი მოვლენებით, კერძოდ, ნებით და მოქმედებით. მაგრამ ჰ. კელზენი მიუთითებს, რომ არც ნება და არც მოქმედება ფორმალურ-ლოგიკური აზრით არ შეადგენს Sollen-ს, ისინი ფაქტობრივი ხასიათის ფსიქიკურ ან სხეულებრივ მოვლენებს წარმოადგენენ, რომლებიც მხოლოდ Sollen-ის შინაარსია, მაგრამ არა თვითონ Sollen¹. ჯერ-არსობა მნიშვნელოვნად განსხვავდება არსობისაგან, მაგალითად, ინდივიდს შეიძლება გააჩნდეს რაიმე ვალდებულება, მაგრამ არ სურდეს იგი და პირიქით, შეიძლება სურდეს, მაგრამ არ გააჩნდეს ვალდებულება. ამრიგად, არსობა და ჯერ-არსობა სამართლის დარგში არ შეიძლება როდისმე იყოს იდენტური, პირიქით, სამართალში ჯერ-არსობა დაპირისპირებულია არსობასთან.

3. კელზენი ჯერ-არსობასა და არსობას გამოხატავს აგრეთვე ფორმისა და შინაარსის ურთიერთობითაც. მისი მტკიცებით, ფორმალურად არსებულისაგან დამოუკიდებელი მოვლენაა, რომე-

¹ იქვე, გვ. 9.

ლიც შეიცავს მსჯელობას „უნდა იყოს“ (Sollen), შინაარსით კი
ველაფერი, რასაც დაიტევს ფორმა. ფორმა აბსტრაქტულად არ-
სებულ იდეალურ ფენომენს წარმოადგენს, შინაარსი კი არსსავე წარმოადგენს.
ფაქტიური სინამდვილე, რომელიც არსებობს. ეს უკანასკნელი
განეკუთვნება არა სამართლებრივი, არამედ ბუნებითი კანონის სფე-
როს და მას შეისწავლის მეცნიერებანი (ფსიქოლოგიური, სო-
ციოლოგიური და ა. შ.), რომელთა მიზანია არსებულის ახსნა-გან-
მარტება. რაც შეეხება იმას, რაც უნდა იყოს, იგი სამართლის სფე-
როს საზღვრებს არ სცილდება და ფორმის, ე. ი. ჯერ-არსობის
შესწავლისას გამოდგება არა ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური
და ა. შ. მეთოდები, არამედ მხოლოდ ფორმალურ-ნორმატიული მე-
თოდი.

როგორც ჩანს, პ. კელზენის აზრით, სამართალი ჯერ-არსობის
(Sollen) კატეგორიას განეკუთვნება და მას არავითარი კავშირი
არა აქვს არსობასთან. ამ მხრივ მისი შეხედულებები ახლოს დგას
სამართლის ფენომენოლოგიური სკოლის მამამთავრის პ. ჰუსერლ-
ის მოძღვრებასთან, რამდენადაც ფენომენოლოგიური სკოლის
ძირითადი სამართლებრივი მოძღვრება ჯერ-არსობისა და არსობის
კატეგორიებს ემყარება და ამ სკოლის მომხრეები სამართალს ჯერ-
არსობის სფეროს მიაკუთვნებენ. ადარებს რა ერთმანეთს სამარ-
თლის ნორმატიული და ფენომენოლოგიური სკოლების მოძღვრე-
ბებს, ვ. თუმანოვი მიუთითებს, რომ სამართლის ნორმატიული სკო-
ლის „გნოსეოლოგიური ნორმის, როგორც ჯერ-არსობის იდეალუ-
რი არსებობა“ დიდად არ განსხვავდება ჰუსერლის ონტოლოგიური
ნორმის „იდეალური არსებობისა“ და ძირითადი სამართლებრივი
ცნებებისაგან¹, მიუხედავად იმისა, რომ თვით პ. კელზენი ამ
მსგავსებას უკანასკნელ პერიოდში კატეგორიულად უარყოფდა.
ალ. ვაჩიშვილი, ემყარება რა პ. კელზენის მიერ 1928 წელს გა-
მოქვეყნებულ ნაშრომს „სახელმწიფოს ცნება სოციოლოგიური და
იურიდიული თვალსაზრისით, რომელშიც პ. კელზენი გაკვრით
მიუთითებს სამართლის შესახებ პ. ჰუსერლისა და მის მიერ შემუ-
შავებული მოძღვრებების განსხვავებაზე, ცდილობს დაადგინოს
ამ განსხვავების თავისებურებები. ალ. ვაჩიშვილი წერს: „...Hus-
serl-სა და Kelsen-ს შორის, ჩვენი აზრით, ... მნიშვნელოვანი გან-
სხვავებაა. Kelsen-ისათვის სამართალი ნორმატიულ მეცნიერებას
წარმოადგენს; ნორმატიულ მეცნიერებათა ჯგუფში იგი ათავსებს
კიდევ ლოღიკას, გრამატიკას, ესთეტიკასა და ეთიკას; ნორმატიულ

¹ В. Туманов, Буржуазная правовая идеология, с. 227.

მეცნიერებათა საგნად იგი თვლის იდეალურ ვალდებულებას; ყველა ამ დისციპლინების თვალსაზრისი ნორმატიული ბუნებისაა. ეს შეხედულება Husserl-ისას არ ეთანხმება. Husserl-ის საგანი საგანი ნორმატიული მნიშვნელობით არ ესმის; ფორმალური ლოლიკის საგანი ნორმატიული იდეალობა არაა, რადგან ნორმატიული მნიშვნელობით იდეალობა რეალობას არ უარყოფს. ასეთია Husserl-ის აზრი ამ საგანზე. ფორმალური ლოლიკა მისთვის წმინდა თეორიული მეცნიერებაა; აქედან ცხადია, თუ რაშია განსხვავება Husserl-სა და Kelsen-ს შორის. Husserl ბუნებრივი კანონისა და ნორმის დაპირისპირების მაგივრად უპირისპირებს ერთმანეთს ბუნებრივ და იდეალურ კანონს; ამასთან დაკავშირებით იგი ანსხვავებს რეალურ და იდეალურ მეცნიერებას. წმინდა ლოლიკა მისთვის წარმოადგენს თეორიულ დებულებათა, და არა ნორმათა, სისტემას¹. მიუხედავად ამ განსხვავებისა, უდავოა, რომ ჰ. კელზენის ნორმატიულ თეორიაში სამართლის ნორმა რეალური სინამდვილისაგან მოწყვეტილ და იდეალურ სფეროში არსებული ჯერ-არსობაა, ამიტომაც იგი გვევლინება მხოლოდ მსჯელობის სახით. ეს მტკიცება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰ. კელზენის ნორმატივისტული მეთოდის მესამე შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და იგი მას დაპირისპირებული აქვს სამართლის ნორმის სხვადასხვა თეორიებისადმი (იმპერატივის, აღიარების და ა. შ.).

ჰ. კელზენის მტკიცებით, სამართლის ნორმა თავისი ხასიათით ჰიპოთეტური მსჯელობაა, რომლის საგანს წარმოადგენს არა ის, რაც არსებობს, არამედ ის, რაც უნდა არსებობდეს. ბუნების კანონებისაგან განსხვავებით, რომელთა სფეროს შეადგენს არსობა (Sein), სამართლის ნორმები, როგორც მსჯელობა ჯერ-არსობაზე (Sollen), გამოხატავს სუბიექტთა ვალდებულებას. ჰ. კელზენის დებულება იმის შესახებ, რომ სამართლის ნორმა ჰიპოთეტური მსჯელობაა, იმას ნიშნავს, რომ ამ მსჯელობაში ლაპარაკია სახელმწიფოს ნებაზე, მაგრამ სახელმწიფოს საგანი მხოლოდ საკუთარი მოქმედებაა, აქედან კი გამოდის, რომ იურიდიული ნორმა წარმოადგენს მსჯელობას იმის შესახებ, თუ რანაირი მოქმედება სურს სახელმწიფოს განსაზღვრულ პირობებში. ჰ. კელზენის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამართლის ნორმაში მოცემულია სახელმწიფოს ნების შესახებ ჰიპოთეტური მსჯელობა, აშკარად უპირისპირდება იურიდიულ მეცნიერებაში გავრცელებულ სამართლის ნორმის

¹ ალ. ვან ეიშვილი, Kelsen-ის მოძღვრება სამართალზე და სახელმწიფოზე, გვ. 153.



იმპერატივის თეორიას. ჰ. კელზენის მთელი მსჯელობა მიზნად ისახავს იმის დასაბუთებას, რომ ნორმა მხოლოდ პუბლიცისტური მსჯელობას შეიცავს და არა იმპერატივის. ნორმა, როგორც პუბლიცისტური თეზური მსჯელობა, და ნორმა, როგორც იმპერატივი, ჰ. კელზენის მოძღვრებაში გულისხმობს სახელმწიფოს ნებას, მაგრამ ეს უკანასკნელი ზემოაღნიშნულ შემთხვევებში მის მიერ სხვადასხვანაირად არის გაგებული.

თეორია, რომელიც ნორმაში ხედავს იმპერატივს, გამოდის იქიდან, რომ სახელმწიფოს ნება ადგენს სუბიექტთა მოვალეობას და, ამდენად, სხვის ქცევაზე გავრცელებული სახელმწიფოს ნება იურიდიულ ნორმაში გამოიხატება ბრძანებაში, რომელიც შეიძლება იყოს ნებისდართვა ან აკრძალვა. იურიდიული ნორმის იმპერატივის თეორიის თანახმად, სახელმწიფოს სურს არა საკუთარი, არამედ სხვა სუბიექტების მართლზომიერი ქცევა, კერძოდ, სახელმწიფოს სურს, რომ სამართლის სუბიექტებმა არ ჩაიდინონ ქურდობა, მკვლელობა და ა. შ.

რაც შეეხება ჰ. კელზენის მიერ შემუშავებულ სამართლის ნორმატიულ მოძღვრებას, იგი გულისხმობს სახელმწიფოს ნების სრულიად განსხვავებულ კონსტრუქციას. მისი მტკიცებით, ნება ეთიკურ-იურიდიული მნიშვნელობით შერაცხვის (Imputation, Zurechnung) მიზნით ჩამოყალიბებული კონსტრუქციაა და, ამდენად, სახელმწიფოს ნება არის შერაცხვის პუნქტი ორგანოების იმ მოქმედებისათვის, რომელიც მიჩნეულია, როგორც თვით სახელმწიფოს მოქმედება. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფოს შეუძლია ისურვოს მხოლოდ თავისი საკუთარი მოქმედება. ეთიკურ-იურიდიული აზრით, ამ სურვილის საგანია მხოლოდ ის, რაც უნდა შერაცხოს სუბიექტს, შესარაცხი მოქმედება კი იდენტურია საკუთარ მოქმედებასთან. რაიმე მოქმედება ან უმოქმედობა უცხოა ვინმესთვის მაშინ, როცა ის შერაცხება არა თვითონ მას, არამედ სხვა პირს. თუ ეთიკურ-იურიდიული აზრით ნების საგნად შეიძლება მხოლოდ საკუთარი მოქმედება, რადგან შერაცხული უნდა იყოს მხოლოდ საკუთარი მოქმედება, მაშინ, ცხადია, სახელმწიფოსაც შეუძლია ისურვოს მხოლოდ საკუთარი მოქმედება¹.

აქედან გამომდინარე, ჰ. კელზენი მიუთითებს, რომ იმპერატივის თეორიას, რომლის მიხედვით სურვილის საგანს შეადგენს სხვისი ქცევა, იურიდიული მეცნიერება ვერ მიიღებს. საქმე ისაა, რომ ნება ეთიკურ-იურიდიული აზრით თავისუფალია, ამგვარი ნე-

¹ ალ. ვაჩეიშვილი, Kelsen-ის მოძღვრება სამართალზე და სახელმწიფოზე, გვ. 180—190.

ბით გამოწვეული მოქმედება, ჯერ ერთი, არასოდეს შეიძლება იყოს სხვისი მოქმედების შედეგი და, მეორე, იგი არ იქნება არც ერთვე სხვის მიერ ნასურვები. ამრიგად, რადგანაც საერთაშორისო თავისუფალია, მისი დაქვემდებარება სხვისი ნებისადმი ბუნებრივად უბელია და, მასასადამე, ნების საგანი ყოველთვის მხოლოდ საკუთარი მოქმედება უნდა იყოს. ჰ. კელზენი ნორმის იმპერატივის თეორიას სხვა მხრივაც აკრიტიკებს. მისი აზრით, სახელმწიფოს არ შეიძლება შეერაცხოს სხვისი ყოფაქცევის სურვილი¹. საქმე ისაა, რომ რაიმე შედეგის სურვილი არ გამოირიცხავს ამ შედეგის შეგნებას. მაგრამ ამ შემთხვევაში იქმნება დაუძლეველი წინააღმდეგობა, რადგანაც სახელმწიფოს ერთდროულად თუ მივაწერთ როგორც საკუთარი მოქმედების სურვილს, ასევე შედეგის სურვილსაც, ამ შემთხვევაში სახელმწიფოსთვის უნდა მივიჩნიოთ როგორც ნება, ასევე ცნობიერება, ანუ წარმოდგენის უნარი, რაც შეუძლებელია, რადგან ცნობიერების (წარმოდგენის) სოციოლოგიურ ფაქტებს არავითარი კავშირი არა აქვს სახელმწიფოს იურიდიულ პიროვნებასთან. მაგრამ სახელმწიფოს იურიდიულ პიროვნებას ახასიათებს მხოლოდ ნება, რომელიც იდენტურია სახელმწიფოს პიროვნებასთან². იმპერატივის თეორია გამოდის იქიდან, რომ ნორმა და იმპერატივი ერთი და იგივეა, მაგრამ, ჰ. კელზენის აზრით, ეს მტკიცება შეიძლება ქეშმარიტი იყოს არა სამართლისათვის, არამედ ზნეობისათვის, რადგან ზნეობას აქვს ავტონომიური ხასიათი, სამართალს კი — ჰეტერონომიული. ზნეობის ავტონომიურობა იმაში გამოიხატება, რომ მისი ავტორიტეტი არ არის გარეგანი ხასიათისა, ზნეობით გამოხატული ნება თვით ინდივიდის ნაწილს, მის თანდაყოლილ და ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენს. ზნეობრივი ბრძანება უშუალოდ მოქმედებს ადამიანის ნებისყოფაზე, ამიტომ ზნეობის ავტონომიური ბუნებისათვის უცხო არ არის მისი ნორმების იმპერატიული ხასიათი. მაგრამ სამართალი ჰეტერონომიული ბუნებისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოსა და სამართლის ავტორიტეტი ინდივიდთა მიმართ გარეგანია და ინდივიდებისაგან დამოუკიდებელი. ამიტომ ამ ინდივიდთა ნება შეთანხმებული უნდა იქნეს სამართლის მიზნებთან და ამის გარანტიას უნდა შეიცავდეს სამართლის ნორმა. ეს გარანტია შეიძლება იყოს ორი სახის: სარგებლობა (Vorteil) და ზარალი (Nachteil). სახელმწიფო ფაქტიურად იყენებს უკანასკნელს, რაც თავის

¹ ალ. ვანეიშვილი, Kelsen-ის მოძღვრება სამართალზე და სახელმწიფოზე, გვ. 194.

² იქვე.

გამოხატულებას პოულობს სანქციაში, რომელიც ნორმაში შემდეგი ორი ფორმით გვხვდება: სასჯელი და აღსრულება. სადაც, ასევე, 3. კელზენი, სამართალი თავისი პეტუნების გამო სუბიექტთა ნებაზე შემოქმედებას ახდენს არაპირდაპირი გზით, სანქციით. რაც შეეხება ზნობას, რომელიც ავტონომიური ბუნების მოვლენას წარმოადგენს და არ შეიცავს სანქციას, უშუალოდ, პირდაპირ მოქმედებს ნებაზე.

ამრიგად, 3. კელზენი სამართალში გადაწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს სანქციას, რომელშიც ვლინდება სახელმწიფოს მოქმედება, კერძოდ, სასჯელის დადება (Strafe) და აღსრულება (Exekution). სახელმწიფოს სურვილი — იმოქმედოს, არის მხოლოდ საკუთარი მოქმედება და არა სამართლის სხვა სუბიექტების ქცევა. მაგრამ სხვა სუბიექტების მოქმედების სავალდებულობა, როგორც ნორმის მიზანი, გამომდინარეობს ნორმიდან არაპირდაპირი გზით, კერძოდ, სხვა სუბიექტების მოქმედება წარმოადგენს იმ შემადგენლობის ნეგატიურ მხარეს, რომელსაც ნორმა უკავშირებს სანქციას (სასჯელს ან აღსრულებას). ა. ვაჩიშვილი მიუთითებს, რომ 3. კელზენის „ამ აზრს უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება. კელზენი მსჯელობს შემდეგნაირად: სახელმწიფოს ნებისყოფის შინაარსი, ე. ი. მისი საგანი, შეიძლება იქნეს მხოლოდ-დამხოლოდ მისი საკუთარი მოქმედება. სხვა სუბიექტების მოქმედება სახელმწიფოს ნებისყოფის საგანს არ შეადგენს: სახელმწიფოს არ „მსურს“ იგი. თუკი ეს სხვაა, როგორ უნდა აღვადგინოთ ის კავშირი, რომელიც უსათუოდ არსებობს სახელმწიფოს მოქმედებასა და სხვა სუბიექტების ყოფაქცევას შორის? კელზენის აზრით, სუბიექტების იმ მოქმედების შესახებ, რომელსაც მოითხოვს სამართალი, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყვანოთ დასკვნა თვით ნორმის შინაარსიდან: თუ ნორმაში ნათქვამია, რომ განსაზღვრულ შემთხვევაში სახელმწიფო იწყებს თავის მოქმედებას, მაგალითად, სჯის დამნაშავეს, მაშინ ნეგატიური მსჯელობის საშუალებით ჩვენ ვგებულობთ, თუ რას მოითხოვს სამართლის წყობილება; მართლზომიერი ყოფაქცევა, მაშასადამე, შეადგენს იმის წინააღმდეგს, რასაც სამართალი უკავშირებს თავის სანქციას“³.

3. კელზენის მიერ სამართლის ნორმაში სანქციის წარმოჩენა

¹ ალ. ვაჩიშვილი, Kelsen-ის მოძღვრება სამართალზე და სახელმწიფოზე, გვ. 205.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 73—74.

და მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება მის მიერ შემოქმედებულ სამართლის ნორმატივისტულ მოძღვრებას აახლოებს სამართლის იძულების თეორიასთან. მაგრამ, ჰ. კელზენის მოწინააღმდეგეებს კარგად არ ესმით სამართლის ნორმაში გამოხატული იძულების, კერძოდ, სასჯელისა და აღსრულების მნიშვნელობა და არსი. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ფიზიკური და ფსიქიკური იძულება. თუ იძულებას გავიგებთ ფიზიკური იძულების ფაქტიურ შესრულებად, ამ შემთხვევაში ცხადი გახდება, რომ სამართლის ნორმის რეალიზაცია სამართლის სპეციფიკური საშუალებით შეუძლებელია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სანქციას (სასჯელს ან აღსრულებას) ადგილი ექნება მხოლოდ მას შემდეგ, როცა სამართლის ნორმა უკვე დარღვეულია, რაც იძულების თეორიას ეწინააღმდეგება. თუ იძულებას გავიგებთ, როგორც ფსიქიკურ იძულებას, ამ თვალსაზრისითაც იძულების თეორია ვერ უძლებს კრიტიკას, რადგან ძალიან ხშირად ფსიქიკური იძულება ვერ აღწევს მიზანს, მაგრამ სამართლის ნორმა მაინც არ კარგავს თავის სპეციფიკურ ხასიათს.

ამრიგად, იძულების თეორია მიუღებელია, რადგან იმ სოციალური მიზნის მიღწევას, რომელსაც სამართლის ნორმა ისახავს, იგი თელის ფორმალური სამართლის თვისებად, მაშინ როცა იურიდიული მეცნიერებისათვის სამართლის ნორმის მიზანია სახელმწიფოს ნება, კერძოდ, სანქცია (სასჯელი ან აღსრულება). არა ფსიქიკურ და ფიზიკურ იძულებას, არამედ რეაქციას სამართალდარღვევის წინააღმდეგ, კერძოდ, სასჯელსა და აღსრულებაში გამოხატულ სახელმწიფოს ნებას, გააჩნია იურიდიული მნიშვნელობა. სამართლის ნორმა მხოლოდ მაშინ ასრულებს იურიდიულ დანიშნულებას, როცა იგი ვერ აღწევს თავის სოციალურ მიზანს¹.

იმის დასამტკიცებლად, რომ სამართლის ნორმა მხოლოდ ჰიპოთეტური მსჯელობაა სახელმწიფოს ნების შესახებ, ჰ. კელზენი აკრიტიკებს ნორმის იმპერატივის თეორიის ლოგიკური განვითარების შედეგად წარმოშობილ ე. წ. აღიარების თეორიას, რომლის ყველაზე დიდი წარმომადგენელი იყო ბირლინგი. სამართლის აღიარების თეორიის მიხედვით, იმპერატივი ნორმის არსებობის ლოგიკური ფორმაა, მაგრამ, ჰ. კელზენის აზრით, სახელმწიფოს ნება რომ სუბიექტის ნებად მოგვევლინოს, ე. ი. სამართლის ნორმამ

¹ ალ. ვანეიშვილი, Kelsen-ის მოძღვრება სამართალსა და სახელმწიფოზე. გვ. 215.



რომ გამოიწვიოს სუბიექტებში მასში მოცემული იმპერიატივის შესაბამისი ქცევა, საჭიროა სამართლის აღრესატებმა აქტიურნი მქცნორმა. იურიდიულ მეცნიერებაში ნორმის აღიარებას კერძოდ მომხრენი შემდეგი სხვადასხვა ტერმინებით გამოხატავენ: პატივისცემა, მოწონება, მორჩილება, შექება¹. პ. კელზენის აზრით, აღიარების თეორია მეთოდოლოგიურად მცდარ საფუძვლებზეა დამყარებული. საქმე ისაა, რომ აღიარების თეორიის მიხედვით იურიდიული მეცნიერების არსებით საკითხს წარმოადგენს სამართლის ღირებულების (ფასეულობის) საფუძვლის გამორკვევა, მაგრამ სინამდვილეში იურისპრუდენციისათვის ნორმის ღირებულების საფუძვლები ირელევანტურია, კერძოდ, ნორმის ღირებულების საფუძვლების გამოკვლევა ფსიქოლოგიის ან ეთიკის მეცნიერების საგანია. თუ დავსვამთ კითხვას იმის შესახებ, თუ რატომ ასრულებენ სუბიექტები სახელმწიფოს მიერ დადგენილ სამართალს, მასზე იურიდიულმა მეცნიერებამ კი არა, ფსიქოლოგიამ ან სოციოლოგიამ უნდა უპასუხოს, რადგან სამართლის ნორმების ღირებულება მათ ფაქტიურ განხორციელებაში სრულებითაც არ მდგომარეობს.

შეიძლება, აღიარების თეორიიდან გამომდინარე, დაისვას მეორე კითხვაც, კერძოდ, რატომ უნდა შესრულდეს სამართლის ნორმები. ამ კითხვაზე სამართლის მეცნიერებას პასუხი არ სჭირდება და იურისპრუდენციის თვალსაზრისით ამგვარი კითხვის დასმაც სრულიად უადგილოა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თუკი არსებობს სამართლის ნორმა, რა თქმა უნდა, იგი უნდა შესრულდეს, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, სამართლის ნორმის წარმოდგენა უკვე გულისხმობს მისი განხორციელების ვალდებულებას. სწორედ ამიტომ იურიდიულ მეცნიერებაში საკითხის ამგვარი დასმა გამორიცხულია. მაგრამ აღიარების თეორიიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნულ კითხვაზე პასუხი გულისხმობს სამართლის ნორმის დაქვემდებარებას უფრო მაღალი და მეტი ღირებულების მქონე ნორმისადმი (ზნეობრივი, სარწმუნოებრივი და ა. შ.). განსხვავებით სხვა მეცნიერებებისაგან, იურიდიულ მეცნიერებაში არ ისმის საკითხი იმის შესახებ, ეწინააღმდეგება თუ არა სამართლის ნორმა ზნეობას, სარწმუნოებას და ა. შ., იურისტისათვის სამართლის მატერიალურ ღირებულებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მას შეუძლია საკითხი დასვას ფორმალური ვაგებით, კერძოდ, იურიდიულ მეცნიერებას აინტერესებს ნორმით დადგე-

¹ ალ. ვაჩეიშვილი, Kelsen-ის მოძღვრება სამართალზე და სახელმწიფოზე, გვ. 351.

ნილი ვალდებულების საკითხი, მისთვის მნიშვნელობა არა აქვს ნორმის ღირებულებას, ამიტომ იურისტი საკითხს უნდა აყენებდეს არა „რატომ“, არამედ „როგორ“¹.

3. კელზენის აზრით, სამართლის ნორმის აღიარება ბის მიერ ამ ნორმის ღირებულებით საფუძვლებს ემყარება. ნორმის მიერ დადგენილი ვალდებულება სუბიექტებისათვის განსაზღვრულ ღირებულებას წარმოადგენს, ამიტომაცაა სამართლის ნორმის შესრულება სავალდებულო. მაგრამ, შენიშნავს კ. კელზენი, ეს დებულება არა მარტო აღიარების თეორიის, არამედ იმპერატივისა და ხელშეკრულების თეორიების საფუძველია. მეტიც, იმპერატივის, აღიარებისა და ხელშეკრულების თეორიების საერთო წყაროს წარმოადგენს ბუნებითი სამართლის მოძღვრება, რომლის წინააღმდეგაც კ. კელზენი თავგამოდებით იბრძვის. ყველა ზემოაღნიშნულ თეორიას სამართლის ნორმის სავალდებულო ძალის შესახებ საფუძვლად უდევს იურიდიული წყობილების მატერიალური გამართლების პოსტულატი. საქმე ისაა, რომ ბუნებითი სამართლის სკოლა ემყარება ეთიკურ დებულებას: ინდივიდს ვალდებულება შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ საკუთარი ნების ბრძანებით. ბუნებითი სამართლის სკოლის მოძღვრება ადამიანის ბუნებითი უფლებებისა და თავისუფლების შესახებ გულისხმობს იმას, რომ ყოველგვარი ვალდებულება ინდივიდის თვითვალდებულებას წარმოადგენს და უფლება-მოვალეობა გამომდინარეობს საზოგადოებრივი ხელშეკრულებიდან. ბუნებითი სამართლის სკოლის მიერ შემუშავებული ხელშეკრულებისა და აღიარების თეორიები ემყარება ზნეობრივ წარმოდგენას იმის შესახებ, რომ ინდივიდისათვის დაკისრებული ვალდებულება ზნეობრივი პრინციპებით ნაკარნახევი თვითვალდებულებაა და მისი გამართლება მხოლოდ ზნეობრივი მოთხოვნებით შეიძლება². რაც შეეხება იმპერატივის თეორიას, იგი აღიარების თეორიის ლოგიკური განვითარებაა, რადგან ცარიელ იმპერატივს არ შეუძლია გამოიწვიოს იურიდიული შედეგები, კერძოდ, სუბიექტის განსაზღვრული ქცევის. გამოწვევისათვის საჭიროა სამართლის ნორმის ცოდნა და აღიარება, ურომლისოდაც იმპერატივი ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებულია.

3. კელზენი ასკვნის, რომ ნორმა, რომელშიც მოცემულია ვალდებულება და იმპერატივი, არ არის იდენტური ცნებები; იმპერა-

¹ ალ. ვაჩეიშვილი, Kelsen-ის მოძღვრება სამართალზე და სახელმწიფოზე, გვ. 353.

² იქვე, გვ. 376.



ტივი მხოლოდ ნორმის ერთ-ერთი სახეა, ნორმა საერთოდ მსჯელობაა და ნორმა — მსჯელობა, იმპერატივისაგან განსხვავებით, რომელიც მოადგენს ინტელექტის ფუნქციას. იმპერატივი ერთი შეხედვით შეიძლება იყოს იმპერატივი, რომელიც ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „იმოქმედე“, „არ იმოქმედო“ და ა. შ. სამართლის ნორმაში მოცემული ვალდებულება „მე მსურს, რომ შენ ასე ან ისე მოიქცე“, ფაქტიურად მსჯელობაა საკუთარი ნებისყოფის შესახებ და იგი არასდროს შეიძლება იყოს იმპერატივი. მიუხედავად ამისა, ეს მსჯელობა, ისევე როგორც იმპერატივი, ადგენს ვალდებულებას და განსაზღვრულ პირობებში ნორმად გვევლინება¹.

ამრიგად, ჰ. კელზენის ნორმატიული მეთოდი, რომელიც, როგორც თვითონ აღნიშნავს, თავისუფალია ყოველგვარი მეტაფიზიკური შენარევებისაგან, ემყარება შემდეგ სამ ძირითად საწყისს: პირველი, იმპუტაციას ანუ Zurechnung-ს, რომელიც დაპირისპირებულია მიზეზობრიობასთან და გამორიცხავს ამ უკანასკნელს; მეორე, ჭერ-არსობას, როგორც არსობისადმი დაპირისპირებულ მოვლენას; მესამე, სამართლებრივ ნორმას, როგორც მსჯელობასა და ინტელექტის ფუნქციას, რომელიც ადგენს ვალდებულებას და გამორიცხავს იმპერატივის, ღირებულების და ა. შ. წარმოდგენას. ამ ნორმატიულ მეთოდზეა დამყარებული ჰ. კელზენის მთელი მოძღვრება სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ.

ჰ. კელზენის მოძღვრებაში იურიდიული მეცნიერების ყველა პრობლემა დაქვემდებარებულია მხოლოდ ერთი სოციალური ფენომენის, კერძოდ, სამართლისადმი და ამ უკანასკნელიდან გამოყავს მას იურისპრუდენციის დანარჩენი საკითხები: სახელმწიფო, მართლწესრიგი, სამართლის ნორმის შეფარდება და ა. შ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამართლის ნორმის ჰიპერტროფირებამ ჰ. კელზენის ნორმატივისტულ თეორიაში ბევრ პოლიტიკურ და სამართლებრივ ინსტიტუტს სამართლის ნორმისადმი დამოუკიდებელი მნიშვნელობა დაუკარგა. საქმე ისაა, რომ ჰ. კელზენის მოძღვრებაში სამართლის ნორმა ის ქვაკუთხედი და პირველი წყაროა, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს, მართლწესრიგს, კანონიერებას და ა. შ. ამიტომაც, სამართლის ნორმის გარეშე ეს ინსტიტუტები არ არსებობენ. პირველ ყოვლისა, ეს ითქმის სახელმწიფოზე. ჰ. კელზენის აზრით, სახელმწიფო და სამართალი ერთი და იგივეა ანუ, სხვაგვარად, სახელმწიფოს აქვს იურიდიული ბუნება. სამართლის სახელმწიფოებრივი ბუნება და სახელმწიფოს იური-

¹ ალ. ვაჩიანიშვილი, Kelsen-ის მოძღვრება სამართალზე და სახელმწიფოზე, გვ. 211.

დიული ბუნება მატერიალური თვალსაზრისით მათ შორის რაიმე განსხვავებას გამორიცხავს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი ერთი და იმავე მოვლენის სხვადასხვა მხარეებია, არა ფლანკირებული რად, არამედ შინაარსის მხრივ სახელმწიფო და სამართალი ერთი და იგივეა. ის, რაც ერთი თვალსაზრისით სახელმწიფოა, მეორე თვალსაზრისით წარმოადგენს სამართალს¹. არ არსებობს სახელმწიფოს სოციოლოგიური ცნება მის იურიდიულ ცნებასთან ერთად. სახელმწიფოს ორმაგი ცნება, კერძოდ, სახელმწიფო, როგორც სოციოლოგიური ფენომენი და სახელმწიფო, როგორც იურიდიული ფენომენი, ლოგიკურად შეუძლებელია არსებობდეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ერთი და იმავე ობიექტს ერთ ცნებაზე მეტი არ შეიძლება გააჩნდეს და აქედან ცხადია, რომ არსებობს სახელმწიფოს მხოლოდ იურიდიული გაგება; სახელმწიფო წარმოადგენს სამართლის ნორმათა სისტემას, იურიდიული ნორმები გამოხატავენ სახელმწიფოს ნებისყოფას, მაგრამ სახელმწიფო არ ქმნის სამართალს.

3. კელზენის მტკიცებით, სამართალი ნორმათა ერთობლიობაა. ნორმის ცნება ორი ელემენტისაგან შედგება. ესენია: სამართლის სუბიექტი და სამართლის ობიექტი. ისინი ერთმანეთთან სრულეზობით არაა დაკავშირებული ტელეოლოგიურად, მათ შორის მხოლოდ ნორმატიული კავშირი არსებობს. სუბიექტისა და ობიექტის ნორმატიული კავშირის ცნების განმსაზღვრელია ვალდებულება, რომელსაც ნორმა ადგენს. ამიტომ ნორმის უმთავრეს თავისებურებაზე წარმოდგენას გვაძლევს მის მიერ დადგენილი იურიდიული მოვალეობები. იურიდიული ნორმის ფუნქციის მხოლოდ მოვალეობის დადგენა წარმოადგენს².

3. კელზენი ცდილობს იურიდიული მოვალეობის არსის გარკვევას ამ უკანასკნელის ზნეობრივ მოვალეობასთან შედარების გზით. ზნეობრივი მოვალეობა განსაზღვრავს სუბიექტის შინაგან განსაზღვრულობას მორალური კანონებით. ზნეობრივი ვალდებულება სუბიექტის შინაგანი მდგომარეობაა, რომელიც ჩამოყალიბებულია ზნეობრივი იმპერატივის ზეგავლენით. ინდივიდის ზნეობრივი მოვალეობა შედგება არა მარტო მორალური ნორმის შეგნების, არამედ სუბიექტის მიერ მისი აღიარებისაც. 3. კელზენი აღნიშნავს, რომ სამართლებრივ მეცნიერებაში ზნეობრივი და იური-

¹ აღ. ვაჩეიშვილი, Kelsen-ის მოძღვრება სამართალზე და სახელმწიფოზე, გვ. 434.

² იქვე, გვ. 312.

დიული მოვალეობა გაიგივებულია, რადგან ორივე ფსიქიკური მოვლენაა. 3. კელზენის აზრით, იურიდიული და ზნეობრივი მოვალეობის გაიგივება დაუშვებელია, საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში ისპობა იურიდიული მოვალეობის, განსაკუთრებული, ზნეობრივი მოვალეობისაგან დამოუკიდებელი მოვლენის საფუძველი. ამ მხრივ საყურადღებოა 3. კელზენის კრიტიკა ელინეის, ჰაინცეს, შლოსმანის და სხვათა შეხედულებებისა, რომლებიც, 3. კელზენის აზრით, ემყარება შეხედულებას იმის შესახებ, რომ ბუნებითი სამართალი წარმოადგენს მეცნიერებას უფლების შესახებ, მორალი კი — მეცნიერებას მოვალეობის შესახებ¹. 3. კელზენი მიუთითებს, რომ თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებაში დაძლეულია ბუნებითი სამართლის წარმოდგენები. მაგრამ იურიდიული მოვალეობის ცნების საკითხში იგი მთლიანად ბუნებითი სამართლის მოძღვრების მდიდარ მოსაზრებებს ემყარება. თანამედროვე სამართლის მეცნიერება იურიდიულ მოვალეობას განიხილავს არა როგორც იურიდიული წყობილების შედეგს, არამედ ისეთ ზნეობრივ მოვალეობას, რომელსაც იცავს სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართალი. მაგრამ იურიდიული მოვალეობის ამგვარი გაგება აშკარად ეწინააღმდეგება თვით იურიდიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეს, რომლის მიხედვითაც სამართალი, როგორც უფლება-მოვალეობების ერთობლიობა, მხოლოდ ისაა, რაც პოზიტიური სამართლის სახით დადგენილია სახელმწიფოს მიერ ზნეობისა და სხვა პოსტულატებისაგან დამოუკიდებლად².

3. კელზენის ნორმატივისტული თეორიის მიხედვით, სამართლის საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმა. ამრიგად, ობიექტური სამართალი ამ თეორიის მიხედვით განცალკევებულია ზნეობისაგან და ასეთ შემთხვევაში, როცა იურიდიულ ნორმებზე მსჯელობა მთლიანად პოზიტიურ სამართალს ემყარება, 3. კელზენის აზრით, სრული უაზრობაა იურიდიული მოვალეობის გამოყვანა ზნეობიდან. გარდა ამისა, 3. კელზენის ნორმატივისტულ თეორიაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სამართლის ნორმით დადგენილი მოვალეობის კავშირი იურიდიული ცხოვრების ფაქტებთან. 3. კელზენის მტკიცებით, იურიდიული მოვალეობა მთლიანად დამოუკიდებელია ფაქტიური სინამდვილისაგან, ანუ სხვა-ნაირად, იურიდიული ნორმისა და მის მიერ დადგენილი მოვალეობის ბუნებაზე არავითარ წარმოდგენას არ გვაძლევს ის გარემო-


¹ ალ. ვაჩეიშვილი, Kelsen-ის მოძღვრება სამართალზე და სახელმწიფოზე, გვ. 320.

² იქვე, გვ. 328.

ება, სრულდება თუ არა ისინი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საქმე ისაა, რომ იურიდიული ნორმა სრულებითაც არაა ის, რაც გვეჩვენებს იყენება არსობის სამყაროში და არც იურიდიული მოვალეობითაც არაა ის, რაც ფაქტიურად სრულდება, ნორმაც და მოვალეობაც ჯერ-არსობის სამყაროს განეკუთვნება, ე. ი. ისინი წარმოადგენენ იმას, რაც უნდა იქნეს გამოყენებული. ფორმალურად არსებული სამართლის ნორმების გამოუყენებლობა ფორმალურადაა სამართლის საწინააღმდეგო. ისევე როგორც მოქმედება, რომელსაც სამართალი უკავშირებს სამართალდარღვევის შედეგებს, ფორმალურად მოვალეობის საწინააღმდეგოა, თუნდაც ნორმის ამგვარი გამოუყენებლობა ზნეობის შესაბამისი იყოს, ხოლო მოქმედება — ფაქტიურად დაუსჯადი¹.

ამრიგად, ჰ. კელზენის ნორმატივისტულ მოძღვრებაში სამართლის ნორმასთან ერთად, მოვალეობის ცნებაც გაორებულია, კერძოდ, სამართლის ნორმით დადგენილი მოვალეობა არის ჯერ-არსობა (Sollen), მაგრამ ჯერ-არსობის სახით საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეალიზებული მოვალეობა არსობა (Sein), რომელთა შორის შეიძლება არსებობდეს განსხვავება. იურიდიული მეცნიერება სწავლობს ნორმით დადგენილ მოვალეობას ჯერ-არსობის (Sollen) სახით, მაგრამ გარდაიქმნება თუ არა იგი არსობად (Sein), ეს მეტაიურიდიული საკითხია, რადგან ნორმის ფაქტიური გამოუყენებლობა ამ ნორმას არ სძობს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სამართლის ნორმა Sollen-ის სფეროს ეკუთვნის. აქედან ცხადია, რომ ჰ. კელზენს მოვალეობა გაგებული აქვს არა როგორც შინაგანი ფსიქიური აქტი, როგორც სამართლის ნორმის ზემოქმედება სუბიექტის ნებისყოფაზე, როგორც იურიდიული ნორმის სუბიექტივიზაცია ანუ, სხვანაირად, სამართლის ნორმას სუბიექტის მოქმედებისათვის შეფარდების შესაძლებლობა. მაგრამ სამართლის ნორმის შეუფარდებლობა არ სძობს სამართლის არსებობას, რადგან იგი არსებობს იმისგან დამოუკიდებლად, ხორციელდება თუ არა სამართლის ნორმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საკითხის ამგვარად დაყენებისას სამართლის ფასეულობის საფუძვლები იურიდიული მეცნიერებისათვის ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს, რადგან სამართლის ნორმის ფაქტიური შეუსრულებლობაც კი სამართალს არ სძობს. კითხვა იმის შესახებ, თუ რატომ უნდა შესრულდეს სამართლის ნორმები, იურიდიულ შინაარსს მოკლებულია და მთლიანად განეკუთვნება სოციოლოგიისა და ფსიქოლო-

¹ ალ. ვაჩივიშვილი, Kelsen-ის მოძღვრება სამართალზე და სახელმწიფოზე, გვ. 333—334.



გის მეცნიერებას, რამდენადაც ზემოაღნიშნული კითხვა მოთხოვნის
 ყოფაქცევის მოტივებისა და მიზნების შინაარსის გარკვევას, მაგ.
 რამ სამართლის ნორმის შესრულებას, როგორც სამართლის ნორმის
 სეულობის გამოხატულებას, თუ ზნეობრივი საფუძვლებით დავა-
 საბუთებთ, მაშინ, პ. კელზენის აზრით, ზემოაღნიშნული პრობლემა
 იურიდიულიდან ეთიკის სფეროში უნდა იქნეს გადატანილი. ამდენ-
 ნად, ასკენის პ. კელზენი, ორივე შემთხვევაში სამართლის ფასე-
 ულობის პრობლემა იურიდიული მეცნიერების თვალსაზრისით
 ირელევანტურია¹.

სამართლის ნორმაში მთავარია ვალდებულება, ნორმა არ არსე-
 ბობს ვალდებულების გარეშე, მაგრამ იგი სავსებით შესაძლებე-
 ლია წარმოდგენილი იყოს უფლების გარეშე. სამართლის და-
 რღვევის შედეგები არ შეიძლება აუცილებლად ნებაზე იყოს და-
 მოკიდებული, მოვალეობა არის სამართლის ნორმის აუცილებელი
 სუბიექტური ფორმა. უფლება კი—შესაძლოა სუბიექტური ფორმა².

იურიდიული ნორმა არის ჰიპოთეზური მსჯელობა ვალდებულე-
 ბის შესახებ, რომელიც მასში შეიძლება უფლების გარეშეც იყოს
 გადმოცემული. ამის გამო იურიდიულ ნორმას ადრესატები არა
 ჰყავს. ამ ნიშნის მიხედვით, სამართლის ნორმა და ბუნებითი კანონ-
 ნი, მათ შორის არსებული სხვა მნიშვნელოვანი განსხვავების მი-
 უხედავად, ერთნაირია. ბუნებით კანონს არ ჰყავს ადრესატები,
 იგი არსებობს და მოქმედებს იმის მიუხედავად, აღიარებენ თუ არა
 მას. მაგრამ თუ ადამიანები შეიცნობენ მას და მის მოქმედებას
 თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენებენ, ბუნებით კანონს შეუძლია
 ყველას ერთნაირად მოუტანოს სარგებლობა. ამდენად, ბუნებით
 კანონს არა ჰყავს ადრესატები, მისი შეცნობა და გამოყენება შე-
 უძლია ყველას, ვინც ამას მოისურვებს. პ. კელზენის მტკიცებით, იგი-
 ვე შეიძლება ითქვას იურიდიულ ნორმაზე, კერძოდ, იურიდიულ
 ნორმას არა ჰყავს ადრესატები, იგი არსებობს იმისგან დამოუკი-
 დებლად, სრულდება თუ არა იურიდიული ნორმა ადამიანთა მიერ.

პ. კელზენის ნორმატივისტულ თეორიაში ნორმებით ვადმო-
 ცემულ მოვალეობათა სისტემატიზაციის რეალური საფუძველია
 სამართლის სუბიექტები. ნორმით დადგენილ მოვალეობათა სუბი-
 ექტებს წარმოადგენენ: სახელმწიფო, სახელმწიფო ორგანოები და
 ქვეშევრდომები. პ. კელზენი მიუთითებს, რომ სამართლის თეო-
 რიაში გაბატონებული აზრის მიხედვით, სახელმწიფო, როგორც
 სუბიექტი, არსებითად განსხვავდება დანარჩენი სუბიექტებისაგან.

¹ ალ. ვაჩივიშვილი, Kelsen-ის მოძღვრება სამართალზე და სახელმწი-
 ფოზე, გვ. 353.

² იქვე, გვ. 620.

საქმე ისაა, რომ სახელმწიფო, გაბატონებული აზრის მიხედვით, იურიდიული, ხელოვნური პირია, სხვა სუბიექტები კი — ფიზიკური, ბუნებრივი სუბიექტები. სინამდვილეში სახელმწიფო გაგებული უნდა იყოს როგორც პიროვნება და, ამდენად, ფიზიკურად არსებული ინდივიდუალური პირის შორის არავითარ განსხვავებას არა აქვს ადგილი, რადგან სამართლის სუბიექტურობა ყოველთვის ხელოვნურია იმ აზრით, რომ იგი დგინდება მხოლოდ სამართლებრივი წყობილებით, იგი არაა თანდაყოლილი და მას ბუნებრივი საფუძვლები არ გააჩნია. ამდენად, როცა სამართლის სუბიექტებზე ვლაპარაკობთ, უნდა ვალიაოთ, რომ სახელმწიფო ისეთივე პირია, როგორც სხვა დანარჩენი სუბიექტები. აქედან ცხადია, რომ სახელმწიფოსაც, როგორც სამართლის სუბიექტს, ეკისრება იგივე მოვალეობანი, რაც სხვა სუბიექტებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იქნება გაგებული თვით მოვალეობის ცნება. იურიდიულ მეცნიერებაში გაბატონებული აზრის მიხედვით, მოვალეობა არის ნების შინაგანი ზემოქმედებით ჩამოყალიბებული მდგომარეობა. მაგრამ მოვალეობის ამგვარი განსაზღვრის შემთხვევაში შეუძლებელია სახელმწიფოს, როგორც სუბიექტისა, და დანარჩენი სუბიექტების მოვალეობათა გაიგივება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იურიდიული მოვალეობა ყოველთვის ემყარება ინდივიდუალურ ფსიქიკას და იგი შეიძლება გაჩნდეს მხოლოდ ცალკეულ ადამიანებში, რაც შეეხება სახელმწიფოს ნებისყოფას, იგი ინდივიდუალური ფსიქიკიდან არ წარმოდგება. პ. კელზენის აზრით, სახელმწიფოს ნებისყოფა წმინდა იურიდიული კონსტრუქციაა, იგი აგებულია შერაცხვის (იმპუტაციის) მიზნით და ამ თვალსაზრისით, პიროვნება და ნებისყოფა ერთი და იგივეა. პიროვნებას ზოგადად და, მაშასადამე, სახელმწიფოს, როგორც იურიდიულ პირს, აქვს ნება ანუ, უფრო სწორად, პიროვნება იურიდიული მნიშვნელობით მხოლოდ ნებაა¹. აქედან გამომდინარე, დაუჯერებელია მტკიცება, თითქოს სახელმწიფოს პიროვნება წარმოშობს სახელმწიფოს ნებას, რადგან საკითხის ამგვარი გაგებისას გამოდის, რომ სახელმწიფო თვითონ ქმნის თავის თავს. კანონმდებლობა კი არ ანიჭებს სახელმწიფოს ნებას, არამედ იგი იურიდიული ნორმების არსებობის ანუ შერაცხვის წესის პირობა და იურიდიული ნორმის შემეცნების საფუძველია. სახელმწიფოს ნების წარმოშობა არაა დაკავშირებული სამართლის სფეროსთან, სახელმწიფო არ ქმნის სამართალს, იგი სამართლის მატარებელია.

¹ ალ. ვანეიშვილი, Kelsen-ის მოძღვრება სამართალზე და სახელმწიფოზე, გვ. 407.



იურიდიული ნორმა შეიცავს სახელმწიფოს და სხვა სუბიექტების მოვალეობას, ამ მხრივ მოვალეობის ცნება ერთნაირია, რამ დანარჩენი სუბიექტების მოვალეობასთან შედარებით, მწიფოს მოვალეობას შემდგომი სპეციფიკური თავისებურება გააჩნია: პირველი, სახელმწიფოს მოვალეობის შინაარსი პირდაპირ, უშუალოდ მითითებულია იურიდიულ ნორმაში და სხვა სუბიექტების მოვალეობა ლოგიკური გზით გამომდინარეობს სახელმწიფოს მოვალეობიდან. ნორმა, რომელიც კრძალავს ქურდობას, სახელმწიფოს აკისრებს ქურდის დასჯის მოვალეობას, მაგრამ სახელმწიფოს ამ მოვალეობიდან გამომდინარეობს დანარჩენი სუბიექტების მოვალეობაც, რომ არ იქურდონ; მეორე, რადგან იურიდიული ნორმა ჰიპოთეზური მსჯელობაა, ნორმით დადგენილი სახელმწიფოს მოვალეობაც პირობითია. მაგრამ, როცა იურიდიული ნორმით გათვალისწინებული ფაქტიური ურთიერთობები წარმოდგენილია, მაშინ სახელმწიფოს მოვალეობა პირობითი ფორმის ნაცვლად აბსოლუტური სახით გვევლინება. რაც შეეხება დანარჩენ სუბიექტებს, მათი მოვალეობა ყოველთვის არაა პირობითი. მაგალითად, ქვეშევრდომთა მოვალეობას ძალიან ხშირად აბსოლუტური ხასიათი აქვს, კერძოდ, სახელმწიფოს ქვეშევრდომს ეკისრება უმოქმედობის მოვალეობა, ანუ იგი ყოველთვის ვალდებულია არ ჩაიდინოს სისხლის სამართლის ნორმებით აკრძალული მოქმედებანი (მკვლელობა, თაღლითობა და ა. შ.); მესამე, სახელმწიფოს ნება და ვალდებულება მუდამ ერთმანეთს ემთხვევა და შინაარსით ერთი და იგივეა, რაც შეეხება სამართლის დანარჩენ სუბიექტებს, ამის თქმა ზათ მიმართ ყოველთვის არ შეიძლება, რადგან ზოგჯერ მათ შორის წინააღმდეგობას აქვს ადგილი. სახელმწიფოს ნებისა და ვალდებულების ერთიდაიგივეობა იმას ნიშნავს, რომ შერაცხვა იურიდიულ ნორმას ემყარება, ნორმა კი ყოველთვის გამოხატავს სახელმწიფოს ნებას ანუ, სხვანაირად, შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ სახელმწიფო როდისმე არღვევს სამართალს, ამიტომ სამართლის ნორმა, რომლითაც დადგენილია სახელმწიფოს მოვალეობა, არ ითვალისწინებს თვით სახელმწიფოსათვის სამართლის დარღვევის შედეგებს. რაც შეეხება დანარჩენ სუბიექტებს, მათ ვალდებულებასა და ნებას შორის ზოგჯერ აშკარა წინააღმდეგობაა, ამიტომაც ამ შემთხვევებში იურიდიული ნორმა, რომელიც ადგენს ამ სუბიექტთა მოვალეობებს, ითვალისწინებს მათ მიმართ სამართლის დარღვევის შედეგებს, კერძოდ სანქციებს.

3. კელზენი ცდილობს სახელმწიფოს როგორც განსაკუთრებული სუბიექტისაგან განასხვავოს სახელმწიფო ორგანოები და ქვე-

შევდრომები, როგორც ჩვეულებრივი სუბიექტები, რომლებსაც საქართველოს ნორმა აკისრებს მოვალეობას, მაგრამ ამასთან ერთად ეს ნორმები მათ მიმართ ითვალისწინებენ საქართველოს ფიქციურ სუბიექტებად. პ. კელზენი ამ განსხვავების ნათელსაყოფად სვამს შემდეგ კითხვას: როგორ შეიძლება სახელმწიფო ორგანო იყოს სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი სუბიექტი, რამდენადაც სახელმწიფო ორგანო ახორციელებს სახელმწიფოს ნებას. პ. კელზენი ამ კითხვაზე დადებითად პასუხობს. მისი მტკიცებით, სახელმწიფო ორგანოები წარმოადგენენ სახელმწიფოსაგან განსხვავებულ და დამოუკიდებელ სუბიექტებს. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად იგი გვაძლევს საქართველოს ნორმების ორგვარ კლასიფიკაციას, კერძოდ, საქართველოს ნორმების ერთი ჯგუფი წარმოადგენს გვაძლევს სახელმწიფოს ნებაზე, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო ორგანოები. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ორგანოები არ წარმოადგენენ იურიდიულ პირს და მათ არც საკუთარი მოვალეობები გააჩნიათ ნორმის მიმართ. მაგრამ მეორე ჯგუფის ნორმები ითვალისწინებენ დისციპლინარულ სანქციებს სახელმწიფო ორგანოების მიმართ, თუ ისინი არ შეასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. ამ კატეგორიის ნორმები ადგენენ სახელმწიფო ორგანოების მოვალეობებს და ამ ნორმების არსებობა აუცილებელს ხდის სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად სახელმწიფო ორგანოების, როგორც მოვალეობის მქონე სუბიექტების, არსებობას.

სახელმწიფოსა და სახელმწიფო ორგანოებთან ერთად საქართველოს სუბიექტებს, რომელთაც ნორმა აკისრებს მოვალეობებს, წარმოადგენენ ქვეშევდრომები. ქვეშევდრომთა მოვალეობის თავისებურება ისაა, რომ იგი მოკლებულია იმ უშუალობასა და პირდაპირობას, რომელიც დამახასიათებელია სახელმწიფოს მოვალეობისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებითად ქვეშევდრომთა მოვალეობას ნორმიდან ვგებულობთ არაპირდაპირი გზით, კერძოდ, ნორმა სახელმწიფოს მიერ სანქციების გამოყენების მუქარით კრძალავს მოქმედებას, რომელსაც იგი სამართალდარღვევად მიიჩნევს. ამგვარ ნორმებში დადგენილია სახელმწიფოს მოვალეობა, გამოიყენოს სანქციები სამართალდარღვევის შემთხვევაში, მაგრამ ამ ნორმებიდან არაპირდაპირ გამომდინარეობს ქვეშევდრომთა ვალდებულება, არ ჩაიდინონ იურიდიული ნორმებით გათვალისწინებული საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედებანი. ამრიგად, ყველა საქართველოს ნორმა არ ადგენს ქვეშევდრომთა მოვალეობას; მხოლოდ განსაზღვრული სანქციების შემცველი ნორმები ადგენენ ქვეშევდრომთა ვალდებულებებს.



3. კელზენი მიუთითებს, რომ მოვალეობა სამართლის ნორმის აუცილებელი ელემენტია, ნორმა არ შეიძლება არსებობდეს უკონკრეტო ლეობის გარეშე, მაგრამ სავსებით შესაძლებელია წარმოადგინოს ერთ ნორმა უფლების გარეშე. ნორმაში გადმოცემული ერთი სუბიექტის უფლება მეორე სუბიექტის მოვალეობის გარეშე წარმოუდგენელია, მაგრამ ერთი სუბიექტის მოვალეობა სავსებით შესაძლებელია არსებობდეს ნორმაში მეორე სუბიექტის უფლების გარეშე, კერძოდ, სამართალდარღვევის შედეგების გამოყენება აუცილებლად სარჩელზე არაა დამოკიდებული¹.

3. კელზენის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოვალეობა ნორმის გამოვლენის აუცილებელი ფორმაა, ხოლო უფლება — ნორმის მხოლოდ შესაძლო გამოვლინების ფორმა, ისე უნდა გავიგოთ, რომ მოვალეობა წარმოშობს უფლებას და არა პირიქით. იგი მიუთითებს, რომ ნორმა ორი სახის მოვალეობას ადგენს: პირველი, სახელმწიფოს მოვალეობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ სამართალდარღვევის შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს სანქციები; მეორე, ქვეშევრდომთა მოვალეობა, რომ მათი მოქმედება არ უნდა არღვევდეს ნორმას. 3. კელზენი მიუთითებს, რომ სუბიექტის უფლება ჩნდება ორივე სახის მოვალეობიდან. მაგალითად, გამსესხებელს უფლება აქვს მოითხოვოს მსესხებლისაგან სესხის გადახდა და ამავე დროს მას მინიჭებული აქვს უფლება, მიმართოს სახელმწიფოს, რათა ამ უკანასკნელმა მიიღოს ზომები მსესხებლის მიმართ.

3. კელზენის აზრით, თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებას უფლება მოვალეობიდან კი არ გამოჰყავს, არამედ მთელ თავის წარმოდგენას უფლების შესახებ ამყარებს ბუნებითი სამართლის მოძღვრებაზე, რომელიც საკმაოდ დამაჯერებლად დაძლია სამართლის ისტორიულმა სკოლამ. ბუნებითი სამართლის მოძღვრების ნაკლი, მისი აზრით, ისაა, რომ სუბიექტთა უფლება მას წარმოდგენილი აქვს, როგორც სამართლის ნორმისაგან დამოუკიდებელი და განსაკუთრებული ღირებულების ფენომენი, რომელიც ყველა სამართლებრივი მოვლენის საფუძველია და რისთვისაც არსებობს თვით სამართალი.

3. კელზენი მიუთითებს, რომ ბუნებითი სამართლის ზეგავლენით დღევანდელ იურიდიულ მეცნიერებაში უფლების შესახებ გავრცელებულია იერიზგის მიზნის ანუ ინტერესის თეორია, ვინდ-შაიდისა და არნდტის ნებისყოფის თეორია და ბერნაციკისა და ელინეკის მიერ ნებისა და ინტერესის თეორიების გადამუშავების

¹ ალ. ვაჩიეშვილი, Kelsen-ის მოძღვრება სამართალზე და სახელმწიფოზე, გვ. 620.

შედგად შექმნილი კომბინაციური თეორია. უფლების შესახებ იურიდიულ მეცნიერებაში გავრცელებული შემოადნისული თეორიების საერთო ნაკლი, ჰ. კელზენის მტკიცებით, ისაა, რომ შემუშავებულია ბუნებითი სამართლის ზეგავლენით, კერძოდ, მისნის, ინტერესის ან ნებისყოფის თეორიების მიხედვით შეუძლებელია აიგოს იურიდიული კონსტრუქციები, რადგან ყოველგვარი იურიდიული კონსტრუქცია მხოლოდ ფორმალური ნიშნით შეიძლება განისაზღვროს¹.

3. კელზენისათვის არაეითარი უფლება არ არსებობს ნორმის გარეშე, მეტიც, ნორმის აუცილებელი და ძირითადი ნაწილისაგან, კერძოდ, მხოლოდ მოვალეობისაგან წარმოდგება უფლება, რომელსაც არ განსაზღვრავს სუბიექტის ფსიქოლოგიური მდგომარეობა ანუ ნებისყოფა, ინტერესი, მიზანი და ა. შ. უფლება წარმოადგენს ნორმასა და სუბიექტს შორის არსებულ სპეციფიკურ ურთიერთობას, რომელიც მიმართულია იურიდიული ნორმით დადგენილი სახელმწიფოებრივი ნების განხორციელებისაკენ².

3. კელზენის ნორმატივისტული თეორია არ იცნობს სამართლებრივი ურთიერთობისა და სამართლის შეფარდების პრობლემების ტრადიციულ გაგებას, რადგან მთელი მისი სამართლებრივი მოძღვრება მოვალეობების შინაარსით განსაზღვრულ ნორმებზეა დამყარებული. ნორმის ძირითადი ელემენტი — მოვალეობა და არა-ძირითადი ელემენტი — უფლება განსაზღვრავს სამართლის სუბიექტთა დამოკიდებულებას ნორმით დადგენილ სახელმწიფო ნების განხორციელების მიზნით. იმის გამო, რომ ნორმა ადგენს მოვალეობას, საიდანაც გამომდინარეობს უფლება, ჰ. კელზენს სრულებით არ სჭირდება სამართლებრივი ურთიერთობებისა და სამართლის ნორმის შეფარდების ტრადიციული ცნებები და მათ ნაცვლად იურიდიულ მეცნიერებაში შემოაქვს ახალი ცნება იურიდიული ნორმის სუბიექტივიზაციის თაობაზე.

3. კელზენის აზრით, იურიდიული ნორმის სუბიექტივიზაცია არის მოცემული ნორმის გადასვლა მოვალეობებში და, მაშასადამე, უფლებებშიც. ამ მტკიცების მიხედვით, არსებობს სამართლის ნორმების ერთობლიობა, როგორც ობიექტური სამართალი, მაგრამ ნორმით დადგენილი მოვალეობა რეალიზებულ უნდა იქნეს, ე. ი. უნდა მოხდეს მისი სუბიექტივიზაცია ანუ ნორმის შეფარდება

¹ უფლების შესახებ იერინგის, ვინდშაიდისა და არნდტის, აგრეთვე ბერაკოვისა და ელინგის თეორიების ვრცელი კრიტიკა იხ. H. Kelsen, *Hauptprobleme der Staatsrechtslehre*, გვ. 507—618.

² იქვე, გვ. 625.

ცალკეულ სუბიექტთან. ნორმის გადასვლა მოვალეობებსა და უფლებებში გულისხმობს, რომ ნორმით გათვალისწინებული მოვალეობა, რომლიდანაც გამომდინარეობს უფლება, სპონტანურად მიერ ხორციელდება კონკრეტულ სიტუაციაში და, ამდენად, სუბიექტური მოვალეობა და უფლება გამოიყვანება ობიექტური სამართლის ნორმიდან. ასეთ ვითარებაში ობიექტური სამართლის გვერდით არსებულ სუბიექტურ იურიდიულ მოვალეობაზე მსჯელობა ნიშნავს იმის აღნიშვნას, რომ ობიექტური სამართლის ნორმას გააჩნია სუბიექტივაციის უნარი, ანუ არსებობს კონკრეტულ სუბიექტთან მისი შეფარდების შესაძლებლობა¹.

ობიექტურ იურიდიულ ნორმასა და მის იმ უნარს შორის, რითაც იქმნება მოვალეობა, ე. ი. რის საფუძველზეც ხდება ნორმის სუბიექტივაცია ანუ ნორმის გადასვლა მოვალეობაში, ჰ. კელზენს შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი: იურიდიული ნორმა ფორმით ჰიპოთეზური მსჯელობაა და არა იმპერატივი; თუმცა მას მაინც გააჩნია მოვალეობის დაკისრების უნარი. ნორმის ლოგიკურ ფორმას, ე. ი. ნორმისათვის დამახასიათებელ ჰიპოთეზურ მსჯელობასა და ნორმის მიერ მოვალეობის დაკისრების უნარს შორის მჭიდრო კავშირია. კერძოდ, ეს კავშირი იმაში გამოიხატება, რომ ნორმა, როგორც მსჯელობა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო მოცემულ პირობებში გამოიყენებს სანქციას, გულისხმობს სუბიექტის მოვალეობასაც და ამდენად ნორმა, როგორც განსაკუთრებული სახის მსჯელობა, გვაძლევს სუბიექტის მოვალეობის მზა კრიტერიუმებს. მაგრამ იურიდიული ნორმა და იურიდიული მოვალეობა მიზეზობრივად არაა დამოკიდებული ერთმანეთთან, მათი ურთიერთობა წმინდა ფორმალური ხასიათისაა. იურიდიული მოვალეობა იგივე იურიდიული ნორმაა, თუ მას სუბიექტური მხრივ წარმოვიდგენთ. გარდა ამისა, ჰ. კელზენის აზრით, ნორმით დადგენილ სახელმწიფოს, როგორც სამართლის სუბიექტის, მოვალეობასა და სხვა დანარჩენი სუბიექტების მოვალეობას შორის არსებული განსხვავება, რაზეც უკვე გვქონდა ლაპარაკი, თავისებურ გამოხატულებას პოულობს იურიდიული ნორმის სუბიექტივაციის პროცესში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰ. კელზენის აზრით, ყველა სუბიექტის მოვალეობა, გარდა სახელმწიფოსი, დამყარებულია სამართლის დარღვევის შესაძლებლობაზე. საქმე ისაა, რომ სახელმწიფოს, როგორც სამართლის სუბიექტს, არ შეუძლია სამართლის დარღვევა, რადგან სახელმწიფოს მოვალეობა და მისი ნება შინაარსის


¹ H. Kelsen, Hauptprobleme der Staatsrechtslehre, გვ. 348.

მიხედვით ერთმანეთს ემთხვევა, ანუ შერაცხვა იურიდიულ ნორმას ემყარება, ნორმაში კი გადმოცემულია სახელმწიფოს ნება, ამიტომ უაზრობაა, რომ სახელმწიფოს შეეძლოს სამართლის წინააღმდეგ მოქმედება. მაგრამ დანარჩენი სუბიექტების დიული მოვალეობა მთლიანად ემყარება მათ მიერ სამართლის დარღვევის შესაძლებლობას. აქედან ცხადია, რომ ობიექტური სამართლის ნორმა იმიტომ ღებულობს ვინმესთვის სუბიექტური სამართლებრივი მოვალეობის ფორმას, რომ იგი შეეფარდება მას, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, მის მიმართ შეიძლება სამართლის დარღვევის შედეგების გამოყენება¹.

ამრიგად, ჰ. კელზენს მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებისა და ქვეშევრდომების მოვალეობა გამოყავს იურიდიული ნორმის დარღვევის შესაძლებლობიდან, სახელმწიფოს კი არ შეუძლია ნორმის დარღვევა, რადგან სახელმწიფოს ნება და ვალდებულება შინაარსის მიხედვით ერთმანეთს ემთხვევა. მაგრამ ჰ. კელზენის ნორმატივისტული თეორიისათვის საერთოდ დამახასიათებელი თავისებურება, ფორმალიზმი, მთლიანად ვრცელდება ზემოაღნიშნული სუბიექტების მიერ სამართალდარღვევის შედეგებით გამოწვეულ მოვალეობების ხასიათზე, კერძოდ, იგი სამართალდარღვევის შედეგებს, ე. ი. სასჯელსა და აღსრულებას განიხილავს წმინდა ფორმალური თვალსაზრისით. ჰ. კელზენის ნორმატივისტული თეორიისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სამართლის სუბიექტზე სანქციის ზემოქმედებას. ნორმით დადგენილი მოვალეობის შესასრულებლად სანქციას პირდაპირი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია ის, რომ სანქციას წმინდა ფორმალური დანიშნულება გააჩნია, მისი გამოყენება სამართლებრივი ნორმის დამრღვევის მიმართ იძლევა ამ ნორმის სუბიექტივიზაციის შესაძლებლობას, ანუ სანქციის გამოყენების შესაძლებლობის გამო იურიდიული ნორმა მოვალეობად იქცევა.

ჰ. კელზენი მის მიერ შემუშავებული ნორმატივისტული თეორიისათვის დამახასიათებელი ფორმალიზმის მიხედვით აფასებს იურიდიული ნორმის სავალდებულობისა და მისი ფაქტიური შესრულების მოთხოვნებს. იგი მიუთითებს, რომ სამართლის ნორმების თაობაზე მსჯელობას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ორი თვალსაზრისით: პირველი, სამართლის ნორმების შესრულების ანუ მათი ფაქტიური გამოყენების შედეგად რა ხასიათის იურიდიული ცხოვრება ყალიბდება და რას წარმოადგენს იგი; მეორე, რას

¹ H. Keisen, Hauptprobleme der Staatsrechtslehre, გვ. 447.




შოთხოვენ სამართლის ნორმები, რას წარმოადგენენ ფორმალური/სახით ფაქტიური იურიდიული ცხოვრებისაგან დამოუკიდებელი არსებული სამართლებრივი ნორმები. პ. კელზენის მტკიცებით კითხი იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ფაქტიურად არსებული იურიდიული ცხოვრება ანუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულდება თუ არა სამართლებრივი ნორმა, მეტაიურიდიულ სფეროს განეკუთვნება და მისი გამორკვევა ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის მეცნიერებების ამოცანას წარმოადგენს. საქმე ისაა, რომ სამართლის ნორმისათვის მის შეუსრულებლობას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. სამართლის ნორმა, რომელსაც არ ასრულებენ, არ კარგავს ნორმის ხასიათს, რადგან იგი იმ შემთხვევაშიც კი გამოიყენება, როცა მას უგულებელყოფენ. სამართლებრივი ნორმა მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როცა იგი დარღვეულია, რადგან ამ შემთხვევაში ჩნდება სამართლის დარღვევის შედეგები და სამართლის ნორმა მისი დარღვევის შემთხვევაში ასრულებს თავის ფუნქციას, კერძოდ, სამართალდამრღვევს უფარდებს განსაზღვრულ შედეგებს და არ მოქმედებს ნორმის შემსრულებელზე. იურიდიული მეცნიერებისათვის იურიდიული ნორმის არსებობის ეს გარეგნული ფორმა, ანუ ნორმის ფორმალურად არსებობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე იმის გარკვევა, ფაქტიურად სრულდება თუ არა ნორმა. ეს უკანასკნელი საკითხი წარმოადგენს ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის შესწავლის საგანს, მაგრამ თუ იურისტი ამ საკითხს შეისწავლის სამართლებრივი თვალსაზრისით, მიღებული შედეგები არ შეიძლება შეტანილ იქნეს იურიდიულ კონსტრუქციებში, იგი სამართლებრივი ფსიქოლოგიისა და სამართლებრივი სოციოლოგიის კუთვნილება იქნება¹.

სამართლის ნორმის ფორმალური გაგება, რაც პ. კელზენის ნორმატივისტული თეორიის ქვაკუთხედიცაა, გამომდინარეობს ნორმის ჯერ-არსობისათვის მიკუთვნებიდან. სამართლის ნორმის ღირებულება მისი მოქმედებით არ განისაზღვრება. მართალია, ნორმის მოქმედება გარკვეული მიზნისაკენაა მიმართული, მაგრამ მისი ღირებულება გამოიხატება არა მოქმედებაში, ე. ი. არა იმაში, ნორმას ასრულებენ თუ არა ფაქტიურად, არამედ ნორმა ღირებულა იმის გამო, რომ მისი შესრულება სავალდებულოა. სამართლის ნორმა, რომელსაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში შედეგები არ მოსდევს, მაინც ნორმაა, რამდენადაც ნორმის სავალდებულოობისათვის მიზნის განხორციელებას მნიშვნელობა არა აქვს. თუ საწინააღმდეგოს

¹ H. Kelsen Hauptprobleme der Staatsrechtslehre, გვ. 42.

დამტკიცებას შევეცდებით, კერძოდ, თუ ვალია რებთ, რომ მხოლოდ ის ნორმაა სავალდებულო, რომელიც ფაქტურად სრულდება, მაშინ იძულებული ვართ მივიდეთ უაზრო დასკვნამდე, რომ ფორმალურად გამოცემული და ძალაში შესული ნორმა სავალდებულოა, თუ მას ასრულებენ, ანუ სხვანაირად, უკვე გამოცემული და სამოქმედოდ შემოღებული ნორმის სავალდებულობაში დასარწმუნებლად საჭიროა ვიცადოთ მანამდე, სანამ არ დავინახავთ, რომ იგი სრულდება. ამ დასკვნის უაზრობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ეწინააღმდეგება იურიდიულ მეცნიერებაში დადგენილ საყოველთაო ჭეშმარიტებას, კერძოდ, იმას, რომ ყველა კანონს სავალდებულო ძალა აქვს მას შემდეგ, როცა იგი გამოცემულია არსებული წესების დაცვით და უკვე შემოღებულია სამოქმედოდ. ამიტომაც სამართლებრივი წესრიგი იურიდიული ნორმების რეალიზაციის შედეგი კი არაა, არამედ მართლწესრიგი იურიდიული ნორმების, კერძოდ, ჰიპოთეზური მსჯელობების ერთობლიობაა და იგი სახელმწიფოს იდენტურია. არ არსებობს სამართლებრივი წესრიგისაგან განსხვავებული სახელმწიფო იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი წარმოადგენს სამართლებრივი წყობილების პერსონიფიკაციას. სახელმწიფოსა და სამართლებრივი წესრიგის ანუ სამართლის ურთიერთგაიგივება, პ. კელზენის აზრით, წარმოდგება სახელმწიფოებრიობისათვის დამახასიათებელი შემდეგი ნიშნებიდან: პირველი, სახელმწიფო ახორციელებს იძულებას; მეორე, სახელმწიფო ორგანიზაციის აუცილებელ იურიდიულ გაფორმებას წარმოადგენს სამართლებრივი წესრიგი. აქედან ცხადია, რომ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული იძულება არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არა სამართლის შედეგი, ანუ სახელმწიფოებრივი იძულება არ შეიძლება განხორციელდეს სამართლებრივი ფორმის გარეშე. რაც შეეხება სამართლებრივ წესრიგს, როგორც სახელმწიფოებრიობის მეორე არსებით დამახასიათებელ ნიშანს, იგი არ მოიცავს არასახელმწიფოებრივ სფეროს და მხოლოდ სახელმწიფოებრიობის ფარგლებითაა განსაზღვრული. აქედან პ. კელზენი აკეთებს დასკვნას, რომ სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა სამართლებრივი ნორმების სისტემა.

პ. კელზენის მიერ შემუშავებულ ნორმატივისტულ თეორიაში სახელმწიფო და სამართალი, როგორც იდენტური ფენომენები, ნორმების რეალობასთან დაუკავშირებელ სისტემადაა წარმოდგენილი. მეტიც, ტრადიციულად მიღებული სისტემატიზაციისაგან განსხვავებით, პ. კელზენი გვთავაზობს სამართლის ნორმების პრინციპულად ახლებურ სისტემატიზაციას. მის ნორმატივისტულ თეო-



რიაში ყველაფერი ნორმამდეა დაყვანილი და ყველაფერი ნორმიდან გამომდინარეობს. ჰ. კელზენის ნორმატივიზმი იმას ნიშნავს, რომ იგი სამართალს განიხილავს, როგორც ნორმატივს, არამედ მისი მოძღვრება ნორმატივისტულია იმის გამო, რომ სამართლის ნორმებს და მათ სისტემას იგი აგებს საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან დამოუკიდებლად და სამართლის ნორმებიდან გამოყავს სამართლის ნორმები. რაკი ამ სისტემის მიხედვით ნორმის არსებობის საფუძველს მხოლოდ ნორმა წარმოადგენს, ჰ. კელზენის ნორმატივისტული თეორიიდან სახელმწიფოს წარმოშობის პრობლემა გამორიცხულია და იგი საერთოდ მეტაიურიდიულ მოვლენადაა გამოცხადებული. იურიდიული მეცნიერება უნდა იკვლევდეს არა სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობას, არამედ იმას, თუ ვინ არის სამართლის მატარებელი და როგორაა ნორმაში გადმოცემული ჯერ-აჩსობა, რომელიც დაპირისპირებულია არსობასთან. იურისპრუდენცია სწავლობს იმას, რაც უნდა იყოს ნორმის საფუძველზე, ამიტომ მისთვის მთავარია სამართლის ნორმის ფორმალური ანალიზი და ნორმების ურთიერთკავშირის დადგენის საფუძველზე მათი სისტემად გამოლიანება.

სამართლის სისტემის აგებისას ჰ. კელზენი, პირველ ყოვლისა, ილაშქრებს საჯაროდ და კერძოდ სამართლის დაყოფის წინააღმდეგ. მისი აზრით, რადგან სახელმწიფო და სამართალი იდენტური ცნებებია, სამართლის კერძოდ და საჯაროდ დაყოფას უკვე აზრი აღარ აქვს. სამართალს ყოველთვის სახელმწიფოებრივი ბუნება აქვს და პირიქით, სახელმწიფო წარმოუდგენელია სამართლებრივი ბუნების გარეშე. სამართლის საჯაროდ და კერძოდ დაყოფა სახელმწიფოსა და ინდივიდების განსხვავებული იურიდიული თვალსაზრისიდან წარმოდგება, კერძოდ, სახელმწიფოს აზრით, მთელი ობიექტური სამართალი საჯარო ინტერესების განხორციელებისაკენ არის მიმართული, ხოლო ინდივიდების აზრით, თითოეული ნორმა შეიძლება კერძო ინტერესებს ემსახუროს. აქედან ცხადია, რომ სამართლის საჯაროდ და კერძოდ დაყოფა გამომდინარეობს არა ობიექტური სამართლიდან, არამედ სამართლის შესახებ სუბიექტთა თვალსაზრისის სხვადასხვაობიდან. სინამდვილეში მთელი სამართალი საჯაროა და არავითარი საფუძველი არ არსებობს სამართლის დუალიზმისათვის. სამართლის ნორმის ფუნქცია მოვალეობის დადგენაა, ამიტომ მთელ ობიექტურ სამართალს ჰ. კელზენი ყოფს სუბიექტთა მოვალეობების მიხედვით. ამ მხრივ სამართლის ყველა ნორმა შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად: პირველი, ნორმები, რომლებშიც გათვალისწინებულია სახელმწიფოს მოვალეობები;

მეორე, ნორმები, რომლებიც აღგენენ დანარჩენი სუბიექტების მოვალეობას. 3. კელზენი სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც აკისრებენ მოვალეობებს სახელმწიფოს, უწოდებს სახელმწიფო მართალს და რადგანაც სახელმწიფო სამართალი შინაარსითაა, ქვეყანაში მოქმედ მთელ სამართალს სახელმწიფო სამართლად მიიჩნევს. იგი მიუთითებს, რომ სახელმწიფო სამართლის მხოლოდ ამგვარი გაგება გვაძლევს სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთდამოკიდებულების სწორ გაგებას¹. სამართლის ის ნორმები, რომლებიც სხვა სუბიექტებს აკისრებენ მოვალეობებს, მავალითად, სისხლის სამართალი და საერთოდ კერძო სამართალი მოვალეობის მხრივ ფაქტიურად არ განსხვავდებიან სახელმწიფო სამართლისაგან და წარმოადგენენ ფართო მნიშვნელობით სახელმწიფო სამართლის შემადგენელ ნაწილს.

3. კელზენის აზრით, სამართალი არც უფლების მხრივ შეიძლება დაიყოს საჯაროდ და კერძოდ. იგი მიუთითებს, რომ იურიდიულ მეცნიერებაში გაბატონებული აზრის მიხედვით, სამართლით დადგენილი ყველა უფლება დაყოფილია სამ ნაწილად: პირველი, ქვეშევრდომთა უფლებები ურთიერთმიმართ; მეორე, ქვეშევრდომთა უფლებები სახელმწიფოს მიმართ; მესამე, სახელმწიფოს უფლებები ქვეშევრდომთა მიმართ. აქედან კერძოს განეკუთვნება პირველი კატეგორიის უფლებები, ხოლო საჯაროს — დანარჩენი ორი. 3. კელზენი ამტკიცებს, რომ სამართლის საჯაროდ და კერძოდ დაყოფა რომის სამართლიდანაა გამომდინარე და მას საფუძვლად უდევს ინტერესი, რომლის განხორციელებასაც ემსახურება ნორმა. რომელი იურისტის — ულპიანეს მიერ ჩამოყალიბებული კერძო და საჯარო სამართლის განსაზღვრების მიხედვით „საჯარო სამართალია ის, რაც რომის სახელმწიფოს სარგებლობას განეკუთვნება, კერძო კი — ცალკეულ პირთა სარგებლობას“ (*jus publicum est, quod ad utilitatem rei publicum spectat, ius privatorum est, quod ad utilitatem privatorum spectat*).

რომის სამართლის მიბაძვით თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებაში გავრცელებული მოსაზრებანი სამართლის საჯაროდ და კერძოდ დაყოფის შესახებ 3. კელზენს უმართებულოდ მიაჩნია, რადგან ყველა სამართლებრივ ნორმას ერთნაირად შეუძლია ემსახუროს როგორც კერძო, ასევე საჯარო ინტერესებს, მართლწესრიგის თვალსაზრისით, ყველა უფლება საერთო ინტერესს ემსახურ-

¹ H. Kelsen, Hauptprobleme der Staatsrechtslehre, გვ. 269.

რება, ხოლო სუბიექტური თვალსაზრისით, ყველა უფლება ინტერესების განსახორციელებლად და დადგენილი. ^{3.} კელზენის მტკიცებით, სამართლის საჯაროდ და კერძოდ დაყოფის მათი მთლიანობისა და ერთიანობის მიუხედავად, ნორმები შეიძლება გაგებულ იქნეს მათ მიერ დადგენილი მოვალეობების მიხედვით ორი თვალსაზრისით, კერძოდ, ფართო და ვიწრო მნიშვნელობით. ფართო მნიშვნელობით სამართალი გულისხმობს სახელმწიფო სამართალს, რომელიც შეიცავს ყველა იურიდიულ ნორმას და იგი აკისრებს მოვალეობას სახელმწიფოს. ვიწრო მნიშვნელობით სამართალი აკისრებს მოვალეობას სხვა სუბიექტებს. ამგვარი დაყოფის შემდეგ, ^{3.} კელზენის აზრით, აღარ არსებობს სამართლის კერძოდ და საჯაროდ დაყოფის საფუძველი. საქმე ისაა, რომ ყველა ნორმა საჯარო ხასიათისაა, არ არსებობს დამოუკიდებლად კერძო და საჯარო სამართალი, კერძო სამართალი საჯარო სამართლის შემადგენელი ნაწილია, ურომლისოდაც შეუძლებელია საჯარო სამართლის არსებობა. ის, რასაც ^{3.} კელზენი საჯარო სამართალს უწოდებს, სინამდვილეში არის სამართალი ფართო გაგებით.

სამართლის სისტემატიკა, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმების იერარქიული განლაგება ^{3.} კელზენის სამართლებრივ მოძღვრებაში ემყარება მის მიერ შემუშავებულ ე. წ. „საფეხურებრივ თეორიას“. სამართლებრივი ნორმების მთელი ერთობლიობა მას გამოყავს ე. წ. ძირითადი ნორმიდან. ^{3.} კელზენი მიუთითებს, რომ სამართლის სისტემა ემყარება თვითგანსაზღვრავს, სამართალი თვითონ განსაზღვრავს თავის წარმოშობა-განვითარებას და იგი გამომდინარეობს ე. წ. „წარმოშობი ნორმიდან“ (Ursprungsnorm), რაც იგივე „ძირითად ნორმას“ (Grundnorm) წარმოადგენს. ამ ძირითადი ნორმიდან ლებულობს სათავეს ყველა ნორმა, ძირითადი ნორმა სამართლის უმაღლესი საფეხურია, მისგან გამომდინარე დანარჩენი ნორმები კი თავიანთი ღირებულებისა და ფაქტიური მნიშვნელობის მიხედვით იერარქიულად არიან განლაგებული ამ ძირითადი ნორმის ქვემდგომ საფეხურებზე. ^{3.} კელზენის ნორმატიულ მოძღვრებაში „ძირითადი ნორმა“ ანუ „წარმოშობი, თავდაპირველი ნორმა“ ბუნდოვანი კატეგორიაა, რომლის შინაარსი ძირითადად გაურკვეველია. ვიცით მხოლოდ ის, რომ, ^{3.} კელზენის ნორმატივისტული თეორიის მიხედვით, ძირითადი ნორმა აწესებს უმაღლეს ავტორიტეტს, რითაც ჩნდება დანარჩენი ნორმების დადგენის კანონიერი საფუძველი¹, მაგრამ ეს უმაღლესი

¹ H. Kelsen, Der soziologische und der juristische Staatsbegriff, Tübingen, 1928, S. 94.

ავტორიტეტი არ არსებობს ძირითადი ნორმის ფარგლებს გარეთ, კონკრეტული სამართალი ამ ძირითადი ნორმის მიხედვით ჩნდება. მთელი ნორმატიული სისტემა თავიდანვე იწყება ძირითადი ნორმის წარმოშობი ნორმის მიხედვით¹. ჰ. კელზენის მიერ შემოღებული „საფეხურებრივი სისტემის“ სათავეშია დაუწერელი ძირითადი ნორმა, რომელსაც მოსდევს დანარჩენი ნორმები და სამართლებრივი წესრიგის უკანასკნელ საფეხურს განეკუთვნება ე. წ. ინდივიდუალური სამართლებრივი ნორმები ანუ ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევებზე სასამართლოსა და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გამოტანილი აქტები. ნორმების საფეხურებრივ გადასვლაში სამართალი კონკრეტიზებული ხდება, სამართლებრივი წყობილება თანდათანობით ივსება და მდიდრდება კონკრეტული შინაარსით. ნორმის კონკრეტული შინაარსით გამდიდრების პროცესი ნათლად ჩანს სამართლებრივი წესრიგის უკანასკნელ საფეხურზე, კერძოდ, სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში.

ჰ. კელზენის მტკიცებით, მოსამართლე არაა შეზღუდული არსებული სამართლებრივი ნორმებით, მეტიც, საზოგადოებრივი ურთიერთობების ნორმით მოწესრიგებისას თუ შენიშნავს, რომ სამართლის „საფეხურებრივ“ სისტემაში არ არსებობს შესაფარდებლად საჭირო ნორმა, იგი უფლებამოსილია თვითონ შექმნას ინდივიდუალური ნორმა კანონმდებლის მიერ შექმნილი ზოგადი ნორმებისაგან განსხვავებით. მოსამართლეთა ფუნქცია მხოლოდ ადრე დადგენილი და გამოცემული სამართლის ახსნა-განმარტება კი არაა, არამედ კანონმდებლის მსგავსად ისინი სამართალშემოქმედნი არიან და ევალუაბთ სამართლის შექმნის პროცესის გაგრძელება². ჰ. კელზენის მიერ საკითხის ამგვარად დაყენებისას მთლიანად იხსნება პრობლემა სამართალში არსებული ხარვეზისა და მისი შევსების საშუალებათა შესახებ. სამართლისათვის დამახასიათებელი დინამიკურობის მომენტი თავიდანვე უცხო იყო ჰ. კელზენის ნორმატივისტული თეორიისათვის, იგი სამართალს სტატიკურ კატეგორიას აკუთვნებდა, მაგრამ შემდეგში ე. წ. ძირითადი ნორმის შესახებ მის მიერ განვითარებულ მოსაზრებებში ნათლად ჩანს, რომ იგი სამართალს დინამიკურ მომენტსაც მიაწერს³.

¹ H. Kelsen, Der soziologische und der juristische Staatsbegriff, Tübingen, 1928, S. 100

² Österreichische Zeitschrift für öffentliches Recht, 1953, №4, S. 474.

³ ალ. ვაჩიშვილი, Kelsen-ის მოძღვრება სამართალსა და სახელმწიფოზე, გვ. 144 — 149. ვსარგებლობ შემთხვევით და მიიღია საგანგებოდ აღნიშვნა, რომ პროფ. ალ. ვაჩიშვილის ზემოაღნიშნული ნაშრომი

3. კელზენის მიერ შემუშავებულ ნორმატიულ თეორიას დიდი გამოხმაურება მოჰყვა იურიდიულ სამყაროში. ბურჟუაზიული იურიდიული მეცნიერების ზოგიერთმა წარმომადგენელმა შეფასება მისცა 3. კელზენის თეორიას, ზოგიერთი კი საერთოდ უარყოფს ნორმატივისტული მოძღვრების მეცნიერულობას¹.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 3. კელზენის ნორმატივისტული თეორია კრიზისს განიცდის, ვენის სამართლის სკოლა დაიშალა, თანდათანობით ჩამოშორდნენ 3. კელზენს მისი წინანდელი მომხრეები. მხოლოდ ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაშია გავრცელებული 3. კელზენის ნორმატივისტული თეორია. ამას გარდა, ჰერ კიდევ დიდია 3. კელზენის ავტორიტეტი საერთაშორისო სამართალში, სადაც მოწონება დაიმსახურა მისმა სამართლის „წმინდა თეორიამ“, რომელიც სახელმწიფოთა სუვერენიტეტის უარყოფისა და შიდასახელმწიფოებრივ სამართალზე საერთაშორისო სამართლის უპირატესობის დასასაბუთებლად იქნა გამოყენებული ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმის მომხრეთა მიერ². ბურჟუაზიულ სამყაროში 3. კელზენის ნორმატივისტული სკოლის ზეგავლენის მნიშვნელოვანი შესუსტება იმით უნდა აიხსნას, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთოდ იურიდიული პოზიტივიზმი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ფაშისტურ სამართლებრივ იდეოლოგიაში, კრიზისს განიცდის, მის წინააღმდეგ დაიწყო შეურიგებელი ბრძოლა. 3. კელზენის ნორმატივიზმი კი მეორე მსოფ-

ჩვენს იურიდიულ მეცნიერებაში ერთადერთია, რომელიც შედარებით სრულ წარმოდგენას გვაძლევს 3. კელზენის მიერ შემუშავებულ ნორმატივისტული თეორიის რთული პრობლემების ძირითად საფუძვლებზე. ამ ნაშრომის ხელშეწყობა გამოცემა აუცილებელია, რადგან მას შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს ყველას, ვინც მოიწადინებს 3. კელზენის ნორმატივისტული თეორიის შესწავლასა და კრიტიკულ შეფასებას.

¹ A. Baumgarten, Die Wissenschaft von Recht und die Methode, Tübingen, 1920; E. Brodmann, Recht und Gewalt, Berlin und Leipzig, 1921; E. Kaufman, Kritik der neukantischen Rechtsphilosophie, Tübingen, 1921; E. Kaufman, Logik und Rechtswissenschaft. Grundriss eines Systems der reinen Rechtslehre, Tübingen, 1922; F. Sander, Kelsens Rechtslehre. Kampfschrift wider der normative Jurisprudenz, Tübingen, 1923; K. Leiminger, Die Problematik der reinen Rechtslehre, Wien, 1967; R. Marcic, Das Naturrecht als Grundnorm der Verfassung (Österreichische Zeitschrift für öffentliches Recht, 1963, № 1).

² Г. И. Тункин, Вопросы теории международного права, М., 1962; Д. Б. Левин, О современных буржуазных теориях международного права, М., 1959; История политических учений, под ред. С. Ф. Кечекьяна и Г. И. Федюкина, М., 1955, с. 713—714.



ლიო ომამდე ბურჟუაზიულ მეცნიერებაში გაბატონებული იურიდიული პოზიტივიზმის ნაირსახეობას წარმოადგენდა. ქართული

3. კელზენის მიერ შემუშავებულ ნორმატივისტულ განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ანტიკომუნიზმს და სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ მარქსიზმის თეორიის კრიტიკას. ეხება რა მოვალეობისა და უფლებების ურთიერთდამოკიდებულებას, 3. კელზენი მიუთითებს, რომ უფლება წარმოდგენილი უნდა იყოს, როგორც მოვალეობის რეფლექსი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს ისეთი იურიდიული წყობილება, რომელიც სამართლის სუბიექტებს არავითარ უფლებებს არ ანიჭებს. სოციალისტურ სახელმწიფოში ინდივიდუალიზმის საწინააღმდეგო ტენდენცია ისე ძლიერია, რომ სუბიექტებს დაკისრებული აქვთ მხოლოდ მოვალეობა და უფლებები მათთვის უცხოა¹.

3. კელზენის თეორიისათვის დამახასიათებელი ანტიკომუნიზმი და მარქსიზმის კრიტიკა უფრო მეტად მოჩანს მის მიერ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამოქვეყნებულ ნაშრომებში, როცა იურიდიულ სამყაროში აშკარად შესუსტდა თეორიული ინტერესი ნორმატივიზმისადმი. ამ პერიოდის ნაშრომებში, კერძოდ, 1948 წელს გამოქვეყნებულ „ბოლშევიზმის პოლიტიკურ თეორიაში“, 1955 წელს გამოცემულ „სამართლის კომუნისტურ თეორიაში“ და ა. შ. 3. კელზენი თავს ესხმის მარქსიზმს და სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტული თეორიის წინააღმდეგობების გამოვლენის გზით, ცხადყოფს მისი დებულებების დაუსაბუთებლობასა და ალოგიკურობას. 3. კელზენი თავის ნაშრომებში ერთმანეთთან შეუთავსებლად მიიჩნევს დემოკრატიასა და დიქტატურას, უარყოფს სახელმწიფოსა და ეროვნული სუვერენიტეტის ცნებებს, შეურიგებელ წინააღმდეგობებს ხედავს სახელმწიფოსა და სამართლის, ბაზისისა და ზედნაშენის და სხვა მოვლენების ურთიერთდამოკიდებულებაში².

ნორმატივისტულ თეორიას აკრიტიკებენ ბურჟუაზიულ მეცნიერებაში არსებული სხვადასხვა მიმდინარეობის წარმომადგენლები და, ამდენად, ნორმატივიზმის ცალკეული დებულებების კრიტიკა 3. კელზენისათვის უცხო არ არის.

¹ Kelsen. Hauptprobleme der Staatsrechtslehre, S. 312.
² В. А. Туманов, Буржуазная правовая идеология, М., 1971; Критика буржуазных политико-правовых концепций, М., 1977; О. В. Богданов, В. А. Туманов, Фальсификация марксистской теории права. О книге Г. Кельзена «Коммунистическая теория права» (Советское государство и право, 1957, № 3) и т. д.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ჰ. კელზენის ნორმატივისტულ/ თეორიაში მთლიანად იგნორირებულია სახელმწიფოსა და საზოგადოების თლის წარმოშობის საკითხი. ჰ. კელზენს სახელმწიფო და საზოგადოება თალი წარმოდგენილი აქვს, როგორც უკვე იმთავითვე თავისთავად არსებული ფენომენები. მაგრამ იგი კარგად გრძნობს სამართლის ნორმების იერარქიული განჯგუფების აუცილებლობას და ცდილობს მონახოს ამ ნორმების არსებობის საფუძველი. თანამედროვე შეხედულებათა მიხედვით, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა-არსებობის მიზეზები საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებში უნდა ვეძებოთ. საზოგადოების ეკონომიკური ბაზისი განსაზღვრავს ზედნაშენის უმთავრესი შემადგენელი ნაწილების, კერძოდ, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობასა და შინაარსსაც. ჰ. კელზენისათვის, როგორც ზემოთ დავინახეთ, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის კვლევა მეტაფიზიკური პრობლემაა, ხოლო რაც შეეხება სამართლის ნორმების სისტემატიზაციას, იმ საფუძველს, რომლის მიხედვითაც ხდება მათი განჯგუფება, მის მიერ შემუშავებული „საფეხურებრივი თეორია“ მიხედვით, სამართლებრივ მოვლენათა ერთობლიობის განმსაზღვრელია ე. წ. ძირითადი ნორმა, რომელზეც აგებს იგი მთელ სამართლის სისტემას. მაგრამ ჰ. კელზენის ძირითადი ნორმა, როგორც ეს მრავალჯერ აღნიშნულა იურიდიულ მეცნიერებაში, სრულიად განუსაზღვრელი მოვლენაა და, რაც მთავარია, მის სტრუქტურულ შემადგენლობასა და შინაარსს არც თვით ჰ. კელზენისათვის აქვს მნიშვნელობა, რაც ამ ძირითადი ნორმის სხვადასხვანაირი განსაზღვრის საშუალებას ქმნის. ყველა ამ განსაზღვრაში გამორიცხულია საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური პირობები. თვით ჰ. კელზენი აშკარად იბრძვის სახელმწიფოსა და სამართლის მეცნიერებაში მატერიალური მომენტების შეტანის წინააღმდეგ, რადგან, მისი მტკიცებით, იურიდიული მეცნიერება პოლიტიკურ-სამართლებრივი მოვლენების კვლევისას მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით უნდა კმაყოფილდებოდეს, მაგრამ ძირითადი ნორმის ჰიპერტროფიული ბუნება მისი ღმერთზე მინიშნების საფუძველს ქმნის და თანამედროვე იურიდიული მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელი რ. მარჩინი ჰ. კელზენთან პოლემიკაში სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ სამართლის სისტემა ემყარება ძირითადი ნორმის ჰიპოთეზასა თუ ღმერთს: ათეისტისათვის ეს ერთი და იმავე მნიშვნელობის მოვლენაა. ამიტომ, რომ ნეოთომისტები დიდ პატივს სცემენ ჰ. კელზენს და ცდილობენ ერთმანეთს დაუეკავირონ მისი

„წმინდა თეორია“ ბუნებით სამართალს, რათა ჰ. კელზენის „საფუძვლებრივი თეორიის“ სისტემაში ძირითადი ნორმის ადგილი ბუნებით სამართალს დაუთმონ¹.

კაცობრიობის ისტორიაში არსებული სახელმწიფო ტერმინების თალი ყოველთვის განხილული უნდა იყოს როგორც მისი საზოგადოების ეკონომიკური ბაზისით განსაზღვრული მოვლენები, მაგრამ ისინი იდენტურ ცნებებს არ წარმოადგენენ. მართალია, სახელმწიფო და სამართალი კლასებისა და კერძო საკუთრების გაჩენის შედეგია, მაგრამ სახელმწიფო არის ერთი კლასის მეორე კლასზე ბატონობის ორგანო, რომელსაც ქმნის საზოგადოებაში გაბატონებული კლასი თავისი ინტერესების განსახორციელებლად. სამართალი კი წარმოადგენს გაბატონებული კლასის ნების შესაბამისად სახელმწიფოს მიერ დადგენილ ან სანქციონირებულ ქცევის წესთა (ნორმათა) ერთობლიობას, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს იძულებითი ძალით. ჰ. კელზენის ნორმატიულ თეორიაში სახელმწიფო და სამართალი გაიგივებულია ერთმანეთთან. სახელმწიფო, ჰ. კელზენის აზრით, სხვა არაფერია, თუ არა სამართლის ნორმების სისტემა, მართლწესრიგის პერსონიფიკაცია. სახელმწიფოს ძალა სამართლის ძალაა და სახელმწიფოებრივი ხელისუფლება სამართლებრივი წესრიგის მოქმედების შედეგს წარმოადგენს. სახელმწიფოსა და სამართლის დუალისტური მოსაზრების დასაძლევად ჰ. კელზენის მტკიცებანი წმინდა ფორმალისტურ საფუძვლებს ემყარება. იგი ხელოვნურად უპირისპირებს სახელმწიფოს სოციოლოგიურ და იურიდიულ გავებას და მიუთითებს, რომ შეუძლებელია ერთი და იმავე საგნის ცნების ორგვარი გავება, არ არსებობს სახელმწიფოს სოციოლოგიური ცნება, სახელმწიფო მხოლოდ იურიდიული ცნებაა და იგი თავის სრულ და ერთადერთ გამოხატულებას პოულობს მართლწესრიგში. ჰ. კელზენი ამტკიცებს, რომ სახელმწიფო ახორციელებს იძულებას, რაც მხოლოდ სამართლის დამახასიათებელი თავისებურებაა, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისი აზრით, სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ იძულებას ყოველთვის სამართლებრივი ხასიათი აქვს. აქედან ჰ. კელზენს გამოაქვს დასკვნა სახელმწიფოს და სამართლის იგივეობის შესახებ. მაგრამ როგორც სახელმწიფოს და სამართლის არსებობის ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, მას არასწორი წარმოდგენა აქვს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ იძულებას.

¹ R. Marcic, Das Naturrecht als Grundnorm der Verfassung (Osterreichische Zeitschrift für öffentliches Recht, 1963, №1—2, S. 69).



ბის ბუნებაზე. საქმე ისაა, რომ ისტორიულად არსებული სახელმწიფოების (და მათ შორის ბურჟუაზიული სახელმწიფოს) მიერ განხორციელებული იძულება ყოველთვის როდი ხდებოდა სამართლებრივი ფორმით. 3. კელზენის ნორმატიული თეორიის პოლიტიკური მიზანი ცხადია, იგი ცდილობს სახელმწიფო წარმოგვიდგინოს ე. წ. „სამართლებრივი სახელმწიფოს“ სახით, რომლის საქმიანობა მთლიანად სამართლის ნორმებს ექვემდებარება.

წინააღმდეგ 3. კელზენის მტკიცებისა, სახელმწიფოს საქმიანობა ყოველთვის სამართლებრივი ნორმების რეალიზაციასთან არაა დაკავშირებული, მაგალითად, სახელმწიფოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობა გულისხმობს ისეთი ნორმების დადგენას, რომელიც არ არსებობს. გარდა ამისა, უდავოა, რომ სახელმწიფოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობა მთლიანად გამორიცხავს სამართლისათვის დამახასიათებელი იძულების განხორციელებას.

ასევე მცდარია სახელმწიფოსა და სამართლის იდენტურობის დასასაბუთებლად 3. კელზენის მიერ მოტანილი არგუმენტი, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო მექანიზმის ორგანიზაციამ ყოველთვის უნდა მიიღოს იურიდიული გაფორმება და, ამდენად, სახელმწიფო და სამართალი ერთი და იგივე მოვლენაა. მაგრამ 3. კელზენის ეს მტკიცება არასრულია და მოკლებულია ჭეშმარიტებას. საქმე ისაა, რომ სახელმწიფო არ ემთხვევა მართლწესრიგს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სამართლებრივი წესრიგი, პოლიტიკური საზოგადოებრივი ურთიერთობის გარდა, მოიცავს მრავალ სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობებსაც.

3. კელზენი მატერიალურ საფუძველს აცლის სამართალს, იგი სამართალს თიშავს რეალური სინამდვილისაგან მის მიერ განვითარებული არსობისა და ჯერ-არსობის ურთიერთდაპირისპირების გზით. 3. კელზენის ნორმატიულ თეორიაში სამართალი ჯერ-არსობის (Sollen) სფეროს განეკუთვნება და არა არსობას (Sein). ჯერ-არსობა 3. კელზენის მიერ გაგებულა არა როგორც რეალურ სინამდვილეში არსებული ფენომენი, რომელიც მიუთითებს იმაზე, თუ სამართლის ნორმის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზემოქმედების გზით რა უნდა იქნეს მიღწეული; ჯერ-არსობა მის მიერ შემეშუავებულ ნორმატივისტულ თეორიაში ემსახურება იმას, რომ სამართალი გათიშოს საზოგადოებრივი ყოფიერების სამყაროსაგან და წარმოგვიდგინოს იგი ამ უკანასკნელისაგან განცალკევებით. სამართალი, როგორც ჯერ-არსობა, აზროვნების ლოგიკური პრინციპების შესაბამისად არსებობს და მისგან სრულებითაც არ გამომდინარეობს ის, რაც არსებობს. შეუძლებელია ვამტკიცოთ, რომ

ის, რაც არსებობს, მართლაც, უნდა არსებობდეს და, პირობით, ის, რაც უნდა არსებობდეს, მართლაც არსებობს. ამიტომ მართლებრივი ნორმა მხოლოდ სავარაუდებელი, ჰიპოთეზური ლობაა და არა ბრძანება. აქედან პ. კელზენი ასკვნის, რომ სამართლის ნორმის რეალიზაციის პროცესში ნორმიდან, როგორც ჰიპოთეზური მსჯელობიდან, მოსამართლეს შეუძლია გააყეთოს არა ერთი, არამედ რამდენიმე დასკვნა, რომლებიც ერთნაირად ჰემპარტი იქნება.

ამრიგად, პ. კელზენის ნორმატივისტული თეორიის მიხედვით, მოსამართლეები უფლებამოსილნი არიან თავიანთი შეხედულები-სამებრ შეუფარდონ სამართლის ნორმები. მეტიც, სამართლის შეფარდების პროცესში მოსამართლეთა მიერ ნორმის ახსნა-განმარტებას ავთენტიკური ძალა აქვს. ასეთ პირობებში სამართლის ხარვეზისა და მისი შევსების საშუალებათა ძებნის პრობლემა პ. კელზენის წინაშე სრულებითაც არ დგას; მოსამართლეების ფუნქციას შეადგენს სამართლის შექმნის პროცესის გაგრძელება და, ამდენად, ნორმატივისტულ თეორიაში სამართალშემოქმედება და სამართლის ნორმის შეფარდება ისეა დაახლოებული, რომ მათ შორის განსხვავებისათვის ადგილი აღარ რჩება. პ. კელზენის შეხედულებები სამართლის ნორმის შეფარდების, ნორმის ახსნა-განმარტების, სამართალშეფარდების პროცესში მოსამართლეთა ფუნქციებისა და სხვათა შესახებ, იმპერიალიზმის ეპოქაში კანონიერების კრიზისის გამოხატულებას წარმოადგენს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობისა და ჯერ-არსობის (Sein und Sollen) ურთიერთდაპირისპირება უდევს საფუძვლად არა მარტო სამართლის ნორმატივისტული სკოლის მოძღვრებას, არამედ სამართლის სხვა თეორიებსაც, რომლებიც წარმოიშვნენ იმპერიალიზმის ეპოქაში. აღნიშნულია თეორიებიდან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა სამართლის ფენომენოლოგიური სკოლა; რომელიც ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში ე. ჰუსერლია (1859—1938 წწ.) მიერ ჩამოყალიბებული ფენომენოლოგიური სკოლის მემკვიდრეობას ემყარება. ე. ჰუსერლის მიერ ფილოსოფიის უმთავრესი პრობლემების გადაწყვეტის ძირითადი მეთოდი ანუ, როგორც თვითონ აღნიშნავს, ე. წ. შემეცნების წმინდა თეორია, პირველ ყოვლისა, გულისხმობს იმას, რომ შემეცნების ობიექტს უნდა წარმოადგენდეს ნივთები იმგვარად, როგორებიც ისინი არიან. ეს მოთხოვნა მის ფილოსოფიაში ნიშნავს ნივთების შესწავლას ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობებულობის გარეშე, იზო-

ლირებული სახით. გარდა ამისა, ე. ჰუსერლის შემეცნების წმინდა/ თეორია, როგორც მეთოდი, მოითხოვს ნივთების შეცნობას მოვლენიდან არსისაკენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მოვლენის სუბიექტუალური გეგმა არის ე. წ. ვიდოსის ანუ ამ მოვლენის იდეალური საფუძვლის ინტუიციური გამოცნობა.

ე. ჰუსერლის მეცნიერული მემკვიდრეობა მხოლოდ ფილოსოფიაში არ დამკვიდრებულა, იგი გასცდა მის ფარგლებს და სამართლის მეცნიერებაშიც გავრცელდა. ჩვენი საუკუნის პირველ მეოთხედში გერმანული იურიდიული მეცნიერების ცნობილმა წარმომადგენლებმა ა. რაინახმა, გ. ჰუსერლმა, ფ. შრაიერმა, ფ. კაუფმანმა და სხვებმა¹ ე. ჰუსერლის ფენომენოლოგიურ ფილოსოფიაზე დაყრდნობით საფუძველი ჩაუყარეს სამართლის ფენომენოლოგიურ სკოლას. ამრიგად, ჰ. კელზენის ნორმატივისტული თეორიისაგან დამოუკიდებლად ჩვენი საუკუნის პირველ მეოთხედში ჩამოყალიბდა კიდევ ერთი ახალი მოძღვრება სამართლის ფენომენოლოგიური სკოლის სახით, თუმცა, როგორც მეცნიერულ ლიტერატურაშია აღნიშნული, სამართლის ამ სკოლებს ბევრი რამ საერთო აქვთ². სამართლის ნორმატივისტულ სკოლასა და სამართლის ფენომენოლოგიურ სკოლას შორის არსებული მსგავსების მიუხედავად, მათ შორის განსხვავებას მაინც აქვს ადგილი. ჰ. კელზენის აზრით, ნორმატიულ მეცნიერებას, რომლის საგნად იგი იდეალურ ვალდებულებას თვლის, სამართლის გარდა განეკუთვნება ლოგიკა, გრამატიკა, ესთეტიკა და ეთიკა, რადგან ყველა ამ მეცნიერებას ნორმატიული ბუნება გააჩნია. ე. ჰუსერლის მტკიცებით, ლოგიკა არ ეკუთვნის ნორმატიულ მეცნიერებას, რადგან ფორმალური ლოგიკის საგანი არ წარმოადგენს ნორმატიულ იდეალობას, რადგანაც ნორმატიული მნიშვნელობით იდეალობა გამოირიცხავს რეალობას და, ამდენად, ე. ჰუსერლის აზრით, ლოგიკა მხოლოდ თეორიული მეცნიერებაა და ბუნებითი კანონისა და ნორმის ნაცვლად იგი ერთმანეთს უპირისპირებს ბუნებით და იდეალურ კანონს³.

¹ C. Reinach, Die apriorischen Grundlagen des bürgerlichen Rechts Jahrbuch für Philosophie und phenomenologische Forschung, Bd. I, Halle, 1913); F. Schreier, Grundbegriffe und Grundnormen des Rechts, Leipzig, 1924 F. Kaufmann, Die Kriterien des Rechts, Tübingen, 1929 G. Guse, Recht und Welt, Tübingen, 1929;

² H. Kelsen, Hauptprobleme der Staatsrechtslehre, 1923, (Vorrede zur zweiten Auflage, S. IX).

³ ალ. ვაჩეიშვილი, Kelsen-ის მოძღვრება სამართალზე და სახელმწიფოზე, ტფილისი, 1928; გვ. 153.

მიუხედავად ამ განსხვავებისა, პ. კელზენის გნოსეოლოგიური ნორმების იდეალური არსებობა, როგორც ჯერ-არსობისა¹, დიდად არ განსხვავდება ე. ჰუსერლის ონტოლოგიური ნორმების იდეალური არსებობისა და ძირითადი სამართლებრივი ცნებებისაგან. შემთხვევაში სამართალი, რომელიც მოწოდებულია ზემოქმედება მოახდინოს არსებულზე, თავისი განსაკუთრებული ყოფიერებით მაინც დამოუკიდებელია მისგან². მიუხედავად ამ მსგავსებისა, სამართლის ფენომენოლოგიური სკოლა წარმოშობისთანავე გავრცელდა ბურჟუაზიულ იურიდიულ მეცნიერებაში, როგორც პ. კელზენის ნორმატივისტული თეორიისაგან დამოუკიდებელი ახალი მოძღვრება.

5. სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორია

ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება ცალკეულ ხელისუფლებად სახელმწიფოსა და სამართლის ფილოსოფიის ერთ-ერთი უძველესი და აქტუალური პრობლემაა.

მიუხედავად ამისა, მოძღვრება სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების შესახებ ჯერ კიდევ სპეციალური შესწავლის საგანი არ გამხდარა. რაც შეეხება ამ საკითხისადმი მიძღვნილ მცირერიცხოვან ლიტერატურას, მასში სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების შესახებ მოძღვრების თავისებურებებსა და ისტორიული განვითარების ეტაპებზე თითქმის არაფერია ნათქვამი³.

საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებაში გავრცელებული აზრის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების შესახებ მოძღვრება მხოლოდ ბურჟუაზიულია და მის ფუძემდებლად გამოცხადებულია ხან ჯ. ლოკი, ხან კი შ. მონტესკიე³. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების შესახებ მოძღვრების ამგვარი გაგება ეწინააღმდეგება საქმის ფაქტიურ

¹ В. А. Туманов, Буржуазная правовая идеология, М., 1971, стр. 227.

² იხ.: Н. М. Коркунов, Указ и закон, СПб, 1894, стр. 193—227; А. Н. Фатеев, История общих учений о праве и государстве, I, изд. 2, 1909, стр. 217—202; Н. Ворожильов, Критический обзор учения о разделении властей, Ярославль, 1971; И. Трайнин, Разделение властей (журн. «Советское строительство», № 7—8, 1937, стр. 39—54); И. Д. Левин, Современная буржуазная наука государственного права, М., 1960, стр. 293—350 и т. д.

³ Советское государственное право, М., 1948, стр. 18; Большая советская энциклопедия, т. 28, второе издание, стр. 259; Большая советская энциклопедия, т. 35, второе издание, стр. 610 и т. д.

მდგომარეობას. მოძღვრება სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების შესახებ ისევე ძველია, როგორც თვითონ სახელმწიფო და სამართალი¹.

ანტიკური ეპოქიდან დაწყებული, კლასობრივი და სინაკლასობრივი ბრძოლის თავისებურებათა შესაბამისად მოძღვრება სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების შესახებ თანდათან ვითარდება და მხოლოდ აბსოლუტიზმის ეპოქაში ხდება იგი გაბატონებული.

მოძღვრება სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების შესახებ ბურჟუაზიული პოლიტიკური იდეოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილია. ბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმომადგენლებს ფეოდალური სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ბრძოლაში წარსული ეპოქებიდან არა მარტო უბრალოდ გადმოაქვთ მოძღვრება სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების შესახებ, არამედ საკუთარი კლასობრივი ინტერესების შესაბამისად კიდევაც სრულყოფენ მას.

¹ ეს მოსაზრება არ გაიზიარა ს. ნერსესიანცმა. იგი წერს: «...ввиду отсутствия в древности абстракции политического государства отсутствовала также и абстракция власти политического государства, о разделении которой по существу идет речь в новое время. Это обстоятельство, на наш взгляд, не учитывается в интересной работе В. В. Абашмадзе («Учение о разделении государственной власти и его критика», Тбилиси, 1972, стр. 4—5, 10, 51), в которой уже у античных мыслителей усматривается учение о разделении государственной власти. Тем самым игнорируется специфика концепции разделения властей в новое время по сравнению с положениями древних авторов о различных полномочиях разных государственных органов». (В. С. Нерсисянц, Гегелевская философия права, М., 1974, стр. 99).

როგორც ჩანს, ვ. ნერსესიანცის მსჯელობა შეიცავს ორ შენიშვნას: პირველი, ანტიკურ სამყაროში არ არსებობდა არც პოლიტიკური სახელმწიფოს აბსტრაქცია და არც პოლიტიკური სახელმწიფო ხელისუფლების აბსტრაქცია და, მეორე, ახალ დროში არსებითად ლაპარაკია აბსტრაქტული პოლიტიკური სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებაზე. ანტიკური და ახალი დროის წყაროები კი ცხადყოფენ საწინააღმდეგოს, კერძოდ, პოლიტიკა, როგორც მეცნიერება, უკვე ანტიკურ სამყაროში ჩამოყალიბდა (იხ. არისტოტელე, პოლიტიკა) და, რა თქმა უნდა, ანტიკურ მეცნიერთაც მოსაზრებანი სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების შესახებ სწორედ აბსტრაქტული სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებას ეხება. გარდა ამისა, არასწორია მტკიცება, თითქოს ახალ დროში სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება არსებითად ნიშნავს პოლიტიკური სახელმწიფოს აბსტრაქტული ხელისუფლების დანაწილებას. სინამდვილეში მეცნიერებაში დღეს არ იწვევს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ძველი დროისაგან განსხვავებით, XVII—XVIII საუკუნეებში სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორია გადამუშავდა კლასიკური ფორმით, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი პირველად განმტკიცდა კონსტიტუციური წესით და გამოცხადდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპად.


ბურჟუაზიის პოლიტიკური მოღვაწეები თავიანთ ბრძოლას ფეოდალიზმის წინააღმდეგ ახალი სახელმწიფოებრიობის შესაქმნელად მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, გადმოაყენებენ სრულყოფენ წარსული დროის მოაზროვნეების მიერ შემუშავებული სხვადასხვა მოძღვრებას.

ამასთან, ისინი ასაბუთებენ ბურჟუაზიული სახელმწიფოებისა და ბურჟუაზიული მეცნიერების მიერ შემუშავებული მოძღვრებების თვითმყოფადობასა და პროგრესულობას. თუმცა არსებობდა განსხვავებული მოსაზრებაც აღნიშნულ საკითხზე. მაგალითად, მარქსი ერთ-ერთ თავის ნაშრომში თვლიდა, რომ ბურჟუაზიული მოძღვრებების უმრავლესობა და მათ შორის სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილები, სუვერენიტეტისა და სხვათა შესახებ მოძღვრებები სრულებითაც არ არის ორიგინალური და ნასესხებია ანტიკური ეპოქიდან. „Die Entstehungsgeschichte des modernen Staats oder französischen Revolution. Die Selbstüberhebung des politischen Wesens—Verwechslung mit antiken Staat. Yerhaltenin der Revoluzionäre zur bürgerlichen Gesellschaft verdoppelung aller Elemente in bürgerliche und staatswegen“.¹

მეცნიერებაში გაბატონებული შეხედულება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნა თითქოს მხოლოდ ბურჟუაზიულია და იგი პირველად წამოაყენეს ჯ. ლოკმა და მ. მონტესკიემ, სინამდვილეს არ შეეფერება. სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების შესახებ დასავლური შეხედულებები ამ მოძღვრების განვითარების ერთ-ერთი ეტაპია, კერძოდ, იგი ყალიბდება. როცა სახელმწიფო ხელისუფლების თეორია ღებულობს ყველაზე სრულყოფილ და კლასიკურ ფორმას.

ჩვენამდე მოღწეული წყაროებისა და თანამედროვე ისტორიული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებამ განვითარების შემდეგი ეტაპები განვლო: 1. სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრების წარმოშობა მონათმფლობელურ ეპოქაში; 2. სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრების

¹ K. Marx, Fr. Engels, Werke, Bd. 8. Berlin, 1958, S. 537. (ციტატა მოგვყავს გერმანული გამოცემის მიხედვით, რადგან რუსული თარგმანი (იხ. K. Маркс и Ф. Энгельс Немецкая, идеология, М., 1956, стр. 571) ჩვენ არაზუსტად მიგვაჩნია).



აღორძინება შუა საუკუნეებში; 3. სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრების სრულყოფა კლასიკური ტრადიციული უზაზიული რევოლუციების ეპოქაში; 4. სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრების კრაზი ბურჟუაზიის ბატონობის პერიოდში.

ფორმალური აზრით, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრება ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში ჩნდება და იგი კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლების თავისებურებათა შესაბამისად თანდათანობით სრულყოფილი ხდება შუა საუკუნეების ეპოქაში. რაც შეეხება მატერიალური აზრით სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრებას, იგი ყალიბდება მოგვიანებით, ფეოდალური სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ბურჟუაზიის ბრძოლის პერიოდში და გაბატონდება მხოლოდ აბსოლუტიზმის ეპოქაში. სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებას ბურჟუაზიის იდეოლოგები აცხადებდნენ თავისი დროისათვის ახალი ბურჟუაზიული სახელმწიფოებრიობის აგების პრინციპად, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება თითქმის ყველა კაპიტალისტური ქვეყნის ძირითად კონსტიტუციურ მოთხოვნად გამოცხადდა.

სახელმწიფოს და სამართლის წარმოშობისთანავე გაბატონებული კლასების იდეოლოგები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ საზოგადოებაში სახელმწიფოებრივი ხელისუფლების განხორციელების თეორიული და პრაქტიკული საკითხებისადმი.

მონათმფლობელური საზოგადოების განმტკიცებისა და შემდგომი განვითარების მიზნით, გაბატონებული კლასების იდეოლოგები გააფრთხილებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში დიდი მონაწილეობით იკვლევენ საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფლების რეალიზაციის საკითხებს, ცდილობენ მონათმფლობელური სახელმწიფო წარმოაჩინონ მთელი საზოგადოების დამცველად, ამუშავებენ იდეალური სახელმწიფოს პროექტებს, მოუწოდებენ ყველას ერთსულოვნებისაკენ და ა. შ.¹

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა-განმტკიცების პროცესში ძველი ბერძენი ფილოსოფოსები საგანგებოდ იკვლევენ სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად თეორიულ საკითხებს. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ცალკეულ ხელისუფლებებად


¹ Демокрит, Человеческое общество, Философ и государство. Моральные наставления. О достижении душевного покоя (С. Я. Лурье, Демокрит, Л., 1970, стр. 351—378); Платон, Государство, законы (Платон. Сочинения, в трех томах, т. 3, ч. I, ч. II, М., 1971); Цицерон, Диалоги о государстве, о законах, М., 1966 и т. д.

ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებას, როგორც სახელმწიფო მექანიზმის მუშაობაში შრომის განაწილების ანტიკური ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე პლატონმა მელმაც სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებს მრავალი ნაშრომი მიუძღვნა, მიუთითებს სახელმწიფო მექანიზმის მუშაობაში შრომის დანაწილების აუცილებლობაზე, რათა საზოგადოებაში წარმატებით განხორციელდეს სახელმწიფო ხელისუფლება. მისი აზრით, სახელმწიფო მექანიზმის მუშაობა უნდა ემყარებოდეს შრომის განაწილების ზოგად პრინციპებს. იგი წერს: თითოეულ ადამიანს შეუძლია კარგად გააკეთოს არა მრავალი, არამედ მხოლოდ ერთი საქმე. თუ იგი შეეცდება ერთდროულად სხვადასხვა საქმის კეთებას, მას არაფერი გამოუვა და თავს ვერაფერში გამოიჩენს. პლატონი ამტკიცებს, რომ სახელმწიფო საქმიანობის ძირითად მიმართულებებად დაყოფა და ამ მიმართულებებზე ხელმძღვანელობის დაკისრება განსაზღვრული პირებისათვის საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფლების წარმატებით განხორციელების აუცილებელი პირობაა, რადგანაც ერთი პირისათვის მრავალი საქმის დაკისრება დიდ ზიანს აყენებს სახელმწიფოს და მას სავსებით სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ ბოროტმოქმედება. პლატონი მიუთითებს სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა მხარეებზე და ერთმანეთისაგან ნათლად გამოყოფს საკანონმდებლო ($\nu\omicron\mu\theta\epsilon\iota\alpha$),¹ აღმასრულებელ ($\tau\alpha\rho\chi\epsilon\iota\omicron\upsilon$)² და სასამართლო ($\tau\omicron\ \beta\iota\alpha\lambda\omicron\iota\omicron$)³ ხელისუფლებებს. პლატონი ცდილობს აგრეთვე განსაზღვროს ის საკითხები, რომლებიც შედიან ზემოაღნიშნული ხელისუფლებების კომპეტენციაში. მაგალითად, იგი მიუთითებს კანონმდებლების ამოცანებსა და მიზნებზე, მისი განხორციელების ფორმებზე, სხვა ხელისუფლებებთან მისი დამოკიდებულების თავისებურებებზე და ა. შ. პლატონის აზრით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისას კანონმდებლობა და მართლმსაჯულება, მართალია, მიმართულია ერთი და იმავე საგნისაკენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სახელმწიფოს ერთიანობის შენარჩუნებისათვის, პლატონის აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მართლმსაჯულებას. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მართლმსაჯულების განხორციელების საკითხის კვლევისას (ხარვე-

¹ Π λ α τ ω ν, Πολιτεία, 502 c.

² იქვე, 412 c.

³ Π λ α τ ω ν, Νομοί, 715 β.



ზი სამართალში და მისი შეცვების საშუალებები, სამართლის ნორმების ახსნა-განმარტება, სასამართლო განაჩენი და მისი შესრულება და ა. შ.) პლატონი მიუთითებს: როცა დარღვეულია მართლმსაჯულება, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს სახელმწიფო მმართველობის ყველა ორგანოს, მაშინ მთავრობის ყველა თანამდებობა ირღვევა, ერთმანეთს არ ეთანხმება და საერთო მიზანს აღარ ემსახურება. ამას კი მოსდევს სახელმწიფოს ერთიანობის მოშლა. იგი იწვევს სახელმწიფოში შფოთს, შინაომს, რის შედეგადაც სახელმწიფო იღუპება. მართლმსაჯულება აკავშირებს ერთმანეთთან სახელმწიფო მმართველობის ყველა ორგანოს, მაგრამ სახელმწიფო ხელისუფლებას უშუალოდ ახორციელებს მთავრობა მისდამი დაქვემდებარებული ორგანოებით, სხვადასხვა რანგის მმართველების სახით. ამდენად, სასამართლო ხელისუფლებასთან ერთად სახელმწიფოში დიდი მნიშვნელობა აქვს აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომლის მუშაობის სრულყოფისათვის, პლატონის აზრით, უნდა შეიქმნას განსაკუთრებული კრება. პლატონი ამტკიცებს, რომ ეს კრება ვახდება მთელი სახელმწიფოს ღუზა, რომელსაც შეუძლია იხსნას დაღუპვისაგან ყოველივე ის, რაც სასარგებლოა საზოგადოებისათვის. ამრიგად, სახელმწიფო ხელისუფლების ძირითადი მიმართულებები, კერძოდ კანონმდებლობა, მმართველობა და მართლმსაჯულება პლატონს გამოყავს მის მიერ შემუშავებული შრომის დანაწილების მოძღვრებიდან.

პლატონის მოძღვრება სახელმწიფოს საქმიანობაში ხელისუფლების დანაწილების, როგორც შრომის დანაწილების, საერთო პრინციპის გამოხატულების შესახებ განაერთარა და სრულყო არისტოტელემ.

პლატონის მსგავსად არისტოტელე სახელმწიფოს საქმიანობაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს შრომის დანაწილებას. იგი ამტკიცებს, რომ თითოეული საქმე უკეთესად კეთდება, როცა მას განაგებს არა ბევრი, არამედ ერთი პირი. ავრცელებს რა სახელმწიფო საქმიანობაზე შრომის დანაწილების ამ ზოგად მოთხოვნას, საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანების მიხედვით, არისტოტელე თითოეულ სახელმწიფო წყობილებაში ერთმანეთისაგან ანსხვავებს სამ ძირითად ელემენტს (τρία μέρη των πολιτειών παλαι)¹ იგი მიუთითებს, რომ საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანების შესაბამისად თითოეული სახელმწიფოს კონსტიტუცია უნდა შეიცავდეს პასუხს შემდეგ სამ კითხვაზე: 1. რომელი ორგანო

¹ Aristotelis Politica. MCM IX. 37.

უნდა ახორციელებდეს კანონმდებლობას; 2. რომელი ორგანო
უნდა ახორციელებდეს ადმინისტრაციულ საქმიანობას; 3. რომელი
ორგანოს შეიძლება მიენდოს მართლმსაჯულების განხორციელება
ამრიგად, არისტოტელეს აზრით, ყოველ საზოგადოებრივ სახელმწიფოში
მწიფო ხელისუფლების წარმატებით ხორცშესხმისათვის აუცი-
ლებელია შემდეგი სამი ორგანო: საკანონმდებლო, აღმასრულებე-
ლი (სამთავრობო) და სასამართლო. თავისთავად ცხადია, რომ თი-
თოეული ზემოაღნიშნული ორგანო ახორციელებს ცალკეულ ხე-
ლისუფლებას, კერძოდ, საკანონმდებლო, აღმასრულებელ ან სასა-
მართლო ხელისუფლებას.

არისტოტელე ახასიათებს თითოეული ზემოაღნიშნული ხელი-
სუფლების უფლებამოსილებას. მთავრობის ორგანოები ანუ აღმა-
სრულებელი მაგისტრატები უნდა ზრუნავდნენ სახელმწიფოს ჯე-
როვან მმართველობაზე. სასამართლო ხელისუფლება ყოველთვის
უნდა ახორციელებდეს მართლმსაჯულებას. რაც შეეხება საკანონ-
მდებლო ხელისუფლებას, მას ფართო უფლებამოსილება აქვს,
რადგანაც საკანონმდებლო ხელისუფლება უმაღლესია საზოგადო-
ებაში. არისტოტელეს მტკიცებით, საკანონმდებლო ხელისუფლებას
გააჩნია არა მარტო კანონების გამოცემის, არამედ საზოგადოებრივი
ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტის (ომის
და ზავის გამოცხადება, სახელმწიფო მოხელეების არჩევა, სამხედ-
რო კავშირების შექმნა და ა. შ.) უფლება. მართალია, საკანონ-
მდებლო ხელისუფლებას, კანონების დადგენის გარდა, აქვს სხვა
უფლებამოსილებაც, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი კანონ-
მდებლობის ფარგლებს, მაგრამ მხედველობაში მისაღებია, რომ
არისტოტელეს მოძღვრება სახელმწიფო ხელისუფლების დანაწი-
ლების შესახებ განპირობებულია ძველი ბერძნული პოლისების თა-
ვისებურებებით.

არისტოტელეს მეცნიერულმა მემკვიდრეობამ დიდი ზეგავლენა
მოახდინა შემდეგი ეპოქის ფილოსოფიური აზრის განვითარებაზე.
პლატონისა და არისტოტელეს აშკარა ზეგავლენით, სახელმწიფო
ხელისუფლების დანაწილების მოძღვრებამ თავისი გამოხატულება
პოვა პოლიბიოსისა და ციცერონის ნაშრომებში. დამახასიათებელია,
რომ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრებას ისი-
ნი უკავშირებენ ე. წ. სახელმწიფოს შერეულ ფორმას. პოლიბი-
ოსი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოთმცოდნეების დიდი უმრავლე-
სობის მტკიცებით, არსებობს სახელმწიფო წყობილების შემდეგი
სამი ფორმა: მონარქია, (βασιλευα)¹, არისტოკრატია (Αριστοκρα

¹ Polibii Historiasum religuiiae, 338.

τιαν),¹ დემოკრატია (Δεμοκρατιαν),² მაგრამ იგი მიუთითებს რომ სახელმწიფო წყობილების ყველაზე უკეთეს ფორმას (ἀριστή πολιτείαν) სახელმწიფოს შერეული ფორმა (συστησαν πολιτευμα), ე. ი. სახელმწიფო, რომელშიც ხელისუფლება ხორციელდება ზემოაღნიშნული სამი სამართლიანი მმართველობის საფუძველზე.

პოლიბიოსის აზრით, ასეთი სახელმწიფოებია მონათმფლობელური რომი და სპარტა, რადგანაც რომის კონსულების სამართლებრივი მდგომარეობა მონარქიულია, სპარტისა — არისტოკრატიული, ხოლო სახალხო კრებებისა — დემოკრატიული. რომის სახელმწიფოს ძლიერების საფუძველია ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება კონსულებს, სენატსა და სახალხო კრებებს შორის, რომლებიც ერთიან სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას ახორციელებენ სხვადასხვა მეთოდების, კერძოდ, მონარქიული, არისტოკრატიული და დემოკრატიული წესების მიხედვით.

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრების ეს ახალი მხარე განვითარდა ძველი რომაელი მოაზროვნის — ციცერონის ნაშრომებში. სახელმწიფოს დახასიათებისას ციცერონი სახელმწიფოს ყველაზე უკეთეს ფორმად მიიჩნევს სახელმწიფოს შერეულ ფორმას, რომელსაც იგი სახელმწიფოს მეოთხე ფორმას უწოდებს. კანონებისადმი მიძღვნილ ნაშრომში ციცერონი მიუთითებს, რომ საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფლება უნდა დანაწილდეს ხალხს, სენატსა და მაგისტრატებს შორის. ამასთან ერთად, ხალხს (populus) ეკუთვნის potesta, სენატს (senatus) — auctoritas; რაც შეეხება მაგისტრატებს (magistratus)³, ისინი ემორჩილებიან ხალხს და ახორციელებენ auspiciam, iudiciam და imperium⁴.


ანტიკურ სამყაროში შემუშავებულმა სახელმწიფოსა და სამართლის მოძღვრებებმა ფართო გავრცელება პოვა არა მარტო მონათმფლობელურ საზოგადოებაში, არამედ შუა საუკუნეებშიც. ფეოდალური ეპოქის მოაზროვნეების მ. პადუელის, თ. აქვინელის, შ. მონტესკიეს და სხვათა ნაშრომებში უბრალოდ არ გვხვდება მითითებები ანტიკური სამყაროს ფილოსოფოსებზე. საქმე ისაა, რომ შუა საუკუნეების ეპოქის მოაზროვნეების მიერ შემუშავებული სახელმწიფოსა და სამართლის მოძღვრებები ემყარება ანტი-

¹ Polbiri Historiasum religuine 838

² იქვე.

³ Derepblica, I, 29—45.

⁴ De legibus, III, 12, 27—28.



კურ ფილოსოფიას. შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი კლასობრივი ბრძოლის თავისებურებათა შესაბამისად, ფეოდალურ ეპოქის იდეოლოგები ანტიკური სამყაროდან დასაწყისში მწიფობრივი ხელისუფლების დანაწილების მოძღვრებას და მას იყენებენ თავიანთი კლასობრივი ინტერესების დასასაბუთებლად.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანტიკური ეპოქიდან დაწყებული, ფეოდალურ საზოგადოებაში ბურჟუაზიული საზოგადოების ჩასახვისა და „მესამე წოდების“ ჩამოყალიბებამდე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის პრობლემები, კერძოდ, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორია, ძირითადად დიდი ხნის განმავლობაში დავიწყებული იყო. შუა საუკუნეებში ადამიანთა შეგნებაზე რელიგიური წარმოდგენების განუყოფელი ბატონობის შედეგად, საერთო ხასიათის პრობლემებს თითქმის არავინ ამუშავებდა, საეკლესიო ხელისუფლება ცდილობდა დაეთრგუნა ყოველივე ადამიანური (humana) ღვთაებრივის (divina) სასარგებლოდ. სხვა სოციალურ მოვლენებთან ერთად საეკლესიო ხელისუფლება სახელმწიფოს და სამართალს ღვთაებრივ წარმოშობას მიაწერს და მათი განვითარების თავისებურებები ღმერთის ნებასთან იყო დაკავშირებული. დიდი ხნის განმავლობაში ყოველგვარი კვლევა შუა საუკუნეებში ვიწრო ჩარჩოებში მიმდინარეობდა.

ფეოდალური ეკონომიკის წიაღში ახალი კაპიტალისტური ურთიერთობების ჩასახვამ, რაც უკვე სავარძნობი ხდება მეთორმეტე საუკუნიდან, გამოხატულება პოვა საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში. ფეოდალურ საზოგადოებაში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების ჩამოყალიბებამ, ქალაქების წარმოშობამ, რომელმაც შექმნა ფეოდალური საკუთრებისაგან დამოუკიდებლად ვაჭრობისა და ხელისნობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები, განსაზღვრა კერძო მესაკუთრეების გაჩენა. კერძო საკუთრებაზე დამყარებული საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების მიზნით, ევროპაში იწყება რომის სამართლის რეცეპცია. არნახულად იზრდება აგრეთვე ინტერესი ანტიკური სამყაროს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგისადმი.

შუა საუკუნეების უდიდესი კულტურული მოვლენის, რენესანსის იდეური საფუძველი ანტიკურობა იყო. საერო მოტივები მეცნიერების ყველა დარგში ცხოველი ინტერესის საგანია. პლატონის, არისტოტელეს და სხვა ანტიკური მოაზროვნეების მიერ დამუშავებულ მოძღვრებებს რენესანსის ეპოქაში იყენებს სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალა საკუთარი პოლიტიკური პროგრამის

მის დასაცავად და დასასაბუთებლად. ანტიკურობის ამ პრებლემათა/ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრება.

შუა საუკუნეებში სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრება ერთ მიზანს ისახავს, კერძოდ, იგი მიმართულია სამეფო ხელისუფლების შეზღუდვისაკენ, მაგრამ რადგანაც სამეფო ხელისუფლების შეზღუდვით დაინტერესებული იყო სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენა და დაწესებულება, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება ყველას თავისებურად აქვს წარმოდგენილი. შუა საუკუნეების ეპოქაში ფეოდალური სახელმწიფოებრიობის განუყოფელი ბატონობის წინააღმდეგ იბრძოდა ორი ძირითადი ძალა: საეკლესიო ხელისუფლება და რენესანსის მედროშე „მესამე წოდება“, რომელიც ფეოდალური სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ბრძოლაში ქმნიდა ბურჟუაზიული იდეოლოგიის საფუძვლებს. ყველა ეს საზოგადოებრივი ძალა, საკუთარი პოლიტიკური მოთხოვნების დასასაბუთებლად, იყენებს საზოგადოებრივ მასალად წარსული ეპოქების მეცნიერულ მემკვიდრეობას. ეს უმთავრესად შეიძლება ითქვას არისტოტელისმზე, რომელიც მანამდე უცნობი იყო, დასავლეთის ქვეყნებში მხოლოდ არისტოტელეს ლოგიკას იცნობდნენ¹.

დამახასიათებელია, რომ შუა საუკუნეების ეპოქაში, რელიგიის განუყოფელი ბატონობის პერიოდში, ურთიერთდაპირისპირებული დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ძალების პოლიტიკური პროგრამები ყველა შემთხვევაში ცოტად თუ ბევრად დაკავშირებული იყო თეოლოგიასთან. შუა საუკუნეების სქოლასტიკამ დაიმორჩილა რელიგიის მეცნიერება და იგი ეკლესიის მსახური გახდა. სქოლასტიკოსებისაგან განსხვავებით, ამ დროის ჰუმანისტი-მოაზროვნეები, რომლებიც სხვადასხვა პარტიას ეკუთვნოდნენ (თ. კამპანელა, ნ. მაკიაველი, ნ. კუზანელი, მ. პადუელი, მონარქომახები და ა. შ.), თვითონ იყვნენ ან სასულიერო პირები, ან განსაზღვრული კლასობრივი მიზნით ამუშავებდნენ რელიგიური ხასიათის პრობლემებს. შუა საუკუნეებში ყოველგვარი ბრძოლა, როგორც დიდი კლასობრივი წინააღმდეგობების გამოხატულება, თავისუფალი არ იყო რელიგიური ზეგავლენისაგან.

ანტიკურობის კულტურული მემკვიდრეობა რენესანსის ძირითადი იდეური წყარო გახდა. მას შემდეგ, რაც საეკლესიო ხელისუფლება და შუა საუკუნეების სქოლასტიკოსები დარწმუნდნენ,

¹ Ю. Боргош, Фома Аквинский, М., 1966, стр. 9 — 18.

რომ რენესანსის ფართოდ გავრცელებისა და არისტოტელიზმის პოპულარობის გამო შეუძლებელია ანტიკური, ე. ი. არაქრისტიანული კულტურის იგნორირება, თვითონ დაიწყეს არისტოტელიზმი და ანტიკური ეპოქის სხვა მოაზროვნეების ნაშრომების შესწავლა და თავიანთ თხზულებებში გაწმინდეს იგი „შეცდომებისაგან“, ანუ გამოაცალეს მას ყოველგვარი მატერიალისტური და საერო ელემენტები. საეკლესიო ხელისუფლება ცდილობს არისტოტელიზმი დაუქვემდებაროს ეკლესიის მოთხოვნებს და აღიქვას იგი თეოლოგიის სულისკვეთებით. შუა საუკუნეების უდიდესი სქოლასტიკოსი თ. აქვინელი, ეკლესიის ინტერესების დაცვის მიზნით, ცდილობს არისტოტელიზმის თეოლოგიზაციას შუა საუკუნეების ყველა აქტუალურ საკითხში¹. ამ დროს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა საერო ხელისუფლებაზე ეკლესიის პრიორიტეტის თეორიული დასაბუთება, სამეფო ხელისუფლების შეზღუდვა კათოლიკური ეკლესიის სასარგებლოდ.

კათოლიციზმის იდეოლოგი თ. აქვინელი, რომელიც იყენებს არისტოტელიურ ელემენტს სახელმწიფოს შესახებ თავის მოძღვრებაში², სხვა პრობლემებთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებას³. მისი აზრით, ეკლესიასა და სამეფო ხელისუფლებას შორის ხელისუფლების დანაწილება ღმერთის მიზნობრივი შემოქმედების შედეგია⁴. თ. აქვინელი უპირატესობას ანიჭებს სახელმწიფოს ე. წ. შერეულ ფორმას, რომელშიც ცალკეული ხელისუფლებები სხვადასხვა მეთოდით ხორციელდება. ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების რეალიზაციის პროცესში მისმა ცალკეულმა ნაწილებმა თავიანთი კომპეტენცია უნდა განახორციელონ მათი კუთვნილი წილის მიხედვით⁵. სახელმწიფო ხელისუფლებებიდან თ. აქვინელი გამოყოფს საკანონმდებლო ხელისუფლებას, როგორც თვითმყოფად და პირველადწყებით ხელისუფლებას. ერთმანეთს უპირისპირებს რა უმაღლესი თანამდებობის პირებს, მეფის ჩათვლით, ხალხს, თ. აქვინელი ამტკიცებს, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეს ხალხს, რომელიც ეკლესიის მრევლია. სა-

¹ Ю. Боргош, Фома Аквинский, М., 1966, стр. 20 — 25.

² Bauman, Die Staatslehre des heiligen Thomas von Aquino, 1873
Schilling, Die Staatslehre und Soziallehre des hl. Thomas von Aquino, 1930;
Manser, Das Wesen des Tomasius, Freiburg, 1949.

³ Ю. Боргош, Фома Аквинский, М., 1968, стр. 150.

⁴ Thomas von Aquin, Summa theologiae, 1, 2, 9cv, al.

⁵ იქვე, 1, 29 cv, al.

მეფო, ხალხი მეფეს კი არ უნდა ემსახურებოდეს, არამედ პირო-
ქით, მეფე უნდა ემსახურებოდეს ხალხს¹. მეფემ უნდა შეასრუ-
ლოს თავისი ვალდებულებები ხალხის წინაშე, წინააღმდეგობის
თხვევაში ხალხს არა მარტო უფლება აქვს აუჯანყდეს მეფეს, არა-
მედ იგი ვალდებულიც არის გამოვიდეს სამეფო ხელისუფლების
წინააღმდეგ². არა სამეფო ხელისუფლება, არამედ კათოლიკური ეკ-
ლესია არის საზოგადოებაში უმაღლესი და უწმინდესი დაწესებუ-
ლება. პაპის ავტორიტეტი აღმატება ყველა მსოფლიო ავტორი-
ტეტს³. მოითხოვს რა სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას კათო-
ლიკური ეკლესიის სასარგებლოდ, თ. აქვინელი ამტკიცებს, რომ
ratione delicti და *ad bonum fidei* ეკუთვნის მხოლოდ ხალხს: „*In*
duobus casibus ampliatur eius potestas, vel ratione delicti, vel
ad bonum totius fidei“⁴

პირველობისათვის საერო ხელისუფლების წინააღმდეგ რომის
კათოლიკური ეკლესიის ბრძოლის პერიოდში თ. აქვინელთან ერ-
თად შუა საუკუნეების სკოლასტიკის სხვა წარმომადგენლებიც
(მანეგოლდ ლოიტერბახი, ჟაკ დე ვიტრები და სხვ.)⁵ ეკლესიის
პოლიტიკური მოთხოვნების დასასაბუთებლად ავითარებენ სახელ-
მწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრებას.

შუა საუკუნეების სკოლასტიკისაგან დამოუკიდებლად სახელ-
მწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრება ასევე ანტიკური
ეპოქიდან ფართოდ გავრცელდა დასავლეთ ევროპაში ბურჟუ-
აზიის განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველ ეტაპზე. ბურჟუ-
აზიის იდეოლოგიები გამოდიოდნენ მსხვილი ფეოდალების განუ-
ყოფელი ბატონობის წინააღმდეგ. დამახასიათებელია, რომ ბურ-
ჟუაზიის განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველ ეტაპზე ფეო-
დალური სახელმწიფოებრიობის დაპყრობა და ბურჟუაზიული სა-
ხელმწიფოს შექმნა არ იყო ბურჟუაზიის მოთხოვნა. შუა საუკუ-
ნეებში ბურჟუაზია ცდილობს შეზღუდოს სამეფო ხელისუფლება
და ამ მიზნით ბურჟუაზიის იდეოლოგიებს რელიგიური სკოლასტი-
კისაგან დამოუკიდებლად ანტიკურობიდან გადმოაქვთ მოძღვრება
სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების შესახებ.

¹ Thomas von Aquin, *De regimine principum*, liv. I, chap. VI.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ Thomas von Aquino. *De regimine principum*, liv. III, cap. X.

⁵ H. Rehm, *Geschichte der Staatsrechtswissenschaft*, 1896, h. 165; Koch, *Manegold von Leuterbach und die Lehre von der Volkssouveränität*, 1902; Kern, *Gottesgnadentum und widerstandsrecht in früheren Mittelalter*, 1903.

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში, ჩვეულებრივ, მიუთითებენ, რომ დასავლეთ ევროპაში ეს თეორია ანტიკურობიდან გავრცელდა მე-13 საუკუნეში ერომანეთისაგან დაპირისპირებული ძალის, კერძოდ, საეკლესიო საერო ხელისუფლების ბრძოლის პროცესში. პირველი ძალის იდეოლოგი იყო თომა აკვინელი, რომლის შეხედულებები სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თაობაზე ზემოთ დავახასიათეთ. მეორე ძალის, კერძოდ, საერო ხელისუფლების იდეოლოგიად აღიარებულია მე-13 საუკუნის ცნობილი მოაზროვნე, წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის დამცველი მ. პადუელი.

მაგრამ სანამ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების შესახებ მ. პადუელის შეხედულებებს გავეცნობოდეთ, გვინდა საგანგებოდ შევჩერდეთ უკანასკნელი პერიოდის მეცნიერულ მოსაზრებებზე, რომელთაც განსაზღვრული შესწორებები შეაქვთ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრების ისტორიაში.

უკანასკნელი პერიოდის მეცნიერულ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელდა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც რენესანსული იდეოლოგიის ჩამოყალიბება და განვითარება დაიწყო აღმოსავლეთიდან. შუა საუკუნეებში ერთ-ერთი ქვეყანა, სადაც გავრცელდა პოვა რენესანსმა, იყო XII საუკუნის საქართველო. აკად. შ. ნუცუბიძის და სხვათა ნაშრომებში საკმაო სისრულით და დამაჯერებლობითაა დასაბუთებული ქართული რენესანსის იდეური წყაროები და ძირითადი მიმართულებანი. შუა საუკუნეების საქართველოში რენესანსული კულტურის გავრცელებას ნათლად მოწმობს ამ დროის იურიდიული ინსტიტუტებისა და მოძღვრებების მეცნიერული ანალიზი. ამ ეპოქისათვის ქართული სამართლის ძეგლებში უკვე გვხვდება ტერმინი „საკუთრება“, რომელიც წარმოუდგენელია ძლიერი მესამე წოდების არსებობის გარეშე და, გარდა ამისა, საგანგებო აღნიშვნის ღირსი ისიცაა, რომ საკუთრების აღმნიშვნელი ტერმინი დასავლეთ ევროპაში გაცილებით გვიან ჩნდება.

ქართული რენესანსული კულტურის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია მწვავე კლასობრივ ბრძოლაში შემუშავებული სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრება, რომელიც უკვე XII საუკუნეში ანტიფეოდალური ძალების მიერ გამოიყენება, როგორც სამეფო ხელისუფლების შეზღუდვის მიზნით დაწყებული დიდი მოძრაობის იდეოლოგიური იარაღი. აქვე უნდა საგანგებოდ აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების ისტორიისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში არსად არაა აღნიშნული, რომ ფეოდალიზმის ეპოქაში სახელმწიფო ხელისუფ-

ლების დანაწილების მოძღვრება XII საუკუნის საქართველოზე ადრე დასავლეთ ევროპაში სადმე წარმოშობილიყოს.

XII საუკუნის საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრების ჩამოყალიბებისა და სამეფო ხელისუფლების შეზღუდვისათვის ბრძოლაში ყუთლუ-არსლანის დასის იდეოლოგიასთან კავშირზე პირველად ი. ჯავახიშვილმა მიუთითა. შემდგომმა გამოკვლევებმა იურიდიული მეცნიერების დარგში კიდევ უფრო ცხადყო ი. ჯავახიშვილის ამ მითითების მეცნიერული მნიშვნელობა და დღეს საკმაოდ გავრცელებულად და დასაბუთებულად უნდა ჩაითვალოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრება შეადგენს XII საუკუნის ქართული რენესანსული კულტურის უმთავრეს შემადგენელ ნაწილს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებული ყუთლუ-არსლანის დასი და მისი პოლიტიკური პროგრამა, როგორც ფეოდალური ეპოქის იდეოლოგიური ბრძოლის უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა, ქართულ მეცნიერულ ლიტერატურაში ამჟამადაც განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს. ამით უნდა აიხსნას აზრთა სხვადასხვაობა და წინააღმდეგობა, რომელიც ყუთლუ-არსლანის დასის სოციალური შემადგენლობისა და მისი პროგრამის პოლიტიკური შინაარსის შეფასების თაობაზე გვხვდება ქართულ ისტორიოგრაფიაში. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამა მეცნიერულ ლიტერატურაში, მართალია, განიხილება XII ს-ის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად, მაგრამ მისი ზოგადი მნიშვნელობა, რაზეც პირველად ივ. ჯავახიშვილმა მიუთითა, სრულიად მივიწყებულია. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ყუთლუ-არსლანის აჯანყების შედეგად შეიზღუდა სამეფო ხელისუფლება და ამ ნოვლენას „იმ ეპოქის მსოფლიო ისტორიაში ანალოგია შეიძლება მოეძებნოს მხოლოდ ინგლისის თავისუფლებათა დიდ ქარტიაში. სწორედ ამ მოწესრიგებულმა სოციალ-პოლიტიკურმა ბრძოლამ გახადა ამ პერიოდის საქართველოს ისტორია არაჩვეულებრივად ინტერესის მქონედ და საგულისხმოდ არა მარტო ადგილობრივი, არამედ ზოგადისტორიული თვალსაზრისითაც“¹.

მ. პაღუელის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძღვრებები ემყარება არისტოტელეს მეცნიერულ მემკვიდრეობას. მ. პაღუელის აზრით, სახელმწიფო და სამართალი ჩნდება საზოგადოებრივი ხელ-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 11, თბ., 1965, გვ. 410—411.

შეკრულებების საფუძველზე და მათი წარმოშობა ემსახურება
tranquillitas¹ დამყარებას საზოგადოებაში (communitates civi-
lis)². ემყარება რა არისტოტელეს, რომელიც ერთიან სახელმწიფოში
ხელისუფლებას ყოფს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამარ-
თლო ხელისუფლებად, მ. პადუელი ამტკიცებს, რომ წოდებათა შო-
რის ჰარმონიისათვის აუცილებელია სახელმწიფოში დაიყოს საკა-
ნონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებები³.
მისი მტკიცებით, ზემოაღნიშნული ხელისუფლებები საზოგადოება-
ში უნდა განაწილდეს შემდეგნაირად: საკანონმდებლო ხელისუფლე-
ბა უნდა მიეკუთვნოს ხალხს, ანუ როგორც თვითონ ამბობს, მოქალა-
ქეთა ერთობლიობას⁴. მაგრამ თუ იქნება მოქალაქეთა საერთო კრე-
ბის თანხმობა, საკანონმდებლო ხელისუფლება შეიძლება გადაეცეს
აგრეთვე ხალხის უმრავლესობას იმ პირობით, რომ ხალხი მაინც
ყოველთვის დაჩქება უმადლესი კანონმდებელი: „Nos autem
dicamus secundum veritatem atque consilium Aristotelis 3^o po-
litice, capitulo 6^o, legislatorem seu capsam legis effectivam pri-
mam et propriam esse papulum seu civium universitatem“.⁵

ხალხს ეკუთვნის მთელი ხელისუფლება, იგი არის თვითყოფადი,
პირველდაწყებითი კანონმდებელი და ამიტომ სწორედ იგია
უფლებამოსილი, მონარქი აკურთხოს სამეფო ტახტზე. კანონები
საზოგადოების საფუძველია და თითოეულის მიერ კანონის შესრუ-
ლებას საზოგადოება უზრუნველყოფს მხოლოდ მაშინ, თუ საკა-
ნონმდებლო ხელისუფლება მთლიანად ხალხს გადაეცემა. გარდა
ამისა, კანონები ბრძენ სახელმწიფო მოღვაწეთა სამართალშემოქ-
მედებითი საქმიანობის შედეგია, ხოლო მასში ხალხის მონაწილე-
ობა განაპირობებს სამართლის განუხრეღ რეალიზაციას⁶.

საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან მ. პადუელი განასხვავებს
აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომლის კომპეტენცია განისა-

Marsilius von Padua, Der Verteidiger des Friedens (Defensor pacih)
Auf Grund der Übersetzung von Walter Kunzmann bearbeitet und eingeleitet
vom Horst Kusch, Berlin, 1958, Bd. 2, Teil I, Kapitel II.

² იქვე, I, III.

³ იქვე, I, XII, § 4.

⁴ იქვე.

⁵ იქვე, I, XII, § 3.

⁶ იქვე, I, XIII.

ზღვრება ხალხის მიერ მიღებული კანონებით. მისი სიტყვებით, „subditorum voluntates siva consesum“ არის სახელმწიფოს ყოველგვარი მართლზომიერი ფორმის კეშმარიტი საბუნებისა და მაგრამ ხელმწიფე, რომელსაც განეკუთვნება აღმასრულებელი ხელისუფლება, ყველა შემთხვევაში უნდა დაემორჩილოს კანონს: „et quod nullum principantem quantumenmque studiosum aut iustum expediat absque legibus principari“.²

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხელმწიფე ვალდებულია ანგარიში ჩააბაროს ხალხს მის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების რეალიზაციის თაობაზე. ხალხს უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ იმსჯელოს ხელმწიფეზე, უკეთუ აღმოჩნდა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური არ იცავს კანონებს.

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გარდა, მ. პადუელის აზრით, არსებობს აგრეთვე სასამართლო ხელისუფლება.

აჯამებს რა თავის შეხედულებებს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების შესახებ, მ. პადუელი აღნიშნავს: „civem autem dico, secundem Aristotelem 3^o Politice, capitulis 1^o, 3^o et 7^o, cum qui participat in comuntate civilei, principatu antem consultatio vel indicativo secundum gratum snum“.³

ერთიანი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ცალკეულ ხელისუფლებებად დანაწილების მოთხოვნა შუა საუკუნეებში ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველ პერიოდში წამოაყენეს აგრეთვე ნ. კუზანელმა, მონარქომახებმა, ს. პუფენდორფმა და ჯ. ლოკმა.

რენესანსის ეპოქის დიდი წარმომადგენელი ნ. კუზანელი, რომელიც თავის ნაშრომებში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საერო ხელისუფლების პრობლემებს, ეხება აგრეთვე შუა საუკუნეებში გავრცელებულ მოძღვრებას ხალხზე, როგორც პირველდაწყებით და თვითმყოფად კანონმდებელზე, ამასთან იგი ავითარებს თავის შეხედულებებს სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების შესახებ⁴. შეზღუდული მონარქია ნ. კუზანელის პოლიტი-

¹ Marsilius von Padua, Der Verteidiger des Friedens (Defensor pacis) Auf Grund der Übersetzung von Walter Kunzmann, bearbeitet und eingeleitet vom Horst Kusch, Berlin, 1958, Bd. 2, Teil 1. Kapitel II. I. XIII.

² იქვე, 2, 1, XII.

³ იქვე, 1, XVIII.

⁴ P. Sandor, Nikolau Kusanus, Berlin, 1971; Schulz, Die Staatsphilosophie des Nikolaus von Kusanus 1946; H. Rehm, Geschichte der Staatsrechtswissenschaft, 1896 და ა. შ.

კური იდეალია. თავისი პოლიტიკური იდეალის დასასაბუთებლად ნ. კუზანელი იყენებს მოძღვრებას ბუნებითი სამართლის შენახვა. მისი აზრით, ადამიანები ბუნებით თანასწორნი არიან და რაღაც ნაც მათ ერთნაირი თავისუფლება და ხელისუფლება გაქვნიან. ხელმწიფის ბატონობა კი არა, ხალხის ძალაუფლებაა ბუნებითი სამართლის უმაღლესი მოთხოვნა. საზოგადოებრივი ხელშეკრულებების საფუძველზე ხალხმა ხელისუფლება გადასცა იმპერატორს, მაგრამ უმაღლესი ხელისუფლება მაინც ხალხს ეკუთვნის, რადგან იმპერატორი ხალხის ნების უბრალო შემსრულებელია. ნ. კუზანელი ამტკიცებს, რომ ხალხის ინტერესების შესაბამისად, იმპერატორი გამოსცემს კანონებს, მაგრამ როცა კანონთა შინაარსი ეწინააღმდეგება ხალხის ნებას, მაშინ ისინი კანონებს აღარ წარმოადგენენ. იმპერატორის მიერ გამოცემულ კანონს სავალდებულო ძალა (*obligatorialis virtus*) გააჩნია მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას ხალხი მოიწონებს: „*quod omnes tangit ab omnibus aprobnri debet*“.¹ ნ. კუზანელის მტკიცებით, *usus approbatorius*, რომელიც მხოლოდ ხალხს ეკუთვნის, სახელმწიფოებრივი ხელისუფლების რეალიზაციის გადამწყვეტი პირობაა.

ამრიგად, ნ. კუზანელის აზრით, თვითმყოფადი და თავდაპირველი კანონმდებელი მხოლოდ ხალხია, აღმასრულებელი ხელისუფლება კი ეკუთვნის მეფეს, რომელიც ხელისუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში უნდა დაისაჯოს.

XV—XVI სს. სამეფო ხელისუფლების განუყოფელი ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჯერ კიდევ მონარქომახების გამოსვლამდე ყალიბდება აზრი იმის შესახებ, რომ ტირანი უნდა მოკვდეს². მონარქომახები ავითარებენ ამ აზრს და ამტკიცებენ, რომ არა მარტო ტირანი, რომელიც უკანონოდ დაეუფლება ხელისუფლებას, არამედ მეფეც, თუ იგი ხელისუფლების დაპატრონების შემდეგ ტირანი გახდება, უნდა მოკვდეს. ეს მოთხოვნა ყველა მონარქომახის (ფ. ოტომანი, გ. ბუკანანი, უ. ბრუტოსი, მ. სოლომონიუსი, ჯ. მარიანი და სხვ.) ერთსულოვანი აზრია, რომლის დასასაბუთებლად ისინი ამუშავებენ სახელმწიფოსა და სამართლის თეორიულ საკითხებს, კერძოდ, საზოგადოებრივი ხელშეკრულება, როგორც სახელმწიფოს წარმოშობის საფუძველი, ადამიანთა ბუნებითი სამართალი, როგორც თავისუფლების სამეფო, ხელმწიფის

¹ De concordantia catholica, II, 9.

² R. Treumann, Die Monarchomachen, 1895, S. 41—48.



პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე, ხალხის დამოკიდებულება საე-
ფო ხელისუფლებისადმი და ა. შ.¹.

ქართულში

მონარქომახების აზრით, სახელმწიფო საზოგადოებრივი უფლებების შეკრულების შედეგია. ბუნებით უფლებებს, რომლებიც ხალხს ეკუთვნის, მეფე ღებულობს ხელშეკრულებით, რომლის უმთავრესი პირობა ის არის, რომ უმაღლესი ხელისუფლება მუდამ ხალხის ხელში იყოს. მეფის ხელისუფლება არსებობს იმდენად, რამდენადაც იგი გამოსატყვევებს ხალხის ინტერესს. ახორციელებს რა ხელისუფლებას ხალხის ნების შესაბამისად, მეფე უნდა იყოს „non sua... licentia sed, quod populus in se dedisset, jure uti“.²

მეფე სახელმწიფოში მხოლოდ უმაღლესი ჩინოვნიკია და ამ აზრით იგი (principatus) არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი მოხელეებისაგან (magistratus). ხალხის მიერ არჩეული მეფე კანონქვემდებარე მმართველია, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს: „rex gubernator, liges minister et executor“³. მონარქომახები მეფის უფლებამოსილებას აღმასრულებელი ხელისუფლების განსახორციელებლად შემდეგნაირად განსაზღვრავენ: custos, minister, executor.

მონარქომახების მტკიცებით, სახელმწიფოში საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს და ამ მტკიცების დასასაბუთებლად შემდგომ ავითარებენ ბუნებითი სამართლის მოძღვრებას. მონარქომახების აზრით, პოზიტიური სამართლისაგან დამოუკიდებლად არსებობს სახელმწიფოზე მაღლა მდგომი ღვთაებრივი და ბუნებითი სამართალი, რომლებიც განსაზღვრავენ დადებითი, ადამიანური სამართლის შინაარსს. დადებითი სამართლის დადგენა ნიშნავს სახელმწიფოს მიერ მხოლოდ ბუნებითი სამართლის ბრძანებების გამოცხადებას. რამდენადაც ბუნებითი სამართლის ერთადერთი თვითმყოფადი და პირველდაწყებითი მფლობელი ხალხია, ამდენად, მანვე უნდა განახორციელოს საკანონმდებლო ხელისუფ-

¹ G. Buchanan, Oper. omni. curante Th. Ruddimanno. Edinburg 1715; I. Brutus, Vindicial contra tyrannos (Nik. Machiabelli, Princeps ex Su Ivester Tellii traductione, Basel, 1580); M. Salomoius, Patritius Romanus, d principatu libri VI, Paris, 1578; I. Mariana, De roge se regis institutione, Fr5ncof., 1611; Fr. Hotomannh. Francogalia, Genf., 1573.

² G. Buchanan, Oper. omni. Curante Th. Ruddimanno Edinburg, 1715, ctp. 8-13.

³ Fr. Hotomanus, Francogalia, 1573. ctt. 68.

ლება, მეფე ხალხის მიერ დადგენილ კანონს უნდა დაემორჩილოს:
„rex facit regem“¹.

მონარქომახები მხოლოდ სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას
ქადაგებდნენ და ამ მიზნით ისინი მოითხოვდნენ ფეოდალურ სა-
ზოგადოებაში მეფის კუთვნილი ერთიანი სახელმწიფო ხელისუფ-
ლების დანაწილებას.

გერმანიაში ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომადგენელი
ს. პუფენდორფი თავის ნაშრომში „De jure naturale et gentium“,
სხვა საკითხებთან ერთად, საგანგებოდ იხილავს სახელმწიფო ხე-
ლისუფლების დანაწილებას. ს. პუფენდორფი ერთმანეთისაგან
ასხვავებს შემდეგ ხელისუფლებას: 1. საკანონმდებლო ხელისუფ-
ლება; 2. სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც წყვეტს სასჯე-
ლის საკითხებს; 3. სასამართლო ხელისუფლება; 4. სახელმწიფო
ხელისუფლება, რომელიც წყვეტს ომისა და ზავის საკითხებს, აგ-
რეთვე დებს სხვა სახელმწიფოებთან საერთაშორისო ხელშეკრუ-
ლებებს; 5. სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც ნიშნავს მი-
ნისტრებსა და სხვა ჩინოვნიკებს; 6. სახელმწიფო ხელისუფლება,
რომელიც ადგენს და კრებს სახელმწიფო გადასახადებს; 7. სახელ-
მწიფო ხელისუფლება, რომელიც განაგებს სასწავლო დაწესებუ-
ლებებსა და განათლებას. ს. პუფენდორფის აზრით, 1, 2 და 6
ხელისუფლებები (გარდა გადასახადების აკრებისა) შეადგენს საკა-
ნონმდებლო ხელისუფლებას. მესამე ხელისუფლება მთლიანად
სასამართლო ხელისუფლებაა. რაც შეეხება 4, 5 და 7 ხელისუფ-
ლებებს, აგრეთვე, მეექვსე ხელისუფლების იმ ნაწილს, რომელიც
ახდენს გადასახადების შეკრებას, წარმოადგენს აღმასრულებელ
ხელისუფლებას². ს. პუფენდორფის მიერ შემუშავებული სახელ-
მწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრება მიზნად ისახავს
სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას³.

ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი
ბრძოლის პირველი ეტაპის პოლიტიკური იდეოლოგია უფრო სრუ-
ლად გადმოცემულია ამ ეპოქის ცნობილი წარმომადგენლის —
ჯ. ლოკის ნაშრომებში.

ჯ. ლოკის აზრით, ადამიანები ბუნებით მდგომარეობაში იყვნენ
თავისუფალნი, თანასწორნი და დამოუკიდებელნი, მაგრამ რადგა-

¹ G. Buchanauus, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

² S. Puffendorp. De jure naturale et gentium. libri octo, Editio
Nova, snesor et Mendstior. Frqnefurti ad Moenum, Suptibug Fr. knochil Anno
MDCXCIV (1694). libri VII. caput IV, § 1-14.

³ იქვე, libri, VII, cap. VII, § 10.

ნაც უკუნურებაა ადამიანები თვითონ იყენენ საკუთარი საქმეების მოსამართლენი, საზოგადოებრივი ხელშეკრულების შედეგად ისინი ერთიანდებიან საზოგადოებად, რათა მოხერხებულად ექვემდებარებოდნენ ბიანად იცხოვრონ ერთობლივად და უშიშრად გამოიყენონ თავიანთი საკუთრება¹. ადამიანთა სახელმწიფოდ გაერთიანების უმთავრესი მიზანია საკუთრებისა და თავისუფლების დაცვა ხელყოფისაგან. ამიტომაც სახელმწიფოს შექმნისთანავე ყალიბდება უმაღლესი ხელისუფლების სახით საკანონმდებლო ხელისუფლება, რომელიც ხორციელდება მხოლოდ ხალხის მიერ. ჯ. ლოკი მიუთითებს, რომ ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება, სულ ერთია, იგი ვალდებულია სახელმწიფო მართოს ხალხის მიერ აღიარებული და დადგენილი კანონებით². იკვლევს რა საკანონმდებლო ხელისუფლების მოცულობას, ჯ. ლოკი ამტკიცებს, რომ იგი უზენაესი, წმიდათა წმიდა და მუდმივია, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი სახელმწიფოში მაინც არ შეიძლება იყოს ხალხის მიმართ აბსოლუტურად დესპოტური; საკანონმდებლო ხელისუფლებას არ შეუძლია ადამიანები აიძულოს თვითნებური განკარგულებების შესასრულებლად, ხელყოს ადამიანთა საკუთრების ღირსება, ამასთან, კანონების გამოცემა რომელიმე სხვა ორგანოს მიანდოს.

ჯ. ლოკის წარმოდგენით, საზოგადოებაში სახელმწიფოებრიობის განხორციელება გულისხმობს მხოლოდ ერთ ხელისუფლებას საკანონმდებლო ხელისუფლების სახით, მაგრამ, ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ერთხელ შექმნილი კანონები მუდმივად უნდა სრულდებოდეს, რისთვისაც აუცილებელია ახალი ხელისუფლების გამოყოფა ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლებისაგან. ასეთი ხელისუფლება არის აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან უნდა გაიმიჯნოს. მაგრამ სახელმწიფოს წინაშე დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელია კიდევ ერთი ხელისუფლების, კერძოდ, ფედერაციული ხელისუფლების გარეშე, რადგანაც არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია არსებობა სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის გარეშე.

ჯ. ლოკი სწავლობს ზემოაღნიშნული ხელისუფლებების საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელების თავისებურებებს. იგი მიუთითებს, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა განხორ-

¹ Д. Локк, Избранные философские произведения в двух томах, II, М., 1960, стр. 6 — 56.

² იქვე, გვ. 76.

ციელდეს ხალხის მიერ არჩეული საკანონმდებლო ორგანოს მიერ, მაგრამ რაც შეეხება აღმასრულებელ და ფედერაციულ ხელისუფლებებს, ჯ. ლოკის აზრით, სავსებით დასაშვებია საზოგადოებრივი ცხოვრებაში მათი განხორციელება ერთი ორგანოს მეშვეობით შეეხება ამ ხელისუფლებების ურთიერთდამოკიდებულებას, ჯ. ლოკის შეხედულებით, უზენაესი მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლებაა, რადგან ხელისუფლება, რომლის კომპეტენციას შეადგენს კანონების დადგენა, რა თქმა უნდა, ყველა ხელისუფლებაზე მაღლა უნდა იდგეს. ჯ. ლოკი ასკვნის, რომ ყველა ხელისუფლების სათავე საკანონმდებლო ხელისუფლებაა, ამიტომაც აღმასრულებელი და ფედერაციული ხელისუფლებები, რომლებიც საკანონმდებლო ხელისუფლებას ექვემდებარებიან, თავიანთი ბუნებით მხოლოდ მინისტრიალურია¹.

ყურადღებას იპყრობს ჯ. ლოკის მსჯელობანი სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების ისტორიაზე. იგი მიუთითებს, რომ სახელმწიფოს წარმოშობისთანავე თავდაპირველად იქმნება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებები, რომლებიც ერთობლივად მოქმედებენ, მაგრამ სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების პროცესში ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლებიდან ხდება ამ ორი ხელისუფლების თანდათანობით ერთმანეთისაგან გამოყოფა. ჯ. ლოკის ნაშრომებიდან ჩანს, რომ იგი კარგად იცნობს წინა ეპოქებში შემუშავებულ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიას, ზოგჯერ იგი იყენებს სხვადასხვა მეცნიერთა მიერ ჩამოყალიბებულ შეხედულებებს სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების შესახებ, ზოგჯერ კი გვაძლევს მათ კრიტიკასაც².

ადრინდელი ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქის იდეოლოგის — ჯ. ლოკის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიის შეფასებისას იქიდან უნდა გამოვიდეთ, რომ ჯ. ლოკი ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველი ეტაპის დიდი წარმომადგენელია და ამიტომაც ამ ეპოქის ისტორიული განვითარების თავისებურებები არ ქმნიდნენ პირობებს სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების ბოლომდე თანმიმდევრული და დასრულებული

¹ Д. Локк, Избранные философские произведения в двух томах, II, М., 1960, стр. 84.

² იქვე, გვ. 7—79.



თეორიის შემუშავებისათვის. სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორია კლასიკური ფორმით გადაამუშავა დაეწინაურა ვალი ბურჟუაზიული სახელმწიფოებრიობის აგების უმჯობესი ციხად გამოაცხადა XVIII საუკუნის ცნობილმა ფრანგმა განმანათლებელმა შ. მონტესკიემ.

ამრიგად, შუა საუკუნეებში სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრების გადმოღება ანტიკურობიდან განსაზღვრა სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკურმა და კულტურულმა მოვლენამ, რომელთაგან აღსანიშნავია: 1. საეკლესიო და საერო ხელისუფლებებს შორის ბრძოლა, კათოლიკური ეკლესიის მისწრაფება საერო ხელისუფლების დამორჩილებისაკენ; 2. ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომლის მეცნიერული დასაბუთება იწყება ადრეული რენესანსის ეპოქიდან.

შუა საუკუნეების ამ მოვლენათა გარშემო გააფთრებულ კლასობრივ ბრძოლაში იქმნება მდიდარი ლიტერატურა. სახელმწიფოსა და სამართლის სხვა საკითხებთან ერთად თავიანთი კლასობრივი ინტერესების შესაბამისად, მებრძოლი სოციალური ჯგუფები და პარტიები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებისადმი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეებში სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრება არასდროს ყოფილა მთავარი პრობლემა, იდეოლოგიური ბრძოლის მთავარი იარაღი. არც რომის კათოლიკური ეკლესია საერთოდ, არც ბურჟუაზიული ელემენტები ფეოდალიზმის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველ ეტაპზე მიზნად არ ისახავდნენ ფეოდალური სახელმწიფოებრიობის დაპყრობას და ახალი სახელმწიფოს შექმნას სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების საფუძველზე. სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრება შუა საუკუნეებში ანტიკურობიდან გადმოღებულ იქნა მხოლოდ სამეფო ხელისუფლების შეზღუდვის მიზნით.

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრება ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველ ეტაპზე შედარებით სრულად გადმოცემულია ჯ. ლოკის ნაშრომებში, რომელთაც შეამზადეს ნიადაგი ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების კლასიკური სამწვეროვანი დანაწილების ჩამოსაყალიბებლად (ავტორი — შ. მონტესკიე). საყურადღებოა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრების გადმოცემისას მონტესკიე თავის ნაშრომებში არსად მიუთითებს ჯ. ლოკის თხზულებებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ცხადია, იგი იცნობს არა მარტო ანტიკურ ეპო-



ქაში ჩამოყალიბებულ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრებას, არამედ კიდევაც აკრიტიკებს ავტორებს მათი დევრულობისათვის. ანტიკური და შემდეგი პერიოდის ფო ხელისუფლების დანაწილების თეორიის კრიტიკული შესწავლის საფუძველზე მონტესკიე ამ მოძღვრების ახალ მხარეებს. მონტესკიე არ არის ჯ. ლოკის უბრალო მიმბაძველი, რადგანაც იგი თავის ნაშრომში „კანონთა სულის“ შესახებ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრებას დასრულებულ კლასიკურ ფორმას აძლევს და, ამდენად, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების შესახებ შ. მონტესკიეს მოძღვრება იყო წარსულის აბსტრაქცია, თავისი დროისათვის იდეალი და მომავლისათვის კი — პროგრამა¹.

შ. მონტესკიეს დამსახურება ისაა, რომ მან პირველად გამოაცხადა სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება სახელმწიფოებრივი წყობილების უმაღლეს პრინციპად, რომელსაც შეუძლია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა პოლიტიკური თავისუფლების დაცვა და უზრუნველყოფა. მონტესკიეს იდეალია სახელმწიფო, რომელშიც გაბატონებულია პოლიტიკური თავისუფლება. იმ სახელმწიფოს არსი, რომელშიც პოლიტიკური თავისუფლება არსებობს, „მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მასში შეიძლება იმის ვაკეთება, რაც უნდა გვსურდეს და არ უნდა იყვნენ მოქალაქენი იძულებულნი, აკეთონ ის, რაც არ უნდა გვსურდეს... თავისუფლება არის უფლება იმისა, ვაკეთოთ ის, რაც კანონით ნებადართულია. მოქალაქეს რომ შეეძლოს აკეთოს ის, რაც კანონებით აკრძალულია, მას თავისუფლება არ ექნებოდა, რადგანაც იგივე შეეძლებათ ვაკეთონ დანარჩენმა მოქალაქეებმა“². მისი აზრით, პოლიტიკურ თავისუფლებას საზოგადოებაში ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა მმართველები ხელისუფლებას ბოროტად არ იყენებენ. მონტესკიე თავის დამსახურებად არ მიიჩნევს იმაზე მითითებას, რომ საზოგადოებაში სახელმწიფოებრივი ხელისუფლება სხვადასხვა ხელისუფლების სახით მოქმედებს, იგი მხოლოდ გამოდის არსებული მდგომარეობიდან, კერძოდ, იქიდან, რომ „თითოეულ სახელმწიფოში არსებობს სამგვარი ხელისუფლება: საკანონმდებლო, აღმასრულებელი, რომელიც განაგებს საერთაშორისო სამართლის საკითხებს, და აღმასრულებელი, რომელიც განაგებს სამოქალაქო სამართლის საკითხებს. პირველი ხელისუფლე-

¹ V. R a n k e, Zur Geschichte der politischen Theorien. Gesammelte Werke, Bd. 24, 1842, S. 266.

² Ш. М о н т е с к и е, Избранные произведения, М., 1955, стр. 289.

ბის ძალით ხელმწიფე ან დაწესებულება ქმნის მუდმივად დროებით კანონებს და წარმართავს ან აუქმებს არასრულ კანონებს. მეორე ხელისუფლების ძალით იგი აცხადებს ომს ან გზავნის ან ღებულობს ელჩებს, უზრუნველყოფს უშიშროებას, ივერიებს თავდასხმებს. მესამე ხელისუფლების ძალით იგი სჯის დანაშაულობებს და აგვარებს კერძო პირთა შორის წინააღმდეგობებს, ამ უკანასკნელ ხელისუფლებას შეიძლება ეწოდოს სასამართლო, ხოლო მეორეს — უბრალოდ სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლება“.

მონტესკიეს მტკიცებით, ეს ხელისუფლებები ცნობილია სახელმწიფოს წარმოშობიდანვე, მაგრამ ამოცანა ისაა, გამოიძენოს საშუალება, რომელიც აღკვეთს მმართველთა მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას. ეს მიზანი შეიძლება მიღწეულ იქნეს არა მარტო ხელისუფლებების დანაწილებით, არამედ ამ ხელისუფლებების მიერ ერთმანეთის შეკავებით. შ. მონტესკიე მიუთითებს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ბოროტად გამოყენება მხოლოდ ისეთი წესრიგის დამყარებისას შეიძლება გამოირიცხოს, რომლის დროსაც სხვადასხვა ხელისუფლება ერთმანეთის მოქმედებას შეაკავებს. სახელმწიფო ხელისუფლებების ურთიერთშეკავების მიზნით, აუცილებელია ეს ხელისუფლებები დანაწილდეს შემდეგნაირად: საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა მიენიჭოს მთლიანად ხალხს, მაგრამ რადგანაც ხალხს უშუალოდ არ შეუძლია საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელება, აუცილებელია ხალხმა ის, რისი გაკეთებაც მას უშუალოდ არ შეუძლია, გააკეთოს თავისი წარმომადგენლების საშუალებით, დებუტატები თავიანთი ამომრჩევლებისაგან ღებულობენ როგორც ზოგად, ასევე კერძო მითითებებს საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელების ცალკეულ საკითხებზე. დებუტატი სხვადასხვა წოდების მიერ არჩეული წარმომადგენელია; ამიტომაც იგი ანგარიშვალდებულია ხალხის წინაშე. გარდა საკანონმდებლო კრებისა, რომლის შემადგენლობას ხალხი ირჩევს, საკანონმდებლო ხელისუფლება ხორციელდება აგრეთვე წარჩინებულთა კრების მიერ. მონტესკიეს მტკიცებით, იმისათვის, რომ საზოგადოებაში ადგილი ჰქონდეს ხელისუფლებების ურთიერთშეკავებას, საჭიროა ე.წ. მარეგულირებელი ხელისუფლება, რომელსაც მხოლოდ წარჩინებულთა კრება ახორციელებს.

მონტესკიე წინააღმდეგია, რომ ხალხი უშუალოდ ახორციელებ-

დეს აღმასრულებელ ხელისუფლებას, რადგან საამისოდ იგი მზად არ არის. მისი აზრით, აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეს მონარქს, რადგან სახელმწიფოს საქმიანობის რეგულირება რე ყოველთვის მოითხოვს სწრაფ მოქმედებას, რაც ეკუთვნის მხოლოდ მონარქს, ვიდრე მრავალს. აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციას განეკუთვნება საკითხები, რომლებიც საჭიროებენ სწრაფად მოგვარებას. აღმასრულებელი ხელისუფლება განსაზღვრავს საკანონმდებლო კრების მოწვევას და მისი სხდომების ხანგრძლიობას. ამრიგად, ხელისუფლებების ურთიერთშეკავების ინტერესები მოითხოვს, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას მიენიჭოს საკანონმდებლო კრების საქმიანობის შეწყვეტის უფლება. მონტესკიე მიუთითებს, რომ თუ აღმასრულებელ ხელისუფლებას ეს უფლება არ მიეცემა, მაშინ კანონმდებლებს შესაძლებლობა ექნებათ მიითვისონ ყოველგვარი ძალაუფლება, რომელსაც ისინი მოისურვებენ და, მაშასადამე, ისინი ბოლოს მოუღებენ სხვა ხელისუფლებებს საზოგადოებაში, მაგრამ საკანონმდებლო ხელისუფლებას უფლება აქვს განიხილოს საკითხები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს მის მიერ დადგენილი კანონები. თუ აღმოჩნდება, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის მრჩევლები, როგორც მინისტრები, ცუდად იყენებენ ხელისუფლებას და სძულთ კანონები, ეს მრჩევლები პასუხისმგებლობა უნდა იქნენ მიცემული. მონარქი, რომელიც ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, არ უნდა მონაწილეობდეს საკანონმდებლო ხელისუფლებაში, მაგრამ რადგანაც საკუთარი ინტერესების გამო იგი დაინტერესებულია კანონმდებლობით, აუცილებელია, რომ მას ჰქონდეს კანონის უარყოფისა და გაუქმების უფლება.

შ. მონტესკიე თავის ნაშრომში „კანონთა სული“ ფართო ადგილს უთმობს სასამართლო ხელისუფლებას, რომელიც საზოგადოებაში რეალიზებული უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებელი ორგანოების მიერ. აკრიტიკებს რა ძველი საბერძნეთის წყობილებას გმირულ ეპოქაში, მონტესკიე მიუთითებს, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდნენ: მონარქის ჭეშმარიტი საქმიანობა იმაში კი არ გამოიხატება, რომ საქმეს თვითონ მეფე არჩევდეს, არამედ ამას უნდა აკეთებდეს მის მიერ დანიშნული მოსამართლენი. მონტესკიე დასაშვებად მიიჩნევს აგრეთვე მოსამართლეთა არჩევას სხვადასხვა წოდების მიერ.

მონტესკიე ამუშავებს აგრეთვე სხვადასხვა სახელმწიფო ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულების რეკომენდაციებს. მისი

წარმოდგენით, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების ურთიერთობაში ამ რეკომენდაციებმა გამოიყენება და ურთიერთშეკავება, არამედ ამ ხელისუფლებების განული შეერთებაც საზოგადოებაში პოლიტიკური თავისუფლების შესანარჩუნებლად. ინგლისის სახელმწიფო წყობილების დასახასიათებლად იგი სწავლობს სხვა საკითხსაც, კერძოდ, მისი ინტერესის საგანია ის, თუ როგორ ხორციელდება სახელმწიფოებრივი ხელისუფლება მონარქიულ ქვეყნებში და ასევე: სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება მხოლოდ იმას კი არ ნიშნავს, რომ ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლებებიდან გამოიყოს სხვადასხვა ხელისუფლება, ანდა ეს ხელისუფლებები განაწილდეს საზოგადოებაში სხვადასხვა წოდებაზე, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება ამ ხელისუფლების გაერთიანებასაც გულისხმობს ერთიან სახელმწიფო ხელისუფლებად.

მონტესკიეს შეხედულებები ახალი ეტაპია სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრებაში, მან ამ მოძღვრებას კლასიკური ფორმა მისცა და გაამდიდრა ახალი შინაარსით. მონტესკიემ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება გამოაცხადა სახელმწიფო წყობილების უმაღლეს პრინციპად, რომელსაც, მისი მტკიცებით, შეუძლია საზოგადოებაში თავისუფლების შენარჩუნება. სხვა მოაზროვნეებისაგან განსხვავებით, მონტესკიემ პირველად მიუთითა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება, როგორც პოლიტიკური პრინციპი, ნიშნავს ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებად არა უბრალო დაყოფას (*séparation des pouvoirs*), არამედ ხელისუფლებების დანაწილებას (*distribution des pouvoirs*), ურთიერთშეკავებას (*le pouvoir arrête le pouvoirs*) და ხელისუფლებების შეერთებას (*réunion des pouvoirs*).

მონტესკიეს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების მოძღვრებამ დიდი ზეგავლენა მოახდინა არა მარტო თანამედროვე, არამედ შემდეგი პერიოდის თაობებზე. სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების საფუძველზე ყალიბდება XVIII საუკუნის გერმანული პოლიტიკური იდეოლოგია (კანტი, ჰეგელი, ფიხტე), რუსეთში დეკაბრისტების რევოლუციური შეხედულებები და ა. შ. საყურადღებოა, რომ მე-18 საუკუნის საქართველოში ფართოდ ვრცელდება ფრანგი განმანათლებლების შეხედულებები¹. დავით

¹ ლ. ასათიანი, ვოლტერიანობა საქართველოში, თბ., 1933.



ბატონიშვილმა თარგმნა ვოლტერის, რუსოს და სხვათა ნაშრომები, ითარგმნა მონტესკიეს „კანონთა სული“, რომელშიც ცემულია სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილება მძღვრება, რაც, როგორც დასტურდება, მე-18 საუკუნის საქართველოში გავრცელებული იყო. კერძოდ, აღ. ამილახვარი (1750—1802 წწ.) ცდილობდა განეხორციელებინა პოლიტიკური რეფორმები ფრანგ განმანათლებელთა პრინციპებზე, რომლებიც საფუძვლად უდევს მის შრომას „ბრძენი აღმოსავლეთისა“¹. აღ. ამილახვარი ამ ნაშრომში მსჯელობს სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებაზე და მიუთითებს, რომ, მონტესკიეს აზრით, „მეფის უფლება განიყოფების „მრავალუფლებად“². საერთოდ კი, სახელმწიფოებრივი დანაწილება როგორც ძველი, ასევე ახალი დროის ბურჟუაზიული კონსტიტუციების უმთავრესი პოლიტიკური პრინციპი გახდა.

აღრინდელი ბურჟუაზიული რევოლუციების იდეოლოგიებისა და XVIII საუკუნის ფრანგი განმანათლებლების მიერ ახალი დროის შესაბამისად გადამუშავებულ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების მოძღვრებას ურთიერთდაპირისპირებული პოზიციებიდან შეხვდნენ შემდეგ პერიოდში. ფეოდალური სახელმწიფოებრიობის დამხობის შემდეგ გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილება გამოაცხადა ახალი, ბურჟუაზიული სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის უმთავრეს პრინციპად, კერძოდ, ბურჟუაზიულ კონსტიტუციებში სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და საამართლო ხელისუფლებებად აღიარებულია მოქალაქეთა თავისუფლების, ადამიანთა უფლებებისა და აგრეთვე კანონიერების დაცვის უმთავრეს გარანტიად, ამიტომაც იგი დღემდე ვითარდება.

¹ ტ. რუხაძე, რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, XVI—XVIII სს., თბ., 1960, გვ. 239.

² საქართველოს ისტორია, I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1956, გვ. 389.



წინასიტყვაობა		
თავი I.	კოლხეთის აკადემია (III—VI სს.) და ადრეკლასობრივი საზოგადოებრივი ფეოდალურზე გარდამავალი პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებები	7
1.	აიეტი	15
2.	ფარტაძი	29
3.	ანონიმი კოლხი სწავლული იურისტები	39
თავი II.	ქართული რენესანსის (XI—XII სს.) პოლიტიკური იდეოლოგია.	65
1.	დავით აღმაშენებელი	70
2.	ყუთლუ-არსლანი	90
3.	შოთა რუსთაველი	126
თავი III.	საქართველოს რუსეთთან შერთებისდროინდელი პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებები	165
1.	სოლომონ დოდაშვილი	166
2.	ილია ჭავჭავაძე	184
თავი IV.	საქართველოში გავრცელებული წინაბურჟუაზიული და ბურჟუაზიული მოძღვრებები სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ	323
1.	ბუნებითი სამართლის სკოლა	325
2.	სამართლის ისტორიული სკოლა	355
3.	სამართლის რეალისტური სკოლა	372
4.	სამართლის ნორმატივისტული სკოლა	403
5.	სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორია	445

Вахтанг Владимирович Абашмадзе
 ГРУЗИНСКИЕ ИНТЕЛЛЕКТУАЛЬНЫЕ ФЕНОМЕНЫ

(На грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
 Тбилиси 1992

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ჯამარჯაშვილი
 მხატვარი ი. ჩიქვინიძე
 ტექნიკური რედაქტორი ფ. ბუდალაშვილი
 კორექტორები: ც. მოლოდინი, ე. ხურცია

გადაეცა წარმოებას 6.06.91. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.02.92.
 საბეჭდი ქაღალდი № 2. 60×90^{1/16}. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 29,5.
 სააღრ.-საგამომც. თაბახი 26,72.
 ტირაჟი 2 000. შეკვეთის № 251.
 ფასი 8 მან.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
 თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის
 ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

